

4 F

499,962.1-87

Q 507

„ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია ტ. I“ გამოდის ორ ნაწილად. პირველში შესულია ტექსტები და ლექსიკონი, მეორე დათმობილი აქვს ძველი ქართული ენის მიმოხილვასა და ტაბულებს.

წიგნი განკუთვნილია დამხმარე სახელმძღვანელოდ ძველ ქართულ ენაში უნივერსიტეტისა და პედაგოგიური ინსტიტუტების სათანადო ფაკულტეტების სტუდენტთათვის.

რედაქტორი ა. შანიძე

რეცენზენტები: ზ. ჯუმბუჯიძე  
რ. ენუქაშვილი

©თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1982

## შ ე მ დ გ ე ნ ლ ი ს ა გ ა ნ

ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია პირველად ერთ წიგნად გამოვიდა 1949 წელს.

ამ ქრესტომათიის ეს ახალი გამოცემა ორ ნაწილად გამოდის: პირველში მოთავსებულია ტექსტები და ლექსიკონი, მეორეში კი — ენის მიმოხილვა და ტაბულები.

პირველ ნაწილში ძველ გამოცემასთან შედარებით საგრძნობი ცვლილებებია შეტანილი:

ა) საფუძვლიანად არის გაზრდილი ხანმეტი ტექსტები (დაბეჭდილია მრგლოვნად). ახლად დაბეჭდილი ტექსტების ნაწილი ამოღებულია ი. ჭავჭავიძის „ქართული პალეოგრაფიის“ მეორე გამოცემიდან<sup>1</sup>, ხოლო ნაწილი — ა. შანიძის შრომიდან „ხანმეტი მრავალთავი“<sup>2</sup>. ბიბლიური ტექსტები ქრესტომათიაში მოთავსებულია რიგის მიხედვით.

ბ) ქსნის ოთხთავის ტექსტი, რომელიც დაბეჭდილი იყო პირველ გამოცემაში (გვ. 60—83; 106—124), აქ შეცვლილია ტბეთის ოთხთავის სათანადო ადგილით. ამიტომ ლუკას თავი აქ უკვე მთლიანად არის წარმოდგენილი (66—112). ტექსტი პირველად ქვეყნდება ამ წიგნში.

გ) ახლად არის დამატებული ადგილები ფსალმუნიდან (გვ. 125—132) მეათე საუკუნის ხელნაწერის მიხედვით (A 38) და იოვანე ბოლნელის ორიგინალური თხზულება „ღვინის—მსუმელთა და მომთრეალეთათჳს“ (გვ. 253—255), რომელიც ამოღებულია საქართველოს მუზეუმის A 70. ხელნაწერიდან (გვ. 152r—154r).

დ) შესამჩნევად არის გავრცობილი ლექსიკონიც, რომელსაც დაემატა ახალი ტექსტებიდან ამოღებული სიტყვები.

ე) ამ გამოცემაში აღარ დაიბეჭდა „ძველი ქართული წერის ნიმუშები“ (პირველი გამოცემის გვ. 307—318), რადგანაც ამ დროს უკვე ამოსული იყო ილია აბულაძის „პალეოგრაფიული ალბომი“ (1949 წ.) და „ძველი ქართული წერის ნიმუშების“ დატოვება ახალ გამოცემაში აღარ იყო საჭირო.

საგრძნობლად შეიცვალა წიგნის გრამატიკული ნაწილი: მთლიანად დაემატა ზოგიერთი თავი (ფონეტიკური მოვლენები, საწყისის წარმოება, მესამე პირდაპირობიექტური პირის ნიშანი I სერიის მწკრივებში, ზმნის პირები და

<sup>1</sup> ი. ჭავჭავიძის, ქართული პალეოგრაფია, 1949 წ. მეორე გამოცემა. გამოვიდა ილია აბულაძის რედაქტორობით.

<sup>2</sup> ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტ. VII, 1927 წ.

პირთა კლება და მატება, ორპირიანი გადაუვალი ზმნები III სერიაში), სხვები დაზუსტდა და გაფართოვდა.

ამ წიგნში ზოგი საკითხი შედარებით ვრცლადაა მიმოხილული, ზოგი — მოკლედ, ნაწილი კი მხოლოდ ტაბულების სახით არის წარმოდგენილი. ეს არაერთგვარობა იმითაა გამოწვეული, რომ ძველი ქართული ენის ბევრი საკითხი ჯერ კიდევ არაა მონოგრაფიულად დამუშავებული. იმედია, მალე სასურველი ერთგვარობა და პროპორცია დამყარდება და მკითხველი იხილავს ძველი ქართული ენის სისტემატურ გრამატიკულ ანალიზს.

ცალკეული საკითხებისადმი მიძღვნილი სპეციალური ლიტერატურა ძველი ქართული ენის პროგრამაშია მითითებული და აქ აღარ შემოგვიტანია.

ამ გამოცემაში ვათვალისწინებულობ პრესაში გამოქვეყნებული და დაინტერესებულ პირთა მიერ მოწოდებული რიგი შენიშვნები.

ქრესტომათიის მეორე ნაწილი (მიმოხილვა და ტაბულები) ამ ნაწილთან ერთდროულად იბეჭდება ცალკე წიგნად.

## ძველი ქართული ენის ფონეტიკური შედგენილობა

### ხმარავიდან გადაპარღნილი ხმარავი და ასოვანი

1. **ჟ.** **ჟ** იწერება: ა) საზოგადო ხმოვანფუძიანი სახელების სახელობითის ბრუნვაში (ამ ბრუნვის ნიშნად):

მამა-**ჟ**, დედა-**ჟ**, ძმა-**ჟ**, და-**ჟ**, მთა-**ჟ**, ზღუა-**ჟ**, ხილვა-**ჟ**, მოკლეა-**ჟ**, ძრვა-**ჟ**.  
წმობა-**ჟ**, სლეა-**ჟ**.

წყარო-**ჟ**, წბო-**ჟ**, ოქრო-**ჟ**, კალო-**ჟ**, ეზო-**ჟ**.

ძუძუ-**ჟ**, ყრუ-**ჟ**, ცრუ-**ჟ**, დრკუ-**ჟ**, რუ-**ჟ**.

ძე-**ჟ** (=ძმ), სიძე-**ჟ** (=სიძმ), ბჳე-**ჟ** (=ბჳმ), ხე-**ჟ** (=ხმ), სახე-**ჟ** (=სახმ), მზე-**ჟ** (=მზმ), ბზე-**ჟ** (=ბზმ), მემტილე-**ჟ** (=მემტილმ), მეჭრმლე-**ჟ** (=მეჭრმლმ), მეზუერე-**ჟ** (=მეზუერმ), მეორე-**ჟ** (=მეორმ), მესამე-**ჟ** (=მესამმ), მეათე-**ჟ** (=მეათმ).

ბ) უკვეცელი საზოგადო სახელების მხ. რ. ნათესაობითსა და მოქმედებითში (ამ ბრუნვათა ნიშნების პირველ, ხმოვნით ნაწილად):

წყარო-**ჟ**სა, ოქრო-**ჟ**სა, წბო-**ჟ**სა, ეზო-**ჟ**სა, ძუძუ-**ჟ**სა, ყრუ-**ჟ**სა, ცრუ-**ჟ**სა, დრკუ-**ჟ**სა.

წყარო-**ჟ**თა, ოქრო-**ჟ**თა, წბო-**ჟ**თა, ეზო-**ჟ**თა, ძუძუ-**ჟ**თა, ყრუ-**ჟ**თა, დრკუ-**ჟ**თა.

გ) ხმოვანფუძიანი საკუთარი (აღამიანთა) სახელების ნათესაობითის (იშვიათად მოქმედებითის) ბრუნვაში (ბრუნვის ნიშნის ხმოვნით ნაწილად): .

მართა-**ჟ**ს, ანა-**ჟ**ს, კაიაფა-**ჟ**ს, შოთა-**ჟ**ს, ბარაბა-**ჟ**ს, ელია-**ჟ**ს, ეზეკია-**ჟ**ს, შალვა-**ჟ**ს.

ნინო-**ჟ**ს, აბო-**ჟ**ს.

იესუ-**ჟ**ს.

პეტრე-**ჟ**ს (=პეტრმს). პავლე-**ჟ**ს (=პავლმს), ჰელენე-**ჟ**ს (=ჰელენმს), იოვანე-**ჟ**ს (=იოვანმს).

იშვიათად:

მართა-**ჟ**თ(ურთ)

იოვანე-**ჟ**თ(ურთ) (=იოვანმთურთ)

იესუ-**ჟ**თ(ურთ)

აბო-**ჟ**თ(ურთ).

მაგრამ: გიორგი-**ს**, მაკარი-**ს**, არსენი-**ს**, გრიგოლი-**ს**.

2. **მ.** **მ** იხმარება: ა) ე-ზე ფუძეგათავებული საზოგადო სახელების სახელობითის ბრუნვაში ფუძისეული ე-სა და ბრუნვის ნიშნის ჟ-ს მაგივრად მათი ერთად მოხვედრის დროს:

ძმ (=ძე-მ), ხმ (=ხე-მ), სიძმ (=სიძე-მ), მემტილმ (=მემტილე-მ), მეორმ (=მეორე-მ).

ბ) მ-ზე ფუძეგათავებული საკუთარი (ადამიანთა) სახელების ნათესაობითს (იშვიათად მოქმედებითს) ბრუნვაში ფუძისეული ე-სა და ბრუნვის ნიშნისეული ა-ს მავივრად:

პეტრმს (=პეტრე-მს), პავლმს (=პავლე-მს), პელენმს (=პელენე-მს), იოვანმს (=იოვანე-მს). იშვიათად:

იოვანმტურთ (=იოვანე-მთ-ურთ).

გ) უფროობითი ხარისხის ფორმებში:

უმჯობმსი, უდიდმსი, უძვრმსი, უადრმსი, უწინარმსი და სხვ.

დ) ზმნიზებლებში, რომლებიც წარმოშობით მოქმედებითი ბრუნვის ფორმე-ბია: ეგრმთ, ესრმთ.

ე) ორი სიტყვის ძირში:

ალაშმნა, აღუმშნებიეს, აღმშნებული, აღსაშმნებელი, შმნებული, შმნი (=გაშენებული ადგილი, აშენებული).

აღმოცმნებს, აღმოსცმნდა, აღმოცმნებული, მცმნარმ<sup>1</sup>.

8. უ. უმარცვლო უ (უ-ბრჯგუ, უ) იხმარება შემდეგს შემთხვევებში:

ა) სიტყვის ძირებში თანხმოვნის შემდეგ:

გუ: არაგუ, არგუეთი, (ენა)ბრგუნილი (ზარზმ.), გუადრუცი, გუალაგი, გუალე, გუალვა, გუამი, გუარამ, გუარი, გუელი, გუემა, გუერდი, გულარძნილი (გარდაგულარძნეს), გუმერა, გურგვნა, გურემა, გურიტი, ეგუტერი, თაგუ, მდოგუ, მოგუ, მოგურა, მრგული (სიმრგულე), ნიგუზისა (ნიგოზ-ისაგან), ბრაგუ, გურდივ, გურინვა, მორგუ.

ღუ: მინღურისა (მინღორ-ისაგან).

ზუ: ზუაობა (აღზუაება), ზუარაკი, ზუარი, ზუერი (მეზუერე, საზუერე), მზუარე, ნეზუ.

თუ: ბირთუ, დათუ, თთუე, თუალი (მზის თუალი), მითუალვა (მითთუალა); მართუე, მორთუმა (მორართუეს), მსთუად (აღმსთუეს), სათუელი, სთუელი (მოს-თულა), ბურთუ.

კუ: ვარსკულავი, ზაკუვა, თირკუმელი, კაკუ, კულად, კული, კუამლი, კუართი, კუარცხლებეკი, კუახი, კუება, კუედ (მოგკუედ, მოჰკუედ, მოკულა, სიკულილი, მკულარი, მკულრეთი), კუეთა (მკუეთარ), კუელი, კუერეკსი, კუერთხი (საკუერთხი), კუერი (სეფისკუერი), კუერვა (გამოკუერვის იობ. 28, 2), კუერ-ნა, კუერცხი, კუნსი, კუეცა, კუენხა, კულევა (გამოკულევა), კუმევა (საკუმევი, საკუმეველი), კუნესა, ლაკუა, ლეკუ, კუსოლა (მკუსოლარე), მკუარი, მტკუარი, მწინკულევანი, ნაკუერცხალი, სარკუმელი, სამირკუმელი, სუმა (სასუმელი), უკუანა, უკუანამსკნელი, უკუე, უკუეთუ, ჰკუერვა (რაითის მამ.), ჯერკუალი, კურივი (სიკურივე), ჩხიკუ.

ყუ: ეყუანი (სახისმეტყ.).

სუ: მსუენი, სუავი, სუანი, სუე, სუელი, სუენება, სუეტი, სუმა (ვსუამ, ჰსუამ, სუამს, ვსუ, ჰსუ, სუა... დასუამს, დასუა, მოისუამს ჳელსა, მოისუა ჳელი... მესუა, გესუა, ესუა...), ფესუ, ფესუედი, შესუარვა (შესუარვადმდე, გამოსლე. 12, 34; შესუარნის, სახისმეტყ.).

<sup>1</sup> თემცა ხშირად ამ ფორმებში მ-ც გვხვდება: ალაშენა, შენებული, აღმოსცენდა, მცენარე.

**ტუ:** მტუერი, ნესტუ, სტუანვა, სტუენა, ტიტუელი, ფეტუ, ფირტუ.

**ჭუ:** ექუა (ზარზმ.), ექუსი, თქუენ, თქუმა, მუნქუესეე, რქუმა (ვარქუ, არქუ, პრქუა... დავარქუ, დაარქუ, დაარქუა...), სარქუელი, ქარქუეტი (იობ 30, 7), ქუაბი (გამოქუაბული), ქუ — ქუან (მაქუს, გაქუს, აქუს, მაქუნდა, გაქუნდა, აქუნდა...), ქუე, ქუევრი, ქუელთობისა, ქუესენელი, ქუეყანა, ქუეწარმავალი, ქუმა (აღქუმა, აღმოქუმა, მიქუმა, მოქუმა), ქურავი, ერქუანი, ბულქუ, ციქუ.

**ღუ:** ამრღუე, ბრღლუენა (იბრღლუენდა, შუშ. 3, 29), გამობღლუედა, დიღუმის (დიღომ-ისაგან), ზღუა, ლღლუ, რღლუევა (აღმრღლუევა, დარღლუევა, განრღლუელი), ლუარი, ლუარძლი, ლუედი, ლულარქინილი, ლუმინვა (ვღუმინეღდ, სახისმეტყ.), ლურინვა, ლუწოლა (იღლუის, ლუაწლი), ძარღუ, ძღლუ (წარუძღლუ, წარუძღლუა, მოძღლუარი), ძღუანვა, ძღლენი, ჭურღუმული, ლუელფი.

**ყუ:** განრყუნა, თაყუნის-ცემა, იდაყუ, მაყული, მაწყურელი, მიწყუდევა (მიაწყუდეა), მოყუასი, მოწყუდეა (დაუწყუდეელი მდინარე), მყუარი, ნერწყუ (ნერწყუვა: პნერწყუვიდეს), სეტყუა, ტყუ (სიტყუა, მეტყუელი, უტყუ), ტყუე, ტყუენვა, ყუავ (ყყუავი, ჰყუავი, ყუავის), ყუავილი, ყუარ (მიყუარს, გიყუარს, უყუარს, სიყუარული, მოყუარე), ყუედრება, ყუელა, ყუერბი, ყუერბული, ყუნა, ყურიმალი, შერწყუმა (შეირწყუნეს), წყუღიადი, განწყუდეა.

**შუ:** ეშუ, ნაფშუენი, ფშუენა (ფშვენა), შაშუ, შიშუელი, შუება [გაშუება, მიშუება: მიუშუა, მიშუ (გამოსლვ. 32, 10), იშუებს, საშუებელი], შუელა, შუენ (ჰშუენის, შუენიერი), შურომა (დაფშუერ, დაჰშუერ, დაშურა, მაშურალი, დამაშურალი).

**ჩუ:** მაჩუ, ფიჩუ, ჩუენ, ჩუენება (მიჩუენა, გიჩუენა, უჩუენა; მოჩუენება, შეჩუენება); ჩუეულება, ნიჩუარი.

**ცუ:** ბორცუ, კიცუ, მარცუალი, შეკიცუვა, აერცუ, ცუარი, ცუედანი (მცუედანი), ცუეთა (წინადაცუეთა, წინადაცუეთილი), ცუნა (ცვენა), ცურევა, ცუმა (შთაცუმა: ეცუა; ჭუარს-ცუმა: ჭუარს-აცუეს), ძარცუვა (აღძარცუვა, განძარცუვა), ჯნარცუ, დანეცუვა.

**ძუ:** ლანძუ (გამოსლვ. 27, 4), ნაძუ, ნეძუ (მერჩ. 30), ძეძუ, ძუალი, ძუელი, ძუერ [გამოვძუერ, გამოსძუერ, გამოძურა; ძურებიან (ლევიტ. 11, 54), ქუეწარმძურომელი].

**წუ:** მწუანე, მწუანვილი, მწუერვალი, მწულილი, დაწუ, წუად (აღმოწუდა, აღმოწუდა), წულმა||წუთობა (მისწულების, მისწუთების, მერჩ. 22), წუეთი. წუელა, წუელი, წუენი, წუერი, წუვა (დაწუვა, შეწუვა), წუევა, წულილი (გამოწულილვა), წურთა.

**ჭუ:** ეჭუ, იჭუ, მჭუალ || მსჭუალ (დამსჭუალეს, დამჭუალანა, იობ 16, 10, სამსჭუალი), ჭურეტა, ჭურინვა (მჭურინავი), ჭაჭუ.

**ხუ:** ვარხუ, ვეფხუ, ლახუარი, მთხუევა (შემთხუევა, მიმთხუევა), მსხუერკლი, მცხუედი, ნეფხუა, ნეხუ, რიცხუ, სხუა, სხუერტა, უხუ, ფხურა (აღფხურა, აღმოფხურა), ციცხუ, ხახუ, ხუადი, ხუავი, ხუაიშანი, მეხუაიშნე (უხუაიშნოს, მერჩ. 56), ხუარბალი, ხუასტაგი, ხუაშიადი, ხუდომა (შხუდა, გხუდა, ჰხუდა), ხუედრება (მახუედრებს, გახუედრებს, ახუედრებს, ხუედრი), ხუევა (შეხუევა, სახუეველი), ხუეტა, ხუეწა (გარდახუეწა, შემოხუეწილი), ხუეწანა, ხუეჭა, ხუმა

(ალხუმა, განხუმა, მოხუმა, მიხუმა, თუალთ-ხუმა), ხურინვა, იხუ, ვერხუ, ფემ-  
ხუმი, ხუეწა.

ჭუ: თაქუ, ინჩაქუ, მქუ (დაამქუა), საქუმილი, ქუარდ (აღმოჰქუარდოს, გა-  
მოსლვ. 21, 27), ქუება (გამოიქუას, ქუებული), ქუეზა, ქუელა, ქუმევა (იქუმია),  
ქუმილვა (ქუმილავს, საქუმილავი, მქუმილავი), ქუნეშა, ქურელი, ქურეტა, ქუა-  
მალდი, იქუანჩი, ჩაქუ.

ჭუ: ჭუარი (ჭუარ-ცუმა), მარჯუე, მარჯუენე.

ბ) პირველი სუბიექტური პირის ნიშნად ხანმეტსა და ჰემეტ ტექსტებში,  
როცა მასთან არის აგრეთვე მესამე ობიექტური პირის ნიშანი ხანი ან ჰაე (ასეთ  
შემთხვევაში ობ. პრეფიქსი ყოველთვის პირველ ადგილას, სუბიექტური ნიშნის  
წინ არის): შეხებათ, ხუარწმუნოთ, ალხუაზნე, ხუესავთ, მიხუეც, ხვტყოდე,  
აღჰუმართე.

გ) ის ენაცვლება „ვალ“, „ვედ“ ზმნის ძირისეულ ვინს II სუბ. პირის ნიშ-  
ნის „ხ“-ს შემდეგ:

მოხუალ, წარხუალ, განხუალ, მიხუალ; მოხუედ, წარხუედ, განხუედ, მი-  
ხუედ.

დ) ის წარმოადგენს I ობ. პირის (მრ. რ. — ინკლუზ.) ნიშნის მეორე ნაწილს:  
გუ: გურწამს, გუაქუს, გუაქებს, მოგუეც, შეგუხუდა, მოგუაელინა, მოგუარ-  
თუეს, გუასწაეებს, გუგამობს.

ვ და არა უ გვაქვს ისეთ ზმნებში და სახელზმნებში, რომლებშიც ავ თემა-  
ტური ნიშანი ხმოვნით დაწყებული სუფიქსის დართვისას კარგავს ხმოვანს (ა-ს)  
და ცალად დარჩენილი ვ პირდაპირ ერთვის წინამავალ ფუძისეულ თან-  
ხმოვანს:

- პრისხვენ, რისხვა, მრისხველი (შდრ. პრისხავს)
- სტანჯვენ, ტანჯვა, მტანჯველი (შდრ. სტანჯავს)
- კლვენ, კლვა, მკლველი (შდრ. კლავს)
- ჰხედვენ, ხედვა, მხედველი (შდრ. ჰხედავს)
- ჰფარვენ, ფარვა, მფარველი (შდრ. ჰფარავს).

გ ა მ ო ნ ა კ ლ ი ს ე ბ ი :

გამონაკლისის სახით თანხმოვნის შემდეგ ვ იწერება შემდეგს სიტყვებში:  
ადილი, ქართველი, პირველი, ჭინჭელი, იანვარი, რვა, რვალი, ფქვილი  
(საფქველი), ქვა, ქველი, ქველის საქმე, საზღვარი, ყველი, საფუძველი, წყვილი,  
ცვალება (გარდაცვალება, ნაცვალად), წვალება, ხვალე.

4. გ. ვ იხმარება უმარცვლო უ-სა და ი-ს შეერთებისას (უ+ი=ვ). ამას  
ადგილი აქვს შემდეგს შემთხვევებში:

ა) უმარცვლო უ-ზე ფუძეგათავებული სახელების სახელობითს, ნათესაო-  
ბითსა და მოქმედებითს ბრუნვებში:

- რიცხვ (=რიცხუ-ი)
- რიცხვსა (=რიცხუ-ისა)
- რიცხვთა (=რიცხუ-ითა).

მაგალითები:

თავჯ, თავჯსა, თავჯთა; ნაძვ, ნაძვსა, ნაძვთა  
მოგვჯ, მოგვჯსა, მოგვჯთა; ლელჯ, ლელჯსა, ლელჯთა  
ძარლჯ, ძარლჯსა, ძარლჯთა; მლოგვჯ, მლოგვჯსა, მლოგვჯთა  
ფესჯ, ფესჯსა, ფესჯთა; ნესტჯ, ნესტჯსა, ნესტჯთა  
ფიჩჯ, ფიჩჯსა, ფიჩჯთა; ძეძჯ, ძეძჯსა, ძეძჯთა.

ბ) ისეთი სახელების ნათესაობითსა და მოქმედებითში, რომელთაც ფუძის ბოლოს აქვთ უე და უა:

თთუე — თთვსა, თთვთა; ტყუე — ტყვსა, ტყვთა  
ზლუა — ზლვსა, ზლვთა; სსუა — სსვსა, სსვთა.

გ) ზმნებში, როცა მრავლობითი რიცხვის I ობ. პირის ინკლუზიურ ფორმებში გუ-ს მოსდევს სათავისო ან სასახვისო ქცევის ნიშანი ი:

გამოგვყვანა (მან ჩუენ), შეგვტყებნა (მან ჩუენ)  
მოგვტანა (მან ჩუენ იგი), გვჩუენა (მან ჩუენ იგინი)  
გვვის (იგი ჩუენ), გვქმს (იგი ჩუენ).

დ) როცა ზმნის ფუძისეულ უმარცვლო უ-ს უშუალოდ მოსდევს თემის ნიშანი ი:

ვითყვ, იტყვ, იტყვს.

ე) როცა ზმნის ფუძისეულ უმარცვლო უ-ს უშუალოდ მოსდევს II ხოლო მეობითის მაწარმოებელი ი:

ვთქვ, სთქვ, თქვს; ვთქვთ, სთქვთ, თქვან.

ესვ, მსვ, სვს; ესვთ, მსვთ, სვან.

ეპრქვ, პრქვ, პრქვს; ეპრქვთ, პრქვთ, პრქვან.

ვ) როცა „ვიდ“ ძირიანი ზმნა გვხვდება II სუბ. პირის ფორმით: წარხვლოდე (—წარხვილოდე —წარხვილოდე), წარხვლოდეთ; წარხვლოდი, წარხვლოდით; წარხვლი, წარხვლით; წარხვდე, წარხვდეთ.

ზ) როცა ხანმეტსა და ჰაემეტ ძეგლებში პირველი სუბიექტური პირის ნიშანს, რომელიც აქ უმარცვლო უ-ს სახითაა წარმოდგენილი, მოსდევს სათავისო ქცევისა და ვნებითი გვარის მაწარმოებელი ი: ჰქქმ, გამოხვთხოვდ, დახვმალე.

თ) აგრეთვე შემდეგს სიტყვებში:

გვ: გვანად, გვრგვნი, გურგვნეა, ეგვპტე.

ღვ: ღვრე, ნანღვლ(ვე).

ზვ: ზვადი, ზვნი, ზვრთი.

თვ: ეფთვმე, თვთ, თვს, თვსი (განთვსება).

კვ: კვრ (მიკვრს, გიკვრს, უკვრს, უკვრდა, საკვრეელი, განკვრევა...), კვრიაკე, კვრიელეისონ, მკვდრ (დამკვდრება, მემკვდრე, სამკვდრებელი...), მკვრცხედ, მკვრცხლ.

სვ: სვანი, სვონ (სვმონ), სვნაქსარი, სვნგლოზი, სვნდისი.

ტვ: ღრტვნეა, სტვნ (გისტვნეველით), სტვრი, ტვნი (განტვნეა), ტვრთი.

ქვ: ქვშა (მქვშა), წისქვლი.

ღვ: მრღვე, მღვმე, ღვძება (განღვძება), ღვძლი, ღვწუა.

ყვ: ყვთელი, ყვნ (დაყვნეს), ყვრ (ყვრის, მყვრალი, საყვრი).



შ: იშუთ, მშუდი, მშუღლი, ფშენიერი, შუდი.

ჩ: ჩჩული.

ც: ცებრ (განცებრება), ცვე (გარდამოცვისი), ცვლი.

ძ: ბრძენ (შეაბრძენო, გამოსლვ. 26, 6), ძენ (განძენებული, ძძენეარე), ძკრი.

წ: მწკრე, მწყს (განმწყსნა), წვეი, წუმა.

ქ: ქვრობა...

ხ: მახვლი, სირცხული, ცხური, ხუთქი, სხული.

ჯ: ჯვობა (მჯვობარი, მჯვვანი).

ნ. ქარი იხმარება გარკვეულ ძირებში. თუ საღ, რა შემთხვევაში იხმარება იგი, ამას წესი არ აქვს. საჭიროა მისი ხმარების შემთხვევები ზეპირად ვიცოდეთ. ერთი კია: ხ-ს (შ-ს) წინ მულამ ქარია, ხ-ს შემდეგ — ხანი, მაგ.: ქსნა, მაგ-რამ: სხუა, წსენება, მაგრამ: მსხუერპლი. აი ზოგიერთი მეტად გავრცელებული სიტყვა, რომლებშიც ქარი იხმარება:

ვენაქი, თაქვ, თოქი (მოთოქნა), ინჩაქვ, იქუანჩი, მუქლი (მუქლვა: იმუქლნა), მქარი, მქევალი, მქეცი, მქნე (განმქნდეს, განამქნო), მქუ (დაამქუა), ნაქშირი, ოძრქე, ოქერი (ალოქრება, მოოქრება), საქსარი, საქუმილი, ფერქი, ჩოქამა, ჯად (იქადა მახული, განქდა, გარდაქდა), ჯამ (მიქმს, გიქმს, უქმს, უქმდა), ჯამლი (მე-ჯამლე, მეჯამლეობა, უქამური), ჯან (ქნვა, მქნელი, საქნავი, საქნელი), ჯარი (მექრე, საქრე), ჯაჯა (= ხახა), ჯაჯა (იქაქდეს ლაწუთა), ჯედ (გარდაქდომა, მიქ-დომა, მოქდომა, წარქდომა, მქდომი, მქედარი, მქედარ, საქედარი), ჯევი (ქევენე-ბი), ჯელი [ქელმწიფე, საქელმწიფო, ქელოვანი, ქელოვნება, ქელოსანი, საქელი (=სახელი), უქელი, ქელ-ყოფა], ჯერქი (მოქერქება), ჯიდი, ჯმა (ქმის-ყოფა: ჯმა-ყო, ჯმა-უყო, ჯმობა), ჯმარება (მექმარების, გექმარების, ექმარების, საქმარი, უქმარი), ჯმეადი, ჯმელი (განქმელი), ჯნარცკ, ჯოცა (წარჯოცა), ჯორცი (ჯორციე-ლი), ჯოჯობი, ჯრდალი, ჯრმალი (მექრმლე), ქსენება (მომიქსენა, მოიქსენა, მო-საქსენებელი, მოქსენებული, მოუქსენებელი), ქსეა || ქშვა (დაქსა ქარი, დაქსუ-ლი), ქსნა (მიქსნა, გიქსნა, იქსნა, მქსნელი, საქსნელი, ქსნილი), ქსოვნა (მაქსოვის, გაქსოვის, აქსოვის, საქსოვარი), ქვშირი, ქვობა (მქვობარი), ქვრთი || ქურთი, ქვქვნი, ქუება (გამოაქუა, ქუებული), ქუეზა, ქუელა, ქუელი, ქუმევა (იქუმიან), ქუმილვა (ქუმილავს, საქუმილავი, მქუმილავი), ქუნეშა, ქურელი, ქურეტა, ქურ-ეება (განქურეება, განქურეებული, მქურვალე, მქურვალეება), ქშვა || ქსვა (ეკქშვა, კქშვა, კქშავს, დავქამ, დავქამ, დავქამა, დავქმული), ქშირი (სიქშოი), ჭცე (მქცოვანი), ქერი, განქერული, მარქილი (მწყერ-მარქილი), ჭბო, ჭორჭი, ჭუნდი.

შდრ.	მოქჳადა	და	მოჳხადა
	ქარი	„	ხარი (შენ)
	სამქარი	„	სამხარი
	ქეე-ს	„	ხეე-ს
	ქელი	„	ხელი
	საქელი	„	სახელი
	ქერქი	„	ხერხი
	უსაქლოა	„	უსახლოა
	ოქრად	„	ობრად

## ფონეტიკური მოვლენები

ფონეტიკური მოვლენების გავრცელებას ძველ ქართულში ხელს უწყობდა კანონი, რომელიც საფუძვლად ედო ძველ სალიტერატურო ქართულ ენას: წერე ისე, როგორც გამოთქვამ. იქ გამოთქმასა და წერას შორის სრული შესატყვისობა არსებობდა ამის გამო ფართოდ ეღებოდა კარები ხალხურ მეტყველებაში არსებულ მეტად ნაირ-ნაირ ფორმებს, სხვადასხვაგვარ დიალექტურ ნიშნებს, ჭრელ-ჭრელ ვარიანტებს<sup>1</sup> ეს განსაკუთრებული ფონეტიკური თავისებურება ყველაზე მეტად გამოსჭვივის ბგერათა დაკარგვაში, ასიმილაციაში და სუბსტიტუციაში, უფრო ნაკლებად — ბგერათა განვითარებაში. ქვევით წარმოვადგენთ ამ მოვლენათა ტიპურ ნიმუშებს.

### 1. ბგერათა დაკარგვა

ყველაზე მეტად მაინც ვ და უ (უბრჭვე) იკარგება<sup>2</sup> ეს მაშინ ხდება, როცა მათთან ერთად, მათ გვერდით (უმთავრესად მათ შემდეგ) არის რომელიმე ბავსმიერი ბგერა, ყველაზე ხშირად უ და ო, მერმე ვ, მ, ბ, პ, ფ.

#### I. იკარგება ვ

ვ, როგორც სუბიექტური ნიშანი პირველი პირისა, დაკარგულია უ-ს, ო-სა და ზოგჯერ ვ-ს წინ. პირველი შემთხვევა ყველაზე ხშირია.

ა) რომელსა მე ამბობს-უყო, იგი არს, შეიძყართ იგი<sup>3</sup> მ. 26, 48; ვსწავლო იგი და განუტევეო: ლ. 23, 16; უკუეთუ განუტევენე უზმანი ვანად მათა: მრ. 8, 3; ოდეს-იგი ხუთი ქუეზაა განუტეხე ხუთ ათასსა: მრ. 8, 19 C; და განუწესე მას როჭიკი ჩემთაგან საუნჯეთა: ისტ. ქრ. I, 296, 31; უტევე ევე ამასა წელსა, ვიდრემდე მოუთოქნო მაგას გარემო და სკორმ დაუდვა: ლ. 13, 8; კუალად დაუტევებ სოფელსა და მივალ მაშისა: ი. 16, 28; არა დაუტევებ იე მე მარტოა: ი. 8, 29 C; რომელსა მე დაუწო პური და მივსცე, იგი არს: ი. 13, 26; რაოდენ გზის შემცოდოს მე ძმამან ჩემმან, და მიუტევეო მას: მ. 18, 21; მიუძღუანე მას: ლ. 23, 15; ჯერ-მიჩნდა მეცა, რომელი შეუდგე პირველითგან ყოველთა ჭეშმარიტად: ლ. 1, 3; მე ულოცვიდე მამასა: ი. 14, 16 C; მამასა უყუარ მე: ი. 10, 17; რომელსა უყუარდე მე..., მეცა შევიყუარო იგი და გამოუტყხადო მას თავი ჩემი: ი. 14, 21; რომელსა-იგი სარცხუნელ უჩნდე მე: მრ. 8, 33; ნეტარ არიან, რომელთა არა უხილავ და ვკრწმენე: ი. 20, 29.

ჩუენ უთხართ კითხვისა მისისაებრ: დაბ. 43, 7; რომლისა თანა იგავისა დაუდვათ იგი: მრ. 4, 30 C; ჩუენ ყოველი დაუტევეთ და შეგიდგთ შენ: მ. 19, 27; სიტყვათა შენითა გარდაუტეოთ ბაღმ: ლ. 5, 5; რაა სიტ-

ყუამ მიუგოთ ანუ რა ვთქვათ: ლ. 12, 11 C; რაათა მიუთხრათ მო-  
მაელინებელთა მათ ჩუენთა: ი. 1, 22 C; ვითარცა ჩუენ მიუტევებთ თა-  
ნა-მდებთა ჩუენთა: მ. 6, 12; რაათა ჩუენცა მიუტეოთ თანა-მდებთა ჩუენ-  
თა: იქვე C; უკუეთუ მიუშუათ ესრეთ, ყოველთა პრწმენეს იგი: ი. 11, 48 C;  
რადასათჳს ჩუენ ვერ შეუძლეთ განკურნებად მას: მ. 17, 19; წინააღუღ-  
გეთ მას მარხვითა: სწავ. 272, 4.

ყველა აღნიშნულ შემთხვევაში უსახვისო ქტევის ნიშანი იყო. და რადგა-  
ნაც სასხვისო ქტევის ფორმა შეიძლება თითქმის ყველა ქართულ ზმნას ჰქონ-  
დეს, ამიტომ ამნაირი შემთხვევები ძველ ქართულში ძალიან ხშირია.

იზოიათად უფუძისეულიცაა: აწ უწყი, რაა ვყო: ლ. 16, 4; უწყი,  
რამეთუ მესია მოვალს: ი. 4, 25 C; მიუგეს იესუს და პრქუეს: არა უწყით:  
მ. 21, 27; უფალო, უწყოდე, რამეთუ ფიცებლ კაც ხარ შენ: მ. 25, 24 C;  
რაათა უწყოდე ესე: ლ. 1, 18.

ბ) ო ზმნის თავკიდურად არა გვაქვს მორფოლოგიურ ელემენტებში (ზმნის  
პირის ნიშნის შემდეგ). ამიტომ მის წინ ვმხოლოდ მაშინ შეიძლება აღმოჩნდეს  
დაკარგულად, როცა ზმნის ფუძე ო-თი იწყება. ო-თი, რასაკვირველია, პირვე-  
ლადი ზმნის ფუძეები ჩვეულებრივ არ იწყება, იმით შეიძლება დაიწყოს მხო-  
ლოდ სახელისაგან ნაწარმოები ზმნის ფუძე. ასეთები ძველ ქართულშიც ძალზე  
ცოტაა. ცნობილია ორი ასეთი ზმნა: ✓

უფლისა მოსლვაა კართა ზედა გუადგს, და ჩუენ ორგულეებთ: საქ.  
წიგ. 11, 52, 28; შე ორგულდი მე და ათნი იგი ჩემ თანა: მოქც. 22, 9; ვაა  
ჩუენდა, რამეთუ დღეს და ობლდით და მიგუეღების მარგალიტი იგი ჩუენ-  
ნი: პარხ. 666 a. sin. 6, 199V, 15.

ბ) თუ ზმნის ფუძე ვ-თი იწყება, პირველი სუბიექტური პირის ნიშანი  
ვ უმეტეს შემთხვევაში აქაც იკარგება:

განვლეთ ჩუენ ცეცხლი და წყალი: ფს. 65, 12; სინ. 121, 33; და განვ-  
ლოთ... და ღირს ვიქმნეთ მათსა მას ქებულებასა: სინ. 115, 10; მე გამო-  
ვარდი იერუსალემით: Sin. 97, 171 va; შემოვარდი მე სახლსა საპყ-  
რობილესა: საქ. წიგ. 11, 68, 19; რაათა... არა გამოვარდე ნათლისა მისგან-  
დიდებისა შენისაჲსა: იქვე, 2, 34; ნუმცა გამოვარდებით სასძლომსა.  
მისგან: ისტ. ქრ. 11, 13, 10; ნუმცა შევარდებით მახეთა მათ სიკუდილი-  
სათა: საქ. წიგ. 11, 6, 25; მწუხარებასა შევარდით: ისტ. ქრ. 11, 39, 19.

[მაგრამ: დავვარდი ფერკთა თანა მისთა: გამოცხ. 1, 17; დავ-  
ვარდი წინაშე ფერკთა მისთა: იქვე, 19, 10; დავვარდი თაყუ-  
ანის-ცემდ წინაშე ფერკთა ანგელოზისა მის: იქვე, 22, 8; წარვ-  
ვლეთ შუეა მათსა: ეტ. 11, 51, 36; და კუალად ვვლეთ დღე.  
ოცი: იქვე, 53, 7; დავვარდით ქუეყანად: იქვე, 54, 37; ვვლენ-  
ით დღენი მრავალნი: იქვე, 55, 36. ნ. კ. დავვარდი: მოც. 22, 7;  
ცხორ. ეფთ. 45, 13; 46, 11; შთავვარდი: იქვე, 33, 7; განვ-  
ვარდი: იობ 6, 18; აღწ. 153, 8; 163, 39; სას. პ. 294, 112; გან-  
ვვარდე: კიმ. I, 24, 23 და სხვ.]

✓ ვალ, ვედ//ვიდ ფუძეებში S<sub>1</sub> არასდროს არ არის წარმოდგენილი (ეს  
წესი უგამონაკლისია): ✓

ვალ: არა იცით, ვინაჲ მოვედ და ვიდრე ვალ: ი. 8, 14; მივეალ გაცემოდ და მათა: ლ. 14, 19; მივეალ მომავლინებელისა ჩემისა: ი. 7, 33 C; მივეალ და მოვეალ თქუენდა: ი. 14, 28 C; არს სამი წელი, ვინაჲთგან მოვეალ და ვეძიებ ნაყოფსა: ლ. 13, 7; მოვეალ თქუენდა: ი. 14, 18 C; მე წარვეალ: ი. 8, 21; წარვეალ და მოვიდე თქუენდა: ი. 14, 28.

ვიდე: მივიქცე სახიდ ჩემდა, ვინაჲცა გამოვედ: მ. 12, 44; ღმრთისაგან გამოვედ და მოსრულ ვარ: ი. 8, 42; გამოვედ მაშისაგან: ი. 16, 23; წინგან გამოვედ: ი. 17, 8; მივედ და დავჰვალ ქანქარი იგი შენი ქუეყანასა: მ. 25, 25 C; მივედ და დავიბანენ და აღვიხილენ: ი. 9, 11; ნუ ჰგონებთ, ვითარმედ მოვედ დაქსნად შჯულისა გინა წინაწარმეტყუელთა; არა მოვედ დაქსნად, არამედ აღსრულებად: მ. 5, 17; მშვიდობისა მოვედ მიფენად ქუეყანასა ზედა: ლ. 12, 51; მე ნათელი სოფლისაჲ მოვედ: ი. 12, 46 C; მე ამისთვის ვიშვე და ამისთვისცა მოვედ სოფლად: ი. 18, 37 C; მოვედით თაყუანის-ცემად მისა: მ. 2, 2; ოდეს გიხილეთ შენ უძლური ანუ საპყრობილესა და მოვედით შენდა: მ. 25, 39; წარვედ და დავჰვალ ქანქარი იგი შენი ქუეყანასა: მ. 25, 25; მივედით ჩუენ მონასტერსა დიდისა ილარიონისსა: საკ. წიგ. II, 99, 7; გამოვედით ჩუენ და წარვედით იერუსალემდ: იქვე, 110, 24; ხოლო ჩუენ შთავედით იოპედ: იქვე, 110, 36; და ჩუენ მოვედით ალექსანდრიით და წარვედით ზენაკერძო თეზაიდით: იქვე, 111, 6; ალვედით ჩუენ ზემო თეზაიდათ კერძო: იქვე, 112, 13; შე-რაჲ-ვედით მისა, შეგვწყნარნა ჩუენ სიხარულით: იქვე, 112, 15; გამოვედით ჩუენ მიერ და წარვედით ჩუენსავე მას მონასტერსა: იქვე, 113, 39; გამოვედით ჩუენ მონასტრისა მისგან და ალვედით ჩუენ იერუსალემად: იქვე, 115, 17.

ვიდე: მე ფერკითა მალედ ვიდოდი: საკ. წიგ. II, 100, 35; უფალო, ვიდრე ვიდეთ: ი. 6, 68 C; განვიდეთ ჩუენ ზიდრე ბეთლემდმდე: ლ. 2, 15; განვიდეთ წიაღკერძო ტბასა მას: ლ. 8, 22; ვიდრე-იგი მივიდოდეთ ევმაუზდ ქალაქად: სინ. 153, 36; ვიდრე მე მივიდოდი, სხუანი უწინარშს ჩემსა შთაქდიან: ი. 5, 7; რაჲთა მეცა მივიდე და თაყუანის-ვსცე მას: მ. 2, 8; მივიდე, უფალო: მ. 21, 29 C; წინაჲსწარ თქუენსა მივიდე გალილეად: მრ. 14, 28 C; მე მივიდე და განვალძო იგი: ი. 11, 11; რაჲთა მე მოვიდე: მ. 2, 8 C; მე მოვიდე და განვკურნო იგი: მ. 8, 7; მო-რაჲ-ვიდე, მაშინ მიგეცე შენ: ლ. 10, 35; მისა მოვიდეთ და მის თანა დავადგრეთ: ი. 14, 23 C; მოვიდეთ ჩუენცა შენ თანა: ი. 21, 3; რაჲთა მათა შევიდეთ: მრ. 5. 12 E; ვითარ შთავედოდეთ ჩუენ იოპედ: საკ. წიგ. II, 110, 28; აღვდგე, წარვიდე მაშისა ჩემისა: ლ. 15, 18; წარვიდე და განვიმზადო თქუენ ადგილი: ი. 14, 2; უმჯობეს არს თქუენდა, რაჲთა მე წარვიდე: ი. 16, 7; აღდგეთ, წარვიდეთ ამიერ: მ. 26, 46 E; მოვედით და წარვიდეთ მახლობელად დაბნებსა და ქალაქებსა: მრ. 1, 38; წარ-თუ-ვიდეთ და ვიყიდით... პური: მრ. 6, 37 C.

ღმრთისაგან დავეუშვათ, რომ პირის ნიშნის დაკლება ამ ზმნებში განპირობებულია ხანმეტი ფორმების შემონახვით: ამის წყალობით I და II სუბიექტური პირები ისედაც გარჩეულია: მოვედ მე — მოხუედ შენ, რაჲთა მოვიდე

მე — რამათა მოხვდელ შენ. დამატებითი ნიშნის შენარჩუნება აღარ იყო საჭირო და იგი ენიდან გადავარდა/

4. ფუძისეული ვ იკარგება უ-ს წინ და შემდეგ:

შეურდებოდე: ისტ. ქრ. II, 16, 3; შეურდებოდე (შენ) მას: იქვე, 9, 30; შეურდა: იქვე, 26, 24; მ. 18, 29 D; მრ. 5, 22 CD; ლ. 8, 28; შეურდეს ფერკთა მისთა: მ. 28, 9 D; სულეობი შეურდიან მას: მრ. 3, 11 C; შეურდი მას: ისტ. ქრ. II, 10, 6; უკუეთუ ესრე შეურდე მას და ჰხადოდი: იქვე, 10, 3; რამათა ნებითა ჩუენითა შეურდეთ მას: იქვე, 1, 9, ქსნამ მოუღინა ერსა თჳსსა: ფს. 110, 9 E; უაშკარანოდ (=უვაშკარანოდ) ლ. 22, 35 ლატ.

ჩუეული მ. 20, 16 (—ჩჩეული); ჩუეული მ. 27, 15; ჩუეულე-ბაჲ ლ. 22, 39; დღესასწაული მ. 27, 15; გარდარეული სინ. 8, 19; საყ. წიგ. II, 67, 5; 74, 3; განბნეული ი. 11, 52; გარდათხეული ლ. 6, 38; დათხეული მ. 23, 35; დარღუეული სინ. 59, 35; გარღუეული ლ. 5, 18; შერყეული ლ. 7, 24; გამოცხ. 6, 13; შემთხუეული იობ 4, 12; სინ. 118, 29; 1 მეფ. 9, 15.

რასაკვირველია, გვხვდება ვინიანი ფორმებიც, განსაკუთრებით I ჯგუფის სიტყვებიდან (შეუვრდებოდეს მრ. 3, 11 E; შეუვრდა მ. 18, 29 E; შეუვრდეს მ. 28, 9 E; დაცეულად მრავ. 287, 32; ტანჯვეულნი იკმ. II, 164, 14; საწვოლსა იქვე, 193, 19; უხილავობითა იქვე, 212, 29; ძალი მოძრავობისაჲ: ანტიოქ. 337, 18), მაგრამ დაკარგვის შემთხვევები უფრო დამახასიათებელია ძველი ქართულისათვის; II ჯგუფის სიტყვებში კი იგი თითქმის ურყვე კანონად არის ქცეული. სიტყვათა წარმოების ეს ორგვარი სახეობა (ვინიანი და უვინო ფორმები) ძველ ქართულში საერთოდ სხვა შემთხვევებშიც გვხვდება. ამიტომ ქვემოთ მასზე სპეციალურად აღარ მივუთითებთ.

7. ვ იკარგება ო-ს მეზობლობაში (მის წინ და შემდეგ), იქნება ეს ო ფუძისეული (ცხორებაჲ), ფუძის საერკობი სუფიქსის თავიკიდური ხმოვანი (იქცეოდა), II კავშირების მწკრივის ნიშანი (ისწაონ), თემის ნიშანი (პხუაობ) თუ წოდებითი ბრუნვის ნიშანი (უკუდაო). მაგალითები:

ზრძავ: ჰბრძოდე, ჰბრძოდის: ზირ. 4, 32; ჰბრძოდა ლიტ. ქრ. 81, 38; ჰბრძოდეს გამოცხ. 12, 7; ჰბრძოდეთ 1 მეფ. 4, 9; გბრძოდი იერ. 21, 5; ვჰბრძოდი ისტ. ქრ. I, 291, 29; ჰბრძოდი სახისმეტყ. 3, 41; გუბრძოდის სწავ. 272, 5; გბრძოდის თქუენ: სწავ. 272, 9; ვჰბრძოდით სვან. 467 ა; ჰბრძოდით აღწ. 176, 39; გუბრძოდიან გამ. 1, 10; გბრძოდიან იერ. 1, 19; ჰბრძოდიან ესაია 30, 32; ჰბრძონ იერ. 34, 21.

გლოვ: ვგლოჲ წარტყ. 4, 9; ვიგლოთ სვან. 231 ა; ვიგლოთ იკმ. I, 57, 6; გლოასა თარგმ. გამოცხ. 11, 4 AC; გლოისა იქვე, 18, 16 AC; გლოით იქვე, 18, 19 A; გლოათ იქვე, 18, 19 C; გლოაჲ გამოცხ. 18, 7 C; 18, 8 C.

ვრდომ: იქსნა... ქირული და დარდომილი: ფს. 71, 12 B; გულისხმავო გლახაკისა და დარდომილისაჲ: ფს. 40, 2 B; ესმა დარდომილთაჲ უფალსა: ფს. 68, 34 B.

ზუავ: შენ თავისა შენისათჳს არა დაჰმდაბლდები, არამედ ჰ ზ უ ა ო ბ და  
ჰმალლო: სწავ. 311, 39; დიდად ვ ზ უ ა ო ბ თ: იქვე, 70, 9; ზ უ ა ო ბ ე ნ სინ.  
132, 12; არა ზ უ ა ო ბ და: სწავ. 70, 8.

თხოვ: ვ ს თ ხ ო ო მ რ. 6, 24 C; მ თ ხ ო ო მ რ. 6, 23 C; ს თ ხ ო ო ო .  
11, 22 C; ს თ ხ ო ო ს მ. 14, 7 C; გ თ ხ ო ო თ მ რ. 10, 35 D; ი თ ხ ო ე ო .  
4, 10 C; ი თ ხ ო ე თ ო . 16, 24 C; ვ ი თ ხ ო ო მ რ. 6, 24 D; ი თ ხ ო ო ს მ.  
14, 7 D; ი თ ხ ო ო თ მ. 21, 22 C; ო . 14, 13 D; ი თ ხ ო ო ნ მ. 18, 19 D; თ ხ ო  
ო ლ ი ლ. 2, 5 C.

მთხუვე: ყოველნი იგი წმიდანი ... შე ე მ თ ხ უ ე ო დ ე ს ანდრიანეს: ანდ-  
რიან. 220, 14.

პოვ: ვ პ ო ე ბ ლ. 23, 4 CD; ჰ პ ო ე ბ ე ნ მ. 7, 14; ვ პ ო ე ლ. 7, 9 C;  
ვ პ ო ე თ ლ. 23, 2 C; პ ო ე ს მ. 27, 32 C; პ ო ი ს მ. 12, 43 C; პ ო ი ა ნ მ.  
7, 14 C; პ ო ო ს ლ. 11, 10 C; ვ პ ო ო თ ო . 7, 35 CD; ჰ პ ო ო თ მ. 7, 7 CD;  
პ ო ო ნ ლ. 6, 7 C; ვ ი პ ო ო <sup>1</sup> ო . 8, 55 C.

ვ ამ ზმნაში ო-ს შემდეგ მხოლოდ მაშინ იკარგება, როცა ვ-ს მოსდევს რაი-  
მე ხმოვანი (ა, ე, ო), მაგრამ როცა ვ-ს შემდეგ რომელიმე თანხმოვანი გვაქვს,  
ვ არასდროს არ იკარგება. შდრ. პ ო ე ს, მაგრამ: პ ო ე ნ ე ს (ლ. 12, 37),  
პ ო ა, მაგრამ: პ ო ე ნ ა (მ. 20, 6), ვ პ ო ე თ, მაგრამ: ჰ პ ო ე ნ ე თ (მ. 22, 9)  
და სხვ.

რევე: ვ ე რ ე ო დ ე მათ: ფს. 117, 10, 11, 12; ყოველთა ე რ ე ო დ ა: ზარზმ.  
154, 9; მბრძოდეს მე... და არა მ ე რ ე ო დ ე ს: ფს. 128, 2 CE; და ვერ ე რ ე  
ო დ ე ს მას: სინ. 224, 9; ვიდრემდის არა სძლეს და ე რ ე ო დ ე ს: საკ. წიგ.  
11, 80, 28; ბქენი ჯოჯობეთისანი ვერ ე რ ე ო დ ი ა ნ მას: მ. 16, 18; სინ. 224, 8.

რყევე: რომელნიმე ი რ ყ ე ო დ ე ს: სინ. 117, 4.

ზოგჯერ ვ იკარგება — ხმოვნებს შორისაც (წყვეტილში): მეყსეულად  
შ ე ა რ ყ ი ა ლერწმონი იგუ: ლიტ. ქრ. 322, 12, მაგრამ უეჭველად შენახულია  
აწმყოში: ი რ ყ ე ვ ი ა ნ: აბო (აგ. ძეგ.) 50, 12.

სწავ: და მ ა ს წ ა ო ჩუენ: სინ. 77, 24; სულმან წმიდამან გ ა ს წ ა ო ს  
თქუენ: ლ. 12, 12 E; ა ს წ ა ო ს მ. 5, 19 CE; ი ს წ ა ო ს ო . 6, 45 C; რაჟთა  
ი ს წ ა ო თ: სინ. 218, 20; ი ს წ ა ო ნ სინ. 161, 6.

ტივ: ვ ს წ ა ე ლ ო ი გი და გ ა ნ უ ტ ე ო : ლ. 23, 16 CD; გ ა ნ უ ტ ე ო ს მ რ.  
10, 11 D; გ ა ნ მ ი ტ ე ო თ ლ. 22, 68 CD; და უ ტ ე ო ს მ. 5, 32 CD; და უ  
ტ ე ო თ ო . 11, 48; და მ ი ტ ე ო თ ო . 16, 32 CD; და უ ტ ე ო ნ მ. 24, 40 C;  
რომელსა და ე ტ ე ო ს სახლი: მ. 19, 29 C; მ ი უ ტ ე ო მ. 18, 21 CD; მ ი  
უ ტ ე ო თ მ. 18, 35 C; მ ი ე ტ ე ო ს მ. 12, 31 CD; მ ო გ ე ტ ე ო ს ლ. 6, 37 D.

ტივ: დაღათუ... ერთი ხოლო ასოჲ მ ტ კ ი ო დ ი ს, ყოველი გუამი ჩემი  
სნეულ იყოს: სწავ. 103, 8.

ქიევე: ვ ი ქ ო ე ო დ ე სინ. 218, 29; აღიღე ცხედარი შენი და ი ქ ო ე -

<sup>1</sup> ო რ ი ო გამთქმაში ჩვეულებრივ ერთ (დაყოფებულ) ო-ლ ისმის, ამიტომ წერაში მას ზოგ-  
ჯერ ერთი ო-თი გადმოსცემენ: მერმე ნუ არღარა ვ ი პ ო (ფს. 38, 14A). ასეთია კიდევ ვ ო  
თ ხ ო (ფს. 72, 25 AE). ვითხო-ვითხოო-ვითხოვო. ასეთი შემთხვევა (ოო—ო) სხვა ტიპის წარ-  
მოებაშიც გვხვდება, მაგალითად: პ ე რ ო და (—პეროლა—პეროკოლა: მრ. 9, 20 D), ც რ ე მ  
ლო რ ა (—ცრემლოლა—ცრემლოვოლა: კიმ. 1, 281, 1), მაგრამ მასზე ქვევით სპეციალურად არ  
წევჩერდებით.

ო დ ე : ი . 5, 12 C; განვიდა ...ბეთანიად და იქცეოდა მუნ: მ. 21, 17; მრავალნი მოწაფეთა მისთავანი ...არა იქცეოდეს მის თანა: ი. 6, 66 C (შდრ. იქცევოდა ი. 7, 1 E).

ყო: ვარსქენ... ვითარცა მკეცი მძვნარჳ ყიოდა: შუშ. 150, 22; მეყსეულად ქათამი ყიოდა: ლ. 22, 60 ლატ. (შდრ. ქათამი ყივა: მ. 26, 74; ლ. 22, 60; ი. 18, 27).

ყო: მყოარ ეამ: გალობ. (ფს.) 2, 27 E.

ყუაფ: მის თანა პატივსა ზედა ყუაოდა: სინ. 214, 36; მხიარულ იყავნ უღაბნოჲ ეგე და ყუაოდენ, ვითარცა შროშანი ყუაოდის: ესაია 35, 1; ყუაოდინან ფს. 89, 6 BCE (მაგრამ: ყუავოდის სინ. 94, 22).

ცვ: ფურცელი ხეთა და ვენაქთაჲ გაკმა და სცვოდა: ცხ. ეფთ. 55, 1; და მათ ქუე სცვოდის (კორცი და სისხლი): ლიტ. ქრ. 16, 39; და ცვოდა შორის ბანასა მათსა: ფს. 77, 28; გარდამოცვოდა მატლი იგი: მესუეტ. 46, 26; ოფლი სცვოდა პირთა მათთა: Записки, ტ. 17, 79, 1; რამეთუ პირსა მისსა გარდამოსცვოდა ოფლი: ესოერ 5, 2; ერი... და ცუიოდეს პირსა ზედა მისსა: წარტყ. 27, 9; რომელნი... განცვოდეს სარწმუნოებდისაგან ქეშპარიტისა: A 95, 1059 b; კორცი მისნი დამოცვოდეს ქუეყანად: A 95, 932 a; შთაცვოდეს იგინი ნიჳსა მას მადლისასა: სინ. 78, 1; A 19, 343 a; კორცი მისნი... ქუეყანასა ზედა და სცვოდეს: კიმ. I, 196, 13; რომლისაგან გამოსცვოდეს ნაბერწყალნი რისხვისანი მიუახლებელნი: A 95, 1059 a; და ცვოდეთ და თაყუანის-სცემდით ხატსა მას: დანიელ 3, 5; და ცვოდეთ ყოველნი ერნი: დანიელ 3, 7; რომელნი მარხვათა შეცვოდინან: აღწ. 224, 13; სირცხვლეულნი და ცვოდინან პირსა ზედა თვისსა: წარტყ. 33, 28.

ცხოვ: რამთა შენდა ვიყო მაცხოარ: სინ. 173, 32; საცხოარი ფს. 77, 48, 50 E; მაცხოარებასა ფს. 95, 2 E.

მეცხოელ ვარ, და თქუნცა ცხოელ იყვნეთ: ი. 14, 19 C; წყალი ცხოელი: ი. 4, 10 C; არა არს ღმერთი — ღმერთი მკუდართაჲ, არამედ ცხოელთაჲ: მ. 22, 32 C.

ცხოვნი: არა ხოლო თუ პურითა ცხოუნდების კაცი: მ. 4, 4; რამეთუ ცხოუნდებოდა არაწმიდად: ლ. 15, 13 CD; რაოდენნი შეეხებოდეს, ცხოუნდებოდეს: მრ. 6, 56 CD; ცხოუნდა დედაკაცი იგი: მ. 9, 22 C; ცხოუნდეს მ. 14, 36; ვცხოუნდე მ. 9, 21 CD; შენცა ეგრეთვე სცხოუნდე: ლ. 10, 28 C; იგი ცხოუნდეს: მ. 24, 13 CD; რამთა თქუნენ ჰსცხოუნდეთ: ი. 5, 34; რომელთა ისმინენ, ცხოუნდენ: ი. 5, 25.

ცხოვრ: ცხოვრება ი. 6, 63; ი. 12, 50; ცხოვრებაჲ მ. 16, 25 C; ცხოვრებასა მ. 7, 14; ცხოვრებისა ლ. 1, 75; ცხოვრებად მ. 7, 14 C; ცხოვრებისაჲ ლ. 1, 69; ცხოვრებისად ი. 5, 29 C.

ძვნ: მძვნარ და ძლიერარს ლომი: სინ. 108, 20.

წოვ: რომელნი აწოებდენ: მრ. 13, 17 E; რომელთა არა აწოეს: ლ. 23, 29 C.

ხუე: ურთიერთას მოეხუეოდეს: ანდრიან. 210, 13.

ჯხოვ: გაქსომცა მესულისა შენისა თანა: საჯ. წიგ. II, 102, 24; უკუეთუ გაქსო მე გულსა შენსა: იქვე, 71, 21; არცა გაქსოს ხუთი იგი ქუე-

ზამ: მ. 16, 9 C; გაქსოსა კიმ. I, 271, 39; აქსოს სწავ. 20, 19 C; უკუ-  
ეთუ იოსები აქსოსლა გულსა თვსსა: საკ. წიგ. II, 71, 14; გუაქსოს  
აღწ. 238, 34.

ბ. ცალკე უნდა აღინიშნოს ისეთი შემთხვევები, როცა ნასახლარი საშუა-  
ლი გვარის ზმნები ოვ სუფიქსით არის ნაწარმოები (ცრემლ-ო-ვ-ი-ს ტიპისა).  
აქ სუფიქსისეული ვ ზოგჯერ იკარგება (ცრემლის). ხოლო როცა ამ ტიპის  
ზმნებს ფუძის საგრცობი ოდ სუფიქსი ერთვის, მაშინ ვ ორ-ო-ს შორის აღმოჩნ-  
დება და თითქმის ყოველთვის იკარგება. მაგალითები:

ბუტკ-ოვ: რაქამს რტონი მისნი დაჩჩიან, და ფურცელი გამობუტკოინ:  
მ. 24, 32 C; გამობუტკოოდეს: სპევს. 327, 3<sup>1</sup>.

თესლ-ოვ: სელი თესლოოდა: გამ. 9, 31.

კოლტ-ოვ: დუღდა წყალი იგი, კოლტოოდა და ფოფინებდა: ეზეკ.  
47, 5 (სინ. ლექც.).

ლაღ-ოვ: ნუ პლადოი შენ შორის მყოფისა მაგის სიბრძნისა: დამასკ.  
159, 4<sup>2</sup>.

მაღლ-ოვ: ჰზუაბთ და ჰმადლოი: სწავ. 311, 39; ენაჲ მცირე ასოჲ არს  
და დიდად მადლოის: ებისტ. იაკ. 3, 5<sup>1</sup>; დიდად ვმადლოთ: სწავ.  
70, 8 C; ჰმადლოოდე რაჲ შენ ჩუენ ზედა: აპოკრ. 37, 9; რომელი ღმერ-  
დი არს, არა მადლოოდა: სწავ. 70, 7; ვმადლოოდიოთ: ექუსთ. 77, 20;  
მაჲთა არა მადლოოდიან: I ტიმ. 6, 17.

მდიდრ-ოვ: ქუეყანიერთა და ქუემეთრეთთაგან მდიდროოდა: ზარზმ.  
154, 8; მდიდროოდა მდინარე არაგვ: ასურ. 85, 20.

მჩქეფრ-ოვ: და სახედ მძაფრისა წვმისა საშინელებით მჩქეფროის  
აღრეული წუნწუბასა თანა: ქრონიკები, II, 67.

მწიფ-ოვ: მოიწიოს ლეწვამ სთულებად და მწიფოოდის ყურძენი  
კნეათა ზედა: ამოს 9, 13.

პერ-ოვ: და პეროინ და იღრქენნ კბილთა: მრ. 9, 18 CD; მეცსეულად  
დალად-ყვის და დააკუეთის, და პეროინ: ლ. 9, 39 CE; ვითარცა დაეცა იჯა  
ქუეყანასა, გორვიდა და პეროოდა: მრ. 9, 20 CE; პეროოდა და ვა-  
ლალეზდა: ანტიოქ. 347, 19.

რულ-ოვ ნ. პრულ-ოვ.

სასტ-ოვ: თვთ თავადი უთქუმიდა და სასტოოდა, რაჲთამცა დაათქა  
იგი: სინ. 105, 2.

სულ-ოვ: მოაკლდა ცხორებისაგან, ...რომელი სულოოდა: უძვ. რედ.  
208, 10.

ფიცხ-ოვ: არამედ წინა-აღუდგებოდის და უმეტესად ფიცხოოდის და  
ურგებად შეპრაცხოს მხილებაჲ იგი უზუცესისაჲ: პეტრ. ტიპ. 41, 31.

ფურცლ-ოვ: იხილეს შუენიერად დგომამ ხისაჲ მის. ხოლო ფურცლო-  
ოდა ჟამჲა არისათა: მოქც. (ავ. ძეგ.) 86, 21.

ღუელფ-ოვ: ხოლო მეოცესა (დღესა) ფანქლნი გამომტკულფოლვარენი  
ღუელფოოდეს: ხრონოღრ. 51, 7.

<sup>1</sup> ი. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში,  
1954, გვ. 148.

<sup>2</sup> იქვე.



ცისკრ-ოვ: რომელი ნათობს საუფლოსა... და ცისკროის: ლიტ. ქრ 387, 15; კუართსა ზედა საღმრთოსა ჰცისკროი: იქვე, 387, 23; წმიდასა ზედა და ნეტარსა ჰსცისკროი კუართსა: იქვე, 387, 43.

ცრემლ-ოვ: რაჲსა სცრემლოა, დედამ: Оиис. 200, 13 ქვ.; ნუ სტირთ ცრემლით, ნუცა ცრემლოიედ ამათ ზედა: მიქია 2, 6; ვითარ-იგი ვცრემლოოდე წინაშე წმიდათა მარტვლთა შენთა: საკ. წიგ. II, 47, 27; სამჭერ სულთ-ითქუნა მან და ცრემლოოდა: იქვე, 138, 36; და ცრემლოოდა იესუ: ი. 11, 35; ყრმანი ცრემლოოდეს: ისტ. ქრ. II, 43, 24; ცრემლოოდეს ყოველნი: შუშ. 149, 24; სულო ჩემო, გელმოდენ და ცრემლოოდე: საკ. წიგ. II, 50, 32; რაჲთა ვ.ცრემლოოდი დღე და ღამე: იქვე, 3, 35; გეგლოვდა შენ და ...გცრემლოოდა: სას. პ. 317, 273; რაჲ არს მიზეზი ცრემლოასა შენისაჲ: Sin. 11, 95 v.

ძვნ-ოვ: დავჰკამ ზლუაჲ ბჰეებითა, ოდეს-იგი ძვნოოდა: იობ 38, 8 (სინ. ლექც.).

წითლ-ოვ: რაჲამს წუხს და წითლოას. ცაჲ: უძე. რედ. (ლექსიკონში „მრუმლოვის“ განმარტებასთან: გვ. 248); წითლოის (წითლოას DEF) ცაჲ: ექუსტ. 67, 38.

წყარ-ოვ: ვითარცა მდინარე ედემისაჲ, აღმოუწყაროდა ოქრონა-კადულით პირით მისით: ზარზმ. 156, 31.

ხისტ-ოვ: უბრძანა შეკრვაჲ და ცემაჲ; ხისტოოდა და იტყოდა: შუშ. (აგ. ძეგ.) 20, 3 BD.

პრულ-ოვ, რულ-ოვ: იგინი გამოერჩევიან, და ჩუენ გურულოის: საკ. წიგ. II, 52, 25 7; პრულოოდა და იძინა: იქვე, 12, 12; პრულოოდა მათ, რომელნი-იგი ზე-სხდეს ჰუნებსა: ფს. 75, 7; რაჲამს-იგი თაყუანის-სცემდი, პრულოოდა პეტრეს: ქილ-ეტ. 155 v, 15; ოდეს პრულოოდის და შეიპყრას ძილმან: მესუეტ, 11, 12.

7. იკარგება ოვან სუფიქსისეული ვ: აერთან იქმნა პირი მისი: სინ. 114, 12; ჰაერთნებაჲ არს წინაშე მისსა: ფს. 95, 6 B; აერთნებისა ფს. 49, 2 E; მიიქეც სამკვდრებელთა მათ ამბოხოანთა: სწავ. 120, 28; და ეშვნოს იგი ბიცოანსა ქუეყანასა: იერ. 17, 6; სიკუდილი მართლისაჲ ტბილ და გემოან არს: სწავ. 139, 4; სანუაგენი და საშუებელნი გემოანნი: სწავ. 94, 6 C; დაინთქნეს ენოანნი და მგმობარნი: სწავ. 278, 17; კაცსა ენოანსა არა წარემართოს ქუეყანასა ზედა: ფს. 139, 12 E; არა იპოვა ადგილი ველოანი: ზარზმ. 153, 27; ქუეყანაჲ იგი მთოანი და ველოანი არს: 2 შჴ. 11, 11 ლატ.; ვენაქოანი და ზეთისხილოანი: 2 შჴ. 6, 11 ლატ.; ქუეყანაჲ იქლისაჲ და ქრთილისაჲ, ვენაქოანი და ლელოანი: 2 შჴ. 8, 8 ლატ.; იქმნა კარაული იგი ზნოანი უზნო: საკ. წიგ. II, 93, 1; ესე კარაული, მამაო, ზნოანი არს: იქვე, 93, 16; ნუუკუე კბოდოანსა ადგილსა განცვენ: მოც. 27, 29 A; კეთროანთა განსწმედს: ბალ. 26, 11; კეთროანთა განსწმედდეს: ბალ. 69, 31; ჭუარი განსწმედელი არს კეთროანთაჲ: სწავ. 219, 26; ფრიაღ. კერპოან იყო ესე ჰალაქი: თარგმ. გამოცხ. 2, 13 C; არღარაჲ სავნებელ იყოს ..არცა ღირღუარი და არცა კლდოანი და ქვიანი: სწავ. 125, 10; რომელმან გარდაჰქინა ლოდოანნი ტბად: ფს. 113, 8; ლერწმოანი ნაუმ. 1, 10; მეყსეულად შეირყია ლერწმო-

ანი იგი: ლიტ. ქრ. 322, 12; გუემა... ლელოანი მათი თრთვლითა: ფს. 77, 47 A; მკვდროანისა მყოფთა ისწავეთ: ლიტ. ქრ. 385, 9 a; მე შეგიყვანო მწუანოანსა სამოთხისასა: სწავ. 141, 18; მიმკცოანებადმდე და სიბერედმდე: ფს. 70, 18; ნაყოროანსა ეშინინ მიახლებად მისა: სწავ. 303, 33; ამხილე ნაყოროანთა: სწავ. 290, 11; სამაროანსა პორფ. ლაზ. 173; თქუენ კაცი ხართ სახელოანი: ცხ. ეფთ. 83, 4; საკუერთი ტუინოანი შევწირო შენდა: ფს. 65, 15; მფრინველი ფროთოანი: ფს. 77, 27 A; 148, 10 E; დირღუაროანი წრფელ უყვის მას სლვად: სწავ. 193, 25; მიემთხუევის იგი ძნელსა ღვრღუაროანსა: სწავ. 188, 8; მკნე იქმნეს ციხოანი იგი: ლიტ. ქრ. 81, 17; ხატი ცვლოანი: ცხ. ეფთ. 31, 17; ძნელოანი ესაია 40, 4 ლატ; წრფელ იქმნეს ძნელოანი: სწავ. 69, 20 C; დაღა იგი წყურხობოანსა შინა: გამ. 2, 3, 5 (პარიზ.); და იყო მას შინა... ვენაკთა და ხილოანთა სიმრავლე აღურაცხელი: სწავ. 197, 10; მკურნალი კელოანი: სწავ. 159, 7; უკუეთუ არა პოოს ქელოანმან ნივთი: ლიტ. ქრ. 196, 1; კელოსადა დაემცნო საკმრისა მიცემამამათა და ქელოანთა: ცხ. ეფთ. 101, 2.

ჩ. როგორც აღნიშნული გვქონდა, ფუძისეული ვიკარგება წოდებითი ოს-წინ:

ათასისთაო სინ. 59, 35; ერისთაო სინ. 60, 34; თაო მოღუაწეთაო: სინ. 11, 91 v, 8; გიხაროდენ, კარაო საწამებელო: სინ. 200, 9; კარაო ჩემო და შეილო ჩემო: კიმ. I, 164, 31; მობაძაო ანგელოზთაო: იქვე, 103, 7; მძმაცაო სინ. 11, 194 v; უკუდაო ნათესავით, უხილაო სიკეთითა: სინ. 16, 17; ნაწლეო მუცლისა ჩემისაო: ბალ. 107, 29 4.

ხ. ვიკარგება ვ ბოლოკიდურიან სახელზე (სა-) ო და (უ-) ო აფიქსების დართვისას:

სამარხო ისტ. ქრ. I, 235, 14; 297, 37; 298, 16; საკ. წიგ. II, 56, 24, 27; ცხ. ეფთ. 113, 15; 119, 5 სინ. 66, 37; კიმ. I, 67, 9; სვან. 486 a; უპატიო მრ. 6, 4 C.

რ. ვიკარგება ზოგ სხვა ბაგისმიერ თანხმოვანთანაც: მე ამპარტავანობდ: ისტ. ქრ. II, 9, 17.

## II. იკარგება ზ

✓ უმარცვლო უ-ც (უბრჭვუ) ბაგისმიერი ბგერების მეზობლობაში იკარგება. ეს უმარცვლო უ ჩვეულებრივ სიტყვის ძირის კუთვნილებაა, მას არა აქვს რაიმე მორფოლოგიური ფუნქცია. ამიტომ მისი დაკარგვის შემთხვევებიც ერთფეროვანია.

ქვემოთ აღვსახავთ ასეთ შემთხვევებს და იქვე ვუჩვენებთ გავლენის მომხდენ ბაგისმიერ ბგერას:

უ: უკდავებაა (—უკუდავებაა) სინ. 201, 1; უკდავებისა სინ. 195, 11; უტყმან ფს. 37, 14 B; პირუტყთა (—პირუტყუთა) სინ. 7, 21; ფს. 48, 13 BC; პირუტყთ-სახეთა სინ. 7, 25; განუხნა გონებანი (—განუხუნა): ლ. 24, 45 D.

✓ ო: ო, რომელთანაც ხშირად იკარგება უმარცვლო უ, მრავალნიარია: ის შედის ობ თემის ნიშანში (აღიშნობენ), ის არის ფუძის საერთობის თავკიდური ხმოვანი (იტყოლა), ის აწარმოებს II კავშირებითის მწკრივს (განვიძარცოთ), ეს არის უქონლობის სახელთა ერთ-ერთი აფიქსთავანი (უ-სთან ერთად: უჩჩო), ეს არის განყენებული სახელების ერთ-ერთი მაწარმოებელი (სი-სთან ერთად: სიჩჩო, აქედან: სიჩჩობა), ის წარმოადგენს ოვან და ოსან სუფიქსების თავკიდურ ბეგრას (ნაძოვანი, ფიოსანი), ის გვევლინება წოდებითი ბრუნვის ნიშნად (მოგო), ის არის ზოგიერთი საშუალო გვარის ზმნის საწყისისეული ობ სუფიქსის თავკიდური (შრომა). ყველა ამ შემთხვევაში უმარცვლო უ მასთან შეხვედრისას იკარგება: მაგალითები:

მახიობელისა მიმართ ნუ აღიმსთობ: ზირ. 9, 4; აღიმსთობენ მსაჯულნი: სინ. 259, 3; წადიერებით აღვიმსთოთ: სინ. 150, 22; აღვიმსთოთ დღესა დღესასწაულისა მისისასა: სინ. 178, 32; მდღევრთა მათ თანა აღმსთობილთა მიეწიფე: აბო 199, 10; რომელთა აღემსთო ღამესა მას მსახურებად კერპთა: კიმ. I, 123, 28. მაგრამ როცა ო აღარ შედის სიტყვაში, უ აღდგება: აღიმსთუე სინ. 157, 26; აღიმსთუს ლ. 21, 38.

რამთა განგამარჯოს შენ ზეცად აღსავალი: სწავ. 7, 24; ყოველი საქმე ჩუენი განჰმარჯოს: სწავ. 81, 3.

რამთა განვიძარცო იგი შიშულად: ოსე 2, 3; რამთა განვიძარცო შიში: აბო 193, 13; და განიძარცო ძუელი იგი კაცი: სახისმეტყ. 9, 35; რამთა განმძარცო წყევისა სამოსელი: სას. 3. 82, 176; რამთა განსძარცოს ადამს წყევისა სამოსელი: იქვე, 105, 76; აწ ქრისტესთუს განვიძარცოთ: სინ. 119, 29; არა განიძარცოთ სიწმიდმ: სინ. 176, 22 (მაგრამ: განვიძარცუავთ სინ. 119, 26; განძარცუეს იგი: მ. 27, 28; განსძარცუეს მას სამოსელი: საკ. წიგ. II, 60, 10).

კაცად-კაცადმან გცეს ყურიმალსა და პირსა შეგნერწყოს: კიმ. I, 85, 6.

ამნარი ხასიათისა უნდა იყოს „ვეფხისტყაოსნის“ ცნობილი ფორმა დავაბლაგო: ხრმალი ჩემი მოლესული შენს ტანზედა დავაბლაგო: 1604, 4 (—დავაბლაგუო).

ვიტყოდე ი. 12, 48; იტყოდე ლ. 7, 40; იტყოდა მ. 3, 2; გეტყოდე ლ. 24, 44; ვეტყოდე ი. 15, 22; იტყოდეს მ. 2, 1; ვიტყოდი მ. 13, 35; იტყოდი ლ. 1, 20 C; იტყოდით მ. 10, 19; იტყოდიან მ. 24, 5; გეტყოდი ი. 14, 30 C; ეტყოდი ლ. 12, 3 C; გეტყოდიან მ. 23, 3 (შდრ. ვიტყუი, იტყუი, იტყუის, ვიტყუით, იტყუით, იტყუიან // ვიტყვ, იტყვ, იტყვს, ვიტყვთ, იტყვთ, იტყვან, სიტყუაჲ, მეტყუელი, უსიტყუელი).

ითქმოდის, რომელცა-ესე ყო: მ. 26, 13 D. ასეთი გზით უნდა იყოს მიღებული აგრეთვე რუსთველის ცნობილი ფორმა შეიწოდეს: ცხენსა მისცა საძოვარი, ვიდრე წვალი შეიწოდეს: 196, 1. ძველ ქართულში ამ ზმნის ვნებითი ებ თემის ნიშნით იხმარებოდა [შევეიწუებოდე სიციხთა დღისაჲთა: დაბ. 31, 40; ქსენებითა მისითა შეიწუებოდა: ანტიოქ. 63, 21 (= ეტ. VI, 327, 31); შეიწუებოდეს ნაწლევნი მისნი: დაბ. 43, 30], ამიტომ იქ ამ ზმნის ჩვენთვის საინტერესო ფორმა (შეიწოდა) ქარ შეიძლება-

და გვეკონოდა: უ და ოდ გათიშული იყო ებ თემის ნიშნით. შესაძლებელია, მოკლე ვნებებითი შეიწოდა (რომელიც წარმოშობით უფრო ძველი უნდა იყოს) შემორჩენილი იყოს სადმე ძველი ქართულის ძეგლებში.

ვიდრე სიჩჩოსა და სიყრმესა პყრობილ ვიყავ: სვან. 371 ა (—სიჩჩო-ოსა); იყო იგი სიჩჩოათგანვე სავესე შიშითა: კიმ. I, 60, 24; სიჩჩოათგანვე სიყრმისათ სიწმიდით ცხონდებოდა: კიმ. II, 112, 10; ორნი შეილნი სიჩჩოებასავე შინა წარსრულ იყენეს: ზარზმ. 173, 2; სამოსელი იოვანესსა ესწორების, რამეთუ უჩჩო არს: სინ. 80, 37; მუშაკი... შურებინ ყამირცა დაჩჩობად: უდაბნ. 61 ra. შდრ. ძველი ქართულის ჩჩვლი და ახლის ჩვილი.

ეგრძთ ჰყო ვენაკოვანი შენი და ლელოვანი შენი: გამ. 23, 11; ვენაკი განქა და ლელოვანი შემცირდა: იოველ 1, 12; ლელოვანი თქუენი და ზეთისხილოვანი თქუენი შექამა კიამან: ამოს 4, 9; გუემა... ლელოვანი მათი თრთვლითა: ფს. 77, 47 C; მაყლოვანსა ზედა ვითარ-იგი ღმერთი ეტყუს მას: მრ. 12, 26 D; ნეტარი ნინო დადგრომილ იყო... მაყლოვანსა მას შინა: ისტ. ქრ. I, 275, 30; გამოვიდა... წიად კვესა მას ნაძოვანსა ი. 18, 1; ოქრო-ფესოვანთაგან ყუავილთა... ჰნებავს გვრგვოსან უოფა: სინ. 17, 39; ადგილსა კნარცოვანსა დაშთა იგი: თბრობ. 44, 8; მრავალნი ფიჩოსანნი და სახელოვანნი მონაზონნი ჩამოიტანნა: ცხ. ეფთ. 25, 1.

აწ იპოვე შენ, კიცო, ქრისტჳსა: სინ. 134, 20; ლეკო<sup>1</sup> ლომისაო: სახისმეტყ. 2, 72; მეციცხვე მე, მოგო, წინაშე ჩემსა: პარხ. 92 a; მოგო, შენ ვინ ხარ: მესუეტ. 62, 15; შ ბოროტო მოგო და მტერო ღმრთისაო: წარტყ. 52, 24; მითხარ, შ მოგო ბოროტო: წარტყ. 52, 30; ნესტო ეკლესიისაო: კიმ. I, 103, 14.

უ დაკარგულია ამ ფუძეში აგრეთვე აბსტრაქტულობის ობა სუფიქსის დართვისასაც: მოგობაჲ, მოგობასა: შუშ. 154, 25, 40. ება-ს დართვა უ-ს დაკარგავს ვერ იწვევს: შოგუეებაჲ, მოგუეებასა: ევსტ. 161, 27, 165, 23.

მუნცა დიდივე შრომაჲ აქუნდა: საკ. წიგ. II, 112, 29; ნუ შრომასა შეამთხუეთ მას: მრ. 14, 6; დიდითა შრომითა: საკ. წიგ. II, 100, 10 (შდრ. რომელნი-იგი შურებთან: იქვე, 122, 17; არა შურებინ: მ. 6, 28 C; რომელი შურებოდის დღითი-დღედ: ისტ. ქრ. II, 3, 4; აწ მოველ და ვშურებოდით: იქვე, 85, 30); ძრომით კელ-დადგმით მიძურებოდეს შემთხუევად მისა: ანდრიან. 220, 17.

შ: იკმევენ სწავ. 129, 3 AB (—იკუმევენ); იკმევედეს სინ. 14, 27; იკმია სინ. 47, 35; 207, 16; საკ. წიგ. II, 119, 7; იკმიეს სწავ. 84, 7 A; კმევაჲ Sin. 35, 256 rb; მკდრეთით სინ. 127, 13; დრკუნი იგი შენ დაამკენ: სინ. 209, 9; საკუმეველისა კმევაჲ: ლ. 1, 9 D; რომელნი

<sup>1</sup> გამოცემაში „ლეკო“ იკითხება, მაგრამ ხელნაწერში „ლეკო“ ყოფილა. გამოცემებულს (ნ. შარს) ეს სიტყვა შეტანილი აქვს თავისი შენიშვნების იმ რუბრიკაში, რომელსაც სათაურად იქვს: „Список отвергнутых чтений Шатбердской рукописи, простых описок“ (TP, VI, 1504, გვ. XXV). გასწორება არ იყო საჭირო, რადგან ძველი ქართულისათვის სწორედ ამგვარი ფორმებია ნიშანდობლივი და დამახასიათებელი.

სმიდეს ღვინო: ფს. 68, 13 D; სასმელი (—სასუმელი) მრ. 14, 23 D; ალთქმული: ანდრიან. 202, 25; 203, 15; გამოუთქმელი: სინ. 146, 10; ჯუარ-ცმისა (—ჯუარ-ცუმისა) სინ. 155, 22; ჯუარ-ცმით სინ. 235, 35; ამქმელი ლიტ. ქრ. 6, 28.

უგმირა (—უგუმირა) ი. 19, 34 C; უგმირეს ი. 19, 37 C; სინ. 87, 33; 174, 18; თარგმ. გამოცხ. 1, 7 aAC; თქმული მ. 13, 35 D; ლ. 2, 24 D; სინ. 147, 18; ისტ. ქრ. II, 1, 1; 25, 23; განხმული სინ. 60, 35; განხმულნი მრ. 1, 10D; ჯუარ-ცმული მრ. 16, 6 D; სინ. 59, 29; მოსმური (—მოსუმური) ისტ. ქრ. II, 51, 17 C. შესაძლებელია ამ მუხლში მოყვანილ მაგალითებში უ-ს დაკარგვა აგრეთვე უ-ს გავლენითაც აიხსნას (აქ მ-სთან ერთად უ-ცა გვაქვს), მაგრამ საქმე ისაა, რომ თუ უ-ს გარეშეც იკარგება. უდრ. წინა მუხლში მოყვანილი მაგალითები: სასმელი, ჯუარ-ცმით. ამიტომ უ-ს დაკარგვის მთავარ მიზეზად უახლოესი მუნდა ჩაითვალოს.

ვ: როცა უმარცვლო უ და ვ შეიყრება ერთად, ხან ერთი იკარგება, ხან მეორე:

ზაკეა ი. 1, 47 D; ზაკეითა ისტ. ქრ. II, 43, 33; ზაკეით მრ. 12, 14 C. სამაგიეროდ, ფორმაში ზაკულეზაა (მ. 22, 18; მრ. 12, 15 C; ლ. 20, 23; ისტ. ქრ. II, 69, 10) ორივეა დაკარგული: ზაკუფულება—ზაკულეზაა. ძველი ფორმა ზაკუველეზაა დატული გვაქვს სინურ მრავალთავში (9, 18). მიზეზი ულ სუფიქსისეული უ-ა. შემწულ-ში (შუმ. 156, 26) ვ არის დაკარგული, ხოლო შეუწველ-ში (სინ. 200, 34) — თ. სამაგიეროდ, ორივეა შენახული შეუწველ-ში (სინ. 201, 34).

გვაქვს შიშუველი (სინ. 41, 3), მაგრამ აგრეთვე შიშუელი მ. 25, 36), შიშულოებაა (უდაბნ. 161 a), რომლებშიც არა ჩანს ვ; მეორე მხრივ, არის შიშველი (ისტ. ქრ. II, 2, 24), სადაც თუ დაკარგულია. შიშლოება-ში (წარტყ. 33, 15) კი არც ერთი მათგანი არა ჩანს.

ნერწყუვა ზნაში ჩვეულებრივ ორივე ეს ბგერა შენახულია. ამიტომ გვაქვს ასეთი ფორმები: ჰნერწყუვიდეს მ. 26, 67 DE, ჰნერწყუვიდენ მრ. 10, 34 DE. მაგრამ აქ ზოგჯერ იკარგება ხოლმე ვ, რის გამოც თუ და მომდევნო ი შეირწყმის და ვ-ს ვლებულობთ: ჰნერწყვდეს მ. 26, 67 C, ჰნერწყვდენ მრ. 10, 34 C.

III. იკარგება ზმნისწინთა ბოლოკიდური თანხმოვნები ლ, ნ, რ

✓ ძველი ქართული ენის ზმნისწინები სრული სახისაა, ახალი ქართულისა გამარტივებულია, მათ უმთავრესად ჩამოცილებული აქვთ ბოლოკიდური თანხმოვანი. ასე:

ძველად გვქონდა, ახლა კი გვაქვს:

აღ	ა	დაკარგულია	ღ
გან	გა	"	ნ
წარ	წა	"	რ
გარდა	გადა, გად	"	რ (რ, ა) ✓

განვიხილოთ ესენი ცალ-ცალკე.

ღ-ს დაკარგვა პირველ ხანებში გარკვეულ ფონეტიკურ ნიადაგზე ხდებოდა: მას ადგილი ჰქონდა ისეთ ზმნებში, რომელთა ფუძეც ღ-თი და ღ-ს მაგვარი, უკანაენისმიერი ბგერებით იწყებოდა, როგორცაა: ხ, კ, წ, კ, გ. შემდეგ და შემდეგ ეს პროცესი (ღ-ს დაკარგვა) განზოგადდა, მოედო მთელ ზმნებს და დღეს აღ თითქმის აღარ იხმარება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ძველი ქართულიდან გადმონაშთის სახით შემორჩენილ ზოგიერთ ფორმას. მაგალითები:

ღ: აიღეს მ. 25, 3 C; ააღეს ი. 20, 13 C; ააღეთ მ. 11, 29 C; აღებად მ. 5, 13; აღებული ი. 20, 1 (შდრ. აღლებად მ. 24, 17 C; მრ. 13, 16 C; ი. 10, 18 C; აღლებული ი. 20, 1 C).

აქ ორ ღანს შორის ხან ხმოვანია გამოიშველად (აიღეს—აიღეს), ხანაც ეს ღანები ერთადაა მიჯრილი (აღლებად—აღებად), მაგრამ ღ ორივე შემთხვევაში იკარგება: პირველში უფრო ნაკლებ, მეორეში, ბუნებრივია, უფრო მეტად; გამოიშველ ხმოვანს ვერ ძალუძს პროცესის შეკავება. აქ თქმული ყველა სხვა შემთხვევასაც ეხება, ამიტომ ქვევით სპეციალურად ამის შესახებ აღარ ვიტყვი.

ენახოთ ახლა სხვა მაგალითები, სადაც ეს ორი ღ მა ელემენტითაა გათიშული:

ნუ... აჰმალღები მ. 11, 23; აჰმალღების სინ. 201, 31; აჰმალღა სინ. 136, 6; აჰმალღეს მ. 9, 15 D; აჰმალღა კმა: დაბ. 45, 2 ლაგ.; აჰმალღებად ი. 3, 14 D; აჰმალღებასა თარგმ. გამოცხ. 21, 11; აჰმალღებისა ლ. 9, 51; აჰმალღებად ი. 3, 14 C.

კ: აჰკადა საკ. წიგ. II, 109, 29; აკდა მრ. 4, 1 C; სინ. 169, 28; არა აოკრღეს ქუყყანა: ბალ. 96, 24; აჰკოცს<sup>1</sup> რავახ. 75; (შენ) აჰკოცა სინ. 252, 4; აკოცნა ისტ. ქრ. II, 23, 33; აკოცეს საკ. წიგ. II, 21, 1; აკოცნეს იქვე, 58, 23; ლ. 9, 54 C; აკოცოს გამოცხ. 7, 17 C; აკოცაჲ სინ. 102, 34; აკოცად ისტ. ქრ. II, 41, 34; აკოცილ არს: სინ. 256, 27; აჰკსნით მრ. 11, 5 CE; აჰკსნიღეს ლ. 19, 33 C; აჰკსენით მ. 21, 2; არა აჰკსნისა ლ. 13, 15 C.

ხ: აიხილნა თუალნი: დაბ. 20, 13 ლაგ.; აიხილნის თუალნი: სინ. 228, 28; თუალნი აუხილნა: სინ. 50, 11; თუალნი... აეხილნეს: სინ. 106, 5; 150, 5; ახილვა სინ. 103, 24; ახილვაჲ სინ. 103, 18; ახილვად ლ. 4, 18 CD; ისტ. ქრ. II, 41, 27; ახილული სინ. 144, 6.

ახუალთ მ. 20, 18 C; ახუედ სინ. 65, 37; არა ახუედ: სინ. 67, 7; ახვდე სინ. 67, 8.

აიხუამს მრავ. 300, 24; აიხუნა ცოდვანი: თარგმ. გამოცხ. 5, 3; წიგნნი აიხუნეს: სინ. 85, 10; აიხუნეს ცოდვანი: სინ. 219, 7; სამარენი აეხუნეს: მ. 27, 52 C; ისტ. ქრ. II, 31, 4; აჰფხრას ფს. 51, 7 A; აფხურეს ფს. 51, 7 BD; აფხურად ზერ. 1, 10 ლაგ.

<sup>1</sup> ღ-ს დაკარგვის მიზეზზე კარგად ამბობდა ტექსტის გამომცემელი ი. ყიფშიძე: „Тут потеря Ѵ может быть объяснена от стечения его последующими ж и з, весьма близкими по органу произношения с Ѵ“ (Житие и мученичество св. Антония-Раваха: Христианский Восток, т. II, вып. 1, 1913, გვ. 75).

ყ: ავიპყრენ... კელნი: ფს. 142, 6 E; კელნი ავიპყრენ: ისტ. ქრ. II, 45, 18; ძლიერი იგი უძლურსა მას კელსა აუპყრობდინ: იქვე, 17, 26; კელი ამიპყრა: ფს. 117, 13 BE; აპყრობად კელთა შენთა ზეცად: სწავ. 39, 6; კელ-აპყრობით ცხ. ეფთ. 55, 5; კელი-ამპყრობელი ისტ. ქრ. II, 65, 2; ფს. 17, 3; სინ. 52, 37; 79, 31.

აპყრიდა კორძსა მას საშინელსა: კიმ. I, 317, 9; ასწყვდნეს ცხ. ეფთ. 118, 29; აუწყუელიან ქუეყანით სრულიად: ბალ. 95, 25; აწყუელიდა კაცისა: ბალ. 93, 35; აწყუელასა ქაბუქთასა: გამოცხ. (ანდერძი, 210 r, გამოც. გვ. 126).

კ: აპკიდა ისაკს: დაბ. 22, 6 ლაგ; აპკიდით კაცსა ტვრთი: ლ. 11, 46 CE; აკრებისათვის ცოდვათამსა: თარგმ. გამოცხ. 18, 20 ABC.

გ: აგებული უძვ. რედ. 162, 1; აგებულეზა იქვე, 162, 2; 190, 6; ბალ. 70, 12; აგზეზად უძვ. რედ. 172, 2 B; საკუმლისა მას ცეცხლისა აგზეზულიასა: მ. 13, 42 C.

ქ: აიქუა ეპიფანე: საკ. წიგ. II, 101, 1; ამქუმელი ლიტ. ქრ. 6, 25; ამქმელი იქვე, 6, 28; აქუმული იქვე, 121, 25.

ასევე (პირველ ხანებში გარკვეული ფონეტიკური მიზეზით) იყარვება აგრეთვე განზმნისწინისეული ნ (გამკმარი სინ. 215, 20), წარ-ის რ (წარბიოლა ლ. 19, 4 CD), გარდა-ს რ და ა (ზოგსა გადაპკრის მათრახი: ვტ 94, 4; გარდმატებული სინ. 233, 14; გარდმო-რაჟ-ვიდოდეს მრ. 9, 9 E; გარდმოვიდა ლ. 6, 17 E).

შემდეგ და შემდეგ კი, როგორც უკვე ვთქვით, ეს მოვლენა განზოგადდა ზმნისწინთა ლ, ნ, რ-ს დაკარგვა აღნიშნული ფონეტიკური მიზეზების გარეშეც ხდება. ამ პროცესს საფუძველი თვით ძველ ქართულში უძევს. მაგალითები:

ლ: სიტყვსა ადგინებამ: მ. 18, 23 C; ასდევით სინ. 169, 14; ასდგე სინ. 263, 24; მრავ. 301, 29; ადგომამ სინ. 234, 30; ადგომასა სინ. 124, 5; ადგომისა მ. 27, 53 C; ავიდოლა სინ. 193, 24; ზარი აპვალს: სინ. 210, 20; აპრაცხს სინ. 192, 32.

ლ-ს დაკარგვა განსაკუთრებით ხშირია აღსაარებ-ას პირიან ფორმებში: აგიარებ შენ: მ. 11, 25; სინ. 175, 2; აიარებენ სინ. 234, 8; აუვარებდეს მ. 3, 6 C; სინ. 86, 19; აუვარა ლ. 22, 6 D; ქრისტე, აიარე: ქილ-ერთ. 5 v, 13; რომელი აიარეთ: იქვე, 7 v, 14; აუვარო უფალსა: სინ. 71, 8.

ნ: გავედ მაგისგან: ლ. 4, 35 C; გავიდა ლ. 22, 62 C; გაეთული მ. 12, 26 C; მრ. 3, 26 C; რომელი არაინ გავლო: სინ. 199, 15; გამაქლარნო ლ. 6, 25 E; გამზადებამ სინ. 206, 5; გაუტევებდა სინ. 105, 3; გაპწურთა აღწ. 174, 32; გასცა მას პასუხი: კიმ. I, 74, 23; შინა-გასცემდენ მ. 24, 10 E.

გააგონო ცხ. ეფთ. 112, 13; გაგზავნის იქვე, 92, 3; გაუკუთეთ ზეთი: იქვე, 119, 4; გააგებნ იქვე, 99, 3; გასაგებელი იქვე, 18, 2; გაგკანონებ იქვე, 94, 8, გასარომელი იქვე, 25, 6; გამავეალთა იქვე, 61, 2; გაგისუენოთ იქვე, 83, 6; გაუწესებია იქვე, 72, 3; გაგიტევენე იქვე, 33, 14; გაპყიდეს იქვე, 78, 3

და სხვა. როგორც ვხედავთ, ასეთი მაგალითები უფრო ხშირად გვხვდება გ. მთაწმიდლის ენაში, რაც ადვილი გასაგებია: მე-11 საუკუნის შუა წლებისათვის ეს პროცესი უკვე კარგად იყო მომძლავრებული<sup>1</sup>.

რ: წაიკითხო სინ. 216, 3; თუალნი წამოცუნებულ იყვნეს: სინ. 268, 9; წააგეს ცხ. ეფთ. 31, 22; წამოსცემდეს იქვე, 104, 12; სულთა... წაიწყმედთ: იქვე, 68, 6; წაქდეს იქვე, 97, 4; წავიდიან იქვე, 97, 7; წავიდე იქვე, 17, 10; წაიდიან იქვე, 96, 3; წაიღეთ იქვე, 55, 11 და სხვა.

IV. იკარგება მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირის ნიშანი (S<sub>2</sub> O<sub>3</sub>)

ჩვენი მსჯელობა ეხება მხოლოდ ჰ-ს დაკარგვას IX საუკუნიდან (ე. წ. სან-ნარეე ფორმებში). აქ<sup>2</sup> იკარგება ძნელად ასატანი თანხმონების მეზობლობაში. ეს თანხმონებია: ხ, ხ, ზ, შ, ლ. შ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი:

ხ: რაჲსა სძე და ხურინავე: იონა 1, 6; სინ. 163, 17.

ხედავე მ. 7, 3 CD; 22, 16 C; მრ. 8, 23 C; ლ. 6, 41 CD; სინ. 84, 16; ხედავა ლ. 7, 44 C; ხედავთ ი. 12, 19 C; ხედავთა მ. 24, 2 C; ხედავს მ. 6, 4 CD; ხედვენ მ. 13, 13 CD; სინ. 75, 20; ხედვიდა მრ. 12, 41 C; სინ. 76, 3; ხედვიდეს მ. 15, 31 D; სინ. 78, 2; ხედვიდენ ლ. 8, 10 C; მოხედა სინ. 227, 1; მოხედის სინ. 52, 28; მოხედის სინ. 83, 13; შეხედნა სინ. 271, 1.

როცა ამ ზმნის ფორმაში ერთად უნდა შეიყარონ პირველი სუბიექტური და მესამე ობიექტური პირის ნიშნები (ვპ), ეს უკანასკნელი ჩვეულებრივ დაკარგულია:

ვხედავე მრ. 8, 24; ი. 4, 19; ისტ. ქრ. II, 31, 35; ვხედვედ ლ. 10, 19; ი. 1, 32 C; ისტ. ქრ. II, 27, 34; ვხედვედი სინ. 95, 26.

ხადი ლ. 14, 12 C; ხადით მ. 23, 8 D, 9 CD; ხადის მ. 22, 43 CD, 45 CD; ხადა ლ. 7, 39 C; ხადე ლ. 14, 13 C; ხადოდეს მ. 10, 25 CD; სინ. 147, 9; ხადოდენ თარგმ. გამოცხ. 22, 17.

ხულების თარგმ. გამოცხ. 21, 8; ხუდა მრ. 15, 24 C; ლ. 1, 9 C; ნუ განხეთქ: სინ. 44, 12; არამედ თქუენ ავნებთ და მოხუეჟთ: 1 კორ. 6, 8 ქუთ.

ღ: თქუენ ღაღადებდეთ... და ჰვოდებდეთ: ესაია 65, 14 (პარიზ.).

ზ: არა ზრახავე: მ. 16, 23 CD; ზრახავთ მ. 9, 4 CE; მ. 16, 8 CD; მრ. 2, 8 C; ლ. 5, 22 CD; ზრახვიდე სწავ. 53, 1 C.

არას ზრუნავე: მ. 22, 16 DE; ლ. 10, 41 C; რაჲსა ზრუნავე შენ: სწავ. 191, 17 C; არას ზრუნავე: მრ. 4, 38 D; ნუ ზრუნავთ მ. 6, 25 CD. 28 CD, 31 CD, 34 CD; მ. 10, 19 CD; ლ. 12, 11 C, 22 C.

ნუ ქურივ ზამ ცოლსა შენსა: ავ. ძეგ. I, 43, 33 BD; რასა ზამ შენ: ლიტ. ქრ. 9, 23; და ნუცა ურგებ-ზამ სარგებელსა: სწავ. 256, 2; რასა ზამთ: მრ. 11, 5 D; ლ. 6, 2 CDE; რაჲსა ზამთ: ავ. ძეგ. II, 259, 21 C.

<sup>1</sup> ა. შანიძე, გ. მთაწმიდლის ენა: ცხ. ეფთ., გვ. 62—70.



შენ ზუაობ მის ზედა: სწავ. 86, 20; ნუ აღზუავენებით: სწავ. 47, 2 C; აღზუავენე მის ზედა: სწავ. 86, 5.

ნუცა ზრდი ცთომილებასა: სწავ. 155, 14; ზრდიდე ფს. 103, 28 C.

რომელი ზი: დანიელ 3, 55; Sin. 11, 375 r; აქა ზია: ლიტ. ქრ. 209, 18.

ს: კეშმარიტად თუმცა სიმართლესა იტყოდეთ და მართალსა სჯიდით: ფს. 57, 2; მართლიად საჯე: ლ. 7, 43 C; რამეთუ ესე საჯე: გამოცხ. 16, 5; არამცა დასაჯენით უბრალონი: მ. 12, 7; ნუცა შუამ და ნუცა სუამ სწავ. 160, 16 BC; ჳამთ და სუამთ: ლ. 5, 30 C; რაჲთა სჳამდეთ და სუმი-დეთ: ლ. 22, 30 C; რაჲ შჳამოთ ანუ რაჲ სუათ: მ. 6, 25 CE; ლ. 12, 29 CE; არათუ... სუათ სისხლი მისი: ი. 6, 53 C; სურის თარგმ. გამოცხ. 14, 16; სურინ ფს. 41, 2; სახისმეტყ. 34, 2; სუროდა კიმ. I, 165, 14; მოქც. 88, 3; სუფევე გამოცხ. 11, 17 AB; სუფევედე პარხ. 592 b; სუფევე-დეთ სწავ. 272, 25; სხუჲა სიყუარული არა სწორავეს სიყუარულსა მისსა თანა: ისტ. ქრ. II, 1, 27; არა სწორავენ იგი ერთსაცა ყუავეილსა მთისა თი-ვისასა: სწავ. 191, 9; რომელნი სხდეთ ქუეყანასა ეგვიპტისასა: იერ. 44, 25 (ოშკ.).

შ: შენ შობ ყრმასა: სინ. 203, 27; იესუ ქრისტჳ შევე: სინ. 52, 32; ღმერთი შევე: სინ. 203, 10; მკნელი შევე: სინ. 203, 32; აჳა მიუდგე და შევე ძე: ლ. 1, 31 C; მუცლად-ილო და შევე ძმ: სინ. 4, 5; ნუ შეშინდე-ბი: ანდრიან. 203, 27; 212, 28; მათ შიის (ხელნ. შიის) და სხუათა. ზრდიან: სინ. 36, 16; შიოდა ვითარცა კაცსა: სინ. 50, 9; რომელი მოვიდეს ჩემდა, არა შიოდის: ი. 6, 35 C; რომელთა შიოდის და სწყუროდის: სინ. 112, 18; ნუ დაშურები ურგებთათჳს: სწავ. 256, 1; რაჲთა დაშრიტო მქურვალეზაჲ: სწავ. 71, 27; უფალო, ნუ მოშურები: ლ. 7, 6; თქუენ არა დაშუერიოთ: ი. 4, 38; არა თქუენ შუერიოთ: იქვე C; ნუ შჯით მ. 7, 1; არამცა შჯიდით უბრალოთა: მ. 12, 7 C; რომლითა საშჯელითა შჯი-დეთ: მ. 7, 2.

ზოგჯერ აღნიშნული პრეფიქსების დაკარგვა სინტაქსური მიზეზებით არის გამოწვეული. ე. წ. „დაჳბადა“-ს ტიპის ზმნებს, რომელთაც ოდესღაც სამი პირი ჰქონდათ, ხოლო შემდეგ ერთი პირი (ირიბი ობიექტი) დაეკარგათ, დიდხანს ჰქონდათ შემონახული ამ დაკარგული ობიექტის პირის ნიშანი. მაგრამ შემდეგ ზმნაში ხდება ცვლილება მის შინაარსთან შეხამებით: რაკი მასში რეალუ-რად აღარაა წარმოდგენილი ერთ დროს არსებული ირიბი ობიექტი, ენა ზელს იღებს ზმნის ფორმაში მისი წარმომადგენლის (მ-ს ან ხ-ს) გამოხატვაზეც. აქ ფორმა მისდევს შინაარსს, ზმნაში პირის დაკლებას შედეგად მოსდევს მისი პირის ნიშნის დაკლებაც. ამის ნიმუშებია:

თხვე: მკედრები შთათხია ზლუასა: ვალოზ. (ფს.) 1, 1 E; ყოველი ერი მისი შთათხია ზლუასა: იქვე, 1, 4 E.

მართ: წარმართნა სლვანი ჩემნი: ფს. 39, 3 BE; უფალმან აღმართ-ნის დაკემულნი: ფს. 145, 8 BE.

მართ: განმარტნა ღრუბელნი საგრილად მათდა დღისი: ფს. 104, 39 CE.

მარხ: მცნებანი ჩემნი დამარხნეთ: ი. 14, 15 E.

მზად: განმზადეთ გზა უფლისა: მ. 3, 3 C; განმზადენით  
გზანი უფლისანი: მ. 3, 3; განმზადოს გზა შენი: მ. 11, 10 C; რომელმან  
განმზადნეს გზანი შენნი: მ. 11, 10; დამზადეს ვნებათა იგი: მრ.  
14, 16 C; დამზადეს საკუმეველი: ლ. 23, 56 C; მომზადეს პასქაა  
იგი: ლ. 22, 13.

ფალ: დავფალ ქანქარი იგი შენი ქუეყანასა: მ. 25, 25 D; დაფლა  
ვეცხლი იგი უფლისა თვისისა: მ. 25, 18 D.

ქხენ: განქსნა იგი: ფს. 104, 20 BCDE; აღქსენით დამომგუა-  
რეთ მე: ლ. 19, 30D; განქსნა ჩუენგან უღელი მიმმ: სინ. 178, 27; იოვანე  
განქსნა კრულ-ყოფილი იგი: საკ. წიგ. II, 135, 23; რომელი განქსნა  
ქუეყანასა ზედა: მ. 16, 19 D; რაათა განქსნეს ძმანი იგი: საკ. წიგ. II,  
135, 20; რავდენი განქსნეთ ქუეყანასა ზედა: მ. 18, 18 C; უკუეთუ ვინმე  
დაქსნეს ერთი მცნებათა ამათგანი: მ. 5, 19 D; დაქსნა კელნი მსახურ-  
თა შენთანი: ისტ. ქრ. II, 59, 25 და სხვანი.

საერთოდ კი S<sub>2</sub> და O<sub>1</sub> ძველ ქართულში შედარებით კარგადაა დაცული, მის  
ხელყოფას ვერ ბედავენ. ეს არის ნორმა, რომელსაც ყველა უყოყმანოდ ემორ-  
ჩილება.

მაგრამ ეს ეხება ჩვენს ძველ ხელნაწერებსა და გადამწერებს საერთოდ.  
კერძოდ, იშვიათად შესაძლებელია ესა თუ ის ხელნაწერი ან მისი ზოგი ნაწილი  
ამ წესს სათანადოდ ვერ იცავდეს და პირის ნიშნებს ყოველგვარი წესის წინა-  
აღმდეგ აკლებდეს. ასეთი შემთხვევები გამოჩნდის და მისი განზოგადება  
საერთოდ, რასაკვირველია, შეუძლებელია. ჩვენ აქ დავასახელებთ მაგალითებს  
თვით სინური მრავალთავიდან (ეხება ხელნაწერის 142—144 ფურცლებს, გამოც.  
გვ. 147—151):

რ-სთან: რქუა 147, 17; 149, 26; 151, 5; რქუეს 147, 11; 149, 26;  
ვრწამ 147, 25; რწამს 147, 25; რწმენა 149, 22.

ჰ ზოგჯერ სხვა სონორებთანაც იკარგება (ლოშნიდა, ნათობს, მსახურებ-  
და...), მაგრამ ამგვარი შემთხვევები იშვიათია.

თუ ასეთ ცალკეულ შემთხვევებს არ მივიღებთ მხედველობაში, უნდა  
ვთქვათ განმეორებით, რომ S<sub>2</sub>O<sub>1</sub> პირის ნიშნების წარმოღვევნა ზმნის ფორმებში  
ძველ ქართულში საერთოდ მტკიცე წესს მისდევს, მისი დაკლება თუ ზედმეტად  
ხმარება არ ხდება. ✓

**V. ორი მიჯრილი ერთნაირი ბგერიდან ერთ-ერთი იკარგება**

ქართულში სიტყვის ძირებში (მარტივ ფუძეებში) არა გვაქვს ერთმანეთთან  
მიჯრილი ორი ერთნაირი ბგერა, არც ხმოვანი, არც თანხმოვანი. თუ სიტყვაში  
ასეთი ბგერები აღმოჩნდება, ისინი უსაბუთოდ ორ სხვადასხვა მორფოლოგიურ  
ოდენობას წარმოადგენენ. მიუხედავად ამისა, მაინც არაიშვიათად ხდება, რომ  
ენაში, მეტყველებაში ამ ორი ზედიზედ მიჯრილი ერთნაირი ბგერიდან ერთ-ერთი  
იკარგება. ეს გამოხატულებას პოულობს წერაშიც. ძველ ქართულ მწერლობა-  
ში ამნაირი შემთხვევები არცთუ ისე იშვიათია. სხვადასხვა ხელნაწერს, რასა-  
კვირველია, ეს მოვლენა სხვადასხვა მოცულობით აქვს ასახული. სხვებზე მე-  
ტად ამ მხრივ დამახასიათებელია ქართული ფსალმუნის ერთ-ერთი უძველესი

ხელნაწერი (ხელნაწერთა ინსტიტუტის ნუსხა A 38). ასე თუ ისე ახასიათებს ის სხვა ხელნაწერებსაც. ამ მიზეზით იკარგება როგორც თანხმოვნები, ისე ხმოვნები, პირველნი ვაცილებით მეტად, მეორენი — ძალიან ნაკლებად.

აქ მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

ა) დაკარგულია ხმოვნები

დაბნია ვეცხლი იგი: მ. 27, 5 E (—დაბნია); დაფუძნა ფს. 47, 9 A; 86, 5 A (—დაფუძნა); დაყენოს ფს. 76, 9 C (—დაყენოს); დამტკეცენ ფს. 79, 10 A (—დამტკიციენ); გმშის ლ. 6, 21 D (—გმშის); მათ შის: სინ. 36, 16 (—შის—მშის—კმშის); ჩემ თანა არაა პოს: ი. 14, 30 ლატ. (—პოს—პოვოს); ვიპო ფს. 38, 14 A (—ვიპოო—ვიპოვო); ვითხო ფს. 72, 25 AE (—ვითხოო—ვითხოვო); და მისი ცრემლოდა წინაშე მისა: სწავ. 57, 5 A; ცრემლოდა კიმ. 1, 281, 1 (—ცრემლოოდა—ცრემლოვოდა); პეროდა მრ. 9, 20 D (—პეროოდა—პეროვოდა); მდიდროდა ასურ. 85, 20 C (—მდიდროოდა—მდიდროვოდა); გარდააბნიან ყოველი: სწავ. 151, 2 A (—გარდააბნიან); მიქცენ ფს. 55, 10 A (—მიიქცენ); იძულეების მ. 11, 12 DE; ლ. 16, 16 DE (—იიძულებს); იძულებოდეს სინ. 245, 12 (—იიძულებოდეს); აღსარებაა სინ. 107, 20 (შდრ. იქვე: აღსარებაა ცა იგი: 107, 19); დადუმებენ სინ. 150, 3 (—დაადუმებენ); შემშია ფს. 33, 11 C (—შეეშია); შეახლენ მრ. 3, 9 D (—შეეახლენ); ნუკუე ი. 18, 25 D (—ნუუუე).

უფრო ხშირად ასეთი შემთხვევები მაშინ გვაქვს, როცა წინა სიტყვის ბოლო ხმოვანი და მომდევნო სიტყვის თავიკიდური ხმოვანი ერთი და იგივეა. ასეთ პოზიციაში ყველაზე ხშირად აგვევლინება. მაგალითები:

- ძისაბრაჰამისი მ. 1, 1 C = ძისა აბრაჰამისი
- ქვათამათგან მ. 3, 9 C = ქვათა ამათგან
- ჩუნდაქა მ. 17, 4 D = ჩუნდა აქა
- ვიდრედარა მ. 18, 13 C = ვიდრედა არა
- კინიაკთამათგანი მ. 18, 14 C = კინიაკთა ამათგანი
- არაიღეს მ. 25, 3 C = არა აიღეს
- დარა სინ. 32, 31-32 = და არა
- ერთიგი სინ. 66, 24 = ერთი-იგი
- ელიადადგინა სინ. 130, 31 = ელია ადადგინა
- კრებასამას სინ. 166, 36 = კრებასა ამას
- დამისა სინ. 273, 22 = და ამისა
- კულადგინებდეს სინ. 160, 24 = კულად-ადგინებდეს.

აქ თავ-ბოლოში მეორდება არა მარტო ხმოვნები, არამედ კომპლექსი ად: კულად, ადგინებდეს.

ბ) დაკარგულია თანხმოვნები

1. იკარგება ს ს-ზე დაბოლოებულ სახელთა მხოლოდითი რიცხვის მიცემითში:

მამასახლისა სინ. 269, 7 (—მამასახლისსა); ნილოსა სინ. 37, 27

(—ნილოსსა); წესა ზედა: სინ. 200, 19; ფს. 109, 4 A; ვედრსა მას ქრისტესა: ანდრიან. 204, 18; (გონებასა) მისა სინ. 244, 4; 250, 35; 251, 11; 255, 19; 257, 23; 262, 11; 265, 19; 266, 11; 268, 7; 270, 25; 271, 20; 275, 31; 278, 8; 280, 22; ფს. 65, 2 AE; 67, 5 A; 68, 16 AE (—მისსა); თჳსა სინ. 114, 13; 246, 23; 256, 24; 262, 13; 265, 3; 271, 3; 272, 2; 275, 20; ფს. 51, 9 A; ლ. 12, 45 E (—თჳსსა).

2. იკარგება იგივე ს ზმნის მესამე სუბიექტური პირის ფორმაში (მხ. რ.), როცა ფუძეც ს-ზე ბოლოვდება: გიწეს თქუენ დედოფალი: სინ. 240, 27; მოძღუარი... გიწეს შენ: ი. 11, 28 CD; კიმ. 1, 154, 13.

8. ს იკარგება აგრეთვე ცნობილ რთულ ზმნებში:

თაყუანისცემს სინ. 259, 29 (—თაყუანის-სცემს); თაყუანისცემენ სინ. 256, 20; თაყუანისცემდა საკ. წიგ. II, 70, 13; თაყუანისცემდეს სინ. 77, 1; თაყუანისცემდენ სინ. 240, 3; თაყუანისცა სინ. 31, 25; 243, 35; თაყუანისცეს სინ. 37, 7; თაყუანისცე სინ. 7, 3; 230, 17; თაყუანისცენ სინ. 174, 19 (—თაყუანის-სცენ).

ნუგეშინისცემენ საკ. წიგ. II, 21, 9 4; ნუგეშინისცა სინ. 15, 5; 180, 14; ნუგეშინისცეს ფს. 134, 14 E; ნუგეშინისცენ ი. 11, 19 C (—ნუგეშინის-სცემენ, ნუგეშინის-სცა, ნუგეშინის-სცეს, ნუგეშინის-სცენ).

მაგრამ თუ ამ ხანებს შორის მოხვდა რომელიმე გამოიშველი ბგერა (ანეთად აქ შეიძლება მოგვევლინოს მხოლოდ ვ—პირველი სუბიექტური პირის ნიშანი), იგი უზრუნველყოფს ორივე ხანის შენარჩუნებას: თაყუანის-ვსცემთ სინ. 171, 24; თაყუანის-ვსცემდეთ სინ. 82, 19; თაყუანის-ვსცე სინ. 172, 30; თაყუანის-ვსცეთ სინ. 260, 1.

4. იკარგება თ თანიან მრავლობითში თ-ზე დაბოლოებულ ფუძეებში:

წარმართა (—წარმართთა) ლ. 2, 32 DE; 21, 24 D; სინ. 233, 15; 259, 34; ფს. 45, 11 A; 105, 27 BD; 125, 2 C; ზრახვაა წარმართა: ფს. 32, 10 B; წარმართასა (—წარმართთასა) სინ. 143, 15; მათა (—მათთა) სინ. 223, 12; 224, 4; 255, 24; 257, 5; 258, 39; 259, 3; 267, 33; 275, 37; 277, 13; 278, 22; მათაებრ (—მათთაებრ) სინ. 279, 22.

5. იკარგება იგივე თ, როცა „მათ“ ნაცვალსახელს თჳს თანდებული ერთვის: მათჳს (—მათთჳს) სინ. 226, 33; 272, 12.

6. თ იკარგება აგრეთვე თ თუე ფუძეში:

თუე ლ. 1, 24 D, 36 D, 56 D; ლ. 4, 25 CD; ი. 4, 35 CD; სინ. 127, 38; გამოცხ. 9, 5, 10 AB (—თთუე); თუე სინ. 12, 31, 32; თარგმ. გამოცხ. 17, 12 AB; თუესა ლ. 1, 26 D; სინ. 159, 13, 14; 244, 17; თარგმ. გამოცხ. 11, 2 AB; თჳსა გამოცხ. 9, 15 AB; თუედ სინ. 12, 34; თუეთა გამოცხ. 22, 2 A; თაგი თუეთა სინ. 12, 32.

7. იკარგება ნ-ზე დაბოლოებულ ფუძეებში, როცა ეს უკანასკნელი ნაირიან მრავლობითშია დასმული:

მოქლონი რკინისანი განტეხნა: ფს. 106, 16 AD; ისარნი შენი: ფს. 44, 6 A (—შენნი); შეილნი შენი: ფს. 44, 17 A; მცნებანი შენი: ფს. 118, 66 A, 69 A, 86 A; განკითხვანი შენი: ფს. 118, 137 A.

8. იკარგება იგივე ნ ზმნებში, როცა პირდაპირი ობიექტი ნარიანი მრავლობითის სახელობითშია და ზმნის ფუძე ნ-ზე ბოლოვდება:

წარმოტყუენა და გამოიყვანა სულნი: სინ. 50, 26 (—წარმოტყუენა); ბაგინნი დაპქსნის: სინ. 238, 5; მოავლინა ნერონ კეისარმანკაცი: სინ. 252, 32; მოიყვანის მის თანა სხუანი სულნი შვდნი: მ. 12, 45 C; არა ქმნა მუნ ძალნი მრავალნი: მ. 13, 58 D; და მე განვეკურნე იგინი: მ. 13, 15 D; მან... სნეულეზანი ჩუენნი განკურნეს: მ. 8, 17 E; რაათა გვქსნეს ჩუენ: ისტ. ქრ. II, 20, 40; 21, 18; რაათა ვნებამან მისმან... განქსნეს ყოველნი: იქვე, 29, 25; ანგელოზმან უფლისამან დევნეს იგინი: ფს. 34, 6 C; კელმან შენმან... დააშენა იგინი: ფს. 43, 3; 77, 55 D; და ჩუენ არავინ გუიციანეს: ფს. 73, 9 B; მუჟრითა განრყუნა იგინი: ფს. 77, 45; მოიყვანა იგინი: ფს. 77, 54; რომელმან შექმნა ანგელოზნი: ფს. 103, 4; იქსნა იგინი: ფს. 105, 8; ურვათა მათთაგან განარინა იგინი: ფს. 106, 13; გამოიყვანა იგინი ბნელისაგან: ფს. 106, 14; მომიქსენა ჩუენ უფალმან: ფს. 135, 23 BD; უფალმან განქსნის კრულნი, უფალმან განაბრძნის ბრმანი: ფს. 145, 8; რომელმან განკურნის შემუსრვილნი: ფს. 145, 3 BE; უბრძანა ადგილნი მარჯუენი აგარაყად შატბერდსა: ხანძთ. 119, 8.

9. იკარგება იგივე ნ ინ-ენიანი ვნებითის II სერიის მწკრივების მრავლობითში, როცა ზმნის ფუძე ნ-ზე ბოლოვდება:

ძალნი რომელნი იქმნეს თქუენ შორის: მ. 11, 21 C (—იქმნეს); (მცველნი) იქმნეს ვითარცა მკუდარნი: მ. 28, 4 C; ჩინებულნი იგი არა ღირს იქმნეს: მ. 22, 8 C; მიეახლნეს მეზუერენი და იქმნეს მოციქულ: ისტ. ქრ. II, 27, 6; წამებანი შენნი სარწმუნო იქმნეს: ფს. 92, 5; რაათა... გვრგვინოსან ვიქმნეთ: ისტ. ქრ. II, 20, 19; შემძლებელ ვიქმნეთ ძღვევად მისა: იქვე, 29, 6 (—ვიქმნეთ); უკუეთუ სხვასა მას არა სარწმუნო იქმნეთ: ლ. 16, 12 CD; რაათა ღირს იქმნეთ განრინებად ამის ყოვლისაგან: ლ. 21, 36 D; იქმნენ იგინი ვითარცა თივად ერლოთა: ფს. 128, 6 BE; იგინივე მტერად შემექმნეს მე: ფს. 138, 22; იგინივე მსაჯულ გექმნენ თქუენ: ლ. 11, 19 CD.

სხუანი... განიკურნია: ი. 5, 7; მრავალნი ეშმაკეულნიცა... განიკურნია: სწავ. 88, 6 C; მართალთა დაიმკდრონ ქუეყანა და დაეშენენ... მას ზედა: ფს. 36, 29 D; აღეშენენ ზღუდენი იერუსალემისანი: ფს. 50, 20 E; გექსენენ თქუენ (სასწაულნი): სინ. 247, 6; გექსენედ ყოველნი ძლიერებანი ღმრთისანი: სინ. 247, 7; რომელ-იგი ურწმუნო იქმნეს, განიდევნეს ჰურიასტანით: სინ. 244, 15; წარიგზავნეს მშვდობით ქმათაგან მოციქულთა მიმართ: მოც. 15, 33 ლH; აჲ უკუეთუ იგინი უწყალობისათჳს ესრეთ განიდევნეს სასუფეველისაგან: სწავ. 59, 6 C; და მოიქცენ და განიკურნენ იგინი: მ. 13, 15 C; კრწნილებითა მათითა განირყუნენ: 2 პეტ. 2, 12 C'; ხრწნილებასა მათსა შინა განიხრწნენ: იქვე ლ; რომელნი ერწმუნია: სწავ. 301, 29 B; უკუეთუ ეტკივნენ სიტყუანი შენნი: სწავ. 81, 28 B; აღმოეცენენ შენ ზედა განსაცდელნი ბოროტნი: სწავ. 302, 20 B.

10. ნ იშვითად მაშინაც იკარგება, როცა ერთი სიტყვა ნ-ზე ბოლოვდება,

ხოლო მეორე (მომდევნო) ნ-თი იწყება: იყავ ნებაა შენი: ლ. 11, 2 C (—იყავ ნებაა შენი). მაგრამ ეს შემთხვევა ტიპური არაა.

11. იკარგება მ ზმნის პირველ ობიექტურ პირში, როცა ზმნის ფუძეც მანით არის დაწყებული:

მომადლა მე ესე: სინ. 266, 15; ისტ. ქრ. I, 203, 8; მე მომადლე: სინ. 25, 18; მომადლე თხოვაა ჩემი: ისტ. ქრ. II, 99, 6; მომადლოს მე: სინ. 34, 2.

მშიოდა მ. 25, 35, 42 (—მშიოდა. შდრ. გამშიოდის (შენ): ლ. რ. 25 E, სი-მშ-ილ-ი, მშ-იერ-ი. მყველგან ძირისა).

სწავლამან შენმან აღმართა მე სრულიად: ფს. 17, 36 BCE (—აღმმართა).

თუ ვინმე მე მსახურებს: ი. 12, 26 C (—მსახურებს); ამოდ მსახურებენ მე: მ. 15, 9; მრ. 7, 7; მოირტყენ და მსახურებდ მე: ლ. 17, 8; უკეთუ ვინმე მე მსახურებდეს: ი. 12, 26; წარმოკედ, სარტყელი შეირატყ და მსახურა: ლ. 17, 8 C; მე თუ ვინმე მსახუროს: ი. 12, 26 C; შენ უფარ-მყავ მე... და არა მსახურე: სწავ. 126, 33 B.

12. მ იკარგება მაშინაც, როცა მ-თი დაწყებული ზმნის ფუძისაგან მიღებულია მ (-ელ) აფიქსიანი მიმღებობა:

იქსენ იოსებ, მარხველი სიწმიდისა: ისტ. ქრ. II, 98, 26; რაათამცა უჩნდეს ივინი კაცთა მარხველად: მ. 6, 16 C.

13. მ იკარგება კომპოზიტებში, როცა პირველი სიტყვის ბოლოიდური და მომდევნოს თავიიდური ბგერები მ არის:

ა) სამეოცი მ. 13, 23; სამეოცსა მ. 13, 8; სამოცეული ზრ. 4, 8, 20. შდრ. სამმეოცი მრ. 4, 8, 20 C (—სამ+მე-ოც. შდრ. აგრეთვე ორმეოცი, ოთხმეოცი).

ბ) ათსამმეტი—აცამეტი—ცამეტი.

ასეთი შემთხვევები ერთობ ცოტაა.

14. იშვიათად მ იკარგება აგრეთვე იმ შემთხვევაში, როცა წინა სიტყვა მ-ზეა დაბოლოებული, ხოლო მომდევნო მ-თი იწყება: ჩემიერ: ი. 14, 6 D (—ჩემ მიერ).

16. იკარგება რ, როცა წარ ზმნისწინი ერთვის რ-ზე დაწყებული ზმნის ფუძეს:

(ზაქე) წარბიოდა წინა: ლ. 19, 4 CD (—წარბიოდა, როგორც გვაქვს კიდეც იქვე E-ში); რომელი პირითა წაჰრევენ სიტყუათა: Sin. 35, E5 rb, 6 ქვ. (აქ ჰვერ აკავენს ამ პროცესს); მტკუარმან გარდამოხეთქა და წარლუნიოდა ქალაქსა: მოქტ. (ავ. ძეგ.) 139, 10 ო.

ორმაგი ბგერებიდან ერთ-ერთის გაუჩინარებას ზოგი შეცნობიერა (ა. შანიძე<sup>1</sup>, ი. ქავთარაძე<sup>2</sup>, მ. ძიძიშვილი<sup>3</sup>, პ. გაჩეჩილაძე<sup>4</sup>, ა. ჭინჭარაული<sup>5</sup>...) ამ ბგე-

<sup>1</sup> ქართული გრამატიკა, 1930, გვ. 14; ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, გვ. 25.

<sup>2</sup> ქართული ენის ისტორიისათვის, XII—XVIII სს, 1964, გვ. 107, 120, 126, 139 და შემდგომი.

<sup>3</sup> ფონეტიკური პროცესები ძველ ქართულში, 1960, გვ. 104—108.

<sup>4</sup> იმერული დიალექტის ხანურ-ზეგურული მეტყველება: იკე, VIII, 1956, გვ. 121, 126.

<sup>5</sup> ხეუსურულს თავისებურებანი, 1960, გვ. 34, 41.

რის დაქარგვად თვლის და „ბგერათა დაქარგვაში“ განიხილავს, ზოგს კი ეს მოე-  
ლენა ამ ბგერათა შერწყმად მიაჩნია და სათანადო მასალები „ბგერათა შერწყმა-  
ში“ აქვს შეტანილი (ა. მარტიროსოვი<sup>1</sup>, პ. ჭაჭანიძე<sup>2</sup>, გრ. იმნაიშვილი<sup>3</sup>...). ჩვენო  
აზრით, შეუძლებელია ამ მოვლენას შერწყმა ვუწოდოთ, იგი ჩვეულებრივი  
ბგერათა დაქარგვაა და სწორედ ამ რუბრიკაში უნდა განვიხილოთ.

VI. თანხმოვანთა ერთად თავმოყრის გამო იქარგება ერთ-ერთი მათგანი

ყველაზე ხშირად იქარგება რ (ორ თანხმოვანს შორის); მარტივდება ბრკ,  
ბრძ, თრგ, მრწ, ყრმ, ჩრდ, ძრწ კომპლექსები. მაგალითები:

რ: ეძწი ისტ. ქრ. II, 20, 35; 27, 42; ძწის სინ. 209, 36; ძწიან  
სინ. 174, 12; ძწოღა მრ. 5, 33 DE; სინ. 80, 12; ძწოდეს სინ. 213, 18;  
ძწოდის ისტ. ქრ. FI, 9, 5; ძწოლა იქვე, 6, 19; სინ. 161, 15; ძწოლა-  
მან სინ. 267, 24; 274, 33; ძწოლით ლ. 8, 47 E; სინ. 81, 22; 134, 33;  
161, 14; ისტ. ქრ. II, 19, 2; ძწოლითა სინ. 53, 28; ისტ. ქრ. II, 2, 3, 29:  
აძწოლებდა ლ. 9, 42 CE. ზოგჯერ რ-სთან ერთად ძ-ც არის დაქარგული:  
სწით იერ. 5, 22 პარ.; სწოდი ქრისტ. 193, 15.

მაპკოლებს აღწ. 227, 4; საყ. წიგ. II, 2, 22; დაბკოლდეს ლ  
7, 23 L; დაპკოლდეს იქვე B; დაბკოლებასა ლ. 17, 2 L; დაპ-  
კოლებასა იქვე B.

ქეშმარიტად ყოვლითავე ბძენი იყო: სინ. 4, 18.

მიგეტ თქუენ ქელმწიფებაჲ დათგუნევად ზედა გუელთა და ღრია-  
კალთა: ლ. 10, 19 E.

ლომიცა და ვეშაიცი სიბოროტესა ზედა მწემევე არიან: სინ. 213, 9  
(—მრწემევე); შეილი ჩემი მწემი: სინ. 65, 16; ისტ. ქრ. I, 296, 36; არასადა  
უმწემმეს ხარ მთავართა შორის იუდაასთა: სინ. 36, 2 (=მ. 2, 6); ძმა...  
უმწემმესი: საყ. წიგ. II, 70, 35; 71, 24; ჰრქუა უმწემმესმან მან (ძე-  
მან): ლ. 15, 12 B; შეიკრიბა ყოველი უმწემმესმან მან: ლ. 15, 13 B; სა-  
ხელი... უმწემმესისაჲ მის არს მელქონ: 1 მეფ. 14, 49.

ამ ფუძეში ზოგჯერ ხმოვანიც არის შეტვლილი; მრწემ//მრწამ, რ-ს და-  
ქარგვით: მწემ//მწამ:

უმწამმესი 1 მეფ. 16, 21 ლაგ.; დავით იყო უმწამმესი და სამნი  
იგო—უხუცესნი: 1 მეფ. 17, 15 ლაგ.; არსლა ერთი უმწამმესი: 1 მეფ. 16, 11  
ლაგ.; უმწამმესმან მან: ლ. 15, 12, 13 ლაგ.; შეპმოსა იაკობს, ძესა თვსსა  
უმწამმესსა: დაბ. 27, 15 ლაგ.; იწყო სწავლად მათა: ...დიდთა მორჩილ-  
ბაჲ, სწორთა თანა და უმწამმესთა — სიყუარული შეუორგულელებლი:  
სვან. 274 ა.

ყმაჲ სინ. 204, 30; ი. 16, 21 C; ყმისა სინ. 25, 32; 204, 29; ყმანი

<sup>1</sup> დალექტიზმები XV—XVIII სს. კახურ ისტორიულ საბუთებში: იკე, IV, 1953, გვ. 257;  
საერო მწერლობის ძეგლების ფონეტიკური თავისებურებანი: იკე, VI, 1954, გვ. 101.

<sup>2</sup> ვახანურას ხეობის მცხოვრებთა მეტყველების თავისებურებანი: აღ. წულუკიძის სახე-  
ლობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, VIII, 1948, გვ. 67; გუ-  
რული კილოს მორფოლოგიის საკითხები: იქვე, ტ. XV, 1956, გვ. 296.

<sup>3</sup> ბორჯომის ხეობის ქართლის თავისებურებანი: იკე, VIII, 1956, გვ. 94.

სინ. 145, 16; ფს. 112, 1 B; ყმები მ. 21, 15 C; ყმათა ფს. 16, 14 B; სიყმით ფს. 87, 16 B.

ჩდილოასა სინ. 119, 21; ჩდილოათ იქვე, 118, 39.

უძლოდა უფსკულსა შინა: ფს. 105, 5 [შღრ. უფკრულმან: გალობ. (ფს.) 4, 10 A].

ნ: დაათქა სინ. 105, 2; დამთქნეს ისტ. ქრ. II, 49, 3; შთათქას იქვე, 38, 26; დაითქის იქვე, 10, 28; სინ. 223, 31; დაეითქ ისტ. ქრ. II, 19, 34; დაეითქა იქვე, 9, 34; შთათქმაა იქვე, 9, 36; დათქმასა იქვე, 44, 36; დათქმად იქვე, 44, 34; დათქმული იქვე, 33, 20; დაათქმიდეს საყ. წიგ. II, 30, 14; დათქმისაგან იქვე. 30, 22; დაითქმოდეს ლ. 5, 7 D; დაითქნენ სინ. 102, 31; საყ. წიგ. II, 30, 19. ზოგი მკვლევარი ნ-ს ამ ფუძეში განვითარებულად თვლის და, მაშასადამე, მისთვის ნ-ს დაკარგვაზე აქ ლაპარაკი ზედმეტია. მაგრამ ამ აზრს ბევრი დაბრკოლება ელობება წინ.

ლ: მართუკუნ სინ. 120, 8 (—მართლუკუნ); ივტოდა სინ. 120, 27 (—ივლტოდა); ივტოდეს სინ. 117, 4; მოივტოდის სინ. 120, 31 (—მოივლტოდის); შეივტინ სინ. 119, 11. როგორც ხედავთ, ლ დაკარგული ფორმები ამ საინტერესო წიგნში გვხვდება სულ რაღაც 3-4 გვერდის მანძილზე (117—120), მაშასადამე, იგი ერთ-ერთი გადამწერის დამახასიათებელია მხოლოდ. სხვა ადგილებში, რასაკვირველია, ლ შენარჩუნებულია, მაგალითად: ივლტი 104, 10; ვივლტოდე 32, 37; ივლტოდა 163, 13; ვივლტოდეთ 272, 32; ივლტოდეს 273, 19; ვივლტოდი 104, 12; ივლტოდიან 53, 28.

მ: ფრინველი ფს. 49, 11 C; 77, 27 DE; 103, 12 CE; 103, 17 BE; 148, 10 E (შღრ. მფრინველი: მ. 6, 26; 8, 20; 13, 4, 32; 23, 37; მრ. 4, 4, 32; ლ. 8, 5; 12, 24; 13, 19, 34); ბრწყინვალე მრ. 9, 3 CD; ლ. 23, 11 D; სინ. 187, 2, 16; 191, 5; 193, 23; 218, 2; ბრწყინვალესა სინ. 201, 33; ბრწყინვალედ მრ. 8, 25; უბრწყინვალესი სინ. 243, 33; ბრწყინვალემა სინ. 23, 11; ბრწყინვალემაჲ სინ. 251, 32; ბრწყინვალებითა სინ. 193, 29 (მაგრამ: მბრწყინვალე სინ. 186, 37; 218, 2; მბრწყინვალე მრ. 9, 3 E; სინ. 60, 30; მბრწყინვალესა სინ. 96, 19; მბრწყინვალეთა სინ. 60, 28; მბრწყინვალისაჲ სინ. 80, 21; უმბრწყინვალეს სინ. 108, 28; 120, 36).

რომელთა გშიის აწ: ლ. 6, 21 C; გშიოდის ლ. 6, 25 CD; რომელთა ჰშიოდის მ. 5, 6 (გშიის—გშშიის; გშიოდის—გშშიოდის; ჰშიოდის—ჰშშიოდის). პირველ ორ შემთხვევაში მ-ს დაკარგვის მიზეზად შეიძლება აგრეთვე მის მეზობლობაში მყოფი მეორე ბაგისმიერი ბგერა (ფ, ბ) მივიჩნიოთ.

## VII. ბგერათა დაკარგვის სხვა შემთხვევები

✓ ა) იკარგება ჰ ხმოვნების წინ:

ალოასაჲ ი. 19, 39 DE, უნდა იყოს პალოასაჲ, როგორც არის კიდევ C-ში; ამბავი ისტ. ქრ. II, 21, 2 (—ჰამბავი); ასაკი ლ. 2, 52 L (—ჰასაკი) ✓ ებრაელებრ ი. 5, 2 DE; ი. 19, 13; ი. 20, 16 (—ჰებრაე-



ლებრ, როგორც არის სხვაგან: ი. 5, 2 C; ი. 20, 16 X); ეროდე: სინ. 208, 12; 210, 8; ლ. 9, 7 C (მაგრამ იქვე: ჰეროდე: სინ. 206, 7, 20); ეროდია: სინ. 206, 19; 208, 25; მ. 14, 3 DE (—ჰეროდია); ურაკპარაკი: მ. 6, 5 C; მ. 10, 17 C; მ. 27, 27 C (ზღრ. ჰურაკპარაკი: ი. 11, 47 C).

✓ბ) იკარგება ათ-ისეული თნაწარმოებრიცხვითსახელებში (11—19):

ოთხმეოც და აცხრამეტნი: ლ. 15, 4 C (პირველად „ცხრამეტნი“ დაუწერიათ, მაგრამ შემდეგ ზემოდან „ა“ დაუმატებიათ. ეს კარგად გამოხატავს რყევას თვით ძველ ქართულში); ოთხმეოც და აცხრამეტთა მათ: მ. 18, 13 C. მაგრამ ზოგჯერ ამ სიტყვაში თ-ს ა-ც მიჰყვება ხოლმე და, ამრიგად, ათ-ის კვალი გარეგნულად ქრება: ოთხმეოც და ცხრამეტნი: მ. 18, 12 D; ლ. 15, 4 D; ოთხმეოც და ცხრამეტთა მათ: მ. 18, 13 D.

ბგერათა დაკარგვასთან არ უნდა გვქონდეს საქმე ძველი ქართული ენის ისეთ სიტყვებში, როგორიცაა:

ვეცხლ-ი: მ. 26, 15; მრ. 14, 11; ლ. 9, 3 და სხვა.

კურიფ-ი: უძვ. რედ. 222, 25. აქედან: სიკურიფი იქვე, 201, 17; 202, 5; 222, 34.

პილენძ-ი: მ. 10, 9 C; მრ. 6, 8 C; ი. 2, 15 C. მაგრამ თვით ძველ ქართულში ამ სიტყვაშიც ჩნდება ხ და გვაქვს სპილენძი: სწავ. 205, 23; კიმ. I, 202, 13; 1 მეფ. 17, 15; რაეხ 82, 16; კიმ. II, 32, 34.

პილო-ა: უძვ. რედ. 133, 2; ბალ. 36, 31. აქედან: პილოა-ს-ძ-უ-ა-ლ-ი: კიმ. I, 212, 12; თუალთ. 19, 5; 3 მეფ. 10, 18; პილოა-ს-ძ-უ-ა-ლ-ე-დ-ი: ამოს 6, 4; ფს. 44, 9.

სხალ-ი: უძვ. რედ. 228, 15.

სხულ-ი: კიმ. II, 33, 35; პარხ. 764 b.

ტევან-ი: ისტ. ქრ. II, 30, 37; გამოცხ. 14, 18; სინ. 23, 19; 157, 27; 261, 37; დაბ. 40, 10; ქებ. 7, 8; შატბ. 258 a; პარხ. 852 a; სვან. 468 a.

ტრედ-ი: მ. 3, 16; მრ. 1, 10; ლ. 3, 22; ი. 2, 14.

ყულრა-ა: მ. 16, 2 CE; სინ. 108, 16; საყ. წიგ. II, 51, 4; სახისმეტყ. 26, 2. აქედან: ყულროება: მ. 8, 26 C; ისტ. ქრ. II, 2, 21; 15, 31; საყ. წიგ. II, 50, 2. მაგრამ თვით ძველსავე ქართულში იწყება ამ ფუძეში მ-ს გარეხა: მყულრაო: მ. 16, 2D; სინ. 110, 21.

შუენიერ-ი: მ. 23, 27; მრ. 12, 38 C; 15, 43; სინ. 6, 10; 110, 21; 134, 12; 260, 27. აქედან: შუენიერება: სინ. 116, 31; 134, 13; 145, 37.

ამ სიტყვებში მ, რ და ს მერმე უნდა იყოს განვითარებული; ძველი ქართულის შემოთ მოყვანილი მაგალითები უფრო ძველისა და პირვანდელი მდგომარეობის შესახებ უნდა მივიჩიოთ.

## 2. ზგერათა გაჩენა

\* ბგერათა დაკარგვის საწინააღმდეგო ფონეტიკური მოვლენაა ბგერათა გაჩენა (ჩართვა, განვითარება). ამ ტერმინთან უკანასკნელს (განვითარებას) უპირატესად ისეთ შემთხვევებში ხმარობენ, როცა ბგერის გაჩენას თვით სიტყვაში აქვს წმინდა ფონეტიკური საფუძველი, სხვა ორი (გაჩენა, ჩართვა//ღართვა) უფრო ფართოა და ამასთან ერთად ანალოგიისა და ფსიქოლოგიური ასოციაციების გავლენასაც გულისხმობს, რაც ცალკე სიტყვის საზღვრებს სცილდება.

ეს ფონეტიკური პროცესი ყველაზე მეტად ვ, მ, ნ, რ, ხ თანხმოვნებს ეხება, ხოლო ამათგან განსაკუთრებით — ვ-ს. სწორედ ვ არის, რომ სისტემატურად ჩნდება (თუ ვითარდება) სრულიად სხვადასხვაგვარ მრავალფეროვან ფონეტიკურ გარემოცვაში. მაგრამ აღსანიშნავია, რომ სხვადასხვაგვარი შემთხვევებიდან ყველაზე ხშირი და ყველაზე ტიპური ის პირობებია, რომლებშიც ეს ბგერა იკარგებოდა — ბავისმიერი ხმოვნების (ო, უ) მეზობლობა. თუ, ერთი მხრივ, ხშირია ვ პ ო ე, ვ თ ხ ო, შე უ რ და და მისთანანი (აქ ვ დაკარგულია), მეორე მხრივ, არანაკლებ გავრცელებულია აგრეთვე ს ა თ ნ ო ვ ე ბ ა ა, მ ხ ო ლ ო ვ ო, უ ვ ე ქ უ ე ლ ა დ და მსგავსი მაგალითები, რომლებშიც იგივე ვ იმავე ფონეტიკურ პირობებში ჩნდება. ამას საინტერესო ახსნას უძებნიან: მართალია, ო, უ ხმოვნებთან ვ ხშირად იკარგებოდა, მაგრამ „ენაში ხომ ისეთი ფორმებიც არსებობდა, რომელშიც ვ ჭერ კიდევ არ იყო დაკარგული. ვ-ს გაჩენას ხომ არ უწყობდა ხელს ასეთი ფორმების არსებობაც?“<sup>1</sup> შესაძლებელია ისიც ვიფიქროთ, რომ ზელნაწერების გადამწერებმა იცოდნენ, რომ უ-სა და ო-სთან ვ ხშირად იკარგება, მათ აფრთხილებდნენ შემკვეთები (რედაქტორები, სპეციალისტები...), არ მოსვლოდათ ასეთი შეცდომები და ვ თავის ადგილზე დაეტოვებინათ. და უშიშო, რომ შეცდომა არ მომივიდესო, მას ო-სა და უ-სთან თითქმის ყველგან წერდნენ განუკითხავად (აი, ისე, როგორც დღეს არაიშვიათად წერენ ხოლმე გ ა ვ ე ო ე დ ი, ვ ვ ო ხ რ ა ვ, მ ი ვ უ ა ხ ლ ო ვ დ ა). შესაძლებელია სხვა ახსნაც მოიძებნოს, მაგრამ საინტერესოა თვით ფაქტი: ვ-ს დაკარგვა და გაჩენა ერთსა და იმავე ფონეტიკურ პირობებში, ერთსა და იმავე ფონეტიკურ გარემოცვაში ხდება. ვუჩვენოთ მაგალითები.

### ჩ ნ დ ე ბ ა 3

ო—ე: ს ა თ ნ ო ვ ე ბ ა ა სინ. 126, 14; ლ. 2, 14 E; ი. 8, 29 E; ს ა ს ო ვ ე ბ ა ა სინ. 176, 2; ს ა რ წ მ უ ნ ო ვ ე ბ ა ა სინ. 121, 26; მ. 8, 10 DE; ლ. 7, 9 E; 8; 25 E; ს ი ტ კ ბ ო ვ ე ბ ა ა სინ. 94, 23; სას. პ. 64, 45; სახისმეტყ. 30, 7; უ ც ხ ო ვ ე ბ ა ა სინ. 49, 4; მ. 25, 44 E; უ ც ო მ ო ვ ე ბ ა ა მ. 26, 17 E; უ რ

<sup>1</sup> მ. ძიძიშვილი, ფონეტიკური პროცესები ძველ ქართულში, 1960, გვ. 122.

წმუნოვებაა მ. 13, 58 E; უშჯულოვებაა მ. 7, 23 E; სიწრფოვებაა თუალთ. 47, 30; სიტფოვებაა სვან. 331 b; ფართოვებაა Sin. 36, 33 a; უსამართლოვებაა იქვე, 20 b; უცალოვებაა იქვე, 8 b; უწყალოვებაა იქვე, 14 a; ამაოვებაა იქვე, 56 b; იწროვებაა და ფართოვებაა იქვე, 151 a; თითოვეული ლ. 6, 44 E; უბიწოვებაა Опнс. 37, 1 ქვ.; უთმინოვებაა თუალთ. 68, 11; უმანკოვებაა, ყუდროვებაა იქვე, 39, 1; უმწყემსოვებაა სას. ბ. 22, 3; უღონოვებაა უძვ. რედ. 224, 18; უშვილოვებაა სვან. 371 b; წყაროვები დიან: Sin. 36, 49 a.

უ—ე: სიცრუეშ ი. 7, 18 DE (სიცრუეისა ლ. 16, 9 CDE; სიცრუეისათვის სინ. 120, 6; სიცრუეით მ. 5, 11); დრკუვეებაა ისტ. ქრ. II, 29, 8, 10; სვან. 337 b; სიღრუვე უძვ. რედ. 44, 6; სიკსუვე ბალ. 91, 4; ენმანუველ პარხ. 14, b; უვეკუელად სწავ. 268, 2; უდაბნ. 61 rb.

ეს მოვლენა (ვ-ს ჩართვა ზემოთ აღნიშნულ შემთხვევებში) ასე თუ ისე გვხვდება სხვადასხვა სკოლისა თუ ხელნაწერების ენაში, მაგრამ ის ძალზე დამახასიათებელია შატბერდული სკოლისათვის, კერძოდ, იოვანე-ბერას ხელიდან გამოსული ხელნაწერებისათვის (პარხლის ოთხთავი, შატბერდის კრებული — S 1141), აგრეთვე მიქაელ მორდგეილის მიერ შედგენილი საგალობლების კრებულისათვის (S 425), რამდენადაც სხვათათვისაც.

ო—ო: ეს მაშინ ხდება, როცა სახელის ფუძე ო-ზე ბოლოვდება და წოდებითში (მხ. რ.) დგას: კაცო ამაოვო ეპისტ. იაკ. 2, 20 ოგ; შ მყუდროვო სწავ. 71, 6; მხოლოვო Sin. 11, 115, 5; 256 v, 13; მონაო ჩემო სარწმუნოვო: იქვე, 142, 5; უბადოვო კიმ. I, 139, 3; 192, 1; ჰხედავა, უგულისხმოვო: იქვე, 190, 24; უნაყოფოვო იქვე, 142, 15; უღმართოვო ურთ. 182, 3; უშჯულოვო ურთ. 182, 12; უსჯულთოვო სწავ. 56, 11 C.

ე—ო: ეს ერთ შემთხვევაში სხვათა სიტყვის ნაწილაკია, მეორეში — ობა სუფიქსის თავიღორი: ვის ეტყვს, ვითარმედ ითხოვეო: სინ. 138, 24; ტყუევობასა მას შინა: თუალთ. 49, 8.

უ—ა: -უუვა მრ. 3, 3 C; 6, 47; 13, 35; ლ. 11, 5 CE; რამთა არა ვეძიებდეთ უვადრშსსა მას: Sin. 35, 242 rb, 9; უვადრესთა ბუნებათა: სას. ბ. 116, 36; ვინ ხედვიდა... უვადრშსობასა...: Sin. 35, 150 va, 14; გამოაღრუვა უძვ. რედ. 133, 4. შდრ. გამოაღრუვა იქვე A, ღრუა იქვე, 61, 24; ღრუდ იქვე, 212, 22.

ა—უ: ავურაცხელითა და მრავალფერითა სატანჯველითა: Sin. 11, 101 v, 8-9 ქვ. საინტერესოა აღინიშნოს, რომ უ-ს წინ პირველი სუბიექტური პირის ნიშანი არსად არ არის შემონახული, ხოლო აქ მსგავს ფონეტიკურ პირობებში განვითარებული ვ კი ვეკვს. ქეშმართად დიდი აღწერილ ფონეტიკურ პოზიციებში ვ-ს განვითარების მისწრაფება.

უ—ი: ვ ერთის უ-ზე დაბოლოებულ ერთმარცვლიან სახელთა ფუძეებს: ბუვი ფს. 101, 7; ლევიტ. 11, 16; ბუვისათვის თქუთა: სახისმეტყ. 8, 1; კუვი ზღვსა: იქვე, 20, 7; კუვი და ხვთქი: უძვ. რედ. 96, 21; ბავთა ცრუვთა: ფს. 119, 2 B; განზაღენით რუენი: კიმ. II, 197, 5; ალავსნეს

ო უ ვ ნ ი : იქვე, 198, 21; ძ უ ვ ი ლომი: დანიელ 7, 4; ძ უ ვ ნ ი ლომნი: კიმ. II, 25, 7; კმა ლომისა ძ უ ვ ი ს ა მ; იობ 4, 10; ძალსა ლომისა ძ უ ვ ი ს ა ს ა : მოქც. 82, 2. ამ უკანასკნელ შემთხვევებში ვ-ს გაჩენას შეიძლება დამატებით სხვა, გრამატიკული საფუძველიც ჰქონდეს<sup>1</sup>.

ვ ჩნდება აგრეთვე ბევრ სხვა შემთხვევაში, მაგალითად: ს ა ჰ ი რ ვ ო ს ა ანტიოქ. 371, 20; გზისა ს ი ვ ი წ რ ი თ ა : ლიტ. ქრ. 243, 23 (—სიიწრითა); ქვეყანად ტ ა ვ ო მ ს ა : ურთ. 179, 31; ვ ე ფ ხ ვ ი ავ. ძეგ. 179, 15 G და სხვა-ნი, მაგრამ ეს ცალკეული შემთხვევებია, მათზე საგანგებოდ შეჩერება შორს წაგვიყვანდა.

რაც შეეხება ისეთ მაგალითებს, როგორცაა: დავაცხრვე, დავაცხრვე, მოვაწრვე, შეუსწრვე, შევიტყვე, დაათრვე, დაადნვის, დააქნვის, შემინდვეთ, დასვნეს (მანანი), დაწოთვენ (ვენებითები): ნუ მიენდვები, იგმოზვის, ეწყალვის, გეგულვების, მიეგებვიან) და სხვანი, ვ-ს აქ გამართლებას უძებნიან: იგი ფუძისეული უნდა იყოს; ის არა ჩანს პირველ სერიაში, რადგან ყველა ასეთი ზმნა ობთემის ნიშნაანია და ო-სთან ვ დაკარგულია; წყვეტილში მესამე სუბიექტური პირის ნიშნად ყველას აქვს (მეორეული) ო, რომელიც გარკვეულ შემთხვევებში მიღებულია ფუძის ბოლოკიდური ვ-სა და ა-ს შერწყმით<sup>2</sup>.

ზ. სარჩველადეს მიაჩნია, რომ ჟ-ს განვითარება მე ყ ს ე უ ლ ა დ და ე ქ უ ს ო რ ი ა ფუძეებში (აგრეთვე რ-ს გაჩენა მ დ რ დ ე ლ ფუძეში—ნ. ქვემოთ) აქცესიურ კომპლექსთა დასაძლევად მოხდა<sup>3</sup>.

### ჩ ნ დ ე ბ ა ჟ

თუ სხვა შემთხვევებში ჟ ხშირად იზიარებს ვ-ს ბედს, ბგერათა გაჩენისას მას ძალიან ნაკლებად ვხვდებით. იშვიათად მაინც ჩანს, მაგალითად:

მ ე ყ უ ს ა შინა წამსა თუალისასა (დანიელ, ლატ.). აქედან არის წარმოდგარი უფრო გავრცელებული მ ე ყ უ ს ე უ ლ ა დ: ასურ. 156, 31 ა; 171, 11 ა.

სამოთხისა მისგან ე ქ უ ს ო რ ი ა იქმნა იგი: სინ. 201, 6; რამთა ჩუენ ე ქ უ ს ო რ ი ა-მყენენ: აპოკრ. 70, 2 A; იყვენეს ე ქ უ ს ო რ ი ა ს ადგილსა მას: გულანდ. 215, 14; მიერ ე ქ უ ს ო რ ი ა მთ: იქვე, 216, 9; ე ქ უ ს ო რ ი ა დ იქვე, 222, 9 A; ე ქ უ ს ო რ ი ო ბ ა ს ა შეერდომამ: აპოკრ. 70, 6 A; ს ა ე ქ უ ს ო რ ი ე გულანდ. 216, 7; ს ა ე ქ უ ს ო რ ი ე ს ა იქვე, 219, 23 A. ბერძნულში, საიდანაც ნასესხებია ეს სიტყვა, უ არ არის (ξ-ορξ). ა. შანიძის აზრით, უ-ს ჩართვა ამ სიტყვაში ქართული „ექუს“-ის ანალოგიით მოხდა<sup>4</sup>.

<sup>1</sup> ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, 1957, გვ. 118—120.

<sup>2</sup> ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, გვ. 440 და შემდეგი; ა. ჩოქოძე, მესამე პირის სუბიექტის უძველესი ნიშანი ქართულურ ენებში: ენაშკის შოაშბე, V—VI, 1940, გვ. 14; მ. ძიძიშვილი, ფონეტიკური პროცესები, გვ. 122—123.

<sup>3</sup> ზ. სარჩველადე, ძველი და საშუალო ქართულის ფონეტიკის ზოგიერთი საკითხი, I. ბგერათგანვითარება — აქცესიურ კომპლექსთა სუბერაციის ერთ-ერთი გზა: „მაენე“, რ, 1969, გვ. 224.

<sup>4</sup> სინური მრავალთვი 864 წლისა და მისი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის სინური მრავალთვი 864 წლისა, 1959, გვ. 313. ნ. აგრეთვე ც. ქურციკიძე, ქართული ვერსიები აპოკრიფების მოციქულთა შესახებ, 1959, გვ. 052.

ჭ უ რ ლ უ მ უ ლ ი ი. 4, 11, 12 CE; ჭ უ რ ლ უ მ უ ლ ს ა მ. 12, 11 E; ლ. 6. 39 CE; 14, 5 CE; ჭ უ რ ლ უ მ უ ლ ნ ი სწავ. 66, 24 C.

მოსუთულნეს ნაყოფნი: სწავ. 171, 37 A; ტევანნი უსუთულე-ბელნი: ისტ. ქრ. II, 30, 37. უ (უმარცვლო) გაჩენილი უნდა იყოს რეგრესულად მეორე (მარცვლიანი) უ-ს გავლენით.

მსახურებდეს კერპთა ყრუთა... და მალალთა სერტყუთა: აგ. ძეგ. I 38, 7 F. შეიძლება სიტყუათა ან სერტყუათა-ს-ანალოგიით.

### ჩ ნ დ ე ბ ა მ

ქართულში (ძველსა და ახალში) სიტყვის თავში მ-ს განვითარება ძალიან ხშირია. იგი ვითარდება ტ, ბ, კ, ქ, ყ, ხ და ზოგჯერ სხვა თანხმოვნების წინ.

ბ: რომელსა აქუნდა ალამბასტრი: მ. 26, 7 სინ. ლექს. შდრ. ახალი ქართულის ციმბირი, მბალი (კახამბალი), გომბაქი (გურ.).

თ: მთასა ზედა მთაბორსა: კიმ. I, 285, 12 უ. მეორე (N) ხელნაწერში ჩვეულებრივი ფორმაა: თაბორისსა. მ-ს გაჩენა აქ შეიძლება მთის ბრალი იყოს: თაბორი მთის სახელია და ეს ორი სიტყვა ხშირად იხმარება ერთად.

კ: არამცა დაუტევეს სამყნელი მკვრტი: აბღია 1, 5 (ოშკი. იერუსალიმურში არის კვრტი).

ტ: თავადი არს მტევანი მწიფშ დაუქნომელი: კიმ. I, 158, 12 (ნ. ზემოთ, გვ. 34).

ქ: შეკრიბოს ვითარცა მქვშაა ნატყუენავი: ამბავ. 1, 9 (ოშკი: ქვშაა); მქვშაა ზღუსაა: ფს. 77, 27 (შდრ. ქვშაა იქვე, CDE); რომელმან აღაშენა სახლი თვისი მქვშასა ზედა: მ. 7, 26 C (ქვშასა DE); მქვშასა ქალაქისასა: სახისმეტყ. 20, 8; რომელმან... მქვშანი... აღრაცხნა: ეტ. VIII, 84, 28; ნაწილი მქვშისაა: ნაუმ. 3, 8 (ოშკი: ქვშისაა).

ყ: მყუდრო იყოს მ. 16, 2 D (ყუდრო CE); შენ იყავ ნავთ-საყუდელ მყუდრო: ისტ. ქრ. II, 65, 1; სადა არიან მყუდრონი: საქ. წიგ. II, 51, 4 7; სადა არს მშუდობა და მყუდროებაა: იქვე, 50, 2 7 (ყუდრონი, ყუდროება CD); მყუდროებითა იქცევიან: ბალ. 82, 7 (შდრ. და იყო ყუდროება დიდ: მ. 8, 26 C (ნ. ზემოთ, გვ. 34).

შ: დღესა პარასკევსა ვიხილეთ გემოა სიკუდილისაა, მშხამიანი: სწავ. 217, 22 C.

ც: მცხედარსა ზედა: ფს. 40, 4 B; არცა აღვქდე საგებელსა მცხედარისა ჩემისასა: ფს. 131, 3 B; მოგაყუდინო შენ მცხედრითა ცეცხლისაათა: აღწ. 179, 34.

ხ: მხავსნი ქვათანი: ურთ. 32, 8; კორცნი მათნი იყვნეს ვითარცა ქვანი და მხავსებულნი: ურთ. 34, 8.

### ჩ ნ დ ე ბ ა ნ

ნ უფრო მეტად კბილისმიერ დ, ტ, თ და უკანა სასისმიერ გ, კ, ქ სამეულებთან ვითარდება, ნაკლებ — სხეებთანაც (ძ, ჟ). მაგალითები:

დ: მოიწია მამაა წმინდაა იოვანე: აგ. ძეგ. I, 200, 30 B; წმინდა-

თა მამათა და მოწამეთა აღწერაჲ: კიმ. I. 60, 13 Q; ვითარ უწმინდონი (DE) მიხლებად წმინდათა (D): ასურ. 144, 17-18; წარსწყმინდოა ქალაქი იგი: აგ. ძეგ. I, 175, 20 I; ვიქმენ მე, ვითარცა ჭურჭელი წყმენდუნი: ფს. 30, 13 A; (ასპიტ) პირით მაკნდის: სახისმეტყ. 13, 7; ეშმაკი შეუქდა გულსა ბახდიანდისსა: აგ. ძეგ. I, 33, 15 G (სხვაგან: ბახდიად, ბაღდიად: 34, 15); ნაბუქონდონოსორ, მეფემან ბაბილოვნელთამან, ტაბაკითა შეწუნა იგინი: თუალთ. 50, 1; მიესმა საშინელება ნაბუქონდონოსორ მეფესა: იქვე, 51, 16; განრისხებითა მით ნაბუქონდონოსორითა: იქვე, 52, 12-13 (შდრ. იქვე: ნაბუქოდონოსორს 90, 5; ნაბუქოდონოსორ 90, 7-8, სადაც დონის წინ უკვე აღარაა. მაგრამ ამა თუ იმ ფონეტიკურა მოვლენის პროცესში არ არის საეაღდებულო, უკლებლად ყველგან იყოს იგი გატარებული).

თ: აქ ასახელებენ ისეთ ფორმებს, როგორიცაა: დანთქნა (მან იგინი), დანთქნენ, შთაინთქნიან ნაენი, დავანთქან, დანთქმამ, დანთქმული და სხვა, მაგრამ ასეთ ფორმებში ნკი არ უნდა იყოს განვითარებული, არამედ იგი დაკარგული ჩანს საპირისპირო ფორმებში, როგორიცაა: დანთქმოდეს, დაათქეს, დანთქმამ, დანთქმული და სხვა. ამიტომ, ჩვენი აზრით, ეს უკანასკნელი ბგერათა დაკარგვის შემთხვევებში უნდა მიმოვიხილოთ.

ტ(ტ): მიიუჟანეს იგინი თიანტრონსა მას მკეცთასა: კიმ. I, 121, 2 (თეატრონსა B); შევიდეს იგინი... თიანტრონსა მას მკეცთასა: იქვე, 121, 20 (B-ში აქაც თეატრონსა-ა); მიისწრაფეს... თიანტრონად: კიმ. II, 25, 4 C (თიანტრონად L). აქ ტ-ს წინ ქართულ ნიადგზევა განვითარებული. შდრ. ბერძნ. *θῆατρον*.

ვიდრე კონსტანტინედმდე: თარგმ. გამოცხ. 17, 9 A (კონსტანტინედმდე B, კონსტანტინედმდე C).

წამება წმიდისა იგნანტი ანტიოქელ პატრიარქისაჲ: აღწ. 171, 27; მიუგო წმიდამან იგნანტი და ჰრქუა: იქვე, 175, 22; ჰრქუა იგნანტი: იქვე, 175, 30 (ნ. კ. 175, 39; 176, 4; 178, 13, 17; 179, 27; 180, 17; 181, 18); კალენდ. 1, 30; 12, 19, 20. გვხვდება, რათქმა უნდა, უნარო ფორმებიც: იგნანტი აღწ. 172, 20; 173, 5; 174, 18; 175, 15; კალენდ. 1, 29. ბერძნულში, საიდანაც შემოსულია ეს სახელი, არის უნარო *Ἰγνάντιος*.

გ: გორვა ფუძეს გარკვეულ შემთხვევებში (უფრო ხშირად ვნებით გვარის ფორმებში) გ-ს წინ უფითარდება:

ვინგორები მე მწურესა შინა ცოდვისასა: სწავ. 261, 7; რომელნი ინგორებიან ნებასა შინა კორცთა მათთასა: სწავ. 158, 3 (ინგორები ედ BC); ინგორიკ მარტულსა მას ზედა: სახისმეტყ. 17, 12 (ნ. კ. იქვე, 18, 7, 8); მსგავსად ღორთა: ინგორებულ იყვნეს მწურესა: Sin. 11, 268 v, 6 კვ.; ვითარცა ინგორებული კუარდლსა და მწურესა შინა: ლიმ. 52, 10; ღორი ინწუბა სანგორელსა მწურისასა: 2 პეტ. 2, 22 Ⴎ (სხვაგან: სანგორელსა).

ქ: ქარ-იდან უნდა იყოს წარმოდგარი ნ-ქრევა, გან-ნქრევა, ჩამო-ნქრევა, სადაც ქ-ს წინ განვითარებულია:

ქარი იგი ჩრდილოთ ანქრევედა: სინ. 118, 39; ანქრევედეს ქარი-ნი: მ. 7, 25 C (DE: ქროლეს ქარნი); ნაყოფი მათი განანქარიის: Sin. 35, 45 რხ, 5; რომელსა ზედა დაეცეს, განანქარიოს: ლ. 20, 18 C (DE: განანქარიოს; ასევე განანქარიოს იკითხება ამ ხელნაწერებში მეორე ადგილასაც: მ. 21.44); ეკრძალე .მას, რამთა არა ჩამოგინქარიოს ქეთი: ასურ. 35, 21.

კ: გუელნი და ღრიანკალნი... დაკბენად განმზადებულ არიედ: აპოკრ. 11, 31; მიგეც თქუენ ძალი დათრგუნვად გუელთა და ღრიანკალთა: სწავ. 80, 32 B. ეს უკანასკნელი ადგილი ოთხთავიდანაა აღებული. ოთხთავის სხვადასხვა რედაქციებში ეს სიტყვა ყველგან უნაროდ არის წარმოდგენილი: ღრიანკალი: ლ. 10, 19; 11, 12.

ნ განვითარებული უნდა იყოს მწინკულ ფუძეში<sup>1</sup> (შდრ. დღევანდელი უმწიკვლო).

გამორიკს მწინკული იგი ტირილითა: ისტ. ქრ. II, 12, 33 (მაგრამ იქვე: კაცნი მწიკულნი: 66, 19); განვიბანოთ მწინკული ცოდვთა ჩუენთა: სწავ. 55, 31 (მწიკული B); რომელსა უყუარს მწინკული იგი, გონებაჲცა მისი მწინკულევან არს: სწავ. 279, მ-9 (მწიკული, მწიკულევან B); ყოველი ქუეყანაჲ შეიბილწებოდა მწინკულევანებისაგან მისისა: კიმ. I, 118, 24 C (მწიკულევანებისაგან B); უკეთურებითა შეეამწინკულე (ტაძარი შენი): სწავ. 201, 1; შეზადა შეთი სახრული და შეემწინკულე ბული გრძნებითა: ისტ. ქრ. II, 72, 17.

ძ: რათა არა შეინძრან (ხელნ.) ბაგინი იგი: მოქც. (აგ. ძეგ. 152, 18 4); ო-ში სწორი ფორმა გვაქვს: რამთა არა შეძრან. შდრ. ნიავი... აძრევედა რტოთა მისთა: იქვე, 148, 13 C.

ჭ: ვინჯმნი შენგან, ეშმაკო: აგ. ძეგ. I, 134, 19 4.

### ჩ ნ დ ე ბ ა რ

ხშირია რ-ს განვითარებაც. ამასთან აღსანიშნავია, რომ იგი, როგორც ვ, ზოგჯერ სწორედ ისეთ ფონეტიკურ პოზიციებში ვითარდება, როგორშიც იკარგებოდა. ასე, მაგალითად, ყრმ კომპლექსის თავმოყრისას რ, როგორც ენახეთ, იკარგებოდა (ყრმაჲ—ყმაჲ), აქ კი ყ-სა და მ-ს შორის ჩნდება და ვლებულობთ ისევ იმ პოზიციას, რომელსაც გაურბოდა (სიყმილი—სიყრმილი). შდრ. აგრეთვე, ერთი მხრივ, ჩ რ დ—ჩ დ (ჩრდილოთ—ჩდილოთ), ხოლო, მეორე მხრივ, ღღ—ღრღ (მღღელი—მღრღელი), ერთი მხრივ, ბრკ, ბრძ, ძრწ—ბკ//პკ, ბძ, ძწ (მაბრკოლებს—მაპკოლებს, ბრძენი—ბძენი, ძრწის—ძწის), ხოლო, მეორე მხრივ, ბჟ—ბრჟ (ბჟე—ბრჟე, ბჟობა—ბრჟობა). მაგალითები:

ბ რ ჰ ე ნ ი ცათანი: ისტ. ქრ. II, 64, 33; Sin. 11, 115 v, 4 ჟე; 231 v, 3; ბ რ ჰ ე თ ა თანა ბ რ ჰ ო ბ ა ს ა და განგებასა: იქვე, 180 r, 9 ჟე; წინაშე ბ რ ჰ ე თ ა 28 v, 11; რომელნი ბ რ ჰ ო ბ დ ე ნ და შჟიდენ: 180 v, 13; რამთა... გან უ ბ რ ჰ ო ს და განაგოს: 180 r, 4 ჟე; გან ბ რ ჰ ე ე 222 v, 2;

<sup>1</sup> მ. ძიძიშვილი, ფონეტიკური პროცესები, გვ. 120.

განბრკო 33 რ, 15; ბრკობაჲ 50 ვ, 5; საბრკოჲ 180 რ, 6 ქვ; 180 რ, 4 ქვ (მაგრამ: განბკობაჲ: იქვე, 231 რ, 7).

შეემრკუალენ შიშსა შესსა კორცნი ჩემნი: ფს. 118, 120 D. B-ში ორი რ-ც კი გვხვდება: შეემრკუალენ...; დაჰმრკუალა მაგრიად: Sin. 11, 29 ვ, 8; დაჰმრკუალენ<sup>1</sup> იგინი : იქვე, 236, რ, 8 ქვ.; (მუსმრითა) დამრკუალულ არს: იქვე, 29 რ, 2 ქვ.; დამრკუალული იქვე, 214 ვ, 1 ქვ.; სამრკუალთა მკედელთაგან განწყედილითა განმრკუალულსა: იქვე, 11 რ, 1-2; შექმნაჲ სამრკუალთა მახულითა: იქვე, 271, რ, 1; კამლნი გრძელითა სამრკუალითა განმშუქუალენით და სამშუქუალნი მართალ ყვენით და შეასხენით მაგას: იქვე, 265 ვ, 13.

როგორც ამ უკანასკნელი მაგალითებიდან ჩანს, რ-ს პოზიცია მერყევიანია: ხან არის, ხან — არა. ერთსა და იმავე წინადადებაში არის რაეანი ფორმა სამრკუალითა, მაგრამ ორში რ არ არის: განმშუქუალენით და სამშუქუალნი.

რაც ითქვა სამრკუალზე, იგივე შეიძლება ითქვას ბრკობა-განბრკო ფორმების შესახებაც: მერყეობა და ყოყმანი რ-ს დაწერაში აქაც ჩანს. ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილ ორ მაგალითში (განბრკვე 222 ვ, 2; განბრკო 222 ვ, 5) ეს რ მერმე ამოუფხვკიათ, თუმცა კვალი კარგად ჩანს ამჟამადაც. ჩანს, რედაქტორს (შეიძლება თვით გადამწერსაც დაწერის შემდეგ) არ მოსწონებია რაეანი ფორმები და რ ამოუფხვკიებია.

სხვა მაგალითები:

ისხნეს ორ კაც: ერთი იგი მკრცოვანი<sup>2</sup> და ერთი იგი ჭაბუკი: ისტ. ქრ. I, 300, 35; სინ. 68, 35; ხოლო რომელნი დამკრცოვნებულ იყვნენ: Sin. 35, 287 va, 14; მიმკრცოვანებამდე და სიბერემდე: ფს. 70, 18 D; ვიდრემდის დავარჩიოთ ჭაბუკოვანი: აპოკრ. 33, 21.

ქვეროვანი უძვ. რედ. 91, 25; 132, 34. ექუსთ. 111, 19. აქ შენაცვლება უფროა, ვიდრე გაჩენა: რ ნ-ს უნდა ენაცვლებოდეს, რადგან უკანასკნელი მაგალითის ვარიანტში სწორედ წარიანი ფორმა გვაქვს — ქვენოვანი. შდრ. მრავლობითის ფორმა ქვენები (ლ. 3, 5), სადაც ნ ფუძისაა.

არა აქუნდა მათ სხუაჲ მღრღელი: კიმ. I, 268, 21 ა; მღრღელთ-მოძღუარხო Опис. 181, 9.

იყო სიყრმილი ეგვტეს: მოც. 7, 11 D; გამოზრდად მათდა სიყრმილსა: ფს. 32, 19 A.

საფურძველი ლ. 6, 48 D; ლ. 14, 29 D; საფურძველისა ლ. 6, 49 D<sup>2</sup>; საფურძველნი ფს. 86, 1 B; საფუძრველნი ფს. 17, 8 B.

ამის სიტყვასათვის გული განიწყრეს ჰურიათა მათ: აგ. ძეგ. I, 40, 33 DG. აქ რ შეიძლება განწყრომა-ს ანალოგიით იყოს გაჩენილი.

რამთა ურნატსა სულისა ჩუენისასა დაერნერგოს: აგ. ძეგ. I, 54, 20 B. ალბათ, მომდევნო რ-ს გავლენით.

<sup>1</sup> ამ ფუძის რ-ს ეხებოან ა. შანიძე (სინური მრავალთავი 864 წლისა, გვ. 314) და ბ. ძიძიშვილი (ფონეტიკური პროცესები, გვ. 120).

<sup>2</sup> ბ. ძიძიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 120.

<sup>3</sup> იქვე.



რომელ-იგი მოკლულა ჩუენ ცოდვილთათჳს და ც რ უ რ თ ა: ისტ. ქრ. II, 32, 39 (ხელნ.). შეიძლება წინამავალი რ-ს გამო.

გი ძ ლ ა ე რ ს თუ რამემ საქმედ, იქმოდე: აპოკრ. 35, 5 D. შეიძლება მ ძ ლ ა ე რ-ის ასოციაციით.

ტ ა ზ ა რ თ ა ნ ა ბ უ ქ ო ლ ო რ ნ ო ს ო რ ი ს მეფისათა: ისტ. ქრ. II, 84, 18. რ შეიძლება მომდევნო რ-ს მიზეზით იყოს ჩართული.

შესაძლებელია რ გაჩენილი იყოს ს ა წ უ თ რ ო-ში, რადგან იგი ს ა-ო აფიქსებით ნაწარმოები სახელია: ს ა წ უ თ-ო, რაც წუთიერს, წარმავალს, დროებითს ნიშნავს. გვაქვს ასეთი ძველი წარმოების ნიმუშებიც:

უამი სიხარულისაჲ არს არა თუ ს ა წ უ თ ო ა ს ა ა წარმავალი, არამედ რომელი ჰგეის საუკუნოდ, რამეთუ ს ა წ უ თ ო ა დაილევის და სიხარული მისი განქარდების: წარტყ. 30, 1-2; საუკუნოჲ იგი ცხორებჲა უფროჲს ს ა წ უ თ ო ა ს ა ამის აღირჩიეს: წარტყ. 21, 9; არღარა ჰამო არს ცხორებჲა ესე ს ა წ უ თ ო ა ს ა ამათ თანა: ბალ. 25, 29 ბ; წინა უყოფდა პატივთა და საშუეზელთა ს ა წ უ თ ო ა ს ა თ ა: ლიტ. ქრ. 250, 42. ს ა წ უ თ ო გვაქვს ოთხთაჲის გიორგისეულ რედაქციაშიც: მ. 13, 21 (ვანი, ეჩმიად.), მრ. 4, 17 (ვანი, გელათი, ეჩმიად.).

რ-ს დამკვიდრებას ამ სიტყვაში შემდეგში ხელი შეუწყო ს ა წ უ თ ო ს ა და ს ა წ უ თ ო რ ო ს შორის სემანტიკური ღიფერენციაციის დამყარებამ: ს ა წ უ თ ო რ ო გასუბსტანტივდა, ს ა წ უ თ ო ზედსართავად დარჩა.

რამდენიმე მაგალითი:

ძირი არა აქუნ გულსა თჳსსა, არამედ ს ა წ უ თ ო რ ო არს: მ. 13, 21; ს ა წ უ თ ო რ ო არიედ: მრ. 4, 17; ცხორებასა ამის ს ა წ უ თ ო რ ო ა ს ა ს ა: ისტ. ქრ. II, 50, 4; იყავნ არიოს კრულ... ამას ს ა წ უ თ ო რ ო ს ა და მერმესა მას საუკუნესა: იქვე, 75, 16.

რ ჩნდება აგრეთვე ძველი ქართლის ცნობილ უ რ თ ი ე რ თ ა ს სიტყვაში: უ რ თ ი ე რ თ ა რ ს ი. 7, 35 D; ებ. იაკ. 4, 11 ლG; 5, 9 ლGE; 5, 16 ლG; 1 პეტ. 1, 22 ლG; 5, 5 ლEG.

ეს მოვლენა ბევრს აქვს შენიშნული<sup>1</sup>, მაგრამ მისი ახსნის ცდა კი ვ. თოფურიამ მოგვეცა. ავტორის აზრით, რ ა ქ ა რ ს ზმნის ასოციაციით უნდა იყოს გაჩენილი: უ რ თ ი ე რ თ ა რ ს<sup>2</sup>.

### ჩ ნ დ ე ბ ა კ

და იყო ყოველი გუამი მისი გამკმარ და დამქკნარ: ბალ. 85, 18 ბ; მკვდრნიცა მის აღგილისანი... განყვთლებულნი, დაწერტილნი და დამქკნარნი და დამღიერებულნი: შუშ. (აგ. ძეგ.) 25, 15 H. ჩვეულებრივ, რასაკვირველია, კ არ არის ამ ფუძეში:

<sup>1</sup> ნ. მარი, Описание грузинских рукописей Синайского монастыря, 1940, გვ. 153; ქ. ლორთქიფანიძე, კათოლიკე ეპისტოლეთა ქართული ვერსიები X—XIV საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით, 1956, გვ. 120; მ. ძიძიშვილი, ფონეტიკური პროცესები, გვ. 123.

<sup>2</sup> ვ. თოფურია, ბრუნების სისტემისათვის სვანურში ქართველურ ენათა ბრუნებასთან შედარებით: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. V, № 3, გვ. 340.

ყუაველი იგი მათი დააკნეს: Sin. 36, 46 a, 11 ქე.; მან უყამოდ... ყუა-  
ვილი ჩემი დააკნო: შუშ. (აგ. ძეგ.) 26, 34; გუამნი ჩუენნი და მქნარ  
არინ: საკ. წიგ. II, 90, 18.

### ჩ ნ დ ე ბ ა ს

შემზადებული... სპილენძისა და რკინისაგან: სწავ. 160, 12; შეაყე-  
ნეს იგი სპილენძისა კერპსა შინა: სწავ. 205, 23; მოაქუნდა შესაწირავი  
იგი მათი ლანკნებითა სპილენძისა და ბრპენისათა: რავაზ 82, 16; და  
იყო კასრი მათი მოსხმული აბანოსითა და პილომს-ძუალითა და სპილენ-  
ძითა: კიმ. I, 202, 13; ხუთ ათას სიკლა რკინით სპილენძითურთ:  
1 მეფ. 17, 5; დგაკაცი ერთი სპილენძისა: მოქც. 92, 3; შეკრა იგი საკრ-  
ველითა სპილენძისათა: 2 ეზრა 1, 40; საწმერთულნი სპილენძი-  
სანი: იბ. დაე-გოლ. 319 a.

ეს ფუძე უხანოდ ჩვეულებრივია ძველ ტექსტებში, მაგალითად: ნუცა  
სარტყელსა შინა პილენძი: მრ. 6, 8 C; ნუცა პილენძსა სარტყელთა  
შინა: მ. 10, 9 C (ნ. ამის შესახებ ზემოთაც, გვ. 34).

შიგან მკეცი სპილოსა ოდენი: ამირანდარეჯ. 48, 6 BFQS (სპილოს  
GLNR); და იყო საზომი მის მფრინგლისა სპილოსა ოდენი: იქვე, 84, 2 CS;  
ამას სპილოს წინა ორნი მონანი მოვიდოდეს: იქვე, 206, 1 K; გამოიყუანინან  
სპილო: იქვე, 402, 7 CGNOPQT. ვარიანტებში აქ ყველგან უფრო ძველი  
პილო-ცა გვაქვს. უფრო ძველ ძეგლებში, რათქმაუნდა, ხანი არა ჩანს ამ ფუ-  
ძეში: არა მიკვრს სიდიდე პილომსა ოდენ: უძვ. რედ. 133, 2; პილოსა  
განკურვებულსა ვბრძანო შეგდებამ შენი: საკ. წიგ. II, 40, 4; შეაგდეს იგი პი-  
ლოსა მას განკურვებულსა: იქვე, 40, 6. ხ არ არის აგრეთვე ამ ფუძიდან  
ნაწარმოებ ფორმებშიც: და იყო კასრი მათი მოსხმული აბანოსითა და პი-  
ლომს-ძუალითა და სპილენძითა: კიმ. I, 202, 12; ყოველივე ჰურტელი  
პილომს-ძულისა: გამოცხ. 18, 12 (ნ. ზემოთ, გვ. 34).

ხ-ს განვითარებულად თვლიან აგრეთვე ს-წ რაფა ფუძეში<sup>1</sup>:

ნურას ისწრაფო: შუშ. 7, 29; გონებამ ისწრაფის: ხანძთ. 113, 2;  
მევისწრაფდი გამოსლვად: შუშ. 7, 26; ისწრაფდი დღე დაღამე  
ლოცვასა: სწავ. 132, 12; ისწრაფდა და წინაუძლოდა: წარტყ. 7, 13;  
ვისწრაფე სივლტოლად: იონა 4, 2; ისწრაფა აბრაჰამ შესლვად კარ-  
ვად სარამსსა: დაბ. 18, 6; ასწრაფებდეს ებიფანეს ნავითა წასულად  
პრომედ: საკ. წიგ. II, 126, 18; სწრაფამ იქვე, 86, 28; წარტყ. 38, 23; სწრა-  
ფისათვის სწავ. 31, 29; სწრაფით საკ. წიგ. II, 54, 3; წარტყ. 43, 17;  
შუშ. 9, 5; მოსწრაფედ უძვ. რედ. 52, 18; მოსწრაფებით, იქ-  
ვე, 40, 32.

მაგრამ უძველეს ტექსტებში უფრო ხშირია უხანო ფორმები, მაგალითად:  
იწრაფა და გარდამოქდა: ლ. 19, 6; იწრაფა შესაქმელ: დაბ. 18, 7; ზაქე,

<sup>1</sup> მ. ძიძიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 124.

იწრაფე და გარდამოქედ: ლ. 19, 5; უფროსლა იწრაფეთ: 2 პეტ. 1. 10 A; გუაწრაფებდა მიახლებად სასუფეველსა: ისტ. ქრ. I, 41, 27; წრაფაა იქვე, 42, 17; ღრუბელი მოწრაფე: ისტ. ქრ. I, 273, 5; წიგნათა კითხვად მოწრაფე ხიყო: იქვე, 42, 37; მოწრაფებაა, იქვე, 42, 16.

### ჩ ნ დ ე ბ ა ლ

ჰმსახურებდეს კერპთა ყრუთა... ხეთა და მალალთა სერტყლთა: აგ. მეგ. I, 38, 7 A (სარტყელთა-ს ასოციაციით ჩომ არა?).

### ჩ ნ დ ე ბ ა ლ

დღენდღელად დღედმდე: ისტ. ქრ. II, 77, 31; 116, 7; საე. წიგ. II, 31, 30; 90, 21. ახასიათებს სინურ ხელნაწერს (№ 11). გაჩენილათ, რომ ვამბობთ, საფუძვლად ვგულისხმობთ საყოველთაოდ გავრცელებულ ფორმას „დღენდღელად დღემდე“. დელ საწარმოებელ აფიქსად მიგვაჩნია (შდრ. გუშინდელი, შარშანდელი, მაშინდელი, აქამდელი, წედანდელი...). შესაძლებელია ამ დელ-ში უფრო ძველი „დღელი“ იყოს შემოსული. მაშინ აქ ლ-ს გაჩენაზე კი არა, არამედ დღენდღელად-ში ლ-ს დაკარგვაზე უნდა ვილაპარაკოთ.

### ჩ ნ დ ე ბ ა ყ

წყრფელ არიან გზანი უფლისანი: ოსე 14, 10 ლატ. (წყ პარმონიული ჯგუფის მოძალებით ხომ არა? შდრ. ტკბილი // ტყბილი).

### ჩ ნ დ ე ბ ა ზ

ვალ. ვედ, ვიდ ზმნის მეორე სუბიექტური პირის ფორმებს ხანის წინ ხშირად ერთვის ზ (გარდაჰხუალთ). ამას მორფოლოგიური საფუძველი აქვს: ამის დამწერთ (და მთქმელთ) ზ უკვე ძირის კუთვნილებად მიაჩნიათ და მეორე სუბიექტური პირის ნიშნად ზ-ს ურთავენ. მაგალითები:

გამო-რამ-ჰხვდოღით მრ. 6, 11 E; ლ. 9, 5 DE; გამოჰხუეღით ლ. 7, 26 D; ჰხვდოღი მ. 8, 19 E; ი. 21, 18 DE; შე-არა-ჰხუალთა ლ. 11, 52 D; თქუენ გარდაჰხუალთ მცნებასა ღმრთისასა: მ. 15, 3 E; შე-რამ-ჰხვდოღით მრ. 11, 2 DE; 14, 13D; შეჰხვდეთ ლ. 10, 5 D; 10, 8 D; 10, 10 D; გამოჰხუედა Sin. 36, 323 ხ, 10 ქვ.

• ზ ჩნდება აგრეთვე სხვა პირობებში ზოგი სხვა თანხმოვნის წინ, მაგალითად: მცნებანი უფლისანი ჰხარკ არიან ყოველსა ქუეყანასა ზელა: Sin. 35, 23 va (იქვე იკითხება: ხარკსა, ხარკი); ჰრქვმად (=ჰრქუმად) იქვე.

184 rb, 11; ჰქმად (=ჰრქემად): იქვე, 184, rb, 18; ხედჰეენ იქვე, 304 ra, 12-13; ჰხედვისაგან Sin. 36, 18 b, 1 ქვ.; ჰხედვაა იქვე, 124, 11 ქვ.; ჰლირწობანი ბოლნ. 67, 10; შნშ. 7 (გამოც. ჰლირწებონი); რაათა გულისჰქმა-ჰყო: სწავ. 146, 23 A.

განსაკუთრებით ხშირია ჰ-ს გაჩენა ხ-ს წინ სინურ მრავალთავეში, მაგალითად:

ჰხესა 201, 4; ჰხისა 201, 4; 202, 28; ჰხეო 201, 1; ჰხილვასა 197, 26; ჰხილვად 206, 15; 208, 28. როგორც ვნახეთ, ჰ-ს გაჩენა ზოგიერთი თანხმონის წინ მართო სინურ მრავალთავეში არა გვხვდება, მას სხვა ხელნაწერშიც აქვს ადგილი (შდრ. ზემოთ ჰხარკი, ჰხედვაა, ჰხედვისაგან, გულის-ჰქმა-ჰყო...). საკითხის ასახსნელად გამოთქმულია რამდენიმე მოსაზრება და მკითხველს იქ წარვგზავნი<sup>1</sup>.

---

<sup>1</sup> ა. შანიძე, სინური მრავალთავე 864 წლისა, გვ. 305; ი. იმნაიშვილი, სინური მრავალთავეის ზოგიერთი ფონეტიკურ-ორთოგრაფიული თავისებურება: თბილ. უნივ. შრომები (ფილოლოგიურ შეცნიერებათა სერია), 93, 1960, გვ. 60—63.

## 8. ასიმილაცია

✓ ასიმილაცია ძველ ქართულში ძალზე გავრცელებული ფონეტიკური მოვლენაა. ხშირია კონტაქტური ასიმილაცია, თუმცა არც დისტანციური ასიმილაცია იშვიათი. გვხვდება როგორც რეგრესული, ასევე პროგრესული ასიმილაციაც. ეს ყველაფერი თანხმონებს შეეხება, ასიმილაციური ნაირსახეობანი უმთავრესად თანხმონებში იჩენს თავს. უფრო ნაკლებად გილი აქვს აგრეთვე ხმოვნების ასიმილაციასაც. ✓

### A. თანხმონათა ასიმილაცია

თანხმონათა ასიმილაციურ ცვლილებებში უფრო ხშირი იყო ყრუ თანხმონის მიერ მეზობელი მეღერის დაყრუება, უფრო იშვიათი — მეღერის მიერ მეზობელი ყრუ თანხმონის გამეღერება.

✓ სხვებზე მეტად დ-ს მოსდის ასიმილაცია. იგი ყრუვდება და იმის მიხედვით, თუ რა სახის თანხმონი ახდენს მასზე გავლენას — მკვეთრი თუ ფშვინვიერი, ვლბულობთ ტ-ს ან თ-ს. უკანასკნელი სახეობა უფრო ხშირია.

✓ დ→თ: განკფდების—გ ა ნ კ ფ თ ე ბ ი ს; თეკლ. 123, 27 A; მოჰყფდებოღეს—მოჰკფთებოღეს: სინ. 223, 15. აქ ასიმილაცია ფშვინვიერი ფ (ძირია კ ა ფ), რჩმელიც მომდევნო მეღერ დ-ს აყრუებს და ფშვინვიერ თ-დ აქცევს ასიმილაცია, როგორც ვხედავთ, პროგრესული და კონტაქტურია. არსებითად ასეთივე ხასიათისაა აგრეთვე გ ა ნ ი ფ რ თ ე ნ ი თ: ესაია 52, 3 ლატ. ოშკისა და იერუსალიმურ ნუსხებში სწორი, უასიმილაციო ფორმაა: გ ა ნ ი ფ რ დ ე ნ ი თ (ფ ა რ დ ძირიდან).

წ უ ე დ ფუძეში ე-ს ამოღების შემდეგ წ გავლენას ახდენს დ-ზე და აყრუებს მას, მაგრამ მოსალოდნელი მკვეთრი ტ-ს ნაცვლად გვაქვს ფშვინვიერი თ (წტ კომპლექსი ქართული ენის ფუძეებში არა გვაქვს): მ ი ს წ უ თ ე ბ ო დ ა: კიმ. I, 222, 33; ა უ წ უ თ ო მ ე ლ ს ა ნ უ ე წ უ თ ე ბ ი: ბალ. 58, 4 ბ (ა: ნუ ეძიებ მ ი უ წ დ ო მ ე ლ ს ა); მ ი წ უ თ ო მ ი ლ ხარ საზომსა ხილვისა მისი-სასა და მ ი ს წ უ თ ე ტ ა: ბალ. 30, 27, 29 ა. ფორმაში თ-ს დამკვიდრების შემდეგ თ რჩება ე-ს შეუქმნველობის შემთხვევაშიც: რომელსა ვერ მ ი ს წ უ ე თ: ბალ. 68, 36 ა (—მისწუედ). აქაც ყველა მაგალითში პროგრესული ასიმილაცია გვაქვს, უფრო ხშირად დისტანციური.

გ ა რ დ ა ჰ კ თ ა ე რ ე დ ე ს წ ა რ წ. (ისტ. ქრ. I, 3); კ რ ე თ ს ა ბ მ ე ლ ი ს ი ნ. 26, 1; 92, 31. ჩვეულებრივია კ რ ე ტ ს ა ბ მ ე ლ ი: მ. 27, 51; მრ. 15, 33; ლ. 23, 45. ორივენაირი ფორმა უნდა მომდინარეობდეს კ ა რ ე დ ს ა ბ მ ე ლ-ისაგან (კარედ=კარების). ამ უკანასკნელიდან ა-ს ამოღების შემდეგ გვაქვს

კ რ ე დ ს ა ბ მ ე ლ ი: აღწ. 229, 12; საკ. წიგ. II, 18, 13; Sin. 97, 122 rb, 17 (დანარჩენი ორიც ამავე ხელნაწერიდანაა). კ რ ე თ ს ა ბ მ ე ლ -ის ბგერაგადასმული სახეა კ ე რ თ ს ა ბ მ ე ლ ი, რომელიც ხშირად გვხვდება წინასწარმეტყველთა იერუსალიმურ ნუსხებში (ეხეკ. 40, 38 და სხვ.).

რეგრესული ასიმილაცია გვაქვს ბ რ ძ მ ე ლ -ში: მომდევნო ყრუ .თ და ხ აყრუებს ღ-ს და თ-ღ აქცევს (სრული რეგრესული კონტაქტური ასიმილაცია): ბ რ ძ მ ე თ თ ა: სინ. 255, 13; უდაბნ. 61 ra; ბ რ ძ მ ე თ ს ა: Sin. 36, 133 b, 19; 5 ქვ.; 387 b, 2 ქვ.; სას. პ. 141, 136; 259, 46.

მას შემდეგ, რაც თ აღწერილ პირობებში დამკვიდრდა ამ სიტყვაში, მას ვხედავთ სხვა შემთხვევაშიც, როცა ასიმილაციის მიზეზი აღარაა: ბ რ ძ მ ე თ ი სას. პ. 95, 144; ბ რ ძ მ ე თ ი ს ა გ ა ნ Sin. 35, 185 va, 3.

ესეოდენ—ესოდენ—ესდენ—ეს თ ე ნ: ეს თ ე ნ ე ამ თქუნ თანა ვარ: ი. 14, 9 C; ეს თ ე ნ ი სასწაული ექმნა მათ წინაშე: ი. 12, 37 C; ეს თ ე ნ ი თ ა (თევზითა) საესე იყო: ი. 21, 11 C (ნ. ა. შ ა ნ ი ძ ე: ცხ. ეფთ. 69).

და შ თ ა: მ. 22, 25; ლ. 2, 43; ი. 6, 13 C; დ ა ვ შ თ ი თ კ ი მ. I, 208. 34; დ ა შ თ ე ს: მ. 24, 2; ლ. 17, 35; ი. 6, 27 C; დ ა ვ შ თ ე თ კ ი მ. I, 213, 23. ამ დ ა მსგავს მაგალითებში შ თ—შ დ—შ ე დ. შ დ რ. დ ა შ დ ა რ ი ც ხ. 26, 65; დ ა შ დ ე ს: მ. 24, 2 C; მ რ. 13, 2 C; დ ა ა შ დ ლ უ ნ ნ ე ს ა მ ო კ რ. 5, 34.

შეიპყრა იგი და შეაშთობდა მას: მ. 18, 28; შეაშთვეს იგი: მ. 13, 7; ლ. 8, 7; შეაშთვეს მ. 13, 22 DE; შეაშთვიან სიტყუა: მ რ. 4. 19. მაგრამ შ თ—შ დ, უფრო ზუსტად: შე თ—შ ე დ. ძველ ქართულში აჩვენებობს დონიანი ფორმებიც: შე ა შ დ ე ვ ს მ რ. 4, 7 C; შე ა შ დ ვ ი ს ს ი ტ ყ უ ა: მ. 13, 22 C<sup>1</sup>.

ამავე ძირისაგან მომდინარეობს შ ი შ თ ვ ი ლ -ი ბ ა: იუდა... შ ი შ თ ვ ი ლ -ი ბ ა და მოკულა: მ. 27, 5 DE. მაგრამ აღიშის ოთხთავს დაუცავს უფრო ძველი, დონიანი ფორმა: შ ი შ უ დ ი ლ -ი ბ ა (იქვე C). ასეთივე ძველი ფორმა აქვს შემონახული აგრეთვე ლაგურკის ლექციონარს. ამ მაგალითებში (შეაშთვეს, შიშთვილ-იბა), როგორც გამოჩვენებულია, ასიმილაცია მეტათეზისის შემდეგ არის მომხდარი<sup>2</sup>.

სამოთხე უ თ ქ ს და სასუფეველი: ბალ. 25, 25 ა. უ თ ქ ს—უ დ გ ს. როგორც ვხედავთ, აქ გ-საც მოსდის ასიმილაცია: ღ—თ, გ—ქ. პირველად სწორედ გ უნდა დაყრუებულიყო ხ-ს გავლენით და ქ-ღ ქცეულიყო, ხოლო ამის შემდეგ ქ-ს გავლენით რეგრესულად ღ-საც მოსვლოდა ასიმილაცია: უ დ გ ს—უ დ ქ ს—უ თ ქ ს. ასეთივე მაგალითებია: ჩუნ... შე გ ი თ ქ თ შე ნ: მ. 19, 27 C; ლ. 18, 28 C. შე გ ი თ ქ თ—შ ე გ ი დ გ თ, როგორც ვაქვს კიდევაც E-ში. D-ში პირველ მაგალითში (მ. 19, 27) დაცულია ღ-ს ასიმილირებული სახე, მაგრამ გ ხელუხლებლად არის დატოვებული: შე გ ი თ გ თ. სხვა მაგალითები: არა შე ე უ თ ქ ს: ბალ. 51, 33, 35 ბ; 52, 1, 2, 4, 5 ბ (ხუთ უკანასკნელ მაგალით-

<sup>1</sup> კ. თ. ოფური, ფონეტიკური დაცირებები ქართულურ ენებში, I, ბგერით მოვლენათა თანამიმდევრობა: მიომიზილელი, I, 1926, გვ. 213—214; თ. გამყარელძე, სიბილანტა შესატყვისობანი და ქართულურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი, 1959, გვ. 68.

<sup>2</sup> კ. თ. ოფური, დასახელებული ნაშრომი, იქვე.

ში ვარიანტებში იკითხება ამოსავალი შეუდგს); არა შეუთქსა: ბალ. 51, 30 ბ.

ღ—ტ: ღაღატ-ყყავ სინ. 158, 29; ღაღატ-ყო! მ. 14, 30 CD; მრ. 1. 26 C; სინ. 5, 29; 12, 18; 13, 17; 73, 9; ღაღატ-ყყეს: მ. 14, 26 C; მრ. 6. 49 C; ი. 18, 40 C; სინ. 183, 4; ღაღატ-ყყის ლ. 9, 39 C; ვლღატ-ყყოთ სინ. 20, 25. ამ მაგალითებში ასიმილაცია რეგრესულია, უმთავრესად კონტაქტური, თუმცა პირველი სუბიექტური პირის ნიშანი ვყოველთვის ვერ აკავებს პროცესს და დმინც ყრუვდება მომდევნო მკვეთრი ყ-ს გამო (ვღაღატ-ყყავ. აქ აღსანიშნავია ისიც, რომ ამ რთულ ზმნას პირის ნიშანი თავშიც გასჩენია: ვ-ღაღატ-ყყავ; ჩვეულებრივია ღაღატ-ყყავ).

სრული რეგრესული დისტანციური ასიმილაციის მაგალითს წარმოადგენს ტრტკნვიდეს მ. 20, 11 C. კრეტსაბმელის (—კრედსაბმელი—კარედსაბმელი) შესახებ უკვე იყო ლაპარაკი ზემოთ (გვ. 46—47) და აქ აღარ გავიმეორებთ.

უპირატშსი ი. 1, 30 M (მესტიის ოთხთ.), უპირატეს: იქვე A (ოპიზ.). სხვა ოთხთავებში (BCDE...) გვაქვს უფრო ძველი უპირადშს // უპირადეს. აქ ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ოპიზის ოთხთავში (გადაწერილია 913 წ.) სიტყვის ბოლო სამი ასო (ტეს) გაცხოველებულია და სხვა ხელით არის დაწერილი.

ღა მტარვალთა მათ აღელო გურდემლი იგი და კეტო, და მოეწყო და მოკმუსრვიდეს წვეთა წმიდათა მათ: ანდრიან. 225, 27. აღსანიშნავია, რომ ეს ქართული სიტყვა სომხურში კედ ფუძით არის შესული (იქვე, 225, 25). კედ ფუძე გვაქვს აგრეთვე სხვა ძველ ქართულ ძეგლებშიც, მაგალითად: აღილეს ცულები და ჰამები და სათხრელები და კედები: კიმ. II, 166, 20; შეკრბეს სათხრელები და ჰამები და კედები რკინისა: იქვე, 212, 20. ცხადია, კეტ—კედ.

ღ ჭერ კიდევ არ არის ასიმილირებული შემდეგ სიტყვებში:

ა) წრეღა (—წრეტა): აღმოიწრიდეს სას. პ. 92, 59; აღმოიწრიდეს Опис. 194, 19; გამოწრიღა კიმ. I, 321, 9; დაწრიღოს ლევ. 5, 9; მოსწრიღოს წყალი: ესაია 30, 14.

ბ) ნაწყუელი: ნაწყუელი ესე წიგნისა: Опис. 36, 21; მკედისა ნაწყუელითგან: დაბ. 14, 23 პარ.; ნაწყუელი ბი დაწერე: Опис. 73, 8 ქვ.

ზოგ ძველ, მოგვიანო ხანის ძეგლებსა და ახალ ქართულში კი გვაქვს წრეტა (დაწრიღა), წყეტა (ნაწყუეტი).

ღ—თ: შემოვიღა ქალაქსა თფილისსა: Sin. 11, 294 v, 14 (ჩვენი დედაქალაქის ასეთი სახელწოდება, რომელიც სალაპარაკო ენაში გვხვდება, პირველად ამ ხელნაწერშია დადასტურებული).

მეტად საინტერესო ფორმაა პეთეპრე (—პეტეფრე); საქ. წიგ. II, 64, 35; 65, 9. მასში, ერთი მხრივ, გვაქვს სრული პროგრესული დისტანციური ასიმილაცია (პ... ფ—პ... პ), ხოლო, მეორე მხრივ, — ნაწილობრივი რეგრესული დისტანციური ასიმილაცია: ტ...ფ—თ...ფ. ასიმილატორი მერმე თვით განიცდის ასიმილაციას: ემსგავსება წინა პ-ს საესებით.

კბილისმიერი ბგერების შემდეგ ასიმილაცია ხშირად მოსდით ბაგისმიერსა და უკანანისმიერ სამეფლებს (ბ, პ, ფ; გ, კ, ქ).

ბ—პ: კ ა პ უ კ ი: მრ. 14, 51 E; 16, 5 E; კ ა პ უ კ მ ა ნ მ. 19, 20 E; კ ა პ უ კ ს ა მ. 19, 22 E; კ ა პ უ კ ო ლ. 7, 14 E; კ ა პ უ კ თ ა მრ. 14, 51 E; ს ი კ ა პ უ კ ი ს ა უ რთ. 62, 7 (პროგრესული დისტანციური ნაწილობრივი ასიმილაცია). აღსანიშნავია, რომ სამი შატბერდული ოთხთავიდან ასიმილაციური ფორმები მხოლოდ ერთს (პარხლისას) მოეპოვება (მისი გადამწერია ცნობილი იოვანე ბერა), ხოლო ორ დანარჩენს (ადიშისა და ჭრუქისას) ამოსავალი ბანიანი ფორმები აქვს დაკული (ჭაბუკი, ჭაბუკმან...)¹.

ექმენ ლუსკუმამ პ რ პ ე ნ ი ს ა მ: Sin. 11, 239, 7 (=აღწ. 28, 10). აქ გვაქვს რეგრესული დისტანციური სრული ასიმილაცია (ბ რ პ ე ნ ი ს ა მ—პ რ პ ე ნ ი ს ა მ).

კ ა პ ა რ ჭ ი: ხინ. 224, 6; ამირანდარეჯ. 233, 5. ძველ ქართულში ჩვეულებრივია უასიმილაციო, ბანიანი ფორმები: კ ა ბ ა რ ჭ ი ისტ. ჭრ. II, 41, 23; კ ა ბ ა რ ჭ ე ბ ი იქვე, 40, 37; კ ა ბ ა რ ჭ ნ ი Sin. 35, 189 rb, 1 ქვ. „ამირანდარეჯანიანის“ ზემოთ მოყვანილ ადგილას B ხელნაწერში კ ა ბ ა რ ჭ ი იკითხება.

განსაკუთრებით ხშირია ბ—პ ბ რ კ ო ლ ფუძეში. ეს უფრო მეტად მაშინ ხდება, როცა ფუძიდან რ ამოვარდნილია: ბ კ —პ კ. გამოიშველი რ რამდენადმე აკავებს ასიმილაციას, თუმცა ზოგჯერ კ-ს გავლენა რ-ს თანდასწრებითაც მტლავნდება. მაგალითები: ა) მ ა პ კ ო ლ ე ბ ს: Sin. 97, 1 va, 8 (=აღწ. 227, 4); ს ა კ. წიგ. II, 2, 22; რამათ არა დ ა პ კ ო ლ დ ე ნ: უღაბნ. 61 rb; ბ) რამათ არა დ ა ვ ა პ რ კ ო ლ ნ ე თ იგინი: მ. 17, 27 E; ყოველნი დ ა პ რ კ ო ლ დ ე ბ ო დ ე ს: მ. 13, 57 E; დ ა პ რ კ ო ლ დ ე ს: მ. 11, 6 E; 15, 12 E; დ ა პ რ კ ო ლ დ ი ა ნ მ. 13, 21 E (სხვა შატბერდულ ოთხთავებში აქაც ბანიანი ფორმები გვაქვს: დ ა ვ ა ბ რ კ ო ლ ნ ე თ, დ ა ბ რ კ ო ლ დ ე ბ ო დ ე ს, დ ა ბ რ კ ო ლ დ ე ს).

√ბ—ფ: ხ ე თ შ ა ფ ა თ ო / სწავ. 57, 2 C; შ ე მ ო კ რ ფ ა ყოველი ქალაქი: Sin. 11, 180 v, 2 (—შემოკრბა); შთაყვის (ფუცხვ) ემბაზსა, ანუ სიავსა, ანუ ქოთანსა, ანუ ქუ ა ფ ს ა: 1 მეფ. 2, 14 ლავ. (—ქუაზსა); ფ ი ს ო ნ ი თ ა ლ. 16, 19 ლატ. (—ბისონითა).

გ—ჭ: ასეთი მაგალითები ყველაზე ხშირია ერთ მორფოლოგიურ შემთხვევაში. როცა მეორე ობიექტური პირის ნიშანს გ-ს მოსდევს ზმნის ძირეული ც

¹ როცა ამოსავალ ფორმად ჭაბუკს მივიჩნევთ, ჩვენ ეყვარნობით პროფ. მ. ანდრონიკაშვილის მონოგრაფიას, რომელშიც ნათქვამია:

საშუალო სპარსული P გადმოცემულია ქართულში, როგორც მღერი ბ... სიტყვის შიგნით:

čapūk	ჭაბუკი
šapūk	სუბუკი
tāpak	ტაბაკი
kurpak	ქულბაკი.

საშუალო სპარსული G გადმოცემულია ქართულში ჭ აბ რ უ ბ ტ ი ვ ი თ თ ა ვ ი დ ო რ პ ო ზ ი ც ი ა შ ი:

čalāk	ჭალაკი
čapuk	ჭაბუკი

(ხარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, 1966, გვ. 183, 193, 200. მაშასადამე, ჭაბუკი—ჭაბუკი ქართულ ნიადაგზე უნდა მომხდარიყო).



და გვ კომპლექსი იცვლება ქართულისათვის ჩვეულებრივ ჰარმონიულ ჯგუფად კვ-დ: რისხვითა ჩემითა დაქცე შენ: ესაია 60, 10 პარ.; მე მიქცე თქუენ ძალი ჩემი: Sin. 35, 92 ra, 12; და მიქცე შენ ზოგი მეფობისა ჩემისაჲ: სინ. 209, 16, 23; მაშინ მიქცენ თქუენ ჰირსა: მ. 24, 9 ლაგ.; მი-ვე-ქცე სიმ-დიდრე: 3 მეფ. 3, 26; და სხუად ნუგეშინის-მცემელი მოქცეს თქუენ: სინ. 186, 19; უწოდე წყალთა და კმა-ქცეს: Sin. 36, 23 ა, 6 ქვ. (...კმა-გცეს: სწაე. 66, 23); რამთა არა შექცოდო შენ: ფს. 118, 11 B.

გ-ქ ხშირია აგრეთვე „შედგომა“ ზმნის ისეთ ფორმებში, რომლებშიც დეგ ძირი შეკუმშულია, აქ დგ კომპლექსი თქ-დ იქცევა: უთქს (—უდგს) ბალ. 25, 25 ბ; შეგიოთქ შენ: მ. 19, 27 C; ლ. 18, 28 C; არცა შეუთქს ბალ. 51, 33, 35 ბ; 52, 1, 2, 4, 5 ბ (ხუთ უკანასკნელ მაგალითში ვარიანტებში იკითხება ამოსავალი (შეუდგს); არა შეუთქსა ბალ. 51, 30 ბ (ნ. ამის შესახებ ზემოთ, გვ. 47—48 დ-თ-სთან დაკავშირებით); დათრქუნა არიმ. 9, 1.

კ-ქ: ვაშქარანი 1 მეფ. 17, 40. მაგრამ: ვაშქარანსა: იქვე, 17, 49.

✓ძალზე ხშირია მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირის ნიშნის ს-ს ასიმილაცია მომდევნო ბეგრებთან. ძველ ქართულში სჟ, სჰ, სჩ კომპლექსები ჩვეულებრივ შჟ, შჰ, შჩ კომპლექსებად იქცევა<sup>1</sup> მაგალითები:

სჟ—შჟ: ნუ დაშჯდები პირველსა საინაქესა: ლ. 14, 8 E; შენ დაშ-ჯდე საყდარსა: საყ. წიგ. 11, 131, 24; გზათა ზედა შჯედ: იერ. 3, 2 (ოშკი); შჯობდეს ჩემდა ყოფად მკუდრად: სვან. 221 a, 31; დავეშჯერდები თ Sin. 36, 322 a, 9.

ამავე წესს ემორჩილება ძირისეული სჟ (საჟ ძირიდან ა-ს ამოღების შემდეგ): ვშჯი: ი. 8, 15; 8, 16 C; შჯის ი. 8, 50 E; ნუ შჯით მ. 7, 1; შჯილით მ. 12, 7 C; ვშჯიდე ი. 8, 16; შჯილეს ი. 5, 22 C; შჯიდე თ მ. 7, 2; დაშჯის ი. 7, 51 E; დაშჯილეს მ. 12, 42; დაშჯილენ ლ. 11, 32 E; ეშჯინ სინ. 72, 6; განშჯად სას. პ. 20, 7. აქედან წარმომდგარი მიმღეობანიც ასევე შინითაა წარმოდგენილი: საშჯელი მ. 23, 13; საშჯელსა ლ. 10, 14; საშჯელითა მ. 7, 2; საშჯელად მ. 5, 40... შჯული მ. 7, 12; შჯულსა მ. 12, 5; შჯულისა მ. 5, 17; შჯული-საგან ლ. 16, 17 C; შჯულისაგანი მ. 5, 18.

ყველა ამ შემთხვევაში ს-ს უშუალოდ მოსდევს ჟ და შინად აქცევს (კონტაქტური ასიმილაცია). მაგრამ ასიმილაციური ფორმები ამ ფუძეში იმდენად ხშირია და საფუძვლიანადაა დამკვიდრებული, რომ აღნიშნული დამსგავსება მაშინაც ხდება, როცა ფუძისეული ხმოვანი ა არაა ამოღებული და ს და შ გათიშულია (დისტანციური ასიმილაცია), მაგალითად: მან შაჯოს იგი: ი. 12, 48 (სინ. ლექც.); ფარისეველნი დაიშაჯებიან: სინ. 92, 18; აქუს მშაჯული: ი. 12, 48 (სინ. ლექც.). ამნაირი ასიმილაციური ფორმები ძველ ქართულში იშვიათია და უმთავრესად ისეთ ბელნაწერებში გვხვდება, რომლებიც საერთოდ დიდი სიძველეებით ხასიათდებიან და ხალხურ ფორმებს ფართოდ უღებენ აკარებს.

რასაკვირველია, თავისთავად იგულისხმება, რომ ამოსავალი, უასიმილაციო, ხანინი ფორმებიც ხშირად გვხვდება ძველ ქართულში. ზოგჯერ ორივე-

ნაირ ფორმას იპოვის კაცი თვით ერთსა და იმავე ხელნაწერში. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი ხანიანი ფორმებისა: ნუ დასჯდები ლ. 14, 8 C; ვსჯი: ი. 5, 30 C; ი. 12, 47 C; სჯიდეთ ლ. 22, 30 C; ნუ დასჯით მ. 7, 1 C; დასჯიდეს ლ. 11, 31 C; დასჯიდენ ლ. 11, 32 C; სასჯელი მ. 12, 20 C; სასჯელსა მ. 23, 33 C; სასჯელისა მ. 5, 22 C; სჯულისაჲ მ. 23, 23 C; სჯობს Sin. 35, 71 rb, 8 ქვე; არცა დასჯერებიეს მისი: იქვე, 220 rb, 14. იშვიათად შეგვხვდება მეტად საინტერესო ფორმა ხანითაც და შინითაც ერთდროულად: ოდეს დასჯდეს სენაკსა შინა: Sin. 35, 212 ra, 1; კარაულიცა მეტი შენთვის მოგვბამს, რამთა დასჯდეს მას: საქ. წიგ. II, 100, 34 ზ. ესენი ასახვენი გარდამავალ საფეხურს ხანიდან შინისაჲ ენ, როცა სჭრება, მაგრამ შ საბოლოოდ დამკვიდრებული არაა.

სქ—შქ: ნუ შქამ მაძლიე: Sin. 35, 59 rb, 1 ქვე; შქამთ მრ. 2, 16 E; შქამდეთ ლ. 22, 30 E; შქამეთ ი. 6, 26 E; შქამო მრ. 14, 12 E; შქამოთ ლ. 12, 22; შე შქამს: კიმ. I, 149, 5; Sin. 35, 97 rb, 7 ქვე; შე შქამეთ: ლ. 20, 47 E; ესაია 9, 12; ექუსთ. 109, 31; ფს. 13, 4; მო შქამენ მესუეტ. 55, 30; გან შქამენ Sin. 35, 117 ra, 2; შე შქამენ: იქვე, 134 va, 8 ქვე; 289 ra, 8; იოველ 2, 5; შე შქამედ საქ. წიგ. II, 50, 24; შე შქამდა აპოკრ. 39, 28 D; შე შქამდეს: სწავ. 211, 29; შე შქამდენ: ეზეკ. 5, 10; 34, 28; მო შქამდენ: ბოლნ. 70, 15.

დაშქრიედ ხესა: პარხ. 873 a; დაშქრიდით: ეზეკ. 9, 5 (ოშქი); დაშქრიდეს Sin. 62, 36 va, 3; 129 vb, 9 ქვე; დაშქრიდენ მიქია 4, 3; მო შქრიდეს ლ. 6, 1 EM.

არარაჲ შქირნ ცხოვართათჳს: ი. 10, 13 E; ვითარცა შე შქირდა მას: კიმ. II, 161, 33.

ხანიანი ფორმები აქაც არაიშვიათად გვხვდება: სქამდეთ ლ. 22, 30 C; შე სქამენ: აღწ. 117, 9 ქვე; მრ. 12, 40 ლატ; შესქამდა აპოკრ. 39, 28 E; შესქამდეს დაბ. 40, 17 ლატ; შესქამდენ ესაია 1, 7 პარ.; დასქრიდეს ლიტ. ქრ. 83, 48; დასქრიდენ იქვე, 82, 40; სქირნ ი. 10, 13 C.

სჩ—შჩ: რამეთუ შჩა შენ აზნაურად: საქ. წიგ. II, 63, 4; ნუცა შენ აქა შჩა: აპოკრ. 67, 4; ...შჩან იქვე A; შჩათ, რამეთუ უღებ-გიყოფიან სიტყუანი: Sin. 35, 281 rb, 13; ქეშპარიტად გამოშჩნდი მონაზონთა სიქადულად: სას. 3. 38, 32; გამოშჩნდი შენ, ვითარცა მთიები ბრწყინვალეჲ: სას. 3. 91, 19; რაჲამს-იგი გამოშჩნდი მძღურად: სას. 3. 91, 24.

შჩული სინ. 239, 35; შჩულსა სინ. 239, 12; ოდეს ვინმე თანა-წარკდეს შჩულისა საზღვარსა: Sin. 35, 239 ra, 17 (...რჩულისა იქვე, ... 19); რომელი საშჩელი ზედა-აც მათ: იქვე, 220 rb, 10 ქვე; საშჩელი ღმრთისაჲ: იქვე, 232 vb, 4; შჩულიერად ილუწინ: იქვე, 260 rb, 11.

აქაც გვაქვს აგრეთვე ხანიანი ფორმები: გამოსჩნდი, სჩან, სჩული. ამ უქანასკნელისაგან ს და რ ბგერების მონაცვლეობის ნიადაგზე მიღებულია რჩული. შდრ. ამ ბგერათა მონაცვლეობის სხვა ფაქტები: სძალი // რძალი, სძე // რძე, სჯული // რჯული. სჯული, შჯული, შჩული და რჩული

აბსოლუტურად ერთი და იგივეა შინაარსით, მათი წარმომშობი საფუძველიც ერთი უნდა იყოს — ს ა ჯ უ ლ ი (—საჯული)¹.

ს...შ—შ...შ: ს-სა და შ-ს ახლო მეზობლობაში ერთად შეხვედრისას ხ სრულიად ემსგავსება შ-ს: შ ი მ შ ი ლ ი ს ა ჯ . წიგ. II, 55, 16, მაგრამ იქვეა ძველი, ამოსავალი ფორმა ს ი მ შ ი ლ ი : 1, 18; 2, 5.

შ ი შ თ ვ ი ლ - ი ბ ა მ . 27, 5 DE; შ ი შ უ დ ი ლ - ი ბ ა : იქვე C. ამოსავალი ფორმა დატული აქვს ლაგურკის ლექციონარს: ს ი შ თ ვ ი ლ - ი ბ ა .

დაფარე შ ი შ ი შ უ ლ ე ჩემი კაცთ-მოყუარებით: აღწ. 16, 22.

შ ა შ ო ე ა ლ - პირველისა და მეორისა: სინ. 192, 29; შ ა შ უ ე ა ლ : ბოლნ. 2, 17; 1 მეფ. 9, 14; 17, 3; 3 მეფ. 7, 47; 9, 24. უფრო გავრცელებულია ამოსავალი, ხანაიანი, უასიმილატო ფორმები: ს ა შ ო ე ა ლ : შ რ . 6, 47 C; 7, 31 C; ი . 19, 18 C; სინ. 139, 17; სწავ. 175, 13; ს ა შ უ ა ლ : ბოლნ. 73, 16; თუალთ 7, 30; ხანძთ. 128, 44; ზარზმ. 153, 29; ს ა შ უ ე ა ლ : პარხ. 1285 a; წარტყ. 13, 21; ეზექ. 10, 2.

ძ—წ: სამოსელი წ ო წ ე უ ლ ი : ი . 19, 2 ლაგ.; იმოსებოდა წ ო წ ე უ ლ ი თ ა : ლ . 16, 19 C. აქა გვაქვს სრული რეგრესული დისტანციური ასიმილაცია.

ჭ—ჭ: შეიმოსა სიმართლმ, ვითარცა ქ ა ჯ უ ლ ი : ესაია 59, 17 ლატ.; ტანსა მისსა ეტუა ქ ა ჯ უ ლ ო ქ ო რ ო მ ა მ ა : აგ. ძეგ. I, 119, 15. სხვა ხელნაწერებში, როგორც მოსალოდნელი იყო, გვაქვს ჯ ა ჯ უ ლ . აქაც იგივე სრული რეგრესული დისტანციური ასიმილაცია.

ძ რ წ — ზ რ ზ (წ — ზ) : ზ რ ზ ო ლ ა მ (—ძ რ წ ო ლ ა მ) : Sin. 11, 183 r, 9; ამაბაკუმ 3, 16; ვალობ. (ფს.) 4, 16. აქ ორი ფონეტიკური მოვლენაა ერთმანეთზე გადახლართული. პირველად უნდა მომხდარიყო ზ-ს შენაცვლება ძ-სთან: ძ რ წ ო ლ ა მ — ზ რ წ ო ლ ა მ, ამის შემდეგ კი სრული პროგრესული დისტანციური ასიმილაცია: ზ რ წ ო ლ ა მ — ზ რ ზ ო ლ ა მ (ნ. ქვემოთ შე ნ ა ც ვ ლ ე ბ ა , გვ. 128).

ღ—ყ: (აწლა—) ა წ ყ ა სინ. 89, 21; 187, 27; ფს. 76, 11 A. აქ წ-მ დააყრუა მეღერი ღ და მევეთრ ყ-დ აქცია.

დასასრულ, შევეხებით ერთი განსაკუთრებული სახის ასიმილაციას, რომელსაც ადგილი აქვს ევ სუფიქსიანი ზმნების II და III სერიის მწკრივებში. ეს ხდება სახელდობრ მაშინ, როცა პირდაპირი ობიექტი (ვნებითებში — სუბიექტი) ნარიანი მრავლობითის სახელობითში დგას, ევ სუფიქსისეულ ვ-ს იმსგავსებს ობიექტის აღმნიშვნელი ცალად დარჩენილ ნ (—ენ) და ვლებულობთ ორმაგ ნ-ს (ვნ—ენ). ამას ადგილი აქვს II (და III) სერიის ყველა მწკრივში, სადაც ენ სუფიქსი შეკუმშულია და მარტო ნ-ს სახითაა წარმოდგენილი (წყვეტილში მესამე პირები, II ხოლმეობითსა და II კავშირებითში — ყველა პირი). მაგალითები:

მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი : მიავლინნა ისარნი მისნი, გ ა ნ ა ბ ნ ი ნ ნ ა ი გინი: ფს. 17, 15 BE; გ ა რ დ ა მ ო ს თ ხ ი ნ ნ ა ძლიერნი საყდართაგან: ლ. 1, 52 B; მე ხვალე დ ა ვ ს თ ხ ი ნ ნ ე ქორციი შენნი: სინ. 213, 23; გ ა ნ ა რ ჩ ი ნ ნ ი ს ცხოვარნი თიქანთაგან: მ. 25, 32 B; გ ა რ დ ა მ ა ქ ც ი ნ ნ ა ჩუენ გზისა მისგან წრფელისა: ეპ. ანტ. 22, 2; გ ა მ ო ი ძ ი ნ ნ ე ს ურჩულოებანი მათნი: ფს.

¹ შ რ . მ . ძ ი ძ ი შ ე ი ლ ი , ფონეტიკური პროცესები, გვ. 52—53.

63, 7 B; ესევეთარნი ქირნი ჩუენ ზედა მოაწინა: თარგმ. გამოცხ. 16, 9 C და სხვა.

ვნებითი: განიზნინეს ყოველნი იგი მკეცნი: ასურ. 115, 7 CD; შეითხინელ სათხვეელთა მისთა ცოდვილნი: ფს. 140, 10 A; რამთა მივემთხვნეთ საუქუნესა მას აღნათქუემსა: ხანმ. მრავ. 4, b, 8 (ისტ. კრ. I, 42, 29); მიიწინეს აღვილსა ერთსა კლდესა: კიმ. II, 155, 34 და მრავალი სხვა<sup>1</sup>.

ორი ნარიდან ერთ-ერთის დაკარგვის შემდეგ უფრო ხშირად ერთი ნარილად დარჩენილი (გარდამოსთხინა ძლიერნი, განარჩინის ცხოვარნი... განიზნინეს ყოველნი, მიიწინეს იგინი...), მაგრამ ეს, როგორც ვთქვით, მეორეული მოვლენაა.

### B. ხმოვანთა ასიმილაცია

ხმოვანთა ასიმილაცია ძველ ქართულში, როგორც აღნიშნული გვექონდა, ძალიან იშვიათია. იქ ჰაქანებაც არ არის ისეთი ფორმებისა, როგორც არის დღეს ასე გავრცელებული დიალექტური წევიდა, წეილო, დოუძახა. დოუყვირა, დუუძახა, დუუყვირა და სხვა. ამნაირი ფორმების დასაწყისი ძალიან მოგვიანებით ჩნდება და ძველ, კლასიკურ ქართულში არა ჩანს. ამ მხრივ, თანხმოვნებისა და ხმოვნების ასიმილაცია სწორედ უკუპროპოციულია: რამდენადაც ხშირია და ენაში ფართოდაა მოდებული თანხმოვანთა ასიმილაცია, იმდენად იშვიათია და ნაკლებაა გავრცელებული ხმოვანთა ასიმილაცია.

უკჩვენებთ რამდენიმე შემთხვევას, რომელთაც არა აქვთ ტიპური ხასიათი: და ნუარასა შეუ რ გ უ ლ დ ე ბ ი: Sin. 6, 98 r, 11 (=საქ. წიგ. II, 101, 13). აქ სრული რეგრესული დისტანციური ასიმილაციაა. აქ არ უნდა გვექონდეს ო-სა და უ-ს ცნობილი აღრევა, როგორც ეს ზოგიერთი ძველისათვის არის დამახასიათებელი. Sin. 6 ხელნაწერს კი ასეთი რამ არ სჩვევია.

ხმოვანთა ასიმილაციის ნიმუშად ითვლება ისეთი გავრცელებული სახელი აველი ქართულისა, როგორიცაა ღმრთეება, რომელიც თითქმის ყოველთვის ქარაგმით არის დაწერილი: ღთეება, ღთეეება. ამოსავალ ფორმად მიჩნეულია. ღმრთეება, რომელიც სრული რეგრესული კონტაქტური ასიმილაციით იძლევა ღმრთეებას<sup>2</sup>. შავალითები:

იგინი ფერკ ექმნეს ღმრთეებასა: თარგმ. გამოცხ. 1, 15 a; რამთა აჩუენოს დიდებულებაა ქრისტჳს ღმრთეებისაჲ: იქვე, 1, 1; (ბუნება) ღმრთეებისაჲ: იქვე, 1, 15 a; (ბუნება) ღმრთეებისა და კაცებისა მისისაჲ შეურევენლად ეგნეს: იქვე; ღმრთეებისა ბრწყინვალებათა მიმართ: იქვე, 4, 8 a; სამგუამოვნებასა ღმრთეებისასა: იქვე, 4, 8 b; ღმრთეებით მისი აღმომაცმნებელი არს: იქვე, 5, 5; ბუნებითა ღმრთეებისაჲთა: იქვე, 5, 13.

<sup>1</sup> ნ. ამაზე უფრო დაწერილებით ი. იმნაიშვილი, მრჩობლი წ-ს ხმარების ერთი განსაკუთრებული შემთხვევა ძველ ქართულში: თბილისის უნივერსიტეტის შრომები (ფილოლოგიურ მეცნიერებათა სერია), ტ. 96, 1963, გვ. 117—137.

<sup>2</sup> ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 132; მ. ძიმშიშვილი, ფონეტიკური პროცესები, გვ. 53.

#### 4. დისიმილაცია

✓ დისიმილაცია ასიმილაციის საწინააღმდეგო ფონეტიკური მოვლენაა, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ორი ერთმანეთის მსგავსი ან ერთგვარი ბგერითიდან ერთ-ერთი იცვლება სხვა ბგერად, ხდება განმსგავსება, გადასხვაფერებზ.

✓ ძველ ქართულში დისიმილაცია საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა, მაგრამ არა ისე, როგორც ასიმილაცია. გვაქვს თანხმოვნების დისიმილაცია (უფრო მეტად), არის აგრეთვე ხმოვნების დისიმილაცია (უფრო ნაკლებად). გაცილებით უფრო ხშირია დისტანციური დისიმილაცია, უფრო ნაკლებია კონტაქტური. მიმართულების მიხედვით არის პროგრესულიც და რეგრესულიც. ✓

✓ თანხმოვნებში დისიმილაცია მოსდის სხვადასხვა ტიპის თანხმოვნებს, მაგრამ ყველაზე ხშირად და ფართო მოცულობით იგი გავრცელებულია სონორებში (რ, ლ, ნ, მ) ✓ დამახასიათებელია, რომ თიფოეული მათგანი დისიმილირდება ერთიმეორის საშუალებით: რ-რ იცვლება რ-ლ-დ (ან რ-ნ-დ), ლ-ლ გვაქვს ლ-რ-ს (ან ლ-ნ-ს) და ა. შ.

#### A. თანხმოვანთა დისიმილაცია.

✓ ქართულში თანხმოვანთაგან დისიმილაცია ყველაზე ხშირად რ-ს მოსდის: სიტყვაში შემავალი ორი რ-საგან ერთ-ერთი (უმეტესად მეორე) იცვლება და სხვა თანხმოვნად იქცევა. ამ შემთხვევაში რ-ს ცვლის ისევ ერთ-ერთი წარწარათაგანი, სხვებზე მეტად ლ, მაგრამ აგრეთვე ნ, მ-ც ✓

1 როცა ფუძეში რ-ც არის და ლ-ც, ასეთი ვითარებაა: გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ ვარეობას, თუ რომელი მ.თაგანია ბოლოს: უ რ სუფიქსისეული რ სწორედ მას განემსგავსება. ქ ა რ თ ლ სახელში ბოლო თანხმოვანია ლ, ამიტომ (თუმცა ფუძეში რ-ც არის) უ რ სუფიქსი ხელუხლებლი დარჩება (წინააღმდეგ შემთხვევაში უახლოეს მუხობლობაში ორი ლ გვექნებოდა: ქ ა რ თ ლ ლ). ლ ი რ ი კ ა სიტყვაში ბოლო თანხმოვანია რ, ამიტომ (თუმცა ფუძეში ლ-ც არის) უ რ სუფიქსისეული რ ლ-დ იცვლება, უახლოეს რ-ს განემსგავსება (წინააღმდეგ შემთხვევაში უახლოეს მუხობლობაში ორი რ გვექნებოდა: ლ ი რ ი კ რ ი).

პირველი ტიპის მაგალითებია (რ+ლ+რ=რ+ლ+რ):

ავსტრალიური  
ლატერალური  
ლიბერალური  
პარლამენტური  
(მაგრამ: პარლამენტარული)  
პორტუგალიური  
პრივილეგიური  
პრობლემატური

პროფესიონალური  
(სწორია: პროფესიული)  
რადიკალური  
რაციონალური  
რეალისტური  
რეალური  
რეკონსტრუქციური  
რეზოლუციური

რელიგიური  
რელიქტური  
რენტაბელური  
რენტგენოლოგიური  
რესპუბლიკური  
რეფლექსური  
რკალური  
რიოალიზატური

რ...რ—რ...ლ

რომელმან დააბრკოლოს ერთი მცირეთა ამოვანი ჩემდა მომართ მორ-  
წმუნეთაჲ... დაინთქას იგი უფსკრულთა ზღვსათა: მ. 18, 6; არა  
უბრძანოს მათ უფსკრულთა შთავრდომაჲ: ლ. 8, 31; მიმოვალნ ურ-  
წყულთა ადგილთა: მ. 12, 43; ლ. 11, 24; მანცა სუას ღვინსა მის-  
გან..., რომელი-იგი წდევლ არს ურწყულად სასუმელსა მას შინა რისხ-  
ვისა მისისასა: გამოცხ. 14, 10 (=უწყლოდ, შეუზავებლად); და იყო ადგილი  
იგი ურწყულ: საკ. წიგ. II, 97, 35 (=უწყლო); ვითარცა ქუეყანამან რაჲ  
წყურიდმდე აღმოაცმნის პირველად და უკუანაასკნელ ურწყულე ბისა  
მისგან, ზოგი ოდენ დაიმწიფის აღმოცმნებულისაჲ მის: იქვე, 143, 15 (=უწყ-  
ლობისაგან); არა იყოს სიხარული ჩუენი უგუნურად, პირუტყულად და  
განუზრახველად: სწავ. 166, 3. ამ მაგალითებში ურსუფიქსისიეული რლ-დ არის  
ქეუული, რადგან ფუძეში მათ წინ მიუძღვის მეორე რ (ფსკერ, უ-რწყ...).

დავასახელებ კიდევ რამდენიმე გავრცელებულ ფორმას:

დამარხულ არს ენაჲ ქართული დღედმდე მეორედ მოსლვისა მისისა:  
სინ. 283, 3; \* სახარებასა შინა ქართულსა: სინ. 283, 10; ქართულსა  
ენასა შინა ყოველი დაისწავლა: ხანძთ. 100, 35; ქებაჲ და დიდებაჲ. ქართუ-  
ლისა ენისაჲ: სინ. 283, 2; და შესძინა სწავლად ქართული სა მწიგნობ-  
რებისა და ზრახვისა ქსნილად: აბო 185, 22; ქართულითა ენითა ეჲში  
შეიწირვის: ხანძთ. 132, 38; ქართულად აღვწერენ ესე გალობანი: აღწ.  
11, 27; რომელ არს ქართულად: ხანძთ. 132, 39.

ვითარ მეტყუელებდა ბერძულ ნეტარი პეტრე; ლიტ. ქრ. 259, 31  
(სხვაგან გვაქვს უფრო ძველი და ხშირად ხმარებული ბერძლ: ლ. 23, 38 C;  
ი. 19, 20); ესწავა სწავლაჲ ბერძული: კიმ. I, 62, 21; წერილ იყო მას ზე-  
და წიგნითა ბერძულითა და პრომელებრითა და ებრაელებრითა: ლ.  
23, 38 DE; კვრიელეასონი ბერძულად ითქუმის: ხანძთ. 132, 39; ეჲმთა  
განგებაჲ ბერძულად განბნეულად ყოფილ არს: აღწ. 14, 1. აქ ბერძული—  
ბერძ-ური, ქართული—ქართ-ური.

განსხირპენით და კუ(ე)რთხითა სხვლითა არაბულითა გუემენით  
ძლიერად: კიმ. II, 33, 35; უბრძანა, რაჲთა სცენ მას კუერთხითა არაბული-  
თა უწყალოდ: იქვე, 35, 6.

წერილ არს მისთჳს ...რომელი-იგი ეაკსენე შენ თანა იონთა ენითა და ასუ-  
რულად ცა: კიმ. I, 2, 5<sup>1</sup>.

მეორე ტიპის მაგალითებია (ლ+რ+რ=ლ+რ+ლ):

აღუქანდრიული	ლეგენდარული	პერპენდიკულარული
ელემენტარული	ლიბორისტული	პლანეტარული
ლაბორატორიული	ლენინურ-ისკრული	პლანიმეტრიული
ლანდლარული	ლექსიოგრაფიული	პლანეტარული
ლაპარული	ლითოგრაფიული	პლაცდარმული
ლაიდარული	ლირფული	პლაცენტარული
ლარული	ლიტერატურული	პლუტოკრატიული
ლაშქრული	ლიტურგიული	პოლარული
ლარული	ლურსმული	პროლეტარული

<sup>1</sup> ურ (ულ) სუფიქსი საერთოდ ძალზე იშვიათად იხმარება ძველ ქართულში. ამით აიხსნება  
სათანალო მაგალითების სიმცირე. ნ. ამის შესახებ ა. შანჭყალაძე, —ურ სუფიქსისათვის  
ძველ ქართულში (იკე, V, 1953, 473—518), რომლიდანაც რამდენიმე მაგალითი გვაქვს ამო-  
ღებული.

ასევე მოუღის დისიმილაცია რ-ს შემცველ ფუძეებს მიმღობის მ-არ აფიქსების დართვისას<sup>1</sup>. ასეთია, მაგალითად, მ-ყ რ-ა ლ-ი (—მ-ყ რ-ა რ-ი), რქედან: მყრალობა, სიმყრალე; და-მ-შრშ-ალ-ი (—და-მ-შრშ-არ-ი), და-მ-ცხრ-ალ-ი (—და-მ-ცხრ-არ-ი), მ-წყრ-ალ-ი (—მ-წყრ-არ-ი) და სხვა. მაგალითები:

და მოაღებინა ნავეთაგან სკორე და მყრალი ძუალები მძორისაჲ: ბალ. 33, 8 ბ; ცოდელი არნ წინაშე ღმრთისა მწინკულევან და სულ-მყრალ: სწავ. 57, 32; სულ-მყრალ არს ცოდვამ: სინ. 212, 2; ორბი სპეტაკი იპოების ყოლადვე ადგილთა სულ-მყრალთა: სწავ. 151, 27; რაჲთა... განპრცხე სულ-მყრალობაჲ ცოდვისაჲ: სწავ. 136, 6; რაჲთამცა დაშრიტა სულ-მყრალობაჲ იგი ბილწებისაჲ: სინ. 212, 2; ყოველი რომელი ცოდვას, სულ-მყრალობასა იქმს: სინ. 212, 4; მყრალად ვხედავ საზრდელსა ჩემსა, ვითარცა სულ-მყრალობასა ლომისასა: იობ 6, 7; ნაცვალად სულ-მყრალობისა გამოკდა გუამით მისით სული სულნელებისაჲ: პარხ. 1114 ბ; 1174 ბ; სავსემან სულ-მყრალობითა ვიწყო სწავლად თქუნდა: სწავ. 233, 24; რაჲთა სიმყრალე იგი პირველი განაქარვის და სულნელება სულისა წმიდისაჲ მოჰფინოს: სევან. 339 ბ; უდაბნ. 6 რბ; ესოდენ სიმყრალესა მიწევნულ იყო, რომლითა ვერვის ძალ-ედვა მიახლებად მისა: კიმ. II, 194, 24; მას ეამსა იყო იგი შესულებულ სიმყრალითა: პარხ. 1312 ბ; რაჲთა არა შევიდეს მიერ სული სიმყრალისაჲ ტვნად შენდა: სწავ. 159, 14; სული სიმყრალისაჲ ეცემოდა ბერსა და ძმათა მათ: კიმ. I, 227, 37.

ვიხილე წმიდაჲ შუშანიკ დამშრშალი და დაბუშებული ტირილითა: შუშ. 12, 12; ვაჲ ჩემდა, რამეთუ დამშრშალ და დაწერტილ ვარ მე სიყუარულითა ღმრთისაჲთა: სინ. 227, 31; ამის ისრისა სიყუარულითა დამშრშალ იყო დავით: სინ. 228, 4; ამის ისრისა სიყუარულითა დამშრშალ იყო წმიდაჲ იგი ეკლესიაჲ: სინ. 228, 9; ვაჲ ჩემდა, რამეთუ დამშრშალ და დაწერტილ ვარი მე სიყუარულითა მისითა: სინ. 228, 10. დამშრშალ, ცხადია, მიმღობა (და-მ-შრშ-ალ-და-მ-შრშ-არ), რომლის ძირეული მასალა შრშ (—შერშ, დღეს შრ) ზმნის პირიან ფორმებშიც გვხვდება: ამის ისრისა სიყუარულითა დაშრშებოდა იერემია: სინ. 228, 2; ამის ისრისა სიყუარულითა დაშრშებოდა პეტრე: სინ. 228, 6; ამის ისრისა სიყუარულითა დაშრშებოდა პავლე: სინ. 228, 7.

დამცხრალ არს აწ საღმობაჲ ფერკისაგან შენისა: საკ. წიგ. II, 132, 32.

შეიპყრას იგი ურვამან, და იქმნეს იგი გულ-მწყრალ და მცონარ გალობასა შინა და ლოცვასა: ისტ. ქრ. II, 10, 20; ყოველნი ვართ გულ-მწყრალ და ყოველნი ვართ მცონარ: საკ. წიგ. II, 52, 1; გულ-მწყრალი იგი მშვდ იქმენინ: ისტ. ქრ. II, 41, 12; მეფე გულ-მწყრალი შევარდეს ბოროტსა: იგავ. 13, 18; გულ-მწყრალი იგი იქმნ განუზრახველად, ხოლო კაცი გონიერი ფრიად მოითმენნ: იგავ. 14, 17; კაცი გულ-მწყრალი განეშადებინ ლალვად, ხოლო სულ-გრძელმან კაცმან დაშრიტის საშველი: იგავ. 15, 18; სადა არნ გულ-მწყრალი, არა დაშრიტის ლალვამ: იგავ. 26, 20; ნუ ექმნები მოყუარე კაცსა გულ-მწყრალსა: იგავ. 22, 23. ასევე გვაქვს აქედან

<sup>1</sup> ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 24.

ნაწარმოებ სიტყვებშიც: გულ-მწყრალობამან კაცისამან სიმართლ<sup>ე</sup> ღმრთისაჲ არა ქმნის: სწავ. 239, 17.

მ—არ—მ—ალ პრეფიქს-სუფიქსი აწარმოებს აგრეთვე ზოგი სხვა ტიპის მიმღობასაც, როგორცაა; მ-ტირ-ალ-ი (ვინც ტირ-ს), მ-წერ-ალ-ი (ვინც წერ-ს), მ-ჩხრეკ-ალ-ი (ვინც ჩხრეკ-ს):

ესე დედაკაცი ეპოვეთ მახლობლად საპყრობილესა მტირალად: საქ. წიგ. 11, 21, 21; იხილა ეღვილი და მტირალნი და მკვობარნი ფრიად: მრ. 5, 38 C.

ქრისტე, შეიწყალე ტიმოთე მოძღუარი, ამისი მომგებელი, და იოვანე უცბად(ღ) მწყრალი: აღწ. 4, 7 ქვ.; ქრისტე, შეიწყალე... ივანე, მწარედ ცოდვილი მწყრალი: აღწ. 9, 15; ქრისტე, შეიწყალე თეოდორე მწყრალი: აღწ. 122, 1; ცოდვილი ამისი მწყრალი ლოცვასა მომიქსენეთ: Опис. 33, 14. ამგვარი მაგალითები სავსეა ძველი ქართული ხელნაწერების ანდერძებში, ამიტომ სხვა ნიმუშების მოყვანა აღარაა საჭირო.

ძველ ქართულში მწყრალ-ის ერთგვარი სინონიმი იყო მჩხრეკალ<sup>ე</sup>, რომელიც ჩხრეკს ზმნის მიმღობაა/ძველი ქართული ხელნაწერების ანდერძებში ხშირად ერთმანეთის ნაცვლად იხმარება წერა და ჩხრეკა (დაჩხრეკა), მწყრალი და მჩხრეკალი. ამ უკანასკნელს მოეპოვება პარალელური ფორმა მჩხრეკელი, მაგრამ იგი ჩვენი მიზნებისათვის არ გამოდგება, რადგან ის ნაწარმოებია მიმღობათა ჩვეულებრივი მ—ელ აფიქსებით და აქ დისიმილაციაზე ზედმეტია ლაბარაკი. სმჩხრეკალი კი მ—არ აფიქსებით წარმოიქმნება და რადგანაც ზმნის ფუძეში რ გვაქვს, მეორე, სუფიქსისეული რ განემსგავსება პირველს და ლ-დ იქცევა: მ-ჩხრეკ-არ-ი—მ-ჩხრეკ-ალ-ი რამდენიმე მაგალითი:

ქრისტე, შეიწყალე მოძღუარი დავით და მიქაელ მჩხრეკალი: აღწ. 42, 8, 14; ქრისტე, შეიწყალე მოძღუარი დავით და მიქაელ უცბად მჩხრეკალი: აღწ. 42, 18, 27; ქრისტე, შეიწყალე იოვანე, მომგებელი და მჩხრეკალი ამათი: აღწ. 58, 7; აწ გვევდრები... მომგებელი და მჩხრეკალი ამისი იოვანე: აღწ. 58, 29; ლოცვა-ყავთ ცოდვილისა მჩხრეკალისათვის: აღწ. 50, 1. ბევრია ისეთი მაგალითი; სადაც ეს სიტყვა ქარავით არის წარმოდგენილი, მაგალითად: მჩხრკლი (აღწ. 19, 18), მჩხკლი (აღწ. 19, 22), მჩხრეკლი (აღწ. 19, 25); მჩხკლი (აღწ. 19; 29); მჩხკლისათვის (აღწ. 58, 17) და სხვა, მაგრამ ესენი ჩვენ აქ არ გამოგვადგება, რადგან ამათში თანაბრად შეიძლება ვიგულისხმოთ როგორც მჩხრეკალი, მჩხრეკალისათვის, ისე მჩხრეკელი, მჩხრეკელისათვის. სწორედ ასევე არ გამოდგება ჩვენი საჭიროებისათვის მთლიანად დაწერილი, მაგრამ შეკუმშული მჩხრეკლისა (Опис. 251, 4), რადგანაც ამოსავლად აქაც შეიძლება დავეუშვათ როგორც მჩხრეკალი(საჲ), ისე მჩხრეკელი(საჲ).

ლომი მყვრალი: სწავ. 128, 10; აღადეს ჩემ ზედა პირი, ვითარცა ლომმან მტაცებელმან და მყური რალმან: ფს. 21, 14.

ასეთსავე ბედს იზიარებს მსგავს პირობებში იერ სუფიქსიანი სახელები:

სული ჩემი სურვიელ არს განსლვად გარეგან კართა: ბალ. 22, 10 ბ; სწადის და სურვიელ არს შჯულსა იესუ ქრისტეს ღმრთისა ჩუენისასა:



ბალ. 27, 19; სურვიელ იყო ხილვასა მათსა: ზარზმ. (ისტ. ქრ. I) 222, 31; რომლისა სურვიელ იყო მარადის: იქვე, 234, 20; მაშინ სადამე... ვიყავ მე სურვიელ შინაგანითა ჩემითა ადგილთა უღაბნოთა: საყ. წიგ. II, 139, 9; აწ გლოცავ თქუენ ქრისტეს მიმართ სურვიელითა გულითა: აბო (ისტ. ქრ. I) 178, 17; სურვიელად ისწრაფდა, რაათამცა შეპრთო მან თავი თვისი რიცხუსა წმიდათა მოწამეთასა: საყ. წიგ. II, 20, 11. აქ იელ (—იერ) სუფიქსი ზმნურ ფუძეს ერთვის: ჰ-სურ-ი-ს-სურ-ე-იელ-ი (—სურ-ე-იერ-ი). ასეთივე ზმნური ფუძე აქვს საფუძვლად აგრეთვე წყურვიელ-საც: ს-წყურ-ი-ს-წყურ-იელ-ი (—წყურ-იერ-ი. ნ. ქვემოთ).

ვითარ არს ესე, რამეთუ ძენი ცოლიერთანი არა ისუმენ ცოლსა და ძენი ქმრიელთანი არა შეეხებიან ღედათა: სვან. 470 a, 4. შდრ. ცოლიერთანი, მაგრამ: ქმრიელთანი. მეორე სიტყვაში იელ გაპირობებულია. ქმ(ა)რ ფუძეში რ-ს არსებობით. მას განემსგავსება იერ სუფიქსისიეული რ. დისიმილაცია პროგრესულია, რა თქმა უნდა, დისტანციური.

მოგაზრომნა თქუენ შორიელსა ამას ქუეყანასა: აპოკრ. 3, 12; შორიელნი და მახლობლებნი: ისტ. ქრ. II, 98, 20; შორიელთა და მახლობელთა: ცხორ. ფთ. 5, 12; არა ხოლო ბერძენთა სარწმუნოებად ესე ღმრთისა მიერი მოიპოვეს, არამედ ჩუენცა, შორიელთა ამათ მკვდრთა: აბო (ისტ. ქრ. I) 184, 7; რაათამცა შორიელთა საქმეთა მოიღებდეს: თარგმ. გამოცხ. 21, 1. შორიელი, ცხადია, მიღებულია \*შორიერ-ისაგან.

ოდეს გიხილეთ... წყურვიელი და გასუთ შენ: მ. 25, 37; ოდეს გიხილეთ შენ მშვიერი ანუ წყურვიელი... და არა გმსახურეთ შენ: მ. 25, 44; სადა ვინ მივიდა მისა მშვიერი ანუ წყურვიელი, და არამცა განაძლო იგი: ლიტ. ჰრ. 75, 10; ამისთვისა იხილავნ წყურვიელი: უძვ. რედ. 173, 17; წყურვიელსა ასვს წყალი: ლიმ. 9, 4; მე წყურვიელსა მივსცე წყაროჲსა მისგან წყლისა ცხოველისა უსასყიდლოდ: გამოცხ. 21, 6; ვითარცა წყალი წყურვიელსა სიცხესა შინა: ისტ. ქრ. II, 18, 11; განაძლენ სულნი წყურვიელნი შენისა მაგის საესებისაგან: აპოკრ. 14, 21.

სიტყუად იგი კორციელ იქმნა: ი. 1, 14; არამცა განერა ყოველი კორციელი: მ. 24, 22; მრ. 13, 20 C; იხილოს ყოველმან კორციელმან მაცხოვარებად ღმრთისაჲ: ლ. 3, 6; ვითარცა მიეტ კელმწიფებად ყოველსა ზედა კორციელსა: ი. 17, 2 C; გარდამოქდა სულ ი წმიდაჲ კორციელითა ხილვითა: ლ. 3, 22; ხოლო კორციელად დიდსა იწროებასა იყვენეს: ხანძთ. (ისტ. ქრ. I) 244, 14; ვითარცა-ესე მოეტ ამას კელმწიფებად ყოველთა კორციელთაჲ: ი. 17, 2; მოვიძულოთ სოფელი ესე... და ზრუნვაჲ კორციელებისაჲ: ისტ. ქრ. II, 6, 38; ანუ მო-მე-იწია ჩემ ზედა გულის-თქუმაჲ იგი კორციელებისაჲ: იქვე, 7, 11. სულიერი და კორციელი, როგორც ანტონიმური ცნებები, ზშირად იხმარება ერთიმეორის გვერდით, მაგრამ ერთს იერ სუფიქსი აქვს (სულიერი-ი), მეორეს კი — იელ (კორციელი), რადგანაც ამ უკანასკნელი სიტყვის ფუძეში რ გვაქვს (კორც).

ქურქელი ფუძეგაორკეცებული სიტყვაა: \*ქურ-ქურ-ქურ-ქერ. ქურ ფუძე ცალკეც გვხვდება იმავე მნიშვნელობით:

მყავ ქურ საესე მეცნიერების და სიბრძნის: საყ. წიგ. II, 47, 6; ამისთვის არს კაცი ქური თვთომძრავი სულითა: უძვ. რედ. 223, 15; ვითარცა ქურ-

ნ ი იგი მეკეცეთანი შეიმუსრინან: გამოცხ. 2, 27. ხოლო ჭურჭერ—ჭ უ რ ჭ ე ლ-  
წ ი გვაქვს რეგრესული დისიმილაცია. ძველ ქართულში გვაქვს როგორც უდი-  
სიმილაციო, ისე დისიმილაციანი ფორმები. მაგალითები:

ა) ჭ უ რ ჭ ე რ ი დგა მუნ ძმრითა სავსე: ი. 19, 29 CE; უკუეთუ მოიგოს  
კაცმან ჭ უ რ ჭ ე რ ი რომელიმე საკმრად თვსა: სწავ. 288, 5 A; არცა კელ-ეწი-  
ფების შესლვად სახლსა ძლიერისასა და ჭ უ რ ჭ ე რ ი მისი გამოტყუენვად:  
მრ. 3, 27; ვითარ-მე ვინ უძლის შესლვად სახლსა ძლიერისასა და ჭ უ რ ჭ რ ი ს ა  
მისისა იავარის-ყოფამ: მ. 12, 29 C; ბრძენთა მათ მიილეს... ზეთი ჭ უ რ ჭ რ ი-  
თ ა მათითა: მ. 25, 4 CE; ზინ რაჲ იგი მარტოჲ ჭ უ რ ჭ ე რ თ ა ზედა კელსაქ-  
მარისათა: უძე. რედ. 134, 15.

ბ) არღარა იყოს... ყოველივე ჭ უ რ ჭ ე ლ ი პილოჲს-ძელისაჲ და ყოვე-  
ლივე ჭ უ რ ჭ ე ლ ი შეშისა პატიოსნისაჲ: გამოცხ. 18, 12; არავის უფლობდა,  
ვითარმცა ვის შინა-განაქუნდა ჭ უ რ ჭ ე ლ ი სამღდლოდთ: მრ. 11, 16 C;  
ჭ უ რ ჭ ე ლ ი მისი სახლსა შინა (იყოს): ლ. 17, 31 CD (6. კ. მ. 12, 29 DE; მრ.  
3, 27 C; ი. 19, 29 D); შეკრიბიან კეთილი იგი ჭ უ რ ჭ ე ლ ს ა: მ. 13, 48 CD;  
მოილო ჭ უ რ ჭ ლ ი თ ა ნელსაცხებელი: ლ. 7, 37 D; არავინ სანთელი აღანთის  
და დაფარის იგი ჭ უ რ ჭ ლ ი თ ა: ლ. 8, 16 CD; ქალწულმან მამაკაცი არა  
იყოდა, გარნა ჭ უ რ ჭ ე ლ ნ ი იგი კორცთა მისთანი უფალსა ამსახურნა: კიმ.  
II, 68, 14.

უკუეთუ მდებლად და უსუსურად იყოს, ვითარცა ჩ უ რ ჩ უ რ ე ბ ი თ <sup>1</sup>.  
იგი საგმობელ არს: Sin. 35, 236 rb, 11. ჩ უ რ ჩ უ რ ე ბ ა-ც ფუძეგაორკეცე-  
ბული სიტყვაა: ჩ უ რ-ჩ უ რ. შემდეგში მეორე წევრში რ შეიცვალა ლ-თა  
(პროგრესული დისტანციური დისიმილაცია). ე ბ ა სუფიქსის დართვით მივი-  
ღეთ ჩ უ რ ჩ უ რ ე ბ ა. ჩ უ რ ჩ უ რ ე ბ ი თ დღევანდელ ენაზე იქნება „ჩურ-  
ჩულით“.

ბერძნული μαρτυριος („მოწამე“) ძველ ქართულში ორნაირი ფორმით  
გვხვდებოდა: მარტვრი (უდისიმილაციო) და მარტვლი (დისიმილაციო-  
ანი) <sup>2</sup>. ქართული ენის ბუნებას, რასაკვირველია, ლასიანი სახეობა შეეფერება.  
მაგალითები:

ა) ხოლო წმიდაჲ იგი მარტვრი დუმილით მკნელ მიითუალვიდა მახვ-  
ლსა: აგ. ძეგ. I, 71, 17 (ვარ.); იაკობ არს ნეტარი იგი მოციქული და მარტ-  
ვრი: სინ. 196, 27; გვთხრა ჩუენ მარტვრ მან მან ქრისტმსმან: გულანდ.  
224, 15 A; პატივ-სცემდა მარტვრსა მას ქრისტმსსა: იქვე, 224, 24 A; ესე  
არს მარტვრისა დედაჲ: სინ. 122, 31; წმიდისა მარტვრისა გან.  
ეუწყა მას: გულანდ. 225, 14 A; კეთილად მოხუედ, მარტვრო და სძალო  
ქრისტმს ღმრთისაო: იქვე, 223, 24.

ბ) შეგიწყნარეს, ვითარცა ქრისტმს მარტვლი: აგ. ძეგ. I, 80, 14 (ვა-  
რიანტებში: მარტვრი); მარტვლისა მისგან ესმინა ესე ყოველი: გულანდ.  
227, 1 B (A: მარტვრისა); მარტვლნი გვრგვონსან იქმნენ: ისტ. ქრ. II,

<sup>1</sup> ჩურჩურებით ხ.

<sup>2</sup> ა. შანიძე, სინური მრავალთავი 864 წლისა, გვ. 311; მ. ძიძიშვილი, ფონეტი-  
კური პროცესები, გვ. 55.

5. 15; ეპიფანე გამოვიდა ერთსა შინა ღამესა საწოლსა მას წმიდათა მარტვლთასა: საქ. წიგ. 11, 129, 9.

თვით ერთსა და იმავე ძეგლში ერთმანეთის გვერდით ხშირად არის უღი-სიმილაციო და დისიმილაციიანი ფორმები, მაგალითად:

მარტვრი: კალენდ. 4, 12, 13; 6, 25; 10, 27. მაგრამ: მარტვლი: კალენდ. 4, 26; 5, 9, 10; 6, 20.

ნაწარმოებ სიტყვებშიც გვაქვს ამგვარი წყვილ-წყვილი ფორმები: რამთა აღესრულოს მარტვრობა იგი მისი: გულანდ. 221, 27 A, მაგრამ იქვე B-ში მარტვლობა იკითხება. ასევე გვაქვს, ერთი მხრივ, მარტვრობა (აგ. ძეგ. 1, 49, 20; 63, 11), მაგრამ იქვე ვარიანტებში: მარტვლობა. ასევე: დღეთა მარტვრიისათა აღდა პეტრე (სინ. 168, 35), მაგრამ: საკითხავნი მარტვლიისანი (იქვე, 181, 1).

ორჯერ—ორჯელ: მზე ერთჯერ და ორჯელ შოვა სამხრის დაბნელდა ჩუენ ზედა: აღწ. 229, 19; აპოლონი ორჯელ დაიშუსრა: კიმ. 1, 148, 21; ორჯელ სცემდეს დღესა შინა სამინდოსა: ეტ. VI, 93, 15. პირველ მაგალითში ორჯელ-ში უკვე გვაქვს დისიმილაცია, იმავე წინადადების მეორე სიტყვაში კი — არა: ერთჯერ: ერთჯერ და ორჯელ. ორჯელ ძველი ტექსტების გავრცელებული სიტყვაა, ხშირი ხმარება კი ხელს უწყობს ფონეტიკური მოვლენების მოქმედებას. ამას ვერ ვიტყვით ერთჯერ-ის შესახებ: იგი იშვიათად გვხვდება საერთოდ.

ბერძნული μαρτυριες ძველ ქართულში თავიდანვე დისიმილაციიანი ფორმით არის გადმოსული: პოვის რამ ერთი მარგალიტი მრავალ-სასყიდლისა: მ. 13, 46; სრულად ვერ დავსწერდი, მარგალიტი ოღენ დავწერე: Опис. 73, 9 ქვ.; მიიგულების მარგალიტი იგი ჩუენი: პარხ. 666 ა; ნუცა დაუგებთ მარგალიტსა თქუენსა წინაშე ღორთა: მ. 7, 6; რომელი ეძიებნ კეთილთა მარგალიტთა: მ. 13, 45 C.

ასევე დისიმილაციიანი ფორმა გვაქვს აგრეთვე ნაწარმოებ სიტყვაშიც: რომელთა-იგი მარგალიტოვნება და ელვა და უფროას ბუნებისა ჰაეროვნება სძლედა ძალსა საცნობელთასა: ანტიოქ. 354, 37. ძველ ქართულში ჩვენ პირადად არ შეგვხვდებოდა უღიმილაციო მარგალიტი.

ღვრღუარი და ღირღუარი ფუძეგაორკეცებული კომპოზიტი ღნდა იყოს. ასეთ კომპოზიტებში დისიმილაციური ფორმებიც გვხვდება (ნ. ზემოთ ქუჩქელი). აქაც გვაქვს ღირღუალი და მისგან ნაწარმოები ღირღუალოვანი და ღირღუალოვნება. მოვიყვანთ ორივეგვარ მაგალითებს — უღიმილაციოსა და დისიმილაციიანს.

ა) ქუეყანა, რომელსა ზედა არღარაა საენებელი იყოს, არცაღა ეკალი და კურომსთავი, არცა ღირღუარი და არცა კლდოანი და ქვიანი: სწავ. 125, 10; იყოს ღვრღუარები ველებად: ესაია 40, 4; იხილეს იგი ღირღუართა და წრფელ იქმნეს: სწავ. 69, 18; მიემთხუევის იგი ძნელსა ღვრღუაროანსა: სწავ. 188, 8.

ბ) ეგევე მაგალითები ვარიანტებში ღასით არის წარმოდგენილი (დისიმილაციიანი): იხილეს იგი ღირღუაღთა და წრფელ იქნეს: სწავ, 69, 18 C; ღირღუალოვანი წრფელ უყვის მას სლვად: 193, 25 C; მიემთხუევის იგი ძნელსა ღირღუალოვანსა: სწავ. 128, 8 B; ღირღოლო-

ვ ა ნ ი: ესაია 40, 4 (პარ.); რომელსა არა ყოველნი ვლენან დ ი რ ღ უ ა ლ ო ვ-  
ნ ე ბ ი ს ა და სიძნელისა მისისაგან: სწავ. 153, 6 C (AB-ში უდისიმილაციო  
ღ ჯ რ ღ უ ა რ ო ვ ნ ე ბ ი ს ა იკითხება). საინტერესოა აღინიშნოს, რომ დისიმი-  
ლაციურ ფორმებში კომპოზიტის პირველ ფუძელ ჩვენს მაგალითებში ყველგან  
ღ ი რ (—ღჯრ) გვაქვს, ხოლო უდისიმილაციოებში — ღ ჯ რ. ვ-ს-ი-ღ ქცევას  
ხომ არა აქვს აქ რაიმე წილი? ამას სპეციალური შესწავლა უნდა.

გ რ ი გ ო რ ი—გ რ ი გ ო ლ ი: გ რ ი გ ო ლ ი, ეპისკოპოსი ნაზიანზორევე-  
ლი და ღმრთის-მეტყუელი... იტყუს: კიმ. II, 70, 4 C. A-ში გვაქვს გ რ ი გ ო რ ი  
ნანზი ნანზორეველი; ნეტარმან გ რ ი გ ო ლ ი, ეპისკოპოსმან ნოსელმან,...  
თქვა: იქვე, 70, 12 C. A ხელნაწერში აქაც გვაქვს ამოსავალი ფორმა გ რ ი-  
გ ო რ ი.

პ რ ო ხ ო რ ი (პროხორე)—პ რ ო ხ ო ლ ი (პროხოლე): ბრძანებითა და  
ლოცვითა პ რ ო ხ ო ლ ი ს ი თ ა... სალოცველად ღმრთიე-შემკობილთა მოძღუ-  
ართა ჩემთა იოვანეს და პ რ ო ხ ო ლ ი მამისა: კიმ. II, 119, 27.

ფ ე ბ ე რ ვ ა რ ი—ფ ე ბ ე რ ვ ა ლ ი. ძველ ქართულში ორივეგვარი სახეო-  
ბაა დაცული:

a) და შთაიყვანეს იგი ლაერად... თთუესა ფ ე ბ ე რ ვ ა რ ს ა: კიმ. II,  
216, 13; ადგილი ჩუენ დავიპყართ... თთუესა ფ ე ბ ე რ ვ ა რ ს ა ოც და ერთსა:  
იქვე, 219, 6.

b) განაცხადეს იგი თთუესა ფ ე ბ ე რ ვ ა ლ ს ა: კიმ. II, 214, 2; რომელ  
არს... პერეტეოს — ფ ე ბ ე რ ვ ა ლ ი: მრავ. 272, 14 B.

ზოგჯერ ამ სიტყვაში არ არის მეორე ფ, დისიმილაცია კი (რაც ახლა გვიან-  
ტერესებს) ისევ ისე გვაქვს: რომელ არს... ფ ე ბ რ ვ ა ლ ი: მრავ. 272, 14 C;  
ოთუესა ფ ე ბ რ ვ ა ლ ს ა ორსა: იქვე, 289, 7; თთუესა ფ ე ბ რ ვ ა ლ ს ა აღეს-  
რულების მეორესა დღესა: იქვე, 290, 17; და მიხუდების იგი ფ ე ბ რ ვ ა ლ ს ა  
ორსა და ჩუენ ვპყოფთ, და არა თუ ფ ე ბ რ ვ ა ლ ს ა ათოთხმეტსა: კიმ. II,  
71, 33.

ბ ე რ ვ ა რ — ბ ე რ ვ ა ლ: ადგილი იგი სამსხუერპლომსა შენისაჲ ემსგავსა  
ბ ე რ ვ ა რ ს ა აპრონისსა და ზაქარიაჲსსა მღღელთაჲსა: აბო (ავ. ძეგ.) 80, 9.  
მაგრამ იქვე, ვარიანტებში გვაქვს უკვე დისიმილაციიანი ფორმები: ბ ე რ-  
ვ ა ლ ს ა DFH, მ ბ ე რ ვ ა ლ ს ა C. მ ბ ე რ ვ ა ლ ს ა სხვაგანაც გვხვდება:  
Sin. 11, 306 v, 6 ქვ. ეს უკანასკნელი ფორმა (მბერვალსა) შესაძლებელია გადამ-  
წერმა მიმღობად მიიჩნია (ბერავს — მ-ბერ-ვ-ალ-ი), ამიტომ ჩვენი მიზნებისა-  
თვის მისი გამოყენება საეჭვოა. ბ ე რ ვ ა რ ი—ბ ე რ ვ ა ლ ი კი პროგრესული  
დისიმილაციის უეჭვო და კარგი მაგალითია.

რეგრესული დისიმილაცია გვაქვს სიტყვაში ა ლ ქ ი მ ა ნ დ რ ი კ ი: გვთბ-  
რობდა მამაჲ ჩუენი მართალი ამბა გიორგი ა ლ ქ ი მ ა ნ დ რ ი კ ი: ლიმ. 43, 2 S;  
ესევე, მამაჲ ჩუენი გიორგი ა ლ ქ ი მ ა ნ დ რ ი კ ი, გვთბრობდა ჩუენ: იქვე,  
45, 14 S. მეორე (A) ხელნაწერში ორივე შემთხვევაში ამოსავალი ა რ ქ ი მ ა ნ დ-  
რ ი ტ ი გვაქვს.

რ...რ—რ...ნ (||ნ...რ)

ქსენებაჲ... ბ ა რ ბ ა ნ ე ს ი : კალენდ. 5, 14 (—ბარბარესი—ბარბარესი).

რომელსა პონფირი შეუმოსია: სწავ. 87, 29 C. AB-ში ამოსავალი პონფირი გვაქვს. პონფირი—პონფირი რეგრესული დისიმილაცია, რაც ქართულში არაა ხშირი მოვლენა.

ფუძეგაორკეცებული სიტყვა უნდა იყოს გ ვ რ გ ვ ნ ი, რომელიც უნდა მომდინარეობდეს გ ვ რ-გ ვ რ-ისა-გან: გ ვ რ გ ვ რ—გ ვ რ გ ვ რ: მიმილო გ ვ რ-გ ვ ნ ი თავისაგან ჩემისა: იობ 19, 9; რამთა ღირს ვიქმნნეთ გ ვ რ გ ვ ნ ს ა ძლევისასა: კიმ. II, 24, 3; გ ვ რ გ ვ ნ ი თ ა : კიმ. I, 248, 22; ვერვინ გ ვ რ გ ვ ნ თ-ს ა ნ იქმნების თვნიერ სულთა მოღუაწეთასა: სწავ. 131, 21; ჰნატრიან... შენსა მას გ ვ რ გ ვ ნ ო ს ნ უ ბ ა ს ა : აბო 202, 14.

შესაძლებელია წარმოშობით ასევე ფუძეგაორკეცებული კომპოზიტი იყოს თ რ თ ვ ლ ი : თ ვ რ-თ ვ რ-თ ვ რ-თ ვ ლ — თ რ თ ვ ლ. ორი უკანასკნელი სახეობა დაცულია ძველ ქართულში: თ ვ რ თ ვ ლ ი გალობ. (ფს.) 8, 8 C, თ რ თ ვ ლ ი A. იქვე გვაქვს ვ-ს გამარტივებით მიღებული თ ი რ თ ვ ლ ი (B).

ლ...ლ—ლ...რ (||რ...ლ)

წ უ ლ ი ლ—წ უ რ ი ლ. ძველ ქართულში გვხვდება ამ სიტყვის ორივე სახეობა — უდისიმილაციოც და დისიმილაციანიც, მაგალითად:

ა) იწრო არს ბქმ და წ უ ლ ი ლ გზაჲ, რომელმან მიიყვანის ცხორებად: მ. 7, 14 C; წ უ ლ ი ლ ად მეცნიერებათა შეუდგს ზუაობაჲ: სწავ. 299, 25 B (სქოლიოში); არავე სხუათა ხეთა მსგავს არს იგი, არამედ სხუად სახედ ყუავილი გამოაქუნ წ უ ლ ი ლ ად: სინ. 233, 1 (=წვრილად); წ უ ლ ი ლ ად გამოვიკუთლით: სინ. 211, 34 (=დაწვრილებით); ვერ წ უ ლ ი ლ ად მეცნიერ ვარ ყოველსა: ლიტ. ქრ. 209, 23; კუბასტნი შუშანიკისნი და კორცნი წ უ ლ ი ლ-წ უ ლ ი ლ ად დაებძარნეს ძეძუსა მას: შუშ. VIII, 18; შთანთქნის წ უ ლ ი ლ-ნი იგი თევზნი: სახისმეტყ. 20, 34; რომელმან-იგი ქურჩივისა წ უ ლ ი ლ ნ ი მიითუალნა: ზარზმ. 182, 19 (=წვლილი, შენაწირავი, =მწულილი).

ასევე უდისიმილაციო სახეობა გვაქვს ამ ფუძისაგან ნაწარმოებ სიტყვებშიც (სახელებში და ზმნებში): რომელსა ვერცა ბალაჲვარ მისწუთებოდა ეგოდენ განმკუთელთა სიტყუათა და წ უ ლ ი ლ ად თ ა პასუხთა: ბალ. 115, 14 ა: ვბოვე, რომელსა ვეძიებდი, და არღარა გამოვიწ უ ლ ი ლ ა ვ: სინ. 174, 22; რად არა აღვირჩევ უმჯობესსა და გამოვიწ უ ლ ი ლ ა ვ: ბალ. 19, 21 ბ; გ ა მ ო-რ ა ჲ-ე ი წ უ ლ ი ლ ო თ ჩუენ იონამსთვს მითხრობაჲ საქმეთა მათთაგან: სინ. 163, 11; ვითარ-იგი ვერ გულსკმა-ყო გამოწ უ ლ ი ლ ვ ი თ შფოთისა მისგან, ბრძანა შეყვანებაჲ მისი ბანაკად: მოც. 21, 34 ლ; მან მკითხა ჩუენ ნათესავისა ჩუენისათვს ყოვლითა გამოწ უ ლ ი ლ ვ ი თ ა : საჯ. წიგ. II, 71, 2; აღვიარებთ... გამოუკუღვეელსა—გ ა მ ო უ წ უ ლ ი ლ ვ ე ლ ა დ: სას. პ. 302, 348.

ეგვეი ფუძე უნდა გვქონდეს მ-წ უ ლ ი ლ-შიც, რაც, საერთოდ, წვრილს, წვრილ ფულს აღნიშნავს: რომელმან დადვა ორი მწ უ ლ ი ლ ი : ლ. 21, 2; ვიდრემდე უკუანამსკნელიცა იგი მი-ვე-სტე შენ მწ უ ლ ი ლ ი : ლ. 12, 59; დასხნა ორნი მწ უ ლ ი ლ ნ ი : მრ. 12, 42. მწ უ ლ ი ლ ფუძე დაცულია ნა-

წარმოებ აბსტრაქტულ სახელში: რომელი არს საშინელ პილოზსა, და სი მ-  
წულილის აგანცა ღრიაკალთა ისრისა: უძვ. რედ. 133, 3 B. A ხელნა-  
წერში უმანო ფორმაა: სიწულილის აგანცა. აქედანაც ჩანს, რომ  
წულილ და მ-წულილ. ერთი ფუძეა, მეორეს შანი აქვს თავში დართული.  
ასევე პარალელური (უმანო და მანიანი) ფორმები გვაქვს აგრეთვე ამ მაგალი-  
თებშიც: შეშქამდა ყოველსა და დააწულილებდა: დან. 7, 7; 7, 19 ოშკი,  
ზაგრამ: ...დაამწულილებდა: იქვე იერუს.

b) ბრძანა... დაკრეაა წურილითა ჯაქვთა: პარხ. 580 a; მკეცი წუ-  
რილი დიდთა თანა: ფს. 103, 25 BD; ესთენ ეგების ამათ წურილ(თა)  
თავთა შეწყობაა: აღწ. 11, 11 ქვ.; წრვლად (=წურილად) ნაწერისათვის  
შემინდევით, საყუარელნო: აღწ. 39, 10 ქვ.; რომელიმე წურილად ასოდ-  
-ასოდ დაქრილი იდვა, ვითარცა კორცი ქუნდაქართაა: წარტყ. 61, 25; რადენ  
კორცინი შუებულ არიედ, ეგოდენ სული შეწურილდებინ, და რადენ  
კორცინი შეწულილდებოდ, ეგოდენ სული განიშუებნ: Sin. 35, 280 vხ,  
22; ჰამდა და დააწურილებდა და ნეშტსა მას ფერკითა დასთრგუნვიდა:  
დან. 7, 7; 7, 19 (პარიზული ლექციონარი). თვით დანიელის წინასწარმეტყველე-  
ბაში, როგორც ზემოთ ვნახეთ, გვაქვს უდისიმილაციო ფორმები დააწული-  
ლებდა (ოშკ.) და დაამწულილებდა (იერუს.).

### ლ ბ ი ლ — რ ბ ი ლ<sup>1</sup>:

ძველ ქართულში არაა დადასტურებული დისიმილაციიანი ფორმები, იქ  
დასიანი მაგალითები გვაქვს: წყალი იგი არს ლბილ საცნობელთა შორის:  
უძვ. რედ. 74, 24; რომელსა-იგი ჰრქვან კეც ლბილ: უძვ. რედ. 97, 20; უკუე-  
-სუმცა იყენეს ფერკნი იგი მისნი ლბილ და ნედლ და მედრეკან: ექუსთ.  
110, 29; გუაქუს ჩუენ ყოველთა ენაჲ ლბილი: სინ. 261, 14; ვითარცა რკინა-  
მან კეთილმან მოლესის რკინაჲ ლბილი: Sin. 35, 169 rb, 7 ქვ.; ჰერი გან-  
ფენილი, ნოტიაჲ და ლბილი ბუნებით: ექუსთ. 41, 18; ლბილნი ესე  
სიტყუანი ჩემნი, რომელთა მე გეტყვ შენ, ესუ გიქმან ჩემდა მომართ: საჯ. წიგ.  
II, 42, 22.

აბსტრაქტულ სახელებშიც იგივე ლასი გვაქვს: სილბოჲ და სიგროჲ  
და სხუანი ესევითარნი არა შეირვეიან ურთიერთას: უძვ. რედ. 201, 12; განმპე-  
ბელი სილბილისათვის მაგალთა მათ და მოძრავთა წინაშე: ექუსთ.  
41, 19.

„ეფთხისტყაოსანშიც“ ყველგან დასიანი (უდისიმილაციო) ფორმები გვაქვს:  
ლბილი 146, 4; 465, 4; ლბილისა 5, 4; 1464, 2; ლბილითა 1467, 3<sup>2</sup>.

მაგრამ საბას ორივენიანი ფორმა მოეპოვება — ლბილიც და რბი-  
ლიც. ქარბობს რბილი და მისგან ნაწარმოები ფორმები: გაარბილე  
(ასხნილია ასე: რბილ ჰქმენ), დაარბილე (რბილ ყავ), ნარბილი,  
სირბილე (რბილობა). თვით ლბილი რბილით არის ასხნილი. ასე  
რომ, საბასთეის და მის დროს (საფიქრებელია, რასაკვირველია, აღრეც) დისი-

<sup>1</sup> გ. ახელედნიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, 1949, გვ. 200.

<sup>2</sup> 1957 წლის გამოც.

მილაციიანი ფორმები (რბილი, სირბილე, დარბილება და სხვ.) უნდა ჩაითვალოს დამახასიათებლად, ასეთი ფორმების მოშველიებით ხსნის საბა ძველიდან შემორჩენილ უკვე მოძველებულ ლასიან ფორმებს (ლბილი და სხვ.). XII—XVIII საუკუნეთა წერილობითი ძეგლების ამ მხრივ გასინჯვა, უნდა ვივარაუდოთ, არა ერთსა და ორ მაგალითს მოგვცემს, რომლებშიც რა ე იქნება წარმოდგენილი.

ლ ე ლ წ ა მ ი — ლ ე რ წ ა მ ი :

✓ ძველ ქართულში იშვიათად გვხვდება უდისიმილაციო, ამოსავალი ფორმა ლ ე ლ წ ა მ ი, იქ ხშირია დისიმილაციიანი მაგალითები<sup>1</sup>; რამდენიმე მათგანი:

ლ ე რ წ ა მ ი შემუსრეილი არა განტეხოს: მ. 12, 20; მოილო ღრუბელი და აღავსო ძმრითა და დაადგა ლ ე რ წ ა მ ი და ასუმიდა მას: მ. 27, 48; რაჲ არს ლ ე რ წ ა მ ი დაჩეჩქული: Sin. 35, 256 ra, 4 ქვ.; ძირით გამოაქუს მორჩი, ვითარცა ზაფრანსა და ლ ე რ წ ა მ ს ა: ექუსთ. 52, 25; რაჲსა გამოხუედით უღაბნოსა ხილვად? ლ ე რ წ მ ი ს ა, ქარისაგან ნერყეულისა: მ. 11, 7; მსცემდეს მას თავსა ლ ე რ წ მ ი თ ა: მრ. 15, 19; რომელსა-იგი უსუპითა და ლ ე რ წ მ ი თ ა ასუეს: სინ. 83, 5; შიშითა განილევიან და ირყევიან, ვითარცა ლ ე რ წ ა მ ნ ი ქართაგან ძლიერთა: აბო, 58, 21.

ასევეა საქმის ვითარება ნაწარმოებ ფუძეებში: რომელი-იგი იყო ლ ე რ წ მ ო ე ა ნ ს ა შინა: Sin. 35, 301 vb, 6; მეყსეულად შეირყია ლ ე რ წ მ ო ა ნ ი იგი: ლიტ. ქრ. 322, 12. მაგრამ აქა-იქ ძველი, ამოსავალი ფორმაც გვაქვს: შეპარისხენ შენ მკეტთა ლ ე ლ წ მ ი ს ა თ ა: ფს. 67, 31 B. სხვა ხელნაწერებში უკვე რაე იკითხება: ლ ე რ წ მ ი ს ა თ ა.

ამგვარი, ამოსავალი (უდისიმილაციო) ფორმები (ლ ე ლ წ ა მ ი) დატულია „ფეფხისტყაოსნის“ ვარიანტებშიც: 177, 3 F'L'O'.

ძველ, ლასიან ფორმებს ხმარობს ვასილ ბარნოვი „როგორც ძველის მოტრფიალე მწერალი, მაგალითად: „სტერიებისათვის ლ ე ლ წ ა მ ს აქ მოგიჰრით ხოლმე“ (განმ. ლექს.).

ორი ლასი გვაქვს ძველი ქართულის მ კ ე ლ ო ბ ე ლ-ში, მაგრამ ასეთ პოზიციაში არსად არ ხდება დისიმილაცია, მეორე ლ ი ცვლება რ-დ მხოლოდ ებიან მრავლობითში, როცა ბოლო ე ხმოვანი შეკუმშულია და ერთად იყრის თავს (ლო)ბ ლ ე ბ კომპლექსი, რომელშიც რ უფრო ამტანია, ვიდრე ლ. დაეძინთ იმასაც, რომ შეუქუმშავე ფორმებში. დისიმილაცია არა გვაქვს (მკელობელები). მაგალითები:

მოუტდა მას ერი მრავალი, რომელთა ჰყვანდა მათ თანა მ კ ე ლ ო ბ რ ე ბ ი, ზრმები, ყრუნი, ქუეწარმძრომელნი: მ. 15, 30 DE; მას შინა ისხა სიმრავლშ უძლურთაჲ, ბრმები, მ კ ე ლ ო ბ რ ე ბ ი, განკმელები: ი. 5, 3 A (ოპიზა) D. მაგრამ: მ კ ე ლ ო ბ ე ლ ე ბ ი: მ. 15, 30 C; ი. 5, 3 E.

დისიმილაციიანი მაგალითი გვხვდება ნაწარმოებ სახელშიც: სხუასა სხუად

<sup>1</sup> გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, გვ. 200.

სახელ-სდებთ: აღტაცებასა ქალისასა — ქუეყანად და ფესტმს მკელობრე ბასა — ცეცხლად: უღაბნ. 30 va, 29<sup>1</sup>.

სახლეულით—სახლეურით

სახლეურითურთ თანა-ყოფით იყენეს მონა: შუშ. (აგ. ძეგ.) 27, 19 H. აქ, მართალია, ლ განმსგავსა ლ-ს და რ-დ შეიცვალა, მაგრამ ახლა უკვე ორი რ მივიღეთ (სახლეურითურთ), რაც თითქოს უფრო ძნელი ასატანია ერთ სიტყვაში. მაგრამ არა: თანდებულები და ზმნისწინები (ებრ, ურთ, წარ...) ცალკე სიტყვებად იყო მიჩნეული და ძირითადი სიტყვების დისიმილაციის წესზე გავლენას ვერ ახდენდა. შდრ. პირუტყუთებრისა: მრავ. 311, 4; პრომაებრ: კომ. II; 114, 5; წარაგრაგნების: მრავ. 311, 1; წარპრღუნინ: ესაია 28, 2; წარმოპრღუნიდეს: ესაია, 30, 28 და სხვ.

ბერძნული ქაღალდებზე ჰელზებულ-ის სახითაა გადმოცემული (მ. 12, 24 C; 12, 27 C; მრ. 3, 22 C; ლ. 11, 15 CD; 11, 18 CD; 11, 19 CD). მაგრამ ზოგან დისიმილაციიანი ფორმებიც გვაქვს, მაგალითად: ბერზებული მის თანა არს: მრ. 3, 22 DE; უკუეთუ სახლისა უფალსა ბერზებულით ჰხადოდეს: მ. 10, 25 CDE; ესე არაჲთ განასხამს ეშმაკთა, გარნა ბერზებულითა, მთავრითა მით ეშმაკთაჲთა: მ. 12, 24 DE; მე ბერზებულითა განვასხამ ეშმაკთა: მ. 12, 27 DE; ბერზებულითა... განასხამს ეშმაკთა: ლ. 11, 15 E; ბერზებულითა განვასხამ ეშმაკთა: ლ. 11, 18, 19 E.

დაკრძალული—დაკრძალური

იყო იგი შინაგან სენაკსა დაკრძალური ქუნდთა შინა: ანდრიან. 205, 11. მართალია, ამ მიმღეობაში დისიმილაციის შემდეგ უკვე ორი რ აღმოჩნდება (დაკრძალური), ასევე ძნელი და მიუღებელი ქართული გამოთქმისათვის, მაგრამ, როგორც ჩანს, ამის დამწერს კარგად ესმოდა, რომ დაკრძალულში ორი ლ ძალიან ახლოა ერთმანეთთან (მათ მხოლოდ ერთი ბგერა-ხმოვანი უთიშავს), მაშინ როდესაც დაკრძალურ-ში ორი რ შორიშორაა, მათ 4 ბგერა თიშავს, მათ შორის 2 ხმოვანი. მაგრამ წესი დარღვეულია მაინც: ქართული გამოთქმისათვის დაკრძალურიც ისევე აუტანელია, როგორც დაკრძალული.

ვალ ზმნის საწყისი არის სელა—\*ს-ვალ-ა. მაგრამ თვით ძველ ქართულში ვ გადასმულია (როგორც ფიქრობენ, კლვა, დაკრვა, კნვა ზმნების ანალოგიით) და გვაქვს სლვა (ამგვარად, ძველი სლვა უფრო ახალია, ახალი სელა — უფრო ძველი). ამის ვენებითი გვარის მიმღეობა არის სლვე-ულ-ი, რომელშიც ვ უსთან მოხვედრის შემდეგ იკარგება და გვექნება სლული (წარსლული, მოსლული, შესლული და სხვა). ორი ლასიდან რეგრესული დისიმილაციით პირველი რ-დ იცვლება<sup>2</sup>. ამგვარადაა მიღებული ძვე-

<sup>1</sup> მ. ძიძიშვილი, ფონეტიკური პროცესები, გვ. 57.

<sup>2</sup> გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, გვ. 201.



ლი ქართულისათვის ასე დამახასიათებელი ფორმები: მისრული, მოსრული, შესრული, წარსრული და სხვანი. აი ორიოდ მაგალითი: იგინცა მისრულ იყენეს: ი. 4, 45 C; მრავალ გზის მისრულ იყო მუნ იესუ: ი. 18, 2 C; არა მოსრულ ვარ ჩინებად მართალთა: მ. 9, 13 C; მოსრულ ხარ აქა უქამოდ: მ. 8, 29 C; ძმა შენი მოსრულ არს: ლ. 15, 27; იყო ვინმე სამეუფოდასა კაცი მოსრული: ი. 4, 46; მწიგნობარნი იგი, იერუსალმით მოსრულნი, იტყოდეს: მრ. 3, 22 C; ჰქუა იესუ მოსრულთა მათ მის ზედა: ლ. 22, 52; ეშმაკნი მრავალნი შესრულ იყენეს მისა: ლ. 8, 30; არა შესრულ იყო იესუ მოწაფეთა მათ თვსთა თანა: ი. 6, 22 C; მრავალი ეამი წარსრულ იყო: მრ. 6, 35; მოწაფენი მისნი წარსრულ იყენეს ქალაქად: ი. 4, 8.

მაგრამ, რა თქმა უნდა, ძველ ქართულში გვხვდება უღისიმილაციო ფორმებიც, მაგალითად:

ძმა შენი მოსლულ არს: ლ. 15, 27 C; იესუ მოსლულ არს ჰუ-რიასტანით გლილად: ი. 4, 47 C; ვიდრემდე იხილონ სასუფეველი ღმრთისაჲ, მოსლული ძალითა: მრ. 9, 1 C; მოწაფენი მისნი შესლულ იყენეს ქალაქად: ი. 4, 8 C; შესლულ იყენეს ვითარ ოც და ხუთ ოდენ ასპარეზ ანუ ოც და ათ: ი. 6, 19 C.

დასასრულ, აღვნიშნავ შემთხვევას, როცა რ-ც დაკარგულია და, ამგვარად, ფორმაში არც ერთი ძირისეული ბგერა აღარაა დარჩენილი: უწყი, ვინაჲ მოსულ (ვარ), ანუ ვიდრე ვალ: ი. 8, 14 C.

ცალკე უნდა შევხვით სულნელ // სურნელ // სუნნელ ფორმების ურთიერთდამოკიდებულებას. ძველ ქართულში სამივე ფორმა გვხვდება პარალელურად. მაგრამ საქმე ისაა, რომ სამივეს ამოსავალი საფუძველი მხოლოდ ერთი ჩანს — სული. ცალკე აღებული სუნი ჩვენ ძველ ქართულში არ შეგვხვედრია. როგორც გ. ახვლედიანი სამართლიანად ფიქრობს, სუნი-სულ-ის სუბსტიტუციური ფორმა უნდა იყოს, აქ ლ-სა და ნ-ს მონაცვლეობა სემანტიზებულია, რადგან შენაცვლებით მიღებულ ფორმას სხვა მნიშვნელობა დაუკავშირდა<sup>1</sup>—*благовоение, благовоинный завах, завах*. შესაძლებელია დაეუშვათ, რომ ეს სემანტიზებული სუნი, რომელიც ძველ ქართულში ცალკე არა ჩანს<sup>2</sup>, რომელიმე ქართულ დიალექტში იხმარებოდა, რომლის ანარეკლსაც წარმოადგენს ძველ ქართულში აქა-იქ იშვიათად ხმარებული კომპოზიტი სუნელი და აქედან ნაწარმოები სუნნელეზა:

საკვშველი სუნნელი: ჰილ-ენტ. 40 v, 13; ნელსაცხებელი სუნნელითა მით წყაროთა: სინ. 211, 37; საკუშვევლითა სუნნელითა: შუმ. (აგ. ძეგ.) 28, 22 НК; სუნნელეზაჲ დიდძალი მიეფინებოდა ზედა ყოველსა-ერსა: ჰილ-ენტ. 257 v, 2; სუნნელეზასა ნელსაცხებელთა შენთასა შეუდგეს: იქვე, 262 v, 2; შესწირვიდა შენდა... სუნნელეზისა და ურვისათუის უშვილობისა ვედრებასა: იქვე, 263, 12. თუმცა, უნდა შევნიშნოთ, იქვე გვხვდება იშვიათად დანარჩენი ორი სახეობაც: მუნ არიან მარტულითა გუირგუინნი, მართალთა სულნელეზანი: 87, 18; გშუენის, იოვანე, სურნე-

<sup>1</sup> გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, 1949, გვ. 209, 210.

<sup>2</sup> მაგრამ გვხვდება ზმნურ ფეძეში (ისუნნებნ: სახისმეტყ. 15, 45).

ლ ე ბ ა ა : 20 v, 3. ასეთ შემთხვევაში ს უ ნ ე ლ ს დისიმილაციურად აღვი-  
ლად შეედლო მოეცა ს უ რ ნ ე ლ ი (ნნ—რნ, აგრეთვე ს უ ლ ნ ე ლ ი ც :  
ნნ—ლნ), მაგრამ , ვიმეორებ, თვით ს უ ნ -ი, ცალკე აღებული, არ გვხვდება  
ძველ ქართულში, ამ მნიშვნელობით იქ არის მხოლოდ ს უ ლ ი . აი რამდენიმე  
ზაგალითი:

ყვრილსა მას მისსა გამოსცის ს უ ლ ი საკუმეველთაჲ პირსა მისსა: სახის-  
მეტყ. 19, 28. ნ. მარი ამ ადგილს ასე თარგმნის: при реве том исходит бла-  
говоние всяких курений изо рта. ცხადია, ეს მერმინდელი ს უ ნ ი ა; ალალის  
პირი თუსი, და ს უ ლ ი სულნელებისა საკუმეველთაჲ გამოქდის პირისაგან  
მისისა და ეცის ს უ ლ ი იგი ნელი თევზთა და მისდევედ და შთაიბნინიან პირ-  
სა ვეშაჲ-თევზისასა მის: იქვე, 20, 26, 29 (благовонный запах). სწორედ აქაა  
მოცემული ჩვენი კომპოზიტის ამოსავალი კომპონენტები ს უ ლ ი იგი ნ ე -  
ლი! აქედან ერთად შეერთებული ს უ ლ ნ ე ლ ი, ცხადია, უდისიმილაციო  
ფორმაა, სწორედ ისაა საფუძველი დისიმილაციური ს უ რ ნ ე ლ -ისათვის.  
სხვა მაგალითები: რაჟამს ვალნ იგი, გინა თუ ზუაობნ, ს უ ლ ი ეცის მონადი-  
რეთაჲ: იქვე, 2, 13; ვინაჲცა-იგი ს უ ლ ი მოეცეს: იქვე, 19, 33.

მაგრამ ს უ ლ ი ამ ვაგებით (ს უ ნ -ის მნიშვნელობით) გვხვდება სხვა ძეგ-  
ლებშიც: ვითარცა იყნოსის ს უ ლ ი სიტყოვასაჲ: კიმ. I, 219, 8; თევზსა რაჟამს  
ეცის ს უ ლ ი სიცივისაჲ, უფროასად დატკბის კორცი მისი: იქვე, 252, 17;  
ს უ ლ ი სამოსლისა შენისაჲ, ვითარცა ს უ ლ ი გუნდრუქისაჲ: ქებ. 4, 11;  
იყნოსა ს უ ლ ი სამოსლისა მისისაჲ: კურთ. იაკ. 290 b. შდრ. აჰა ესერა ს უ ლ -  
ნ ე ლ ე ბ ა ა სამოსლისა ძისა ჩემისაჲ: იქვე. მაშასადამე, ს უ ლ ი და ს უ ლ -  
ნ ე ლ ე ბ ა ა აქ ერთნაირი მნიშვნელობით არის ნახმარი; ს უ ლ ნ ე ლ ე ბ ა  
ს უ ლ -იდან მოდის უცვლელად, უდისიმალიციოდ. კიდევ: იყნოსოს ს უ ლ ი  
ზისი: უძვ. რედ. 161, 12; შროშანსა და ვარდსა აქუს ს უ ლ ი ნ ე ლ ი: იქვე,  
228, 14. აქაც იგივე შეხამება გვაქვს: ს უ ლ ი ნ ე ლ ი. კიდევ: ს უ ლ ი ეცის  
მძორისაჲ მის: თუალთ. 17, 34; ს უ ლ ი ს ა მისგან მყარლობისა: კიმ. 1, 232, 1;  
მრავალ-ფერნი ყუაიღინი არიან ...ჰამონი ს უ ლ ი თ ა და სულნელნი საყნო-  
სელად: Опис. 65, 5 (=სწავ. 83, 25).

რომ ს უ ლ ი უნდა იყოს ამოსავალი ზემოთ აღნიშნული სამივე კომპო-  
ზიტისათვის (სულნელი, სურნელი, სუნელი), ეს კარგად ჩანს გამოთქმიდან  
ს უ ლ ი ს უ ლ ნ ე ლ ე ბ ი ს ა ა . თუ იმ ცნებას ს უ ლ ი ჰქვია, ცხადია,  
იქედან ნაწარმოები კომპოზიტი ს უ ლ ნ ე ლ ი უნდა იყოს. და არის კიდევ.  
მაგალითები: ს უ ლ ი ს უ ლ ნ ე ლ ე ბ ი ს ა ა ; ზარზმ. 181, 2; კიმ. I, 113, 22;  
209, 7; ლევ. 1, 9, 13; 8, 21; ს უ ლ ი თ ა ს უ ლ ნ ე ლ ე ბ ი ს ა ა თ ა : სახის-  
მეტყ. 10, 43; ს უ ლ ა დ ს უ ლ ნ ე ლ ე ბ ი ს ა : ლევ. 1, 17; 2, 9; ს უ ლ ა დ  
ს უ ლ ნ ე ლ ა დ : ლევ. 2, 12; 3, 5, 16; 4, 31; 6. 15, 21; 8, 28; ს უ ლ ა დ ს უ ლ -  
ნ ე ლ ე ბ ი ს ა დ : ლევ. 3, 11 და მრავალი სხვა.

ს უ ლ ნ ე ლ ი, ს უ ლ ნ ე ლ ე ბ ა, მაშასადამე, თავდაპირველი, უდისიმი-  
ლაციო ფორმა ყოფილა. ეს ფორმები ძალიან გავრცელებულია ძველ ქართულ-  
ში და მათი შობოვება მეტად ადვილია. ჩვენ დავიმოწმებთ აქ მაგალითებს უკონ-  
ტექსტოდ: ს უ ლ ნ ე ლ : მოქც. 87, 14; Опис. 9, 8; სინ. 124, 7; უდაბნ. 70 v, 8;  
ბარზ. 1174 b; ს უ ლ ნ ე ლ ი : გამ. 30, 23, 34; ს უ ლ ნ ე ლ ი ს ა : გამ. 30, 23;  
კიმ. I, 209, 7; ს უ ლ ნ ე ლ ი თ ა : უდაბნ. 46 v, 8; შუშ. 19, 9; კიმ. II, 14, 13;

15, 18; 26, 16; სულნელად: თუალთ. 79, 1; უდაბნ. 40 rb; სვან. 486 b; სწავ. 58, 11; სულნელნი: მოღრ. 7, 29; სულნელთა: აბო 185, 6; 193, 36; კიმ. I, 113, 24; სულნელეზა: გამ. 5, 21; სვან. 339 b; კიმ. I, 57, 19; სულნელეზამან: ხანძთ. 153, 9; სულნელეზასა: ესაია 30, 10; სინ. 212, 4; აბო 194, 2; სულნელეზისა სვან. 24 a; უდაბნ. 69 vb; სულნელეზითა: აბო 182, 28; კიმ. I, 111, 31; სულნელეზი: აბო 197, 20 და ბევრი სხვა.

სულნელი-იდან დისიმილაციით მიღებულია სურნელი (ლ...ლ—რ...ლ), ხოლო სულნელეზი-იდან — სურნელეზა-ა. მაგალითები:

ქრისტეანეთა რჩული წმიდა და სურნელ არს: ევსტ. 162, 29; ესმინ და ფრიად სურნელ არს და ჰამო ეამობაჲ მათი: ევსტ. 165, 28; რომიზადეს სურნელი და ნელსაცხებელი: ლ. 23, 56 D; რომელი სურნელ არს უფროას ყოვლისა სურნელეზისა: თარგმ. გამოცხ. 1, 15 aB; საკუმეველითა სურნელითა: შუმ. (აგ. ძეგ.) 28, 22 F; მოაქუნდა, რაჲ-იგი მოემზადა სურნელეზი: ლ. 24, 1 D; შეპტრაგნეს იგი ტილოებითა, არდაგებითა სურნელთა მათ თანა: ი. 19, 40 D; სახლი იგი ყოველი აღიესო სურნელეზითა მით ნელსაცხებლისაჲთა: ი. -2, 3 CD; საკუმეველი სურნელეზისაჲ: ლიტ. ქრ. 11, 2.

### ნ...ნ—ნ...ლ // ნ...რ

ბერძნული λεχάνιον (λεχάνη, λεχάνη, λεχάριον) ძველ ქართულში მრავალი სახით არის გადმოსული. იქ გვაქვს 1. ლანკანი (ლიმ. 106, 26), რომელიც შედარებით სრულად გადმოგვცემს ბერძნული სიტყვის მასალას, მაგრამ ამჟამად ჩვენს ინტერესს არ იწვევს, 2. ლარნაკი-ი (ასურ. 65, 15), რომელიც აგრეთვე ახლა არ გვაინტერესებს, 3. ლანკნა-ა, 4. ლანკლა-ა, 5. ლარკნა-ა, 6. ლაკნა-ა, 7. ლაკლა-ა და 8. ლაკრა-ა.

ძალიან გავრცელებულია ლანკნა-ა, რომელიც საფუძვლად უძევს სხვა სახეობებს: სწორედ მისგანაა მიღებული ლანკლაჲ პროგრესული დისიმილაციის საფუძველზე; ლარკნაჲც იქიდანვე მომდინარეობს ახლა უკვე რეგრესული დისიმილაციის გზით; ლაკნაჲ მისგანვეა მიღებული ნ-ს დისიმილაციური დაკარგვის ნიადაგზე; ლაკლაჲ მომდინარეობს ლანკლა-საგან ნ-ს დისიმილაციური დაკარგვის გამო, ხოლო ლაკრა-ში გადახლართულია სხვადასხვა ფონეტიკური მოვლენა: ლანკნაჲ—ლანკრაჲ (პროგრ. დისიმ.) და ლანკრაჲ—ლაკრაჲ (ნ-ს დისიმ. დაკარგვა). ეს უკანასკნელი ასეც შეიძლება აგვეხსნა: ლარკნაჲ—ლაკრნაჲ (მეტათეზისი)—ლაკრაჲ (დისიმ. დაკარგვა). უფრო საფიქრებელი პირველი დაშვება უნდა იყოს.

დისიმილაციის ყველაზე ნათელი მაგალითებია ლანკნაჲ—ლანკლაჲ // ლარკნაჲ. აქ ჩვენც ამათ მაგალითებს მოვიყვანთ. ჭერ ვუჩვენებთ ქართულში ამოსავალ ფორმებს:

a) იხილა, ვითარამცა ლანკნაჲ ედგა თავსა ზედა თვისსა: უძვ. რედ. 172, 23 B; დასთხია ლანკნაჲ თვისი ქუეყანასა ზედა: გამოცხ. 16, 2; აწვე მნებაეს, რაჲთა მომცე მე ლანკნასა ზედა თავი იოვანესი, ნათლის-მცემელისა: მრ. 6, 25 C; აქუნდა თითოეულსა ათძალი და ლანკნანი ოქრომ-

სანი: გამოცხ. 5, 8 A; წარვედით და დასთხიენით შუდნი ეგე ლანკნანი გულის-წყრომისა ღმრთისანი ქუეყანასა ზედა: გამოცხ. 16, 1.

b) ლანკნაჲ—ლანკლაჲ.

ლანკლასა მას ზედაეკრძოსა იყო ყოვლისაგან სანოვაგისა: დაბ. 40, 17; მოართუა თავი მისი ლანკლასა ზედა: მრ. 6, 28 C; გვრგვნი პატიოსანი დადებად სცა ლანკლასა: ქრისტეფ. 192, 40; მომეც მე აქა ლანკლითა თავი იოვანე ნათლის-მცემელისაჲ: მ. 14, 8; მოართუეს თავი იგი ლანკლითა: მ. 14, 11; მეესა შინა უბრძანა შემოღებაჲ თავისა მის ნათლის-მცემელისაჲ ლანკლითა: სინ. 210, 18; აქუნდა თითოეულსა ათხალი და ლანკლანი ოქრომასანი: გამოცხ. 5, 8 C; საშნი ლანკლანი სამინდომათა მქონდეს თავსა ზედა ჩემსა: დაბ. 40, 16.

ლანკნაჲ—ლარკნაჲ

წარიხუნეს იგინი მონასტერსა თათას მიერ (მოწაფისა მისისა) აღშენებულსა, და ლარკნისა მოქმედთა მას შინა დასხნეს პატიოსანი ნაწილნი მისნი: ასურ. 65, 15 ო. აქ, როგორც აღნიშნული გეჰონდა, გვაქვს პროგრესული დისიმილაცია: ნ...ნ—რ...ნ.

სურათის სისრულისათვის ქვემოთ ვუჩვენებთ თითოეულსა მაგალითს დისიმილაციური დაკარგვისას:

ლანკნაჲ—ლაკნაჲ

დასთხია ლაკნაჲ თჳსი ქუეყანასა ზედა: გამოცხ. 16, 2B; მეშუდემან მან ანგელოზმან დასთხია ლაკნაჲ თჳსი ჰაერსა ზედა: გამოცხ. 16, 17 AB; ლაკნისა მისგან: დაბ. 40, 17 ლატ.; დათხევაჲ ლაკნისაჲ მის საყდარსა ზედა მკეცისასა: თარგმ. გამოცხ. 16, 11 AB; რომელთა აქუნდა შუდი იგი ლაკნები: გამოცხ. 17, 1 AB.

ლანკნაჲ—ლანკლაჲ—ლაკლაჲ

მომეც მე აქა ლაკლითა თავი იოვანესი, ნათლის-მცემელისაჲ: მ. 14, 8 Z; და მოართუეს თავი მისი ლაკლითა: მ. 14, 11 Z.

ლანკნაჲ—ლანკრაჲ—ლაკრაჲ

მოიყვანენ შშობელთავე გინა თუისთა მათთა ეკლესიად... და გუერგუინნი მათნი ლაკრითა: Опис. 156, 12 ქვ.

სუნელი, სუნელი ლებაჲ იხ. ზემოთ სულნელი, სულნელემაჲ (გვ. 66—68).

ფილოკინეს—ფილოკინოს:

წარიყვანეს და შეიყვანეს ქალაქად და მისცეს იგი ფილოკინოსს ღისმე, ერისთავსა მისევე გუნდისასა: კიმ. II, 62, 21 C. B-ში ფილოკინეს იკითხება. გვაქვს რეგრესული დისტანციური დისიმილაცია. ადამიანთა სახელებში ასეთი დისიმილაცია ხშირია.

ორი ბაგისმიერი მ და ბ ერთად ვერ ძლებს და პირველი განემსგავსება მეორეს, ნ-დ იქვეა.

ძველ ქართულში ჩვეულებრივ გვაქვს ჰამბავეი//ამბავეი: განითქუა ჰამბავეი მისი: მ. 4, 24; ესმა პეროდეს...ჰამბავეი იესუასი: მ. 14, 1; გეს-მოლიან ბრძოლანი და ჰამბავენი ბრძოლათანი: მ. 24, 6; აჰა ამბავეი იყოს, და თქუან: ისტ. ქრ. II, 21, 2. მაგრამ ხშირია აგრეთვე დისიმილაციიანი ფორმებიც:

განითქუა ანბავეი მისი ყოველსა მას ქუეყანასა ქართლისასა: ასურ. 53, 3 D; ესმა ჰანბავეი მისი: იქვე, 166, 4; განჰქდა ჰანბავეი მისთუს: ათანას. 66, 34; განთქუეს ანბავეი წმიდისა მისთუს: კიმ. I, 319, 18; განითქუა ჰანბავეი: ბალ. 100, 24 J.

აბბა-საგან, ერთი მხრივ, მიღებულია აბა (დისიმილაციური დაკარგვა), მეორე მხრივ, ამბა (დისიმილაცია), ხოლო ამ უკანასკნელისაგან — ანბა (დისიმილაცია — ზემოთ აღნიშნული წესის მიხედვით). აქ ვუჩვენებთ ოთხივე ტიპის მაგალითებს:

a) აბბა მამაო: მრ. 14, 36 C; თარგმ. გამოცხ. 22, 17 B; აბბა, გუარ-ქუ ჩუენ სიტყუაჲ: ლიმ. 86, 12; აბბა, რომელ-იგი არს მამაო: Sin. 35, 6 rb, 8 ქე.

b) აბა მამაო: მრ. 14, 36 DE; თარგმ. გამოცხ. 22, 17 C; დავამძიმე აბა-სა: Sin. 35, 193 rb, 8; შეურდა აბასა: იქვე, 196 va, 17.

c) ამბა მამაო: თარგმ. გამოცხ. 22, 17 A; აღწერა ამბა იოვანე: ლიმ. 1, 6 A; მიუგო ამბა საბა: ისტ. ქრ. II, 92, 36; დაუსხენ, ამბა, ტევანნი ეგე ეპარსავე მაგას: საკ. წიგ. II, 117, 8; წმიდასა ამბა თევდოლოს: სინ. 267, 14; სახელი ერთისაჲ მის ამბა ესაია და მეორისაჲ მის ამბა საბა: სინ. 267, 37, 268, 1; ესმა მისთუს ამბა თევდოლის: სინ. 269, 7; რომელსა ერქუა ამბა მოსე ფარანელი: სინ. 269, 34; განქურნა... კელითა ამბა მოსქითა ეშმაკეულნი: სინ. 270, 5; სახელი ერქუა ამბა იოსებ ჰაღლელი: სინ. 270, 34; განულო მას ამბა იოსებ ჰაილელმან: სინ. 271, 7.

d) აღწერა ანბა იოვანე: ლიმ. 1, 6 S; მონასტერსა ანბა ეესტრაჯის-სა: ლიმ. 2, 9 S (ვარიანტში არაა ნაჩვენები); ანბა ირინოს გვთხრობდა: ლიმ. 28, 10.

ქართულში თვეების სახელებად აღრიდანვე დამკვიდრდა ლათინური სახელწოდებანი. აქედან ჩვენ ახლა გვაინტერესებს ოთხი: სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი და დეკემბერი.

ძველი ქართულის ძეგლებში ეს სახელები ზოგჯერ მანით არის გადმოცემული — სეკდემბერი (სხვა ბგერებს ამჟამად არ ვაქცევთ უზარდლებას), ოკლომბერი, ნოემბერი და დეკემბერი, ზოგჯერ კი — წარით — საკდენბერი, ოკლონბერი, ნოენბერი და დეკენბერი. ცხადია, პირველი რიგის მბ კომპლექსი მერმე შეცვლილია ნბ კომპლექსით, ე. ი. ადგილი აქვს რეგერესულ კონტაქტურ დისიმილაციას. ამ ორი რიგის ფორმებს შორის იმდენად დროული განსხვავება არ არის, რამდენადაც დიალექტური ან წრიული (ზოგჯერ ინდივიდუალური), რადგანაც ზოგჯერ ორივე მათგანი ერთსა და იმავე ხელნაწერში გვხვდება ერთმანეთის

გვერდით. მაინც უნდა შევნიშნოთ, რომ ძველ ქართულში უმეტესად დისიმი-  
ლაციიანი ფორმები გვხვდება (სეკდენბერი, ოკლონბერი), ვიდრე უდისიმი-  
ლაციონ (სეკდემბერი, ოკლომბერი). ახალ ქართულში ეს უკანასკნელი დამ-  
კვიდრდა.

აქ ვუჩვენებთ ორივეგვარ ფორმებს — ამოსავალ, მანიან მაგალითებსაც და  
დისიმილაციიან, ნარიანებსაც:

a) ს ე კ დ ე მ ბ ე რ ი: ჭილ-ეტ. 232, 3; 245 v, 20; 259 v, 14; 262 v, 13;  
აღწ. 7, 15, 17, 20, 22, 24, 26, 28, 32, 34, 36, 38; ო კ ლ ო მ ბ ე რ ი: შუშ. (აგ.  
ძეგ.) 29, 2 EF; აღწ. 8, 1, 3, 5, 7, 11, 13; ნ ო ე მ ბ ე რ ი: ჭილ-ეტ. 265 v, 4;  
269, 3; აღწ. 8, 15, 17, 19, 20, 22, 24, 26, 28, 30, 32, 34, 36, 38; დ ე კ ე მ ბ ე რ ი:  
ჭილ-ეტ. 18-v, 5; ეტ. VIII, 9, 17; 36, 9; 41, 23; აღწ. 8, 1, 3, 5, 7, 9, 11; აგ. ძეგ. II,  
213, 1.

b) ს ე კ დ ე ნ ბ ე რ ი: სინ. 216, 1; 217, 1; 232, 1; ო კ ლ ო ნ ბ ე რ ი: შუშ.  
(აგ. ძეგ.) 11, 1; 29, 2; ზარზმ. (იქვე, 319, 10); ეტ. VIII, 81, 1; Sin. 11, 94, 1;  
საკ. წიგ. I, 48, 3; II, 20, 2; ნ ო ე ნ ბ ე რ ი: Sin. 11, 8, 13; 109 v, 9; 152, 9;  
ისტ. ქრ. II, 74, 3; ეტ. VIII, 104, 10; კახ. (აგ. ძეგ.) 164, 1; გობრ. (იქვე), 172, 28;  
დ ე კ ე ნ ბ ე რ ი: Sin. 11, 34, 1; კიმ. I, 43, 3 (=სინ. 279, 1); კიმ. II, 44, 9; 55, 1;  
98, 7; ისტ. ქრ. II, 66, 3.

### პ ა მ ბ ო — პ ა ნ ბ ო

მამისა პ ა მ ბ ო მ ს თ ჯ ს: Sin. 35, 300 ra, 16; ...rb, 16; იტყოდეს მამისა  
პ ა მ ბ ო მ ს თ ჯ ს: იქვე, 300 rb, 3. მაგრამ: თქუა მამამან პ ა ნ ბ ო: იქვე.  
300 ra, 17; იტყოდეს მამისა პ ა ნ ბ ო მ ს თ ჯ ს: იქვე, 300 rb, 12.

### წ უ მ წ უ ბ ა — წ უ ნ წ უ ბ ა

აწუმა ცეცხლი და წ უ მ წ უ ბ ი: ლ. 17, 29 AC; პირთა მათთაგან გამოვალს  
ცეცხლი და კუამლი და წ უ მ წ უ ბ ა ა: გამოცხ. 9, 17; წუიმდეს ცოდვილთა  
ზედა... წ უ მ წ უ ბ ა ა (წ უ მ წ უ ბ ი E): ფს. 10, 6; და იტანჯოს ცეცხლითა  
და წ უ მ წ უ ბ ი თა: გამოცხ. 14, 10; უმჯობეს არს იგი წ უ მ წ უ ბ ა ს ა წ ი-  
თელსა: ბალ. 27, 35 BCD; უმჯობეს არს იგი წ უ მ წ უ ბ ი ს ა სახენი: გამოცხ. 9, 17 BC;  
ცეცხლისაგან და კუამლისა და წ უ მ წ უ ბ ი ს ა: თარგმ. გამოცხ. 9, 17. მაგრამ:  
აწუმა ცეცხლი და წ უ ნ წ უ ბ ი: ლ. 17, 29 BDE; აწუმა ცეცხლი და წ უ ნ წ უ-  
ბ ა ა ზეცით: ლ. 17, 29 (ქსანი); უმჯობეს არს იგი წ უ ნ წ უ ბ ა ს ა წ ითელსა:  
ბალ. 27, 35 A.

### მ ფ — ნ ფ

### შ ა მ ფ უ რ — შ ა ნ ფ უ რ

ბრძანა... რაათა მოილონ შ ა მ ფ უ რ ი რ კინისაჲ მახული: პარხ. 1114 b;  
1174 b. შდრ. სომხ. *ჟამჭილქ*. მაგრამ გვაქვს დისიმილაციიანი ფორმაც: აქურ-  
ვებდეს იგინი შ ა ნ ფ უ რ თ ა და დასდებდეს ბარკალთა მათთა ზედა: თეკლ.  
118, 7.

ამპარტავან—ანპარტავან

ა) იყო იგი... ლალ, ამპარტავან და შუენიერ ხილვითა: ბალ. 3, 19; არა არს იგი გულ-მწყრალ, არცა ანგაპრ, არცა ამპარტავან: ბალ. 74, 27; მამალი ქათამი ამპარტავან არს: უძვ. რედ. 112, 18; ...ზუაეიცა იგი და ამპარტავანი: ასურ. 17, 24; განაბნინა ამპარტავანნი ლ. 1, 51; სინ. 14, 14; ივლტოდე ცულად-მეტყუელებისაგან ფილოსოფოსთა ამპარტავანთაჲსა: უძვ. რედ. 109, 22 A; ...ანუ სიმდაბლე ანუ ამპარტავანებაჲ: იქვე, 34, 29; ამისთჳს მიუშუა ამპარტავანებასა შენსა: ბალ. 107, 13; ამპარტავანებისა ძლით: ასურ. 17, 25; სილალით და ამპარტავანებით ამურებედ გლაბაკთა: ბალ. 137, 4; გულისაგან კაცთაჲსა გამოვლენ... ამპარტავანებანი: მრ. 7, 22.

ბ) განაბნინა ანპარტავანნი: ლ. 1, 51 (ქსანი); ანპარტავანნი ურჩელოვდეს ფრიად: ფს. 118, 51 B; ნუ ცილსა შემწამებენ მე ანპარტავანნი: ფს. 118, 122 B; ფერკი ანპარტავანისაჲ... ნუ შემძრან მე: ფს. 35, 12 B; რომელმან ყვის ანპარტავანებაჲ: ფს. 100, 7 B; პირი მათი იტყოდა ანპარტავანებასა: ფს. 16, 10 B; რომელნი მეტად ჰყოფენ ანპარტავანებასა: ფს. 30, 24 B; რომელნი იტყვან... ანპარტავანებითა და შეურაცხებითა: ფს. 30, 19 B; გულისაგან კაცთაჲსა გამოვლენან... ანპარტავანებანი: მრ. 7, 22 (ქსანი). ამ მაგალითებში წარმოსათქმელად აუტანელი მკომპლექსი შეცვლილია ნკ კომპლექსით, ე. ი. ადგილი აქვს რეგრესულ კონტაქტურ დისიმილაციას.

მაგრამ ზემოთ აღნიშნული საწარმოთქმო სიძნელის ასაცილებლად არსებობს კიდევ სხვა საშუალება — მ-ზე ხელის აღება საესეებით. ამის მაგალითებიც მოგვეპოვება: განაბნინა აპარტავანნი: გალობ. (ფს.) 9, 6 C (=ლ. 1, 51); რამეთუ სახე არს ესე აპარტავანებისაჲ: Sin. 25, 61 v, 9 (დისიმილაციური დეკარგვა).

**В. ხმოვანთა დისიმილაცია**

✓ ხმოვანთა რეგრესული დისიმილაციის ნიმუშს წარმოადგენს ეან სუფიქსის იან-ად გადაქცევა: ე-დ იცვლება და მომდევნო ა-ს უფრო მეტად განემსგავსება; სტიციწროვის მიხედვით განსხვავება მატულობს! ✓ ეა—ია დღესაც დამახასიათებელია ქართული ენის კილოებისათვის, ზოგჯერ სალიტერატურო ქართულისათვისაც. მაგალითად. იამა (=ეამა; ქრელი პეპელა დაათრო და ჯაბრუა იამა, მას მიეპარა ყმაწვილი, დაიჭირა და იამა), მიაგა (=მეამა), გიაგა (=გეამა) სალიტერატურო. ქართულშიც გვხვდება, ხოლო ისეთი ზმნური ფორმები, როგორცაა: შიაშინა (=შეაშინა), შიაგლო (=შეაგლო), შიაფურთხა (=შეაფურთხა), შიაბერდა (=შეაბერდა) და სხვანი, მეტად დამახასიათებელი და ძალიან გავრცელებულია ქართული ენის დასავლურ კილოებში. ამ ფონეტიკური მოვლენის სათავე თვით ძველ ქართულში გვაქვს:

<sup>1</sup> გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, გვ. 200.

მარილენი და მარილიანი, გესლეანი და გესლიანი, წამლეანი და წამლიანი იქ ერთმანეთის პარალელურად ხშირად გვხვდება. აქ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ეან (—იან) სუფიქსის ხმარება ძველ ქართულში საერთოდ ძალიან შეზღუდული იყო, ძალზე იშვიათად იხმარებოდა. სამის ასანახალურებლად იქ მიმართავდნენ ოვან, იერ, ოსან... სუფიქსებს (მარილოვანი, ოფლიერი, ტვრთოსანი...), მაგრამ იმ იშვიათ შემთხვევებში, როცა ეან გვექონდა, მის პარალელურად იქვე იყო აგრეთვე იან-იც, დისიმილაცია იქვე ხდებოდა.

აქ ვუჩვენებთ ორივე სახის (უდისიმილაციო და დისიმილაციიანი) ფორმებს:

ა) ესე ნაშობი იყო აბრამეანი, ძეთაგან ისმელისთა: აბო 184, 34; ბაღდადი აგარეანთა დაიპყრესო: მოქც. (ისტ. ქრ. I) 270, 6; მიქსენ მე. უფალო, აგარეანთაგან: ლიტ. ქრ. 325, 1 ქვ.; რავედენნი წარუტაცებთან მამანი... და ყოველი ერი ადამეანი: სწავ. 187, 7; აღჰკოცდა ქელწერილსა ბრალოთასა ნათესავისაგან ადამეანთაჲსა: კიმ. I, 156, 8; აუგეან არს იგი წინაშე ღმრთისა: სწავ. 167, 21; ნუმეა არს მსახურებაჲ ჩუენი აუგეან: სწავ. 179, 1; აუგეან არს იგი: სწავ. 186, 13; რომელთა აუგეან ყვეს ღღესასწაული ღმერთთაჲ: კიმ. II, 33, 34; არარაჲ ვნებათაგანი აუგეან ჰყოფს კაცსა წინაშე ღმრთისა უფროჲს ვნებისა ამის: სწავ. 83, 11; რომლითა აუგეან ყონ შობაჲ მისი: ლიტ. ქრ. 24, 29; აუგეან ყო უეამოდ მოსწრაფებთა: ხანძთ. 130, 34; ლოცვაჲ ბიწიერი და აუგეანი შეურაცხ არს წინაშე ღმრთისა: სწავ. 167, 2; სამოსელი ბაყლეანი: სწავ. 250, 10, 17, 20, 34; 281, 4, 17, 19, 21; მოსილ არს იგი სამოსლითა ძონძითა და ბაყლეანითა: ლიმ. 77, 29; და ნაქენი იგი გესლეანისა მის მგელისაჲ... განკურნა: უღაბნ. 7 v; აბო 182, 5 (ძველ ქართულში ჩვეულებრივია გესლოვანი: სინ. 112, 6; სიბრძნ. 16, 10); რომელნი ედემიანისა მთისაგან... მოივლინეს: სვან. 392 b; სხუაჲ არს სიზმარი მათი და სხუაჲ არს კაეშნეანთაჲ მათ და მუტელ-ქსნილთაჲ: უძვ. რედ. 174, 4; და გან-მე-რეუნა გონებაჲ მკურავლებისაჲ შთასადინელმან მან ლარეანმან: უძვ. რედ. 227, 21 (იქვეა ლარი, საიდანაც ნაწარმოებია ლარეანი: 159, 3; 223, 8; 227, 6).

დაშთის ზღუდა იგი მარილენ და მწარე: უძვ. რედ. 49, 5 A (მეორე ხელნაწერში ძველი ქართულისათვის ჩვეულებრივი მარილოვანი გვაქვს. ეგვევე მარილოვანი იკითხება აგრეთვე აქვე: 30, 7; 130, 9; 136, 21; 206, 27 და სხვაგანაც: ეპ. იაკ. 3, 12 C); ხოლო ესე ნესტორეანნი არიან განოჯდლინი წმიდისა კათოლიკე ეკლესიისაგან: Sin. 11, 388 r, 16 (ამ ტიპის სახელებშიც ეან სუფიქსი უნდა გვექონდეს: ნესტორეან-ნი, ე. ო. ნესტორის მოძღვრების მიმდევარნი, მისი მომხრეები); სიტყუთა შენითა ოქრეანითა ოქრეან ჰყვენ მორწმუნეთა სულნი: სას. პ. 134, 11; ვიხილეთ გემოჲ სიკუდილისაჲ, სხამეანი: სწავ. 217, 22; რომელნი არიან მდინარეთა შინა და უყეანთა და ტბათა შინა: უძვ. რედ. 97, 26; რომელნი-იგი უყეანთა მდინარეთა და ტბათა შინა იშვებიან: ექუსთ. 82, 18; რომელ არიან უმრავლესნი თევზთაგანნი, ქეცეანნი და უქეცონნი: უძვ. რედ. 96, 27; ანუ არა ქეცეანნი ა, ანუ უქეცონნი (sic!): ექუსთ. 81, 17.

ეან სუფიქსი გვაქვს დაცული ცნობილ ქრისტეანე სახელში (ბოლო ე-ს საკითხი ცალკე უნდა იქნეს შესწავლილი), რომელშიც ორი ე-საგან ერთია დარჩენილი: ქრისტე-ეან-ე—ქრისტეანე. მაგრამ ძველსავე ქართულში



გვაქვს დისიმილაციიანი ფორმა ქრისტიანე. როგორც ჩანს, ჩვეულებრივს მეტყველებაში უკვე ქრისტიანე იხმარებოდა, მაგრამ ტრადიციის ძალით ქრისტეანე იწერებოდა. ამ მხრივ საინტერესო მასალას იძლევა სინური ხელნაწერი № 11, რომელშიც ეს სახელი სისტემატურად ე-თია გადმოცემული, თუ იგი ქარაგმით არის წარმოდგენილი (ქეანე, ქეანემან, ქანესა, ქენი, ქანეთა...), მაგრამ თუ იგი სრულად (უქარაგმოდ) არის დაწერილი, მაშინ მუდამ ე-თია მოცემული (ქრისტიანე, ქრისტიანემან, ქრისტიანესა, ქრისტიანენი, ქრისტიანეთა...). აი ამის რამდენიმე მაგალითი:

უკუეთუ ქრისტეანე არს ეგე: საქ. წიგ. II, 21, 23; ქრისტეანე ხარა: იქვე, 21, 28; შენ უკუე ქრისტეანეა ხარა: იქვე, 21, 17; რამთა... მოჰსრვიდენ ქრისტეანეთა (ქეანეთა): იქვე, 20, 32; ვეძიებ ქრისტეანეთა: იქვე, 21; 22; კრებული ქრისტეანეთაა ივლტოდა: იქვე, 20, 30; საესე იყუნეს საპურობილენი... ერთთა ქრისტეანეთათა: იქვე, 21, 8. მაგრამ იქვეა ასეთი (დისიმილაციიანი) ფორმებიც (მთლიანად დაწერილი):

არამცა აღვიარე, ვითარმედ ქრისტიანე ვარ: იქვე, 22, 38; აღიარა, ვითარმედ ქრისტიანე არს ეგე: იქვე, 21, 24; ჰე, რამეთუ ქრისტიანეა ვარ: იქვე, 21, 17; აცთუნეს იგი ქრისტიანე ყოფად: იქვე, 23, 7; შენ რად ქრისტიანენი... გესვენ: იქვე, 33, 11; ასული ბრაკსტარისაა... შეატყუვეს ქრისტიანეთა: იქვე, 23, 6; აჰოცეს ყოველი ნათესავი ქრისტიანეთა: იქვე, 21, 1.

ეგვე სურათი ჩანს სხვადასხვა ხელნაწერის ჩვენების შედარებისასაც, მაგალითად:

4 (Sin. 11)		6 (Sin. 62)
ქრისტიანემან	საქ. წიგ. II, 75, 24	ქრისტიანემან
ქრისტიანეთაგანი	„ 75, 11	ქრისტიანეთაგანი
ქრისტიანენი	„ 76, 11	ქრისტიანენი
ქრისტიანეთა	„ 87, 23	ქრისტიანეთა

შემდეგ და შემდეგ გაიმარჯვა ინიანმა ფორმამ და დღეს მხოლოდ ის იხმარება.

ძარღუეანი: პარხ. 858 a; ისარი წამლეანი: Sin. 35, 95 va, 5; მატლი იგი წამლეანი და უკუდავი: სწავ. 92, 14; მოილო კათხა იგი წამლეანი: ლომ. 45, 28; მატლსა მას წამლეანსა: სწავ. 229, 25; რომელმან იქსნნა (ტრედნი) გუელისა მისგან წამლეანისა: Оппс. 130, 14; სავსენი ისრითა მით წამლეანითა: კიმ. I, 110, 29; საესე იყო იგი... ქუეწარმვალითა წამლეანითა: იქვე, 247, 8; ისრითა მისითა წამლეანითა: სწავ. 144, 12; ვიქმნეთ ვითარცა ჯარბნი წამლეანნი: სწავ. 268, 13; რამთა იყოს იგი ქმეანი: უძვ. რედ. 158, 16; სიტყუა ქმეანი: უძვ. რედ. 249 (მკმობიარის განმარტებისას); ვალობითა ქმეანითა: ლიტ. ქრ. 329, 1 b, 18; გამოვიდეს ფარისეველნი... ჰეროდეანთათანა: მრ. 3, 6 C; ეკრძალენით ცომისა მისგან... ჰეროდეანთათასა: მრ. 8, 15 L (ქსანი).

b) ახლა ვნახოთ ისეთი მაგალითები, როცა ზემოთ აღნიშნულ (და სხვა) სიტყვებში დისიმილაციური (ინიანი) ფორმები გვაქვს:

და კუალად აგარიანნიცა... ასურ. 9, 31 A; რომელი მოოქრებულ იყენეს აგარიანთა მიერ: აგ. ძეგ. 165, 15; ყოველი ერი ადამიანი: სწავ. 187, 7 C; აუგიან ჰუფს კაცსა: სწავ. 83, 11 C (ნ. ზემოთ, გვ. 73); აუგიან არს იგი: სწავ. 186, 13 C; სამოსელი ბაყლიანი: სწავ. 280, 10, 17, 20, 34 B; 281, 4, 7, 17, 19, 21 B; წაშალი იგი გესლიანი: კიმ. I, 98, 36; შურითა მით გესლიანითა: Опис. 40, 16; ვერძიანი იგი უხუ არს: ექუსთ. 71, 13; კატა ნახუნი ფერქთანი არაოდეს თიქიან ექმნებიან სლვასა მათსა: ხანძთ. (ისტ. ქრ.) 256, 20. (ჩვეულებრივია ოვანი-ით ნაწარმოები ფუძე: ტბური თიქოვანი: სახისმეტყ. 18, 5); ზამთარი თოვლიანი: ლიტ. ქრ. 28, 19; ზამთარი იყოს ტფილი, გრძელი, თოვლიანი: იქვე, 28, 23; მას წელ იყოს ზამთარი ტფილი და მოკლე და თოვლიანი: იქვე, 29, 21; უკუეთუ (საქმელი) უმგბარი იყვის ანუ უმარლომ ანუ მარილიანი: ცხორ. ეფთ. 70, 13; ვერცა ერთი წყარომ მარილიანსა და ტბილსა წყალსა აღმოცენებად (ეგების): ებ. იაყ. 3, 12 ლ (ნ. ზემოთ, გვ. 73); ვიხილეთ გემომ სიკუდილისაჲ, მშხამიანი: სწავ. 217, 22 C; და იყო უნიშნომ იგი ლაბანისა, ხოლო ნიშნიანი იგი იაკობისა: დაბ. 30, 42; ზამთარი იყოს კეთილ, ზაფხულისა არე ნოტიან: ლიტ. ქრ. 30, 43; ზამთარი იყოს მუყარ და ფიცხელ, სთუელი ნოტიან: იქვე, 30, 46; ზამთარი იყოს ფიცხელ, ზაფხული ნოტიან: იქვე, 31, 1; იყოს... წელიწადი გრძელი, სეტყუანი: იქვე, 29, 29; ვიხილეთ გემომ სიკუდილისაჲ, სხამიანი: სწავ. 217, 22 B; ზამთარი იყოს კეთილ, ზაფხული ქარიანი: ლიტ. ქრ. 31, 3; ქრისტოიანი, ქრისტოიანე მან, ქრისტეანენი, ქრისტოიანეთა (ნ. ზემოთ, გვ. 73—74); ზამთარი თოვლიანი და ყინელიანი და მავნია: ლიტ. ქრ. 28, 19; იყოს... წელიწადი გრძელი, სეტყუანი და ყინელიანი: იქვე, 29, 29; უკუეთუ კულა ანუ ძმარიანი არს ანუ მეტი წყალი ერთის: ცხორ. ეფთ. 70, 5; მატლი იგი წამლიანი: სწავ. 92, 14 C; მატლსა მას წამლიანსა: სწავ. 229, 25 C; განერის ენებისა მისგან წამლიანისა: ექუსთ. 106, 27; ისრითა მისითა წამლიანითა: სწავ. 144, 12 BC; ვიქმნეთ ვითარცა ჯარბნი წამლიანი: სწავ. 268, 13 C; იყოს... გაზაფხული წყმიანი: ლიტ. ქრ. 28, 20; იყოს... გაზაფხული წყმიანი, ზაფხულიცა კეთილ წვიმითა: იქვე, 28, 24; იყოს... გაზაფხული ეამ ერთ კმელი და მერმე წყმარიანი: იქვე, 28, 30; იყოს... სთუელი გარდარეულად წყმარიანი: იქვე, 29, 28; მი-ვინმე-ავლინნეს მისა ფარისეველნი და ჰეროდოიანნი: მრ. 12, 13 ABDE; მიუვლინნეს მოწაფენი მათნი ჰეროდოიანთა თანა: მ. 22, 16 BM (მესტ.); ეერძალენით... თბისა მისგან ჰეროდოიანთაჲსა: მრ. 8, 15 C; მოავლინეს მისა ფარისეველთაგანი ვინმე და ჰეროდოიანთაგანი: მრ. 12, 13 C. ამ სიტყვაში ეანი—იანი სუფიქსის გამოყენება ძველ ვითარებაზე მიუთითებს: ჰეროდეანი—ჰეროდოიანი ჰეროდეს მომხრეებს, მის მიმდევრებს აღნიშნავს. შემდეგში ამ ფუნქციის გამო-სახატავად მზამზარეულ ფორმას ახალი ელ სუფიქსი დაემატა და ბევრგან ვეაქვს ჰეროდოიანელნი, ჰეროდოიანელთა<sup>1</sup> და სხვა.

<sup>1</sup> ჰეროდოიანი იან კაცს შეიძლება ბერძნული წარმოშობის სუფიქსი ეგონ (შდრ. *Ἡρακλῆα*), მაგრამ არა: ძველი ქართველი მას აღიქვამდა როგორც ქართულ ეანი—იანი სუფიქსებს. სწორედ ამიტომ ვეაქვს ერთმანეთის გვერდით ჰეროდეანი და ჰეროდოიანი. შდრ. ქართული მარილეანი და მარილიანი, წამლეანი და წამლიანი.

როგორც დაინახეთ, ე ა ნ სუფიქსი და მისგან დისიმილაციით მიღებული ი ა ნ-ი ცველ ქართულში ძალზე იშვიათად იხმარება. ამ სუფიქსის შეზღუდული იმპარება ერთგვარად ო ვ ა ნ, ო ს ა ნ, ი ე რ სუფიქსთა ხარჯზე ხდებოდა. სწორედ ისინი იყვნენ გამოყენებული ი ა ნ-ის მერმინდელ ადგილზე (მარილოვანი. ტვრთოსანი, ოფლიერი).

დღეს კი ი ა ნ სუფიქსი ქონების სახელების და, საერთოდ, სახელების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებულ და პროდუქციიან მანქარაობებელთაგანია, ის თითქმის ყველა სახელისაგან აწარმოებს ახალ ფორმებს (მარილიანი, ტვირთიანი, ოფლიანი, ქმრიანი, ცოლიანი, შვილიანი...).

სად შობდა ჩვენს ენაში ეს გარდატეხა? სად მიეცა ი ა ნ სუფიქსს ასეთი დიდი სასიცოცხლო ძალა? ეს ძალა მას მიანიჭა დიდმა შოთამ. „ვეფხისტყაოსანში“ შეიძინა ი ა ნ სუფიქსმა ეს ჯადოსნური უნარი. შ. რუსთველის დამსახურება ამ დარგში ისაა, რომ მან ფართოდ გამოიყენა სწორედ ეს თითქმის უხმარი სუფიქსი, ცოცხალი სული შთაჰბერა მას, შექმნა მთელი რიგი სიტყვები და ასე გამდიდრებული ლექსიკა გადმოეცა შემდგომ ეპოქებს. რუსთველის ამ ღვაწლსაც უნდა მიეწეროს, რომ ჩვენს დღევანდელ ენაში სწორედ ეს სუფიქსია ყველაზე ცოცხალი და პროდუქტიული ახალ-ახალი ზედსართავეების საწარმოებლად. ამ მარტო იმის აღნიშვნაც იკმარებდა, რომ პოემის პირველსავე სტროფში (პროლოგის შემდეგ) რითმის ოთხივე ცალი ი ა ნ სუფიქსითაა ნაწარმოები: სვიანი—ყმიანი—განგებიანი—წყლიანი.

ი ა ნ სუფიქსით ნაწარმოები ამდენი ფორმა, პოემაში რომ გვაქვს, მთელ ძველ ქართულში არ გვხვდება! (აღსანიშნავია, რომ პოემაში ძველი ე ა ნ სუფიქსი არსად ჩანს). ამ ჩვენ გვაქვს 31 ფუძე და 53 მაგალითი სხვადასხვა ფორმით. აი, ისინი (მაგალითები ყველგან მოგვყავს სახელობითი ბრუნვის ფორმით):

1. ალაძიანი 233, 1<sup>2</sup>;
2. ალაფიანი 463, 4;
3. აუფიანი 191, 1; 798, 2;
4. ბაკიანი (პირ-ბაკიანი) 233, 3;
5. განგებიანი 32, 3;
6. დარაკიანი (ხრამლ-დარაკიანი) 1099, 3;
7. დარიანი 1537, 1;
8. ეკლიანი 878, 2;
9. ენიანი 478, 2;
10. ვაგლახიანი 191, 3;
11. თვალისანი 1440, 3;
12. თმიანი (ყორან-თმიანი) 1583, 4;
13. კლდისანი 841, 2; 1099, 4;
14. მარიხიანი (გულ-მარიხიანი) 841, 3;
15. მზიანი 191, 2; 798, 3; 836, 1; 1118, 2; 1537, 3; 1583, 3;
16. ნაბდისანი (ტან-ნაბდისანი) 1278, 2;
17. ნაკეთიანი (ტან-ნაკეთიანი) 1099, 2;
18. რიანი 1537, 3;
19. სევიდისანი 101, 1;
20. სვიანი 32, 1; 463, 1; 1440, 4; 1583, 2;
21. სირცხვილიანი 827, 3;
22. სისხლიანი (ხელ-სისხლიანი) 1115, 2; 1118, 4;
23. ტყიანი 463, 4;
24. ლალატისანი 798, 2;
25. ღმრთისანი 1118, 3;
26. ყმიანი 32, 2; 827, 2;
27. წყლიანი 32, 4; 59, 4; 170, 1; 695, 3; 1099, 1; 1118, 1; 1270, 3; 1407, 2; 1583, 1;
28. ჭკვიანი 21, 1; ჭკუიანი 863, 1;
29. ხიანი 841, 1;
30. ხმიანი 233, 4;
31. ჯავრიანი 1115, 1; 1209, 2.

სულ, როგორც ვხედავთ, გვაქვს 31 ფუძე და 53 სხვადასხვა ფორმით წარმოდგენილი მაგალითი. ზოგი სიტყვა მეორდება. ასე, მაგალითად, ორ-ორჯერ მეორდება 6 სიტყვა (აუფიანი, კლდისანი, სისხლიანი, ყმიანი, ჭკვიანი—ჭკუიანი, ჯავრიანი), ს ე ი ა ნ ი მეორდება 4-ჯერ, მ ზ ი ა ნ ი — 6-ჯერ, ხოლო წ. ყ ლ ი ა ნ ი — 9-ჯერ.

<sup>1</sup> ი. იმნაიშვილი, ქართული პოეტური ენის საკითხები, 1966, გვ. 55—57.

<sup>2</sup> სტროფები ნაჩვენებია პოემის 1957 წლის გამოცემის მიხედვით.

აღნიშნული 53 მაგალითიდან რითმაში გვხვდება 39, რითმის გარეთ. (ტაე-პის შიგნით) — 14. აქედან ცხადია, რომ იან სუფიქსიანი სიტყვების უდიდესი ნაწილი წმინდა პოეტური ფუნქციით არის (შექმნილი და) გამოყენებული. ამ სიტყვების უდიდესი უმრავლესობა დღესაც აქტიურ ქმედითს ძალას ინარჩუნებს და დიდი დატვირთვითაა დასაქმებული როგორც პოეტურ მეტყველებაში. ისე ცოცხალ სალაპარაკო ენაში.

! ეან სუფიქსს გარდა, ეა—ია გვაქვს სხვა შემთხვევებშიც, საკუთარსა და საზოგადო სახელებში/ბერძნული *ἄνδρα* ძველ ქართულში გვხვდება ორნაირი ფორმით — ან დ რ ე ა და ან დ რ ი ა. მეორე პირველისაგან უნდა იყოს მიღებული (ეა—ია). აი ორიოდ მაგალითი:

იხილნა სიმონ და ან დ რ ე ა: მრ. 1, 16 E; ჰრქუა ან დ რ ე ა ს: ი. 12, 22 E; მოვიდა სახლსა სიმონისსა და ან დ რ ე ა მ ს ს ა: მრ. 1, 29 DE; ქალაქისაგან ან დ რ ე ა მ ს ს ა: ი. 1, 44 E. მაგრამ: დაჰსდვა სახელი... ან დ რ ი ა და ფილიპე: მრ. 3, 18 D; გამოირჩინა... სიმონ... და ან დ რ ი ა: ლ. 6, 14 CD; ჰრქუა ან დ რ ი ა ს: ი. 12, 22 CD; ქალაქისაგან ან დ რ ი ა მ ს ა: ი. 1, 44 D; ქალაქით ან დ რ ი ა მ ს ი თ და პეტრესით: ი. 1, 44 C. ფუძის ე შენარჩუნებულია გერმანულსა (Andreas) და რუსულშიც (Андрей).

### მ ი რ ე ა ნ — მ ი რ ი ა ნ

მეფობდა შირეან და მან აღაშენა მცხეთაჲ ქალაქი: მოქც. (აგ. ძეგ.) 52, 22; ლევ, მამაჲ მირეანისი: იქვე, 83, 10; ნათელი მოიღო მირეან მეფემან: იქვე, 86, 7 C; წარვიდა მირეან მეფე: იქვე, 91, 4 C; მოკუდა მიოეან მეფე: იქვე, 91, 7 C; სადა მირეან მეფე დამარხულ იყო: იქვე, 91, 13 C. მაგრამ მეორე რედაქციაში უკვე მირიან გვაქვს: არწმუნა მირიან მეფესა: იქვე, 84, 39 F; ნათელს-იღეს... მირიან მეფემან და ნანა დედოფალმან: იქვე, 86, 9 F; წარვიდა მეფე მირიან: იქვე, 91, 4 F; მოკუდა მირიან მეფე: იქვე, 91, 8 F.

### ქ მ ე ა დ ი — ქ მ ი ა დ ი

ჩუენ და თქუენ მფუევანითა ვწირავთ და ზედაშესა წყალსა ურთავთ, ხოლო ჰრომნი ქმეადითა და ურწყომთა წირვენ: ლიტ. ქრ. 209, 27. აქედანაა მიღებული დღევანდელი ხ მ ი ა დ ი.

ღისიმილაციის განსაკუთრებული სახეობა გვაქვს აფიანი და აშიანი ზმნების ნაპრეფიქსით ნაწარმოებ მიმღვობებში, როგორცაა, მაგალითად: ნ ა მ ა რ ხ ე ვ ი (—ნამარხავი), ნ ა მ უ ს რ ე ვ ი (—ნამუსრავი), ნ ა პ ა რ ე ვ ი (—ნაპარავი), ა დ ნ ა თ ქ ე მ ი (—ადნათქუამი) და სხვ.

საერთოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ნ ა ფ ი ქ ს ი ერთ-ერთი უძველესი საწარმოებელი ნიშანია ქართული ენის მორფოლოგიაში. ასევე ძველი ჩანს იგი (ა-სთან

ერთად) მიმღობებშიც. ნა ყველა ტიპის ზმნას ერთვის და აწარმოებს ვნებითი გვარის მიმღობას, რასაც ვერ ვიტყვით ვერც ულ და ვერც ილ სუფიქსების შესახებ, რომ აღარაფერი ვთქვათ მ—არ (მ—ალ) აფიქსებზე, რომლის მოქმედების სფეროც სულ რაღაც 2-3 ათეული ზმნით შემოიფარგლება.

ნა ერთვის ა) უთემისნიშნო ზმნებს, როგორცაა ნაბან-ი ლიმ. 110, 31, ნაგოზ-ი ეზეკ. 13, 12; დან. 5, 5; ნაგუემ-ი ფს. 37, 8; ნაკეცი-ი 3 მეფ. 10, 17; ნაკუეთ-ი ისტ. ქრ. I, 278, 12; ნარცხ-ი კიმ. I, 206, 7; ნახურ-ი 1 კორ. 4, 13; ცხორ. ეფთ. 115, 12; ნატეხ-ი მრ. 8, 19 C; კიმ. I, 206, 7; ნაძეძ-ი ზირ. 21, 10; დან. 3, 46; პარხ. 633 a; სწავ. 30, 27; ნაკერ-ი რავაზ 83, 13; დანახეთქ-ი ზაქ. 14, 4; ლ. 16, 26; პარხ. 1067 a; ნახუტი-ი ეტ. III, 188, 3; მონახუტი-ი სწავ. 58, 3, 8, 9; ნათხევი-ი იგავ. 26, 1; ნარჩევი-ი აპოკრ. 15, 26; ნაკმევი-ი უძვ. რედ. 126, 9; ნახევი-ი მ. 9, 16 C; მრ. 2, 21 C; ბ) ებთემის ნიშნიანთ: ნაგებ-ი ისტ. ქრ. II, 101, 15; ლიტ. ქრ. 72, 46; ნაგრძნებ-ი კიმ. I, 240, 20; თანანადებ-ი მ. 6, 12; 12, 27, 30, 32; გამონადინებ-ი თუალთ. 54, 24; ნამტკივნებ-ი პორფ. დაზ. 110; ნატაცებ-ი მ. 23, 25; ეზეკ. 18, 7, 12, 16, 18; გამონადებ-ი ამბაკ. 3, 17; ნაშტნებ-ი H 341, 57, 28; გ) ობიანთ: ნაშობ-ი მ. 5, 9; ლ. 3, 8; ი. 1, 12 C; დ) ისუფიქსიანთ: ნაცარი-ი მ. 11, 21; ლ. 10, 13; ნათუენ-ი ლიტ. ქრ. 367, 33, 4; ე) ოფიანთ: ნაყოფ-ი მ. 19, 21; ლ. 11, 21; ვ) ემ-იანთ: ნაცემ-ი (=ნაკებნი გველისა, ნახვლეტი ფუტყარისა...) და სხვათ.

ასეთი წარმოებისას ჰვიანი და ამიანი ზმნების ერთი ნაწილი იჩენს ერთგვარ თავისებურებას — ავ და ამ სუფიქსისეულ ას ე-დ წარმოგვიდგენს და გვაქვს არა ნამალ-ავ-ი, ნამარხ-ავ-ი, ნამუსრ-ავ-ი, ნაპარ-ავ-ი, ნათქუ-ამ-ი, როგორც მოსალოდნელი იყო და როგორც არის დღეს, არამედ ნამალ-ევი, ნამარხ-ევი, ნამუსრ-ევი; ნაპარ-ევი, აღ-ნათქუ-ემ-ი და სხვა. მაგალითები:

### ნ ა ზ ო რ ე ვ ი

რომელთა უპყრიეს სწავლამ იგი ბალამისი... ჰამად კერპთა ნაზორევისა და სიძვად: გამოცხ. 2, 14; თარგმ. გამოცხ. 2, 14 AB; ასწავლის და აცთუნებს ჩემთა მონათა სიძვად და ჰამად კერპთა ნაზორევისა: გამოცხ. 2, 20; თარგმ. გამოცხ. 2, 20 AB; მიიზიდავს მათ სიძვად და კერპთა ნაზორევისა ჰამად: თარგმ. გამოცხ. 2, 20 AB (C-ში, რომელიც შედარებით მოგვიანო ხელნაწერია, გვაქვს ავიანი, უდისიმილაციო ფორმა ნაზორავისა<sup>1</sup>); რამათა განეყენენ იგინი ჰამად ნაზორევისაგან კერპთაჲსა: მოც. 15, 20 41; C-ში მრავლობითის ფორმა გვაქვს: ...ნაზორევეთაგან კერპთაჲსა; ეშმაკნი მათ მიერ იმსახურებოდეს ნაზორევეთა მათ კუამლითა: ასურ. 28, 3; გემომ იხილუ ნაზორევისაჲ: კიმ. I, 189, 20; ყოველი იგი ქალაქი... შეიჯინებოდეს ჰამითა ნაზორევეთაჲთა: იქვე, 193, 13; რომელნი იხარებენ კუამლითა ნაზორევეთაჲთა: სევან. 60 a.

<sup>1</sup> ნაზორავის ტიპის მაგალითები სხვა ფუძეებშიც გვხვდება, მაგალითად: ცხოვარნი ჩემნი დანათრგუნავსა თქუნესა მოვდეს: ეზეკ. 34, 19 (იერუს.). ოქისაში იგივე ფორმა, ოღონდ უზმნისწინოდ: ნათრგუნავსა.

აღნათქუემი

ხოლო პატივი შენი შენდავე იყავნ და აღნათქუემი შენი — რომელნი გერჩდენ შენ: Sin. 62 ra, 2 ქვ.; ვპგონებდ, ვითარმედ აღმესრულების აღნათქუემი ჩემი. და, ვითარ ვპხედავ, არა სრულ არს აღნათქუემი ჩემი: ბალ. 142, 13, 14; ქრისტემან აღმისრულოს აღნათქუემი შენი: ლიმ. 74, 26; და აღგვსრულოს ჩუენ აღნათქუემი და დაგვმტკიცოს, რომელსა-იგი ვესავთ: უძვ. რედ. 78, 9; მასმიეს, ვითარმედ შურის-გებით საძიებელ არს აღნათქუემიო: ბალ. 142, 17; და მივემოქწნეთ საუკუნესა მას აღნათქუემსა: ისტ. ქრ. I, 42, 30; მეშინის აღნათქუემისა ამის დაკლები-სათვის: ბალ. 142, 15; თანა-მაც... აღსრულებამ აღნათქუემისა ჩემისამ: ბალ. 142, 19; მიუსრულენ მალალსა აღნათქუემნი შენნი: ფს. 49, 14, მიგცნე შენ აღნათქუემნი ჩემნი: ფს. 65, 13; პირველნი იგი აღნათქუემნი მტკიცე ვყვნე: გობრ. (აგ. ძეგ.) 182, 24 ABD (სხვებში: აღნათქუემი CEHGL); მოვიდოდეს მამანი და დედანი აღნათქუემთა შეწირვად: შუბ. 11, 2; წინააღწარ სირცხვლსა უთხრობ ფიცით აღნათქუემისა: სინ. 209, 20; ვითარ ჯერ-არს აღსრულებამ აღნათქუემთა: ბალ. 142, 11.

იშვიათად გვხვდება უფრო ახალი, აშინი. (უღისიმილაციო) ფორმები: ხათქუამი შენი მიეც შეილთა შენთა: კიმ. I, 47, 22; არცა განქარებულ არიან აღნათქუამნი: სას. პ. 378, 45. ერთი ასეთი მაგალითი ზემოთ იყო წოყვიანილი. ეს არის ახალი ფორმების ჩანასახი, რომელიც დღეს ერთადერთ ნორმალაა ქვეული.

ნამალევი

განუხუნის წინაშე მისსა ნამალევი იგი გულის-სიტყუათანი ძნელოვანნი: Sin. 36, 374 a, 9 (=სწავ. 301, 32 C); და აღგიხუნე შენ ნამალევი იგი დაფარულნი უხილავნი: ესაია 45, 3.

ნამარხევი

მომეც მე, ჰ ეპისკოპოს, ნამარხევი იგი ჩემი: სწავ. 292, 8; შედწყნარა მდინარემან მან ძუალები იგი წმინდათა მათ, ვითარცა ნამარხევი კილობანსა შინა: საკ. წიგ. II, 91, 13; მუნ ნამარხევი მისი იყო: ხანძთ. 146, 26; სანატრელსა მამასა შენსა მოეცა ჩემდა ნამარხევა დ დასტურობისა ჩემისათვის: ლიმ. 79, 5; ამას კაცსა ნამარხევა დ მიგიოთუაღავ: სწავ. 291, 19; რომელნი მიეცნეს მინდობითა მამასა მისსა ნამარხევა დ: კიმ. I, 5, 23; ქუეყანასა ნამარხევა დ მივსცე იგი: Sin. 97, 166 vb. 15; რომელი ნამარხევა დ აქუნდა: H 341, 208, 24; და განუხუნის წინაშე მისსა ნამარხევი იგი გულის-სიტყუანი ძნელოვანნი: სწავ. 301, 32 B.

ნამუსრევი

აღიღეს ნეშტი ნამუსრევი ათორმეტი გოდორი სავსე: მ. 14, 20; მრ. 6, 43; აღიღეს ნეშტი იგი ნამუსრევი შუდი სფვრიდი სავსე: მ. 15, 37;

ნრ. 8, 8; რაოდენი გოდორი საეცმ ნამუსრევი აღიღეთ: მრ. 8, 19; რო-  
ბელ-იგი დაუშა მათ ნამუსრევი: ლ. 9, 17; შეკრიბეთ ნეშტი ეგე ნა-  
მუსრევი: ი. 6, 12; რომელნიმე მოკიდებულ არიედ ნამუსრევისა რას-  
მე ნავისასა: სწავ. 117, 17; აღაესეს ათორმეტი გოდორი ნამუსრევი თა  
ხუთთა მათგან პურთა ქრთილისათა: ი. 6, 13; ნეშტითა მით ნამუსრევი თა  
აღაესეს ათორმეტი გოდორი: თულთ. 41, 1; აღიღეს ნეშტი ნამუსრევი-  
სა ათორმეტი გოდორი საესე: მ. 14, 20 C; შეკრიბეთ ნეშტი ნამუსრე-  
ვისა მავის: ი. 6, 12 C.

### ნ ა პ ა რ ე ვ ი

ვითარცა ესმა კმა იონაძის მპარავთა, მეცხეულად მიართუეს ნაპარე-  
ვი იგი უფალთა მათთა: ისტ. ქრ. 11, 34, 3; და ვითარ ესე იყო, აღიარა და  
უჩუენა ნაპარევი იგი: კიმ. I, 304, 35; უკუეთუ დააპყრან და იპოოს კელ-  
სა მისსა ნაპარევი ვირითგან ვიდრე ცხოვრადმდე ცოცხალი, ორი წილი  
ზლოს: გამ. 22, 4; არა თუ რა აქუნდეს მას, რამცა ზლო, განყიდენ იგი ნაპა-  
რევისა მისთს: გვ. 22, 3.

### ნ ა ს ხ ლ ე ვ ი

უკუეთუ ვინმე არა დაადგრეს ჩემ თანა, განვარდეს გარე, ვითარცა ნასხ-  
ლევ: ი. 15, 6; მუშაქმან... ვენაქ... განსხლის და ნასხლევ იგი ცეცხლ-  
სა დაასხის: სწავ. 313, 16; უბრძანა... ქუეშ მისა დაგებად ნავთი, ფისი, ნაძეძი  
და ნასხლევ ი და ზეთი... და დაწუვა მისი ურიდალ: პარხ. 633 a; ვითარ-  
ცა-იგი ნასხლევსა ვერ კელ-ეწიფების ნაყოფისა მოლებად თავით თვსით,  
უკუეთუ არა ეგოს ვენაკსა ზედა: ი. 15, 4; აღაზებდეს საკუმლისა მას ნავთსა,  
ფისსა, ნაძეძსა და ნასხლევსა: დან. 3, 46; შევიდის ბაგინად და აღავსნის  
ბაგინი იგი ნასხლევითა გინა თუ შეშითა: სახისმეტყ. 10, 16; და შექმნა  
სახმ ქუარისა ნასხლევისა და მუნ დაადგრა და ილოკვიდა: მოქც. 52, 6.

### ნ ა ძ ა რ ც უ ე ვ ი

ყოველი ერი მიეკცა ნატყუენავსა და ნაძარცუევსა მტერ-  
თასა: 2 მეფ. 23, 10.

### ნ ა კ უ თ ე ვ ი

კაცსა არა ჰმძლავროს და ნაკუთევი თანა-მდებსა მისცეს და ნატაცე-  
ბი არა იტაცოს: ეზეყ. 18, 7; და უკუეთუ... ნატაცები იტაცა და ნაკუთევი  
არა უკუნსცა..., ესე ცხოვრებით არა ცხონდეს: ეზეყ. 18, 12; უკუეთუ... კაცსა არა  
ჰმძლავრობდა და ნაკუთევი არა იყუთა და ნატაცები არა იტაცა...; არა  
მოკუდეს ესე ცოდვითა მამისა თვისისა, არამედ ცხოვრებით ცხონდეს: ეზეყ.  
18, 16; და მოიქცეს ცოდვისაგან თვისისა და ქმნეს განკითხვა და სიმართლმ და  
ნაკუთევი თანა-მდებისა მისცეს და ნატაცები მიაგოს: ეზეყ. 33, 15; აწ

უკუე კაცი ვერ შემძლებელ იყო ქსნად, რამეთუ თანა-ნადებსა მას ქუეშე იყო  
წაკუთე ვად: სინ. 42, 26.

რატომ ხდება ეს ასე? აქ ჩვენ საქმე უნდა გვქონდეს რეგრესულ დისიმილა-  
ციასთან. ზემოთ მოყვანილი მაგალითების ერთ ნაწილს ფუძის მარცვალში  
აქვს ა (მალ, მარხ, პარ, ძარცუ), სხვებს — ო (ზორ), უ (მუსრ, კუთ), ზოგჯერ  
ფუძე უმარცვლოა (თქტ, სხლ). ავ, ამ სუფიქსების დართვისას პირველი წყების  
მაგალითებს, სულ მცირე, სამსავე მარცვალში ა ექნებოდათ: ნა-მალ-ავ-, ნა-  
-მარხ-ავ-, ნა-პარ-ავ-, ნა-ძარცუ-ავ-, ხოლო თუ ფორმას წინ სათანადო ანიანი  
ზმნისწინი დაემატებოდა, ახალ ფუძეში ოთხივე (ხუთივე) მარცვალი ანიანი იქნე-  
ზოდა: და-ნა-მალ-ავ, და-ნა-მარხ-ავ-, გან-ნა-ძარცუ-ავ-, გარ-და-ნა-ძარცუ-ავ-.  
აი ანების ამგვარი თავმოყრის ასაცილებლად უკანასკნელი მათგანი განემსგავ-  
სება პირველთ და ე-დ იქცევა (ნა-მალ-ეე-, ნამარხ-ეე-, ნა-პარ-ეე-, ნა-ძარცუ-ეე-).  
არსებითად ამავე მიზეზის გამო ხდება დისიმილაცია ზემოთ აღნიშნულ სხვა  
შემთხვევებშიც: აღ-ნა-თქუ-ემ-, ნა-სხლ-ეე-, ნა-ზორ-ეე-, ნა-მუსრ-ეე-, ნა-  
-კუთ-ეე-, რომელთაგან პირველ ორში არცა გვაქვს სხვა ხმოვანი, აქაც უდისი-  
მილაციოდ ნაწარმოები ფუძის ყველა მარცვალში ა გვექნებოდა, სხვების ო და უ  
ზმოვნები ვერ აკავებს ამ პროცესს, პირველსა (პირველ-მეორესა) და უკანასკნელ  
მარცვლებში მაინც ანები აღმოჩნდებოდა. ამიტომ დისიმილაცია აქაც ხდება.

მაგრამ ძველ ქართულში ამ ტიპის მაგალითების გვერდით გვაქვს ნა პრე-  
ფიქსით ნაწარმოები ავიანი და აზიანი მიმღობანი, რომლებსაც დისიმილაცია  
არ მოუღლით, ავ და ამ სუფიქსი ხელუხლებლად არის შენახული. ჭერ ვნახოთ ეს  
მაგალითები:

ნ ა თ ე ს ა ე ი

ეს სიტყვა ძველ ქართულში ძალიან გავრცელებულია, მას მრავალი მნიშე-  
ნელობა აქვს და თითქმის ყველგან გასუბსტანტივებულია, მისი მიმღობური  
შინაარსი უშუალოდ არ იგრძნობა. მაგრამ ამ გარემოებას ჩვენი მიზნებისათვის  
არა აქვს მნიშვნელობა. ფორმით იგი ს თ ე ს ა ე ს ზმნისაგან ნაწარმოები ჩვე-  
ულებრივი მიმღობაა. არა გვეგონია, ამაზე საჭირო იყოს სიტყვის განგრძობა.  
აქ ბევრიდან მხოლოდ რამდენიმე მაგალითს მოვიყვანთ, იმათაც არა ყველა მნი-  
შვნელობით.

ნ ა თ ე ს ა ე ი ბოროტი და მემრუმშ სასწაულსა ეძიებს: მ. 12, 39; 16, 4;  
არა ეცეს ნ ა თ ე ს ა ე ს ა ამას სასწაული: მრ. 8, 12; დედუფალი იგი სამხრი-  
საა აღდგეს საშქელსა მას ნ ა თ ე ს ა ე ს ა ამის თანა: მ. 12, 42; (ყო) წყა-  
ლობაჲ მისი ნ ა თ ე ს ა ე ი თ ი ნ ა თ ე ს ა ე ა დ: ლ. 1, 50; ზ ნ ა თ ე ს ა ე ო  
ურწმუნო და გულარძნილო, ვიღრემდის თქუენ თანა ვიყო: მ. 17, 17 C; ამი-  
ერიოთგან მნატრიდენ მე ყოველნი ნ ა თ ე ს ა ე ნ ი: ლ. 1, 48; მოგელოს თქუენ-  
გან სასუფეველი ღმრთისაჲ და მიეცეს ნ ა თ ე ს ა ე თ ა: მ. 21, 43; მიეცნეთ  
თქუენ მამა-დედათაგან და ძმათა და მეგობართა და ნ ა თ ე ს ა ე თ ა გ ა ნ: ლ. 21,  
16; შეკრიბეს მის ზედა ნ ა თ ე ს ა ე ე ბ ი იგი ყოველი: მ. 27, 27 DE; ვის ვამს-  
გავსნე კაცი ესე ამის ნ ა თ ე ს ა ე ი ს ა ნ ი: ლ. 7, 31.



### ნ ა ლ ე ს ა ვ ი

არამედ სძის-ფერ არნ, სპეტაკ ნალესავი მისი: თუალთ. 8, 2; რაჟამს შეკრიბის ნალესავი იგი: იქვე, 8, 5; ასჯან მკურნალთა ნალესავი მისგან, და განიკურნნიან: იქვე, 8, 14; და თუ ვინმე სჯს ნალესავი იგი, განაღვძის სული სამართალთა სიტყუათა მიმართ: იქვე, 12, 19; რაჟამს ნალესავი მისი აღ-ვინ-ადგინის და შეპრიის სძესა, ფაქლი და მსივანება და გამოსხმული განკურნის: იქვე, 13, 30; ნალესავი მისი შესუარიან წყლითა და მოსციხან წყულთა და ნაცემსა მკეცთასა, და განკურნის წყულული ნაცემი ასპიტისაჲ, ღრიაკლისაჲ: იქვე, 19, 9; არამედ არნ სპეტაკ, ვითარცა სძმ, ნალესავი მისი: იქვე, 25, 18; ვითარცა ნალესავი თუალისაჲ მის შერეულ არს სძესა... განკურნის მსივანებანი და სიმღიერენი: იქვე, 39, 22; (ძოწეული) სამკურნალოდ არს სტომაქით სალმობიერთა და მუცლით სალმობიერთა, რაჟამს ხალესავი ვინმე სჯს: იქვე, 65, 25; და არა მსგავსად სიმეწამულისა მის თვისისა გამოსცის ფერი ნალესავისა მის თვისისა(ჲ): იქვე, 25, 16; ჭურჭერნი აღავსნის ნალესავითა თუალისა მისგან ტბაზიონისა და ქმნის მრავალი სნეულებათა კურნებაჲ: იქვე, 25, 20; მრავალნი ჭურჭერნი ნალესავითა მიიხითა აღავსიან (ასეა), რომლითა სალმობანი მრავალნი განკურნნიან: იქვე, 25, 25.

### ნ ა ტ ყ უ ე ნ ა ვ ი

და ერქუა მას მიერითგან ნატყუენავ დაეითისა: 1 მეფ. 30, 20; ყოველნი წინააღმდგომნი ჩუენნი დატყუენენ და ყოველივე ნატყუენავი მათი შენი იყოს: ცხ. ეფთ. 21, 3; რომელიმე თვთ დაიმჭირა ნატყუენავი დიდძალი ფრიად: იქვე, 21, 8; საჭურველი მისი მოუღის... და ნატყუენავი იისი განუყვის: ლ. 11, 22; და წარმოიღოს ნატყუენავი მისი: ეზეკ. 29, 19; დენა-უყავ, რამთა ეწიო და მოუღო ნატყუენავი იგი: 1 მეფ. 30, 8; და დაჰყარა ნატყუენავი იგი: 1 მეფ. 23, 5; ავარი და ნატყუენავი და საფასმ მათ განუყოს: დან. 11, 24; ყოველი ერი მიექცა ნატყუენავსა და ნაძარტუევსა მტერთასა: 2 მეფ. 23, 10; იხარებდეს დიდძალსა მას ზედა ნატყუენავსა: 1 მეფ. 30, 16; რომელნი განიყოფედ ნატყუენავსა: ესაია 9, 3; რომელი განიყოფდეს ნატყუენავსა მაგინებელთა თანა: იგავ. 15, 19; ნატყუენავსა არარაჲ დააკლდეს: იგავ. 31, 11; ერსა ამას თუმცა ეჭამ: ნატყუენავისა მისგან მტერთაჲსა: 1 მეფ. 14, 30; განყოფად ნატყუენავისა: ფს. 67, 13; ჰქუა... შეყვანებად ძეთაგან ნატყუენავისა ისრაშლისათაჲ: დან. 1, 3; ვბოვე კაცი ნატყუენავისაგან ძეთა ისრაშლისათაჲ ჰურიასტანით: დან. 2, 25; აღავსნეთ სახლნი ჩუენნი ნატყუენავითა: იგავ. 1, 13; გამოიღეს ყოვლით ნატყუენავითურთ ბაბილონით: 2 ეზრა 2, 15; სწორად მეჰომეთა მისცა ნატყუენავთა მათგან ნაწილი: ხანძთ. 121, 9; შენ ხარა დანიელ, ძეთაგანი ნატყუენავისათაჲ ჰურიასტანისაჲ: დან. 5, 13; ჰქუა... შეყვანებად... ნათესავეისაგან სამეუფომსა ნატყუენავთაგანნი ჰაბუქნი: დან. 1, 4.

ნ ა ლ ე ლ ა ვ ი

და კუალად ძრვამ იგი ნ ა ლ ე ლ ა ვ თ ა მ მათ მარლოვანთამ ყუდროდ, რომელი მსგავს არნ შუენიერებასა ყოველთასა, რომელნი ირყევიელ ნიავეთა მით ჰამოხთა და არა მანებელითა, და დაიკეცებინ იგი ზურგსა ზედა წყლისასა ყუდროდ: უძვ. რედ. 146, 8.

კარგად რომ დაეუკვირდეთ ამ მეორე რიგის მაგალითებს, ადვილად შევნიშნავთ, რომ ყველა მათგანს საწარმოებელ ფუძეში აქვს ე: თ ე ს, ლ ე ს, ტ ყ უ ე ნ, ლ ე ლ. სწორედ ამიტომ აღარ ხდება დისიმილაცია. აქ რომ, პირველი რიგის მაგალითების მსგავსად, ავ, ამ სუფიქსების ა ე-დ შეცვლილიყო, მაშინ თავს მოიყრიდა ერთად უკვე ორი ე: ნა-თეს-ეე-, ნა-ლეს-ეე-, ნა-ტყუენ-ეე-, ნა-ლელ-ეე-, რაც უფრო ძნელი ასატანი იქნებოდა. ერთი სიტყვით, აქ არ იყო დისიმილაციის საჭიროება და არც მომხდარა.

ამგვარად, აღნიშნული ტიპის მიმღეობებში ერთ მხარეს გვაქვს ე-ს შემცველი მარტივი ფუძეები და მათ დისიმილაცია არ ესაჭიროებათ და არც მოუღიო (ნა-თეს-ავ-ი); მეორე მხარესაა ყველა დანარჩენი შემთხვევა (მარტივ ფუძეში მარტვალი არა გვაქვს, ან მარტვალს კმნის სხვა ხმოვნები — ა, ო, უ). ამათ მოუღის დისიმილაცია, ავ და ამ თემის ნიშნის ა ე-დ შეეცვლებათ (ნა-მალ-ეე-ი). ამ ფონეტიკურ წესს კანონის ხასიათი აქვს, მას მკაცრად ემორჩილება სათანადო მიმღეობათა წარმოება.

აქ დადგენილი წესის მშვენიერ ილუსტრაციას წარმოადგენს ზემოთ (გვ. 80, 82) მოყვანილი ერთი მაგალითი, რომელშიც ერთმანეთის გვერდით ირივე ტიპის წარმოება გვაქვს. მას აქ ისევ დავესესხებით:

ყოველი ვრი მიექვა ნ ა ტ ყ უ ე ნ ა ვ ს ა და ნ ა ძ ა რ ც უ ე ე ს ა მ ტ ე რ -  
თასა: 2 მეფ. 23, 10.

ნათელი სურათია: ტყუენავს — ნატყუენავი, მაგრამ ძარცუავს — ნაძარცუევი; ორივეგან ზმნას ავ თემის ნიშანი ერთვის, მაგრამ რადგანაც ძარცუ მარტივ ფუძეში ა გვაქვს, დისიმილაციის წესით ავ სუფიქსისიეული ა ე-დ იქცევა, განემსგავსება წინა ანებს (ისე სამი ა გვექნებოდა პირველ სამ მარტვალში (ნა-ძარცუ-ავ-); ტ ყ უ ე ნ ფუძეში კი ე გვაქვს, ის თიშავს წინა და მომდევნო ანებს და დისიმილაცია აღარაა საჭირო (ნა-ტყუენ-ავ).

ცალკე უნდა განვიხილოთ ძველ ქართულში გავრცელებული ფორმა ნ ა გ ე ვ ი (←ნაგავი). ჭერ მოვიყვანოთ სათანადო მაგალითები:

დაითხიის ადგილსა, რომელსა არნ ფრიად ნ ა გ ე ვ ი და მტუერი: უძვ. რედ. 212, 8; ყოველი დიდებამ ამის სოფლისაჲ ვითარცა ნ ა გ ე ვ ი, ეგრეთ შეპირაცხა: გობრ. (ავ. ძეგ.) 171, 31; დაწუთ გ ა რ დ ა ნ ა გ ე ვ ი იგი ეცეხლითა: Sin. 36, 13 ხ, 12 (=სწავ. 58, 25); ტაბლისა შენისა გ ა რ დ ა ნ ა გ ე ვ ი ს ა გ ა ნ... ესე იზარდების: სწავ. 58, 23 A; შეპირაცხეს ნ ა გ ე ვ ა დ ყოველი დიდებამ სოფლისაჲ: ურთ. 23, 12; ყოველივე დიდებამ ამის სოფლისაჲ შეურაცხ-ყო და ნ ა გ ე ვ ა დ შეპირაცხა: ცხ. ეფთ. 8, 3; შეურაცხ-ჰყავთ სოფლისა საშუებელი და ყოველსა უწოდეთ ნ ა გ ე ვ ა დ: სას. პ. 140, 116; დიდებამ მისი შეპირაცხე ნ ა გ ე ვ ა დ: იქვე, 180, 88; შემირაცხიეს იგი ნ ა გ ე ვ ა დ; ფილმ. 3, 8; საბოსელი ჩუენი არს ძუელი, დაბებუელი, ნ ა გ ე ვ თ ა გ ა ნ შეკრებული: ბალ.

83, 18 ბ (...ნ ა გ ე ე თ ა შინა: იქვე BCDE); მოაღებინა ნ ა გ ე ე თ ა გ ა ნ სკო-  
რე და მყარალი ძულალები მძორისაჲ: ბალ. 33, 7 ბ.

შდრ. ამას: გ ა რ დ ა ნ ა გ ა ე ი სწავ. 58, 25 BC; გ ა რ დ ა ნ ა გ ა ე ი ს ა  
სწავ. 58, 23 B; გ ა რ დ ა ნ ა გ ა ე ი ს ა გ ა ნ: იქვე C.

ნ ა-გ ე ე-ში ევ, რასაკვირველია, თემის-ნიშნისეული არ არის, ის ძირის  
კუთვნილებათ: ნა-გ ა ე — ნა-გ ე ე. მიმღეობა ნაწარმოებია ზოგი ი თემის ნიშ-  
ნიანი ზმნების კვლობაზე.

ჩვეულებრივ მიმღეობები, მათ შორის ნა პრეფიქსიანი მიმღეობაც, პირველი  
სერიის ფუძეს ეყრდნობა: ნა-ქებ-ი, ნა-შობ-ი, ნა-ყოფ-ი, ნა-ცემ-ი, ნა-ლესავ-ი,  
აღ-ნა-თქუემ-ი, (—აღ-ნა-თქუამ-ი) და სხვა.

მაგრამ სხვანაირად იქცევა ისეთი ი თემის ნიშნიანი ზმნები, რომელთაც ფუ-  
ძე ეკუთმებათ I სერიაში, ხოლო II სერიაში გაშლილი ფუძით გვევლინება  
(ვ-ზრდ-ი — ვ-ზარდე). ასეთი ზმნების მიმღეობები II სერიის (გაშლილ) ფუძეს  
იყენებენ (ნა-ზარდ-ი და არა ნა-ზრდ-ი), მაგალითად:

ვ-ზრდ-ი	— ვ-ზარდ-ე	— ნა-ზარდ-ი	და არა	ნა-ზრ-დი
ვ-თლ-ი	— ვ-თალ-ე	— ნა-თალ-ი	„ „	ნა-თლ-ი
ვ-ცდ-ი	— ვ-ცად-ე	— ნა-ცად-ი	„ „	ნა-ცდ-ი
ვ-პ-ქსნ-ი	— ვ-პ-ქსენ	— ნა-ქსენ-ი	„ „	ნა-ქსნ-ი
ვ-რყუნ-ი	— ვ-რყუნენ	— ნა-რყუნენ-ი	„ „	ნა-რყუნ-ი
ვ-კრწნ-ი	— ვ-კრწენ	— ნა-კრწენ-ი	„ „	ნა-კრწნ-ი

ასეთივეა აგრეთვე ვ-ცრ-ი — ნა-ცარ-ი, ვ-პრ-ი — ნა-პარ-ი, ვ-პ-ფხურ-ი —  
აღმო-ნა-ფხურ-ი (//აღმო-ნა-ფხურ-ი), ვ-სკუნ-ი — ნა-სკუნენ-ი, ვ-ამყენ-ი —  
ნა-მყენ-ი... ვ-ი-კლ-ი—გარდა-ნა-კად-ი, მო-ვ-პ-გურ-ი—მო-ნა-გუარ-ი, ვ-გლ-ი—  
გან-ნა-გალი, ვ-სჯ-ი — და-ნა-საჯ-ი, ვ-ხრ-ი — გარდა-ნა-ხარ-ი, ვ-თხრ-ი —  
აღმო-ნა-თხარ-ი, ვ-ყრ-ი — გარდა-ნა-ყარ-ი და სხვა.

ამ წესს მისდევს აგრეთვე და გ ვ ა. გ ა ნ გ ვ ა-ც: ვ-გვი, პ-გვი, გვი-ს, გან-  
ვ-გავ-ე, გან-პ-გავ-ე, გან-გავ-ა. მიმღეობა იქნება არა ნა-გვი-ი, არამედ ნა-  
გავ-ი, რომელშიც, როგორც აღვნიშნეთ, ავ გ-სთან ერთად ძირეული მასალაა.  
მაგრამ ფონეტიკისათვის ამას არა აქვს მნიშვნელობა. რაკი II სერიაში ფუძის  
ბოლოს ავ აღმოჩნდა, მიმღეობაში მან ავიანი ზმნების ბედი გაიზიარა და დისი-  
მილაციის კანონს დაემორჩილა: ნა-გავ-ი—ნა-გ ე ე-ი. ძველ ქართულში, რო-  
გორც ვნახეთ, სწორედ ამნაირი (დისიმილაციიანი) ფორმები გვაქვს<sup>1</sup>.

რა გვეთქმის იმ შემთხვევების შესახებ, როცა ეს წესი დარღვეულია და მო-  
სალოდნელ ევ, ვმ ელემენტა ნაცვლად ისევ ავ და ამ გვაქვს? ჩერ-ერთი, უნდა  
ვთქვათ, რომ ამნაირი (ალრევის) შემთხვევები ერთობ მცირეა. აი ყველა მაგა-  
ლითი, რომლებიც ჩვენ შეგვხვდა: ნ ა თ ქ უ ა მ ი კ ი მ. I, 47, 22; დ ა ნ ა თ რ-  
გ უ ნ ა ე ს ა (ნ ა თ რ გ უ ნ ა ე ს ა ოშკ.) ეზეკ. 34, 19; გ ა რ დ ა ნ ა გ ა ე ი ს ა-  
გ ა ნ (გ ა რ დ ა ნ ა გ ა ე ი ს ა B) სწავ. 58, 23 C; გ ა რ დ ა ნ ა გ ა ე ი ს წავ. 53,  
25 BC; ნ ა ზ ო რ ა ე ი ს ა თარგმ. გამოცხ. 2, 14 G; 2, 20 C. ესაა და ეს. ასეთი

<sup>1</sup> კანტიუნტად ისე ემართება ფუძის კუთვნილ სხვა ელემენტებსაც. მაგალითად, ზოგჯერ  
გვაქვს და-ნა-ყ ე რ-ი (არამედ და-ნა-ყ ე რ-ი ოდენ მოწყდა: 1 მეფ. 15, 9), ჩვეულებრივია,  
რე თქმა უნდა, და-ნა-ყ ა რ-ი.

მცირე რაოდენობის გადახრები შეიძლება ყოველგვარ წესს აღმოაჩნდეს. დასაშვებია, აქ ჩვენ უნებლიე ლაფსუსთან გვექონდეს საქმე. მესამე: არ არის გამორიცხული, რომ ამ მაგალითთანავე ზოგი ბექლვის შეცდომა იყოს და თვით ხელნაწერში სწორად იკითხებოდეს. მეოთხე: გ ა რ დ ა ნ ა გ ა ე-ის ორი მაგალითი „ამათა სწავლანიდან“ დამოწმებული გვაქვს ილია ბანძელის (ფანცულაის) მიერ ათონის ხელნაწერიდან გადმოღებული პირის მიხედვით (გამოცემაში B ლიტერითაა აღნიშნული) და ჩვენი მიზნისათვის მთლად სანდო არ არის. არც ერთ ამ ჩვენს შენიშვნას ყურადღება რომ არ მივაქციოთ და დავეუშვათ, რომ აღნუსხული დარღვევები ყველგან თვით ხელნაწერთაგან მომდინარეობს, ისინი ზემოთ დადგენილ წესს მაინც ვერ შეარყევენ, ისე უმნიშვნელოა რაოდენობით და ძალზე მცირეა სწორ ფორმებთან შეფარდებით. თითო-ორილა გამოჩაყლის და გადახვევა, ვიმეორებ, ყოველგვარ წესს აქვს. თუ მოვიგონებთ, რომ ახალ ქართულში ყველა შემთხვევაში სწორედ ასეთი, უდისიმილაციო ფორმებია ერთადერთი ნორმა, ძველი ქართულის აღნიშნული დარღვევები შეიძლება გარდამავალ საფეხურად ჩავთვალოთ: ჩანს, ჯერ კიდევ ძველ ქართულში ჩასახულა უდისიმილაციო ფორმებისადმი სწრაფვა, რაც აწინდელ სალიტერატურო ენაში მკვიდრ ნორმად იქცა.

აქ შეიძლება ახლა ასეთი საკითხი დავსვათ: თუ ჩვენი ახსნა სწორია, მაშინ რატომ არ იჩენს ასეთსავე თვისებას მიმღეობის ხა პრეფიქსი? რატომ არა გვაქვს სა-მალ-ე-ი, სა-მარხ-ე-ი, შე-სა-მუსრ-ე-ი, სა-თქუ-ე-ი და სხვა? ჩვენ ზემოთ მსჯელობა გვექონდა ხა პრეფიქსით ნაწარმოები მიმღეობის წარმოვების თავისებურებაზე და, გვეგონია, საკმაოდ დავასაბუთეთ ამ თავისებურების გამომწვევი მიზეზები. ძველი ქართული ენის მონაცემებმა სავსებით დაუჭირა მხარი აღნიშნულ მოსაზრებას. სხვანაირად რომ ვთქვათ, დადგენილი წესის მიხედვით ნათლად აიხსნა ძველი ქართული ხა პრეფიქსიანი მიმღეობის თავისებურებანი.

მაგრამ ეს იმას როდი ნაშნავს, რომ ეგვევ თავისებურებანი უნდა ახასიათებდეს აგრეთვე ხა პრეფიქსიანი მიმღეობებსაც. ამისთვის არ კმარა, რომ ორივე ნაწარმოებელი პრეფიქსია (ხა, ხა) და ორივე მიმღეობებს აწარმოებს, პირველი წარსული დროისას, მეორე — მომავლისას. ეს პრეფიქსები დიდად დაცილებული უნდა იყვნენ ერთმანეთისაგან დროში და სივრცეში. კერძოდ, ხა პრეფიქსი დროში დიდად უნდა უსწრებდეს წინ ხა პრეფიქსს; ის დიალექტურადაც სხვა წრისა უნდა იყოს, ვიდრე ხა. ხა, შეიძლება დავუშვათ, დიალექტთა იმ ჯგუფს ეკუთვნის, რომლის წიაღიდანაც შემოვიდა ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში ფონეტიკური კანონებით (განსაკუთრებით, მახვილით) ძალზე სახეცვლილი ფორმები, როგორცაა, მაგალითად, ძლით (ძალით), ფრკით (ფეხით), უდბისა, მკრდამდგე (მკერდამდგე), მოყუსითურთ (მოყვასითურთ), და სხვა. ხა არ ეკუთვნოდა ამ ჯგუფს, ხა დიალექტთა იმ წრეში იყო, საიდანაც ძველ ქართულში შემოვიდა შედარებით სახეუცვლელი ფორმები: მტერისა, საფუძველისა, ძუალისა, ჯუარისა, უდებისა, სადიდებელად და სხვა. ძველი ქართული ენის მორფოლოგიურ შენობაში განასხვავებენ ნ ფენას და ხ ფენას, რომელთაგან პირველს უფრო ძველად მიიჩნევენ, მეორეს — შედარებით ახლად (ა. შანიძე, ვ. თოფურია, ა. ჩიქობავა). ამიტომ არაა აუცილებელი, რომ რა ფონეტიკური ცივისებებიც, ვთქვათ, ხა პრეფიქსს ახასიათებს, უეპველად იგივე ახასიათებდეს ხა პრეფიქსსაც.

გარდა ამისა, ნა, როგორც მიმღეობის მაწარმოებელი პრეფიქსი, ერთადერთია, მას არა ჰყავს სხვა წყვილის ცალი სუფიქსი, შემწე და დამხმარე, საპრეფიქსს კი მოეპოვება სათანადო სუფიქსები, მაგალითად: სა-წერ-ი და სა-წერ-ელ-ი, სა-ფლავ-ი და სა-ფლავ-ელ-ი, სა-ქებ-ი და სა-ქებ-ელ-ი. მეორე მხრივ, ხა—ო და ხა—ე აფიქსებით ნაწარმოები (ე. წ. დანიშნულების) სახელები, როგორიცაა: ხა-მარხ(ვ)-ო, ხა-მოთხ-ე და სხვა. ერთი სიტყვით, ჩვენ გვინდა ვთქვათ, რომ რა თავისებურებაც აქვს ნა პრეფიქსს, არაა აუცილებელი, რომ იგივე თავისებურება ჰქონდეს აგრეთვე ხა პრეფიქსსაც.

დასასრულ, ერთგვარი სავარაუდო მოსაზრების სახით დავსვამ კითხვას: ხომ არ არის ნა—ავ და ნა—ევ ელემენტები, როგორც ნა პრეფიქსიანი მიმღეობების ყველაზე მეტად გავრცელებული ჯგუფის მაწარმოებლები, ანალოგიით გადატანილი სახელებზე (ნამგლვეი, ნამქეცავეი...)? შინაარსით ისინი შორის შორის არა დგანან. მართალია, ნა—ავ, ნა—ევ აფიქსებით ნაწარმოებ სახელებს შეიძლება ზოგჯერ წინა ვითარების სახელების მნიშვნელობა ჰქონდეთ, მაგრამ, ჯერ ერთი, ასეთ შინაარსს, არსებითად რომ ვთქვათ, ნა პრეფიქსიანი მიმღეობებში შეიცავენ (ფ ე ხ მ ო ნ ა ტ ე ხ ი ისაა, ვისაც ფეხი მოტეხილი ჰქონდა წინათ, მაგრამ ახლა აღარა აქვს მოტეხილი), მეორე მხრივ, თუ მეტისმეტი სითამამე არ იქნება, ისიც შეიძლება დავუშვათ, რომ თვით წინა ვითარების სახელების ერთ-ერთი გავრცელებული მაწარმოებელი ნა—ევ (ნა-ქალაქ-ევ-ი) სწორედ ზემოთ განხილული მიმღეობებისაგან (ნა-მალ-ევ-ი) მომდინარეობს. ძველად, როგორც ვნახეთ, ავიანი (და ამიანი) ზმნების მიმღეობებს ორნაირი ყალიბი ჰქონდათ: ნა—ავ და ნა—ევ (ნა-ლეს-ავ-ი და ნა-მალ-ევ-ი). ზუსტად ეს ყალიბები აქვს გამოყენებული სახელებსაც: ნა-მქეც-ავ-ი და ნა-მგლ-ევ-ი. მაგრამ ეს ცოტაა: აქაც სხვადასხვა ყალიბის განაწილება ზუსტად იმ წესს მისდევს, რომელიც მიმღეობებში დავადგინეთ, ე. ი. თუ საწარმოებელ ფუძეში ე ხმოვანი გვაქვს, სუფიქსად დარჩება ავ, თუ სხვა ხმოვანია (ან ხმოვანი ამოღებულია და წარმოების შემდეგ აღარ გვაქვს),—ევ (ნა-მქეც-ავ-ი, ნა-კერპ-ავ-ი, მაგრამ: ნა-ლუარ-ევ-ი, ნა-მგლ-ევ-ი). ამგვარად, ძველ ქართულში მიმღეობები და სახელები წარმოების მიხედვით ერთადაა მოქცეული, ერთნაირად იწარმოება; მათი შინაარსიც ერთმანეთთან ახლოა.

ახალ ქართულში შინაარსეულ დაცილებას ფორმალური დაშორებაც მოჰყვა: მიმღეობებს (ორივე ტიპისას) მხოლოდ ავ სუფიქსი შერჩათ (ნა-მალ-ავ-ი, ნა-პარ-ავ-ი), ხოლო სახელებს (აგრეთვე ორივე ტიპისას) — ევ (ნა-ლუარ-ევ-ი, ნა-მხეც-ევ-ი). მაგრამ დაუბრუნდეთ სახელთა მაგალითებს.

ქვემოთ მათ წარმოვადგენთ იმავე რიგით, რომლითაც დალაგებული გვქონდა მიმღეობანი. ცალკე ჯგუფს აქაც ანბანის რიგის მიხედვით მოვიყვანთ.

### A. ნა—ევ

#### ნა-ბ ა კ-ე-ი

წარემართა იგი მთად და პოვა ნა ბ ა კ ე ე ი ოკერი, მრავლით უამით სავსე ქვეწარმავალითა: უდაბნ. 25 ra; მაშინ პირველად ნა ბ ა კ ე ე ი ს ა მის-გან ეჩუნა, რომელნი მისრულ იყვნეს მისა. ცხ. ანტონ. 26. 21.

### ნ ა ბ ი ჳ ე ე - ი

ძალღნიცა ჳამედ ნ ა ბ ი ჳ ე ე ვ ი ს ა გ ა ნ , რომელ გარდამოცვინ ტაბლი-  
საგან უფალთა მათთაჲსა: მ. 15, 27; გული ეტყოდა განძლებად ნ ა ბ ი ჳ ე ე ვ ი ს ა  
მ ი ს გ ა ნ (ნ ა ბ ი ჳ ე ე ვ ი ს ა გ ა ნ D) გარდამოცვინებულისა ტაბლისაგან. მის  
მდიდრისა: ლ. 16, 21 E; გული-უთქუამნ და სწადინ მას განძლებად ნ ა ბ ი ჳ ე ე  
ვ ი ს ა გ ა ნ...: ბოლნ. 68, 22; რამთა ვიზარდებოლი მე ნ ა ბ ი ჳ ე ე ვ ი ს ა მისგან  
ტაბლათა თქუენთაჲსა: ისტ. ჳრ. II, 6, 31.

ზოგან ეს სუფიქსი აღარ გვხვდება და იმავე მნიშვნელობით (ნამცეცები,  
პურის ნამცეცები) მხოლოდ ნა პრეფიქსიანი ფორმა იხმარება (ნა-ბიჳ-ი):

არცა ნატეხი პურისაჲ მიიღო, არამედ ნ ა ბ ი ჳ ი ტაბლისაგან და ნარცხი  
ქოთნისაჲ: კიმ. I, 206, 7; ძალღნიცა ჳამედ ნ ა ბ ი ჳ ს ა : მ. 15, 27 C; ძალღნიცა  
ტაბლასა ქუეშე ჳამედ ნ ა ბ ი ჳ ს ა ყრმათასა: მრ. 7, 28 C.

### ნ ა მ გ ლ ე ე - ი

ცხოვარი იგი ქრისტჳსი ნ ა მ გ ლ ე ე ი ჳმნა, რამეთუ მწყემსსა მას კეთილ-  
სა განეშორა: აბო (ისტ. ჳრ. I) 200, 25; სინ. 121, 7; უღაბნ. 12 vb.

### ნ ა მ უ შ ა კ ე ე - ი

ნ ა მ უ შ ა კ ე ე ი თჳსი წმიდასა ღმრთის-მშობელსა შეჳკედრა: აღწ. 166,  
11; ნ ა მ უ შ ა კ ე ე ი ჩანს, მუშაკი — მტულჳრ და ნაცარ-ტოტა: Опис. 196, 19;  
ისწრაფე, ძმაო, და წარვედ აღგილთა ნ ა მ უ შ ა კ ე ე თ ა შენთა: ზარზმ. 169,  
36; დამწიფდა ტევეანი მათისა მის მოძღურებისა ნ ა მ უ შ ა კ ე ე თ ა ა : ზარზმ.  
.150, 14.

### ნ ა ლ უ ა რ ე ე - ი

ნ ა ლ უ ა რ ე ე - ი კაცმა შეიძლება ორგვარად გაიგოს: ა) როგორც ღ უ ა რ  
სახელისაგან ნაწარმოები ახალი სახელი, როგორც ნა-ბაკ-ეე-ი, ნა-მგლ-ეე-ი  
და სხვა და ბ) როგორც ჳმნის მიმღეობური ფორმა, ვთქვათ, ისეთი, რო-  
გორიკაა ნა-მარხ-ეე-ი. საქმე ისაა, რომ ძველ ქართულში ღ ვ რ ა ჳმნა  
(ვ-ღვრ-ი, ღვრ-ი, ღვრ-ი-ს...) ავ თემის ნიშნით იხმარება, მაგალითად: ნუ, ძმაო  
ჩემო, ნუ წარსწყმედ და ნუცა ცუდად დაჳლ უ ა რ ა ვ შრომათა შენთა სიყრ-  
მით შენითგანთა: ლიმ. 47, 20; არა ცუდად რას და ვ ღ უ ა რ ა ვ თ სიტყუაფა  
ამათ: სინ. 218, 20. ნ ა ლ უ ა რ ე ე - ი სინაარსი, ასე თუ ისე, ორივენაირ გაგებას  
იგულებს, მაგრამ მაინც გვგონია, რომ ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში ნ ა ლ უ ა  
რ ე ე ი უფრო ღ უ ა რ სახელისაგან უნდა იყოს წარმომდგარი, იგი არსე-  
ბით სახელად გვევლინება და უმეტეს შემთხვევაში აღნიშნავს „ღვარს“, „ნი-  
ღვარს“, „ხევს“, „ხეობას“ (поток, овраг, ущелье: ფს. 109, 7; 125, 4 და სხვ.).  
ჩვენც ამიტომ აქ შემოვიტანეთ და არა მიმღეობებში. ასე გავიგებთ თუ ისე,  
ჩვენი მიზნებისათვის ორივე გაგება გამორღეება. მაგალითები:

ცოდვაჲ თუალთა მათთაჲ განმრავლდეს, ვითარცა ნ ა ლ უ ა რ ე ე ი : აპოკრ.  
10, 35; მოაქციე, უფალო, ტყუშ ჩუენი, ვითარცა ნ ა ლ უ ა რ ე ე ი ბლუარბ-

თა: ფს. 125, 4 (ლუარნი 7); ხოლო ყრმა იგი შთაიტაცა ლუარმან შინაეზოდ და ნალუარევი იგი წყლისა მის ქვითურთ ზედადაეცემოდა ეზოსა მას შინა: კიმ. 11, 210, 10; გონუბა ბრძენთაჲ, ვითარცა ნალუარევი: ზირ. 21, 15; ვითარცა მოვიდა იგი ნალუარევისა მას ბოსორისასა: 1 მეფ. 30, 9; და თუ წარჰკდე ნალუარევისა მას კედროვნისასა: 3 მეფ. 3, 4; იგინი ნალუარევისა ერთსა შეითხინენ: 2 მეფ. 17, 13; აღმოქმენით ნალუარევისა მას გობები (გუბები?): 4 მეფ. 3, 15; გარეშე იერუსალშმსა ნალუარევისა მას კედროვნისასა... დაწუნა იგინი ცეცხლითა: 4 მეფ. 23, 6; ნალუარევისა გან გზისა ასუას: ფს. 109, 7 (ნალუარევი გზისაჲ 4); ნაწილი იგი გაადისი... ნალუარევი თ არონით, ვიდრე ქალაქადმდე არუირედ: თუალთ. 44, 7; ზღუდემან ასულისა სიონისამან გარდამოადინენ, ვითარცა ნალუარევი, ცრემლი: გოდ. იერ. 2, 18 (40); და ვითარცა იწყო წვმად, და აღდგეს ნალუარევი, და ანქრედეს ქარნი: სინ. 196, 12 (შდრ. მ. 7, 25, 27); აღძრულთა მათ ნალუარევი თა არს გადის და იეზრისსა: 2 მეფ. 24, 5; გამოვედ შე ბუესა მას ნალუარევისასა, პირსა ზედა ქუეყანისა მის ლელოვანისასა: ნემ. 2, 13; და დიძალა კევთა მათ ნალუარევი თასა: 1 მეფ. 15, 5.

ნაწლევი (-\*ნაწლევი)

მას ეამსა გარდარეულად აღიძრა ნაწლევი იოსებისი და შეეწუებოდეს: საე. წიგ. 11, 74, 3; დაჰყარის ნაწლევი ფრინველთაჲ მათ: სახისმეტყ. 18, 15; ყოველი ნაწლევი შეუქამის: იქვე, 28, 14; (ჰამეთ) მწუარი ცეცხლითა თავი ფერკითურთ და ნაწლევი თ: გამ. 12, 9; შეწიროს მდღელმან მან... ყოველი კორცი მისი თავ-ფერკითურთ და ნაწლევი თ: ლევ. 4, 11; ნაწლევი მისნი საესე იყენეს ცმელითა: იობ 21, 24; გარდაიქცეს ნაწლევი ჩემნი ჩემ შორის: დან. 10, 16; ნაწლევი მისნი ისხნეს გარე: წარტყ. 61, 25; ნაწლევი შეიწყნარებენ რუეთა შინა მათთა ნივთსა მას უშუერსა: სწავ. 176, 24; რომელსამე მახვლითა ნაწლევი გამოუსხნიან: სინ. 276, 6; დამო-მცავისხენ ნაწლევი შენნი უწყალოდ: კიმ. 1, 153, 7; განსთქდა და განიბნინეს ყოველი ნაწლევი მისნი: იქვე, 243, 12.

B. ნა—ავ

ნაკერპავი

ჩუენ ქრისტეანენი ვართ და ღმერთსა ვკმსახურებთ, ხოლო ნაკერპავი არა ვკამოთ: გულანდ. 211, 13; არა შკამდეს ნაკერპავსა: იქვე, 211, 5; რომელმან ამის ქალაქისა წარიღოს ქურქელისა რამსმეგანი ნაკერპავისა სახლად თვსა: პორფ. დაზ. 178; განშოვრებად თქუენდა ნაკერპავთა გან და შეუდრინამსა, და სისხლისა კამისა და სიძვისა: მოც. 15, 29 (ნაკერპავისა გან 47).

ნამეტავი, ნამეტნავი

სიყუარულითა გამოძიებისათა იქმნების იგი ნამეტავ (ნამეტნავ B) საზომისა: უძვ. რედ. 75, 8; რათა არა იყოს ნამეტნავ სასმენელსა

მსმენელთასა: ხანძთ. (ისტ. ქრ. I) 252, 30; თქუენი ნამეტნავი მათისა-  
ნაკლულევანებისა და მათი ნამეტნავი თქუენისა ნაკლულევანებისა:  
იქვე, 246, 6 (= 2 კორ. 8, 14); შრომითა მითპურსა მოირეწევა იგი დღითი-  
-დღედ და ნამეტნავსა მისცემდა, რომელნი-იგი ევედრებოდნენ მას: საქ.  
წიგ. II, 95, 10; ნამეტნავისაგან (ნამეტნავისაგან DE) გულისა  
პირი იტყვს: მ. 12, 34 C; არა ნამეტნავისაგან (ნამეტნავისაგან  
DE) ვისისამე არს ცხოვრებაჲ მისი ნაყოფთა მათგან: ლ. 12, 15 C; ამათ ყოველ-  
თა ნამეტნავისაგან (ნამეტნავისაგან DE) მათისა შეწირეს და-  
სადებელსა ამას: ლ. 21, 4 C; ხოლო თარგმანებაჲ წიგნთაჲ აქუნდა ნამეტნა-  
ვად ყოველთა სათნობათა: ცხ. ეფთ. 108, 14.

#### ნამქეცავი

უკუეთუ ნამქეცავ იქმნეს, მიიყვანონ იგი ჰამულსა მას ზედა და არა-  
მიჰკადოს: გამ. 22, 13; და კაცნი წმიდა იყვნით, კორცი ნამქეცავი არა-  
შუპაოთ, ძაღლთა მიუგდეთ იგი: გამ. 22, 31; ნამქეცავი არასადა მოგარ-  
თუ შენ: დაბ. 31, 39; არასადა შეგინებულ არს სული ჩემი არაწმიდითა, მკუდ-  
რისაჲ და ნამქეცავი არა მიჰამიეს: ეზეკ. 4, 14; და ყოველი მკუდრისაჲ  
და ნამქეცავი მფრინველთაგან და პირუტყუთა არა ჰამონ მღღელთა:  
ეზეკ. 44, 31; კაცი, რომელი შეეხოს ყოველსა საქმესა არაწმიდებისასა, გინა-  
მშორსა, გინა ნამქეცავსა არაწმიდასა: ლევ. 5, 2; ცმელი მკუდრისაჲ და  
ნამქეცავისაჲ იმსახუროს ყოველსა საქმესა და ჰამით არა იჰამოს:  
ლევ. 7, 14.

#### ნაძუელავი

კმა-ვიყვით სამოსლად ჩუენდა ნაძუელავი იგი ნაკრები სანაგვეფა-  
გან: ბალ. 83, 19ა; კოტორი ნაძუელავთაგან დაკერული ებლარდნა მას  
ზედა: ბალ. 85, 22ა; მე უფროჲს მოთმინე ვარ არგანსა ამას და ნაძუელავ-  
სა, რომელ განვაგდე: ბალ. 122, 12; კოტრითა და ნაძუელავითა მო-  
ილე ქებაჲ ღმრთისაგან: ბალ. 162, 33.

ზოგჯერ ეს ცნება აღნიშნული ფუძისაგან მხოლოდ ნა პრეფიქსითა ნაწარ-  
მოები და ავ აღარ ახლავს: არაჲ ემოსა თვნიერ ფლასისა ნაძუელი, რომე-  
ლი შემოდევა წელთა მისთა: ბალ. 119, 20 ბ.

მსგავსი მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ საკითხის და-  
სასმელად და ერთგვარი მოსაზრების წამოსაყენებლად ესეც კმარა, რაც აქ არის.  
წარმოდგენილი. შემდგომი საჭიროა ამ საკითხის უფრო ფართოდ და დაწერი-  
ლებით შესწავლა, რასაც ავტორი მომავალში აპირებს.



## 6. მეტათეზისი

✓ მეტათეზისი ანუ სიტყვაში ბგერის გადაადგილება ერთ-ერთი ფართოდ ვაერცვლებული მოვლენაა ქართულში, ძველსა და ახალში. ქართველური ენებიდან იგი ძალზე დამახასიათებელია აგრეთვე მეგრულისათვისც შდრ.

ქართ. დრო	და მეგრ. რდო
„ <del>ებბო</del>	„ „ ებრო
„ <del>ორბი</del>	„ „ ობრი
„ <del>ორქო</del>	„ „ ორქო
„ <del>პეტრე</del>	„ „ პეტრე
„ <del>პირველი</del>	„ „ პრიველი
„ <del>ფიქრა</del>	„ „ ფირქი
„ <del>შრიალი</del>	„ „ რშიალი
„ <del>ცრუ</del>	„ „ რცუ
„ <del>წარბი</del>	„ „ წარბი
„ <del>წიგნი</del>	„ „ წიგნი
„ <del>ჩრელი</del>	„ „ რჩელი
„ <del>ხშირი</del>	„ „ შხირი!

✓ არჩევენ მეტათეზისის სხვადასხვა სახეებს. არის მარტივი მეტათეზისი, როცა სიტყვაში ადგილს იცვლის მხოლოდ ერთი ბგერა, სხვა ყველა ბგერა თავის ადგილზეა, მაგალითად: რკმალი (—ქრმალი), სიღმე (—სიღრმე), ქრმისა (—ქმრისა), პიტიაშხი (—პიტიახში).

✓ გვაქვს საერთო ერთი მეტათეზისი, როცა სიტყვაში ადგილს უნაცვლებს ერთმანეთს ორი, მანძილით დაშორებული (არა მეზობელი) ბგერა, მაგალითად: ცარიელი (—ცალიერი), ძრიელი (—ძლიერი), როსკიპი (—როსპიკი), მწლაფრ (—მწრაფლ), ძლენოვანი (—ძნელოვანი).

✓ ადგილის მიხედვით განასხვავებენ კონტაქტურ მეტათეზისს დისტანციურისაგან. პირველი (კონტაქტური) მაშინ გვაქვს, როცა გადასულ ბგერათა უშუალო მეზობლობა არ ირღვევა. ასეთია მარტივი მეტათეზისის დიდი უმეტესობა (სიღრმე, რკმალი...). მეორე მაშინ გვხვდება, როცა ირღვევა ვადასმული ბგერის უშუალო მეზობლობა პირვანდელ მეზობელ ბგერასთან, მაგალითად: ქიშუაა (—ქუიშაა), დაივლტნეს (—დაილტვენეს). განიძუარცა (—განიძარცუა). დისტანციურია აგრეთვე საურთიერთო მეტათეზისიც\*.

\* I. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка, 1914 (ლექსიკონი); ს. ელენტი, კანურ-მეგრულის ფონეტიკა, 1953, გვ. 157—159.

\* გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, გვ. 204—205; მისივე ზოგადი ფონეტიკის შესავალი, 1956, გვ. 177—178; მ. ძიძიშვილი, ფონეტიკური პროცესები, გვ. 125—130.

მარტივი მეტათეზისი, როგორც აღენიშნეთ, უმეტეს შემთხვევაში კონტაქტურია, ზოგჯერ შეიძლება იყოს აგრეთვე დისტანციურიც (ნახე), საურთიერთო მეტათეზისი კი მუდამ დისტანციურია.

✓მეტათეზისი მოსდის უმეტესად სონორ თანხმოვნებს (რ, ლ, ნ, მ), აგრეთვე ვ-ს, რომელიც სონორობით ახლოსა დგას რ, ლ, ნ, მ-სთან. ✓უფრო ნაკლებად იგი ჩქამიერ თანხმოვნებსაც ახასიათებს (პიტიაზში—პიტიაზში, ნაშხირი—ნახშირი) <sup>1</sup>.

ქართულში, ძველსა და ახალში, უფრო ხშირია რეგრესული მეტათეზისი, როცა ბგერა იცვლის ადგილს მეტწილად სიტყვის თავისაგან:

ღრმა—არღმა, ზურგი—ზრუგი, მანგალი—ნამგალი, ✓ქმრის—ქრმის, ძმრის—ძრმის, ჩულქი—ჩლუქი <sup>2</sup>. ჩვენ ქვემოთ ვუჩვენებთ ძველი ქართულის მეტათეზისის ტიპობრივ ნიმუშებს.

### I. მარტივი მეტათეზისი

როგორც ნათქვამი იყო, მარტივი მეტათეზისი შეიძლება იყოს კონტაქტურიც და დისტანციურიც. ჩვენც მავალითებს ამ რიგით მოვიყვანთ.

#### A. კონტაქტური

რ

#### ათრვამეტო—(ათვრამეტო)—ათურამეტო

ათურამეტო წელი არს: ლ. 13, 16 C; სამას ათურამეტოა ეპისკოპოსთა: მრავ. 292, 8 B; ფსალმუნსა ამას ას და მეათურამეტესა: აბო (აგ. ძეგ.) 70, 5 X; წელსა მეათურამეტესა: ისტ. ქრ. I, 290, 4. ათრვამეტო, მეათრვამეტე და მსგავსი ფორმები ჩვეულებრივია ძველ ქართულში, ამიტომ სათანადო მოწმობანი აქ აღარ მოგვეყავს.

#### ამრენაკო—არმენაკო

მან იყიდა ამრენაკო: მრ. 15, 46; შეპგრაგნა იგი ამრენაკსა წმიდასა: მ. 27, 59; ჰყუარობენ დამარხვად და წარგრაგნად ამრენაკსა: უღაბნ. 35 r; ბრიტ. ხელნ. 52 r; შემოსა იგი ამრენაკითა მით: მრ. 15, 46. მაგრამ: არმენაკსა წმიდასა... წარპგრაგნა იგი: სავ. წიგ. II, 45, 20; მოიხუნეს სამნინი არმენაკნი სინდისანი წარგრაგნილნი: ცხ. აღამ. 132, 23; განმარტენით არმენაკნი ეგე: იქვე, 132, 25; მოიხუნენით სხუანიცა არმენაკნი: იქვე, 132, 28.

#### ატროშანი—არტოშანი

აღიარა ატროშანი და შეერთო იგი უღმრთოთა: შუშ. (აგ. ძეგ.) 12, 25. მაგრამ: ...არტოშანი A (შღრ. ფაქლაური atur = ცეცხლი, სომხ. *ատրուշან*).

<sup>1</sup> გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, გვ. 204.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 206.

ბორო—ბორო

ნეტარი ევსტათი და... ბორო... მტკიცედ დგეს: ევსტ. (აგ. ძეგ.) 33, 18-  
მაგრამ: ...ბორო... იქვე F.

განსხირპ—განსხირპ

რამათა... განუსხირპენ ფერკნი მათნი ძლიერად: გურია, 112, 24:  
მაგრამ: ...გამოსხირპენ: იქვე B. საბას თავის ლექსიკონში ამოსავალი  
სხირპ ფუძე აქვს შეტანილი (სხირპვა, განსხირპვა, დასხირპვა, მსხირპანე).  
ძველ ტექსტებში ჩვეულებრივია სხირპ ფუძიანი ფორმები, მაგალითად:  
განსხირპეს ჭუარსა მას ზედა: სწავ. 180, 24; მათ ასონი მისნი ძელსა ზედა  
ვანსხირპენ: სწავ. 71, 1; კაცნი ესე საწყალობელნი ...განსხირპე-  
ნით: კიმ. II, 33 33.

დადგრომა—დადგრომა

დადგრომა ზმნის ფუძეში, როგორც ცნობილია, შედის დეგ ზმნა  
(ძირი) და ერ სუფიქსი: \*და-დეგ-ერ-ომ-ა—დადგრომა. პირიანი ფორმები, მაგა-  
ლითად, წყვეტილისათვის, იქნება: და-ე-ა-დეგერ, და-ა-დეგერ, და-ა-დგრ-ა. რო-  
გორც ვხედავთ, ზმნის მარტივი ფუძის თანხმოდანთა რიგი ასეთია: დგრ. მაგ-  
რამ ძველ ქართულში ხშირია შემთხვევები, როცა ეს რიგი ირღვევა, ადგილთ  
აქვს ბგერათა გადასმას, რ გადმოდის წინ, ადგილს იჭერს დ-სა და გ-ს შორის  
და ეღებულობთ დრგ კომპლექსს. დავძენთ ბოლოს, რომ რ-ს გადმოსმა ხდება  
უმთავრესად შეკუმშულ ფუძეებში (დრგ, დრგ-ომა)¹. მაგალითები: და-  
ადრგები სწავ. 31, 15 C; დაადრგების სწავ. 65, 5 C; 157, 4 C; ბალ.  
84, 36 J; ადრგების სწავ. 184, 19 A; დაადრგებიან სწავ. 16, 31 C;  
157, 3 C; დაადრგებოდის სწავ. 289, 2 C; დაეადრგეო სწავ. 250,  
12 AC; დაადრგე სწავ. 158, 30 C; დაადრგეს სწავ. 82, 31 C; და-  
ეადრგეთ სწავ. 152, 23 AC; დადრგომაა სწავ. 188, 26 C; დადრ-  
გომისა სწავ. 83, 3 C; დადრგომად ლ. 19, 7 C; დადრგომილ  
სწავ. 64, 18 C; დაუდრგომელი სწავ. 193, 18 C და სხვა. ამოსავალი  
ფორმების დამოწმებას აღარ ვთვლით საჭიროდ, იმდენად ბევრი და გავრცელე-  
ბულია ძველ ქართულ ენაში (დაადრგები, დაადრგების, დაადრგებიან, დაადრგე-  
ზოდის, დაუადრგე, დაადრგე, დაადრგეს, დაუადრგეთ, დადგრომაა, დადგრომი-  
ლი, დაუდგრომელი...).

ვიპარქოზი—ვიპარქოზი

ვითარცა ესმნეს ვიპარქოზსა სიტყუანი ესე: კიმ. II, 83, 33. გამო-  
ცემაში გასწორებულია მართებულთ ვიპარქოზით. შდრ. ბერძნ. *νιπαρχος*²:

¹ იშვიათად გადასმა ურღვევით ფორმებშიც გვაქვს (დადერგ და სხვა). იხ. ამის შე-  
სახება ზ. სარჯველაძე, მეტაფიზისი XI—XII საუკუნეთა ქართულ წერილობით ძეგ-  
ლებში: გორის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. XI, 1967.

² შ. მ. ძიძიშვილი, ფონეტიკური პროცესები, გვ. 126.

თ ვ ა ტ ი რ — თ ვ ა ტ რ ი

წარეც... პერლამოს და თ ვ ა ტ რ ი ს : გამოცხ. 1, 11 A; თარგმ. გამოცხ. 1, 11 AB; ანგელოზსა თ ვ ა ტ რ ი ს ა ეკლესიისასა: გამოცხ. 2, 18; თარგმ. გამოცხ. 2, 18 AB; რომელნი ხართ თ ვ ა ტ რ ი ს შინა: თარგმ. გამოცხ. 2, 24 B. მაგრამ აქვეა ამოსავალი ფორმებიც: რომელნი ხართ თ ვ ა ტ ი რ ს შინა: გამოცხ. 2, 24 A; წარეც პერლამს და თ უ ა ტ ი რ ს : თარგმ. გამოცხ. 1, 11 C; ანგელოზსა თ უ ა ტ ი რ ი ს ა ეკლესიისასა: თარგმ. გამოცხ. 2, 18 C; რომელნი ხართ თ ვ ა ტ ი რ ს A (თუატირს C) შინა: თარგმ. გამოცხ. 2, 24. შდრ. ბერძნ. *ααλ ελζ Θυάτειρα*.

მ ა რ ზ ა პ ა ნ ი — მ ა ზ რ ა პ ა ნ ი

პრქუა მას მ ა ზ რ ა პ ა ნ მ ა ნ მ ა ნ : აბ. ნეკრ. (აგ. ძეგ.) 244, 31 L: წინაშე მ ა ზ რ ა პ ა ნ ი ს ა : იქვე, 244, 29 L. ამოსავალი (უმეტათეზისო) ფორმაა მ ა რ ზ ა პ ა ნ ი , რომელიც ამ სახით ბევრგან გვხვდება, მაგალითად: მ ა რ ზ ა პ ა ნ ი : ევსტ. (აგ. ძეგ.) 33, 33; მ ა რ ზ ა პ ა ნ მ ა ნ : იქვე, 33, 21; 34, 8; 44, 4; მ ა რ ზ ა პ ა ნ ს ა : იქვე, 32, 9, 23, 27; 34, 3; მ ა რ ზ ა პ ა ნ ი ს ა : იქვე, 33, 33; 34, 22; მ ა რ ზ ა პ ა ნ ა ლ : იქვე, 34, 21; ბრძანებდა მ ა რ ზ ა პ ა ნ ი ს ა ა ლ : იქვე, 33, 25.

კ რ მ ა ლ ი — რ კ მ ა ლ ი

არა ცუდად რ კ მ ა ლ აბს: რომ. 13, 4 ლაგ.; რ კ მ ლ ე ბ ი კლილები: სინ. მრ. 275, 7<sup>1</sup>. ძველ ქართულში ჩვეულებრივია რ-გადაუსმელი ფორმები: კ რ მ ა ლ ი : ისტ. ქრ. II, 91, 21; ხანძთ. (აგ. ძეგ.) 272, 28; მ ე კ რ მ ლ მ : მრ. 6, 27; უძვ. რედ. 65, 27; კ რ მ ლ ო ს ა ნ ი : ისტ. ქრ. II, 91, 7.

ს ი ლ რ მ ე — ს ი რ ლ მ ე

ს ი რ ლ მ ე ს ა კილ-ეტ. 133 v, 11; 229 v, 8; ს ი რ ლ მ ე თ ა გ ა ნ იქვე, 229, 3. ასეთი მეტათეზისი არ არის ხშირი, ჩვეულებრივია გადაუსმელი ფორმები, მაგალითად: ს ი ლ რ მ მ : იობ 26, 14; აბო (ისტ. ქრ.) 197, 10; ს ი ლ რ მ ე მ ა ნ სახისმეტყ. 15, 30; ს ი ლ რ მ ე ს ა აბო 193, 14; თუალთ. 42, 26; ს ი ლ რ მ ი ს ა სინ. 140, 4; ს ი ლ რ მ ი თ ა ფს. 63, 7; ს ი ლ რ მ ე ლ : ესაია 7, 11; ს ი ლ რ მ ე ნ ი იობ 28, 11; დან. 2, 22; ს ი ლ რ მ ე თ ა აბო 193, 10; 202, 4.

ფ ა რ ს ა ხ — ფ რ ა ს ა ხ

ვითარ ვლო მრავალ ფ ა რ ს ა ხ : კიმ. I, 204, 2. მაგრამ: ეშორა ადგილისა მისგან ას და ოც ფ რ ა ს ა ხ ოდენ: ისტ. ქრ. II, 88, 21 (მომდინარეობს სპარს. *ჭარსან-გ-ისაგან*).

<sup>1</sup> ა. შანიძე, სინური მრავალთავი 864 წლისა, გვ. 311.

ქ მ რ ი ს ა — ქ რ მ ი ს ა

ამ ფუძეში რ-ს წინ გადმოსმა ხდება მხოლოდ ფუძის შეკუმშვის შემდეგ-  
როცა ერთად იყრის თავს თანხმოდანთა ქმრ კომპლექსი. მაგალითები: ქ რ მ ი-  
ს ა მარტულ. კახ. (აგ. ძეგ.) 165, 13 BCH; ლიტ. ქრ. 4, 36; ცხოვრ. აღამ. 123.  
20 AQ; ქ რ მ ი ს ა გ ა ნ კიმ. I, 327, 26 ა.

ძ მ რ ი ს ა — ძ რ მ ი ს ა

ძ მ ა რ ი ც ი მ ტიპის ფუძეა, როგორც ქ მ ა რ ი, ამიტომ მათ მეტათეზისო  
ერთნაირ პირობებში მოუღის — ძ რ მ ი ს ა: აპოკრ. 14, 39.

• ხ ა რ ტ უ კ ი — ხ რ ა ტ უ კ ი

განულო ...ხ ა რ ტ უ კ ი ცხვრსა მისსა: აბო (აგ. ძეგ.) 54, 28. მაგრამ:  
...ხ რ ა ტ უ კ ი... იქვე E; ნუ უტეობ ენასა შენსა თვნიერ ხ ა რ ტ უ კ ი ს ა: ბალ.  
161, 10, მაგრამ: ...ხ რ ა ტ უ კ ი ს ა: იქვე (ხელნ.).

ხ რ უ ს ი პ ი — ხ უ რ ს ი პ ი

(იოვანე) წარავლინა ხ რ უ ს ი პ ი: აპოკრ. 78, 42; ესმარამ ხ რ უ ს ი პ ი ს:  
იქვე, 77, 42. მაგრამ: ხ უ რ ს ი პ ი ჰრქუა იოვანეს: იქვე, 78, 4; ხ უ რ ს ი-  
პ ო ს მიუთხრა იოვანეს: იქვე, 78, 13. შდრ. ორთ. 14, 13.

ლ

ნათესავი ურწმუნოა და გ ლ უ ა რ ძ ნ ი ლ ი: მ. 17, 17 D. აქ ლ-ს უბრა-  
ლო მეტათეზისი გვაქვს, ჩვეულებრივი ფორმაა გ უ ლ ა რ ძ ნ ი ლ ი (მ. 17,  
17 CE; ლ. 3, 5; 9, 41; აპოკრ. 6, 25; გ უ ლ ა რ ძ ნ ი ლ ე ბ ა მ ბალ. 164, 26).

უფრო რთული ფორმაა გ უ რ ა ძ ნ ი ლ ი [გალობ (ფს.) 2, 5], რომელშიც  
ჯერ რ-ს მეტათეზისი უნდა გვექონოდა: გ უ ლ ა რ ძ ნ ი ლ ი — გ უ რ ა ძ ნ ი ლ ი,  
ხოლო ამის შემდეგ ლ-ს დისიმილაციური დაკარგვა — გ უ რ ა ძ ნ ი ლ ი.

ს ა ს თ უ ნ ა ლ ფუძისაგან (შუშ. 14, 18; უდაბნ. 73 va; სინ. 128, 17; პარხ.  
1283 a; დაბ. 28, 11, 18) გვაქვს მოქმედებითი ბრუნვის ფორმა ს ა ს თ უ ნ ლ ი თ-  
კიმ. I, 249, 28; შუშ. (აგ. ძეგ.) 25, 10. მაგრამ ამ უკანასკნელ ადგილას C ხელნა-  
წერში ლ წინაა გადმოსმული და იკითხება ს ა ს თ უ ლ ნ ი თ.

ა

და ა მ ზ ნ ო აღსარებად ღმრთისა მხოლოდსა: ბალ. 422, 23 J. სხვა ხელ-  
ნაწერებში აქ, რა თქმა უნდა, ძველი ქართლის ჩვეულებრივი ა მ ზ ნ ო გვაქვს,  
C რედაქციაში კი ა მ ზ ნ ა იკითხება, რაც უფრო ძველ ვითარებაზე მიუთი-  
თებს. შდრ. კიდევ: ა მ ზ ნ ო ბ ნ დაშრეტასა: უძვ. რედ. 225, 27; კუალად ა მ ზ-  
ნ ო შესლვად საფლავად: ლიმ. 24, 17.

<sup>1</sup> ო. ქ უ რ ც ი კ ი ძ ე, ქართული ვერსიები აპოკრიფების მოციქულთა შესახებ, გვ. 054.

3

✓ქართულში, ძველსა და ახალში, ხშირია ვ-ს მეტათეზისი. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ვ, როგორც პირველი სუბიექტური პირის ნიშანი, ხშირადაა გადასმული რთულ ზმნებში, მაგალითად:

ხოლო მე ვ ღ ღ ა ღ ა დ-ყ ა ვ: ✓მოქც. 747, 10<sup>1</sup>; ვ ღ ღ ა ღ ა ტ-ყ ა ვ ქილ-ეტრ: 46 რ, 7; 233 რ, 8. ვ-ს წინ გადმოწევა აქ, საფიქრებელია, იმით აიხსნება, რომ გადამწერს სურს, ქართული მარტივი ზმნების ანალოგიით, S<sub>1</sub>, როგორც წესი, სულ წინ დასვას, ზმნისწინს მიაყოლოს. ხანდახან ისეც ხდება, რომ ვ გადასმულია, მაგრამ თავის ძველ ადგილასაც არის დატოვებული, მაგალითად: ვ ღ ა ღ ა დ-ვ ყ ა ვ: სას. პ. 407, 9<sup>2</sup>; ვ ბ რ ძ ო ლ ა-ვ ყ ო: თარგმ. გამოცხ. 2, 16 B.

✓ვ (S<sub>1</sub>) ყოველთვისაა გადასმული ხანმეტსა და პაემეტ ძეგლებში მესამე ობიექტური პირის ნიშნის შემდეგ. ასეთ შემთხვევაში ვ-ს მულამ უმარცვლო უ (უბრჭვე) ენაცვლება: შე ხ უ ა ბ თ ესე კარი: ✓ხოლნ. წარწ. (—“შეგხაბთ); ა ღ ხ უ მ ა რ თ ე, ა ღ ხ უ მ ა რ თ ე თ: უკანგორის წარწ.; ა ღ ჰ უ მ ა რ თ ე: წყი-სის წარწ.; ხ უ ა რ წ მ უ ნ ო თ: მ. 28, 14 X; ჩუენ ხ უ ე ს ა ვ თ: ლ. 24, 21 (იქვე); უკუეთუ არა ვიხილო კელთა მისთა სახმ იგი სამქუალთაჲ და და ხ უ დ ვ ა თითი ჩემი სახესა მას ფერკთასა და და ხ უ დ ვ ა კელი ჩემი გუერდსა მისსა, არასადა მრწმენეს: ი. 20, 25 (იქვე); ნეტარ ხიყუნენ, რომელთა არა ხ უ ე ხ ი ღ ვ ო და ხ უ რ წ მ ე ნ ე: ი. 20, 29 (იქვე); ესე ა ღ ხ უ ა ს რ უ ლ ო და და ხ უ ბ ე ქ ღ ო ნაყოფსა მას მათსა და წარვიდე თქუენ მიერ სპანიალ: რომ. 15, 28 (იქვე); ა ღ ხ უ ა გ ზ ნ ე ცეცხლი: იერ. 17, 27 V; აღსასრულსა ხ ჰ ტ ყ ო დ ი ნათესავეთა მიმართ: იერ. 18, 7 (იქვე); რომელსა ხ ჰ ტ ყ ო დ ე ყოფად მათ ზედა: იერ. 18, 8 (იქვე); არამცა ხ ჰ ყ ე ე ნ ი თ მათ თანა ზიარ სისხლსა მას წინაწარმეტყუელთასა: მ. 23, 30 V; ზოგი ფასისა ჩემისაჲ მი ხ უ ე ც გ ლ ა ხ ა ყ თა, და რომელი მე მომეხუგვა, მი ხ უ ა გ ო ო თხ წილაღ: ლ. 19, 8 (იქვე); ა ღ ხ უ ტ ყ ო რ ც ე ბ ტყავსა ამას ზე აერთა: იქვე (პალეოგრ. 364); გვჩუენენ ჩუენ ვზაჲ, რაჲთა ხ ჰ ტ ყ ო დ ი თ: იქვე, 365; რაჲთა მი ხ უ ე მ ს გ ა ე ს ნ ე თ ჩუენ პატროსანსა მას მოძლუარსა ჩუენსა: იქვე, 366; შეხუერდეთ და ხ უ მ ა დ ლ ო ბ დ ე თ: ხანმ. მრავ. (ისტ. ქრ. I, 42, 3); ლოცვისა შე ხ უ წ ი რ ვ ი დ ე თ უფლისა მიმართ: იქვე, 42, 5; თ ა ვ ყ ა ნ ი ს-ხ უ ც ე მ დ ე თ და ვადიდებდეთ მამასა: იქვე, 43, 27; მ ო ჰ უ გ უ ა რ ე იგი მოწაფეთა შენთა: მ. 17, 16 Z.

გადმოსმულია ვლა ზმნის ფუძისეული ვ-ც მესამე პირდაპირობიექტური პირის ნიშნის წინ:

უცონილად მ ო ვ ჰ ლ ი დ ა ყოველთავე მოოკრებად: თხრობ. 14, 31—32<sup>3</sup>; მ ო ვ ჰ ლ ი დ ა მეფმ იგი უბანთა თჳსთა: ისტ. ქრ. II, 41, 35; მ ო ვ ჰ ლ ი დ ა იესუ ყოველსა მას გალილესა: მ. 4, 23 D. ვ აქ, შესაძლებელია, პირველი სუბიექტური პირის ნიშნად ესმით, ან ასეთი ფორმების—მივპკური, ვკითხავ, ვპმადლობ, მოვპკლავ, მოვპკათ, მოვპკი, მოვპბან, მოვპლოშნი... — ანალოგიითაა გადმოსული.

<sup>1</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, პრეფიქსები, გვ. 34  
<sup>2</sup> იქვე.  
<sup>3</sup> იქვე, გვ. 120.

✓ ვ გადასმულია ვალ ზმნის ძველი ქართულის საწყისში: ს-ლ ე-ა (ახალი ქართულის ს-ე ლ-ა ისტორიულად უფრო ძველია და უფრო სწორი): ს ლ ე ა მ. 12, 38; ს ლ ე ა ს ა მას ნაენისას: მ. 6, 48; მაშურალი გზისა ს ლ ე ის ა მისგან: ი. 4, 6; მოვიდა... ს ლ ე ი თ ზღუასა ზედა: მ. 14, 25; იწყეს გზასა ს ლ ე ა დ: მ. 2, 23. მას შემდეგ, რაც ვ-მ თავისი ადგილი დატოვა და ს-ს შემდეგ დამკვიდრდა (რაც მალეა, დაფარვა, დაკლვა, დაკრვა, დაფლვა, დაქშვა და მსგავსი ფორმების ანალოგიით უნდა მომხდარიყო<sup>1</sup>), იგი წშირად უმარცვლო უ-ს სახით გვევლინება: შესულა მ. 10, 23 C (=შესლვაა); მოსულად არს: მ. 9, 11 C (=მოსლვად); შესულად მ. 10, 25 C; სინ. 77, 33; მოსულაა სინ. 33, 14; მოსულისაა იქვე, 40, 24; გამოსულასა იქვე, 131, 8; შესულასა იქვე, 132, 3<sup>2</sup>.

ისეთი ტიპის ავიან ზმნებს, როგორცაა დაკლვა, დაკრვა, დაფლვა და სხვა, რომელთაც დღეს ვინი გადასმული აქვთ (დაკვლა, დაკვრა, დაფვლა), იველ ქაბთულში ვ თავის კანონიერ ადგილზე ჰქონდა და არ გადაესმებოდა:

უნდა მოკლვაა მისი: მ. 6, 19; ჰეროდე გეძიებს შენ მოკლვად: ლ. 13, 31; ვითარცა არს ჩუეულემა ჰურიათა და ფლვასა: ი. 19, 40; შიბრძანე... და ფლვად მამისა ჩემისა: მ. 8, 21; ლ. 9, 59; ვერცა ჭაჭვთა ვერღარაიან უძლის შეკრვად მისა: მ. 5, 3 C. მაგრამ ძველ ქართულში ძალზე იშვიათად გვხვდება უკვე ვინის გადასმა. ამ შემთხვევაშიც (როგორც შესულა ფუტეში) ვინი უმარცვლო უ-დ არის გადაქცეული: ჰრქუა მკულელსა მას: ქრისტეფ. 199, 3 B (A-ს ეს ადგილი არ მოეპოვება).

ვ გადასმულია აგრეთვე ცნობილ თავყანის-ცემა — თავყანის-ცემა კომპოზიტში. ყ-ს შემდგომად დამკვიდრების გამო იგი უმარცვლო უ-დ არის გადაქცეული — თავყანის-ცემა: ჩუენ თავყანის-ცესცემთ, თქუენ თავყანის-ს-ცემთ: ი. 4, 22 E; რომელნი... თავყანის-ს-ცე-მედ: მ. 12, 40 C; თავყანის-ს-ცემდა მას და ეტყოდა: მ. 8, 2; თავყანის-ს-ცა მას: ი. 9, 38; თავყანის-ე-ც მამასა შენსა: მ. 6, 6 C; მაშინ თავყანის-ც-ცე. მკულრეთით აღდგომილსა მას: სინ. 172, 30; უკუეთუ... თავყანის-მ-ცე მე: მ. 4, 9; ყოვლისაგან დაბადებულისა თავყანის-ი-ცემების: სინ. 148, 6; პირველ ჭუარისა ეშმაკი თავყანის-ი-ცემებოდა: იქვე, 234, 2; თავყანის-ცემაა მ. 6, 5 C; თავყანის-მ-ცემელნი, თავყანის-ს-ა-ცემელთა ი. 4, 23.

მაგრამ მოპოვება უფრო ძველი, უმეტათეზისო ფორმებიც, მაგალითად: ვინ აქა შინა თავყანის-ხ-ცეს<sup>3</sup>: ბოლნ. წარწ.; ცთომით თავყანის-ს-ცემდენ კაცნი: სინ. 91, 33; თავყანის-ცემაა სინ. 98, 21; აღკლა მთად თავყანის-ცემა: მ. 6, 46 C; შენდა მიმართ თავყანის-მ-ცემელნი<sup>4</sup> შეიწყალენ: ბოლნ. წარწ.; გუექმნა ჩუენ თავყანის-ს-ა-ცემელ: სინ. 91, 32; თავყანის(ს)-ს-ა-ცემელად დედათა: თემესტიას წარწ.

ბოლოს, არის გარდამავალი საფეხურის მაჩვენებელი ფორმები, რომლებ-

<sup>1</sup> ა. შანიძე, სინური მრავალთავი 864 წლისა, გვ. 311.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> = თავყანის-ხ-ცეს. <sup>4</sup> = თავყანის-მ-ცემელნი.

შიც ვ გადასმულია და უ-ს შემდგომად უმარცვლო უ-დ არის ქცეული (როგორც ზემოთ ვნახეთ), მაგრამ ამავე დროს იგი თავის ძველ ადგილასაც დგას:

უკუთუთ თ ა ე ყ უ ა ნ ი ს-მ ც ე შენ ჩემ წინაშე: ლ. 4, 7 E; უფალსა ღმერთსა შენსა თ ა ე ყ უ ა ნ ი ს-ს ც ე: ლ. 4, 8 E; სახლსა ჩემსა სახლ თ ა ე ყ უ ა ნ ი ს-ს ა ც ე მ ე ლ ეწოდოს: მ. 21, 13 C; მრ. 11, 17 C.

ფ

ზვირად არის გადასმული უმარცვლო უ-ც. ეს გადასმა პროგრესულიცაა და რეგრესულიც, გვხვდება თითქმის თანაბრად. მაგალითები:

ე ქ უ ს უ ნ ი ღღენი არიან: ლ. 13, 14 D. აქ უ გადასმულია ს-ს შემდეგ, მაგრამ თავის კანონიერ ადგილასაც არის დარჩენილი (გარდამავალი სახეობა). ამგვარი შემთხვევები სხვაც მოიპოვება.

ნ ე ს უ ტ ს ა დეციით თავსა თთუეთასა. ახლსა ნ ე ს უ ტ ს ა, კეთილად სასწაულოვანსა ღღესასწაულისა ჩუენისასა: უდაბნ. 51 va; ნ ე ს უ ტ ს ა კმა-უმალღმსსა: იქვე; ჩუენ, ვითარცა ყრმანი,... გისტვნეველით ნ ე ს უ ტ ი თ ა სულიერითა: იქვე, 56 vb; ვითარცა ოზრასა ნ ე ს უ ტ ი ს ა ს ა, აღამალღებდა კმასა თვსსა: იქვე, 56 rb. მაგრამ იქვე იკითხება უმეტათეზისო ფორმებიც: ნ ე ს ტ ვ ს ა უდაბნ. 56 vb; ნ ე ს ტ ვ თ ა იქვე, 57 ra. სხვაგანაც, რასაკვირველია, ჩვეულებრივია გადაუსმელი მაგალითები: პავლე, რომელი იყო ნ ე ს ტ ვ კვლე-სითაჲ: სინ. 226, 23; ნ ე ს ტ უ მ ა ნ ქადაგა ძლევაჲ იგი მისი: ისტ. ქრ. II, 40, 28; ნ ე ს ტ ვ თ ა დილითა: მ. 24, 31 C; კმითა ნ ე ს ტ ვ ს ა ა თ ა: სინ. 265, 10; მისგან დაიყვნეს ნ ე ს ტ უ ნ ი საყნოსელთა მისთანი: კიმ. I, 292, 29; მ ე ნ ე ს ტ უ ე უძე. რედ. 53, 19.

ჩვეულებრივ გვაქვს პ ე ე შ ი (ლიმ. 70, 1), მაგრამ არის გადასმული ფორმა პ ე შ უ-იც; აღიღო პ ე შ ვ თ ა თვისითა იფქლი: კიმ. I, 274, 13 u. მეორე (N) ხელნაწერში ვ დაშლილია: პ ე შ უ ი თ ა.

ა ღ ი ფ ხ უ ე რ ამიერ და შთავედ ზღუად: მ. 21, 21 C. D-ში უ წინ არის გადმოსმული, მაგრამ თავის ძველ ადგილზეც იმყოფება: ა ღ ი ფ უ ხ უ ე რ (გარდამავალი სახეობა).

ბ

ღიდნი მარხვანი გარდავლნის მცირედითა კალნაბითა უ მ მ გ ვ რ ი თ ა: ხანძთ. (აგ. ძეგ.) 267, 9. რა თქმა უნდა, ა გ ბ ო ბ ს, შ ე ა გ ბ ო ფორმების მიხედვით უნდა გვქონდეს მ გ ბ ა რ ი და უ მ გ ბ (ვ) ა რ ი, მაგრამ მგზ. კომპლექსი არცთუ უფრო ადვილად გამოსათქმელი ჩვეუფითაა შეცვლილი, ზ გადასმულია წინ (მზგ).

ღ

გვაქვს ფუძე ყუდ-ნ, რომლისაგან იწარმოება მრავალი ფორმა: ქართა შეპ-რისხნა და და ა ა ყ უ დ ნ ა: სინ. 50, 10; ღლევანი იგი აღტეხილნი უშჭულოებისანი და ა ა ყ უ დ ნ ე ს: იქვე, 218, 14; და ა ყ უ დ ნ ა ზღუაჲ იგი: თუალთ.



48, 18; სალმობაჲ იგი შობისაჲ მის დასცხრის და შშობელი იგი დაყუდნი ს: სინ. 105, 28; მოსლვასა სულისა წმიდისასა ღელვანიცა დაყუდნეს: ჰილ-ეტრ. 33 v; განეშორე მისგან, რაათა დაყუდნეს: იობ 14, 6; მაშინ დაყუდნენ წყალნი მათნი და მდინარენი მათნი: ეზექ. 32, 14; დააყუდნებდა სამსახურებელთა მათ კერპთასა: კიმ. I, 188, 27. მაგრამ მოიბოვება აგრეთვე ღ-გადასმული სახეობაც — ყღუ-წ: რაათამცა დააყუდუნა იგინი ლოცვათა მათთაგან და წესისა სულიერისაგან: ისტ. ქრ. II, 96, 6 B (დააყუდნა C); დამაყდუნებელი კიმ. I, 189, 35; საკ. წიგ. II, 50, 4; დაუყდუნებელად ისტ. ქრ. II, 96, 31.

„კურდღლის“ ძველი ქართული სახელია ყურგდელი (უძვ. რედ. 152, 22 A; ფს. 103, 18 A). ამ უკანასკნელ მაგალითში ხელნაწერის ღგ ღდ-დ ყოფილა გადასწორებული სხვა ხელით<sup>1</sup>). აქედან უნდა მომდინარეობდეს ძველ ქართულში უფრო გავრცელებული ყურგდელი (ფს. 103, 18 DF; ლევ. 11, 5; უძვ. რედ. 105, 34). მამასადამე, აქ უნდა გვქონდეს ღ-ს რეგრესული მეტათეზისი.

ს

არცა ფსირიდი ერთი მისცა მათ: ეესტ. (აგ. ძეგ.) 33, 29; დაღვა (ოქროჲ) ფსჯრიდითა ეკლესიისა სარკუმელსა: ნოველ. 6, 10, 4.

მაგრამ გვაქვს (უფრო მეტად) გადაუსმელი ფორმები: შუდი სფჯრდი: მ. 15, 37 E; მრ. 8, 8 E; რაოდენი სფჯრიდი აღიღეთ: მ. 16, 10 E; მრ. 9, 20 E; ნოველ. 11, 14, 1; სფირიდი ლიმ. 87, 33; ნოველ. 11, 10, 2; სფურიდი მ. 15, 37 CD. შღრ. ბერძნ. σφαιρ, σφεις.

შ

ძველ ქართულში ჩვეულებრივია ფორმა პიტიაშში შუშ. (აგ. ძეგ.) 11, 6; 12, 9; 14, 20; 19, 7; 20, 19; 21, 6; 22, 11; 24, 6; ისტ. ქრ. II, 105, 20). მაგრამ ამის გვერდით გვაქვს შ-გადმოსმული მაგალითებიც: პიტიაშხი: შუშ. (აგ. ძეგ.) 11, 6 A; პიტიაშხმან: იქვე, 12, 9 A; პიტიაშხისა: იქვე, 13, 14 D. შესაძლებელია, ამ გადასმის მიზეზი ის გარემოება იყოს, რომ ხშ კომპლექსი უჩვეულოა ძველი ქართულისათვის (შღრ. კშირი, დაჰქშა), მაგრამ სრულიად ბუნებრივია შხ (შხამი, ფეშხუენი). თუ სხვა შემთხვევებში ენა მაინც ითმენს მისთვის უჩვეულო ხშ კომპლექსს და გვაქვს პიტიაშში, ეს, ალბათ, ამ სიტყვის უცხო წარმოშობის ბრალია, საკუთარ ქართულ სიტყვებში ხშ არსად გვხვდება.

ჰ

ხშირია ზაეს გადასმის შემთხვევები. ამას სხვადასხვა მიზეზი იწვევს. ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ ძველად ზოგი სახელის თავში ჰ გვექონდა (ხან-მეტი და) ჰაემეტი კილოს წიაღში ეს კარგად ეხმაურებოდა ჰმნების (განსაკუთ-

<sup>1</sup> ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები, გამოსცა მზ. შანიძემ, 1960, გვ. 281, გაცემცემლის შენიშვნა.

რებით ხმოვნით დაწყებული ზმნების) პრეფიქსებს. მაგრამ ჰაემეტობის შემდეგ, როცა ხმოვნების წინ პრეფიქსული ზეა გადავარდა (ჰეტყოლა—ეტყოლა, ჰუთნრა—უთნრა, ჰიყო—იყო, დაჰაკუეთა—დააკუეთა, დაჰობლდი—დაობლდი), სახელებშიც შეერყა მას საფუძველი: ან აჰაც სულ გაქრა, ან გადაისვა, რომ სიტყვის დასაწყისი ხმოვნის წინ აღარ აღმოჩენილიყო. შეიძლება ამით აიხსნებოდეს ზაეს პროგრესული გადასმა შემდეგ სიტყვებში:

აჰერსა ბალ. 153, 24 BC; აჰერნი ბალ. 153, 23 BC; აჰერთაგან სჯ. წიგ. I, 37, 20 (=ჰერსა, ჰერნი, ჰერთაგან).

სულ-აჰმოა იყო ხე იგი: მოქც. (აგ. ძეგ.) 86, 15 ბ (=სულ-ჰამოა).

იყო იგი აჰსაკითა ვითარ ათორმეტის წლის: ისტ. ქრ. II, 75, 36 (=ჰაკითა).

ოდეს-იგი მეფობდა ეჰროდე: მოქც. (აგ. ძეგ.) 126, 13 (=ჰეროდე).

გულისხმა-უყო მათ, ვითარ პირველსა მას კაცსა ურიჰასა მორწმუნეს: ისტ. ქრ. II, 86, 18 (=ჰურიასა. აქ მეტათეზისი დისტანციურია).

არსებითად ასეთივეა მეორე სუბიექტური პრეფიქსის გადასმა ო-ს წინა პოზიციიდან რთული ზმნის მეორე შემადგენელი ნაწილის წინ: უკუეთუ გაქუნდეს სარწმუნობაჲ და არა შეორგულდე თ: მ. 21, 21 M (=შეპორგულდეთ. ჰაემეტურად სწორედ ასე უნდა ყოფილიყო. მეტათეზისი აჰაც დისტანციურია).

ორ დანარჩენ შემთხვევაში სუბიექტური და ობიექტური ნიშნები გადასმულია, რომ ო-ს წინა პოზიციას აერიდოს:

რამეთუ მირჰბიოდე, ვითარცა-იგი პაელე ქალაქითი ქალაქად: სას. პ. 124, 110<sup>1</sup>; მრავალთა განვრჰყუნილი<sup>2</sup>: პარხ. 770 b. რა თქმა უნდა, ჩვეულებრივ გვაქვს მიჰრბიოდე (სას. პ. 178, 23), განჰრყუნიან (ექუსთ. 83, 12), განჰრყუნიდა (Sin. 11, 256, 14), განჰრყუნიდეს (წარტყ. 23, 28). შევნიშნავ ბოლოს, რომ ზ-ს გადასმა ასეთ შემთხვევაში მის გადაარჩენას უზრუნველყოფს, რ-ს წინა პოზიციაში კი იგი არცთუ იშვიათად იკარგება. მაგალითად იგივე ზმნა გამოგვადგება: განრყუნიდა კიმ. I, 305, 6; ფს. 77, 38 C. აი კიდევ სხვანიც: წარლუნოდა მოქც. (აგ. ძეგ.) 139, 10 ბ; განრისხნებით სინ. 150, 1; რქუა იქვე, 147, 17; 149, 11; ვრწამ, რწამს იქვე, 147, 25; რწმენა იქვე, 149, 22; შერთო (თავი თვისი კრებულსა) იქვე, 121, 12. ასეთ შემთხვევაში ზ-ს გადასმა აუტანელი პოზიციიდან ხელსაყრელ გარემოცვაში სრულიად ბუნებრივი მოვლენაა.

ბ. დისტანციური

რ

წარეც... ეფესოს და ზრჰინას: თარგმ. გამოცხ. 1, 11 C. AB-ში გვაქვს უმეტათეზისო ზმირნას. შდრ. xel ελε Σμάρπαι.

<sup>1</sup> ა. შანიძე, პრეფიქსები, გვ. 120.  
<sup>2</sup> განვრჰყუნილი ხ.

3.

ვ ბ რ ძ ო ლ ა-ვ ე ყ ო მათ თანა მახვლითა პირისა ჩემისაათა: თარგმ. გამოცხ. 2. 16 B. ვ გადმოსმულია ამ რთული ზმნის თავში მარტივი ზმნების ანალოგიით, რომელთაც S<sub>1</sub> (ზმნისწინის შემდეგ) თავში აქვთ ყოველთვის (ვპბრძოლი, ვებრძოლი, ვებრძოლო).

რავაჲს განარცევე გული ჩემი: ფს. 118, 32 B. სხვა ხელნაწერებში, რა თქმა უნდა, არის განავრცე.

ფერკნი მისნი არა დაივლტნეს: ევსტ. (აგ. ძეგ.) 40, 8 ABC... უნდა იყოს დაილტვნეს, როგორც არის სხვა ხელნაწერებში და საერთოდ ძველ ქართულში. შესაძლებელია, ამ გადასმას ხელს უწყობდეს ივლტის, ივლტოდა, ივლტოდეს (ხშირად ხმარებულ) ფორმათა ასოციაცია.

ფ

✓ უფრო ხშირია უმარცვლო უ-ს გადასმის შემთხვევები. ✓

ცულად მიმოდევალნ და ეფუეშუებინ: სინ. 104, 17; და ნუ ამიერთ-გან შესულებულნი და მიმოხილვით და რორინებით ეფუეშუებოლით ჟამსა მას მარხვისასა: იქვე, 110, 7. აქ, როგორც ვხედავთ, უ გადმოსმულია და ფ-ს შემდგომად და მკვიდრებული, თუმცა იგი თავის კანონიერ ადგილზე დაცვას (გარდამავალი სახეობა). შდრ. გადაუსმელი ფორმები: მიმოეფუებინ პარხ. 1137; ეეფუებოლით უდაბნ. 56 რბ.

და ჰყვანდა მკედარი, ვითარცა ქიშუა ზღუისაჲ/ისტ. ქრ. II, 90, 18 B (C: ქვშაჲ). აქაც, როგორც წინა შემთხვევაში, მოიპოვება ისეთი მაგალითი, როცა უ ორივე (ახალ და ძველ) ადგილას გვხვდება: ქვიშუასა შეერთვის: Sin. 11, 350 v, 6-5. უ აქ უმარცვლო უ-ს გადმოსცემს. ამიტომ თვით ხელნაწერის ჩვეულებრივი ორთოგრაფიის მიხედვით გვექნებოდა ქუიშუასა.

აღყვენ დაწუნი მათნი: გალობ. (ფს.) 4, 14. მაგრამ E ხელნაწერში იკითხება დუაწნი (=ღუაწნი), სადაც უ გადმოსმულია (თუ აქ რაიმე უბრალო ლაფსუსი არაა).

ლიდებამ ჩემი განმძუარცა ჩემგან: იობ 19, 9; განმძუარცა სამოსელი ჩემი: იობ 30, 13; განმძუარცა თქუენგან საფარველი მისი: წარტყ. 34, 26; განიზუარცა მან სამოსელი თვისი: აბო (აგ. ძეგ.) 67, 9 C (იბ. აგრეთვე: Sin. 11, 298 v, 6 ქვ.); რაჲთა განვიძუარცო შიში კორცთა ამათ ჩემთაჲ: აბო (აგ. ძეგ.) 68, 8 E.

მაგრამ ამ ზმნაშიც გვაქვს შემთხვევები, როცა გადასმული უ აგრეთვე თავის ძველ ადგილზეც არის: განვიძუარცუა სამოსელი თვისი: კიმ. I, 200, 7; განიძუარცუეთ ხატი სპარსთაჲ: საე. წიგ. II, 100, 4; რაჲთამცა განვიძუარცუეთ ჩუენგან ძუელი იგი კაცი: Sin. 35, 169 რბ, 12.

რთული მეტათეზისი გვაქვს ინჩაქუ-იქუანჩ ფორმაში: ჩემსა ინჩაქუსა იღვა მარგალიტი: ბალ. 58, 13 ლ; თუ არს ჩემსა ინჩაქუსა მარგალიტი: ბალ. 59, 4 ლ; არს იქუანჩსა შინა ჩემსა მარგალიტი: ბალ. 58, 13 C. მაქუს იქუანჩსა ჩემსა მარგალიტი: ბალ. 58, 27 C.

გადასმულია ზაე (S<sup>a</sup>) რთულ ზმნაში:

რაემს ჰ ლ ა ლ ა ტ - ყ ო მისსა მიმართ: სწავ. 145, 18 C (=ლაღატ-ჰყო). დაეძნეთ ბოლოს, რომ აქაც მოგვეპოვება გარდამავალი ფორმა, როცა ჰ გად-მოსმულიც არის რთული ზმნის პირველი შემადგენელი ნაწილის (სახელადი ნაწილის) თავშიც, მაგრამ თავის ძველ კანონიერ ადგილასაც არის დატოვებული: ჰ ლ ა ლ ა ლ - ჰ ყ ო : იქვე (სწავ. 145, 18) A. შდრ. ვბრძოლა-ვეყო, ეფუფეშუებოდით, ქუიშუასა, განვიძუარცუეთ.

## II. საერთიერთო მატათაზისი

როგორც აღნიშნული გვექონდა ზემოთ, საერთიერთო მეტათეზისი არ შეიძლება იყოს კონტაქტური, იგი მხოლოდ დისტანციურია (უშუალოდ მოსაზღვრე ზგერათაგან მხოლოდ ერთი იცვლის ადგილს).

### რ—ლ

მისა შემდგომად მეფობდა დიდი ვახტანგ გოლგასარი: მოქც. (აგ. ძეგ.) 93, 2 C. 4-ში. გ ო რ გ ა ს ა ლ ი გვაქვს, როგორც მოსალოდნელი იყო.

ნერსე, ძმ აღარნესე კ უ ლ ო პ ა რ ა ტ ი ს ა მ : აბო: Sin. 11, 289 v—290 r (=აღწ. 29, 23; აგ. ძეგ. 55, 28 C). აბოს მარტივობის ამავე ადგილას სხვა ხელნაწერებში კ უ რ ა პ ა ლ ა ტ ი გვაქვს; კ უ რ ა პ ა ლ ა ტ ი გვაქვს აგრეთვე „ქართლის მოქცევისა“ (აგ. ძეგ. 97, 13, 15 C) და „ხანძთელის ცხოვრებაშიც“ (იქვე, 272, 16, 18; 273, 9; 274, 21, 28 და სხვ.). არის პარალელური (და ამოსავალი) ფორმაც — კ უ რ ო პ ა ლ ა ტ ი. ეს არის ბიზანტიური სამოხელეო ტერმინი, რომელშიც იქ . ო გვაქვს და არა ა. შდრ. curopalates. ო—ა შეიძლება ასიმილაციის შედეგი იყოს.

მ წ ლ ა ფ რ ფრიალ (არს) კმა: სოფ. 1, 14 ლაგ; მ წ ლ ა ფ რ გარდამოიღეს მიერ ჯუარით; ევსტ. (აგ. ძეგ.) 41, 16 A; მ წ ლ ა ფ რ წარიღეთ გუამი ჩემი მეხეთას: იქვე, 45, 4 A; დაუტევე იგი მ წ ლ ა ფ რ : სწავ. 197, 31 C; ნუ მ წ ლ ა ფ რ განმიყვანებ მე: სწავ. 202, 8 C; მიავლინე ანგელოზი შენი მ წ ლ ა ფ რ : აპოკრ. 22, 32. ძველი ქართულისათვის ჩვეულებრივია უმეტათეზისო მ წ რ ა ფ ლ (მრ. 6, 25; ლ. 1, 39; 2, 16; 7, 4; საკ. წიგ. II, 61, 10) და მ ს წ რ ა ფ ლ (შუშ. 16, 9; 19, 1; აპოკრ. 22, 32 E; სწავ. 34, 1), რომელშიც წ-ის წინ უკვე განვითარებულია ს. გვაქვს ამნაირი სანიანი, მაგრამ რ-ლ გადასმული ფორმაც: მ ს წ ლ ა ფ რ მოსთხო შეურაცხებისა მისთვის: სწავ. 34, 1 C.

თვით მ წ რ ა ფ ლ წ რ ა ფ ფუძისაგან მ—რ აფიქსებით ნაწარმოები სიტყვაა, როგორც, მაგალითად: მ-კუეთ-რ, მ-გზავ-რ, მ-კედ-რ, მ-წუხ-რ, მ-ძღავ-რ<sup>1</sup>. რაეან ფუძეებში რ-ს დისიმილაცია გვექნება: მ-კვრცხ-ლ. მ წ რ ა ფ ლ ფორმაც ასეთია: მ-წრაფ-რ—მწრაფ-ლ, ხოლო გადასმის შემდეგ — მ წ ლ ა ფ რ.

<sup>1</sup> ბ. ნიქობაძეა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, 1942. გვ. 75—76.

ლ—რ

მოიგე კორცითა მით... უძრულითა: კიმ. I, 103, 8 H; რაოდენთა ჰქონდეს უძრულნი: ლ. 4, 40 D<sup>1</sup>; უძრულეზაა ჰილ-ეტრ. 181, v, 14; უძრულეზანი კაცთანი: იქვე, 40 v, 21; განჰქურნებდა... ყოველთა უძრულეზათა ერისათა: მ. 4, 23 D<sup>2</sup>; მოუძრულდენ ენანი მათნი: ფს. 63, 9 B.

ცარიელ არიან საშუებელთაგან გემოვანთა: სწავ. 197, 15 C; მე ცარიელ ვარ: სწავ. 202, 29 C; რაათა არა ცარიელად წარმოუდგეს უფალსა თუსსა: ზედაზნ. (აგ. ძეგ.) 211, 26 B; ცარიელად განტევეზაა გლაზაკისა: სწავ. 262, 21 C; დააცარიელნა საფასეთა მათთაგან: გობრ. (აგ. ძეგ.) 176, 14 ADG. ჩვეულებრივია, რა თქმა უნდა, ცალ-ისაგან იერ სუფიქსით ნაწარმოები ცალიერი, დააცალიერა და მისთანანი.

ძრიელ ხარ შენ: ფს. 88, 9; იყო შიმშილი ძრიელი: ლ. 15, 14 პარ.; ღმერთო ძრიელო: ფს. 41, 3 B; შეიბ მახვლი... ძრიელო: ფს. 44, 4 B; ძრიელნი წერენ სიმართლესა: იგავ. 8, 15 პარ.; ძრიელნი ...ამაღლდეს: ფს. 46, 10 B; მიკსნა მე მტერთა ჩემთაგან ძრიელთა: ფს. 17, 18 BD; მესმა... კმაჲ ქუხილთა ძრიელთაჲ: გამოცხ. 19, 6 B; ძრიელეზისა 2 შჯ. 8, 12 პარ.; ცხოველ არს ძრიელეზითა: კიმ. I, 91, 28 H; შეძრწუნდეს მათნი ძრიელეზითა მისითა: ფს. 45, 4 B; განგაძრიელე ესაია 42, 6 პარ.; რომლითა კუალად განვძრიელდი: აბო (აგ. ძეგ.) 47, 24 C; განძრიელდი დაბ. 32, 28 პარ.; განძრიელდეს ჩემსა უფროას: ფს. 17, 18 B; სიტყუანი ურჩულოთანი განძრიელდეს: ფს. 64, 4 B; მეყო მე უფალი განმძრიელეზელ ჩემდა: ფს. 17, 19 B; განმძრიელეზელი ჩემი შენ ხარ: ფს. 70, 3 B. რასაკვირველია, ამოსავალია ძალ-ისაგან იერ სუფიქსით ნაწარმოები ძლიერ (ძალ-იერ—ძლიერ) და ამაზე აღმოცენებული სხვა ფორმები.

ნ—ლ

ესევეითართა ძლენოვანთა აწუეეს: ბალ. 68, 7 BC; ...ძლენოვანთა: იქვე D. საწყისი ფორმაჲ, იგულისხმება, ძნელოვანთა, რომელიც ნაწარმოებია ძნელ ფუძისაგან ოვან სუფიქსის საშუალებით.

ნ—ბ

რათა შევაყენოთ სული ბონოსისი მას შინა: წარტყ. 8, 12 J. მ-ში გვაქვს ამოსავალი ბონოსისი. ზემოთაც ორივე ხელნაწერში ეს ფუძე იკითხება: რომელსა ერქუა ბონოსის: წარტყ. 8, 5.

მ—რ

რომელნიცა განგურიმნეს ისრითა მათითა: თარგმ. გამოცხ. 6, 2 B. AC-ში გვაქვს ამოსავალი განგუმირნეს; უბრძანა ორთა ლახუროსანთა

<sup>1</sup> მ. ძიძიშვილი, ფონეტიკური პროცესები, გვ. 129.

<sup>2</sup> იქვე.

გ უ რ ე მ ა ე, ერთსა გულსა და ერთსა გუერდთა: ქრისტინ. 195, 33. ექვი არაა, აქ გულსა და გვერდში გმერაზეა (გუმერაზე) ლაპარაკი. მართლაც, იქვე ერთი სტრიქონის შემდეგ სწორი ფორმა იკითხება: ვითარცა უ გ უ შ ი რ ე ს, აღმო-  
უტევა სული თვისი: ქრისტინ. 195, 34. დაუშმატებ ერთ ცნობილ მაგალითსაც: ეგულეზობდა განგურემამ თავისა თვისისამ: მოც. 16, 27 4D<sup>1</sup>.

მ—ლ

ივლტოდეს წმიდანი ესე: მაქსილიმიანე, ძმ პიტიახშისამ, და იამბ-  
ლიქე: ისტ. ქრ. II, 114, 15. სწორი ფორმა აქ და სხვაგან არის მაქსიმი-  
ლიანე.

გ—ბ

ნეტარი ბოგრონ: გობრ. (აგ. ძეგ.) 177, 1 A; ამას ეწოდა... ბოგ-  
რონ: იქვე, 177, 4 ABE; დაესწავა სიტყუად ბოგრონ: იქვე, 177, 5 ABE;  
პრქუა მას წმიდამან ბოგრონი: იქვე, 182, 25 A; ბრძანა... მოკლეაა წმიდი-  
სა ბოგრონისი: იქვე, 182, 26 A. რა თქმა უნდა, ამ მოკმედი პირის სწორი  
სახელი არის გობრონ და ბოგრონ მეტათეზისის შედეგადაა მი-  
ღებული.

პ—კ

რამსა როსკიპებრ ითრიეს და იგი ჩუენი: კურთხ. 62, 10 J. მაგრამ:  
...როსკიპებრ T. შდრ. აგრეთვე: ჰბასრობდეს მათ როსკიკნი კიცხე-  
ვით და უსახურ იქმნნეს, ესერა ღედანი წმიდანი შიშით ტირან მათ წინაშე: სინ.  
259, 13<sup>2</sup>.



ბოლოს, გვსურს აქ შევეხოთ მეტათეზისის ერთ განსაკუთრებულ შემთხვე-  
ვას, რომელსაც მხოლოდ ძველ ქართულში აქვს ადგილი და ახალ ქართულში არ  
გვხვდება. საქმე ეხება ჰ-ს გადასმას, როცა ის წარმოდგენილია მეორე სუბი-  
ექტური ან მესამე ობიექტური პირის პრეფიქსად<sup>1</sup> (როცა ამ პირების კომბი-  
ნაცია გვაქვს, მაშინ, ცხადია, ის საზიარო ნიშანია მათთვის). მაგრამ აქ უბ-  
რალო გადასმასთან არა გვაქვს საქმე. გადასმის შემდეგ ზაე იჭერს პოზიციას  
კბილისმიერი და წინა ნუნისმიერი ბგერების (მეორე და მესამე საშეუღების)  
წინ (ღ, ტ, თ; ძ, წ, ც თანხმოვნებთან) და IX საუკუნეში ჩამოყალიბებული  
მყარი წესის მიხედვით იქცევა ს-ლ (ასიმილაცია). მაშასადამე, აქ ორი ფონეტი-

<sup>1</sup> მ. ძიძიშვილი, ფონეტიკური პროცესები, გვ. 129.  
<sup>2</sup> შდრ. მ. ძიძიშვილი (ფონ. პროც. გვ. 130), რომელიც ფიქრობს, რომ როსკიპ-  
როსკიპი, მაგრამ ეს არ უნდა იყოს სწორი. შდრ. სპარს. ruspik: შხ. ანდრონიკაშვილი,  
ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, 1966, გვ. 186, 187; 206, 211, 366.  
<sup>3</sup> ამ მოვლენას პირველად ყურადღება მიაქცია ა. შანიძემ (სუბიექტური პრეფიქსი  
მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, 1920, გვ. 120—121).  
გაკვრით ჩვენც ვეხებოდით მას ერთი ძველი ბელნაწერის ენაზე მსჯელობისას (ი. იმნაიშვი-  
ლი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. II, 1963, გვ. 199—200).

კური მოვლენაა ერთმანეთზე გადახლართული: ჯერ გადასმა და მერმე, ახალ ფონეტიკური გარემოს შესაფერისად, ასიმილაცია;

ამის მაგალითებია (უკონტექსტოდ):

ადამსდაბლდი	(კიმ. I, 12, 37),
განმსდიდრდი	(ასურ. 187 ბ, 18 D),
ჰმსთაერობჷ	(პარხ. 1156),
აღმსტკმობდეს	პირთა (პარხ. 889 a),
აღმსცირდი	(Sin. 35, 131 v, 6 ქვ.),
მსძლავრობდეს	(ისტ. ქრესტ. II, 66, 15),
ჰმსწირობ	(დაბ. 17, 8 პარ.),
შთანსთქამნ	(იგავ. 23, 7 პარ.),
მორსწყვიდა	(მესუეტ. 58, 14).

რა იწვევს აქ გადასმას? ამაზე მართებული პასუხი რომ გავცეთ, საჭირო იქნება ვიცოდეთ, თუ რა ფონეტიკურ პირობებში ხდება ასეთი გადასმა, რა ვითარებაში ტოვებს ჰ თავის ადგილს და წინ გადადის. ეს ხდება მაშინ, როცა ზმნის ფუძის თავში ერთადაა წარმოდგენილი 2, 3 ან 4 თანხმოვანი, მაშასადამე, პირის ნიშნიანად თავს მოიყრიდა 3, 4 და 5 თანხმოვანი. ასეთ შემთხვევაში ჰ-ს წარმოთქმა ძნელია (ჰ ამ დროს უკვე საკმაოდ დასუსტებული ბგერაა), ხოლო მისი სრულიად უკუგდება არ შეიძლება, რადგანაც მას გარკვეული-მორფოლოგიური ფუნქცია აქვს დაკისრებული. ამიტომაც, რომ

ჰმდ	კომპლექსი იცვლება	მსდ-დ	(დაჰმდაბლდი — დამსდაბლდი),
ჰმთ	"	"	მსთ-დ (ჰმთაერობ — მსთაერობ),
ჰმტკმ	"	"	მსტკმ-დ (აღჰმტკმობდეს — აღმსტკმობდეს),
ჰმც	"	"	მსც-დ (აღჰმცირდი — აღმსცირდი),
ჰმძლ	"	"	მსძლ-დ (ჰმძლავრობდეს — მსძლავრობდეს),
ჰმწ	"	"	მსწ-დ (ჰმწირობ — მსწირობ),
ჰმთქ	"	"	მსთქ-დ (შთანსთქამნ — შთანსთქამნ),
ჰმწყ	"	"	მსწყ-დ (მორსწყვიდა — მორსწყვიდა).

ცხადი უნდა იყოს, რომ ჰ-ს პოზიცია ასეთ შემთხვევაში მძიმეა და ენა ცდილობს გადასმის საშუალებით გამოთქმა უფრო ადვილი გახადოს. გადასმა ჩვენს შემთხვევაში მარტივია, მუდამ კონტაქტურია: ჰ-მე მხოლოდ უშუალოდ მომდევნო ბგერის შემდეგ გადადის და ხ-დ იქცევა. თუ ყურადღებას მივუქცევთ იმ გარემოებასაც, რომ საწყის პოზიციაში ჰ ყველა შემთხვევაში სონორი მ, ნ, რ ბგერების წინ გვაქვს (ჰმძლ, ჰმთქ, ჰმწყ), უფრო სარწმუნო იქნება მისი გადასმის მიზეზის მიხედვით.

კიდევ რას უნდა შეეწყოს ხელი ასეთი გადასმისათვის? უეჭველია, იმ გარემოებას, რომ ჰ-ს ქცევა ხანად პრეფიქსებში ამ დროს (IX—X საუკუნეებში) ისე მძლავრად მოედო ენას, რომ მსგავსი (სდ, სთ, სტ, სც, სძ, სწ) კომპლექსების შექმნისადმი მიდრეკილება სრულიად ბუნებრივი იყო: ენაში წარამარა ისმოდა: დასდვა, მისდევს, სტირ, სტანჯავს, სთხოვა, სთნავს, სძინავს, შესძინა, სწამეპ, შესწირვიდა, დასცხრა, სცვიდა. ამ ფორმებთან გათანაბრებისადმი ლტოლვა ცხადი და გასაგები იყო. შესაძლებლობა კი იქვე იყო: ყველგან აღნიშნულ მ, ნ, რ, სონორებს უშუალოდ მოჰყვებოდა ერთ-ერთი ზემოთ ნაჩვენებ ექვსთა-

განი: მღ, მთ, მტ, მც, მძ, მწ, ნთ, რწ. ენა ასეთ შემთხვევაში ეძებს ამ ახალს, ჩვეულებრივად ქეულს, ძალზე მოხშირებულ კომპლექსებს.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ზმნების ფუძის საწყისი (პირველი) თანხმობიანი უმეტეს შემთხვევაში (თუ ყოველთვის არა) არაა ძირეული:

- დამსდაბლდი — მ-დაბ-ალ (ძირია დაბ),
- განმსდიდრდი — მ-დიდ-არ ( „ დიდ),
- ჰმსთავრობ — მ-თავ-არ ( „ თავ),
- მსძლავრობდეს — მ-ძლ-ავ-რო-ობ-დ-ეს („ ძალ)...

თავიკიდურ მ, ნ, რ, ბგერებს ჩვენი ძველები აღიქვამენ როგორც სიტყვის არა ძირეულ, ძირისათვის არა აუცილებელ ელემენტებს, ხოლო მათ მომდევნო ექვსთაგანს უყურებენ როგორც სიტყვის მუდმივ, განუყრელ ნაწილს. ესეც ხელს უწყობს მათთან ს-ს დამკვიდრებას.

იყო კიდევ ერთი გარემოება, რომელსაც ამ საკითხის განხილვისას ანგარიში უნდა გაეწიოს: მ-ს გადასმისა და ს-დ ქცევის შემდეგ პირის ნიშნის დაკარგვის საფრთხე მოხსნილი იყო.

ამრიგად, ამ საინტერესო მეტათეზისის ახსნისათვის საკმაო მიზეზები არსებობს. ამ ახსნით იგი ჩნდება IX საუკუნის ძეგლების ენაში და გავრცელებულია IX—X საუკუნეებში. ბუნებრივია, ის არ უნდა იყოს ხანშეტ და, მით უმეტეს, ჰაემეტ ძეგლებში. ეს უფრო თეორიული მოსაზრებაა. პრაქტიკულად ამ ძეგლების მასალებში არ აღმოჩნდა არც ერთი სათანადო შემთხვევა თუ მაგალითი, რომელშიც მოსალოდნელი იქნებოდა, თავი ეჩინა მას.

IX—X საუკუნეების ძეგლებში გვხვდება სათანადო მაგალითების 3 ტიპი:

ა) როცა ზმნის ფორმა ხელუხლებელია, მასში ადგილი არა აქვს გადასმას: ნუ ჰ მ ძ ლ ა ვ რ ო ბ დარდომილსა (იგავ. 22, 22 პარ.). ასეთ მაგალითებს ჩვენ C ასოთი აღვნიშნავთ.

ბ) გარდამავალი სახეობა, როცა მ თავის პირვანდელ ადგილზეც არის და გადასმულიც მოიპოვება ს-ს სახით: რაჲთა არა უმშჯავროდ ჰ მ ს ძ ლ ა ვ რ ო სულსა შენსა (სწავ. 115, 2). ასეთ მაგალითებს ჩვენ B ასოთი აღვნიშნავთ.

გ) როცა მ გადასმულია და ს-დ არის ქცეული (ამ ტიპის ჩვეულებრივი მეტათეზისი): და მ ს ძ ლ ა ვ რ ო ბ დ ე ს კაცთა და მიხუეჲდეს (Sin. 11, 143 v, 6). ასეთ მაგალითებს ჩვენ A ასოთი აღვნიშნავთ.

ამ სქემის მიხედვით ქვემოთ ჩვენ მოვიყვანთ სათანადო მაგალითებს ცალკე ფუძეების მიხედვით.

დ ა მ და ბ ლ ე ბ ა

მ—ღ

A

არა დ ა მ ს ლ ა ბ ლ დ ე ბ ი, არამედ ჰზუაობ და ჰმალლოვი (Sin. 35, 122 ra, 2 ქვ.); აწ მაუწყე, თუ ოდეს უფროას დ ა მ ს ლ ა ბ ლ დ ე ბ ი გონებითა — სიქაბუყესა ანუ სიბერესა (სწავ. 205, 5 C); არამედ დ ა მ ს ლ ა ბ ლ დ ი და აღგამაღლა ქრისტემან (სას. პ. 28, 31); დ ა მ ს ლ ა ბ ლ დ ი მამულისაგან სიმალლისა და დაჰგლაზაკენ მიუწლომელისაგან სიმდიდრისა (სას. პ. 84, 232); რომელი



ნეფსით თჳსით დამსდაბლდი ქსნად ჩუენდა (სას. პ. 410, 74); მეუფე<sup>მ</sup> ხარ მაღალი და დამსდაბლდი (კიმ. I, 12, 37).

### B

არა დაჰმსდაბლდე ბი, არა თავს-იდებ (Sin. 35, 455 a, 6 ქე); აწ მა-  
უწყე, თუ ოდეს დაჰმსდაბლდე ბი გონებითა — სიჰაბუეკსა ანუ სიბე-  
რესა (სწავ. 205, 5 A, = Sin. 36); დაჰმსდაბლდი, ქრისტე, მაღალთა  
შჯღომარეა ღმერთი (სას. პ. 218, 164); რომელსა გნებავს ყოველთა ცხორებაჲ  
დიდისაგან სიმდიდრისა, დაჰმსდაბლდი ჩუენთჳს უხუებითა წყალობი-  
საათა (აღწ. 156, 31); რავენცა დაჰმსდაბლდე ქუეყანასა, ეგოღენცა  
აჰმალღე ცათა შინა (სწავ. 169, 8).

### C

რასაკვირველია, არის აგრეთვე პირველადი, უმეტათეზისო, ამოსავალი  
ფორმები: დაჰმდაბლდე ბი (Sin. 35, 455 a 3 ქე; სწავ. 205, 5 B); დაჰ-  
მდაბლდი ვიღრე ჭოჭოხეთადმღე (ესაია 57, 9); დაჰმდაბლდე, (იქვე.  
ოშკი).

განმდიდრება

მ—ღ

### A

ესევეითართა მაღლთა მიერ განმსდიდრდი (ასურ. 187, 18 ბ D);  
აწვე სამე განმადღარ ხართ და აწვე განმსდიდრდით (1 კორ. 4, 8 ქუთ.);  
განმსდიდრდე (Sin 35, 188 v, 6); რაათა განმსდიდრდე და გან-  
მრავლდენ ნაყოფნი შენნი და საფასენი შენნი (ბალ. 81, 17 ა); დაგლაზაკენ,  
რაათა განმსდიდრდე (სწავ. 289, 15 A); რაათა თქუენ მისითა მით სი-  
გლაზაკითა განმსდიდრდეთ (2 კორ. 8, 9 ქუთ.).

### B

აწვე.სამე განჰმსდიდრდი სიმდიდრითა მით (ბალ. 167, 14 ა); ესე-  
ვეითართა მაღლთა მიერ განჰმსდიდრდი (ასურ. 187, 18 C); ილუაწე,  
რაათა განჰმსდიდრდე კეთილთაგან საქმეთა (სწავ. 10, 33 C); დაგლა-  
ზაკენ, რაათა განჰმსდიდრდე (სწავ. 289, 15 C); რაათა ცათა შინა განჰ-  
მსდიდრდე (პარხ. 1225).

### C

ოდეს განჰმდიდრდე (ბალ. 167, 16 ბ); რაათა განჰმდიდრ-  
დე კეთილთაგან საქმეთა (სწავ. 10, 33 B).

მთავრობა

მ—თ

B

რომელსა შენ დღეს ჰმსთავრობ (პარხ. 1156); რომელნი ჰმსთავრობდეს მას (სიბრძ. 10, 14 პარ.); შენ ჰმსთავრობდე მას (დაბ. 4, 7 პარ.).

C

რომელი<sup>1</sup> ჰმთავრობს წყალთა მრავალთა (ნაუმ 1, 12); რაჟამს-იგი არა ჰმთავრობდ ჩუენ ზედა (ესაია 63, 19).

გვაქვს ისეთი ფორმაც, რომელშიც სათანადო პრეფიქსი სულ არა ჩანს: რომელი მთავრობს წყალთა მრავალთა (ნაუმ 1, 12 ოშკი, პარ.). აქ მ არის დაკარგული. მ-ს წინ მ-ს დაკარგვის შემთხვევები სხვატ ბევრია ცნობილი<sup>1</sup>.

აღმტკმობა

მ—ტ

A

აღიკდიდეს საბურველსა თავთა მათთა და აღმსტკმობდეს პირთა მათთა (პარხ. 889 ა).

ზოგჯერ ამ ფორმაში თანხმოვნების თავმოყრის გამო (ჰმტკმ, მსტკმ) წინა მ იკარგება. ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, გადასმაზე ლაპარაკი ზედმეტია: უკუეთუ იყოს უნებელი რამე სიცილისაჲ, ნუ აღსტკმობ პირსა შენსა, კმა გეყავნ განდიმებადცა იძულებით (Sin. 35, 73 rb, 16—20).

აქ შევნიშნავეთ იმასაც, რომ ძველ ქართულში ჩვეულებრივია ამ ზმნის ანიანი ფორმები: აღამტკმობს, აღამტკმობდა, აღამტკმო და სხვანი. მაგრამ, როგორც ჩანს, ნულიანი საარვისო ქცევაც იხმარებოდა. ზემოთ მოყვანილ მაგალითებს გარდა შემიძლია დავასახელო<sup>1</sup> ამგვარი უანო ფორმა II ბრძანებითის მწკრივში ისევ პარხლის მრავალთაიდან: აღმტკმე პირი შენი და გამოყავ ენაჲ შენი (პარხ 903 ა).

აღმცირება

მ—ც

A

უკუეთუ წადნიერ იყო, რამთამცა არა აღმსცირდი ცხადად, განმრავლდეს პატივი შენი კაცთაგან (Sin 35, Va, 6 ქვ.).

ამ ფუძეზეც ჭერჭერობით ეს ერთადერთი მაგალითია ნაპოვნი.

მძლავრობა

მ—ძ

A

უფროჲს ხოლო ამცენ მათ, რომელნი მძლავრობენ გლაზაკთა და ქურციკთა და ობოლთა (მესუეტ. 45, 11); ქმნა უჭერობეჲჲ დიდი, რამეთუ

<sup>1</sup> მსახურებდე მათ (2 შქ. 8, 19 პარ.); შენ დამწყსო<sup>1</sup> ერი ჩემი ისრაელი (2 მეუ. 5, 2); მწყსიდე ერსა შენსა კურთხითა შენითა (მიქია 7, 14 პარ.); რამეთუ აშარტაენთა ღმერთი შემუსრავნ (ბოლნ. 55, 7, ვარიანტი); რომელი შემუსრავნ აშარტაენთა (ღმ. 11, 212, 28).

მსძლავრობდა და მოხუეკდა და სავსე იყო იგი უკეთურებითა (მესუეტ. 50, 12); და მსძლავრობდეს კაცთა და მიხუეკდეს სავაჰროსა სყიდასა მათსა და განვაჰრებასა (ისტ. ქრესტ. II, 66, 15); ნუთუ ვალი ჩემი მსძლავრობდეს სიკეთესა მისსა (პარხ. 774 a); ნუუჟუე ურჩულოთა მათ მსძლავრონ მას (პარხ. 706 a; = ეტ. III, 219, 4).

B

ჩამეთუ სიბრძნესა ვერ ჰმსძლავრობს ბოროტი (სიბრძ. 7, 30); ჰმსძლავრობდა მოსავთა ქრისტესთა (პარხ. 800 b); ჰმსძლავრობდეს კაცსა მას ლოთს ფრიალ (დაბ. 19, 9 ლავ.); ჩადთა არა უმჰჰავროდ ჰმსძლავრო სულსა შენსა ესევეითარი მძლავრობაჲ (სწავ. 115, 2).

C

ნუ ჰმძლავრობ დარდომილსა (იგავ. 22, 22 პარ.); ესე ჰმძლავრობდა ნათესავსა ჩუენსა (მოც. 7, 19); ჰმძლავრობდეს კაცსა მას ლოტს ფრიალ (დაბ. 19, 9 ოშკ.); დარდომილსა და გლახაკსა ჰმძლავრო (ეზეკ. 38, 16 პარ.); კაცსა მას ჰმძლავროს (ეზეკ. 18, 7.); და ჰმძლავროს და განყიდოს იგი (გამ. 21, 17); არა ვითარმცა გულის-თქუმისა საწერტელი ჰმძლავრონ მათსა მას შეუღლებასა (მრავ. 310, 3).

აქ არის ერთი ისეთი ფორმა, რომელშიც ჰ გადასმულია ჩვეულებრივი წესით, მაგრამ სანად შეცვლილი არაა: მძძლავრონ (გულანდ. 219, 4 A; = ათონ. ხელნ. 57). თუ აქ უბრალო კალმის ლაფსუსთან არა გვაქვს საქმე, მაშინ შეიძლება ეს მაგალითიც ამ პროცესის გარდამავალი საფეხურის მაჩვენებლად ჩავთვალოთ.

მწირობა

მ—წ

B

და მიგცე შენ და ნათესავსა შენსა შემდგომად შენსა ქუეყანაჲ ეგე, რომელსა შენ ჰმსწირობ (დაბ. 17, 8 პარ.).

სხვა მაგალითი ამ ფუძეზე არ შეგვხვედრია.

დანთქმა, შთანთქმა

ნ—თ

B

წინამძღუარნო ბრმანო, რომელნი დასწურავთ კურნაქსა და აქლემსა შთანსთქამთ (მ. 23, 24); ჩამეთუ ფარულად გუბრძევანან და დასთქმენ სულთა ჩუენთა (Sin. 35, 107 ra, 15); ვინ შთანსთქამნ თმასა (იგავ. 23, 7 პარ.); ყოველთა ცეცხლი შთანსთქმიდა (შატბ. 320 a); არცა ცეცხლი შთანსთქმიდა, და არცა სხუაჲ საშინელებაჲ რაჲ იყო (სწავ. 14, 28); მრავალთა ადგილთა სხუას იტყოდეს და შთანსთქმიდეს უფროასლა, რომელ მახლობელ იყვნეს წარმართნი (თუალთ. 42, 31).

მეორე მაგალითში (დასთქმენ) ფუძისეული ნ არა ჩანს<sup>1</sup>, ამიტომ ერთი შეხედვით პრეფიქსის გადასმაზე არ შეიძლება ლაპარაკი, მაგრამ ნამდვილად ნ აქ დაკარგული უნდა იყოს, რაც შეიძლებოდა მომხდარიყო როგორც მ-ს ხ-დ ქცევამდე, ისე ამის შემდეგაც. მართალია, ნ არა გვაქვს ბევრ სხვა შემთხვევაშიც [მაგალითად: ნუ და მთქამნ მე მორევი წყალთაჲ (ფს. 68, 16); მოვედ მე სიღრმესა ზღვსასა, და მოქცევამან და მთქა მე (ფს. 68, 3); ნუუკუე... ქუეყანამან და მთქნეს ჩუენ (ისტ. ქრესტ. II, 49, 3); და მოვიდეს და აღავსნეს ორნივე იგი ნაენი, ვიდრემდე და ითქმოდეს იგინი (ლ. 5, 7 D); და ე ი თ ქ მე სიღრმესა უფსკრულისასა (ისტ. ქრესტ. II, 19, 34; = ფს. 68, 3 BCE); ნაენი... ლელვათგან და ითქის (ისტ. ქრესტ. II, 10, 28); რაათა არა და ე ი თ ქ ა უკუნისამდე (იქვე, 9, 34); იონა შეინანა და გამოკდა ზღვსაგან, რაათა ეგრევე სახედ აღმოიყვანოს და ითქმული იგი ქალაქი (იქვე, 33, 20)], მაგრამ უფრო ხშირად იგი წარმოდგენილია: ხოლო ქრისტემან უბრძანა ქუეყანასა, და განელო და და ნ თ ქ ა ეშმაკი იგი (ეესტ. 170, 16); შთამნთქი მე (ხოვლიე კიმ. I, 142, 24); ჭერ-არს, მეფე, რაათა ზღუასა და ა ნ თ ქ ა ეგე (ისტ. ქრესტ. II, 60, 8); და უკუეთუ შენ სასოვებაჲ დამოჰკიდო ეშმაკსა, და ა ნ თ ქ ა ს შენ გეჰენისა ცეცხლისასა (სახისმეტყ. = ისტ. ქრესტ. I, 284, 26); და ბრძანა მეფემან, რაათა და ა ნ თ ქ ა ნ იგი ზღუასა (ისტ. ქრესტ. II, 60, 9); ადგილი იგი ქუე დაქდის ქუესკნელად, და შთა ი ნ თ ქ ნ ი ა ნ ნაენი იგი, რომელნი მუნ დაებნიან (სახისმეტყ. = ისტ. ქრესტ. I, 284, 26); უმჯობეს არს მისა... და ი ნ თ ქ ა ს იგი უფსკრულთა ზღვსათა (მ. 18, 6); შეეშინა და იწყო და ნ თ ქ მ ა დ (მ. 14, 30) და მრავალი სხვა.

ნ-ს გაუჩინარებას ამ ფუძეში შეიძლება, ერთი მხრივ, ხელს უწყობდეს თანხმოვნების თავმოყრა (ნთქ, ზოგჯერ: ნთქმ), მეორე მხრივ, ნ-ს უქონლობა მეორე, მსგავს ფუძეში: აღუთქუამ, აღუთქუამს, აღუთქუმიდა, აღუთქუმიდეს, უთქუმიდა, თქუა, თქუეს... (ეს ფორმები ძალზე ხშირად იხმარება ენაში, და ნ თ ქ მ ა და მისთანანი კი ერთობ იშვიათად).

როგორც უნდა გავიგოთ ნ-ს ბედი ამ ფუძეში, ცხადია, რომ თვით უძველეს ტექსტებში ის არის თავის ადგილზე. მაშასადამე, შთა ნ ს თ ქ ა მ თ და მსგავსი ფორმები უნდა გავუთანაბროთ ისეთ უდავო მეტათეზისიან ფორმებს, როგორცაა და მ ს და ბ ღ დ ე ბ ი, გ ა ნ მ ს ღ ი დ რ დ ე, მ ს ძ ლ ა ვ რ ო ბ დ ა და სხვა, ე. ი. უნდა დავუშვათ, რომ ისინი მიღებულია მეტათეზისისა და ასიმილაციის შედეგად (შთაპნთქამთ—შთანსთქამთ).

მ ო რ წ ყ ვ ა

რ—წ

A

წყაროჲ ერთი იყო ქუეყანასა გიდრისასა, და მ ო რ ს წ ყ ვ ი დ ა იგი მას ყოველსა (მესუეტ. 58, 14); მ ო რ ს წ ყ ე იგი ნაკადულითა ცრემლთა შენთათა (სას. 3. 245, 123); აღმოაცენ წყაროჲ მადლთაჲ და მ ო რ ს წ ყ ე ნ მ ო რ წ მ უ ნ ე თ ა გულნი (სას. 3. 131, 78).

<sup>1</sup> მ. ძიძიშვილი ნ-ს ამ ფუძეში ფონეტიკურად განვითარებულად თვლის (ფონეტიკური პროცესები, გვ. 119).

C

ამის ზღუსა მეწამულისაგან გამოვალს ათორმეტი წყარო და მოჭრ-  
წყყავს იგი ფრიალსა ფინიკოვანსა. და მახლობელად მისა არს ჭურღმული, რო-  
მელი მოჭრწყყავს სხუსა ფინიკოვანსა და ზღუადვე შთავალს იგი (სინ.  
269, 21, 22); ხოლო წიგნი პავლმსნი ყოველთა დღეთა და ეამთა სულიე-  
რითა მით სასუმლითა მოჭრწყყენ და განაძლებენ ეკლესიასა ღმრთისასა  
(თჳალთ. 80, 23); მსგავს არს ავაზანსა, რამეთუ მრავალსა მოჭრწყყავს და  
განსწმენდ და მან თავი თვისი ვერ განიწმიდის (Sin. 35, 292 rb, 7); მოჭრ-  
წყყვიდა წყალი იგი ქუეყანასა მას ყოველსა (Sin 6, 104 r, 2); და წყაროა  
სახლისაგან უფლისა გამოვიდოდის და მოჭრწყყვიდეს კეცსა მას ნაწილთა-  
სა (იოველ 3, 18 პარ.); წყალნი... მოჭრწყყვიდენ კეცსა მას ნაწილთასა  
(იოველ 3, 18 ლაგ.).

ასეთია ჩვეულებრივი სახის მაგალითები.

როგორც დაინახეთ, 9 ტიპური შემთხვევიდან 7 (!) მოდის ისეთ კომპლექ-  
სებზე, რომლებშიც თავიკიდურ მამის ბგერად მ შედის: მ-დ (2), მ-თ, მ-ტ, მ-ც,  
მ-ძ, მ-წ. თითოჯერ ასეთ პირობებში ნ და რ გვევლინება: ნ-თ და რ-წ. ეს აღვი-  
ლი ასახსნელიცაა: ერთი მხრივ, მ მათ შორის (და საერთოდ) ყველაზე გავრცე-  
ლებული პრეფიქსია ქართულში. ჩვენს მაგალითებშიც ასეა, აქაც მ მაწარმოე-  
ბელია: მ-დიდ-არი, მ-დაბ-ალ-ი, მ-თავ-არ-ი. მ-ძლ-ავ-რ-ი. საფიქრებელია, სხვა  
მაგალითებშიც (მ-ციარ-ე, მ-წარ-ე...) მ მაწარმოებელი იყოს<sup>1</sup>. მეორე მხრივ,  
მამის ბგერებში ს, ზ, შ, ზ, ლ სპირანტების შემდეგ ჰ-ს სწორედ მ-სთან უჭირს  
გაძლება და, თუ ასეთი გადასმის საშუალება არაა, ხშირად იკარგება<sup>2</sup>. ამიტომ  
ასეთ პირობებში ჰ-ს გადასმა ბუნებრივი და ჩვეულებრივია. რამდენადმე მ-ს  
ზედს იზიარებს აგრეთვე ნ და რ, თუმცა ჰ-ს გადასმის შემთხვევები ამ ბგერებ-  
თან გაცილებით უფრო ნაკლებია.

ეს ყველაფერი, რაც ზემოთ ითქვა, გარკვეულ წესს მისდევს და ნორმალუ-  
რია. მაგრამ არის იშვიათი შემთხვევები, როცა ჰ-ს გადასმას მაშინაც აქვს ადგი-  
ლი, როდესაც ზემოთ აღწერილი პირობები არაა დატული, ე. ი. როდესაც რ  
აანხმოვანს მოსდევს არა რომელიმე ექვსთაგანი (დ, ტ, თ, ძ, წ, ც), არამედ სხვა  
მამის ბგერა. მ ასეთ შემთხვევაში, როგორც წესია, ჰ-დ რჩება და არ იცვლება  
(ვერც შეიცვლებოდა) ს-დ. ასეთი მაგალითი ორია ცნობილი: ერთ შემთხვევაში  
რ-ს ჰ მოჰყვება, ხოლო მეორეში — ყ. მაგალითები:

ა) ანკვრითი აღმოსცენდი წერტი უბიწოა და განითხენ შენ რტონი ვიდრე  
პრომედმდე, რამეთუ მი რ ჰ ბ ი ო დ ე, ვითარცა-იგი პავლე ქალაქითი ქალა-  
ქად (სას. პ. 124, 110)<sup>3</sup>.

მაგრამ იქვე გვხვდება პირველადი ფორმებიც: მაშინ მადლითა ღმრთისა  
მიერითა აღივსე და მი რ ჰ ბ ი ო დ ე წამებად, ვითარცა ზუარაკი შესაწირავად

<sup>1</sup> გ. როგავა, ზედსართავის თანაბრობითი ხარისხის გაქვავებული ფორმები ქართულში: ოძე, ტ. IX—X, 1958, გვ. 99—110.

<sup>2</sup> ნ. ზემოთ, გვ. 107.

<sup>3</sup> ა. შანიძე, პრეფიქსები, გვ. 120.

(სას. პ. 178, 23); პ რ ბ ი ო დ ე მოძღურისა თანა შენისა გზასა წამებისასა (სას. პ. 123, 68) <sup>1</sup>.

ბ) მრავალთა განერჰყუნდი (პარხ. 770 b).

თუ ეს ერთეული მაგალითები უბრალო ლაფსუსს არ წარმოადგენს გაღმწერისას თუ გამომცემლისას, მაშინ ისინი შეიძლება ზემოთ დადგენილ ზოგადი წესის ერთგვარ ინერციულ გაგრძელებად მივიჩნიოთ, მათი გავლენით ავხსნათ: შესრულებულია წესის პირველი პუნქტი (ჰ გადასმულია რ-ს შემდეგ), მაგრამ დარღვეულია მეორე პუნქტი (რ-ს შემდეგ აღარაა რომელიმე ექვსთავანი ბგერა). მაგრამ, როგორც უნდა იყოს, ასეთი მაგალითები ძალიან იშვიათია და ზოგად წესს სრულიადაც ვერ დაარღვევს, ის ნაწილობრივ მასში (წესში) შედის და მის მიერ აიხსნება.

უფრო საინტერესოა ქვემოთ მოყვანილი მაგალითი, რომელშიც ზოგადი წესის ყველა პირობაა დატული (ზმნის თავიიდური ბგერაა მ, მას მოსდევს ერთ-ერთი ექვსთავანი წ), მაგრამ გადასმის შემდეგ ჰ, წესის წინააღმდეგ, ს-დ არ არის შეცვლილი: ამით კუერთხითა დამჰწყსნეთ სამწყსონი ქრისტესნი (მესუეტ. 5, 4). ჩვენ ამას ვერ ჩავთვლით ჰაემეტობის ნიმუშად: მაშინ ჰ-ს გადასმა საჭირო არ იქნებოდა, უფრო საფიქრებელია, იგი, თუ უბრალო ლაფსუსი არაა, დადგენილი პროცესის გარდამავალ საფეხურად მივიჩნიოთ.

სრულიად ამგვარია მეორე მაგალითიც: ნუუჟუე ურჩულოთა მჰძღავე-რონ<sup>2</sup> მას (გულანდ. 219, 4, =ათონ. ხელნ. 57), რომელზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი (ნ. გვ. 108).

დასასრულ, აღვნიშნავ ჰ-ს გადასმის კიდევ ერთ საყურადღებო შემთხვევას. შეორგულება ფორმაში სუბიექტური პრეფიქსი ჰ IX—X—XI საუკუნეების ძეგლებში ხმოვნების წინ საერთოდ დაკარგულია. მაგრამ მესტიის ოთხთავში უცდიათ მისი შენარჩუნება სწორედ გადასმის გზით: უკუეთუ გაქუნდეს სარწმუნოვება და არა შეორჰგულდეთ (მ. 22, 21), ო-ს წინ ჰ აძღროს (როცა ეს ხელნაწერი გადაიწერა — 1033 წ.) არ შეიძლება იყოს. მაგრამ რადგანაც იგი პრეფიქსია და საჭიროა, გადასმულია რთული სიტყვის პირველი ფუძის შემდეგ, გ-ს წინ. მაგრამ ამის დაშვება თავისთავად გულისხმობს, რომ ეს ოთხთავი ჰაემეტი წინაპრისაგან მომდინარეობს. ეს მოსაზრებაც მართლდება: ჩვენ აქ გვხვდება წმინდა ჰაემეტი ფორმებიც, მაგალითად: უკუეთუ მეუფება მეუფებასა განჰვეთა, ვერ ქელ-ეწიფების დამტკიცებად მეუფება იგი; და უკუეთუ სახლი სახლსა განჰვეთა, ვერ ქელ-ეწიფების სახლი იგი დამტკიცებად (მრ. 3, 24—25), აღსანიშნავია, რომ იგივე სიტყვა სხვა მხარე-

<sup>1</sup> ა. შანიძე, პრეფიქსები, გვ. 120.

<sup>2</sup> ხელნაწერში სწორედ ასე ყოფილა. გამომცემელი (კ. კეკელიძე) საგანგებოდ შენიშნავს, რომ დელანში (ხელნ. № 57) ასეაო.

ბელთა წიგნებში უკვე აღარ წარმოგვიდგენს ზ-ს, იქ მერმინდელი ხანებისათვის დამახასიათებელი ჩვეულებრივი ფორმებია: *გ ა ნ ე ვ თ ა* (მ. 12, 26), *გ ა ნ ე ვ თ ი ს* (მ. 12, 25 ორჯერ); *გ ა ნ ე ვ ლ თ ა* (ლ. 11, 18); *გ ა ნ ე ვ ლ თ ი ს* (ლ. 11, 17); *გ ა ნ ე ვ ლ თ ა ს* (ლ. 12, 53). ჩანს, იმ ორ ფორმაში გადამწერს გაპარჯია დედნის ძველებური წაკითხვა.

უკანასკნელად შეიძლება ასეთი კითხვა დავსვათ: რატომ არ გვხვდება ზ-ს გადასმა იმავე მ, წ, რ ბგერებით დაწყებულ ზმნებში, როცა ამ ბგერებს უშუალოდ მოსდევს უკანა ნუნისმიერი (მეოთხე სამეულის) ბგერები (ჭ, ჭ, ჩ)? ამაზე უნდა ვუპასუხოთ ასე: ჯერ-ერთი, მჭ, მჭ, მჩ კომპლექსები ზმნების ფუძეთა თაეში ქართულში იშვიათია (თუ, საერთოდ, არის); მეორე, ზ-ს გადასმისას ამ ბგერების შემდეგ IX—X—XI საუკუნეების ძეგლებში ჩვეულებრივ გვექნებოდა არა სჭ, სჭ, სჩ, არამედ შჭ, შჭ, შჩ კომპლექსები (შდრ. შჯილა, საშჯელი, შჯული, შეშჰამენ, შჭირნ, შჩა, შჩული...), სადაც სისინა ხ შიშინა ჯ, ჭ, ჩ ბგერებთან შ-დ იქცეოდა (ასიმილაცია). მაშასადამე, აღარ იქნებოდა ხანისაგან შემდგარი კომპლექსი (სჭ, სჭ, სჩ), რასაც ზემოთ აღწერილი განსაკუთრებული ხასიათის მეტათეზისის ერთ-ერთ მიზეზად ვთვლით. მაშასადამე, ამ შემთხვევაში აღარც გადასმის საჭიროება იქნებოდა. მაგრამ, როგორც ჩანს, აქ მთავარ როლს მანინე პირველი გარემოება უნდა თამაშობდეს<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ი. იშნაიშვილი, მეტათეზისის ერთი განსაკუთრებული შემთხვევა ძველ ქართულში: თბ. უნივ. შრომები (ფილოლოგიურ მეცნიერებათა სერია), ტ. 114, 1965, გვ. 139—149.

## 6. სუბსტიტუცია

ყოველ ენაში, მათ შორის ქართულშიც, ხშირად ვხვდებით ისეთ შემთხვევებს, როცა სიტყვაში ერთ ბგერას მეორე ენაცვლება. ამ მოვლენას ფართო გაგებით ბგერათმონაცვლეობა (ალტერნაცია) ეწოდება. ასეთ შემთხვევაში ბგერის შეცვლა გამოწვეულია რომელიმე ფონეტიკური წესის მოქმედებით, როგორცაა: ასიმილაცია, დისიმილაცია, ასიმილაციური დაყრუება, დისიმილაციური გამჟღერება და სხვა. ვიწრო გაგებით ბგერათმონაცვლეობაში გულისხმობენ სიტყვებში ბგერათა შენაცვლებას ფონეტიკური განპირობებულობის გარეშე. ასეთი შენაცვლება ჩვეულებრივ არ წარმოადგენს გარკვეული ფონეტიკური განვითარების შედეგს, მას არ უძევს საფუძვლად ასიმილაცია, დისიმილაცია, მაქვილიანობა-უმახვილობა და სხვა. „ესაა ბგერის ერთბაში, „შემთხვევითი“, სპორადული ცვლილება სიტყვაში“<sup>1</sup>. ბგერათა ასეთ მონაცვლებას ბგერათა სუბსტიტუციას ეძახიან. ქართულად ამ მოვლენას ზოგი ჩანაცვლებას უწოდებს<sup>2</sup>, ზოგი — შენაცვლებას<sup>3</sup>. ჩვენც ამ უკანასკნელ ტერმინს ვიყენებთ.

ბგერათა შენაცვლების დროს ერთბაშად არა ჩანს წმინდა ფონეტიკური მიზეზი, რომელმაც ეს მონაცვლეობა განაპირობა. სწორედ ამის გამო დაშვებულია, რომ „ბგერათსუბსტიტუცია წარმოიქმნება ბგერათა არასწორი (არაადეკვატური) აღქმის ნიადაგზე. ამიტომ ეს მოვლენა უმთავრესად აყუსტიკურია“<sup>4</sup>.

ბერძნული ტერმინი (Τυμθεις) მაგვირად ქართულში კიმოთე რომ იხმარება, ეს „არ წარმოადგენს რითიმე განპირობებულ ფონეტიკურ ცვლილებას“<sup>5</sup>, არა ჩანს, რატომ შეენაცვლა კ ბგერა ტ-ს. ასევე არ არის ნათელი, თუ როგორ მოხდა, რომ ბერძნულიდანვე სახელი ეპიფანე ქართულში ეტიფანე-ს სახით გადმოვიდა (პ—ტ)<sup>6</sup>. ერთი კია, რომ შენაცვლებისას „ერთმანეთის შეცვლა შეუძლიათ მხოლოდ ისეთ ბგერებს, რომლებიც წააგვანან ერთმანეთს უმთავრესად აყუსტიკურად“<sup>7</sup>. ჩვეულებრივია, რომ რომელიმე მჟღერ ბგერას ცვლის მისი მსგავსი მჟღერივე ბგერა (საბზელი — საბ-

<sup>1</sup> გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, გვ. 225; მისივე: ზოგადი ფონეტიკის შესავალი, 1956, გვ. 179. ქვეით უმთავრესად ამ უკანასკნელ შრომას მივითითებთ.

<sup>2</sup> გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის შესავალი, გვ. 179; ს. ელენტი, ქართული ენის ფონეტიკა, 1956, გვ. 237.

<sup>3</sup> ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 22.

<sup>4</sup> გ. ახვლედიანი, იქვე.

<sup>5</sup> იქვე.

<sup>6</sup> ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 22.

<sup>7</sup> გ. ახვლედიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 179.



ბელი<sup>1</sup>, საგზალი — საგძალი, ვარსკვლავი — მასკვლავი...), ანდა ყრუს — ყრუ (ტიმოთე — კიმოთე, ეპიფანე — ეტიფანე...). აღსანიშნავია, რომ შენაცვლებას ხველაზე ხშირად და უმთავრესად სწორედ მქლერ ბგერებში აქვს ადგილი, ამათგან უფრო მეტად ბაგისმიერებსა (ვ-მ, ვ-ბ, ვ-ტ...) და ნარნარებში (ლ-ნ, ლ-რ, ნ-რ...).

ასხვავებენ ორგვარ შენაცვლებას: ერთია ისეთი შენაცვლება, რომელსაც ადგილი აქვს უცხოური ენიდან ნასესხებ სიტყვებში (ტიმოთე — კიმოთე, ეპიფანე — ეტიფანე), მეორე — როცა შენაცვლება ხდება მშობლიური ენის სიტყვებში (საბზელი — საბძელი, საგზალი — საგძალი)<sup>2</sup>.

ბგერათა შენაცვლებას, რომელსაც ადგილი ჰქონდა ენის განვითარების გარკვეულ ეტაპზე, მაგრამ ამჟამად ენაში აღარ არის მოქმედი, ისტორიულს უწოდებენ. ისტორიულია ქართულ ზმნებში ზ-ს-ს შენაცვლება (პწერ — სწერ, პტირ — სტირ, მოპტაცა — მოსტაცა და სხვ.)<sup>3</sup>, აგრეთვე ისეთი ფორმები, როგორცაა: სული — სუნი, შრიალი — ჟრიალი და სხვ.<sup>4</sup>

როგორც აღნიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში<sup>5</sup>, ერთმანეთს უმთავრესად არტიკულაციურად მონათესავე ბგერები ენაცვლებიან. ასეთია, მაგალითად, ბაგისმიერები (ვარსკვლავი — მასკვლავი, ემსგავსა — ემსგამსა, ევმოს — ემმოს<sup>6</sup>; მარზაპანი — ვარზაპანი), ნარნარები (ქორწილი — ქორწინება, ნარდიონი — ლარდიონი, მარმარინო — მარმარილო, გიძლავს — გიძნავს<sup>7</sup>), აგრეთვე სხვებიც (ზრახვა — ძრახვა, ტაძარი — ტაზარი და სხვა). მაგრამ შენაცვლება ეხვედება აგრეთვე არტიკულაციურად განსხვავებულ ბგერებშიც (ტიმოთე — კიმოთე, ეპიფანე — ეტიფანე, შეიტბო — შეიტყბო<sup>8</sup>).

არტიკულაციურად მონათესავე ბგერათა შენაცვლებისას არჩევენ ორ შემთხვევას: ა) როცა მოცემული ორი ბგერიდან ორივე ენაცვლება ერთმანეთს (ზრახვა — ძრახვა, ტაძარი — ტაზარი); ბ) როცა ერთი ენაცვლება მეორეს, მაგრამ მეორე კი ვერ ენაცვლება პირველს. პირველი სახის შენაცვლებას საურთიერთოს უწოდებენ, მეორე სახისას — ცალმხრივს<sup>9</sup>.

ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი მაგალითები გვიჩვენებენ თანხმოვანთა შენაცვლებას. მაგრამ ქართულში (ისე, როგორც სხვა ენებშიც) გვაქვს აგრეთვე ხმოვანთა შენაცვლებაც. წამ უკანასკნელის მაგალითებად გამოდგებოდა ძველ ქართულში ისეთი ფორმების პარალელური არსებობა, როგორიცაა ქმრწემში და უმრწამსში, მეტა და გადამატებო, კეისარი და კისარი, სამქელური და სამქადური, საეარცხელი და სიეარცხალი, დაეჭერ და დაეჭარ (აშოკრ. 89, 15), ფიცი და ფუცვა, ბირთვ და ბურთვ და ბეერი სხვა. მაგრამ ხმოვნების შენაცვლება საერთოდ უფრო ნაკლებად გავრცელებული, ვიდრე თანხმოვანთა შენაცვლე-

<sup>1</sup> ა. შანიძე, ქართული გრამატიკა. I, მორფოლოგია, გვ. 10.

<sup>2</sup> გ. ახვლედიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 180.

<sup>3</sup> ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 22.

<sup>4</sup> გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, გვ. 209, 293.

<sup>5</sup> ს. ელენტი, ქართული ენის ფონეტიკა, გვ. 237—239.

<sup>6</sup> მ. ძიძიშვილი, ფონეტიკური პროცესები, გვ. 86.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 87.

<sup>8</sup> იქვე, გვ. 89.

<sup>9</sup> იქვე, გვ. 85.

ბა. „ეს აიხსნება, ალბათ, იმით, რომ ყოველ ენაში ხმოვანთა რიცხვი გაცილებით ნაკლებია თანხმოვანთა რიცხვზე და ამასთანავე ხმოვნები მეტად არიან განსხვავებულნი ერთმანეთისაგან აკუსტიკურად“<sup>1</sup>. ეს განსაკუთრებით ითქმის ქართულის შესახებ, რომლის თანხმოვანთა სიმდიდრე და ხმოვანთა შედარებითი სიღარიბე საერთოდ აღიარებული ჭეშმარიტებაა. ჩვენ აქ საუბარი გვექნება რველი ქართულის თანხმოვანთა შენაცვლებაზე, ხოლო ხმოვანთა შენაცვლებაზე მსჯელობას სხვა დროისათვის გადავდებთ.

ამ წინასწარი შენიშვნების შემდეგ განვიხილოთ თანხმოვანთა შენაცვლების შემთხვევები ძველ ქართულ ენაში.

ვ—ბ: ესეცა გ ა კ ს ო ბ ს: სწავ. 195, 19 C (A: გაქსოვს); და გ უ ა კ ს ო ბ ს—მცა ესე დაუვიწყებელად: სწავ. 24, 24; ესე ყოველი გ უ ა კ ს ო ბ ს და გულს—ვეტყოდით სიკუდილისათჳს და სინანულისა: სწავ. 225, 29; სხუამ მოგაკსენებდეს და შენ არღარა გ ა კ ს ო ბ ღ ე ს: სწავ. 284, 29 C (გაქსოვდის A, გაქსოვს B); იხილენ გზანი შენნი ს ა მ ა რ ო ბ ა ნ ს ა: იერ. 2, 23 J (იერუსალიმური ხელნ.); ოშკის ხელნაწერში კი არის ვინიანი ფორმა: ს ა მ ა რ ო ვ ა ნ ს ა.

შესაძლებელია. ამ უქანასკნელ მაგალითში მორფოლოგიურ მოვლენასთან გვეკონდეს საქმე და ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ოვ-ან—ობ-ან აფიქსები. მაინც აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაშიც ამავე ვ-ბ ელემენტების შენაცვლება ხდება.

ამავე ვ-ბ-ს შენაცვლებასთან უნდა გვეკონდეს საქმე ძველი (და ახალი) ქართულის ისეთ ფორმებში, როგორიცაა: ვ-თიბ, ს-თიბ, თიბ-ს, მ-თიბ-ელ-ი, სა-თიბ-ელ-ი, ერთი მხრივ, და თივა-მ (მ. 6, 30; ლ. 12, 28; აბო 196, 33), მეორე მხრივ.

ეს წესი დღევანდელი ქართულის კილოებშიც მოქმედი და აქტიურია. შდრ. თებში, გვარი თებზაძე, ბარცხნა, საბარცხალი, კობზი, აბღარი<sup>2</sup> და სხვა.

ძველ ქართულში გვაქვს ამ ბგერების შებრუნებული შენაცვლებაც (აღვლი აქვს საუბრითერთო შენაცვლებას).<sup>3</sup>

ვ—მ: ც ხ ო ე ნ ე ბ ა ზნის ვნებითი გვარის ფორმებში ვ-ს ენაცვლება მ (ც ხ ო მ ნ დ ა). მაგრამ მნდ ბგერების თავმოყრის შემდეგ ხშირად ნ იკარგება (და გვაქვს ც ხ ო მ დ ა). უფრო ხშირად ფუძისეული ვ იკარგება და მაშინ შენაცვლებაზე აღარ შეიძლება ლაპარაკი. მაგალითები: ც ხ ო მ ნ დ ე ს: ივან. 28, 16; უკუენისამდე ც ხ ო მ ნ დ ი: გულანდ. 221, 16 A (B: ც ხ ო მ დ ი); უკუეთუ ვ ც ხ ო მ (ნ) დ ე თ: იქვე, 225, 13 A (ვცხონდეთ B); არათუ კაცობრივითა სახელითა ც ხ ო მ დ ე ბ ი ს კაცი: კიმ. II, 46, 20; და ც ხ ო მ დ ე ბ ო ღ ა იგი სიწმიდითა: იქვე, 44, 5; არა ბუნებითა და წესითა კაცთაჲთა ც ხ ო მ დ ე ბ ო ღ ა რგი: იქვე, 44, 26; და ც ხ ო მ დ ე ბ ო ღ ე თ მშუდობად მის ქუეყანისა: იერ. 29, 7 J (O: ცხონდებოდეთ); სხუათა კაცთაებრ ც ხ ო მ დ ე ბ ო ღ ი ს იგი: კიმ. II, 44, 22; ესე ძქ ჩემი მომკუდარ იყო და ც ხ ო მ დ ა: ლ. 15, 24 C; ც ხ ო მ დ ე ს სული შენი: იერ. 38, 17 J (O: ცხონდეს); იგინი ხოლო ც ხ ო მ დ ე ნ: კიმ. II, 46, 1<sup>3</sup>.

<sup>1</sup> გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის შესავალი, გვ. 181—182.

<sup>2</sup> ს. ელენტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 238.

<sup>3</sup> შდრ. მ. ძიძიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 87. აქ დამოუბუღია, რომ ნ-ს ენაცვლება, მაგრამ მაშინ როგორ უნდა აიხსნას ც ხ ო მ ნ დ ი, ც ხ ო მ ნ დ ე ს და მგავსი ფორმები, რომლებზეც ნ-ცა გვაქვს და მ-ც?

მასკულაეი: Sin. 35, 27 va, 9; რომელთა სახელ-ედების მასკულა-  
ვად ბრწყინვალეობისათჳს ბუნებისა მათისა: თარგმ. გამოცხ. 1, 20 C; რომელსა  
უპყრიან შუდნი იგი მასკულაენი: იქვე, 2, 1 C; მასკულაენი ზეცით  
დამოცვენებულ იყვნენ: მრ. 12, 25 C; თუალნი მისნი, ვითარცა მასკულაენი:  
ქრისტეფ. (ეტ. VIII, 188, 10).

აღსანიშნავია, რომ ყველგან, როცა ამ სიტყვაში ვ-ს მენაცვლება, ფუძი-  
სეული რ-ც დაკარგულია: ვარსკულაეი, მაგრამ: მასკულაეი. ამ სახითვე (მასკუ-  
ლაეი) გვხვდება იგი თანამედროვე ქართულის კილოებში: კახურში<sup>1</sup>, ქართლურ-  
ში<sup>2</sup>, ხევსურულში<sup>3</sup> და სხვებშიც.

ადგილი იგი სამსხუერპლომსა შენისაჲ ემსგამსა ბერეარსა აპრონის-  
სა და ზაქარიაჲსსა: აბო (აგ. ძეგლები) 80, 9 B. სხვა ხელნაწერებში, რა თქმა  
უნდა, არის ემსგავსა<sup>4</sup>.

ვ-ს მანით შეცვლა ძალიან გავრცელებულია ქართულის კილოებში, მაგა-  
ლითად: ულმაში, ნამთი, მიწრო. ამსება, კამშირი, თომლი, მითომ, კომზი, კი-  
დემ<sup>5</sup>, არწიმი, მენაკ, კამქანიძე<sup>6</sup> და სხვანი. აქაც გვხვდება შებრუნებული შე-  
ნაცვლება:

მ—ვ: უბრძანა უსტავ ორთა მკედართა: ევსტ. (აგ. ძეგლები) 32, 12 G.  
სხვა ხელნაწერებშია, რასაკვირველია, უსტამ.

ვითარცა ცნა ბუზშირ ვარზაპანმან: ევსტ. (აგ. ძეგლები) 44, 4 A.  
სხვაგან: მარზაპანმან (მარძაპანმან). შენაცვლება ქართულ ნოადაგზე  
უნდა იყოს მომხდარი.

ვ—ჟ: უმარცვლო უენაცვლება ვ-ს, როგორც პირველი სუბიექტური პირის  
ნიშანს, ხანმეტსა და ჰაემეტ ტექსტებში, როცა მას წინ უსწრებს მესამე ობიექ-  
ტური პირის ნიშანი ხ ან ჰ, ე. ი. როცა ვ გადასმულია ობიექტური ნიშნის შემ-  
დეგ. მაგალითები:

შეხუბათ ესე კარი (ბოლნ. წარწ.); აღხუბართე ესე ჭუარი, აღ-  
ხუბართეთ ესე ჭუარი (უჯანგორის წარწერები); ხოლო ჩუენ ხუესავთ:  
ლ. 24, 21 X; ჩუენ ხუარწმუნოთ მას: მ. 28, 14 X; აღხუაგზნე ცე-  
ცხლი: იერ. 17, 27 V; რომელსა ხვტყოდე ყოფად მათ ზედა: იერ. 18, 8 V  
(სვტყოდე = ხ-უ-ი-ტყ-ოდ-ე); შეხუერდეთ და ხუმაღლობდეთ (ხანმ.  
მრ.: ისტ. ქრ. I, 42, 4); ლოცვასა შეხუწირვიდეთ: იქვე, 42, 5; თავ-  
ყანის-ხუცემდეთ: იქვე, 43, 27; ესე ჭუარი ქრისტჳსი ... აღჰუბართე  
(წყისის წარწ.); მოჰუგუარე იგი მოწაფეთა შენთა: მ. 17, 16 Z<sup>7</sup>.

ასეთსავე შენაცვლებას აქვს აგრეთვე ადგილი ყავ (ყვან), ვსება —  
სავსე და ზოგ სხვა ფუძეში:

1 ა. ჩიქობავა, გარე კახეთი დიალექტოლოგიურად: არილი, 1925, გვ. 70.  
2 ვ. თოფურია, ქართლური: არილი, 1925, გვ. 136.  
3 ალ. კინკარაული, ხევსურულის თავისებურებანი, 1960, გვ. 14.  
4 მ. ძიძიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 86.  
5 ვ. თოფურია, ქართლური, გვ. 136.  
6 ს. ელენტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 238.  
7 ნ. ამის შესახებ ზემოთ მეტათეზისთან დაკავშირებით (გვ. 95).

ყ უ ხ ა . იგინი: მრ. 3, 14 C; რამთა ჩუენ თავისუფალ გუყუენეს: ისტ. ქრ. II, 2, 2.

იყუენეს: მრ. 10, 24 C; ლ. 1, 21 C; ისტ. ქრ. II, 2, 36; ვიყუენეთ: იქვე, 20, 16; იყუენეთ: იქვე, 6, 26; იყუენეს: იქვე, 5, 15.

უბიწონი და წრფელნი შემომეყუენეს მე: იქვე, 26, 1.

ვეწყუე: Sin. 97, 168 vb, 4.

წარიყუანეს იგი: მრ. 4, 36 C; ერთი წარიყუანონ და ერთი დაუტეონ: მ. 24, 40 C.

სასუმელი საუხშ მომცა მე. და იყო იგი საესწ წყლითა: 3 ეზრა, 14, 39.

დღესა ახუსებასა მწუხრი: ხანმ. ლექტ. გვ. 38; დღესა ახუსებოსა ზატკისა მწუხრი: იქვე, გვ. 43. ამ ორ უკანასკნელ მაგალითში ჭერ დ და-ჯრუებულა და ხანად ქეულა მომდევნო სანის გამო, ხოლო ამის შემდეგ ვ-ს უ შენაცვლებია. შესაძლებელია, ზვ-ს ერთად მოხვედრა შეხუაბთ და მსგავსი ფორმების ასოციაციას იწვევდა.

გვაქვს შემონახული ისეთი შემთხვევებიც, როცა შესანაცვლებელი (ვ) და შემნაცვლებელი (უ) ორივეა წარმოდგენილი. ექვი არაა, ეს წარმოდგენს გარდამავალ საფეხურს, როცა ეს პროცესი ჭერ კიდევ საბოლოოდ არაა განმტკიცებული: ისმის ბგერა, რომელიც აკუსტიკურად ნაწილობრივ ერთსაც ჩამოჰგავს და მეორესაც. ასეთ შემთხვევაში სასწორი მანც უ-საკენ არის გადახრილი, რასაც, სხვათა შორის, ამ ბგერების რიგიც მიუთითებს: ყველა მოპოვებულ მაგალითში წინ არის უ, მას მოსდევს ვ. ამის ნიმუშებია:

რომელმან ისმინეს სიტყუანი ესე ჩემნი და ყუენეს იგინი: მ. 7, 24 C; იყუენეს: მ. 14, 6 C; მრ. 10, 32 C; იყუენეთ: მ. 24, 42 C; მ. 25, 13 C; იყუენეთ: ი. 8, 31 C; ი. 15, 4 C; იყუენეს: მ. 24, 40 C; მრ. 3, 14 C; აღიყუენა მ. 4, 8 C; წარიყუენონ: მ. 24, 41 C; ბრმაა იშუეა: ი. 9, 20 C; ღმრთისა მიერ იშუენეს: ი. 1, 13 C; რაჟამს იქმოლი ქუევილის საქმესა: მ. 6, 2 C.

გვაქვს შებრუნებული შენაცვლება:

ფ—ვ: მოგვიანო ხანების ძეგლებში ასეთი შენაცვლება სრულიად ბუნებრივი და გასაგებია: უმარცვლო უ-ს საფუძველი შეირყა და შემდეგში ეს ბგერა თანდათანობით ვ-ს დაემსგავსა. როგორც ჩანს, ეს პროცესი თვით ძველ ქართულში იყო ჩასახული. მის წიაღში ვხვდებით ჩვენ უ-ვ-ს შენაცვლების შემთხვევებს. ამის თითო-ოროლა ნიმუში აქა-იქ სხვაგანაც მოიპოვება, მაგრამ იგი განსაკუთრებით დამახასიათებელია ლატალის ლექციონარისათვის. ეს ხელნაწერი განსაკვიფრებელი არქაიზმითა და დილექტიზმებით ხასიათდება, რომელთაგან ყველაზე საინტერესოა მ-ს ნაცვლად გარკვეულ შემთხვევებში სრული მ-ს ხმა-რება, აგრეთვე უმარცვლო უ-ს შენაცვლება ვინით. აქ ვუჩვენებთ მხოლოდ რამდენიმე ნიმუშს (ხელნაწერში მსგავსი მაგალითები ძალიან ბევრია):

მიხვილდე: 2 შჯ. 6, 14; წარგიძღვეს: 2 შჯ. 9, 3; დაუწვილეს: 2 შჯ. 12, 31; რიცხვი: მსაჯ. 7, 6; შემთხვევაა, შეამთხვევთ: ესაია 7, 13; მშვიდობისაა: ესაია 9, 6; დათვი, მართენი: იქვე, 11, 7; ჩჩვილმან: იქვე, 11, 8; შიშველი: იქვე, 58, 7; გუირგვინი: იქვე, 61, 10; მშვილდები: 1 მეფ. 2, 4; შვიდ შვილ: იქვე, 2, 5;

უ რ ც ხ ე ი ნ ო თ ა თუალითა: იქვე, 2, 9; შვენიერებაა უღაბნოსაჲ: იოველ 1, 20; შიშველნი: მოც. 19, 16 D.

ზემოთ ნაჩვენები სახის შენაცვლება არ უნდა გვეონდეს ასეთ სიტყვებში: ზაკვაა: ი. 1, 47 D; ზაკვით: მრ. 12, 14 C; ზაკვითა: ისტ. ქრ. 11, 43, 33; მზაკვარი: იქვე, 27, 16. ჯერ ერთი, აქ დასახელებულ ხელნაწერებში არსად არა გვაქვს სხვა შემთხვევა, რომ უ-ს ვენაცვლებოდეს. მეორე: ამ მაგალითებში ვიხილავ არის საჭირო, ის ავთემის ნიშნის ნაწილია, ხმოვნითი ნაწილი ა ამოღებულია: ზაკუ-ავ-ა-ზაკუვა; მ-ზაკუ-ავ-არ-ი-მზაკუვარი. ჩვენს მაგალითებში ორი ერთად მოხვედრილი ბაგისმიერ ბგერადან ერთ-ერთი (უ) დაკარგულია. არის შემთხვევები, როცა ერთად შეყრილი იმავე ბგერებიდან იკარგება ვ, ხოლო უ რჩება: ცეცხლები შე მწუ უ ლ ი იგი მჭერვალებად მზისა: შუშ. (ავ. ძეგლები) 25, 12. 11 ხელნაწერიდან, რომლებიც საუფუძლად უჩვენს გამოცემას, ვ არც ერთში არ ყოფილა დაცული. ვ დაკარგულია ასეთ შემთხვევაში აგრეთვე მეორე სიტყვაშიც (ზმნაში): ჰნერწყუდეს<sup>1</sup> პირსა მისსა: მ. 26, 67 C; მ. 27, 30 C. ამ დაკარგვას შესამჩნევი ორთოგრაფიული შედეგი მოჰყვა: უ-ს პირდაპირ მოესაზღვრა სუფიქსი ი, რამაც გამოიწვია მათი შერწყმა: ჰნერწყუდიდეს—ჰნერწყუდიდეს—ჰნერწყუდეს. ასე რომ, ისეთ სიტყვებში, როგორცაა; ზაკვა, მზაკვარი, დამწველი და მისთანანი. უ—ვ-ს შენაცვლებას ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

ვ—ფ: აღიძარცუე ვარ შამაგი და აღიკადე გვრგვნი: ეზეკ. 21, 26 (JO); რომელთა ემოსა კრელებული წელთა მათთა და ფარ შამაგე ბი ლებულთათა მათთა: ეზეკ. 23, 15 (J). ოშკის ხელნაწერში (O) კი იკითხება: ვარ შამაგი; მაშინ კაცნი ესე შეიკრნეს ნიფხავ-კუართითუართ მათით და ვარ შამანგით: დან. 3, 21 (JO); და ესე სამოსელნი არიან, რომელნი უქმნენ მას: სამკერდე და სამკრე... და ვარ შამანგი და სარტყელი: გამოსლ. 28, 4 (ბიბლ. თბ. გამოც.); და იყოს ვარ შამანგსა მას ზედა, წინაშე პირით ვარ შამანგსა მას იყოს: იქვე, 28, 37; და დაპბურა ვარ შამაგი თავსა მისსა: ლევიტ. 8, 9; უძლურათა ზედა მიაქუნდა ოფლისა მისისაგან ვარ შამაგები თა და ოლარებთა: მოც. 19, 12; შეარტყა მთ სარტყლები და დაპბურო ვარ შამანგები: გამოსლ. 29, 9 (თბ.).

საბას, ნ. და დ. ჩუბინაშვილებს ეს სიტყვა შეტანილი აქვთ ვარ შამანგის ფორმით, ასეა წარმოდგენილი აგრეთვე ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშიც. სომხურშიც პირველ ბგერად ვინი გვაქვს: *վարչամակ*. ვ-ს ფ-დ ცვლა, როგორც ჩანს, ქართულ ნიადაგზე უნდა მომხდარიყო.

მოიღეს შეშაჲ და თივაჲ და ნაფთი: აბო (ისტ. ქრ. 1) 196, 33. სხვა ხელნაწერებში (CEFGH...) ნავთი არის წარმოდგენილი (ავ. ძეგლები, 73, 5). შეიძლება ვ-ფ შენაცვლება გვექონდეს ძველი ქართულის ცნობილ ფორმებში: მძლათრი, მძათრი. საბას განმარტებით, „მძლათრი ესე

<sup>1</sup> დღემდე პირველ შემთხვევაში ჰნერწყუდეს, მეორეში — ჰნერწყუდეს. აღიშნის ოთხთავის ორთოგრაფიის ერთი დამახასიათებელი თვისება ისაა, რომ მასში ხშირად უ-თი ვალმოკლებულია ვ ბგერა (გეტყუ=გეტყ, განგულე=განგულე, შევუჯანბ=შეგუჯანბ...). ამიტომ ჰნერწყუდეს აქ არის: ჰნერწყუდეს. მეორე მაგალითში რ არის დაკარგული. აღსანიშნავია, რომ ამ ძეგლში მესამე შემთხვევაში ვ-ს დაკარგვის შემდეგ პავსებით მოსალოდნელი ფორმა წარმოდგენილი: ჰნერწყუდენ (მრ. 10. 34 C).

არს ცეცხლი, ქარი, წვიმა ძლიერი და მოუკლებელი“. ასევე აქვს მას განმარტებული მძაფრი-ც: „ძლიერი და მოუკლებელი“. მძლავრი არა აქვთ შეტანილი თავიანთ ლექსიკონებში ნ. და დ. ჩუბინაშვილებს, ხოლო მძაფრ-ს ორივენი განმარტავენ, როგორც ძლიერს, სასტიკს (сильный, жестокий). სამივე მეცნიერს საერთო აქვს ძლიერი. ჩვენი აზრით, ამ სიტყვის ძირითადი მნიშვნელობა, მართლაც, ძლიერია.

მძლავრი თავდაპირველად უნდა ყოფილიყო მძლავრ-ის ფორმით: მძლავრი—მძლავრი. შემდგომში ეს ფონეტიკური ვარიანტი (მძლავრი) დამკვიდრდა ენაში მისი ძველი მნიშვნელობით (მძლავრი, ძლიერი, сильный), რადგანაც თავდაპირველი მძლავრი გამოყენებულ იქნა მტარვალის, დესპოტის, ძალმომრის აღსანიშნავად. მართლაც, მძლავრი ძველ ქართულში არსად არ აღნიშნავს იმას, რასაც ჩვენ დღეს ამ სიტყვით გამოვხატავთ (ამისთვის იყო ძლიერი, მძლავრი, მძაფრი), მძლავრი იქ იყო არაქრისტიანი ხელი-სუფალი, მტარვალი; მტანჯველი, ძალმომრე, შეუბრალებელი მმართველი. მხოლოდ ასეთი მნიშვნელობით იცნობენ ამ სახელს საბა, ნ. და დ. ჩუბინაშვილები.

ძველ ქართულ ტექსტებში მძლავრი და მძაფრი (ძლიერი, сильный) ერთმანეთის პარალელურად იხმარება. მართლაც, ისინი ერთსა და იმავე ფუძეს უნდა წარმოადგენდნენ: მძლავრი—მძაფრი (ლ დაიკარგა). მძლავრი, როგორც ვთქვით, მიღებული უნდა იყოს მძლავრ-ისაგან, სადაც ვ-ს ფ შეენაცვლა. თვით მძლავრი (მაშასადამე, მძლავრი-ც და მძაფრი-ც) იმ ტიპის ნაწარმოები ფუძეა, როგორიც არის მგზავრი; შდრ. მ-გზ-ავ-რი და მ-ძლ-ავ-რი. გვაქვს მათი ზმნიზედურად ხმარების შემთხვევებიც: მგზავრ ეტყოდა მათ (მ. 20, 17), მძლავრ შე-ხოლო-ვიდა (შუშ. 16, 5). ამ ტიპის სახელებია კიდევ: მ-კუეთ-რ, მ-კვრცხ-ლ, მ-წრაფ-ლ<sup>1</sup>, მ-კედ-რ და სხვანი<sup>2</sup>.

როგორც აღვნიშნეთ, ძველი ქართულის ტექსტებში მძლავრს სისტემატურად ეპარალელება ლას-დაკარგული მძაფრ, მაგალითად: რომელმან იხილის მდინარე მძლავრი და ძლიერი: სწავ. 46, 29 C (A: მძაფრი); გარდამოკდის ზეცით მძლავრი წვიამ: სწავ. 132, 32 C (A: მძაფრი); შემდგომად მძლავრისა წვიმისა: სწავ. 68, 30 C (A: მძაფრისა); მძლავრისა მისგან სენისა: სწავ. 159, 7 C (A: მძაფრისა); ხოლო დამწუარ და შეკნიებულ იყო ყოვლადვე ცეცხლისა მისგან მძლავრისა, რომლისა მიერ იშანთვოდა: ეტ. II, 53, 15; მძლავრიად შთამოვიდეს ზრემი იგი სიმძიმისა მისგან მწრაფლ და დავრნეს და დაბზარნეს კორცი მისი: ისტ. ქრ. II, 62, 4 C (B: მძრაფრიად); დადაცათუ გუეკუეთენნ განსაცდელთა სიმძლავრენი: სწავ. 160, 7 C (A-ს აკლია ეს ადგილი); მიმცნა ჩუნენ სიმძლავრესა ამის აღისასა: წარტყ. 33, 1 მ (თბილისური ნუსხა; სიმძაფრესა J—იერუსალიმური).

დასასრულ, მოვიყვან ერთ საინტერესო ადგილს „მამათა სწავლანიდან“: რამათა არა უკუნისამდე ვტიროდით ურთიერთს სიმძლავრესა მას ცეცხლისასა: სწავ. 222, 13 C (B: სიმძაფრესა, A-ს აკლია ეს ადგილი).

<sup>1</sup> გვეხდება მეტათეზისური ფორმებიც: მწლავრ (ეესტ.: აგ. ძეგ. 41, 16 A; სწავ. 34, 1 C; აპოკრ. 22, 32, 33 D და სხვ.), რაც ძალიან ჩამოგავს ჩვენს მძლავრს.

<sup>2</sup> ამ ტიპის სახელთა წარმოების შესახებ ნ. ა. ჩიქობაძე, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართულურ ენებში, 1942, გვ. 75—76 და სხვ.

თუ აქ რაიმე უბრალო ლათესუსი არ არის და ს ი მ ძ ლ ა ფ რ ე ს ა-ს ნაც-  
ვლად უფრო გასაგები ს ი მ ძ ლ ა ე რ ე ს ა შემთხვევით არაა წარმოდგენილი,  
მაშინ უნდა ვითვქროთ, რომ C ხელნაწერი (H 1662) ზოგჯერ ს ი მ ძ ლ ა ფ რ ე-  
ს ზმარობს, ხოლო ზოგჯერ — ამ ფორმის წარმომშობ პირველწყაროს ს ი მ ძ-  
ლ ა ე რ ე-ს, ე. ი. მისთვის ს ი მ ძ ლ ა ფ რ ე და ს ი მ ძ ლ ა ე რ ე ერთი და  
რგივე ფორმებია.

აქაც გვაქვს შებრუნებული შენაცვლება:

ფ—: ფ ი ლ ო ნ ი, რომელ დაუტყვევ ტროადას კარპოსის თანა, მო-  
-რაჲ-ხვლოდი, მოიღე: 2 ტიმ. 4, 13 (ქუთ.)<sup>1</sup>, მაგრამ: და იყო ყოველსა ეამსა სა-  
-მოსლად მისა სქემაჲ შეუნიერი და სამოსელი სპეტაკი ვ ი ლ ო ნ ი და სტიქარა:  
ისტ. ქრ. II, 82, 2. ეკვი არაა, ვილონი იგივე ფილონია, ოლონდ ფ-ს შენაცვლე-  
-ზია ბაგისმიერი ვ. შდრ. ბერძნ. *φελόνιον*.

დღეს დავკსნე პაემანი ასულისა პ რ ო ს ვ ო რ ო ა ს ი და ცყო წინდობაჲ  
შენი ცოლად ლუსიმახოასა: ფებრ.: A 95, 657 a, 3; იგივე სახელი ორ სხვა ხელ-  
ნაწერში წარმოდგენილია შეცვლილი ფორმით: პ რ ო ს ფ ო რ ო ა ს ი: Sin. 6,  
197 a; A 382, 19 ra.

ბ—: რომელთა ზედა აწვმა ღმერთმან ცეცხლი და წუ ნ წ უ მ ა: გობრ.  
(აგ. ძეგ.) 173, 27 G. სხვა ხელნაწერებში: წუ ნ წ უ მ ა ა.

მ რ ო წ ე უ ლ ი: 2 შჯ. 8, 8 ლატ. (=ბროწეული).

შემდგომი ორი მაგალითი შეიძლება ობ და ომ სუფიქსების მონაცვლეობით  
ახსნას: და შევიდა იერემია სახლსა მას მღვმისასა შე ს ა წ ყ დ ო მ ე ლ ს ა:  
იერ. 37, 16 D (ოშკი), შე ს ა წ ყ დ ო ბ ე ლ ს ა<sup>2</sup>: J (იერუსალიმური).

შეიმოსეს გვრგვნი იგი მოწამეთა და უქნ ო მ ე ლ ი: ათან. (ებ. 8, 64.  
2 B). AC ხელნაწერებში კი არის: და უქნ ო ბ ე ლ ი<sup>3</sup>.

ბ—ს შენაცვლება ფართოდ არის გავრცელებული დღევანდელი ქართუ-  
ლის კილოებში, მაგალითად: კმილი (კბილი), უკმინა, ყმებსა (ყბებსა), შევაპით  
(შევაპით), სამპო (საბპო), ტკმილი (ტკბილი), კმოა (ხმოა), განწმილება (გაწმი-  
ლება) და სხვანი<sup>4</sup>.

პ—ფ: პ ა რ თ ი ნ ი ო ს: აპოკრ. 52, 24 AB, მაგრამ: ფ ა რ თ ე ნ ი ო ს:  
იქვე S.

ქსენებაჲ... ს ფ უ რ ი დ ო ნ კვარელ ეპისკოპოსისაჲ: კალენდ. 12, 10. შდრ.  
*memoria Spiridonis Cyprii episcopi*: იქვე.

მაგრამ ორივე შემთხვევაში შეიძლება პ-ს გაფშვინვიერებას კონკრეტული  
ფონეტიკური მიზეზი აღმოაჩნდეს: პირველში ეს იყოს ასევე ფშვინვიერი ო  
(მაშინ გვექნებოდა რეგრესული ასიმილაცია), მეორეში — სპირანტი ს (მაშინ  
საქმე გვექნებოდა პროგრესულ ასიმილაციასთან).

<sup>1</sup> ახალი აღთქმის 1963 წლის გამოცემაში იკითხება ფ ე ლ ო ნ ი. საბას ფილონი უწე-  
-რია, ნ. და დ. ჩუბინაშვილებს — ფილონი, ფ ე ლ ო ნ ი.

<sup>2</sup> ხელნაწერში ყოფილა შე ს ა წ ყ დ ო ბ ე ლ ს ა (?).

<sup>3</sup> მ. ძ ი ძ ი შ ე ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 87.

<sup>4</sup> ს. ე ლ ე ნ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 239.

უკვე აღნიშნულია ლიტერატურაში<sup>1</sup>, რომ შეიძლება პ-ს ტ-ც შეენაცვლოს: პ—ტ: თქუშული... ე ტ ვ ა ნ ე კ ვ რ ე ლ მ თ ა ვ ა რ - ე ბ ი ს კ ო ბ ო ს ი ს ა მ ა : ს ი ნ . 46, 2; შ დ რ . მ რ ა ვ . 260, 21, სადაც ე პ ი ფ ა ნ ე ი კ ი თ ხ ე ბ ა ; გა მო ვ ი ლ ე ს ე ტ ვ ა ნ ე და ტ რ ო ი ლ ე ჰ ა ტ რ ი კ ნ ი : კ ი მ . 1, 62, 27 OQ; H ხ ე ლ ნ ა წ ე რ შ ი ა რ ი ს ე პ ი ფ ა ნ ე ; წ ა მ ე ბ ა მ ... ე ტ ვ ა ნ ე ს ი : კ ა ლ ე ნ დ . 4, 9; ქ ს ე ნ ე ბ ა მ ... ე ტ ვ ა ნ ე კ ვ რ ე ლ მ თ ა ვ ა რ - ე ბ ი ს კ ო ბ ო ს ი ს ა ი ე რ უ ს ა ლ შ მ ე ლ ი ს ა მ : ი ქ ვ ე , 5, 12.

ქ ს ე ნ ე ბ ა მ ... ტ ა ფ ნ ო ტ ი ს ი : კ ა ლ ე ნ დ . 2, 4 (= პ ა ფ ნ ო ტ ი ს ი . შ დ რ . Paphnutii: ი ქ ვ ე ) .

წ ა მ ე ბ ა მ წ მ ი დ ი ს ა პ ო ლ ი კ ა რ ტ ო ე ბ ი ს კ ო ბ ო ს ი ს ა მ : კ ა ლ ე ნ დ . 2, 28 (ე . გა - რ ი თ ი თ . ი . ჯ ა ე ხ ი შ ე ი ლ ს ა და კ . კ ე ვ ე ლ ი ძ ე ს უ წ ე რ ი ა თ პ ო ლ ი კ ა რ პ ო ) .

შ ე ი ძ ლ ე ბ ა შ ე ნ ა ც ე ლ ე ბ ა ს ჰ ქ ო ნ დ ე ს ა დ გ ი ლ ი წ ი ნ ა ე ნ ი ს მ ი ე რ თ ა შ ე მ დ გ ო მ ს მ ო - ნ ა ც ე ლ ე ბ ა შ ი :

ქ ს ე ნ ე ბ ა მ ... ე ს ტ ა ტ ი ს ი : კ ა ლ ე ნ დ . 9, 24; 9, 25, მაგ რ ა მ : ქ ს ე ნ ე ბ ა მ ... ე ვ ს - ტ ა თ ი ს ი ე ე : ი ქ ვ ე , 9, 26.

გ ა ნ ე მ ზ ა დ ნ ე ს ბ რ ძ ო ლ ა დ ... ხ უ ა ს თ ა გ ი ს ა მ ა თ ი ს ა თ ვ ს : ს ი ნ . 273, 3, მაგ - რ ა მ : მ ი ს ც ა მ ა ს ხ უ ა ს ტ ა გ ი მ რ ა ვ ა ლ ი : S i n . 6, 109 r.

რ ა ც შ ე ე ხ ე ბ ა ტ — დ — ს ა და თ — დ — ს ი ს ე თ მ ო ნ ა ც ე ლ ე ბ ა ს , რ ო გ ო რ ი ც ა ა , ე რ თ ი მ ს რ ი ე : წ რ დ ი ა ლ ი ( ი ე რ . 14, 15 J; 16, 4 J) და წ რ ტ ი ა ლ ი ( ი ქ ვ ე O) . ზ ა დ ი კ ი ( შ უ შ . — ა გ . ძ ე გ . 28, 33 K) და ზ ა ტ ი კ ი ( ი ქ ვ ე , ს ხ ვ ა ხ ე ლ ნ ა წ ე რ ე ბ ი ) , დ ო მ ე ნ დ ი ( ი ს ტ . ქ რ . II, 94, 25 C) და დ ო მ ე ნ ტ ი ( ი ქ ვ ე B) , ე ვ - დ ო რ ო პ ი ს ი ( კ ა ლ ე ნ დ . 3, 3 = ე ე ტ რ ო ფ ი ს ი , შ დ რ . Eutropii: ი ქ ვ ე ) , და მ ე ო რ ე მ ს რ ი ე : მ ე ს დ უ ლ ე ( ი ე რ . 6, 9 J) და მ ე ს თ უ ლ ე ( ი ქ ვ ე O) , დ ა ი ს ხ ნ ა ი ნ ა - კ ი დ ( ე ვ ს ტ . — ა გ . ძ ე გ . 33, 21 A) და ... ი ნ ა კ ი თ ( ი ქ ვ ე , ს ხ ვ ა ხ ე ლ ნ . ) , შ ა - ბ ა დ ნ ი ( ი ქ ვ ე , 38, 3 A) , შ ა ბ ა დ ს ა ( ლ . 4, 31 C) და შ ა ბ ა თ ს ა ( ლ . 4, 31 DE) , ს ე მ დ ა კ უ რ დ ი თ ა ( ე ვ ს ტ . 41, 9 A) და კ ვ რ თ ი თ ა ( ი ქ ვ ე , ს ხ ვ ა ხ ე ლ ნ . ) , მ ც ხ ე დ ა ს ( ი ქ ვ ე , 45, 4 A) და მ ც ხ ე თ ა ე ( ი ქ ვ ე , ს ხ ვ ა ხ ე ლ ნ . ) , გ ა ნ დ ი ა დ ( ზ ე დ ა ზ ნ . — ა გ . ძ ე გ . 213, 25 ა ) და გ ა ნ თ ი ა დ ი ( ი . 18, 28) და ს ხ ვ ა ნ ი , — ა ს ე თ ი მ ო ნ ა ც ე ლ ე ბ ა ს ა მ ე ნ ი ე რ ო ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა შ ი ა ხ ს ნ ი ლ ი ა , რ ო - გ ო რ ც დ ი ს ი მ ი ლ ა ც ი უ რ ი გა მ ე ლ ე რ ე ბ ა და გა მო ყ ო ფ ი ლ ი ა სა კ უ თ ო რ ი ე ს უ ბ ს ტ ი ტ უ - ი ი ს ა ვ ა ნ <sup>2</sup> . ა მ ი ტ ო მ მ ა თ ა რ ც ჩ ე ვ ე ნ გ ა ნ ე ბ ი ლ ა ვ თ ა ქ .

უ დ ა ვ ო ს უ ბ ს ტ ი ტ უ ტ ი ა ყ ვ ე ლ ა ზ ე მ ე ტ ა დ ნ ა რ ნ ა რ ა ბ გ ე რ ე ბ შ ი გ ე ვ ე ლ ე ბ ა . ა ქ ბ შ ი რ ი ა ლ , რ , ნ - ს უ რ თ ი ე რ თ შ ე ნ ა ც ე ლ ე ბ ა . მ ა თ უ ე რ თ ლ ე ბ ა ა გ რ ე თ ვ ე მ - ც . ყ ვ ე ლ ა ე ს ბ გ ე რ ა მ ე ლ ე რ ი ა , მ ა შ ა ს ა დ ა მ ე , მ ა თ ი შ ე ნ ა ც ე ლ ე ბ ი ს ა ს ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა გა მ ე ლ ე რ ე - ზ ა - დ ა ყ რ უ ე ბ ა ზ ე ვ ი ლ ა პ ა რ ა კ ო თ : მ ე ლ ე რ ს ე ნ ა ც ე ლ ე ბ ა მ ე ლ ე რ ი ; ფ ი ზ ი ო ლ ო გ ი უ რ ა - დ ა ც ი ს ი ნ ი ა ხ ლ ო დ გ ა ნ ა ნ ე რ თ მ ა ნ ე თ თ ა ნ . ა ლ ს ა ნ ი შ ნ ა ვ ი ა ი ს გ ა რ ე მ ო ე ბ ა ც , რ ო მ ს ა - უ რ თ ი ე რ თ ო შ ე ნ ა ც ე ლ ე ბ ა ც ყ ვ ე ლ ა ზ ე მ ე ტ ა დ ა ქ ა ა გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ უ ლ ი .

ჩ ე ვ ე ქ ე ე მ ო თ წ ა რ მ ო ვ ა დ გ ე ნ თ მ რ ა ე ლ ი დ ა ნ მ ხ ო ლ ო დ რ ა მ დ ე ნ ი მ ე ს , უ ფ რ ო მ ე - ტ ა დ დ ა მ ა ხ ა ს ი ა თ ე ბ ე ლ შ ე მ ო ზ ხ ე ვ ე ა ს .

<sup>1</sup> ა . შ ა ნ ი ძ ე , ქ ა რ თ უ ლ ი გ რ ა მ ა ტ ი კ ი ს სა ფ ე ძ ე ლ ე ბ ი , გ ე . 22; მ ი ს ი ე ე : ს ი ნ უ რ ი მ რ ა - ვ ა ლ თ ვ ი 864 წ ლ ს ა , გ ე . 311. შ დ რ . გ . დ ე ე ტ ე რ ს ი , რ ო მ ე ლ ი ე ა ქ დ ი ს ი მ ი ლ ა ც ი ა ს ხ ე დ ა ე ს ( F r , N e i s s e r , S t u d i e n z u r g e o r g i s c h e n W o r t b i l d u n g , W i e s b a d e n . 1953, S. 21) .

<sup>2</sup> გ . ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი , ზ ო ვ ა დ ი ფ ო ნ ე ტ ი კ ი ს სა ფ ე ძ ე ლ ე ბ ი , გ ე . 227; მ ი ს ი ე ე : ზ ო ვ ა - დ ი ფ ო ნ ე ტ ი კ ი ს შ ე ს ა ვ ა ლ ი , გ ე . 181; ს . ე ლ ე ნ ტ ი , ქ ა რ თ უ ლ ი ე ნ ი ს ფ ო ნ ე ტ ი ა , გ ე . 231—235; მ . ძ ი ძ ი შ ე ი ლ ი , ფ ო ნ ე ტ ი უ რ ი პ რ ო ც ე ს ე ბ ი , გ ე . 79—80.



ლ—ნ: და იქმნა მახუილი იგი ლბილ, ვითარცა ცუ ინი: ისტ. ქრ. II, 64, 20 B; C-ში წარმოდგენილია ჩვეულებრივი ფორმა: ცუ ლი.

სულგრძელებით და ნიქნით: Sin. 11, 279 r, 4 ქვ. მაგრამ ამავე ტექსტის ეგვევ სიტყვა მეორე ხელნაწერში ლასით არის წარმოდგენილი: ლიქნით: Sin. 62, 72 va, 8 ქვ.

მარჯუნ ადგილსა მას: კომ. I, 258, 24; მარჯუნ ჩემსა არს: იქვე, 277, 29; მარჯუნ მდგომარემან: იქვე, 282, 24; ნუ მიაქცევ მარჯუნ გინა მარცხლ, არამედ ვილოდე გზასა საშოვალსა: Sin. 35, 145 va, 16; მიმოდაიხედვიდეს მარჯუნ და მარცხნ: წარტყ. 43, 14 (ორივე ხელნაწერში); ნუ აქცევ მისგან ნუცა მარჯულ, ნუცა მარცხნ: ისტ. ქრ. II, 93, 1 C.

მარჯულ და მარცხლ ფორმებში ლ (—ლ) სუფიქსია<sup>1</sup>, იგი ზმნიზებებს უნდა აწარმოებდეს: მარცხლ, მარჯულ, მსწრაფლ, მკვრცხლ. ეს ლ დისიპილიაციით უნდა იყოს მიღებული რ-საგან; შდრ. მკუეთ-რ, მგზავ-რ, მძლავ-რ, მკედ-რ, მწუხ-რ, მძოვ-რ და სხვა (მ პრეფიქსზე აქ არაფერს ვიტყვი). აი ასეთ ლ-ს ენაცლება აქ: მარცხლ—მარცხნ.

ხოლო ურჩებაა მოიხდის სიკუდილისა: S 36, 55 a, 4. „მამათა სწავლანის“ გამოცემულ ტექსტში (სამსავე ხელნაწერში) არის ძველი ქართულისა-თვის ჩვეულებრივი ფორმა სიკუდილსა (სწავ. 90, 29). ნ-ს ლ-სთან მონაცვლეობა ამ ფუძეში სხვაგანაც გვაქვს: სიკუდილი, მაგრამ მოაკუდიენს (ძ. 26, 59 C; 27, 1 C), სასიკუდინმ (მრ. 16, 18; ი. 11, 4), სასიკუდიენებელი და სხვა.

მოიყვანა იგიცა შენთანა ქორწინსა ანას: ტობია 9, 2. ძველ ქართულში ჩვეულებრივია ქორწილი (მ. 22, 2; ი. 2, 1 და სხვა), ნარიანი ფორმა რწვიათია. ზმნურ ფორმებში კი ნარი გვაქვს: იქორწინებთან და განჰქორწინებენ: ლ. 20, 34; იქორწინებოდეს და განჰქორწინებდეს: მ. 24, 38; ლ. 17, 27; არცა განჰქორწინებდენ, არცა იქორწინებოდიან: მ. 22, 30; არა შეჰკავს ქორწინება: მ. 19, 10<sup>2</sup>. თუმცა ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ზოგჯერ ზმნურ ფორმებშიც გვხვდება ლ: რამათა არა შეეხნენ ურთიერთას ვიდრე ქორწილებადმდენ: ОПИС. 156, 1ბ.

ვიღრემდის კულად შეაბრძულილ ასოა ასოსავე შენსა: სწავ. 35, 28 C; B-ში იკითხება: შეაბძვენო.

სახელში ძილ გვაქვს, მაგრამ ზმნურ ფორმებში (პირიანებსა და უპირიანებში) — ძინ: განიღძა იოსეფ ძილისაგან: მ. 1, 24 C; დამძიმებულ იყვნეს ძილითა: ლ. 9, 32... რამსა გძინავს: ლ. 22, 46; სიმონ, გძინავსა: მრ. 14, 37; ხოლო თავადსა ეძინა: მ. 8, 24; დაიძინეს კაცთა: მ. 13, 25; პოვნა იგინი მძინარენი: მ. 26, 40<sup>3</sup>.

ასევე გვაქვს სიცილი, მაგრამ ზმნურ ფორმებში აქაც ცინ გვხვდება: სიცილით და განცხრომით ჰზრაბაენ მათ: სწავ. 246, 27; რომელნი

<sup>1</sup> ა. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება, გვ. 28, 29, 55, 56 და სხვა, განსაკუთრებით გვ. 75—76.

<sup>2</sup> ს. ქლენტი, ქართული ენის ფონეტიკა, გვ. 239; მ. ძიძიშვილი, ფონეტიკური პროცეპები, გვ. 87.

<sup>3</sup> ს. ქლენტი, ქართული ენის ფონეტიკა, გვ. 239.

ი ც ი ნ ი თ აწ: ლ. 6, 25; რამეთუ ი ც ი ნ ო დ ი თ: ლ. 6, 21; შე ე ც ი ნ ი ნ და უწამწამებნ: სწავ. 246, 14.

ასევე სახელში ღასი გვაქვს აქაც: ყ ი ვ ი ლ ი, მაგრამ ზმნურ ფორმებში — წარი: ქათმის ყ ი ვ ი ლ ს: მრ. 13, 35 C; ვიდრე ქათმის ყ ი ვ ი ლ მ დ ე: მ. 26, 34 C; მრ. 14, 30 C; ვიდრე ქათმის ყ ი ვ ი ლ ა მ დ ე: მ. 26, 75 C; ვიდრე არღა ე ყ ი ვ ნ ა ქათამსა: მოქც. 139, 39 C (შატბერდული ნუსხა), მაგრამ ამ ტექსტის მეორე (4) რედაქციაში იკითხება: ვითარცა არღარა ე ყ ი ვ ლ ა ქათამსა: იქვე 4<sup>1</sup>. ეს ზმნა ასევე ორი სახით არის წარმოდგენილი ოთხთავის ტექსტშიც: ვიდრე არღა ე ყ ი ვ ნ ო ს ქათამსა: მ. 26, 75 და: არღა ე ყ ი ვ ლ ო ს ქათამსა დღეს: ლ. 22, 34 C.

ვერ გ ი ძ ნ ა ე ს ცხობებად: მოც. 15, 1 D. ამ ზმნის სანაცლოდ ვარიანტებში გვაქვს: გიძლავს, შემძლებელ ხართ, ძალ-გიც. მაშასადამე, აქ საქმე გვაქვს დღევანდელი შე გ ი ძ ლ ი ა ზმნის სინონიმებთან. საწყისი ღასიანი ფორმები ოთხთავშიც მოიპოვება: მ ი ძ ლ ა ე ს: ლ. 16, 3 C; გ ი ძ ლ ა ე ს, გ ვ ძ ლ ა ე ს: მ. 20, 22 C. ამ ტიპის წარმოება, როგორც ვხედავთ, აღიშნის ხელნაწერს ახასიათებს. იქვე არაა, გიძნავს—გიძლავს<sup>2</sup>.

გვაქვს შებრუნებული შენაცვლებაც:

ღედანი მათნი ზულენ ცმელსა, რაათა უქმნენ მს უ ლ ე ვ ა ნ ი ძალთა ცი-სათა: იერ. 7, 18 O; (J: მ ს უ ნ ე ვ ა ნ ი); უქმნით მას მ ს უ ნ ე ვ ა ნ ი: იერ. 44, 19 O (J: მსუნოანი).

რ—ლ: შემოვიდა ვეჟან ბ უ ზ მ ი რ: ეესტ. (აგ. ძეგ.) 34, 20, მაგრამ: ვეჟან ბ უ ზ მ ი ლ: იქვე A; ვეჟან ბ უ ზ მ ი რ ჰრქუა: იქვე, 35, 16, მაგრამ: ვეჟან ბ უ ზ მ ი ლ ჰრქუა: იქვე G; წინაშე ვეჟან ბ უ ზ მ ი ლ ი ს ა: იქვე, 34, 32 G.

ფ ი რ ტ ვ-ში (ექუსთ. 81, 34) რ-ს ჟერ კიდევ არ შენაცვლებია ლ.

რაც შეეხება ისეთ წყვილ ფორმებს, როგორცაა მ ა რ ტ ვ რ ი (აბო — აგ. ძეგ. 50, 27 E; 51, 9 E) და მ ა რ ტ ვ ლ ი (იქვე, სხვა ხელნ.), აქ აშკარაა ჩვეულებრივი პროგრესული დისიმილაცია, რომელიც ძველ ქართულში ჟერ კიდევ საბოლოოდ არაა გაბატონებული, ადგილი აქვს აღნიშნული ფორმების ხშირ პარალელურ ხმარებას.

გვხვდება შებრუნებული შენაცვლებაც:

ლ—რ: ღვნოღ და თა ფ რ უ ჯ ი არა ესუა: კიმ. II, 98, 9 C (A-ში გვაქვს ჩვეულებრივი ფორმა თა ფ ლ უ ჯ ი); შესცოდეს თა ფ რ უ ჯ ი თ ა... განკრთეს თა ფ რ უ ჯ ი ს ა თ ვ ს... შეიძრნეს მთრვალობითა თა ფ რ უ ჯ ი ს ა თ თ ა: ესაია 28, 7 O (ოშკი). იერუსალიმურ ტექსტში სამსავე შემთხვევაში ლ გვაქვს: თაფლუქითა, თაფლუქისათვს, თაფლუქისაათა<sup>3</sup>.

რ—ნ: მარადღე მ ყ უ ე დ ნ ი დ ე ს მე მტერნი ჩემნი: ფს. 101, 9 B. სხვა ხელნაწერებში გვაქვს ჩვეულებრივი ფორმა მ ყ უ ე დ რ ი დ ე ს. საყურადღებოა, რომ ამ სიტყვაში რ-ს ნ-ღ შენაცვლების გარდა ზოგჯერ ყ-საც ენაცვლება: მისი სათანადო ბგერინაცვალი (კ) და გვაქვს:

<sup>1</sup> ი. ქ უ რ ც ი კ ი ძ ე, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ტექსტისა და ენის საკითხები: „ფილოლოგიური ძიებანი“ (სელნაწერთა ინსტიტუტის გამოცემა), I, 1964, გვ. 72.

<sup>2</sup> მ. ძ ი ძ ა შ ე ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 87.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 88.

არამედ ჰქუედნიედ და აგინებდიან მას ყოველნი: კიმ. I, 206, 9; რა-  
ჯამს გღვენიდენ თქუენ და გქუედნიდენ: მ. 5, 11, ლაგ., ლატ.

საბა განასხვავებს ყუედრა (ყუედრება) და ქუედნა ფუძეებს, უკა-  
ნასკნელს იგი ხსნის, როგორც დაჩაგვრას, დაჯაბნას და იმოწმებს.  
(ქვედნა-სთან) სოფონიას 2, 8, მაგრამ მითითებულ ადგილას ოშკურსა და  
იერუსალიმურ ხელნაწერებში იკითხება: ყუედრებანი და აყუედ-  
რებდეს ერსა ჩემსა. ევექ არაა, აქედანაც ჩანს, რომ ქუედნა და ყუ-  
ედრა ერთი და იგივე ძირია, ოღონდ ფონეტიკური მოვლენის (ამ შემთხვე-  
ვაში შენაცვლების) შედეგად ცოტათი არის სახეშეცვლილი. ამასვე ამტკიცებს  
სახარების ზემოთ მოყვანილი ადგილის (მ. 5, 11) ზოგან გყუედრიდენ  
ფორმით გადმოცემა (CDE და სხვ.), ხოლო ზოგან მის ნაცვლად (გქუედნი-  
დენ ფორმის ხმარება (ლაგ., ლატ.). შინაარსი მათ, რა თქმა უნდა, ყველგან  
ერთნაირი აქვთ, ესაა: უპატიოდ ხსენება, ავად ხსენება, ლანძლვა, გინება,  
ИНОСИТЬ. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ერთ-ერთ ჩვენს მაგალითში ჰქუედ-  
ნიედ და აგინებდიან ერთმანეთის გვერდით გვხვდება. აქ ძველი ქარ-  
თულისათვის კარგად დამახასიათებელ სინონიმურ პარალელიზმთან გვაქვს  
საქმე.

თითქოს აქაც უნდა გვეჩინდეს შებრუნებული სახის შენაცვლება:

ნ—რ: პირველად განკუთვთა სვმონ მოგვ მაცთური და მაუცრებელი  
და მტბიერი: კიმ. I, 111, 22 C. მეორე ხელნაწერში გვაქვს მაუცრებელი,  
როგორც იგი გვხვდება ჩვეულებრივ ძველ ქართულში. იგი ნაწარმოებია უც-  
ნება-საგან, რომელიც აგრეთვე კარგადაა ცნობილი. ხოლო თვით უცნება  
და საუცარი, საუცრება კავშირშია ერთმანეთთან აქაც ნდარბგე-  
რების შენაცვლება უნდა გვეჩინდეს, თუმცა არაა გამორიცხული მათი მორფო-  
ლოგიური კვალიფიკაცია.

ქვემოთ მოყვანილ ორ მაგალითში ნ—რ-ს შენაცვლება შეიძლება დისიმი-  
ლატიითაც აიხსნას:

და მისა ზევე სპარსთა მეფისა მარზაპარნი შემოვიდეს სივნიეთა:  
მოქც. (აგ. ძეგ.) 91, 39 C = შატბ. გამოცემაში გასწორებულია: მარზაპანნი.  
თუ ეს შენაცვლება მხოლოდითშიც იქნებოდა (მარზაპარი), მაშინ გვექნებოდა  
ჩვეულებრივი სახის შენაცვლება, მაგრამ თუ ეს მარზაპარნი მხოლოდ  
მრავლობითში გვაქვს, მაშინ შეიძლებოდა დისიმილაცია ყოფილიყო მისი სა-  
ფუძველი: მარზაპანნი—მარზაპარნი.

ხარკსა ქუეშე მათსა გუემულნი და დაქერჯნილნი: აბო (აგ. ძეგ.)  
50, 11 E. სხვა ხელნაწერებში გვაქვს: ქენჯნილნი, დაქენჯნილნი, დაქენჯნანი.  
ჩანს, ქერჯნ—ქენჯნ. ეს შენაცვლება შეიძლება მომდევნო ნ-ს ბრალი  
იყოს: ნ...ნ—რ...ნ (დისიმილ.).

ნ—მ: ნამდვლვე ვთქუ ეგე: შუშ. (აგ. ძეგ.) 24, 20 GH. სხვა ხელნა-  
წერებში ვარიანტებად გვაქვს უფრო ძველი ნანდვლვე; ნამდვლვე:  
მოქც. 87, 20 4. ოთხთავის ენაში, რა თქმა უნდა, ნარიანი ფორმები გვაქვს:  
ნანდვლვე აღდგა უფალი: ლ. 24, 34 DE (C: ნანდვლ); ნანდვლვე  
კაცი ესე მართალ იყო: ლ. 23, 47 C. ასეა ძველი ქართულის სხვა ძეგლებშიც.

<sup>1</sup> ხელნაწერში იკითხება: ნამდოლვე. მთავარია, რომ ფუძეში მ გვაქვს და არა ნ.

ამიტომ ცხადი უნდა იყოს, რომ ნანდვლევ—ნამდვლევ<sup>1</sup>. ნ ა ნ დ ვ ი ლ ა დ  
დღესაც იხმარება გურულ კილოში.

ქრისტიანს წამების ტექსტში გვაქვს სახელი უ რ ბ ა ნ ო ს: 186, 35; 187,  
24 // უ რ ბ ა ნ ე 187, 2, 8, მაგრამ ერთ ადგილას იკითხება: არქვთ ...უ რ ბ ა -  
ძ ო ს: 185. 25.

წარიდეს... ფ ე შ ხ უ ე ნ ე ბ ი და ფუცხუები: იერ. 52, 18 J; ოშკისაში  
გვაქვს მანიანი ფორმა: ფ ე შ ხ უ ე მ ე ბ ი. სახარების ტექსტებში (მრ. 6, 28)  
ზოგან მანი გვაქვს — ფ ე შ ხ უ ე მ ი თ ა (AF), ზოგან — ნარი — ფ ე შ ხ უ ე ნ ო  
თ ა (BCDEGHK).

ენ ო ნ ი — ე ნ ო მ ი: მუნ იყო იოჰანეცა ე ნ ზ ნ ს: ი. 3, 23 C (ენოსს D,  
ენუსს E), მაგრამ: სიელტოლით მიიწიე, წმიდაო, ე ნ ო მ ს: თთუენი: ეტ. VIII,  
39, 26. შღრ. ბერძნ. ღვ Αὐτῶν.

მოგუცემდეს ჩუენ ათექუსმეტსა უ მ კ ი ა ს ა პურსა და უ მ კ ი ა ს ა  
მზარსა და ქესტსა წყალსა: აპოკრ. 70, 14. სიტყვა მომდინარეობს ბერძნული-  
დან (ὄνυξ; ლათ. unctia), ამიტომ უნდა გვეჩონოდა უ ნ კ ი ა, როგორც  
ეს გვაქვს სხვა ადგილას: რომელსა აქუნდა ათ-ათი უ ნ კ ი ა მ სასწოროთ:  
კომ. II, 155, 32; საკმლად მისა იყო ორი უ ნ კ ი ა მ პური და სასუმლად — ორი  
უ ნ კ ი ა მ წყალი: კომ. I, 162, 9; 163, 15—16). მაშასადამე, უნკია—უმკია:  
მ—ნ<sup>2</sup>.

მ—ლ: ქსენებაჲ ...ა ლ ფ ი ა ნ მ ს ი: კალენდ. 4, 2; 6, 13 = ამფიანქსლ.. შღრ.  
memoria Amphiani. შესაძლებელია აქ ამ ბგერების მონაცვლეობას დისიმილა-  
ცია ედოს საფუძვლად: მფ—ლფ.

ბოლოს დავეჩნთ, რომ ლ, რ, მ, ნ ბგერების ურთიერთშენაცვლება ფართოდ  
არის გავრცელებული საშუალოსა და ახალ ქართულშიც<sup>3</sup>.

ძველ ქართულში ძალზე ხშირია ზ და ძ ბგერების საურთიერთო შენაცვლე-  
ვა. პირველს (ზ—ძ) აფრიკატიზაციას ეძახიან, მეორეს (ძ—ზ) — ღეზაფრიკატი-  
ზაციას. განვიხილოთ ისინი ამ რიგით.

ზ—ძ: ზ რ ა ხ — ძ რ ა ხ: გან ი ძ რ ა ხ ე ვ ლ Sin. 11, 115 v, 8; Sin. 35,  
70 vb, 11; გან ი ძ რ ა ხ ვ ი ლ დ: ისტ. ქრ. II, 54, 21; ძუირსა გან ი ძ რ ა ხ -  
ე ი ლ ე ნ Sin. 35, 43 ra, 3 ქვე; გან ე ი ძ რ ა ხ ე Sin. 11, 5 v, 12; გან ი ძ რ ა -  
ზ ა: ისტ. ქრ. II, 52, 39; გან ი ძ რ ა ხ ე ს Sin. 35, 23 rb, 9 ქვე; გან ი ძ რ ა -  
ზ ო Sin. 11, 5 v, 9; გან ი ძ რ ა ხ ე ა ს ა: ისტ. ქრ. II, 58, 40 (შღრ. განმზრახველ-  
თა: იქვე, 58, 22); გ უ ლ ი ს-ძ რ ა ხ ე თ ა: იქვე, 75, 21; გულის-ძრახვად  
დგა: Sin. 11, 22 v, 1; თ ა ნ ა-მ ძ რ ა ხ ე ა ლ ს ა: ისტ. ქრ. II, 68, 23; თ ა ნ ა -  
მ ი ძ რ ა ხ ე ა ლ ო ბ ნ ე ლ ს ა ო: Sin. 11, 3 v, 3 (შღრ. თანა-მზრახველმან: ისტ.  
ქრ. II, 69, 15); გან გ ა ძ რ ა ხ ე ბ: თარგმ. გამოცხ. 3, 18A (შღრ. განგაზრა-  
ხებ: იქვე BC); მ ა ძ რ ა ხ ე ბ ე ლ ს ა Sin. 11, 6 v, 1; მ ძ რ ა ხ ე ა ლ ნ ი:  
იქვე, 9 v, 5; ძ რ ა ხ ე ბ ი თ ა: იქვე, 35 v, 12; ჰ ძ რ ა ხ ა ე Sin. 35, 39 ra, 9;

<sup>1</sup> ც. ქუ რ ც ი კ ი ძ ე, დასაბელებული ნაშრომი, 71—72; შღრ. ალ. კინკარაული.  
ხეცურელის თვისებურებანი, 1962, გვ. 15.

<sup>2</sup> ც. ქუ რ ც ი კ ი ძ ე, ქართული გვერსიები აპოკრიფებისა მოციქულთა შესახებ. გვ. 054.

<sup>3</sup> გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, გვ. 228; ა. მარტო-  
როსოვი, საერო მწერლობის ძველებას ფონეტიკური თვისებებზე: იკე, VI, 1951,  
111—112; ს. ელენტი, ქართული ენის ფონეტიკა, გვ. 238—239.

ძ რ ა ხ ა ე ნ Sin. 11, 293 v, 1; აზო (აგ. ძეგ.) 60, 17 C; ჰ ძ რ ა ხ ე ი ღ ა : Sin. 11, 7 r, 2; უ ძ რ ა ხ ა ე Sin. 35, 41 vb, 5; ძ ვ რ ს ა გ ვ ძ რ ა ხ ე ე ნ Sin. 35, 101 r, 3 ქვე; ძ უ ი რ ს ა უ ძ რ ა ხ ე ე ნ : ე ბ . ა ნ ტ . 28, 4; 36, 4; 38, 11; ' ძ რ ა ხ ე ე ა მ Sin. 11, 35 r, 11 (შდრ. ზ რ ა ხ ე ა : ისტ. ქრ. II, 57, 18); Sin. 35, 87 va, 4 ქვე; ძ რ ა ხ ე ი თ ა Sin. 11, 35 r, 5; ძ რ ა ხ ე ა ნ ი : ი ქ ვ ე , 9, v, 3; ძ ვ რ ი ს - ძ რ ა ხ ე ი ს ა : ი ქ ვ ე , 17 v, 6 ქვე.

ზ ო რ ვ ა — ძ ო რ ვ ა : რ ა მ თ ა უ გ ე ბ ღ ე ნ ღ მ ე რ თ თ ა მ რ ა ვ ლ ი თ ა ძ ო რ ვ ი თ ა : Sin. 11, 34 v, 14.

ზ ო გ — ძ ო გ : ა რ ც ა გ ა ნ ძ ო გ ე ბ ა მ ა ნ ა ს ო თ ა მ ა ნ ... გ ა ნ მ ა შ ო რ ო ნ მ ე ს ი ე უ რ ა უ ლ ს ა ღ მ რ თ ი ს ა ს ა Sin. 11, 168 r, 13 (= ა ლ წ . 175, 17).

ზ ვ ნ — ძ ვ ნ : ხ ო ლ ო კ ა რ ა ბ ი ი გ ი შ ე კ რ ი ბ ე ს და შ ე კ რ ე ს ე რ თ ი - ე რ თ ა და შ ე - კ რ ი ბ ნ ე ს ყ ო ვ ე ლ ნ ი და ძ ვ ნ უ ლ ს ა მ ა ს ზ ე და ს ი ვ რ ც ე ს ა ნ ა ვ თ ა ს ა : Sin. 11, 396 r, 3 (შდრ. და ზ ვ ნ ე ს ზ ე და - კ ე რ ძ ო ნ ა ვ თ ა და შ ე კ რ ე ს ზ ე და - კ ე რ ძ ო ს ა ბ ლ ი თ ა : ი ქ ვ ე , 395 v, 8—6).

ზ ა ხ — ძ ა ხ <sup>1</sup> : რ ო მ ე ლ ი ღ ი ღ ა დ ღ ი ძ ა ხ ე ბ ს Sin. 11, 324 r, 7 ქვე; ი ძ ა ხ ე ბ ღ ა : ი ქ ვ ე , 8 v, 8 (მაგრამ: მეყსეულად და ი ზ ა ხ ნ ა , ვ ი თ ა რ ც ა ლ ო მ მ ა ნ , უ ქ ე თ უ რ მ ა ნ მ ა ნ : ი ქ ვ ე , 46 r, 8; ა ღ ი ზ ა ხ ა ვ ი თ ა რ ც ა ლ ო მ მ ა ნ : ი ქ ვ ე 317, r, 2 ქვე; ლ ო მ ი ს ა ზ ა ხ ე ბ ა ე : ი ქ ვ ე , 325 r, 10; ზ ა ხ ე ბ ი თ ს ი ე უ ღ ი ღ მ ი ძ ს წ რ ა - ფ ა : ი ქ ვ ე , 7 r, 4).

ს ი ზ მ ა რ — ს ი ძ მ ა რ : <sup>2</sup> ს ი ძ მ ა რ ს ა მ ა ს შ ი ნ ა : Sin. 35, 38 vb, 4.

ზ ე წ ა რ — ძ ე წ ა რ : ი ხ ი ლ ა კ ა ც ი ვ ი ნ მ ე შ ე უ ნ ი ე რ ი მ ო ბ ლ ა რ დ ნ ი ლ ი ძ ე წ - რ ი თ ა ს პ ე ტ ა ც ი თ ა : მ ე ს უ ე ტ . 25, 3 (გ ა რ ი თ ი ს გ ა მ ო ც .; ვ ა რ ი ა ნ ტ შ ი ზ ე წ რ ი თ ა ყ ო ფ ი ლ ა : კ . კ ე ქ ე ლ ი ძ ე , ე ტ . VIII, გვ. 380); მ ა ს ვ ი ს მ ე ძ ე წ ა რ ნ ი ა ს ხ ე ნ : ს წ ა ვ . 265, 23 C (A: ზ ე წ ა რ ნ ი).

ბ ე ლ ზ ე ბ უ ლ — ბ ე ლ ძ ე ბ უ ლ : ს ა და მ ა მ ა ს ა ბ ლ ი ს ს ა ბ ე ლ ძ ე ბ უ - ლ ი თ ხ ხ ა ღ ო დ ე ს ; მ . 10, 25 V, ბ ე რ ზ ე ბ უ ლ ი თ CDE; ს ხ ვ ა გ ა ნ გ ვ ა ქ ე ს ბ ე ლ ზ ე ბ უ ლ ი : მ . 12, 24 C; 12, 27 C; მ რ . 3, 22 C; ლ . 11, 15, 18, 19CD.

ზ ღ ვ ე ვ ა — ძ ღ ვ ე ვ ა : რ ა თ ა ე ს ე ვ ი თ ა რ ი თ ა მ ს ა ხ რ ე ბ ი თ ა უ კ უ მ ო უ ძ - ღ ო მ წ უ ხ ა რ ე ბ ა ს ა ძ მ ა თ ა ჩ ე მ თ ა ს ა : ა ს უ რ . 115, 17 C; ს ხ ვ ა ხ ე ლ ნ ა წ ე რ ე ბ შ ი : უ კ უ - მ ო უ ზ ლ ო .

ბ ო რ ზ ო — ბ ო რ ძ ო : ხ ო ლ ო ... ბ ო რ ძ ო და პ ე რ ო ზ ა კ ... გ უ ლ ს - მ ო ღ გ ი - ნ ე ღ ... ღ გ ე ს : ე ვ ს ტ . (აგ. ძეგ.) 33, 18 C; ს ხ ვ ა ხ ე ლ ნ ა წ ე რ ე ბ შ ი : ბ ო რ ზ ო , ბ ო რ - ზ ო მ , ბ ო ზ რ ო . უ კ ა ნ ა ს კ ნ ე ლ მ ა გ ა ლ ი თ შ ი მ ე ტ ა თ ე ზ ი ს ი გ ვ ა ქ ე ს , მ ა გ რ ა მ ზ კ ი ძ ა ნ ე ტ ა რ ი ს .

ზ ე და ზ ა დ ე ლ — ზ ე და ძ ე ლ : წ მ ი ღ ა მ ე პ ი ს კ ო პ ო ს ი ა ბ ი ბ ო ს ნ ე კ რ ე ს ე - ლ ი და ნ ე ტ ა რ ი ი ო ა ნ ე ზ ე და ძ ე ლ ი : ა ბ ი ბ . (აგ. ძეგ.) 247, 7 CDEFHL; ს ხ ვ ე ბ - შ ი : ზ ე და ზ ა დ ე ლ ი ; მ ო წ ა თ ე ნ ი ... ი ო ა ნ ე ზ ე და ძ ე ლ ი ს ა ნ ი : ი ქ ვ ე , 247, 11 CEFHL; ს ხ ვ ე ბ შ ი ა ქ ა ც : ზ ე და ზ ა დ ე ლ ი ს ა ნ ი .

მ ა რ ზ ა პ ა ნ — მ ა რ ძ ა პ ა ნ : ვ ი თ ა რ წ ა რ ე მ ა რ თ ე ბ ო რ ა მ ა რ ძ ა პ ა ნ ი ი გ ი : ე ვ ს ტ . (აგ. ძეგ.) 33, 33 AB; ს ხ ვ ა ხ ე ლ ნ ა წ ე რ ე ბ შ ი : მ ა რ ზ ა პ ა ნ ი ; მ ა რ - ძ ა პ ა ნ ი ს ა მ ი ს ჯ მ ნ ა ღ მ ო ვ ი ღ ე ს : ი ქ ვ ე , 33, 33 A; ს ხ ვ ე ბ შ ი ა ქ ა ც : მ ა რ ზ ა პ ა ნ ი

<sup>1</sup> ა . მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი , დასახ. ნაშრომი, გვ. 108.  
<sup>2</sup> ს . ე ლ ე ნ ტ ი , დასახ. ნაშრომი, გვ. 237 (=მენთ.).

სა; წინაშე ვეყან ბუზმირ მარძაპნისა: იქვე, 35, 15 A; სხვებში: მარ-  
ჯაპნისა, მარჯაპანისა; ბრძანებამ მარძაპნისაჲ: იქვე, 33,  
25 A; სხვებში: მარჯაპანისა.

ბზარ—ბძარ: ერთი მხრივ, გვაქვს: დაკბზარეიდეს Sin. 11,  
282 r, 3 ქვ.; დაბზარნეს: ისტ. ქრ. 62, 5; დაბზარენ Sin. 11, 278 v, 4;  
ვანბზარონ: იქვე, 313 r, 3 ქვ.; დაიბზარნეს: ისტ. ქრ. 50, 9; და-  
პზარვამ: იქვე, 59, 13. ხოლო, მეორე მხრივ, გვხვდება: დაკბძარნეს  
თავნი მათნი: კოლაელ. 113; ეზოჲ კრეტსაბმელისაჲ მის დაებძარი სისრი-  
თა: რაეახ 81, 26; მახვლმან ჩემმან კორცნი შენნი და ძუალნი დაბძარნეს:  
პარხ. 614 a; და კორცნი წულილ-წულილად დაებძარნეს ძეძუსა მას:  
შუშ. 8, 19; ყინელითა და ნიავისაგან დაიბძარვოდეს კორცნი მათნი:  
კილ-ეტრ. 106 v; ბრძანა... კორცთა მისთა დაბძარვამ: პარხ. 613, a; იწყო  
დაბძარვად თავსა თვსსა ფრჩხილითა: სვან. 288 a; ვიხილე ხატი მისი  
დაბძარული: შუშ. 7, 12; გხედავ შენ შიშუელსა და კორცთა შენთა დაბ-  
ძარულითა: პარხ. 612 a.

ასევე ხშირია ამ ბგერათა შებრუნებული შენაცვლებაც:

ძაზ: ტაძარ—ტაზარ: ტაზარსა Sin. 11, 1 v, 3; 179 r, 9; 197 r,  
2 ქვ.; 205 v, 11; 210 r, 9; ტაზრით: იქვე, 210 r, 1 ქვ.; ტაზრად: იქვე,  
41 r, 11; 72 v, 4; 103 v, 11 ქვ.; 210 r, 4; 210 v, 2; ტაზრები: იქვე, 101 r, 7;  
182 r, 3; ტაზართა: ისტ. ქრ. II, 84, 5, 18; ტაზრისაჲ Sin. 11, 100 v,  
14; ტაზრისასა: აბო (აგ. ძეგ.) 71, 7 C.

თეძო—თეზო: ისტ. ქრ. II, 92, 6 B; 94, 31 B.

განძარცუა—განზუარცა: მაშინ განიზუარცა მან სა-  
მოსელი მისი: Sin. 11, 298 r, 6. შდრ. რამთა განვიძარცო შიში: იქვე,  
298 v, 15. განიზუარცა-შე აღსანიშნავია აგრეთვე უმარცვლო უ-ს წინ  
გადმოსმა.

ანდერძ—ანდერზ: ანდერზი Sin. 35, 134 rb, 6; Sin. 11, 61 v, 14;  
ანდერზსა Sin. 11, 62 r, 3 ქვ.; ანდერზისა: იქვე, 62, r, 11; მცნე-  
ბაჲ ანდერზისაჲ Sin. 11, 61 v, 8 ქვ.; ანდერზობა-ყო: 4 მეფ. 3, 6.

მძლუარ—მზლუარ: დედათა წინა-მზლუარი: Sin. 35, 265 ra,  
10 ქვ.; 265 rb, 20; უღირს წინა-მზლუარსა მას, რამთა...: იქვე, 145 va, 16;  
მამათა წინა-მზლუარსა: იქვე, 264 vb, 1 ქვ.; წინა-მზლუარისა:  
იქვე, 265 rb, 18; დედათა წინა-მზლუარისა: იქვე, 265 ra, 10 ქვ.; 265 rb,  
5 ქვ.; წინა-მზლუარეებითა: იქვე, 266 va, 18.

ბარძიმ—ბარზიმ: ბარზიმი: Sin. 97, 262 ra, 1; 263 ra, 2; 263 rb,  
9, 263 va, 2; 264 rb, 5; 264 va, 1; 264 vb, 18 (ბაზიმი); 265 ra, 10; ბარზი-  
მისა: იქვე, 262 ra, 7; ბარზიმიითა: იქვე, 261 vb, 17; 262 va, 1. იქვე  
გვხვდება (ერთადერთ შემთხვევაში) ძილიანი ფორმაც: ბარძიმიითა:  
262 vb, 6.

ძუინ—ზუინ: დეღვანი განმზუინებულისა ზღუისანი: ეპ.  
იულ. 1, 13 ლატ.

ძლოლა—ზლოლა: წინა უზლოდა მას... ნეტარი დავით: ასურ.  
160, 24 C.

გ (რ) ძე — გ ზ ე ლ : ს უ ლ — გ ზ ე ლ ე ბ ა ს ა ლ მ რ თ ის ა ს ა თ ა ვ ს — უ ლ ე ბ ი ე ს ღ ა თ მ ე ნ ა ლ : გ ო ბ რ . ( ა გ . ძ ე გ . ) 178, 18 B.

ძ რ წ — ზ რ წ — ზ რ ზ : ვ ი თ ა რ ი ხ ი ლ ე ს მ ღ ღ ე ლ თ ა მ ა თ ღ ა მ თ ა ვ ა რ თ ა , შ ე ძ რ წ უ ნ დ ე ს ღ ა შ ე ე ღ ვ ა ზ რ ზ ო ლ ა მ : Sin. 11, 183 r, 9. აქ ორი ფონეტიკური თოვლენა ერთად გადახლართული: პირველად უნდა მომხდარიყო ზ-ს შენაცვლება ძ-სთან: ძ რ წ ო ლ ა მ — ზ რ წ ო ლ ა მ , ამის შემდეგ კი — სრული დისტიციური პროგრესული ასიმილაცია: ზ რ წ ო ლ ა მ — ზ რ ზ ო ლ ა მ . ამ სიტყვის ამნაირი ფორმა სხვაგანაც გვხვდება, მაგალითად: დაეიცევ და შემძირწუნდა გული ჩემი კმისაგან ლოცვისა ბაგეთა ჩემთაჲსა და შეეღვა ზ რ ზ ო ლ ა მ ძ უ ა ლ თ ა ჩ ე მ თ ა : ა მ ბ ა კ უ მ 3, 16 ( პ ა რ ი ზ . გ ა მ ო ც . ) ; გ ა ლ ო ბ . ( ფ ს . ) 4, 16. გ . მ თ ა წ მ ი ღ ღ ა ს რ ე ღ ა ქ ( ი ა შ ი ა რ ის ს ა წ ყ ის ი ფ ო რ მ ა ძ რ წ ო ლ ა მ ( ნ . ზ ე მ ო თ ა ს ი მ ი ლ ა ც ი ა , გ ვ . 52) .

ზ-ს იშვიათად ენაცვლება ხ; გვხვდება შებრუნებული პროცესიც: ხ—ზ. ეს უკანასკნელი უფრო ხშირია ძველ ქართულში.

ზ—ხ: მ ს ა კ უ ე ა რ ნ ო : ლ . 12, 56 C. ი ა ვ ე C-ში სხვა ორ ადგილას ( მ . 22, 18 C; მ რ . 12, 15 C) სწორი მ ზ ა კ უ ე ა რ ნ ო : ი კ ი თ ხ ე ბ ა , ხ ო ლ ო D E-ში ყველგან სხვა ფუძე გვაქვს — ო რ გ უ ლ ნ ო .

გაცილებით მეტია, როგორც ვთქვი, ხ—ზ-ს შენაცვლების მაგალითები. ეს მოსდის ოს ( ო ს ) დაბოლოებიან ბერძნულ სახელებს, რომელნიც ძველ ქართულში ხან ხ-თია გადმოცემული, ხანაც ზ-თი. თვით ერთი და იგივე სახელი ერთსა და იმავე ხელნაწერში ორგვარად არის წარმოდგენილი. დაეასახელებ მრავლიდან სიორედს:

ხ—ზ: ობედიანოს	B	ობედიანოზ	S	კიმ. I,	33,6
პიროს	O	პიროზ	H	"	71,2
ეპისკოპოს	O	ეპისკოპოზ	Q	"	74,31
კვროს	B	კვროზ	C	"	109,15
არიოს	B	არიოზ	C	"	111,20
ალფიანოს	AB	ალფი(ა)ნოზ	S	აპოკრ.	44,12
მარკელეოს	B	მარკელეოზ	A	"	48,15
ანთიპატოს	B	ანთეპატოზ	A	"	69,15
ნიკოდემოს	C	ნიკოდემოზ	B	მრავ.	268,24
გორპიოს	H	გორპიოზ	C	"	271,27
სქოლასტიკოს	A	სქოლასტეკოზ	B	გულანდ.	226,29
პეტროს	AC	პეტროზ	B	გურია,	106,15
პამფილიოს	AC	პამფელიოზ	B	"	" "
აფრილიანოს	A	აფრელიანოზ	B	"	106,21
ლიოკლეტიანოს	A	ლიოკლეტიანოზ	C	"	104,10
კლემენტოს 1, 24		კლემენტოზ 1, 23		კალენდ.	
ბაქოს 9, 9		ბაქოზ 4, 11; 12, 22		"	
პატრიკიოს 5, 19		პატრიკიოზ 5, 19		"	
ტრაქოს 7, 19		ტრაქოზ 6, 27		"	
პრობოს 6, 27		პრობოზ 9, 28		"	
ფილეთეოს 94, 6		ფილეთეოზ 99, 15		ეტ. VI და	სხვა.

ბერძნულიდან შემოსული ამგვარი სიტყვების მართლწერა ჩვენს ენაში დღესაც არაა ერთნაირად დაკანონებული: არის მათემატიკოსი, ფიზიკოსი, ფილოსოფოსი, კვიროსი, მაგრამ: ანგელოზი, ნიკოლოზი (=ნიკოლაოზი). რომანოზი, ლონგინოზი. ამიტომ სრულებით არაა გასაყვირი, რომ თავიდანვე ასეთი რყევა და ყოყმანი იყო ბერძნული გ-ს ქართულად გადმოტანისას.

ზოგჯერ ს—ზ-ს შენაცვლება შემოსული სიტყვების შიგ ფუძეშიც ხდება, მაგალითად: ვ ა რ ს ქ ე ნ — ვ ა რ ზ ქ ე ნ: შუშ. (აგ. ძეგ.) 11, 15 A; 14, 7 A; 16, 19 A; 17, 7 A; მ ე ლ ქ ი ს ე დ ე კ ი ს ს ა, მაგრამ: მ ე ლ ქ ი ზ ე დ ე კ ი ს ს ა C: მრავ. 280, 33; მ ე ლ ქ ი ზ ე დ ე კ ი ს ი: კალენდ. 8, 8; ს ა რ დ ი ს ა A B, მაგრამ: ზარდისა C: თარგმ. გამოცხ. 3, 1.

შ—ს: კ შ ე ა — კ ს ე ა: დაჰქს ა ე თ სასუფეველსა ცათასა: მ. 23, 14 C (D-ში შინიანი ფორმაა: დაჰქკ ა შ თ. ოთხთავში სხვაგან ყველგან შ გვაქვს: დაჰქკ ა შ კ არ ი შენი: მ. 6, 6; დაჰქკ შ ა ს კ არ ი: ლ. 13, 25; და ე კ შ ა კ არ ი: მ. 25, 10; და ე კ შ ე ს ც ა ნ ი: ლ. 4. 25; კ არ ი და ე კ შ ე ლ ა რ ს: ლ. 11, 7; შეეიდა იესუ კართა დაქშულთა: ი. 20, 26); დაჰქს ა... კიდობანი იგი: დაბ. 7. 16 ლაგ.; კ არ ნ ი და ქ ს უ ლ ი ყ ე ნ ე ს: ი. 20, 19 (სინ. ლექც.); და ი შ ი ე რ (ა რ ს) მ ო კ ს უ ლ: თუალთ. 17, 14; რ ა ე ა მ ს შე ი მ უ ს რ ნ ე ნ ს ა ქ ს ე ე ლ ნ ი ი გ ი ბ ე თ ა ჯ ო რ ხ ე თ ი ს ა ნ ი: უღაბნ. 40 rb.

ს-ს ჰ-სთან შენაცვლება დადასტურებულია ე. წ. დედის ბგერებით დაწყებულ ზმნებში, რომლებიც ჰაემპეტი ფორმებისაგან მომდინარეობენ: მიჰცეეს — მი ს ცეეს (მ. 14, 11), მიჰდევდა — მი ს დევედა (მრ. 2, 14), ჰქკამთ და ჰსუამთ — სქკამთ (შქკამთ) და ჰსუამთ (მრ. 2, 16), ჰტირთ, ჰძინავეს — სტირთ, სძინავეს (მრ. 5, 39), დაჰცხრა — დასცხრა (მრ. 6, 51) და მრავალი სხვა. ასეთ შენაცვლებას ისტორიულს უწოდებენ<sup>1</sup>.

ჟ—ჯ: უყუეთუმცა არა მეშინოდა მეფეთა პატრიქისაგან, არცამცა ესე გაიძულე შენ ყოფად: Sin. 11, 63 v, 6 ქვე; არამედ შეეშინა პატრიქისაგან ღმრთისაჲსა: იქვე, 181 r, 11 (შდრ. პატრიქისა მისგან: იქვე, 103 v, 8 ქვე).

თანამედროვე ცოცხალ მეტყველებაშიც პატრიქი ისმის. ამიტომ, რომ აღნიშნული ფორმა თითქმის ყველა დიალექტში გვხვდება<sup>2</sup>. ერთი კია, რომ პატრიქი ძველად განსხვავებული მნიშვნელობისა იყო (დასჯას, სასჯელს აღნიშნავდა), მაგრამ მაინც ფუძე იგივეა. ჟ-სთან ჟ-ს შენაცვლების ნიადაგზე. ე. ი. ჟ-ს აფრიკატიზაციის საფუძველზე ხსნიან უჯარმა (—უჯარმა) ფორმის არსებობას; ძველ ქართულ ტექსტებში ორივე მათგანი გვხვდება<sup>3</sup>.

<sup>1</sup> ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 22.  
<sup>2</sup> ა. ჩიქობაია, გარე კახეთი დიალექტოლოგიურად: არილი, 1925, გვ. 70; გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, გვ. 228; მისივე: ზოგადი ფონეტიკის შესავალი, გვ. 179; ა. მარტიროსოვი, საერო მწერლობის ძეგლების ფონეტიკური თვისებებზე: იქვე VI, 1954, 112—113; ს. ულენტი, ქართული ენის ფონეტიკა, გვ. 237; მ. ძიძიშვილი, ფონეტიკური პროცესები, გვ. 82 და სხვ.  
<sup>3</sup> ც. ქურციკიძე, „მოქცევა ქართლისაჲს ტექსტისა და ენის საკითხები“: ფილოლოგიური ძიებანი, I, 1964, გვ. 73.



ერთი იგი მიეც სალომეს უქარმელსა, ...და აღჰმართოს იგი უქარმას ქალაქსა: მოქც. (აგ. ძეგ.) 150, 35, 37; ამისა შემდგომად მეფობდა დაჰი უქარმელი: იქვე, 93, 37 (ეს ფორმები ორივე რედაქციაშია). მაგრამ: მცხეთა და უქარმა: ქართლ. ცხ. I, 128, 1; დასუა იგი უქარმას: იქვე, 71, 1; აღმართოს უქარმას ქალაქსა: იქვე, 121, 14 და სხვ.

ც—წ: შუშანიკი იწამა წორტავს: მოქც. (აგ. ძეგ.) 94, 27 წ. წორტავს=უტრავს. ც უ რ ტ ა ვ ს მოგვეპოვება C რედაქციაში.

წენაცვლება აგრეთვე ჭ-საც შემდეგს მაგალითში:

ჭ—წ: ზლუასა შინა შთაქდიან მეყურწუმენი, რაჲთა აღმოიღონ მიერ ძოწი იგი მრავალ-სასყიდლისაჲ; სწავ. 191, 6 B. AC-ში გვაქვს ჭარიანი ფორმა: მეყურჭუმენი. მეყურჭუმე (მეყურწუმე) „მყუინ-იავს“ ნიშნავს. დღევანდელი ჩაყურყუმალება ამ ძველი ფორმის შთამომავალი უნდა იყოს.

უფრო ხშირია უქანანისმიერი ბგერების შენაცვლება.

კ—გ: ვითარ ტოზიგი იგი გარდაიკადეს: ევსტ. (აგ. ძეგ.) 31, 1 D; სხეებში: ტოზიკი.

ქსენებაჲ... წმინდისა აგაკისი: კალენდ. 3, 22; 5, 10; 11, 3, მაგრამ: ქსენებაჲ... აკაკისი: იქვე, 7, 7; ქსენებაჲ... აკაკიოს მოწამისაჲ: იქვე, 11, 21.

არის უბრუნებული შენაცვლებაც:

გ—კ: რომელსა ეწოდების ებრაელებრ მაკედონ: თარგმ. გამოცხ. 16, 16 C. AB-ში იკითხება მოსალოდნელი მაგედონ. შდრ. ბერძნ. Ἀμαγεδών.

გ—ღ: ამ ბგერათა შენაცვლება ქართული მასალიდან გვხვდება გოდება ფუძეში:

აღიღეს ადგილსა, რომელსა სალოდებელ ეწოდების: აბო (აგ. ძეგ.) 73, 3 ADEF... სხეებში: საგოდებელ [არის აგრეთვე: სალუდაბელ (=სალოდებელ), საუდაბელ]¹.

უცხო ენათაგან (უმთავრესად ბერძნულიდან) მომდინარე სიტყვებში ბერძნული ყ-ს გადმოსაცემად ხშირია გ-სა და ღ-ს პარალელური ხმარება: თესლისაგან გაღისა BC, მაგრამ: ღადისა A: თარგმ. გამოცხ. 7, 5.

ქსენებაჲ... აგაკისი: კალენდ. 3; 6; 3, 23; 9, 20; 11, 22, მაგრამ: ქსენებაჲ... აღაკისი: იქვე, 2, 5; 3, 23; 3, 24; 4, 1; 4, 17; 10, 24; 11, 14.

კ—ქ: მისცა მას პური კელითა თვისითა უსპეტაქეს თოვლისა: პარხ. 694 b.; აქითგან ორთა სხუათა დაიპყრეს ქათალიკოზობაჲ: მოქც. 94, 17 წ. C-ში გვაქვს ჩვეულებრივი ფორმა ქათალიკოზობაჲ.

ძველ ქართულ ტექსტებში გვხვდება სხვა მაგალითები, როცა ერთმანეთს ენაცვლება კ—გ, გ—ჭ, კ—ტ, ჭ—ხ, ჭ—კ და სხვები, მაგრამ ახლა მათზე ველარ შევჩერდებით.

უფრო მრავალფეროვან და საინტერესო შემთხვევებს წარმოგივლიდგენს ლ, ყ, ხ, კ ბგერების შენაცვლებანი. ისინი უმეტესად საურთიერთოა და აღმოცე-

¹ მ. კიძიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 88.

ნებულა მხოლოდ ქართული ენის მონაცემებზე (წინა შემთხვევებში გამოყენებულია უცხო ენების მასალებიც).

ხშირად ენაცვლება ერთმანეთს ყ და ქ.

ყ—ქ: მექსეულად ვიქმენ სულითა: გამოცხ. 4, 2 A; თარგმ. გამოცხ. 4, 2 A (BC-ში: მეყსეულად); წარვიდეს ივინი მექსეულად: Sin. 6, 104 v, 4; მაშინ მექსეულად... მისია მას ხუასტაგი: იქვე, 109 r, 15; მექსეულად შირბიოდა იგი ერთსა სენასა: იქვე, 110 v, 8 ქვ.; მექსეულად განვიდა არაწმიდა იგი სული მისგან: იქვე, 111 r, 11; მექსეულად დაადგრა იერაკის პირუტყუად: იქვე, 114 v, 8 ქვ.; მექსეულად აღდა ქაბუკი იგი განცობლებული: იქვე, 115 v, 14. მაგრამ აქვე გვხვდება თავდაპირველი ფორმაც: მეყსეულად განვიდა არაწმიდა იგი სული მისგან: იქვე, 112 v, 7 ქვ.; მეყსეულად აღიხლა მან: იქვე, 116 v, 7. ამ ბეგრების ასეთი შენაცვლება ხშირია ძველ ქართულ ენაში<sup>1</sup>.

ზემოთ, რ—ნ-ს შენაცვლებასთან დაკავშირებით (გვ. 123—124), მოყვანილი იყო ქუედნა ზმნის მაგალითები. მაგრამ რადგანაც ამავე ზმნაში არის აგრეთვე ყ—ქ-ს შენაცვლებაც, იძულებული ვართ აქაც გავიმეოროთ იგივე მაგალითები: არამედ ქქუედნიედ (=ჰყუედრიედ) და ავინებდიან მას ყოველნი: კიმ. 1, 206, 9; რაჟამს გდევნიდენ თქუენ და გქუედნიდენ (=გყუედრიდენ): მ. 5, 11 ლაგ., ლატ. [ქუედნა და ყუედრა (ყუედრება) ფუძებთან დაკავშირებული შენიშვნები ნ. ზემოთ, გვ. 124].

გულიხმაყავ: 1 მეფ. 25, 35.

ქირმან ანუ იწროებაჲან, დვენამან ანუ სიკმილმან, ურვამან ანუ მართილმან: Sin. 11, 4 r, 4 ქვ. (=სიყმილმან).

როგორც აღნიშნული გვქონდა, გვაქვს შებრუნებული შენაცვლებაც:

ქ—ყ: და იცხო ნელსაცხებელი ყშირი: ივდით 10, 3; ყშირად: უდაბნ. 55 vb; რაჟამს კეთილად შეიღვნოს გული ამნონისი ყშირიად: 2 მეფ. 13, 28.

არასადა და ყშობილ იყო მთრვალობითა: თულთ. 61, 23; ღრმათა უფსკრულთაგან და ყშობილსა მას მძინარებასა გონებისასა განაღძებდა<sup>2</sup>: უდაბნ. 51 va.

დაემკვდარნეს... ქუბათა და ყურელთა ქუეყანისათა: ასურ. 38, 10 A (სხვებში: კურელთა).

ქ—ხ: ქარს ხანი კანტიკუნტად თვით ძველ ქართულშივე ენაცვლებოდა. ზემდეგ ეს პროცესი ფართოდ მოედო ჩვენი ენის მთელ ფრონტს და დღეს იგი სალიტერატურო ენაში დასრულებულია, თუმცა მთის კილოებში ქარი ჭერ კიდევ განაგრძობს სიცოცხლეს (მომე ენათაგან იგი ურყევდა და ცული სვანურში, მეგრულ-ქანურმა კი დიდი ხანია დაკარგა).

ქ რწნა ფუძე ძველ ქართულში პარალელური ფორმებითა წარმოდგენილი: არის ქ რწნა და არის ხ რწნაც. ამასთან ამ შენაცვლებაში არავითარი კანონზომიერება არაა დაცული. სინურ მრავალთავში, მაგალითად, ყველ-

<sup>1</sup> შლრ. ზ. სარჩველაძე, ძველი და საშუალო ქართულის ფონეტიკის ზოგიერთი საკითხი: „მაცნე“. 6, 1969.

<sup>2</sup> შლრ. ზ. სარჩველაძე, დასახელებული ნაშრომი.

გან ქარიანი ფორმა იხმარება: განკრწნა (მან იგი) 4, 22; განკრწნილებისა-  
გან 60, 7; განკრწნადსა 33, 11; განკრწნადნი 51, 13; განსაკრწნელი 50, 29; გა-  
ნუკრწნელად 35, 16; უკრწნელი 13, 5; უკრწნელსა 10, 4; 10, 21; უკრწნელად  
203, 13; უკრწნელებისა 10, 20; 12, 37 და სხვანი. არის მხოლოდ ორი გამოწე-  
ლისი, როცა ამ ფუძეში ქ-ს ხ ენაცვლება: უხრწნელი 201, 36 და უხრწნელად  
203, 10. სხვა ხელნაწერთაგან, როგორც უკვე ვთქვით, ერთი და იგივე ფორმა  
ზოგში ქარით არის მოცემული, ზოგში — ხანით, მაგალითად: განკრწნადი და  
განხრწნადი: აბო (აგ. ძეგ.) 76, 1; კრწნილი C და ხრწნილი B: მრავ. 273, 26;  
უკრწნელად C და უხრწნელად B: იქვე, 281, 25; კრწნილებისა S და ხრწნილე-  
ბისა AB: აპოკრ. 47, 11; განიკრწნების AB და განიხრწნების C: სწავ. 158, 25;  
უკრწნელება A და უხრწნელება BC: სწავ. 217, 19 და ბევრი სხვა<sup>1</sup>.

როგორც ცნობილია<sup>2</sup>, ს და შ ბგერების წინ ქარი უნდა იყოს, ხოლო შემ-  
დეგ — ხ: კსნა, კსონა, საქსარი, დაქსვა, ქსენება... ჯშირი, ნაქშირი, დაქშვა, მაგ-  
რამ: სხივი, სხალი, სხლე, სხუა, სხეული, სხუება, სხეპა, სხული, მსხუერპლი,  
დასხმა... ძირითადად ამავე წესს ემორჩილება ნასესხები სიტყვებიც. ამიტომ  
მოულოდნელია, როცა გვხვდება ხ ს ე დ ი და არა კ ს ე დ ი: აჰა ესერა კაცი  
ამკედრებული ცხენსა ზედა ხ ს ე დ ს ა: ზაქ. 1, 8 O (წ: წითელსა); ეტლსა მას  
პირველსა ცხენნი ხ ს ე დ ნ ი და ეტლსა მას მეორესა ცხენნი შავნი: ზაქ. 6,  
2 JO; და ს ხ ე დ ნ ი იგი გამოვიდოდეს და მიმოიმსტრობდეს მიმოსლვად ქუეყა-  
ნისა: ზაქ. 6, 7 JO. თუ ეს გარემოება სხვა რაიმეთი არ არის გამოწვეული, შესაძ-  
ლებელია აქაც შენაცვლებასთან გვექონდეს საქმე (თუმცა ხ-ს მეზობლობაში ამის  
დაშვება ძნელია).

ასევე მოსალოდნელი იყო ვაკში, ვაკშამი (ვაკშმობა), პიტიაქში, მაგრამ  
გვაქვს კი: ვახში, ვახშამი (ვახშმობა), პიტიახში:

ვეცხლის მოყუარეთა არა დაუტყვევს აღნადგინებისა ვ ა ხ შ ი მოლებად:  
სწავ. 64, 8; აღმდგინებდა ჩუენ აღნადგინებისა მის ვ ა ხ შ ს ა: სინ. 42, 21;  
კმა არს ჩუენდა ვ ა ხ შ ი ს ა ც ა განტეკება: ლიმ. 81, 1; და მოვედ მე და  
ვ ა ხ შ ი თ უ რ თ ვქმენ იგი: ლ. 19, 23 C.

და დაიყენა იგი, რაჲთა ი ვ ა ხ შ მ ო ს მის თანა: ისტ. ქრ. II, 90, 27.  
პ ი ტ ი ა ხ შ ი: შუშ. (აგ. ძეგ.) 11, 6; 14, 20; 20, 19; პ ი ტ ი ა ხ შ მ ა ნ:  
იქვე, 12, 9; 20, 14; პ ი ტ ი ა ხ შ ს ა: იქვე, 19, 15; ხოლო მაქსიმილიანე იყო  
ქ მ პ ი ტ ი ა ხ შ ი ს ა ა და უმთავრესი მათსა: ისტ. ქრ. II, 105, 20.

აქაც ზომ არა გვაქვს კ—ხ-ს ძველი შენაცვლება?

არის შებრუნებული შენაცვლება:

ხ—კ: ამის ცნობილი მაგალითია გ უ ლ ი ს ხ მ ა და გ უ ლ ი ს კ მ ა, გ უ-  
ლ ი ს ხ მ ი ს-ყ ო ფ ა და გ უ ლ ი ს კ მ ი ს-ყ ო ფ ა. მაგალითად: შეყუარებად  
იგი ყოვლითა გულისხმის-ყოფითა: მრ. 12, 33 E, მაგრამ: გულისკმის-ყოფი-  
თა D (Cში არის: გულისკმითა); გულისხმა-ყო მ. 12, 14 E, მაგრამ: გულისკმა-  
-ყო: იქვე CD; გულისხმა-ყვეს მ. 16, 12 E, მაგრამ: გულისკმა-ყვეს: იქვე CD;

<sup>1</sup> ამ რიგის ფაქტები განხილული აქვს ზ. სარაჯველაძეს [ქ და ხ გრაფემათა და  
(3) და (ბ) ფონემათა ურთიერთმიმართებისათვის: ორიონი, 1967].  
<sup>2</sup> ვ. თ. ო. ფ. რ. ი. ა, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, III, კ და ხ სიბილანტ  
აფრიალებთან მეზობლობაში: საქ. არქივი, 1927, II.

გულისხმა-ყონ მ. 13, 15 E, მაგრამ: გულისხმა-ყონ: იქვე CD და სხვ. ამ საგანზე ჩვენ წხვადან უფრო ფართოდ გვაქვს მსჯელობა<sup>1</sup> და აქ სიტყვას აღარ განვადგობთ.

მსგავსი შენაცვლება გვაქვს აგრეთვე იმავე ხუმა ფუძის ფორმებში: ყოველნი კაცნი მოიკუმბიდეს უძღურთა და სნეულთა მათთა ტაძრად: კიმ. I, 114, 21 C; B-ში იკითხება სწორი მოიხუმბიდეს; და მიერ გამოიკუნა საიდუმლონი იგი ღმრთეებისანი: კიმ. I, 104, 21 C; B-ში აქაც ხანი გვაქვს: გამოიხუნა; შეიპყრეს იგი კაცთა მათ მის ქალაქისათა და აღმოუტუნეს მას თულანი. და შემდგომად თულთა აღმოკუმბისა ასუეს მას წამალი იგი საცთურებისამ: ამოკრ. 21, 13—14 E. D ხელნაწერში (H 341) ისევ ხანიანი ფორმებია: აღმოუხუნეს და აღმოხუმბისა. ბოლოს ისმის კითხვა: ეს ხ-სა და ქ-ს ჩვეულებრივი შენაცვლებაა? ხომ არა გვაქვს აქ ხუნეა და კუმბევა ფუძეების აღრევა?

არა ესმინ კმა მსაკრვალისა კელონისამ: სახისმეტყ. 24, 19. თუ აქ რაიმე უნებური შეცდომა არაა (სახრვა და მსახრველი ხანით იხმარება: მოვალინნე თქვენ ზედა გუელნი მომსრველნი, რომელთა მიმართ არა არს სახრვა: იერ. 8, 17), ამ შემთხვევაშიც ხ-ქ-ს შენაცვლებასთან უნდა გვეკონდეს საქმე.

ყ—ხ: სახუარელნო: ებ. ანტ. 11, 19; 18, 23; 19, 11.

მაგრამ გვაქვს აგრეთვე შებრუნებული შენაცვლებაც:

ხ—ყ: რაჟამს-იგი წარკდეს საღობაჲ და მწუყარებაჲ და სულ-თქუ-მანი: ებ. ანტ. 30, 27.

თუ ორივე რიგის შენაცვლება უბრალო შეცდომის შედეგი არაა და ნამდვილად ასეა ხელნაწერში (ჩვენ კი ეჭვი გვეპარება), იგი მეტად საყურადღებოა ამ ბგერათა ბუნების გარკვევისათვისაც.

ღ—ყ: რამთა იყუწიდეს მისთუის ერისთავი იგი ყოველთა მოწამეთაჲ: Sin. 11, 297 r, 12 (წ-ს ბრალი ხომ არ არის?).

და ნათელ-ეყო სისხლითა ჩემითა: Sin. 11, 298 v, 7 ქე.

ხ—ღ: ერთსა გუშნაკ ჰრქვან და ერთსა ბაღდიად: ევსტ. (აგ. ძეგ.) 32, 18 C; ბაღდიად ეშმაკეულ იქმნა: იქვე, 34, 15 D. სხვა ხელნაწერებში გვაქვს ჩვეულებრივად მოსალოდნელი ფორმა ბახდიად (ზოგჯერ აგრეთვე ბახტად). სხვა მაგალითების გვერდით შეგვეძლო აქაც ხ-სა და ღ-ს შენაცვლება დაგვენახა, თუმცა აქ ასიმილაციის გავლენაც არაა გამორიცხული.

ასეთია ძველი ქართულის შენაცვლების მასალები. რა შეიძლება დასკვნის სახით ითქვას?

ძველი ქართულის ტექსტებში, ყველგან მეტ-ნაკლები რაოდენობით, გვხვდება სუბსტიტუციის ზემოთ აღნიშნული ტიპების მაგალითები. თითქმის ყველა საუკეთესო ხელნაწერი შეიცავს ამა თუ იმ სახის საკმაო რაოდენობის ნიმუშებს. რასაკვირველია, როგორც მოსალოდნელი იყო, ზოგში ასეთი მაგალი-

<sup>1</sup> ი. იმნაიშვილი, სინური მრავალთავის ზოგიერთი ფონეტიკურ-ორთოგრაფიული თავისებურება: თბილ. უნ. შრომები (ფილოლოგიურ შეცნიერებათა სერია), ტ. 93, 1960, გვ. 54—60.

თები ერთობ ბევრია, ზოგში — შედარებით ნაკლები. მაგრამ საერთოდ ყველგან გვხვდება. ირკვევა, რომ იმდროინდელი სალიტერატურო ქართული (რამდენადაც ეს ამ ხელნაწერების მიხედვით ჩანს) შედარებით ახლო ყოფილა სალაპარაკო ენასთან, რომ მასში ასე მკაფიოდ ასახულა ცოცხალი, ხალხური ენისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური მოვლენები, კერძოდ — სუბსტიტუცია.

მეორე მხრივ, აშკარა ხდება, რომ შენაცვლებათა ის ტიპები და კონკრეტული მაგალითები, რომლებიც დამახასიათებელი იყო ძველი ქართულისათვის, არსებითად ასევე გადმოეცა ახალ ქართულს: დღევანდელი ცოცხალი სალაპარაკო ენისათვისაც (დიალექტების სახით რომ არის ცნობილი) იგივე მოვლენებია დამახასიათებელი და დღესაც იმავე კონკრეტულ მაგალითებს ვხვდებით (მასკვლავი, ძრახვა, დაპატიჟება, ნანდვილი, გაზარცვა და სხვ.). ასე რომ, ამ მხრივ, ძველი ქართულიდან დღევანდლამდე დიდი ფონეტიკური ცვლილებები არ მომხდარა და (თანხმოვანთა) სუბსტიტუციაც არსებითად იმავე ხასიათისა დარჩა. ესაა მხოლოდ, რომ ძველ ქართულში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სალიტერატურო ენა უფრო ახლო იდგა ცოცხალ ხალხურ მეტყველებასთან, რის გამოც ამ უკანასკნელის ნიმუშებს უფრო ფართოდ ჰქონდათ კარი გაღებული სალიტერატურო ენაში<sup>1</sup>, დღეს კი ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური მოვლენები დიალექტშივე რჩება, მათ მაგრად აქვთ კარი დახშული და კელარ აღწევს (ან ნაკლებად აღწევს) საერთო სალიტერატურო ქართულამდესხვანაირად რომ ვთქვათ, დღევანდელი სალიტერატურო ქართული უფრო მოწესრიგებულია, ვიდრე ძველი ქართული იყო, სამაგიეროდ ძველი სალიტერატურო ქართული (რამდენადაც იგი შედარებით ნაკლებად მოწესრიგებული იყო) უფრო ახლო იდგა ცოცხალ სასაუბრო ენასთან. სწორედ ამის გამოა, რომ მასში ასე უხვად ვხვდებით ხალხური ენისათვის დამახასიათებელ კრელ ფონეტიკურ მოვლენებს. ✓

<sup>1</sup> ამ დებულებას, სხვათა შორის, ისიც ადასტურებს, რომ ძველ ქართულში არსებითი სხვაობა არ იგრძნობა, ერთი მხრივ, ცნობილი ლიტერატურული ძეგლებისა და, მეორე მხრივ, ხელნაწერთა ანდერძებისა და შინაწერების ენას შორის.

## 7. შერწყმა

შერწყმა ეწოდება ორი ბგერისაგან ერთის წარმოშობას მათი შეერთების ნიადაგზე (ა. შანიძე). ქართულში შერწყმის საფუძველზე მიღებული ახალი ბგერა ჩვეულებრივ სხვაა, ე. ი. ერთმანეთს ერწყმის ორი სხვადასხვა ბგერა და ვლენობობთ მესამე (სხვა) ბგერას.

შეიძლება თანხმოვანი შეერწყას თანხმოვანს და მივიღოთ ახალი თანხმოვანი (თ+ს=ც: ათ-სამ-მეტი—აცამეტი). ასეა მიღებული სხვა აფრიკატებიც, რომელთა პირველი შემადგენელი ნაწილი ხშულია, მეორე — სპირანტი: ძ=ღ+ზ; წ=ტ+ს; ჩ=თ+შ; ჯ=ღ+ქ; კ=ტ+შ<sup>1</sup>. ხოლო როდესაც ერთმანეთს შეერწყმის ხმოვანი და თანხმოვანი, შედეგად ვლენობობთ ხმოვანს (ტ+ა=ო: ხაჭუა—ხაჭო). ძველ ქართულში ერთი გვხვდება და მეორეც (პირველი ხშირად, მეორე — ნაკლებ). განვიხილოთ მოკლედ ისინი ცალ-ცალკე.

### თ+ს—ც

ათ-სამ-მეტი—აცამეტი: წელთა ჰერაკლეს მეფობისათა ათცამეტი ს: წარტყ. 64, 33 J; სამეოც და მეცამეტესა წელსა წმიდისა საბაძისა: კიმ. II, 178, 27; ქსენებაჲ... მოწამეთა ოცდაცამეტთაჲ: კალენდ. 5, 27; ქსენებაჲ... ოცდაცამეტთაჲ მოწამეთაჲ: იქვე, 11, 7.

ზოგჯერ თ და ს შერწყმულია და ც-დ არის ქცეული, მაგრამ ამასთან ერთად თ-ც არის წარმოდგენილი (ეტყობა, ხსოვნა არ გამჭრალა, რომ ამ რიცხვის საბუნებში თ-ც უნდა იყოს, როგორც შემადგენელი ნაწილი): დაასრულა ოთხმეოც და ათცამეტი წელი: კიმ. II, 207, 24; ორმეოც და მეათცამეტესა წელსა ნეტარისა საბაძისა: კიმ. II, 153, 26; უწინარჲს ათცამეტი სა წლისა ჟამთა: კიმ. II, 182, 27; აღესრულა... მამაჲ ჩუენი ევთჳმი თუესა მისისა ათცამეტსა: ცხ. ეფთ. 114, 2<sup>2</sup>.

ერთსახე—ერთახე: თავთავი გინა ერთახე, ყოველივე შეკრებულ და აქა დამიწერია: აღწ. 1, 8 ქვ.; ნიავე ერთახე გრილი: ლიტ. ქრ. 29, 30; იხილნე ნესტუნი იგი ცკლისანი ექუსყურნი, არა ერთახე (ერთახედ A) განქურეტილნი: უძვ. რედ. 114, 6.

ც-ს იძლევა აგრეთვე ძ-სა და ხ-ს შეერთება. ეს მოვლენა ძველ ქართულში ძალიან გავრცელებულია და საყოველთაოდ არის ცნობილი<sup>3</sup>. მაგალითები:

<sup>1</sup> გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, გვ. 39—40, 84, 101.

<sup>2</sup> BD ხელნაწერებში ეს რიცხვი ციფრებითაა გამოხატული (ი-ჯ) და ჩვენი მიხედვისათვის არ გამოკვადდება.

<sup>3</sup> შეიძლებოდა აქ ასეთი გზაც დავუშვა: ძს—ცს—ც (ქერ ასიმილაციური დაყრუება და შემდგომ დისიმილაციური დაკარგვა).

საქმეა მიც (— მიძს): საქ. წიგ. II, 40, 2; საქმეა გიც (— გიძს): იქვე: ამა ესერა დირე გიც თულსა შენსა: მ. 7, 4 C; რააცა გიც, განყიდე: მრ. 10, 21 C; არარაა ზრუნვაა გიც ვისთვისე: მრ. 12, 14; მცირედი ყამი უც (— უძს) მას: გამოცხ. 12, 12; უძღურ არს და ძალი არა უც დადგომად წინაშე შენსა: ისტ. ქრ. II, 9, 39; მას ძალი არა უც და უძღურ არს: იქვე, 17, 19.

ასეთია აგრეთვე ამ ფუძით შედგენილი რთული ზმნები: ძალ-მიც ესე ყოფად: მ. 9, 28; ვერ ძალ-მიც ვედრებად: მ. 26, 53; ძალ-მიც ღარღუევად ცაძარი ესე: მ. 26, 61; ვერ ძალ-მიც აღდგომად: ლ. 11, 7; საქმედ არა ძალ-მიც: ლ. 16, 3; ვერ ძალ-მიც ყოფად: საქ. წიგ. II, 128, 5.

ძალ-გიც განწმელაა ჩემი: მ. 8, 2; ვერ ძალ-გიც ეამ ერთ მღვძარებად ჩემ თანა: მ. 26, 40; რაა ძალ-გიც, შემეწიე ჩუენ: მრ. 9, 22; ვერ ძალ-გიც სიტყუათა ჩემთა სმენად: ი. 8, 43; არაა ძალ-გიც ტვრთვად აწ: ი. 16, 12; ეგრეთცა აწ ძალ-გიც: საქ. წიგ. II, 144, 25; სიტყუს-გებად ვერ ძალ-გიც: ლარგმ. გამოცხ. 2, 25; ვერ ძალ-გიც ტვრთვად უკეთურთა მათ: გამოცხ. 2, 2; ვერ ძალ-გიც მიყვანება მისი სახლდ: ბალ. 54, 20; ძალ-გიცა შესუმად სასუმელი: მ. 20, 22.

თავისა თვისსა ვერ ძალ-უც ცხოვნებად: მ. 27, 42; ძალ-უც ღმერთსა: ლ. 3, 8; ვერ ძალ-უც აღდგომად: ლ. 11, 8 C; რომელთა ვერცა ხედვად ძალ-უც: გამოცხ. 9, 20; ძალ-რაამე-უც კერპთა მათ თქუენთა: საქ. წიგ. II, 24, 7.

არა ძალ-გვც სხუაა რაამე ყოფად: საქ. წიგ. II, 132, 12.

უნებელი ზედა-მაც მისლვად და ხილვად: ლ. 14, 18; მემცა ზედა-მაც ეგე ყოველი: საქ. წიგ. II, 129, 25; ზედა-აც ჩემი შენსა ამას მოყუასსა მწირსა: იქვე, 118, 19; ხოლო მას ზედა-აც მოწყალება: მოქც. (ისტ. ქრ. I) 274, 31.

ზრუნვაა ამისი და გამოკითხვაა თანა-მაც: ისტ. ქრ. II, 68, 36; თანა-მაც. რაათა გეზიარო კირთა შინა ამის სოფლისათა: ბალ. 15, 4; აწ მეცა თანა-მაც. რაათა განუქდე ბრძოლად მტერსა: აბო (ისტ. ქრ.) 193, 26; აწ თანა-მაც მოღუაწება შენი: ხანძთ. (ისტ. ქრ. I) 261, 21; მომეც მე, რააცა თანა-გაც: მ. 18, 28; რაოდენი თანა-გაც უფლისა ჩემისა: ლ. 16, 5; თანა-გაც უკუე. რაათა სდევნიდეთ მათ: თარგმ. გამოცხ. 2, 20; თანა-გაც პატივი თავისა შენისა: ბალ. 5, 6; თანა-ხაც კორციელთაცა მსახურებად მათა: პრომ. 15, 27 (ისტ. ქრ. I, 22); თანა-აც ძესა კაცისასა მიცემად კელთა კაცთა ცოდვილთასა: ლ. 24, 7 C; შჭულისა ჩუენისაებრ თანა-აც სიკუდილი: ი. 19, 7; შენდა თანა-აც ყოველთა თაყუანის-ცემამ: თარგმ. გამოცხ. 4, 11; თანა-გუაც თქუენი ღუწა: ხანძთ. (ისტ. ქრ. I) 246, 14; თანა-გუაც, რაათა ვყოფილ ყოველი შრომამ ჩემი: ბალ. 52, 26.

მაგრამ ზოგჯერ დავიწყებულია, რომ ამ ფორმების ბოლოკიდური ც ძ-სა და ს-ს (მესამე სუბიექტური პირის ნიშნის) შერწყმითაა მიღებული და სიზუსტისათვის ს, ნ პირის ნიშნებს ისევ უმატებენ:

ზედა-ღებად ზედა-მაცს: Sin. 35, 176 ra, 13; რომელსა თანა-აცნ ასი ღრაპკანი და მოიქსენის მან თანა-ნადები იგი მოსესხისა, რომელსა აცნ: იქვე, 176 va, 11; ვითარცა-იგი ვის უნებლიათ ზედა-აცნ კიდებად ათი მოდი იფქლი<sup>1</sup>: იქვე, 176 va, 3; ვერ ძალ-მიცნ კამად იგი: იქვე, 210 ra, 12; ვერ ძალ-გიცნ მსახურებად: იქვე, 211 va, 2.

<sup>1</sup> იფლი ხ.

აქ მოყვანილი 6 მაგალითიდან 5 აწმყოს ხოლმეობითია, რომელიც, როგორც ცნობილია, აწმყოს ფუძეზე ნ-ს დართვით იწარმოება (მხ. რ.). ამ ნარების დართვა აქ გამოწვეულია ძლიერი სურვილით, რომ თვალნათლივ გამოჩნდეს ხშირად განმეორებული მოქმედება, ე. ი. (აწმყოს) ხოლმეობითის მწკრივი.

თ + შ — ჩ

ათშზდმეტო — აჩზდმეტო: ფსალმუნი ას და მეჩზდმეტე (მე-ჩუიღმეტე შ): წარტყ. 46, 19; და არს... აღსრულებამ მისი თთუესა ოკ-ღონბერსა ათჩზდმეტსა: შუშ. 20, 5 (ათშზდმეტსა K: აგ. ძეგ. 29, 2).

ამ მაგალითში, როგორც ზემოთ განხილულ ზედამაცს, ძალ-მ იცნ ფორმებში, აფრიკატში (ჩ) ორგანულად შემავალი თ ცალკეც არის წარმოდგენილი.

სუთშაბათი — ხუჩაბათი: დღესა ხუჩაბათსა: იერ. განჩ. 57, 59.

ჩვეულებრივ ვარაუდობენ, რომ ასეთსავე შედეგს იძლევა ამ ბგერების შებრუნებული რიგით შეხვედრა (შ+თ—ჩ) და მაგალითად ასახელებენ შთა, შთამო ზმნისწინთა ჩა და ჩამო-დ შეცვლას. მაგრამ ამ ბოლო დროს ეს მოსაზრება საეკვიოდ არის ქცეული: აფრიკატის პირველი შემადგენელი ნაწილი უეჭველად ხშული უნდა იყოს, სპირანტი — უეჭველად მეორეო. ხოლო თვით მოვლენის ახსნა ასეა ნაგულისხმევი: შთ—შჩ (ასიმილაცია)—ჩ (ჩეგრესული დაკარგვა). ეს ახალი მოსაზრება, რომელიც ზ. სარაქველაძეს ეკუთვნის<sup>1</sup>, უეჭველად ანგარიშგასაწევიცა.

ჩვენ აქ სათანადო ტრადიციული მაგალითების მოყვანით დაკმაყოფილდებით: ვითარ ჩავიდოდა იგი ქვეად: ცხორ. ეფრ. 92, 6; და ჩავიდეს მდინარედ წმიდად იორდანედ: კიმ. I, 4, 10; ევედრებოდა, რაჟთა ჩაიყვანონ ეკლესიად: იქვე, 172, 10; დადრეკილ იყო ზურგი ფრიად, ვიდრემდის თავი მისი მუკლთა შუა ჩაჩრილ იყო (ჩაედრიკა L); იქვე, 211, 25; ნებოთა ღმრთისაჟთა ჩაუთქდა (ჩაუსქდა C) ზედა ქუაბსა მას და ჩაუცთა (B) ფერკი იგი ვნებული აქლემსა განპებულსა მას: ისტ. ქრ. II, 95, 21.

ვეშაბი... ჩამოვიდა მთისა მისგან: ლიმ. 19, 14; ლოდი ყელსა ჩამოქკიდონ: Sin. 11, 202 v, 8 ქვე; იგი ქარტამ ჩამოიქსნა და... კედლისაგან ჩამოიქსნა: კიმ. I, 81, 7, 8.

უ + ა — ო

ახალი ქართულის დიალექტებში განსაკუთრებით გავრცელებულია ვ-სა (უშემტესად—ჟ) და ა-ს შერწყმა, რომელიც ო-ს იძლევა (თვალნი—თოლი, ცხვარი—ცხორი, გვალვა—გოლვა, სუამს—სომს... იღვა—იდო და სხვა). ეს მოვლენ-

<sup>1</sup> ზ. სარაქველაძე, ჩა., ჩამო. ზმნისწინთა გენეზისისათვის: კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის სამეცნიერო სესია, მუშაობის ვეგმა და მოხსენებათა თეზისები, 1968-69. 8 (მერვე დაიბეჭდა: „მანე“, № 6, 1969, 227—230).



ნა საშუალო ქართულისათვისაც არის დამახასიათებელი<sup>1</sup>. მაგრამ ძველი ქართულისათვის ამნაირი ფონეტიკური პროცესი უჩვეულოა, გვხვდება თითო-ორ-ო-ლა კერძო შემთხვევა, მაგალითად:

ე ჩ ო ა პარხ. 1007 ა. ჩვეულებრივია ჭერ კიდევ შეურწყმელი ფორმები: იოსებცა დაადლო ე ჩ უ ა მისი: აღწ. 187, 28; წარიღეს თანა წერაქი და ე ჩ უ ა მ: ისტ. ქრ. II, 86, 31; სადა უკუე არს გონებაჲ ხუროთაჲ, რომელთა ე ჩ ჳ თ ა ხისაგან გამოთაღნეს: პარხ. 1086 ა.

იყო ტვრთსა მას შინა პური წმიდაჲ და ტვილი და ღვწოჲ და ზეთი და ხ ა-ქ ო ა ნელი და კუერცხი: კიმ. I, 21, 16; ვიხილე სისხლი იგი და შეიქმნა ვითარცა ხ ა ქ ო ა: იქვე, 297, 23; ანუ არა ვითარცა სძმ მომწუწულე მე და შემყუე მე ვითარცა ხ ა ქ ო ა: იობ 10, 10. ლაგურკის ლექციონარში ჭა შეურწყმელად არის წარმოდგენილი: ათი ესე ხ ა ქ უ ა მ დნობილი შეართუ ასისთავსა: 1 მეფ. 17, 18 (ბიბლიის თბილისურ გამოცემაში ამ სიტყვის ნაცვლად ჩკითხება „ყველი“); ...შემწურე მე მსგავსად ხ ა ქ უ ო ს ა: იობ 10, 10.

ახალ ქართულში ჩვეულებრივია ხ ო რ ბ ა ლ ი, მაგრამ ძველში უა კომპლექსი შეურწყმელადაა დაცული: ხ უ ა რ ბ ა ლ ი: კიმ. 78, 17; ლიტ. ქრ. 28, 26; 30, 17, 27; ცხ. ეფთ. 89, 3; სწავ. 64, 13. დ. გურამიშვილსაც ჭერ კიდევ შეურწყმელი ფორმა აქვს შემონახული: ხ ვ ა რ ბ ლ ის წანდილი (164, 21, 2).

ასევე შეურწყმელადაა წარმოდგენილი ძველ ქართულში ქ უ ა მ ა ლ დ ა: კიმ. I, 162, 1; მოც. 27, 30, 32. მაგრამ ამ სიტყვაში, ეტყობა, უა-ს შერწყმა აღრევე დაწყებულა. ყოველ შემთხვევაში, „ვეფხისტყაოსანში“ უკვე გვაქვს ხომალდი (=კომალდი): 1036, 4; 1317, 2. საშუალო ქართულის მომდევნო საუკუნეებში, რაღა თქმა უნდა, ამნაირი, შერწყმული ფორმებია დადასტურებული (დ. გურ. 96, 491, 2).

ძველ ქართულში არც ვ-სა და ა-ს შერწყმაჲ უცხო. ამის კარგი მაგალითია ვ-ყავ ზმნის წყვეტილისა და II კავშირებითის ფორმები: ვ-ყავ, ჰ-ყავ, \*ყავ-ა-ყავ-ა-ყო; \*ვ-ყავ-ა, \*ყავ-ა \*ყავ-ა-ს-ო-ვ-ყავ, ჰ-ყავ-ა, ყვ-ა-ს-ო-ვ-ყო, ჰ-ყო, ყ ო-ს. ასევე მიღებული ვ-ყო-თ, ჰ-ყო-თ, ყ ო-ნ, აგრეთვე ვნებითის ცნობილი ფორმები: იგი \*იყავ-ა-იყავ-ა-ყო; \*ვიყავ-ა-ვიყავ-ა-ვიყო; შენ \*იყავ-ა-იყავ-ა-ყო; იგი \*იყავ-ა-იყავ-ა-ყო-ს.

ზომ არ შეიძლება დავუშვათ, რომ წყვეტილში მესამე სუბიექტური პირის ნიშნად (მხ. რ.), აგრეთვე II კავშირებითის მწკრივის ნიშნად ო გვექონდა და ყ ა ვ ფუძის შეკუმშვის შემდეგ ვ ო-ს მეზობლობაში დაიკარგა (მან ყავ-ო-ო-ვ-ო-ყო; მე ვ-ყავ-ო-ო-ვ-ყო-ო-ო-ყო; შენ ჰ-ყავ-ო-ო-ჰ-ყო-ო-ო-ჰ-ყო; მან ყავ-ო-ს-ო-ყო-ო-ს-ყო-ს; ასევე ვნებითი)? არა, არ შეიძლება დავუშვათ. ო II კავშირებითის მწკრივის ნიშნად აქვთ მხოლოდ ისეთ ზმნებს, რომელთაც წყვეტილის მწკრივის ნიშნად ე მოუბოვებათ: ვ-წერ-ე — ვ-წერ-ო, ს-წერ-ო, წერ-ო-ს. მაგრამ თუ ზმნას წყვეტილში არა აქვს მწკრივის ნიშანი, II კავშირებითის ის ა-თი აწარმოებს: დავასხ, დაასხ — რაჲთა დავასხა, დაასხა, დაასხას. ვ-ყ ა ვ ზმნაც ამ უკანასკნელი ტიპისაა, ვ-ყავ, ჰ-ყავ, ამიტომ ამის II კავშირებითი უნდა იყოს:

<sup>1</sup> ა. მარტიროსოვი, დიალექტობები XV—XVIII სს. კახურ ისტორიულ საბუთებში: იქვე, IV, 1953, გვ. 250—251; მისივე: საერო მწერლობის ძეგლების ფონეტიკური თავისებურებანი: იქვე, VI, 1954, გვ. 102—103; ი. ქავთარაძე, ქართული ენის ისტორიისათვის XII—XVIII სს. I, 1964, გვ. 299—304.

ვ-ყავ-ა, ჰ-ყავ-ა, ყავ-ა-ს; სათანადო ფონეტიკური პროცესების შემდეგ უნდა გვქონდეს და გვაქვს კიდევაც: ვ-ყო, ჰ-ყო, ყო-ს.

ამგვარად, ვ+ა იძლევა ო-ს.

ჟ+ე—ო

ძველ ქართულში ჩვეულებრივია: დავამქუ, დაამქუ, დაამქუა (წყვ.), დავამქუა, დაამქუა, დაამქუას (II კავშ.), საწყისის ფორმაა დამქუებაა (იშვიათად აგრეთვე — დამქოლუაა). მაგრამ იქ ზოგჯერ უე შერწყმულია და ო-ს სახითაა წარმოდგენილი: ეგულებოდა მის მიერ დამქობაა: აპოკრ. 66, 11 A; ...და დამქობილ იყოს თუისითა გულის-სიტყუითა: ებ. ანტ. 22, 22; იქმნესმცა ასონი მათნი შრომისაგან და დამქობილ: უძვ. რედ. 169, 9 B.

ასევე მოგუებ-ა-ს ნაცვლად გვაქვს მოგობა: ხოლო იგი ასწავებდა მას, რათამცა დაუტევა მოგობაა იგი: შუშ. (აგ. ძეგ.) 23, 3; შეილნი იგი შენნი მიაქცინა მოგობასა: იქვე, 23, 17; მამაა ჩემი მოგვ იყო და მეცა მოგობასა (BCDEHI) მასწავებდა, და მე მოგობაა (CDEI) არა თავს-ვიდღე: ევსტ. (აგ. ძეგ.) 31, 26; მეცა მამაა მოგობასა მასწავებდა: იქვე, 35, 26 EHI; დღისი მამაა ჩემი მოგობასა მასწავებენ: იქვე, 35, 29 EHI. სხვა ხელნაწერები აღნიშნულ ადგილებში შეურწყმელ ფორმებს გვაძლევს, როგორცაა: მოგუებაა, მოგუებასა. ეს უკანასკნელი მაგალითები (მოგუებაა, მოგუებასა) გვიჩვენებს, რომ ამ სახელში სუფიქსია ებ და არა ობ. ობ სუფიქსი რომ გვქონოდა, მაშინ ჟ-სა და ე-ს შერწყმასთან კი არ გვექნებოდა საქმე, არამედ ო-ს მეზობლობაში ჟ-ს დაკარგვასთან.

ამ გზით არის მიღებული აგრეთვე ძველი შეტყუებ-ისაგან ახალი შეტყობა, მაგრამ ძველ ქართულში ამნაირი, შერწყმული ფორმები ჭერჯეობით არა ჩანს.

ვ+ო—ო

ეს მოვლენა უფრო ხშირად ტეკება ზმნაში გვხვდება. აღსანიშნავია, რომ ყველა შემთხვევა, რომლებიც დადასტურებულია ძველი ქართული ენის რეგლებით, გვაქვს მხოლოდ და მხოლოდ I და III სერიის ფორმებში, ე. ი. მავინ, როცა ფორმაში უეკველად გვაქვს თემის ნიშნისეული ბ: მიუტეობთ, დაუტეობთ, დაუტეობით... ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ აქ ებ და ობ თემის ნიშანთა მონაცვლეობაა მხოლოდ და არა ვე კომპლექსის ო-დ შერწყმა? არა, არ უნდა ვიფიქროთ. ჭერ-ერთი, ასეთი მოვლენა (ვე-ს შერწყმა და ო-ს მიღება) ჩვენ სხვაგანაც გვაქვს, სადაც არც ებ, არც ობ თემის ნიშანი არ ღებულობს მონაწილეობას; მეორე: თუ, დაევშეებთ, ებ შეცვალა ობ თემის ნიშანმა, სადღაა ტევ ძირისეული ვ? არ იქნება დამაკმაყოფილებელი პასუხი, თუ ვიტყვი, რომ ეს ვ მომდევნო ო-ს გამო დაიკარგაო. მართალია, ვ ო-ს წინ (ო-ს შემდეგაც) ხშირად იკარგება, მაგრამ არა ყოველთვის, ხშირად ის თავის ადგილზეა, მაგალითად: დაუტევოს მ. 19, 5 E; მრ. 10, 7 E; დამიტევოთ ი. 16, 32 E; დაეტევოს მ. 24, 40 E; განუტევოლ. 23, 16, 22 E; განმიტევოლ. 22, 68 E; განუტევოს მ. 5, 31 DE; მიეტევოს მ. 12, 31 E და

ბევრი სხვა. ჩვენს შემთხვევაში კი ეს ვ არსად არა ჩანს. და ეს აბსოლუტური არ გამოჩენა სრულიად საკმარისი იქნება, თუ დავუშვებთ, რომ ვ და მომდევნო ე შერწყმულია და ო რ ი ვ ე ერთად გვაძლევს ო-ს. ამ უბრალო მიზეზის გამო არ არის ის წარმოდგენილი შერწყმის შემდეგ. ახლა მოვიყვანთ რამდენიმე საილუსტრაციო მაგალითს:

მომიტევენ ჩუენ თანა-ნადებნი: ჩუენნი, ვითარცა ჩუენ მიუტეობ.ი თანა-მდებთა ჩუენთა: მ. 6, 12 D; რომელსა ესე არა ემოსოს, არ, შეუტეობენ მუნ: სწავ. 280, 33; ქრისტესა დაუტეობიეთ და უგულბებლს-უყოფიეთ: წარტყ. 34, 21 J; რომელთა სოფლისა ბოროტნი დაუტეობიან: სწავ. 195, 31 C; არა ჯერ-იყო ...უტანჯველად დატეობაჲ ესევითარისა ტყუვილისა შემწმასნელთა: კიმ. I, 70, 4 H; ძნიად თავს-იღვა შეტეობაჲ ჩემი: შუშ. (აგ. ძეგ.) 22. 2 BCD... აქ მოყვანილი მაგალითების სათანადო ჩვეულებრივი ვარიანტებია იმავე ძეგლებში: მიუტევებთ, შეუტევებენ, დაუტევებიეთ, დაუტევებიან, დატევებაჲ, შეტევებაჲ. ასე რომ, ვ+ე ძველ ქართულშიც იძლევა ო-ს (შდრ. თანამედროვე ქართულის კილოების ნიმუშები: წიობა—წვება, მოყობა—მოყეება, აწობა—აწეება და სხვანი).

# მ ო რ უ ო ღ ო ბ ი ა

## ს ა ხ ე ლ ე ბ ი

### 1. თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ ზ უ მ ი ა ნ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი

#### ა) უ კ უ მ შ ე ვ ე ლ ი

	მხ. რ.		მრ. რ.
წრფ.	კაც		კაც-ებ
სახ.	კაც-ი	კაც-ნ-ი	კაც-ებ-ი
მოთხ.	კაც-მან	კაც-თ(ა)	კაც-ებ-მან
მიც.	კაც-ს(ა)	„	კაც-ებ-ს(ა)
ნათ.	კაც-ის(ა)	„	კაც-ებ-ის(ა)
მოქმ.	კაც-ით(ა)	„	კაც-ებ-ით(ა)
ვით.	კაც-ად	„	კაც-ებ-ად
წოდ.	კაც-ო	კაც-ნ-ო	კაც-ებ-ო

ძველ ქართულში უკუმშველია აგრეთვე: თუალი (ყველა მნიშვნელობით), მტერი, მტუერი, მღღელი, ნიორი, საფუძველი, ძუალი, ჯუარი, ჰამბავი.

#### ბ) კ უ მ შ ე ვ ა ლ ი

#### ა მ ო ღ ე ბ უ ლ ი ა ა

	მხ. რ.		მრ. რ.
წრფ.	ქმარ		ქმრ-ებ
სახ.	ქმარ-ი	ქმარ-ნ-ი	ქმრ-ებ-ი
მოთხ.	ქმარ-მან	ქმარ-თ(ა)	ქმრ-ებ-მან
მიც.	ქმარ-ს(ა)	„	ქმრ-ებ-ს(ა)
ნათ.	ქმრ-ის(ა)	„	ქმრ-ებ-ის(ა)
მოქმ.	ქმრ-ით(ა)	„	ქმრ-ებ-ით(ა)
ვით.	ქმრ-ად	„	ქმრ-ებ-ად
წოდ.	ქმარ-ო	ქმარ-ნ-ო	ქმრ-ებ-ო

ასევე იბრუნვის აგრეთვე: ერისთავი (ერისთვისა), ესევეთარი, ვეშაპი (ვეშ-პისა), მეძავი (მეძვისა), მკალი (მკლისა), მოყუასი, მსტოვარი, მტკივანი, მტკი-ვარი, მტყუვარი, მყუარი, მჩხრეკალი (მწერალი), მცოვანი, ოხპანი, საკმარი, ძალი, წელიწადი (წელიწდისა) და მრავალი სხვა.

ა მ ო ლ ე ბ უ ლ ი ა ე

	შხ. რ.	შრ. რ.	
წრფ.	სოფელ	_____	სოფლ-ებ
სახ.	სოფელ-ი	სოფელ-ნი	სოფლ-ებ-ი
მოთხ.	სოფელ-მან	სოფელ-თ(ა)	სოფლ-ებ-მან
მიც.	სოფელ-ს(ა)	„	სოფლ-ებ-ს(ა)
ნათ.	სოფლ-ის(ა)	„	სოფლ-ებ-ის(ა)
მოქმ.	სოფლ-ით(ა)	„	სოფლ-ებ-ით(ა)
ვით.	სოფლ-ად	„	სოფლ-ებ-ად
წოდ.	სოფელ-ო	სოფელ-ნ-ო	სოფლ-ებ-ო

ასევე იბრუნვის აგრეთვე: ბრძენი, განქმელი, მეყი (მყის), მკერდი (მკრდისა), სთუელი, უდები, უშუერი, უცები (უცბად), ფერკი (ფრკით), ღმერთი, (ღმრთისა, ღმრთად) შიშუელი, ხუცესი (ხუცისა—ხუცისა), ჭინჭელი და ბევრი სხვა.

ა მ ო ლ ე ბ უ ლ ი ა ო

ა) კვალი დარჩენილია უმარცვლო უ-ს სახით.

	შხ. რ.	შრ. რ.	
წრფ.	ნიგოზ	_____	ნიგუზ-ებ
სახ.	ნიგოზ-ი	ნიგოზ-ნი	ნიგუზ-ებ-ი
მოთხ.	ნიგოზ-მან	ნიგოზ-თ(ა)	ნიგუზ-ებ-მან
მიც.	ნიგოზ-ს(ა)	„	ნიგუზ-ებ-ს(ა)
ნათ.	ნიგუზ-ის(ა)	„	ნიგუზ-ებ-ის(ა)
მოქმ.	ნიგუზ-ით(ა)	„	ნიგუზ-ებ-ით(ა)
ვით.	ნიგუზ-ად	„	ნიგუზ-ებ-ად
წოდ.	ნიგოზ-ო	ნიგოზ-ნ-ო	ნიგუზ-ებ-ო

ასევე იბრუნვის აგრეთვე მ ი ნ ღ ო რ ი და სხვა.

ბ) ამოღებული ო-საგან დარჩენილი უმარცვლო უ-ც დაკარგულია მეზობელი ბაგისმიერი ბგერების გავლენით

	შხ. რ.	შრ. რ.	
წრფ.	ობოლ	_____	ობლ-ებ
სახ.	ობოლ-ი	ობოლ-ნი	ობლ-ებ-ი
მოთხ.	ობოლ-მან	ობოლ-თ(ა)	ობლ-ებ-მან
მიც.	ობოლ-ს(ა)	„	ობლ-ებ-ს(ა)
ნათ.	ობლ-ის(ა)	„	ობლ-ებ-ის(ა)
მოქმ.	ობლ-ით(ა)	„	ობლ-ებ-ით(ა)
ვით.	ობლ-ად	„	ობლ-ებ-ად
წოდ.	ობოლ-ო	ობოლ-ნ-ო	ობლ-ებ-ო

ასევე იბრუნვის აგრეთვე: გოდოლი, გოდორი, კოტორი, მკოდოვი, კოქობი, ჰოროლი და სხვა.

ამოღებულია უ

	მხ. რ.	შრ. რ.	
წრფ.	შურდულ	_____	შურდულ-ებ
სახ.	შურდულ-ი	შურდულ-ნ-ი	შურდულ-ებ-ი
მოთხ.	შურდულ-მან	შურდულ-თ(ა)	შურდულ-ებ-მან
მიც.	შურდულ-ს(ა)	„	შურდულ-ებ-ს(ა)
ნათ.	შურდულ-ის(ა)	„	შურდულ-ებ-ის(ა)
მოქმ.	შურდულ-ით(ა)	„	შურდულ-ებ-ით(ა):
ვით.	შურდულ-ად	„	შურდულ-ებ-ად
წოდ.	შურდულ-ო	შურდულ-ნ-ო	შურდულ-ებ-ო-

ასევე იბრუნვის აგრეთვე ფ არ ღ უ ლ ი.

ამოღებულია ი

	მხ. რ.	შრ. რ.	
წრფ.	იასპინ	_____	იასპნ-ებ
სახ.	იასპინ-ი	იასპინ-ნ-ი	იასპნ-ებ-ი
მოთხ.	იასპინ-მან	იასპინ-თ(ა)	იასპნ-ებ-მან
მიც.	იასპინ-ს(ა)	„	იასპნ-ებ-ს(ა)
ნათ.	იასპნ-ის(ა)	„	იასპნ-ებ-ის(ა)
მოქმ.	იასპნ-ით(ა)	„	იასპნ-ებ-ით(ა)
ვით.	იასპნ-ად	„	იასპნ-ებ-ად
წოდ.	იასპინ-ო	იასპინ-ნ-ო	იასპნ-ებ-ო

ასევე იბრუნვის აგრეთვე მოგვიანო ხანის უნ ა გ რ ი (უნაგრისა).

ამოღებულია ა და ე ხ მ ო ვ ე ბ ი ე რ თ დ ო უ ლ ა დ

	მხ. რ.	შრ. რ.	
წრფ.	სავარძელ	_____	სავრძლ-ებ
სახ.	სავარძელ-ი	სავარძელ-ნ-ი	სავრძლ-ებ-ი
მოთხ.	სავარძელ-მან	სავარძელ-თ(ა)	სავრძლ-ებ-მან
მიც.	სავარძელ-ს(ა)	„	სავრძლ-ებ-ს(ა)
ნათ.	სავრძლ-ის(ა)	„	სავრძლ-ებ-ის(ა)
მოქმ.	სავრძლ-ით(ა)	„	სავრძლ-ებ-ით(ა)
ვით.	სავარძლ-ად	„	სავრძლ-ებ-ად
წოდ.	სავარძელ-ო	სავარძელ-ნ-ო	სავრძლ-ებ-ო

შენიშვნა: ილ-ზე დაბოლოებული სახელები ვითარებითს ბრუნვაში მხოლოდ დ-ს დაირთავენ: ადგილი—ადგილდ, ზოგჯერ შესაძლებელია ფუძისეული ლ დაიკარგოს, მაშინ გვექნება: ადვიდ. ასეთი სახელებია კიდევ: \*სახილი—სახიდ (ძომ), სიყუდილი—სიყუდილდ—საყუდილდ, სიმშილი (შიმშილი)—სიმშილდ—სიმშიდ, სიცილი—სიცილდ—სიციდ, ტირილი—ტირილდ—ტირიდ, ქორწილი—ქორწინდ—ქორწიდ, ღუაწლი (—ღუაწილი)—(ღუაწილდ)—ღუაწიდ, ყვილი—ყვილდ—ყვიდ, ყვრილი—ყვრილდ—ყვრიდ, შეტყუილი—შეტყუილდ—შეტყუიდი, წყურილი—წყურილდ—წყურიდ, ხაღილი—ხაღილდ—ხაღიდ.

## 2. ხმრვანფუძიანი სახელები

### ა) ბ-ზე გათავებული ფუძეები

მხ. რ.	მრ. რ.	მრ. რ.
წრფ. დელა	_____	დელ-ებ
სახ. დელა-ა	დელა-ნ-ი	დელ-ებ-ი
მოთხ. დელა-მან	დელა-თ(ა)	დელ-ებ-მან
მიც. დელა-ს(ა)	„	დელ-ებ-ს(ა)
ნათ. დელ-ის(ა)	„	დელ-ებ-ის(ა)
მოქმ. დელ-ით(ა)	„	დელ-ებ-ით(ა)
ვით. დელა-დ	„	დელ-ებ-ად
წოდ. დელა-ო	დელა-ნ-ო	დელ-ებ-ო

### ბ) ე-ზე გათავებული ფუძეები

მხ. რ.	მრ. რ.	მრ. რ.
მეფე	_____	მეფე-ებ    მეფ-ებ
მეფე (   მეფე-ა)	მეფე-ნ-ი	მეფე-ებ-ი    მეფ-ებ-ი
მეფე-მან	მეფე-თ(ა)	მეფე-ებ-მან    მეფ-ებ-მან
მეფე-ს(ა)	„	მეფე-ებ-ს(ა)    მეფ-ებ-ს(ა)
მეფ-ის(ა)	„	მეფე-ებ-ის(ა)    მეფ-ებ-ის(ა)
მეფ-ით(ა)	„	მეფე-ებ-ით(ა)    მეფ-ებ-ით(ა)
მეფე-დ	„	მეფე-ებ-ად    მეფ-ებ-ად
მეფე-ო	მეფე-ნ-ო	მეფე-ებ-ო    მეფ-ებ-ო

ასევე იბრუნეის აგრეთვე: გუბეები||გუბები, ეპისტოლეები||ეპისტოლები, ჰდინარეები||მდინარები, მეისრეები||მეისრები, მეფასეები||მეფასები, მცირეები||მცირეები, მძიმეები||მძიმები, პურისმტეები||პურისმტები, საკარეები||საკარები, საკაცეები||საკაცები, სალტეები||სალტები, სამარეები||სამარები, სამოთხეები||სამოთხეები, სანახები (მხოლოდ ასე; მხოლოდითშინა ს ა ნ ა ხ ე), საქონდაჭრები||საქონდაჭრები, სახეები||სახები, საკორცეები||საკორცეები, სიმძლავრეები||სიმძლავრეები, ფრთეები||ფრთები, ციხეები||ციხები, კელმწიფეები||კელმწიფები, ჰუნეები||ჰუნები და ბევრი სხვა.

### გ) კუმშვად-კვეცადი სახელები

მხ. რ.	მრ. რ.	მრ. რ.	მრ. რ.
წრფ. მოწაფე	_____	მოწფე-ებ	მოწფ-ებ
სახ. მოწაფე (   მოწაფე-ა)	მოწაფე-ნ-ი	მოწფე-ებ-ი	მოწფ-ებ-ი
მოთხ. მოწაფე-მან	მოწაფე-თ(ა)	მოწფე-ებ-მან	მოწფ-ებ-მან
მიც. მოწაფე-ს(ა)	„	მოწფე-ებ-ს(ა)	მოწფ-ებ-ს(ა)
ნათ. მოწფ-ის(ა)	„	მოწფე-ებ-ის(ა)	მოწფ-ებ-ის(ა)
მოქმ. მოწფ-ით(ა)	„	მოწფე-ებ-ით(ა)	მოწფ-ებ-ით(ა)
ვით. მოწფ-ად	„	მოწფე-ებ-ად	მოწფ-ებ-ად
წოდ. მოწაფე-ო	მოწაფე-ნ-ო	მოწფე-ებ-ო	მოწფ-ებ-ო

ასე იბრუნეის აგრეთვე: მანქანა, პატარა, მოწამე. ყველა ესენი ზოგჯერ უკუმშველადაც გვხვდება.

დ) **წ-ზე** გათავებული ფუძეები

მს. რ.	მრ. რ.	
წრფ.	წყარო	წყარო-ებ
სახ.	წყარო-ა	წყარო-ებ-ი
მოთხ.	წყარო-მან	წყარო-ებ-მან
მიც.	წყარო-ს(ა)	წყარო-ებ-ს(ა)
ნათ.	წყარო-ას(ა)	წყარო-ებ-ის(ა)
მოქმ.	წყარო-ათ(ა)	წყარო-ებ-ით(ა)
ვით.	წყარო-დ	წყარო-ებ-ად
წოდ.	წყარო-ო	წყარო-ებ-ო

ასევე იბრუნვის აგრეთვე: ტილო, კალო, თქრო, ეზო, გემო, ხურო, კურო, კბო, თემო, აყირო, ერდო, რტო, ჩრდილო, ბაბილო... სათნო, სანდო, სამძო, სამწყსო, სავაქრო, სამეფო, სამღდელო, სასო, საბჭო, სადილეგო, სამნო, სამყარო, სარწმუნო... უბიწო, უმანკო, უსასო, უშეულო, უდაბნო, უცხო, უქორცო, უწყალო... სიქშო, სიჩხო, სიტფო, სიჩრდო, სიწლო.

არის ერთადერთი გამონაკლისი, რომელსაც ფუძე ეკვეცება, ესაა **ღ ჯ ნ ო**:  
**ღ ჯ ნ ი ს ა**, **ღ ჯ ნ ი თ ა**.

ე) **შ-ზე** გათავებული ფუძეები

მს. რ.	მრ. რ.	
წრფ.	ძუძუ	ძუძუ-ებ
სახ.	ძუძუ-ა	ძუძუ-ებ-ი
მოთხ.	ძუძუ-მან	ძუძუ-ებ-მან
მიც.	ძუძუ-ს(ა)	ძუძუ-ებ-ს(ა)
ნათ.	ძუძუ-ას(ა)	ძუძუ-ებ-ის(ა)
მოქმ.	ძუძუ-ათ(ა)	ძუძუ-ებ-ით(ა)
ვით.	ძუძუ-დ	ძუძუ-ებ-ად
წოდ.	ძუძუ-ო	ძუძუ-ებ-ო

ასევე იბრუნვის აგრეთვე: ბუ, ღრკუ, კუ, რუ, ყრუ, ცრუ, ძუ, წყლტუ.

ვ) **შმარცვლო წ-ზე** გათავებული ფუძეები

მს. რ.	მრ. რ.	
წრფ.	რიცხუ	რიცხუ-ებ
სახ.	რიცხუ (   რიცხუ-ი)	რიცხუ-ებ-ი
მოთხ.	რიცხუ-მან	რიცხუ-ებ-მან
მიც.	რიცხუ-ს(ა)	რიცხუ-ებ-ს(ა)
ნათ.	რიცხუს(ა) [   რიცხუ-ის(ა)]	რიცხუ-ებ-ის(ა)
მოქმ.	რიცხუსთ(ა) [   რიცხუ-ით(ა)]	რიცხუ-ებ-ით(ა)
ვით.	რიცხუ-ად	რიცხუ-ებ-ად
წოდ.	რიცხ-ო (← რიცხუ-ო)	რიცხუ-ებ-ო



ასევე იბრუნვის აგრეთვე: ბორცუ, დათუ, თაგუ, იდაყუ, იხუ, კიკუ, ლეკუ, ლელუ, მლოგუ, მოგუ, ნაძუ, ნესტუ, უტყუ, ფესუ, ფეტუ, ფიზუ, ფიჭუ, ღაწუ, შაშუ, ცერცუ, ძარლუ, ძეძუ, ჯაჭუ, კნარცუ.

**ზ) კვეცილი სახელები, რომელთაც ბოლოკიდურ ა-სა და ე-ს წინ უმარცვლო უ აქვთ**

...უა

შ. რ.			შ. რ.
წრფ.	ზლუა	_____	ზლუ-ებ
სახ.	ზლუა-ა	ზლუა-ნ-ი	ზლუ-ებ-ი
მოთხ.	ზლუა-მან	ზლუა-თ(ა)	ზლუ-ებ-მან
მიც.	ზლუა-ს(ა)	„	ზლუ-ებ-ს(ა)
ნათ.	ზლუს(ა) [   ზლუ-ის(ა)]	„	ზლუ-ებ-ის(ა)
მოქმ.	ზლუთ(ა) [   ზლუ-ით(ა)]	„	ზლუ-ებ-ით(ა)
ვით.	ზლუა-დ	„	ზლუ-ებ-ად
წოდ.	ზლუა-ო	ზლუა-ნ-ო	ზლუ-ებ-ო

ასევე იბრუნვის აგრეთვე: ექუა, ერუა, ლაკუა, მსთუა, ნერწყუა, სეტყუა, სიტყუა, სხუა, ხაჭუა.

...უე

შ. რ.			შ. რ.
წრფ.	თთუე	_____	თთუე-ებ    თთუ-ებ
სახ.	თთუე (   თთუე-ა)	თთუე-ნ-ი	თთუე-ებ-ი    თთუ-ებ-ი
მოთხ.	თთუე-მან	თთუე-თ(ა)	თთუე-ებ-მან    თთუ-ებ-მან
მიც.	თთუე-ს(ა)	„	თთუე-ებ-ს(ა)    თთუ-ებ-ს(ა)
ნათ.	თთუს(ა) [   თთუ-ის(ა)]	„	თთუე-ებ-ის(ა)    თთუ-ებ-ის(ა)
მოქმ.	თთუთ(ა) [   თთუ-ით(ა)]	„	თთუე-ებ-ით(ა)    თთუ-ებ-ით(ა)
ვით.	თთუე-დ	„	თთუე-ებ-ად    თთუ-ებ-ად
წოდ.	თთუე-ო	თთუე-ნ-ო	თთუე-ებ-ო    თთუ-ებ-ო

ასევე იბრუნვის აგრეთვე: ამრლუე, მართუე, მარჯუე, მენესტუე, მორცხუე, სათაქუე, სომარჯუე, ტყუე.

**ვ) ნაწევრიანი სახელები**

შ. რ.			შ. რ.
სახ.	სახლ-ი ესე	სახლ-ნ-ი ესე	სახლებ-ი ესე
მოთხ.	სახლ-მან ამა-ნ	სახლ-თ(ა) ამა-თ	სახლებ-მან ამა-ნ
მიც.	სახლ-ს(ა) ამა-ს	„ „	სახლებ-ს(ა) ამა-ს
ნათ.	სახლ-ის(ა) ამა-ის	„ „	სახლებ-ის(ა) ამა-ის
მოქმ.	სახლ-ით(ა) ამა-ით	„ „	სახლებ-ით(ა) ამა-ით

სახ.	სახლ-ი ეგე	სახლ-ნ-ი ეგე	სახლებ-ი ეგე
მოთხ.	სახლ-მან მაგა-ნ	სახლ-თ(ა) მაგ-ათ	სახლებ-მან მაგა-ნ
მიც.	სახლ-ს(ა) მაგა-ს	„ „	სახლებ-ს(ა) მაგა-ს
ნათ.	სახლ-ის(ა) მაგ-ის	„ „	სახლებ-ის(ა) მაგ-ის
მოქმ.	სახლ-ით(ა) მაგ-ით	„ „	სახლებ-ით(ა) მაგ-ით
სახ.	სახლ-ი იგი	სახლ-ნ-ი იგი	სახლებ-ი იგი
მოთხ.	სახლ-მან მან	სახლ-თ(ა) მათ	სახლებ-მან მან
მიც.	სახლ-ს(ა) მან-ს	„ „	სახლებ-ს(ა) მან-ს
ნათ.	სახლ-ის(ა) მან-ის	„ „	სახლებ-ის(ა) მან-ის
მოქმ.	სახლ-ით(ა) მან-ით	„ „	სახლებ-ით(ა) მან-ით

როდესაც ნაწევრიან სახელს წინ უძღვის განსაზღვრება, ნაწევარიც არსებობს სახელის წინ გადმოდის:

მხ. რ.	მრ. რ.
ყოველ-ი იგი ერ-ი	ყოველ-ნ-ი იგი ერ-ნ-ი
ყოველ-მან მან ერ-მან	ყოველ-თ(ა) მათ ერ-თ(ა)
ყოველ-ს(ა) მან-ს ერ-ს(ა)	„ „ „
ყოველ-ის(ა) მან-ის ერ-ის(ა)	„ „ „
ყოველ-ით(ა) მან-ით ერ-ით(ა)	„ „ „

#### 4. საზღვრული და აბრიგუბული მსაზღვრელი ერთად

##### ა) პირდაპირი წყობა

	მხოლოდითი		ნარ-თანინა მრავლობითი
წრფ.	სახლ	დიდ	
სახ.	სახლ-ი	დიდ-ი	სახლ-ნ-ი დიდ-ნ-ი
მოთხ.	სახლ-მან	დიდ-მან	სახლ-თ(ა) დიდ-თ(ა)
მიც.	სახლ-ს(ა)	დიდ-ს(ა)	„ „
ნათ.	სახლ-ის(ა)	დიდ-ის(ა)	„ „
მოქმ.	სახლ-ით(ა)	დიდ-ით(ა)	„ „
ვით.	სახლ-ად	დიდ-ად	„ „
წოდ.	სახლ-ო	დიდ-ო	სახლ-ნ-ო დიდ-ნ-ო

##### ებიანი მრავლობითი

წრფ.	სახლ-ებ	დიდ-ებ	დიდ
სახ.	სახლ-ებ-ი	დიდ-ებ-ი	დიდ-ი
მოთხ.	სახლ-ებ-მან	დიდ-ებ-მან	დიდ-მან
მიც.	სახლ-ებ-ს(ა)	დიდ-ებ-ს(ა)	დიდ-ს(ა)
ნათ.	სახლ-ებ-ის(ა)	დიდ-ებ-ის(ა)	დიდ-ის(ა)
მოქმ.	სახლ-ებ-ით(ა)	დიდ-ებ-ით(ა)	დიდ-ით(ა)
ვით.	სახლ-ებ-ად	დიდ-ებ-ად	დიდ-ად
წოდ.	სახლ-ებ-ო	დიდ-ებ-ო	დიდ-ო

	შხ. რ.		შგ. რ.	
წრფ.	ჭურღმულ	ღრმა		
სახ.	ჭურღმულ-ი	ღრმა-ა	ჭურღმულ-ნ-ი	ღრმა-ნ-ი
მოთხ.	ჭურღმულ-მან	ღრმა-მან	ჭურღმულ-თ(ა)	ღრმა-თ(ა)
მიც.	ჭურღმულ-ს(ა)	ღრმა-ს(ა)	"	"
ნათ.	ჭურღმულ-ის(ა)	ღრმ-ის(ა)	"	"
მოქმ.	ჭურღმულ-ით(ა)	ღრმ-ით(ა)	"	"
ვით.	ჭურღმულ-ად	ღრმა-დ	"	"
წოდ.	ჭურღმულ-ო	ღრმა-ო	ჭურღმულ-ნ-ო	ღრმა-ნ-ო <sup>1</sup>

წრფ.	ტვრთ	მძიმე		
სახ.	ტვრთ-ი	მძიმე    მძიმე-ა	ტვრთ-ნ-ი	მძიმე-ნ-ი
მოთხ.	ტვრთ-მან	მძიმე-მან	ტვრთ-თ(ა)	მძიმე-თ(ა)
მიც.	ტვრთ-ს(ა)	მძიმე-ს(ა)	"	"
ნათ.	ტვრთ-ის(ა)	მძიმ-ის(ა)	"	"
მოქმ.	ტვრთ-ით(ა)	მძიმ-ით(ა)	"	"
ვით.	ტვრთ-ად	მძიმე-დ	"	"
წოდ.	ტვრთ-ო	მძიმე-ო	ტვრთ-ნ-ო	მძიმე-ნ-ო

	შხ. რ.		შგ. რ.	
წრფ.	გზა	ფართო		
სახ.	გზა-ა	ფართო-ა	გზა-ნ-ი	ფართო-ნ-ი
მოთხ.	გზა-მან	ფართო-მან	გზა-თ(ა)	ფართო-თ(ა)
მიც.	გზა-ს(ა)	ფართო-ს(ა)	"	"
ნათ.	გზ-ის(ა)	ფართო-ის(ა)	"	"
მოქმ.	გზ-ით(ა)	ფართო-ით(ა)	"	"
ვით.	გზა-დ	ფართო-დ	"	"
წოდ.	გზა-ო	ფართო-ო	გზა-ნ-ო	ფართო-ნ-ო

წრფ.	კაც	ყრუ		
სახ.	კაც-ი	ყრუ-ა	კაც-ნ-ი	ყრუ-ნ-ი
მოთხ.	კაც-მან	ყრუ-მან	კაც-თ(ა)	ყრუ-თ(ა)
მიც.	კაც-ს(ა)	ყრუ-ს(ა)	"	"
ნათ.	კაც-ის(ა)	ყრუ-ის(ა)	"	"
მოქმ.	კაც-ით(ა)	ყრუ-ით(ა)	"	"
ვით.	კაც-ად	ყრუ-დ	"	"
წოდ.	კაც-ო	ყრუ-ო	კაც-ნ-ო	ყრუ-ნ-ო

### ბ) შებრუნებული წყობა

შებრუნებული წყობის დროსაც მსაზღვრელი სრულიად ისევე იქნება წარმოდგენილი, როგორც პირდაპირი წყობისას იყო, ამიტომ აქ მხოლოდ ერთ ნიმუშს მოვიყვანთ:

<sup>1</sup> ვხიანი მრავლობითის ფორმებს აღარ ვუჩვენებთ, ის სხვა სახელებშიც ისე იქნება წარმოდგენილი, როგორც პირველ მაგალითში (სახლებ ღიღებ || ღიღ...).

მხოლოდითი		წარ-თანხანი მრავლობითი		
წრფ.	დიდ	სახლ		
სახ.	დიდ-ი	სახლ-ი	დიდ-ნი	სახლ-ნი
მოთხ.	დიდ-მან	სახლ-მან	დიდ-თ(ა)	სახლ-თ(ა)
მიც.	დიდ-ს(ა)	სახლ-ს(ა)	„	„
ნათ.	დიდ-ის(ა)	სახლ-ის(ა)	„	„
მოქმ.	დიდ-ით(ა)	სახლ-ით(ა)	„	„
ვით.	დიდ-ად	სახლ-ად	„	„
წოდ.	დიდ-ო	სახლ-ო	დიდ-ნი-ო	სახლ-ნი-ო

ეზიანი მრავლობითი				
წრფ.	დიდ-ებ	დიდ	სახლ-ებ	
სახ.	დიდ-ებ-ი	დიდ-ი	სახლ-ებ-ი	
მოთხ.	დიდ-ებ-მან	დიდ-მან	სახლ-ებ-მან	
მიც.	დიდ-ებ-ს(ა)	დიდ-ს(ა)	სახლ-ებ-ს(ა)	
ნათ.	დიდ-ებ-ის(ა)	დიდ-ის(ა)	სახლ-ებ-ის(ა)	
მოქმ.	დიდ-ებ-ით(ა)	დიდ-ით(ა)	სახლ-ებ-ით(ა)	
ვით.	დიდ-ებ-ად	დიდ-ად	სახლ-ებ-ად	
წოდ.	დიდ-ებ-ო	დიდ-ო	სახლ-ებ-ო	

**5. ორმაგი ბრუნება**

(მართული მსაზღვრელი)

**ა) მსაზღვრელი ხაზღვრულის წინაა**

უფრო ძველი

	მხ. რ.		მრ. რ.	
წრფ.	ძმ-ის(ა)	სახლ		
სახ.	ძმ-ისა-ი	სახლ-ი	ძმ-ისა-ნი	სახლ-ნი
მოთხ.	ძმ-ისა-მან	სახლ-მან	ძმ-ისა-თ(ა)	სახლ-თ(ა)
მიც.	ძმ-ისა-ს(ა)	სახლ-ს(ა)	„	„
ნათ.	ძმ-ისა-ის(ა)	სახლ-ის(ა)	„	„
მოქმ.	ძმ-ისა-ით(ა)	სახლ-ით(ა)	„	„
ვით.	ძმ-ისა-ად	სახლ-ად	„	„
წოდ.	ძმ-ისა-ო	სახლ-ო	ძმ-ისა-ნი-ო	სახლ-ნი-ო

უფრო გვიანდელი

	მხ. რ.		მრ. რ.	
წრფ.	ძმ-ის(ა)	სახლ		
სახ.	ძმ-ისა	სახლ-ი	ძმ-ისა	სახლ-ნი
მოთხ.	ძმ-ისა	სახლ-მან	ძმ-ისა	სახლ-თ(ა)
მიც.	ძმ-ისა	სახლ-ს(ა)	ძმ-ისა	„
ნათ.	ძმ-ისა	სახლ-ის(ა)	ძმ-ისა	„
მოქმ.	ძმ-ისა	სახლ-ით(ა)	ძმ-ისა	„
ვით.	ძმ-ისა	სახლ-ად	ძმ-ისა	„
წოდ.	ძმ-ისა	სახლ-ო	ძმ-ისა	სახლ-ნი-ო

ბ) მხაზღვრელი ხაზღვრულის შემდგეაა

აქ ოთხი შემთხვევა გვაქვს:

I. ხაზღვრულია და მხაზღვრელიც ორივე მხოლოდითშია

წრფ.	სახლ	ძმ-ის(ა)	
სახ.	სახლ-ი	ძმ-ისა-მ	
მოთხ.	სახლ-მან	ძმ-ისა-მან	
მიც.	სახლ-ს(ა)	ძმ-ისა-ს(ა)	
ნათ.	სახლ-ის(ა)	ძმ-ისა-მს(ა)	ძმ-ისა
მოქმ.	სახლ-ით(ა)	ძმ-ისა-მთ(ა)	
ვით.	სახლ-ად	ძმ-ისა-(დ)	
წოდ.	სახლ-ო	ძმ-ისა-ო	

II. ხაზღვრული მრავლობითშია, მხაზღვრელი — მხოლოდითში

წრფ.	—————	—————
სახ.	სახლ-ნი	ძმ-ისა-ნი
მოთხ.	სახლ-თ(ა)	ძმ-ისა-თ(ა)
მიც.	„	„
ნათ.	„	„
მოქმ.	„	„
ვით.	„	„
წოდ.	სახლ-ნი-ო	ძმ-ისა-ნი-ო

III. ხაზღვრული მხოლოდითშია, მხაზღვრელი — მრავლობითში

წრფ.	სახლ	ძმა-თა
სახ.	სახლ-ი	ძმა-თა-მ
მოთხ.	სახლ-მან	ძმა-თა-მან
მიც.	სახლ-ს(ა)	ძმა-თა-ს(ა)
ნათ.	სახლ-ის(ა)	ძმა-თა-მს(ა)
მოქმ.	სახლ-ით(ა)	ძმა-თა-მთ(ა)
ვით.	სახლ-ად	ძმა-თა-(დ)
წოდ.	სახლ-ო	ძმა-თა-ო

IV. ხაზღვრულია და მხაზღვრელიც ორივე მრავლობითშია

წრფ.	—————	—————	—————	—————
სახ.	სახლ-ნი	ძმა-თა-ნი		
მოთხ.	სახლ-თ(ა)	ძმა-თა-მან	ძმა-თა-ს(ა)	ძმა-თა-მს(ა)    ძმა-თა
მიც.	სახლ-თ(ა)	ძმა-თა-ს(ა)	ძმა-თა-მს(ა)	ძმა-თა
ნათ.	სახლ-თ(ა)	ძმა-თა-მს(ა)	ძმა-თა-ს(ა)	ძმა-თა
მოქმ.	სახლ-თ(ა)	ძმა-თა-მთ(ა)	ძმა-თა-ს(ა)	ძმა-თა
ვით.	სახლ-თ(ა)	ძმა-თა-(დ)	ძმა-თა-ს(ა)	ძმა-თა
წოდ.	სახლ-ნი-ო	ძმა-თა-ნი-ო		

რამდენიმე მსაზღვრელი ერთ საზღვრულთან

ა) საზღვრულს უთანხმდება ველია მსაზღვრელი

1. მოფარდულ	ზროხა-თა	და ცხოვარ-თა	და ტრედ-თა
2. მოფარდულ-ი	ზროხა-თა-ი	და ცხოვარ-თა-ი	და ტრედ-თა-ი
3. მოფარდულ-მან	ზროხა-თა-მან	და ცხოვარ-თა-მან	და ტრედ-თა-მან
4. მოფარდულ-ს(ა)	ზროხა-თა-ს(ა)	და ცხოვარ-თა-ს(ა)	და ტრედ-თა-ს(ა)
5. მოფარდულ-ის(ა)	ზროხა-თა-ის(ა)	და ცხოვარ-თა-ის(ა)	და ტრედ-თა-ის(ა)
6. მოფარდულ-ით(ა)	ზროხა-თა-ით(ა)	და ცხოვარ-თა-ით(ა)	და ტრედ-თა-ით(ა)
7. მოფარდულ-ად	ზროხა-თა-(დ)	და ცხოვარ-თა-(დ)	და ტრედ-თა-(დ)
8. მოფარდულ-ო	ზროხა-თა-ო	და ცხოვარ-თა-ო	და ტრედ-თა-ო

ბ) საზღვრულს უთანხმდება მხოლოდ უანასკნელი მსაზღვრელი

წრფ.	ათეულ	იფკლ-ის(ა)	და ღუნ-ის(ა)	და ზეთ-ის(ა)
სახ.	ათეულ-ი	იფკლ-ისა	და ღუნ-ისა	და ზეთ-ისა-ი
მოთხ.	ათეულ-მან	„	„	„ ზეთ-ისა-მან
მიც.	ათეულ-ს(ა)	„	„	„ ზეთ-ისა-ს(ა)
ნათ.	ათეულ-ის(ა)	„	„	„ ზეთ-ისა-ის(ა)
მოქმ.	ათეულ-ით(ა)	„	„	„ ზეთ-ისა-ით(ა)
ვით.	ათეულ-ად	„	„	„ ზეთ-ისა-(დ)
წოდ.	ათეულ-ო	„	„	„ ზეთ-ისა-ო

გ. საზღვარი ბრუნება

აქ რვა შემთხვევა გვაქვს:

ი. საზღვრულიც, მსაზღვრელიცა და მსაზღვრელის მსაზღვრელიც მხოლოდითაა

წრფ.	რიცხუ	დღ-ისა	კაც-ისა-მსა
სახ.	რიცხუ-ი	„	კაც-ისა-მსა-ი
მოთხ.	რიცხუ-მან	„	კაც-ისა-მსა-მან
მიც.	რიცხუ-ს(ა)	„	კაც-ისა-მსა-ს(ა)
ნათ.	რიცხუ-ის(ა)	„	კაც-ისა-მსა-ის(ა)    კაც-ისა-მსა
მოქმ.	რიცხუ-ით(ა)	„	კაც-ისა-მსა-ით(ა)
ვით.	რიცხუ-ად	„	კაც-ისა-მსა-(დ)
წოდ.	რიცხ(უ)-ო	„	კაც-ისა-მსა-ო

**II. საზღვრული და მსაზღვრელი მხოლობითშია**

**მსაზღვრელის მსაზღვრელი — მრავლობითში**

წრფ.	რიცხუ	დღ-ისა	კაც-თა-მსა
სახ.	რიცხუ-ი	„	კაც-თა-მსა-ჲ
მოთხ.	რიცხუ-მან	„	კაც-თა-მსა-მან
მიც.	რიცხუ-ს(ა)	„	კაც-თა-მსა-ს(ა)
ნათ.	რიცხუ-ის(ა)	„	კაც-თა-მსა-მს(ა)    კაც-თა-მსა
მოქმ.	რიცხუ-ით(ა)	„	კაც-თა-მსა-ით(ა)
ვით.	რიცხუ-ად	„	კაც-თა-მსა-(ღ)
წოდ.	რიცხ(უ)-ო	„	კაც-თა-მსა-ო

**III. საზღვრული და მსაზღვრელი მსაზღვრელი მხოლობითშია,**

**მსაზღვრელი — სრავლობითში**

წრფ.	რიცხუ	დღე-თა	კაც-ისა-თა
სახ.	რიცხუ-ი	„	კაც-ისა-თა-ჲ
მოთხ.	რიცხუ-მან	„	კაც-ისა-თა-მან
მიც.	რიცხუ-ს(ა)	„	კაც-ისა-თა-ს(ა)
ნათ.	რიცხუ-ის(ა)	„	კაც-ისა-თა-მს(ა)
მოქმ.	რიცხუ-ით(ა)	„	კაც-ისა-თა-ით(ა)
ვით.	რიცხუ-ად	„	კაც-ისა-თა-(ღ)
წოდ.	რიცხ(უ)-ო	„	კაც-ისა-თა-ო

**IV. საზღვრული მხოლობითშია, მსაზღვრელი და მსაზღვრელის მსაზღვრელი — მრავლობითში**

წრფ.	რიცხუ	დღე-თა	კაც-თა-მსა
სახ.	რიცხუ-ი	„	კაც-თა-მსა-ჲ
მოთხ.	რიცხუ-მან	„	კაც-თა-მსა-მან
მიც.	რიცხუ-ს(ა)	„	კაც-თა-მსა-ს(ა)
ნათ.	რიცხუ-ის(ა)	„	კაც-თა-მსა-მს(ა)    კაც-თა-მსა
მოქმ.	რიცხუ-ით(ა)	„	კაც-თა-მსა-ით(ა)
ვით.	რიცხუ-ად	„	კაც-თა-მსა-(ღ)
წოდ.	რიცხ(უ)-ო	„	კაც-თა-მსა-ო

**V. საზღვრული მრავლობითშია, მსაზღვრელი და მსაზღვრელის**

**მსაზღვრელი — მხოლობითში**

წრფ.	რიცხუ-ნი	დღ-ისა	კაც-ისა-მსა-ნი
სახ.	რიცხუ-ნი	„	კაც-ისა-მსა-ნი-ჲ
მოთხ.	რიცხუ-თ(ა)	„	კაც-ისა-მსა-თ(ა)
მიც.	„	„	„
ნათ.	„	„	„
მოქმ.	„	„	„
ვით.	„	„	„
წოდ.	რიცხუ-ნი-ო	„	კაც-ისა-მსა-ნი-ო

VI. საზღვრული და მსაზღვრელის მსაზღვრელი მრავლობითშია,  
მსაზღვრელი — მხოლოდითში

წრფ.	_____	_____	_____
სახ.	რიცხუ-ნ-ი	დღ-ისა	კაც-თა-მსა-ნ-ი
მოთხ.	რიცხუ-თ(ა)	„	კაც-თა-მსა-თ(ა)
მიც.	„	„	„
ნათ.	„	„	„
მოქმ.	„	„	„
ვით.	„	„	„
წოდ.	რიცხუ-ნ-ო	„	კაც-თა-მსა-ნ-ო

VII. საზღვრული და მსაზღვრელი მრავლობითშია, მსაზღვრელის  
მსაზღვრელი — მხოლოდითში

წრფ.	_____	_____	_____			
სახ.	რიცხუ-ნ-ი	დღე-თა	კაც-ისა-თა-ნ-ი			
მოთხ.	რიცხუ-თ(ა)	„	კაც-ისა-თა-მან	ს(ა)	მს(ა)	ცა
მიც.	„	„	კაც-ისა-თა-ს(ა)	მს(ა)		0
ნათ.	„	„	კაც-ისა-თა-მს(ა)	ს(ა)		0
მოქმ.	„	„	კაც-ისა-თა-მო(ა)	ს(ა)		0
ვით.	„	„	კაც-ისა-თა-(ღ)	ს(ა)		0.
წოდ.	რიცხუ-ნ-ო	„	კაც-ისა-თა-ნ-ო			

VIII. საზღვრულიც, მსაზღვრელიცა და მსაზღვრელის  
მსაზღვრელიც — მხოლოდითშია

წრფ.	_____	_____	_____
სახ.	რიცხუ-ნ-ი	დღე-თა	კაც-თა-მსა-ნ-ი
მოთხ.	რიცხუ-თ(ა)	„	კაც-თა-მსა-თ(ა)
მიც.	„	„	„
ნათ.	„	„	„
მოქმ.	„	„	„
ვით.	„	„	„
წოდ.	რიცხუ-ნ-ო	„	კაც-თა-მსა-ნ-ო

7. საკუთარ სახელთა ბრუნება

ა) ადამიანისა

წრფ.	იშვა ყრმაჲ, რომელსა ეწოდა	იოსებ
სახ.	წარვიდა სახელ თვსა	იოსებ
მოთხ.	მოიყვანა ძმ თვსი ნეტარმან	იოსებ
მიც.	ჰრქუა პეტრე	იოსებ-ს
ნათ.	იყვენეს ივინი	იოსებ-ის თანა
მოქმ.	მოვიდა მარიაჲ	იოსებ-ით-ურთ-
ვით.	ვიდრე	იოსებ-ად-მღე
წოდ.	მოვედ ჩუენ თანა,	იოსებ!



წრფ.	მოვიდა დედაკაცი ერთი, რომელსა ერქუა	მართა
სახ.	მიუწერს ეპისტოლესა მოყუასა თვისა	მართა
მოთხ.	მიუგო და ჰრქუა მას	მართა
მიც.	ეძიებდეს დანი მისნი	მართა-ს
ნათ.	მარიამ იყოფოდა	მართა-ჲს თანა
მოქმ.	მოვიდა ლაზარე	მართა-ჲთ-ურთ
ვით.	ვიდრე	მართა-ლ-მდე
წოდ.	წარვედ სახიდ შენდა,	მართა!

წრფ.	ნინო	იესუ	პავლე	გიორგი
სახ.	ნინო	იესუ	პავლე	გიორგი
მოთხ.	ნინო	იესუ	პავლე	გიორგი
მიც.	ნინო-ს	იესუ-ს	პავლე-ს	გიორგი-ს
ნათ.	ნინო-ჲს	იესუ-ჲს	პავლჲს (პავლე-ჲს)	გიორგი-ს
მოქმ.	ნინო-ჲთ	იესუ-ჲთ	პავლჲთ (პავლე-ჲთ)	გიორგი-თ
ვით.	ნინო-ლ	იესუ-ლ	პავლე-ლ	გიორგი-ლ
წოდ.	ნინო	იესუ	პავლე	გიორგი

**ბ) გეოგრაფიულია**

**თანხმოვანდუქიანი**

წრფ.	ქართლ	კახეთ	ბეთლემ
სახ.	ქართლ-ი	კახეთ-ი	ბეთლემ-ი
მოთხ.	ქართლ-მან	კახეთ-მან	ბეთლემ-მან
მიც.	ქართლ-ს	კახეთ-ს	ბეთლემ-ს
	ქართლ-ს(ა)	კახეთ-ს(ა)	ბეთლემ-ს(ა)
ნათ.	ქართლ-ის(ა)	კახეთ-ის(ა)	ბეთლემ-ის(ა)
მოქმ.	ქართლ-ით	კახეთ-ით	ბეთლემ-ით
ვით.	ქართლ-ლ	კახეთ-ლ	ბეთლემ-ლ
	ქართლ-ალ	კახეთ-ალ	ბეთლემ-ალ
წოდ.	ქართლ-ო	კახეთ-ო	ბეთლემ-ო

**ხმოვანდუქიანი**

წრფ.	მცხეთა	ოპიზა	კესარია
სახ.	მცხეთა-ჲ	ოპიზა-ჲ	კესარია-ჲ
მოთხ.	მცხეთა-მან	ოპიზა-მან	კესარია-მან
მიც.	მცხეთა-ს	ოპიზა-ს	კესარია-ს
	მცხეთა-ს(ა)	ოპიზა-ს(ა)	კესარია-ს(ა)
ნათ.	მცხეთ-ის(ა)	ოპიზ-ის(ა)	კესარი-ის(ა)
მოქმ.	მცხეთ-ით	ოპიზ-ით	კესარი-ით
ვით.	მცხეთა-ლ	ოპიზა-ლ	კესარია-ლ
წოდ.	მცხეთა-ო	ოპიზა-ო	კესარია-ო

8. საპუტარი სახელი მსაჯულბრეაღ

ა) აღამიანისა

წრფ.	შვილ	მარიამ-ის	_____	_____
სახ.	შვილ-ი	მარიამ-ის-ი	შვილ-ნ-ი	მარიამ-ის-ნ-ი
მოთხ.	შვილ-მან	მარიამ-ის-მან	შვილ-თ(ა)	მარიამ-ის-თ(ა)
მიც.	შვილ-ს(ა)	მარიამ-ის-ს(ა)	„	„
ნათ.	შვილ-ის(ა)	მარიამ-ის-ის(ა)	„	„
მოქმ.	შვილ-ით-(ა)	მარიამ-ის-ით(ა)	„	„
ვით.	შვილ-ად	მარიამ-ის-ა(დ)	„	„
წოდ.	შვილ-ო	მარიამ-ის-ო	შვილ-ნ-ო	მარიამ-ის-ნ-ო

სხვა შემთხვევები არ მოიპოვება. ✓

ბ) გეოგრაფიული

წრფ.	მონასტერ	მცხეთ-ის(ა)	_____	_____
სახ.	მონასტერ-ი	მცხეთ-ისა-ი	მონასტერ-ნ-ი	მცხეთ-ისა-ნ-ი
მოთხ.	მონასტერ-მან	მცხეთ-ისა-მან	მონასტერ-თ(ა)	მცხეთ-ისა-თ(ა)
მიც.	მონასტერ-ს(ა)	მცხეთ-ისა-ს(ა)	„	„
ნათ.	მონასტერ-ის(ა)	მცხეთ-ისა-ის(ა)	„	„
მოქმ.	მონასტერ-ით(ა)	მცხეთ-ისა-ით(ა)	„	„
ვით.	მონასტერ-ად	მცხეთ-ისა-ა(დ)	„	„
წოდ.	მონასტერ-ო	მცხეთ-ისა-ო	მონასტერ-ნ-ო	მცხეთ-ისა-ნ-ო

სხვა შემთხვევები არ მოიპოვება.

# ზ მ ნ ე ბ ი

## 1. პირის ნიშნები

### A. სუბიექტური ნიშანი I პირისა

#### ა) ხანმეტი ძეგლები

##### ა) ვ

მო-ვ-კალ	ვ-წერე	ვ-აქე
მო-ხ-კალ	ხ-წერე	ხ-აქე
მო- კლ-ა	წერ -ა	აქ -ო
მო-ვ-კალ-თ	ვ-წერე-თ	ვ-აქე-თ
მო-ხ-კალ-თ	ხ-წერე-თ	ხ-აქე-თ
მო- კლ-ეს	წერ -ეს	აქ -ეს

##### ბ) უ<sup>1</sup>

შე-ხ-უ-აბ	ხ-უ-არქუ	ხ-უ-ესაე	ხ-უ-არწმუნო
შე-ხ- აბ	ხ- არქუ	ხ- ესაე	ხ- არწმუნო
შე-ხ- აბ-ა	ხ- რქუ-ა	ხ- ესაე-ს	ხ- არწმუნო-ს
შე-ხ-უ-აბ-თ	ხ-უ-არქუ-თ	ხ-უ-ესაე-თ	ხ-უ-არწმუნო-თ
შე-ხ- აბ-თ	ხ- არქუ-თ	ხ- ესაე-თ	ხ- არწმუნო-თ
შე-ხ- აბ-ეს	ხ- რქუ-ეს	ხ- ესე-ენ	ხ- არწმუნო-ნ

#### გ) ი (ნული)<sup>2</sup>

ხ-უთხარ	შეორგულდი	ვალ
ხ-უთხარ	შე-ხ-ორგულდი	ხ-უალ
ხ-უთხარ -ა	შეორგულდ-ა	ვალ-ს
ხ-უთხარ-თ	შეორგულდი-თ	ვალ-თ
ხ-უთხარ-თ	შე-ხ-ორგულდი-თ	ხ-უალ-თ
ხ-უთხარ-ეს	შეორგულდ-ეს	ვლენ-(ან)

#### დ) ჯ<sup>3</sup>

ხ-ჯ-ტყოდე	ხ-ჯ- ყავ	ხ-ჯ- ქმენ
ხ-ი-ტყოდე	ხ- ი-ყავ	ხ- ი-ქმენ
ხ-ი-ტყოდ-ა	ხ- ი-ყ-ო	ხ- ი-ქმენ-ა
ხ-ჯ-ტყოდე-თ	ხ-ჯ- ყვენი-თ	ხ-ჯ- ქმენი-თ
ხ-ი-ტყოდე-თ	ხ- ი-ყვენი-თ	ხ- ი-ქმენი-თ
ხ-ი-ტყოდ -ეს	ხ- ი-ყვენ-ეს	ხ- ი-ქმენ-ეს

<sup>1</sup> O-ის შემდეგ. <sup>2</sup> უ, ო ბგერების წინ (ერთ შემთხვევაში ვ-ს წინაც). <sup>3</sup> ჯ წარმოშობა რთა S<sub>1</sub> ნიშანთან (უ) სათავისო და სასხვისო ქცევისა ან ვნებითი გვარის ნიშნის ი-ს შერწყმის ნადაგზე (უ+ო=ჟ).

b) პაემეტი ძეგლები

ა) ვ

მო-ვ-კალ	ვ-წერე	ვ-აქე
მო-პ-კალ	პ-წერე	პ-აქე
მო- კლ-ა	წერ -ა	აქ -ო
მო-ვ-კალ-თ	ვ-წერე-თ	ვ-აქე-თ
მო-პ-კალ-თ	პ-წერე-თ	პ-აქე-თ
მო- კლ -ეს	წერ -ეს	აქ -ეს

ბ) უ

შე-პ-უ-აბ	პ-უ-ესაე	პ-უ-არწმუნო
შე-პ- აბ	პ- ესაე	პ- არწმუნო
შე-პ- აბ-ა	პ- ესაე-ს	პ- არწმუნო-ს
შე-პ-უ-აბ-თ	პ-უ-ესაე-თ	პ-უ-არწმუნო-თ
შე-პ- აბ-თ	პ- ესაე-თ	პ- არწმუნო-თ
შე-პ- აბ-ეს	პ- ესე -ენ	პ- არწმუნო-ნ

გ) ი (ნული)

პ-უთხარ	შეორგულდი	ვალ
პ-უთხარ	შე-პ-ორგულდი	ხ-უალ <sup>1</sup>
პ-უთხარ -ა	შეორგულდ-ა	ვალ-ს
პ-უთხარ-თ	შეორგულდი-თ	ვალ-თ
პ-უთხარ-თ	შე-პ-ორგულდი-თ	ხ-უალ-თ <sup>1</sup>
პ-უთხარ -ეს	შეორგულდ-ეს	ვალენ-(ან)

დ) ჯ<sup>2</sup>

პ-ჯ- ტყოდე	პ-ჯ- ყავ	პ-ჯ- ქმენ
პ- ი-ტყოდე	პ- ი-ყავ	პ- ი-ქმენ
პ- ი-ტყოდ -ა	პ- ი-ყ-ო	პ- ი-ქმენ-ა
პ-ჯ- ტყოდე-თ	პ-ჯ- ყვენი-თ	პ-ჯ- ქმენი-თ
პ- ი-ტყოდე-თ	პ- ი-ყვენი-თ	პ- ი-ქმენი-თ
პ- ი-ტყოდ -ეს	პ- ი-ყენ-ეს	პ- ი-ქმენ-ეს

c) სანნარევი ძეგლები

ა)

მო-ვ-კალ	ვ-წერე	* ვ-აქე
მო-პ-კალ	ს-წერე	აქე
მო- კლ-ა	წერ -ა	აქ -ო
მო-ვ-კალ-თ	ვ-წერე-თ	ვ-აქე-თ
მო-პ-კალ-თ	ს-წერე-თ	აქე-თ
მო- კლ-ეს	წერ -ეს	აქ -ეს

<sup>1</sup> ამ ზნაში ხანმეტი ფოთმა პაემეტშიც და შემდგომაც უცვლელად დარჩა.

<sup>2</sup> ჯ-ში შესულია აგრეთვე მომღეწო ი: პ-უ-ი-ტყოდე-პ-ჯ-ტყოდე.

ბ)

შე-ვ-აბ	ვ-ესავ	ვ-არწმუნო
შე- აბ	ესავ	არწმუნო
შე- აბ-ა	ესავ-ს	არწმუნო-ს
შე-ვ-აბ-თ	ვ-ესავ-თ	ვ-არწმუნო-თ
შე- აბ-თ	ესავ-თ	არწმუნო-თ
შე- აბ-ეს	ესვ -ენ	არწმუნო-ნ

გ)

უთხარ	შეორგულდი	ვალ
უთხარ	შეორგულდი	ხ-უალ
უთხარა	შეორგულდ-ა	ვალ-ს
უთხარ-თ	შეორგულდი-თ	ვალ-თ
უთხარ-თ	შეორგულდი-თ	ხ-უალ-თ
უთხარ -ეს	შეორგულდ -ეს	ვლენ-(ან)

დ)

ვ-იტყოდე	ვ-იყავ	ვ-იქმენ
იტყოდე	იყავ	იქმენ
იტყოდ -ა	იყ-ო	იქმენ-ა
ვ-იტყოდე-თ	ვ-იყვენი-თ	ვ-იქმენნი-თ
იტყოდე-თ	იყვენი-თ	იქმენნი-თ
იტყოდ -ეს	იყვნ-ეს	იქმენ-ეს

**B. სუბიექტური ნიშანი მე-2 პირისა**

ა) ხანმეტი

მო-ვ-კალ	ვ-პოვე	ვ-წერე	ვ-თქუ	ვ-აქე
მო-ხ-კალ	ხ-პოვე	ხ-წერე	ხ-თქუ	ხ-აქე
მო- კლ-ა	პოვ -ა	წერ-ა	თქუ-ა	აქ-ო
მო-ვ-კალ-თ	ვ-პოვე-თ	ვ-წერე-თ	ვ-თქუ-თ	ვ-აქე-თ
მო-ხ-კალ-თ	ხ-პოვე-თ	ხ-წერე-თ	ხ-თქუ-თ	ხ-აქე-თ
მო- კლ-ეს	პოვ-ეს	წერ -ეს	თქუ-ეს	აქ -ეს

ბრძანებითი

მოკალ	პოვე	წერე	თქუ	აქე
მოკალთ	პოვეთ	წერეთ	თქუთ	აქეთ

ბ) პაემეტი

მო-ვ-კალ	ვ-პოვე	ვ-წერე	ვ-თქუ	ვ-აქე
მო-ჰ-კალ	ჰ-პოვე	ჰ-წერე	ჰ-თქუ	ჰ-აქე
მო- კლ -ა	პოვ -ა	წერ-ა	თქუ-ა	აქ -ო
მო-ვ-კალ-თ	ვ-პოვე-თ	ვ-წერე-თ	ვ-თქუ-თ	ვ-აქე-თ
მო-ჰ-კალ-თ	ჰ-პოვე-თ	ჰ-წერე-თ	ჰ-თქუ-თ	ჰ-აქე-თ
მო- კლ -ეს	პოვ -ეს	წერ -ეს	თქუ-ეს	აქ -ეს

		ბრძ.		
მოკალ	პოვე	წერე	თქუ	აქე
მოკალთ	პოვეთ	წერეთ	თქუთ	აქეთ
c) სანნარევი				
მო-ე-კალ	ვ-პოვე	ვ-წერე	ვ-თქუ	ვ-აქე
მო-შ-კალ	შ-პოვე	ს-წერე	ს-თქუ	ს-აქე
მო- კლ -ა	პოვე -ა	წერე -ა	თქუ-ა	აქ -ო
მო-ე-კალ-თ	ვ-პოვე-თ	ვ-წერე-თ	ვ-თქუ-თ	ვ-აქე-თ
მო-შ-კალ-თ	შ-პოვე-თ	ს-წერე-თ	ს-თქუ-თ	ს-აქე-თ
მო- კლ -ეს	პოვე -ეს	წერე -ეს	თქუ-ეს	აქ -ეს

		ბრძ.		
მოკალ	პოვე	წერე	თქუ	აქე
მოკალთ	პოვეთ	წერეთ	თქუთ	აქეთ

**C. სუბიექტური ნიშანი მე-8 პირისა**

აქ გარჩევა არ არის ხანმეტსა, პამეტსა და სანნარევი ძეგლებში, ყველგან ერთი და იგივე ნიშნები-გვაქვს, სახელდობრ:

შ. რ.

ს, წ, დ, ა, ო

**მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი**

ს	წერ-ს	(აწმყო)
	იწერები-ს	(ვწ. გვ. აწ.)
	მასმიე-ს	(სტატ. აწ.)
	წერდე-ს	(I კავშ.)
	წერდი-ს	(უწყვ. ხოლმ.)
	წერი-ს	(II ხოლმ.)
	წერო-ს	(II კავშ.)
	უწოდი-ს	(II კავშ.)
	მისცოდი-ს	(შერ. კავშ.)
	(და)უწერიე-ს	(I თურმ.)
	ებრძანი-ს	(III ხოლმ.)
	(და)ეწერო-ს	(III კავშ.)
წ	წერ-წ	(აწ. ხოლმ.)
	პგონიე-წ	(სტატ. აწ. ხოლმ.)
	წერდი-წ	(I ბრძ. მე-3 პირ.)
	წერე-წ	(მან იგი: II ბრძ. მე-3 პირ.)
	შეგირაცხიე-წ	(I თურმ. ს.)

დ	ჰნთიე-დ წარუგდებიე-დ	(სტატ. აწ.) (I თურმ.)
ა	წერდ-ა წერ-ა (და)ეწერ-ა	(უწყვ.) (წყვ.) (II თურმ.)
ო	აქ-ო ექ-ო	(წყვ.) (II თურმ.)

მრ. რ.

ენ, ან, ნ, ელ, ეს

ენ	წერ-ენ	(იგინი მას, მათ: აწმყო)
ან	თხრი-ან იწერები-ან ჰგი-ან ჩან-ან წერდი-ან იწერებოდი-ან წერი-ან უწოდი-ან მისცოდი-ან (და)უწერი-ან მოესრინი-ან	(ი თემის ნიშნ. აწ.) (ვნ. გვ. აწ.) (სტატ. აწ.) (საშ. გვ. აწ.) (უწყვ. ხოლმ.) (ოდიანი ზმნების I კავშ. და უწყვ. ხოლმ.) (II ხ. ) (II კავშ.) (შერ. კავშ.) (I თურმ.) (III ხოლმ.)
ნ	წერდე-ნ იწერებოდი-ნ წერო-ნ (და)ეწერნე-ნ	(I კავშ.) (ოდიანი ზმნების I კავშ.) (II კავშ.) (III კავშ.)
ელ	წერ-ელ წერდ-ელ სციიდი-ელ (და)წერ-ელ მოვიდი-ელ	(იგინი მას, მათ: აწ. ხოლმ.) (I ბრძ. მე-3 პირ.) (უწყვ. ხოლმ.—იშვიათად). (მათ იგი: II ბრძ. მე-3 პირ.) (II ხოლმ.—იშვიათად)
ეს	წერდ-ეს წერ-ეს წარვიდ-ეს (და)ეწერნ-ეს	(უწყვ.) (გარდამ. წყვ.) (გარდაუვ. წყვ.) (II თურმ.)

**D. ობიექტური ნიშნები 1-ლი და მე-2 პირისა**

არც აქ არის გარჩევა ხანმეტსა, ჰაემეტსა და სანნარეუ ძეგლებში; არც იმის მიხედვითაა განსხვავება, ობიექტი ირიბია თუ პირდაპირი, ყველგან ერთი და იგივე ნიშნები გვაქვს, სახელდობრ:

მ. რ.

1-ლი პ.

მე-2 პ.

ა

ბ

მრ. რ.

ა (ექსკლუზ.)

ბ

გუ (ინკლუზ.)

შ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი

ა) ო ბ ი ე კ ტ ი ო რ ი ბ ი ა

	მო-მ-ცა	მან მე იგი	მ-ინებს	მ-ითქუამს	მე იგი
	მო-გ-ცა		გ-ინებს	გ-ითქუამს	
	მო-ს-ცა		უნებს	უთქუამს	
ექსკლ.	მო-მ-ცა		მ-ინებს	მ-ითქუამს	
ინკლ.	მო-გუ-ცა		გვ-ნებს	გვ-თქუამს	
	მო-გ-ცა		გ-ინებს	გ-ითქუამს	
	მო-ს-ცა		უნებს	უთქუამს	

ბ) ო ბ ი ე კ ტ ი პ ი რ დ ა პ ი რ ი ა

	მო-მ-კლა	მან მე	წარ-მ-იყვანა
	მო-გ-კლა		წარ-გ-იყვანა
	მო-კლა		წარ-იყვანა
ექსკლ.	მო-მ-კლნა		წარ-მ-იყვანა
ინკლ.	მო-გუ-კლნა		წარ-გვ-ყვანა
	მო-გ-კლნა		წარ-გ-იყვანა
	მო-კლნა		წარ-იყვანა

ვ. ო ბ ი ე კ ტ უ რ ი ნ ი შ ა ნ ი მ ე - მ პ ი რ ი ს ა

ა) ი რ ი ბ ი ო ბ ი ე კ ტ ი ს ნ ი შ ა ნ ი

ა) ხ ა ნ მ ე ტ ი

ირიბ ობიექტს მუდამ აქვს ნიშანი (ყველა სერიაში) და ეს ნიშანი იგივეა, რაც II პირის სუბიექტისა — ხ, ჰ, ს, მ (ნული):

ხ-უ-კითხავ	ხ-უ-კითხე	მი-ხ-უ-ცემ	მი-ხ-უ-ეც	ხ-უთხარ
ხ-კითხავ	ხ-კითხე	მი-ხ-ცემ	მი-ხ-ეც	ხ-უთხარ
ხ-კითხავს	ხ-კითხა	მი-ხ-ცემს	მი-ხ-ცა	ხ-უთხარა
ხ-უ-კითხავთ	ხ-უ-კითხეთ	მი-ხ-უ-ცემთ	მი-ხ-უ-ეც(ი)თ	ხ-უთხართ
ხ-კითხავთ	ხ-კითხეთ	მი-ხ-ცემთ	მი-ხ-ეც(ი)თ	ხ-უთხართ
ხ-კითხვენ	ხ-კითხეს	მი-ხ-ცემენ	მი-ხ-ცეს	ხ-უთხარეს



ბრძ.

ბ-კითხე	მი-ბ-ეც	ბ-უთხარ
ბ-კითხეთ	მი-ბ-ეც(ი)თ	ბ-უთხართ.

b) პაემეტი

ბ-უ-კითხავ	ბ-უ-კითხე	მი-ბ-უ-ცემ	მი-ბ-უ-ეც	ბ-უთხარ
ბ-კითხავ	ბ-კითხე	მი-ბ-ცემ	მი-ბ-ეც	ბ-უთხარ
ბ-კითხავს	ბ-კითხა	მი-ბ-ცემს	მი-ბ-ცა	ბ-უთხარა
ბ-უ-კითხავთ	ბ-უ-კითხეთ	მი-ბ-უ-ცემთ	მი-ბ-უ-ეც(ი)თ	ბ-უთხართ.
ბ-კითხავთ	ბ-კითხეთ	მი-ბ-ცემთ	მი-ბ-ეც(ი)თ	ბ-უთხართ
ბ-კითხვენ	ბ-კითხეს	მი-ბ-ცემენ	მი-ბ-ეცს	ბ-უთხარეს.

ბრძ.

ბ-კითხე	მი-ბ-ეც	ბ-უთხარ
ბ-კითხეთ	მი-ბ-ეც(ი)თ	ბ-უთხართ

c) სანნარევი

ვ-ბ-კითხავ	ვ-ბ-კითხე	მი-ვ-ს-ცემ	მი-ვ-ეც	უთხარ
ბ-კითხავ	ბ-კითხე	მი-ს-ცემ	მი- ეც	უთხარ
ბ-კითხავს	ბ-კითხა	მი-ს-ცემს	მი-ს-ცა	უთხარა
ვ-ბ-კითხავთ	ვ-ბ-კითხეთ	მი-ვ-ს-ცემთ	მი-ვ-ეც(ი)თ	უთხართ
ბ-კითხავთ	ბ-კითხეთ	მი-ს-ცემთ	მი- ეც(ი)თ	უთხართ
ბ-კითხვენ	ბ-კითხეს	მი-ს-ცემენ	მი-ს-ეცს	უთხარეს

ბრძ.

ბ-კითხე	მიეც	უთხარ
ბ-კითხეთ	მიეც(ი)თ	უთხართ

ბ) პირდაპირი ობიექტის ნიშანი

თუ პირდაპირი ობიექტი სახელობითშია, ზმნაში მისი ნიშანი არასდროს არაა: წარმოდგენილი; ეს იქნება II სერიის მწკრივებში, მაგალითად:

a) ხანმეტი

ვ-წერე	ვ-ჰამე	მო-ვ-კალ	ვ-ყავ	ვ-აქე
ბ-წერე	ბ-ჰამე	მო-ბ-კალ	ბ-ყავ	ბ-აქე
წერ-ა	ჰამ-ა	მო-კლ-ა	ყ-ო	აქ-ო
ვ-წერეთ	ვ-ჰამეთ	მო-ვ-კალ-თ	ვ-ყავ-თ	ვ-აქეთ
ბ-წერეთ	ბ-ჰამეთ	მო-ბ-კალ-თ	ბ-ყავ-თ	ბ-აქეთ
წერ-ეს	ჰამ-ეს	მო-კლ-ეს	ყვ-ეს	აქ-ეს

და ასე სხვა მწკრივებშიც.

b) ჰაემეტი

ვ-წერე	ვ-ჰამე	მო-ვ-კალ	ვ-ყავ	ვ-აქე
ჰ-წერე	ჰ-ჰამე	მო-ჰ-კალ	ჰ-ყავ	ჰ-აქე
წერ-ა	ჰამ-ა	მო-კლ-ა	ყ-ო	აქ-ო
ვ-წერე-თ	ვ-ჰამე-თ	მო-ვ-კალ-თ	ვ-ყავ-თ	ვ-აქე-თ
ჰ-წერე-თ	ჰ-ჰამე-თ	მო-ჰ-კალ-თ	ჰ-ყავ-თ	ჰ-აქე-თ
წერ-ეს	ჰამ-ეს	მო-კლ-ეს	ყვ-ეს	აქ-ეს

და ასე სხვა მწკრივებშიც.

c) სანნარევი

ვ-წერე	ვ-ჰამე	მო-ვ-კალ	ვ-ყავ	ვ-აქე
ს-წერე	ს(შ)-ჰამე	მო-ჰ-კალ	ჰ-ყავ	აქე
წერ-ა	ჰამ-ა	მო-კლ-ა	ყ-ო	აქ-ო
ვ-წერე-თ	ვ-ჰამე-თ	მო-ვ-კალ-თ	ვ-ყავ-თ	ვ-აქე-თ
ს-წერე-თ	ს(შ)-ჰამე-თ	მო-ჰ-კალ-თ	ჰ-ყავ-თ	აქე-თ
წერ-ეს	ჰამ-ეს	მო-კლ-ეს	ყვ-ეს	აქ-ეს

და ასე სხვა მწკრივებშიც.

მაგრამ თუ პირდაპირი ობიექტი მიცემითშია (ე. ი. სათანადო ზმნა პირველი სერისის რომელიმე მწკრივში დგას), მაშინ საკითხს წყვეტს ზმნისწინის დართვა-არდართვა: ზმნისწინიან ფორმებს ყოველთვის ექნება ობიექტური პირის ნიშანი, უზმნისწინოებს კი — არა.

მაგალითები

a) ხანმეტი

ვ-წერ	ვ-ჰამ	ვ-კლავ
ხ-წერ	ხ-ჰამ	ხ-კლავ
წერ-ს	ჰამ-ს	კლავ-ს
ვ-წერ-თ	ვ-ჰამ-თ	ვ-კლავ-თ
ხ-წერ-თ	ხ-ჰამ-თ	ხ-კლავ-თ
წერ-ენ	ჰამ-ენ	კლვ-ენ

და-ხ-უ-წერ	შე-ხ-უ-ჰამ	მო-ხ-უ-კლავ
და-ხ-წერ	შე-ხ-ჰამ	მო-ხ-კლავ
და-ხ-წერ-ს	შე-ხ-ჰამ-ს	მო-ხ-კლავ-ს
და-ხ-უ-წერ-თ	შე-ხ-უ-ჰამ-თ	მო-ხ-უ-კლავ-თ
და-ხ-წერ-თ	შე-ხ-ჰამ-თ	მო-ხ-კლავ-თ
და-ხ-წერ-ენ	შე-ხ-ჰამ-ენ	მო-ხ-კლავ-ენ

და ასე სხვა მწკრივებშიც.

b) ჰემეტრი

ვ-წერ	ვ-ჰამ	ვ-კლავ
ჰ-წერ	ჰ-ჰამ	ჰ-კლავ
წერ-ს	ჰამ-ს	კლავ-ს
ვ-წერ-თ	ვ-ჰამ-თ	ვ-კლავ-თ
ჰ-წერ-თ	ჰ-ჰამ-თ	ჰ-კლავ-თ
წერ-ენ	ჰამ-ენ	კლავ-ენ
და-ბ-უ-წერ	შე-ბ-უ-ჰამ	მო-ბ-უ-კლავ
და-ბ-წერ	შე-ბ-ჰამ	მო-ბ-კლავ
და-ბ-წერ-ს	შე-ბ-ჰამ-ს	მო-ბ-კლავ-ს
და-ბ-უ-წერ-თ	შე-ბ-უ-ჰამ-თ	მო-ბ-უ-კლავ-თ
და-ბ-წერ-თ	შე-ბ-ჰამ-თ	მო-ბ-კლავ-თ
და-ბ-წერ-ენ	შე-ბ-ჰამ-ენ	მო-ბ-კლავ-ენ

და ასე სხვა მწკრივებშიც.

c) სანნარევი

ვ-წერ	ვ-ჰამ	ვ-კლავ
ს-წერ	ს(შ)-ჰამ	ჰ-კლავ
წერ-ს	ჰამ-ს	კლავ-ს
ვ-წერ-თ	ვ-ჰამ-თ	ვ-კლავ-თ
ს-წერ-თ	ს(შ)-ჰამ-თ	ჰ-კლავ-თ
წერ-ენ	ჰამ-ენ	კლავ-ენ
და-ვ-ს-წერ	შე-ვ-ს(შ)-ჰამ	მო-ვ-ბ-კლავ
და-ს-წერ	შე-ს(შ)-ჰამ	მო-ბ-კლავ
და-ს-წერ-ს	შე-ს(შ)-ჰამ-ს	მო-ბ-კლავ-ს
და-ვ-ს-წერ-თ	შე-ვ-ს(შ)-ჰამ-თ	მო-ვ-ბ-კლავ-თ
და-ს-წერ-თ	შე-ს(შ)-ჰამ-თ	მო-ბ-კლავ-თ
და-ს-წერ-ენ	შე-ს(შ)-ჰამ-ენ	მო-ბ-კლავ-ენ

და ასე სხვა მწკრივებშიც.

აი ამის მაგალითები ძველი ქართულის ტექსტებიდან:

A

(ზმინისწინიანი და უზმინისწინონი)

1. თ ა რ გ მ ა ნ ე ბ ა, თ ა რ გ მ ნ ა

ი რ ა ვ თ ა რ გ მ ა ნ ე ბ გ ა მ ო უ თ ა რ გ მ ა ნ ე ბ ე ლ ს ა მ ა ს ს ა კ ვ რ ე ვ ე ლ ე ბ ა ს ა: ს ი ნ. 173, 7; ს ი ტყ უ ა ლ მ ი ს ი თ ა რ გ მ ა ნ ე ბ ს: უ რ ჰ. 327, 10; ჰ უ რ ი ა ნ ი თ ა რ გ მ ა ნ ე ბ ე ნ: ს ი ნ. 34, 20; და ი გ ი ს ა ნ ა ტ რ ე ლ ი შ ე უ ს უ ე ნ ე ბ ე ლ ა დ თ ა რ გ მ ნ ი ნ: ც ხ.

ეთ. 48, 6; და თარგმანებ და ადვილად ჩუენებასა: საკ. წიგ. II, 58, 29; ნუსხვიდა და თარგმნიდა: ექუსთ. 114, 31; თარგმნიდა იგი გამოცხადებულად: კიმ. I, 232, 27; თარგმნიდა წიგნთა და განჰმარტებდა: H 2124 (ხელნ. აღწ. H ფონდი, V, 1949, 78, 11); რომელი თარგმნიდა კეთილად: უდაბნ. 29 vb, 23; ფარისეველნი სხუდ თარგმანებდეს საღმრთოთა წიგნთა: სინ. 31, 23; მრავ. 280, 14 C; თარგმნიდეს მრავ. 280, 14 B; აწ რომელი-იგი თარგმანებდეს: სინ. 231, 1; რომელი სიტყუასა მას თარგმნიდეს: სწავ. 21, 34.

მაგრამ შეადარე ზმნისწინიანი და პირის ნიშნიანი ფორმები: ვერცა გამოსთარგმანებთ გინა ვიტყვთ: პ. იბერ. 28, 28; ყოველსა... გამოსთარგმანებნ: ასურ. 71, 32; ყოველსავე კეშმარიტებით გამოსთარგმანებდა: საკ. წიგ. II, 106, 40; ვითარცა გამოსთარგმანებდეს წიგნნი აღთქუმისანი: ისტ. ქრ. I, 290, 12; აღიარებდეს სიტყუასა წიგნთასა და გამოსთარგმანებდეს: ბალ. 48, 9; ანუ ყოველნი ნუ გამოსთარგმანებდენ: 1 კორ. 12, 30 ლატ.; პარ.; ...გამოსთარგმნიდენ: იქვე, ქუთ.

## 2. თ ლ ა

“შურებოდეს იგინი საქმარსა მონასტრისასა და თლიდეს ქვასა ხუროებითა: კიმ. I, 257, 8; გალატოზნი ქვასა თლიდეს. და იპოვა ქვასა ერთსა შინა, რომელსა-იგი თლიდეს: თუალთ. 7, 16—17. (ბლეიკის გამოც.); 24, 3 (მ. ჯან. გამოც.).

მაგრამ: ხუროებით დლითი-დღედ ძელთა, ქვათა ღმრთად გამოსთლიდეს: მრავ. 309, 7 (შდრ. გამოსთალა: ესაია 44, 12).

## 3. თ უ ა ლ ვ ა

ას და იბ-ტითა წლითა წინაჲთ თუალვენ ქართველნი ქრონიკონისა თავისა დაწყებასა ვისისაგანმე მოცთუნებითა: აღწ. 103, 30; ყოველსა მას რავდენსაცა ვთუალვიდე... უდაბნ. 80 ra; აწ ცხრათა მათ თთუეთა ვთუალვიდეთ: მრავ. 272, 16.

მაგრამ: რომლისათჳს იგივე მოციქული მასვე ადგილსა წარმოსთუალავს სიყუარულისა მის სახესა: Sin. 35, 243 ra, 20; კორცთა ნებასა სხუასა ადგილსა თითოეულად წარმოსთუალავს მოციქული და იტყვს: იქვე, 255 va, 4; განსთუალვიდა ყოველსა მას კაცებსა: თეკლ. 104, 16; აწ რასადა-მე ყოველსა ამას თითოეულად მოვსთუალვიდე: Sin. 97, 7 va, 12 (=აღწ. 230, 28).

## 4. თ ხ ზ ვ ა

აჲა ესერა მცირესა ამას ვთხზავ ბაჲასა და ვჲამ პურსა: ნოველ. 6, 11, 5; ზინ და ფსურიდსა თხზავნ: Sin. 11, 251, 8; ასმენნ ერთიერთსა და შეკრებნ და თხზავნ შფოთსა და მანკიერებასა: სწავ. 243, 8; ენაჲ ჩემი თხზვიდა ზაკუეასა: ფს. 49, 19 ლ; და თხრიდა ქუეყანასა გულს-მოღვინედ,

დანაკისკუდისა ფურცელსა თ ხ ზ ე ი დ ა: Sin. 11, 324 v, 2—1; ხოლო იგა დუშნა და თ ხ ზ ე ი დ ა სირასა: ლიმ. 86, 13; ეშმაკი საბლისა მოხვეელი არს: რავდენცა ნივთსა მისცემდე, ეგოდენცა იგი თ ხ ზ ე ი დ ე ს: Sin. 35, 300 rb, 8 ქვ.

მაგრამ: რომელნი უსულოთა საქმეთა მიერ შესთხზვენ ქებასა: ანტიოქ. 312, 10.

### 5. კ ა ფ ა

რომელი კ ა ფ დ ა შეშასა: Sin. 35, 277 ra, 1—2; რომელი-იგი შეშასა კ ა ფ დ ა: იქვე.

მაგრამ: სხუანი მოჰკაფდეს რტოებსა ხეთაგან: მ. 21, 8; მრ. 11, 8; და დაილინეს ივინი, რომელნი მოჰკაფდეს მათ: სინ. 261, 33.

### 6. კ ბ ე ნ ა

ენაჲ შენი კ ბ ე ნ ს უბოროტშს ღრიაკლისა: Sin. 36, 143 b. 6 ქვ. (=სწავ. 148, 14); გუელი კ ბ ე ნ დ ა და ღრიაკალი: 2 შჯ. 8, 15 ლაგ., ლატ., პარ.; მტარვალნი..., ვითარცა მგელნი, კ ბ ე ნ დ ე ს კრავსა მას ქრისტესსა: თთუენი, 49, 12 (=ეტ. VIII).

მაგრამ: ურიცხეთა მათგანთა დაჰკბენდა: Sin. 11, 252, 2 ქვ.

### 7. კ მ რ ვ ა

არარაჲ აქუნ ამის სოფლისაჲ, გარნა ერთი ნემსი, რომლითა კ ე რ ვ ი დ ა დანაკისკუდისა ფურცელსა: ნოველ. 6, 7, 4; სფურითსა კ ე რ ვ ი დ ა: ცხ. ანტ (ხელნ., ბრიტანული ნუსხა 32 v, 1; =გამოც. 46, 32).

მაგრამ: ვითარცა ვინ გა ნ ჰ კ ე რ ა ვ ე ნ კეცსა, ეგრე არს, რომელი ასწა-უებდეს უგუურსა: ზირ. 22, 7; გა ნ ჰ კ ე რ ვ ი დ ე ს ბადეთა მათთა: მ. 4, 21 C; და გა ნ ჰ კ ე რ ვ ი დ ე ს ბადეთა მათთა, რამეთუ სიგლახაკისაგან ვერ შემძლე-ბელ იყვნეს ივინი სყიდად ახალთა ბადეთა სათევზედ და ძუელთა გა ნ ჰ კ ე რ ვ ი დ ე ს: Sin. 36, 50 a, 5—10 (=სწავ. 86, 25—27).

### 8. კ ლ ვ ა

იხილოს ვინმე, რომელი მოჰკლვიდეს კაცსა, და თქუას გულსა შინა თვისსა, ვითარმედ: ამას ესე ხოლო უქნისეს, ხოლო მე ყოველსა ეამსა ვკლავ: Sin. 35, 295 vb, 21; და ისარი იგი კ ლ ვ ი დ ა ორკერძობითვე კაცებსა: სინ. 273, 16 (=კიმ. I, 36, 14); ლომსა და დათუსა კ ლ ვ ი დ ა მონაჲ შენი: 1 მეფ. 17, 36 (ოშკი, ლაგ., ლატ., სინ. ლექც.); და ვითარ-იგი ტყუენვიდეს ყოველი-კერძო და კ ლ ვ ი დ ე ს: ანტიოქ. 398, 8.

მაგრამ: აღსასრულსა მას წინაწარმეტყუელთასა მოჰკლავს: სინ. 210, 5; მოყუასი მოყუასსა ანუ შობასა მოჰკლავს: სიბრძნ. 14, 24 პარ.; და თუ არა უბრძანო, არა მოჰკლავს: Sin. 36, 23 a, 12 (=სწავ. 66, 17); ესე

მოქცევის მომგებელსა თვისსა: Sin. 35, 299 ra, 7; არა მოქცევენ მას მოყუასთავე თვისთა თანა: სინ. 276, 20 (= კიმ. I, 40, 6); მღდელი ...კრავსა მას ღმრთისასა დაჰქლავენ: წარტყ. 18, 6; რომელი-იგი მოქცლავენ ძაღლსა: ესაია 66, 3; რომელნი-იგი დაჰქლავედ კაცთა ღლითი-ღლედ: აპოკრ. 40, 32; ლომსა მოვქლავედ... გულის-წყრომასა მოვქლავედ: Sin. 35, 296 rb, 9, 13; მიდგომილთა სიძეთა მოვქლავედი და ყრმათა მწოვართა დაჰქლავედი: პარხ. 770 b; ვისი უნდა მას, მოქცევიდა: დან. 5, 19; კაცმან ვინმე შეიპყრა მჭურინავი და დაჰქლავიდა: ბალ. 57, 30 ბ; იაკობს... ოდეს მოქლავიდა: Опис. 176, 20; მკეტთა წილ საძაგელთა ცოდვითა მოქლავიდა: Sin. 97, 215 rb, 2 ქვ.; დასწყუედდეს ზუარაკებსა და დაჰქლავიდეს ცხოვარსა: ესაია 22, 13; ოდეს პასქასა მას დაჰქლავიდეს: მრ. 14, 12; რომელნი-იგი დაჰქლავიდეს კაცთა ღლითი-ღლეთ: აპოკრ. 40, 32 E (ვარ.); ესრეთ დაჰქლავიდეს ყრმათა მათ: იქვე, 82, 12; რომელსა ჰპოებდეს, მოქლავიდეს: წარტყ. 16, 13; მსუქანესა მას დაჰქლავედი: ეზეკ. 34, 3 ლატ. (ბრძანებითა, ამიტომ ჰმხოლოდ ობიექტს ეკუთვნის); შევედით ქალაქსა მას, სცემდით და მოქლავედი: ეზეკ. 9, 5 ლატ. (აქაც ისე); რომელი მოქლავიდეს კაცსა: Sin. 35, 295 vb, 17; შუღთა ღლითი-ღლედ დაჰქლავიდე: აპოკრ. 33, 20; სადა-იგი დაჰქლავიდენ ყოვლად დასაწყუეელთა: ლევ. 6, 25; აღდგენ შეილნი მამა-ღედათა ზედა და მოქლავიდენ მათ: მრ. 13, 12; და მოქლავიდენ თქუენგანთა: ლ. 21, 16.

## 9. კოდა

მოიღებდა წყალსა და კოდდა შეშასა და გვიდა სახლსა და ეზლსა: პარხ. 677 a.

მაგრამ: აღმოსხმიდა წყალსა და დაჰქოდდა შეშასა და განგვიდა ეზოსა: Sin. 11, 191 v, 2 ქვ.; და დაჰქოდდეს კარსა: Sin. 6, 191 a, 7.

## 10. კრება

ერსა ვკრებთ: სინ. 251, 29; აპოკრ. 5, 11 (= A 19, A 95, ათონ. 57); ძენი მათნი კრებენ შეშასა: იერ. 7, 18; და გამოვიდის იგი ქუბაბით თვისით და მიმოვალნ უდაბნოსა და კრებენ იგი მელაღრიასა, რომელ არს თაფლი ველისა: კიმ. I, 20, 24; რომელნი მდელოსა კრებდეს მთათა შინა: იობ 30, 4 ოშკ., პარ.; უტევეთ იგი, ჰამდეს და კრებდეს თავსა და ნუ პრისხავთ მაგას: რუთ 2, 16 ოშკ., პარ.

მაგრამ: რომელი არა შეჰკრებს ჩემ თანა, იგი განაბნეეს: მ. 12, 30; ლ. 11, 23; იგი შეჰკრებს ქრთილსა კალოსა თვისსა: რუთ 3, 2; და ნუცა აღჰკრებს მფრინველი თესლსა მას ცხოვრებისასა: რიფს. 164, 25; და შე-მოჰკრებს დღეს ხარებდად გამოუკულეველსა მას საიდუმლოსა: სას. პ. 46, 2; ხოლო ჩუენ ...შეჰკრებთ მონაგებთა: ლიმ. 59, 28; რომელნი შეჰკრებენ მკლუელებსა მათსა: ფს. 128, 7; ძენი მათნი შეჰკრებენ შეშასა: იერ. 7, 18 გელათ.; ვიდრემდის შეჰკრებენ იგი, მოწყალე არს: Sin. 35, 160 va, 12; ღლითი-ღლედ შეშასა შეჰკრებენ: Sin. 11, 355, 6; რომელნი

შეკრებედ მკლელულებსა მათსა: ფს. 128, 7 C (ვარ.); სავლე ...შეკრებდა ყოველთა მათ ჰურიათა: მოც. 9, 22; ვითარ შეკრებდა პავლე ფრიალსა ქარქუეტსა: მოც. 28, 3; განთიად ჭამადსა თვსსა ჭამდა და მიმწუხრი განუმზადებდა და დაკრებდა: თუალთ. 84, 12; შეიწყნარებლით მოხუცებულთა, შემოკრებლით ძუძუას-მწოვართა: იოველ 2, 16 პარ. (ბრძანებითა. შდრ. რუს. თარგმანი: соберите отроков и грудных младенцев. მაშასადამე, აქ მხოლოდ ობიექტისა); ვილოდეს მას შინა და შეკრებდეს გუნდასა: ანტიოქ. 379, 6; რომელი-იგი ხარკსა შეკრებდეს: მ. 17, 24; რომელი წადიერებით შეკრებდეს და ვერ განძღეს: Sin. 35, 173 rb, 1 ქე.; რომელი შურებოდის დლითი-დღედ და შეკრებდეს სასყიდელსა: Sin. 97, 22 vb, 4 ქე.; შეკრებდეთ საშოვალ სულიერსა და კორციელსა: სწავ. 176, 13; და შეკრებდენ ნაყოფთა მათთა: იერ. 8, 13.

### 11. ლეწვა, ლეწა

თანა-აყ სასოებით კნება მკნეულსა მას და რომელი-იგი ლეწვენ, — სასოებით შეკრება: 1 კორ. 9, 10 (ქუთ.); აღდგ და ლეწვიდი მათ, ასულო სიონისაო: მიქ. 4, 13 (ბრძანებითა, ამიტომ არა აქვს სუბიექტური ნიშანი, ხოლო ობიექტის ნიშანი არც უნდა ჰქონდეს, რადგან ზმნა უზმნისწინოდ არის ნახმარი).

მაგრამ: დაჰლეწვიდეს და დასთრგუნვიდეს ყოველთა ერთა წარმართთა და მკდომთა: თუალთ. 60, 5; დაჰლეწდეს კერპთა ამათ ყოველთა: სპევს. 52, 3; რომელთამე ძუალთა მათთა დაჰლეწდეს: ლიმ. 32, 25; და დატკებნოს თავი ვეშაპისა და დაჰლეწდეს ბრძოლისა მახვლთა: ბოლნ. 40, 6.

ზმნისწინან მაგალითებში გვაქვს ავ თემის ნიშნიანი და უთემისნიშნო ფორმები (დაჰლეწვიდეს, დაჰლეწდეს). მაგრამ ამას აქ აღძრული საკითხისათვის არა აქვს მნიშვნელობა: ორივეგან არის ობიექტური ნიშანი ჰ. შევნიშნავთ აქვე, რომ ეს ზმნა ძველ ქართულში საერთოდ ამგვარივე ორი სახით იხმარება — ავ თემის ნიშნით და უთემისნიშნოდ (შდრ. კიდევ: ლეწვა დაბ. 45, 6; ლეწვა აზოს 9, 13; იერ. 8, 20; ლეწვა სა მიქ. 7, 1; იგავ. 26, 1; და ლეწად Sin. 11, 287, 7; პარხ. 888 b). უფრო გავრცელებული ავინი ფორმებია. დღევანდელ სალიტერატურო ენაშიც ესაა ერთადერთი ნორმა (ლეწავს, ლეწავდა, ლეწვა, მლეწველი).

### 12. მკიდა

(მფრინველნი) არა სთესვენ, არცა მკიდან: მ. 6, 26; ლ. 12, 24; ბოლნ. 22, 4; და მკიდა (ყანასა): Sin. 62, 102 vb, 6; რომელი მკიდა ყანასა: Sin. 35, 268 ra, 3; ბეთსამელნი იგი მკიდეს სამკალსა იფქლსა ყანასა შინა: 1 მეფ. 6, 13 ლაგ.; ლატ.; პარ.; რომელი-იგი მკიდეს: ებ. ანტ. 18, 30; სადა მკიდენ, შეუდგ მათ: რუთ 2, 9; რამთა არღარა მკიდენ: ხანძთ. 134, 12. მაგრამ: სრულიად მოჰმკიდან ვიღრე მწუხრადმდე იფქლსა მას ფრიალ კეთილსა: ხანძთ. 134, 10.

შკიდენ, მაგრამ ორიოდ სტრიქონის წინ მოჰმკიან! აი ძირითადი კანონი, რომელსაც პირდაპირობიექტური პირის ნიშნის ხმარება ემყარება.

### 13. მ უ ს რ ვ ა

არა ესე არსა, რომელ-იგი მ უ ს რ ვ ი დ ა იერუსალმს შინა: მოც. 49; 21 C; მოწაფენი მისნი მოჰპრიდეს თავსა კუვილისასა, მ უ ს რ ვ ი დ ე ს კ ე ლ ი თ ა და ჰამდეს: ლ. 6, 1 ABCDEM; მოიქსენე, რამეთუ მოწაფეთაცა უფლისათა შეემზია და კუვილისა თავსა მ უ ს რ ვ ი დ ე ს და ჰ ა მ დ ე ს: Sin. 36, 232, a, 2 ქვ. (=სწავ. 199, 2 BC).

მაგრამ ზმნისწინიანებს ობიექტური ნიშანი აქეთ: უფალი ამპარტავანთა შეჰმ უ ს რ ა ვ ს: იგავ. 3, 34 პარ.; სწავ. 10, 11; ბოლნ. 55, 7; იავ. 4, 6; 1 პეტ. 5. 5 (C, D); შეაწუხებს იგი გულსა და შეჰმ უ ს რ ა ვ ს მას: Sin. 35, 80 ra, 1; და შეჰმ უ ს რ ა ვ ს გულის-სიტყუათა: Sin. 36, 8 a, 6 ქვ. (=სწავ. 54, 13); და მივლენ ღამით და შეჰმ უ ს რ ვ ე ნ მათ: Sin. 11, 270, 4 ქვ.; ლოცვა და მღუიძარება და მოთმინება განსაცდელთა შეჰმ უ ს რ ვ ე ნ გულსა შე-მ უ ს რ ვ ი თ ა სარგებელითა: Sin. 35, 76 ra; და შეჰმ უ ს რ ვ ი დ ა იგი ყოველ-თა დამყარებულთა: კიმ. I, 261, 27; რომელნი ... შეჰმ უ ს რ ვ ი დ ე ს სულთა: წარტყ. 36, 19; შეჰმ უ ს რ ვ ი დ ე ს თავთა თუსთა შრომითა: Sin. 35, 149 va, 2 ქვ.; 286 ra, 3; უფალი შენი ვიდრემე დაარღუევდეს შოათა და შეჰმ უ ს რ ვ ი დ ე ს კლდეთა: კიმ. I, 178, 16.

### 14. რ ც ხ ა

რომელნი (დედანი) რ ც ხ ი დ ე ს მუნ: ცხ. ეფრ. 89, 11; და რ ც ხ ი დ ე ს მათ ცრემლთა მიერ თუსთა: ნოველ. 3, 24, 5 (A 1105).

მაგრამ: ხოლო მესათხველენი იგი გამოვიდეს ნავისა მისგან და განჰრ-ც ხ ი დ ე ს ბადეთა: ლ. 5, 2.

### 15. რ წ ყ ვ ა

წყაროა კეთილი, რომელი რ წ ყ ა ვ ე ნ ნერგთა, ეგრეცა სიმრავლმ მონა-ზონთაა ურთიერთას რ წ ყ ე ე ნ ცრემლითა მათითა მათსა მას ფსალმუნებასა: Sin. 97, 54 ra, 6 ქვ. — 54 rb, 1; ოფლთა და ცრემლთა ნაკადულითა რ წ ყ ე ი დ ა უდაბნოთა მათ: ასურ. 168, 1 a; რომელი ლავრასა სწავლითა რ წ ყ ე ი დ ა კიმ. I, 173, 11; ზრდიდა და რ წ ყ ე ი დ ა მოუკლებელად: იქვე, II, 151, 2; ზრუნევი მეთრესა მას ბოსტანსა... და რ წ ყ ე ე დ ი მარადის: ნოველ. 3, 23, 61; ანუ ვინ რ წ ყ ე ი დ ე ს ცრემლთა მიერ წმიდათა სოფლებსა ჩუენსა: ასურ. 65, 28 ბ.

მაგრამ: ამის ზღუსა მეწამულისაგან გამოვალს ათორმეტი წყაროა და მოჰრ წ ყ ა ვ ს იგი ფრიალსა ფინიკოვანსა. და მახლობელად მისა არს ჭურღ-მული, რომელი მოჰრ წ ყ ა ვ ს სხუასა ფინიკოვანსა და ზღუდვე შთავალს იგი: სინ. 269, 21, 22; რომელსა-იგი ნერონ მოჰრ წ ყ ა ვ ს: თუალთ. 10, 23; მოჰრ წ ყ ა ვ ს საღმრთოა სული: ურთ. 154, 18; წიგნი პავლმსნი ... მოჰრ-



წყვენი და განაძღებენ ეკლესიასა ღმრთისასა: თუალთ. 80, 23; მრავალსა მოჰრწყვენ და განსწმენდნ: Sin. 35, 292 rb. 7; წყაროა ...მოჰრწყვიდა ყოველსა პირსა ქუეყანისასა: დაბ. 2, 6 ლაგ., სინ.; მოჰრწყვიდა წყალი იგი ქუეყანასა მას ყოველსა: საქ. წიგ. 11, 104, 40; და მოჰრწყვიდა მათათა: თუალთ. 8, 30; სისხლი მათი მოჰრწყვიდა ქუეყანასა: ურთ. 109, 1; წყაროა ერთი იყო ქუეყანასა გიდრისასა, და მორსწყვიდა იგი მას ყოველსა: მესუეტ. 58, 14; წყაროა სახლისაგან უფლისა გამოვიდოდის და მოჰრწყვიდეს ქვესა მას ნაწილთასა: იოველ 3, 18 პარ.; წყალნი ...მოჰრწყვიდენ ქვესა მას ნაწილთასა: იქვე ლაგ.

გვაქვს აქ გადასმის ერთი საინტერესო მაგალითი: მოჰრწყვიდა — მორსწყვიდა: სანამ პრეფიქსი თავის ადგილზე იყო რ-ს წინ, იქ მ იდგა, ხოლო როცა იქედან დაიძრა და ერთი ნაბიჯი გადადგა წინ, წ-ს წინაშე აღმოჩნდა და ახალი პოზიციის შესაფერისად ს-დ შეიცვალა [იხ. ამის შესახებ ჩვენი „მეტათეზისის ერთი განსაკუთრებული შემთხვევა ძველ ქართულში: თბ. უნ. შრომები, 114 (ფილოლ. მეცნ. სერია, VI), 1965, გვ. 139—149].

## 16. ტყუენვი

გარდარეულად ვსდევნიდ ეკლესიათა ღმრთისათა და ვტყუენვიდით მათ: გალატ. 1, 13; რლსა-იგი ოდესმე ტყუენვიდა: გალატ. 1, 23 ქუთ.; რომელი-იგი ტყუენვიდა იერუსალმს შინა: მოც. 9, 21 ო; და მიერ ტყუენვიდეს კერძოთა საბერძნეთისათა: ანტიოქ. 397, 27; და ვითარ-იგი ტყუენვიდეს ყოვლით-კერძო და კლეიდეს: ანტიოქ. 398, 8; და შემზადნეს ნავები და ტყუენვიდეს ქუეყანათა მრავალთა და იზარდებოდეს ნატყუენავისა მისგან: Оппс. 179, 22; არას იქმოდეს სხუასა საქმესა, არამედ ტყუენვიდეს, და მისგან იყო საზრდელი მათი: იქვე, 179, 24.

მაგრამ: შენ აბრალებ მგელსა მშიერსა, და სიმაძღრე შენი წარმოსტყუენავს მშიერთა: სწავ. 148, 11; სარწმუნოება<sup>1</sup> და უცხოება<sup>2</sup> წარსტყუენავს<sup>3</sup> სიყუარულსა ოქრომასა: Sin. 35, 169 ra, 11 ქვ.; წყალობა და მოწყალეობა მშვდობა არს კაცისა ზედა მოუკლებელი<sup>4</sup>, წარსტყუენავს<sup>2</sup> სიციონისა: იქვე, 8 ქვ.; რომელი წარსტყუენავს<sup>2</sup> გონებასა: იქვე, 287 vb, 9; და წარმოვსტყუენავთ ყოველსავე ცნობასა მორჩილებად ქრისტესა: 2 კორ. 10, 5; რომელი შევლენან სახლებსა და გამოსტყუენვენ დედათა, შეკრებულთა ცოდვითა: 2 ტიმ. 3, 6; და ესენი ...წარსტყუენვენ ცხოვრებასა შენსა: სწავ. 257, 12, 22.

## 17. ფრღა

რომელი-იგი ფრღიან სახელსა იესუესსა<sup>4</sup>: ებ. ანტ. 40, 19; რამეთუ ფრღიდეს ზროხასა და ცხოვარსა და ტრედსა: ი. 2, 14 C; და რომელი-იგი ტრედსა ფრღიდეს, პრქუა მათ: ი. 2, 16 C; და ფრღიდეს მათ წინაშე სავაქროსა ზედა: ცხ. ანტ. (ბრიტ.) 48 r, 7 ქვ. (= გამოც. 71, 3).

<sup>1</sup> სარწმუნოება ხ. <sup>2</sup> წარსტყუენავს ხ. <sup>3</sup> მოკლებელი ხ. <sup>4</sup> იესუსისა გამოც.

მაგრამ: რომელი გაანჭრდინ ნათესავთა სიძვისა მისისათა<sup>1</sup>: ნაუმ 3, 4 (იერუს.).

### 18. ფქავს

რომელმე საფქავი მალე არს და მოსწრაფე, წამსა შინა თულისასა<sup>2</sup> ფქავს და განპრყუნის<sup>3</sup> იფქლსა: Sin. 35, 155 rb, 8; ვითარცა-იგი საფქავი რამ ფქავს ყოველსა: სწავლამ წმ. სტეფანე მძოვრისამ (Le Muséon, 67 1954, ე. გარითის გამოც., გვ. 82, 5); რჩეულნი ფქვილითა ფქვიდეს: ლოცვ. იერ. 13 (= გოდ. 5, 13); მოიხუენ ფქვილინი<sup>4</sup>, ფქვედ ფქვილსა: ესაია 47, 2; ორნი ფქვიდენ ფქვილსა: მ. 24, 41; ლ. 17, 35.

მაგრამ: წამსა შინა უმეტეს დაჰფქავს, ვიდრეცა სხუამ დღე ყოველ: კლემაქსი, 189, 22 (ხელნაწერი; გამოსაცემად მოამზადა მ. ცინცაძემ).

### 19. ქანდაკება

რომელნი... ქანდაკებენ ურგებსა მას: ესაია 44, 11.

მაგრამ: რომელი გამოსწერნ და გამოჰქანდაკებნ წერილთა მათ ბეჭდის თულებისა ხატად: ზირ. 38, 27; რომელნი-იგი გამოსახვიდეს ცუდთა მათ და გამოჰქანდაკებდეს კერპსა ურგებსა: ესაია 44, 9; რომელნი ვეცხლსა გამოჰქანდაკებდეს და გულს-ეტყოდეს: ბარუქ 3, 18.

### 20. ყრად

რომელნი ყრიდ თავთა თვსთა და იტყვდ: თუალთ. 61, 28; ყრიდა კელთა და ფერკთა: ცხ. ეფრ. 98, 2; ხოლო თანა-წარმავალნი იგი ჰგომოდეს მას და ყრიდეს თავსა მათსა: მ. 27, 39; მრ. 15, 29 ABDEM, ბერთა, ლავ., სინ. ლექც.; გულის-წყრომით ყრიდეს თავთა მათთა: აღწ. 149, 21; რომელნი ყრიდეს თავთა მათთა: აღწ. 164, 32; ყოველთა რომელთა მიხილეს მე ... ყრიდეს თავსა: ფს. 21, 8 A; დაღადებდეს იგინი და ყრიდეს სამოსელსა მათსა: მოც. 22, 23 ლატ.

მაგრამ: და დაჰყრიდა (კბილთა) ქუეყანასა ზედა: Sin. 6, 196 r, 2 ქვ.; კული მისი მიითრევედა მესამედსა ვარსკულავთასა და გარდამოჰყრიდა ქუეყანად: თარგმ. გამოცხ. 12, 4 B; გარდამოჰყრიდა ცრემლთა მჭურვალეთა: ლიმ. 39, 14; გარდაჰყრიდეს ჭურჭელთა მათთა ნავით ზღუად: იონა 1, 5 ლატ.; საკედრები გარდამოჰყრიდეს მკედართა: ცხ. ეფრ. 86, 29; მოჭრილთა მათ ასოთა მისთა დაჰყრიდეს ქუეყანასა: კიმ. II, 13, 25; დაჰყრიდეს სამოსელსა მათსა: მოც. 22, 23 ლ; დაჰყრიდეს კორცთა მათთა... ქუეყანასა: ლიტ. ქრ. 81, 18; მმანი... შთამოჰყრიდეს ძელსა: ხანძთ. 136, 1; წარმოჰყრიდეს სისხლსა მტენარსა: Sin. 35, 151 ra, 2 ქვ.;

<sup>1</sup> მისისათა გამოც. <sup>2</sup> თულისასა ხ. <sup>3</sup> განპრყუნის ხ. (ამ ხელნაწერში ბერა უჩვეულებრივ ასოთი ვადმოიცემა. ამიტომ ზოგჯერ, როცა საქმე გასარჩევ სიტყვას არ ეხება, ეს ვარაუზობა სქოლიოში მიითთებული არა ვეაქვს). <sup>4</sup> ფქველნი გამოც.

სისხლსა მტენარსა წარმოჰყრიდეს ზედაჲს-ზედა ცემითა მკედართაჲთა: კლემექსი, 136, 20.

## 21. ცოხნა

კორცსა მოყუარეთა ჩუენთასა ვცოხნით: ზედაზნ. (აგ. ძეგ.) 215, 40 ბ; ხოლო უგლახაკენი-რე ნაგლეჯთა თივათა ცოხნიდეს: ხრონოლრ. 194, 20.

მაგრამ: კელნი იქმან და ჰმსახურებენ თუალთა და ყოველსა გუამსა, და მის-ცემენ პირსა საქმელსა, და კბილნი განსცოხნიან: სწავ. 176, 12.

## 22. ძრვა

განრისხებულ არიან ღმერთნი და ძრვენ ქუეყანასა: ისტ. ქრ. II, 63, 27; და ვძრვიდეს ყოველთა ასოთა ჩემთა: იობ 9, 28 ოშკ., ლატ., პარ. (ლაგ.: შევრძნე); ვერლარა ძრვიდეს მას გონებაჲ: უძვ. რედ. 168, 9.

მაგრამ: აღსძრავს ეკლესიათა ღმრთისათა: სინ. 79, 18; რომელი აღსძრავს რისხვასა: Sin. 35, 215 rb, 6 ქვ.; აღსძრავს გულის-სიტყუათა: კიმ. I, 223, 10; აღსძრავს ერსა: ლ. 23, 5 ლაგ.; აღსძრავს შენ შორის სიცილსა: თუალთ. 65, 14; მშუდობასა ეკლესიათასა შესძრავს: კიმ. II, 188, 38; და ნუმცა შესძრავს საძირკუელსა წმიდისა ეკლესიისასა: რიფს. 165, 1; რომელი შეახებს ქუეყანასა და შესძრავს მას: ამოს 9, 5; ამას შენდა მიმართ აღესძრავთ მეოხად: Sin. 26, 6 v, 6; ესეითარნი საქმენი აღსძრვენ ჩუენ ზედა რისხვასა ღმრთისასა: კიმ. I, 241, 30; ესე კაცნი აღსძრვენ ქალაქსა ამას ჩუენსა: მოც. 16, 20; სიტყუაჲ მტერისაჲ და ზრახვაჲ აღსძრავს მას მწუხარებად: სწავ. 30, 24; ერსა აღსძრვიდა: კიმ. I, 278, 4; აღსძრვიდა ყოველსა ერსა: არიმ. 53, 58, 2; აღსძრვიდა წყალობად ნაწევართა მათთა: Sin. 97, 203 rb, 9; რომელი შესძრვიდეს ყოველთა დაბადებულთა: სწავ. 123, 24; ოხრაჲ იგი საყვრისა მის საშინელისაჲ კმა-სცემდეს და შესძრვიდეს ყოველსა დაბადებულსა: სწავ. 124, 21; აღესძრვიდეთ მათ ჩუენთუის ვედრებად ღმრთისა: Опис. 69, 8.

## 23. წერა

საღმრთოთა წიგნთა მართლ ვწერთ და მართლ აღმოვიკითხავთ: ისტ. ქრ. II, 4, 21; ძლიერნი წერენ სიმართლესა: ივავ. 8, 15 პარ.; კალამი მოების კერსა მას დაკუთვითლსა და წერს: კიმ. I, 94, 26; ოდეს-იგი წერს წმიდაჲ მამაჲ ჩუენი გრიგოლი: კიმ. I, 132, 3; ამას რვეულსა ვწერდი, ოდეს აქმული მოკლეს: A 397, 142; და მე ვჯედ და ვწერდი: აპოკრ. 89, 7; და მე ვწერდი ქარტასა ზედა... იგი იტყოდა და მე ვწერდი: აპოკრ. 90, 20, 21; ისმენდა და წერდა ყოველთა სიტყუათა და ლოცვათა მისთა: Sin. 11, 83 v, 5; ხოლო მწიგნობართ-მთავარი წერდა ყოველსავე: კიმ. I, 92, 32; წერდა ებისტოლეთა სულიერთა: იქვე, 94, 24; და წერდა წინაშე სანთელსა ნაგოზსა კედლისასა... და მეფე ხედვიდა ქელსა მას თითითურთ, რომელი წერდა: დან. 5, 5; სხუანი მანიქეელნი... წერდეს ზედსა უცბებით:

Опис. 47, 2 ქვ. (=კიმ. I, 291, 34); წარვედ, შვილო, და წერდ: საქ. წიგ. II, 131, 12; იოვანე მოძღუარმან მიბრძანა: წერდი, უგუნუროო: კიმ. II, 120, 10.

მაგრამ: აღესწერ საქმეთა: წარტყ. 1, 20 (6. კ. Опис. 202, 14); მარიამ ეკლესიისა ხატად გამოსწერს: სინ. 125, 4; უდაბნ. 71 გა; მე ამას ეწამებ და დავსწერ მას: კიმ. I, 14, 14; ოდეს პილატე ჭუარსა მას ზედა დახწერს: ხანმ. მრავ. 14 ხ, 14; რომელი-იგი დახწერს მართლდიდებასა მას მეუფისასა: იქვე, 15 ა, 15; მონად დასწერს პავლე თავსა თვისსა: სინ. 230, 21; განწესებასა მას თავთასა აღესწერთ ჩუენ: მოც. გვ. 218, 4; თავადი ... აღსწერნ მოძღურებათა საღმრთოთა: კიმ. I, 128, 2; რომელი გამოსწერნ: ზირ. 38, 27; მითხრობდა მე იგი ... და მე დავსწერდ წიგნსა ზედა მელნითა: იერ. 36, 18 (ოშკი), ... დავსწერდნი (იერუს.); აღესწერდ ქარტასა: Опис. 35, 12; აღსწერდა სიტყუასა მას მთავრისასა: კიმ. I, 56, 15; ერთი აღსწერდა ნათესავთა კაცთასა ხარკისათჳს სამეუფოასა: კიმ. I, 186, 6; მარიამ წინავე ხატად გამოსწერდა: სინ. 125, 13; და აღსწერდეს: ექუსთ. 5, 11; და აღსწერდიან მათთჳს შესხმასა: ანტიოქ. 312, 15; უკუეთუ თითოეულად აღესწერდეთ: კიმ. I, 131, 12.

24. წ ი რ ვ ა

ჟამსა წირავს: პაგ. მასალ. 33; რეცა თუ ჟამსა წირვენ: ლიმ. 106, 26; სამთავე ეკლესიათა ჟამსა წირვენ: აღწ. 97, 8 ქვ.; წირვენ ჟამსა: ცხ. ეფთ. (სეინაქს. 59, 13); წირვილა იგი ჟამსა: ლიმ. 53, 30 S, 32; რაჟამს მღდელი ჟამსა წირვილეს: ლიმ. 47, 3 S; რაჟთა არა წირვილენ ღლე-სა შინა ორ-გზის: აღწ. 115, 10.

მაგრამ: ათეულსა შევესწირავ ყოვლისაგან მონაგებისა ჩემისა: ლ. 18, 12; სიტყუათა შევესწირავ შენდა საკუმეველად: სინ. 25, 18; რომელი შესწირავს მსხუერპლსა უბიწოსა წინაშე ღმრთისა: სწავ. 80, 12; თითოეული მათი შესწირავს გალობასა თვისსა<sup>1</sup> სიძისა მის: Sin. 35, 109 rb, 12; ყოველნი მისა შევესწირავთ ლოცვასა: სინ. 131, 4; ამისთჳს შევესწირავთ მსხუერპლსა ქებისასა მარადის ღმრთისა: ებრ. 13, 15; რომელნი შესწირვენ. წმიდასა შესაწირავსა: ბოლნ. 40, 18; პოვა ზუცესი ეკლესიასა შინა, რამეთუ შესწირვილა იგი ჟამსა: ლიმ. 53, 30. A; ვედრებასა შესწირვილა ღმრთისა ცრემლითა: ბალ. 155, 38; ცრემლით შესწირვილიან ეედრებათა: ზარზმ. 174, 26; კაცი თქუენგანი უკუეთუ შემოსწირვილეს შესაწირავსა მსხუერპლად ღმრთისა: ლევ. 1, 2; რაჟამს მღდელი ჟამსა შესწირვილეს: ლიმ. 47, 3 A; შესწირვილენ მღდელნი მრგულიად-დასაწუველთა თქუენთა საყურთხეველსა მას ზედა: ეზეკ. 43, 27; და შესწირვილენ სალხინებელსა: ეზეკ. 44, 27.

ეს ზმნა, როგორც ენახეთ, კარგა ზმირად იხმარება უზმნისწინოდაც. ზემოთ მოყვანილთ შეიძლება კიდევ დავამატოს შემდგენიც (რომელთაც პირის ნიშნის რკვევის საკითხში ვერ გამოვიყენებთ): ამას კვრიაკესა ნუ სწირავ შენ ჟამ-

<sup>1</sup> თვისა ხ.

სა: Sin. 36, 472 b, 12 (=ლიმ. 66, 25); ებისკოპოსი იგი შესემნილ არს უნასი-  
სათუს და ვითარ წიროს მან დღეს ეამი: იქვე, 473 a, 1 (=ლიმ. 66, 30);  
წარმოდგე და წირე დღეს ეამი: იქვე, 473 a, 10 (=ლიმ. 67, 7).

დაბრკოლებას ვერ შექმნის ის გარემოება, რომ უზმნისწინოდ ხმარებისას  
ობიექტად ყოველთვის ეამი იგულისხმება (ეამსა წირვენ, წირვიდა იგი  
ეამსა, ეამსა წირვიდეს), ხოლო ზმნისწინიანი ფორმები ობიექტად სხვა-  
სახელებს წარმოგვიდგენს (შესწირავს მსხუერპლსა, შეესწირავთ ლოც-  
ეასა, ვედრებასა შესწირვიდა...). ეამის წირვა ყველაზე გავრ-  
ცელებული გამოთქმაა და საეკლესიო პრაქტიკაში ამ გამოთქმას ძალიან ხშირად  
იყენებდნენ. მეორე: ამ ობიექტით უზმნისწინო და ზმნისწინიანი ფორმები  
გვხვდება პარალელურად ერთი და იმავე ადგილის გადმოსაცემად სხვადასხვა  
ხელნაწერში, მაგალითად: წირვიდა იგი ეამსა (S) და: შესწირვიდა  
იგი ეამსა (A): ლიმ. 53, 30; რაეამს მღდელი ეამსა წირვიდეს (S) და: რა-  
ეამს მღდელი ეამსა შესწირვიდეს (A): ლიმ. 47, 3. ასე რომ, ეამსა წირ-  
ვიდა და ეამსა შესწირვიდა სრულიად ერთნაირი მნიშვნელობის გამოთქმებია  
და მათი ერთმანეთისაგან გათიშვა (და დაპირისპირება) და სხვადასხვანაირად  
დაფასება არ შეიძლება. მათგან უზმნისწინოებს არა აქვთ ობიექტური ნიშანი  
(წირვიდა), ზმნისწინიანებს კი მოეპოვებათ ის (შესწირვიდა). შესწირვიდა ეამსა,  
ლოცვასა, ვედრებასა თუ სხვა რამეს, ეს სულ ერთია, ამას არ შეუძლია სხვა  
მნიშვნელობა მიანიჭოს ზმნის ფორმას. ეს კია, რომ, როცა უზმნისწინო ფორმე-  
ბი გვაქვს, ობიექტად თითქმის ყოველთვის ეამია მოცემული. მაგრამ არის  
შემთხვევა, როცა ობიექტი სულ არაა წარმოდგენილი: რამთა არა წირვიდენ  
დღესა შინა ორ-გზის (აღწ. 115, 10), თუმცა, უნდა ვთქვათ, აქაც ეამსა იგუ-  
ლისხმება და არა სხვა რომელიმე სახელი.

შესწირავს ძველ ქართულში ორპირიანი გარდამავალი ზმნაა: შესწი-  
რავს იგრი მსხუერპლსა ღმრთისა. მას აქვს სუბიექტი და პირდაპირი  
ობიექტი, ირიბი ობიექტი მას არ მოეპოვება. ირიბის ადგილას ნათესაობით-  
ვითარებითში დასმული სახელი გვაქვს, რის გამოც ს მეორე სერიის ფორმეში  
არ არის წარმოდგენილი, მაგალითად:

ქურთვან ამან გლახაკმან უფროსს ყოველთა შემოწირა ფასის საცავ-  
სა ამას: მრ. 12, 43; ყოველთა ნამეტნავისაგან მათისა შემოწირეს, ხოლო  
ამან ნაყულუევანებისაგან თვისისა ყოველი, რაჲცა აქუნდა, შემოწირა: მრ.  
12; 44 D (E: შეწირა); მსხუერპლი შეწირა ღმრთისა: ი. 16, 2; შეწი-  
რეს მისა ძღუენი: მ. 2, 11. მაგრამ ეს ზმნა უკვე ძველ ქართულშივე იჩენს  
ირიბ ობიექტს და სამპირიანი ხდება, რის გამოც II სერიის მწკრივებში უჩნ-  
დება — ირიბი ობიექტის ნიშანი: ყო აღთქუმაჲ, რამთა შესწიროს მონას-  
ტრისა საქმესა: კიმ. I, 326, 24. ამნაირი მაგალითები სხვაც მოიპოვება<sup>1</sup>. ახალ  
ქართულში იგი ტიპურ სამპირიან ზმნად არის ქცეული (შესწირა მან მას მსხვერ-  
პლი). ჩვენი მაგალითები ძველი ქართულის ჩვეულებრივი მდგომარეობის ამა-  
ხველია.

<sup>1</sup> ა. შანიძე, პრეფიქსები, გვ. 124—125.

## 25. წ მ ა ს ნ ა

წარმართნი ზღაპრობით წმასნი დეს არამყოფთა სახეთა ხატებსა: ხრონოლრ. 25, 32.

მაგრამ: რომელნიმე უცნებით წარსწმასნიან ფიცსა: Sin. 35, 157 ra, 14; რომელნი ტყუილსა თანა ფიცსაჲა წარსწმასნიან: კლემაქსი, 216 16.

## 26. წ ნ ე ხ ა

შევედით და წნეხდით, რამეთუ საესე არიან საწნეხელნი და გარდაეცემიან ტაგარნი: იოველ 3, 13 ლაგ., იერუს., პარ.

მაგრამ: და იგი დასწნეხს საწნეხელსა მას ღვინისა მის გულის-წყრომისა და რისხვისა ღმრთისა, ყოვლისა მპყრობელისასა: გამოცხ. 19, 15 AC (B-ს აკლია ეს ადგილი); თარგმ. გამოცხ. 19, 15 ABC; ხოლო საწნეხელსა რისხვისა ღმრთისასა დასწნეხს: თარგმ. გამოცხ. 19, 15; შევედით და დასწნეხდით: იოველ 3, 13 ლატ.

## 27. წ ო ვ ა

დლითი-დღედ ეწოვთ სიტკობებისა მას სძესა: A 471 (თ. ეორდანიია, Описание, II, 39); ვითარცა წურბელი, რომელი წოვენ სისხლსა და განპრყუნინ: Sin. 35, 156 rb, 11; ვითარცა ყრმაჲ რაჲ წოვენ ძუძუსა: ქრისტინ. 194, 1; გამოულო ენაჲ ვირსა მას სრულიად და წოვდა მას: კიმ. I, 289, 16; მოიქსენე ძუძუჲ იგი, რომელსა ეწოვდით ერთად: წარტყ. 44, 6; უკუეთუ ჩივლნი ძუძუსა არა წოვდეს: Sin. 97, 201 vb, 1; კანჯარნი დაღგეს ველთა ზედა და წოვდეს ქარსა: იერ. 14, 6.

მაგრამ: რომელთა გულის-წყრომაჲ მათი გამოსწოვენ სისხლთა ჩემთა: იობ 6, 4; ...რომელი გამოსწოვენ ყოველსა მას სიპოხესა მისსა: საკ. წიგ. II, 50, 29; რომელნი სარწმუნოებით გამოსწოვენ ზეცისასა მას სულსა, ვითარცა სძესა: კურთხ. 178, 14; რომელნი გამოსწოვენ მცნებათაგან უფლისათა: იქვე, 188, 13; ვითარცა ცხად ჰყოფს ჰიქაჲ იგი, რომლითა გამოსწოვენ სისხლსა მკურნალნი: ექუსთ. 35, 30; ვითარცა ჩივლნი, რომელნი გამოსწოვენ ძუძუთაგან გამოწოვად სძისა, ეგრეცა სახედ ყოველნი გამოსწოვდეს შჯულისა და სახარებისაგან მცნებათა: იპოლ. 2, 32; რომელი-იგი პატრუქისა მიერ მახლობელსა მას საზრდელსა გამოსწოვენ: ექუსთ. 35, 32.

ზმნისწინიან ფორმებში ს პირდაპირი ობიექტისაჲ. შდრ. გამოსწოვნ სისხლი მათი, ვითარცა ღვნობ: ზაქ. 9, 15; გამოსწოვენ (მან): იობ 20, 16.

## 28. წ ო ნ ა

ესევითარი იგი მსგავს არს, რომელი წონს ქართა: Sin. 35, 162 vb, 5 ქვ. (=აღწ. 71, 10); კლემაქსი, 302, 8.

მაგრამ: აღევწონ დიდ-დიდთა საქმეთა მცირითა სიტყვთა: მრავ. 297, 1; აღვილად გარდასწონს უქმარებად მიმართ უფროჲს, ვიდრე არა

უმკობესისა მიმართ: კურთხ. 140, 10; და ამით და ესევეთარითა მახვლითა გ ა ნ ს წ ო ნ ნ გულსა მისსა: ბალ. 67, 22; გონებასა აღ ს წ ო ნ და: მრავ. 256, 3; მრუდად თუალითა ქალწულისა მუცელსა აღ ს წ ო ნ და: იქვე, 258, 22. ს პირდაპირისაა. შდრ. აღ წ ო ნ ნ ა იგინი წესმან მან: უდაბნ. 63 რხ.

### 29. წ უ ვ ა

არა თუ ქუეყანასა წ უ ვ ი დ ა: სინ. 139, 26; ცეცხლის-ფერნი ვეშაპნი მო-  
ბუეულ იყვნეს და ვითარცა კმელსა ლერწამსა წ უ ვ ი დ ე ს: ლიტ. ქრ. 16, 22; არამედ საჭურველსა მათსა წ უ ვ ი დ ე ნ ცეცხლითა: ეზექ. 39, 10 (ოშკი); არამედ მათსა საჭურველსა წ უ ვ ი დ ე ნ: ფარებსა და მშვლდებსა და ისარსა და ლახუართა: თარგმ. გამოცხ. 20, 8.

მაგრამ: არა ხოლო თუ კორცთა ოდენ დასწუავეს, არამედ სულსაცა: სწავ. 7, 4; რომელი დასწუავეს ცოდვილთა: სწავ. 184, 31; დასწუავეს ცეცხლებრ მტერსა გუნდითურთ მისით: Опиц. 200, 1 ქვ.; არცა ფრიადი სიცხმ შესწუავეს მათ: ხანძთ. 115, 20; ვითარცა: ცეცხლი შესწუავეს თირკუ-  
მელთა ჩემთა: Sin. 97, 63 ra, 7; და შესწუავეს ყოველთა საცთურთა და მახეთა ეშმაკისათა: იქვე, 191 vb, 3 ქვ.; დასწუავენ მათ გესლი იგი: Sin. 35, 292 vb; ნაკუერცხალი დაჰწუავენ: უდაბნ. 64 vb; ელვამ ცეცხლისამ შესწუავენ მათ: კიმ. I, 287, 11; რომელი დასწუვიდა კორცთა ცხა-  
დად: სინ. 261, 8; მზმ დასწუვიდა ქუეყანასა სიცხომთა: Sin. 11, 281 v, 7; შესწუვიდა სიცხე იგი ქუეყანასა: ლიმ. 137, 11; შესწუვიდა ალი იგი: ასურ. 74, 20; არცა ცეცხლი შესწუვიდა: აღწ. 146, 10; შამფურნი იგი დასწუვიდეს ზურგსა მისსა: Sin. 11, 47 v, 13; რომელთამე ცეცხ-  
ლითა დასწუვიდეს: ლიმ. 32, 26; მოსწუვიდეს კორცთა მისთა: Sin. 11, 4 v, 6 ქვ.

### 30. წ უ რ თ ა

თანა-აც კაცსა ბრძენსა, რამთა წ უ რ თ ი დ ე ს თავსა თვსსა, ვითარცა წ უ რ თ ი ნ კეთილი წინამძღუარი ერსა თვსსა: ბალ. 64, 7—8 ა; ესრეთ წ უ რ-  
თ ი დ ე ს და ჰმწყსიდეს თავთა თვსთა სათნოებასა შინა: კლემაქსი, 66. 2 BCD.

მაგრამ: ვითარცა კეთილი ჟრმისა მზრდელი, აღჰსწურთიდა და სწავ-  
ვლიდა უმაღლმსსა შუენიერებასა: კიმ. II, 146, 31; გონებასა თვსსა აღ ს წ უ რ-  
თ ი დ ა: A 19, 435 b, 1 ქვ.

### 31. წ უ მ ე ლ ა

ნუმცა ადგილი დასასჯელი წ ყ მ ე დ ს საყდართა მათ სასჯელისათა ანგე-  
ლოზებრთა: Sin. 35, 9 ra, 2 (= ეპ. ანტ. 16, 7).

მაგრამ: ხოლო ესე სულთა და კორცთა წ ა რ ს წ ყ მ ე დ ს: Sin. 35, 320 ra, 8; ძალი მისი... წ ა რ ს წ ყ მ ე დ ს სიკუდილითა კაცთა: Sin. 11, 313, 2; ქორ-  
წინებაჲ წ ა რ ს წ ყ მ ე დ ს თავისუფლებასა და აზნაურებასა: ანტიოქ. 317, 17; რომელი აცთუნებს კაცთა და წ ა რ ს წ ყ მ ე დ ს: Sin. 11, 151 v, 2;

წარვისწყმედთ ჩუენ ამას ადგილსა: დაბ. 19, 13; ნუმცა მცირითა გემოდათ  
წარვისწყმედთ კეთილთა მათ საუკუნეთა: აღწ. 79, 10 ქვ. (=სწავ. 227, 33);  
ესე ეშმაკნი არიან, რომელნი აღაშფოთებენ და წარსწყმედენ კაცთა:  
ბალ. 123, 27.

### 32. ტ ა მ ა

ვქამ ყოველსავე ნაყოფსა: ადამ 122, 6 C; მე თავადი ყოვლადვე არა  
ვქამ: პაგ. მას. 33 ხ; მოვიდა ძმ კაცისაჲ, ქამს და სუამს: მ. 11, 19; ლ. 7.  
34; რომელი ქამს ჩემ თანა: მრ. 14, 18; რაჲსა არა შუამთ საქმელსა, რომელ-  
სა ჩუენ ვქამთ: გულანდ. 211, 10; ვქამთ ყოვლისა მისგან ხისა, გარნა  
ერთისა მის ხოლო. ხისა არა ვქამთ: ადამ 122, 2, 4, 4; მეექუსესა ეამსა  
ვქამთ: Sin. 6, 177 r, 1 ქვ.; ვქამთ ვიდრე გადომამდე ჩუენდა: იქვე  
177 v, 3; შეგინებულთა კელითა ქამენ პურსა: მრ. 7, 5; მოწაფენი შენნი  
ქამენ და სუმენ: ლ. 5, 33; რომელნი მარხვასა ყველსა ქამენ: კიმ. I,  
297, 24; რომელსა ქამენ მეფე ფარაო: დაბ. 40, 17; უკუეთუ ვისმე არა უნ-  
დეს საქმის, ნუცაჲ ქამენ: 2 თესალ. 3, 10 პარ.; ძალნიცა ქამედ ნაბიჭ-  
სა: მ. 15, 27 C; რომელნი ძილსა შინა ქამედ და სუმედ: ესაია 29, 8; რომე-  
ლი ქამდა პურსა ჩემ თანა: ი. 13, 18; მოვიდა იოვანე ნათლის-მცემელი,  
არცა ქამდა, არცა სუმიდა: მ. 11, 18; ქამდა მკალსა და თაფლსა ვე-  
ლურსა: მრ. 1, 6; ვქამდიოთ წინაშე შენსა და ვსუემდით: ლ. 13, 26; რომელ-  
ნი მის თანა ვქამდიოთ: მოც. 10, 41; იწყეს მუსრვად თავსა კუვილისასა და  
ქამდეს: მ. 12, 1; ვითარ ქამდეს იგინი: მ. 26, 21, 26; აღდეგ და ქამ-  
დი კორცსა მრავალთასა: დან. 7, 5 (ბრძ.); ქამდიოთ კორცსა მადრივ: ეზეკ.  
39, 19; ქამდიოთ და სუმედით მათ თანა: ლ. 10, 7 (ბრძ.); მე წარვიდე ...და  
ვქამდე თივასა ვითარცა პირუტყვ: ადამ 112, 29; რომელი ქამდეს ჩემ-  
გან: ი. 6, 57; რომელი ქამდეს ამას პურსა: ი. 6, 58; რაჲთა ვქამდეთ  
ჩუენ: ბარუქ 2, 3; მომცემდე ჩუენ თესლთაგან ქუეყანისათა, და ვქამდეთ:  
დან. 1, 12; პურსა მათსა ნაკულუევანებით ქამდენ: ეზეკ. 12, 19; რომელნი  
...ქამდენ ბზესა აღრეულსა ქრთილსა: ესაია 30, 24.

მაგრამ: რომელი შეშქამს კორცსა მკუდართასა: კიმ. I, 149, 5; ცეცხლი  
გამოვალს პირისაგან მათისა და შეშქამს მტერთა მათთა: გამოცხ. 11, 5;  
და შე-მცა-ჰქამს ეკალთა მათ და კურომსათვთა: საკ. წიგ. II, 1, 27; რო-  
მელნი შეჰქამენ სახლებსა ქურივთასა: ლ. 24, 47 CD; რომელ-  
ნი შესსქამენ ნაყოფსა ქუეყანისასა: აღწ. 117, 9 ქვ.; რომელნი შეშქი-  
მენ ერსა ჩემსა: ფს. 13, 4; რომელი შეშქამენ ლერწამსა: იოველ 2, 5;  
ტკივილი შიმშილისაჲ შეშქამენ კორცთა მისთა: Sin. 35, 289 ra, 8; და  
შეშქამედ ნაყოფსა უდებთა კაცთასა: საკ. წიგ. II, 50, 24; შეშქამდა  
კორცთა კაცთასა: აპოკრ. 39, 28 E; შეშქამდა კრავთა ეკლესიისათა:  
კურთხ. 114, 5; ესრეთ კბენითა აღჰქამდა ბარკალ-სხვლთა მისთა: ცხორ.  
ანტონ. (უდაბნ.) 34 r; მფრინველნი ცისანი შეშქამდეს მას: დაბ. 40, 17;  
სულთა კაცთასა შეჰქამდეს: ეზეკ. 22, 25; რომელნი ვითარცა მკალნი  
მოსქამდეს ფურცელსა ხეთასა: გობრ. (აგ. ძეგ. I), 177, 17; განვლე, აღმა-  
ხუენ, შეჰქამდი მარჯუენით და მარცხენით: ეზეკ. 21, 16 (ბრძ., ნიშანი



მხოლოდ ობიექტისა); მატლი იგი დაუძინებელი მოუკლებელად შეეშკამდეს კორცთა: კიმ. I, 231, 23; რომელი შეეშკამდეს მთათა და კეეთა: სწავ. 211, 29; ცეცხლისა შური შეეშკამდეს ეგვეითართა კანდიერთა მათ: Sin. 35, 217 va, 18; მამანი შეეშკამდენ შეილთა შენ შორის, და შეილნი შეეშკამდენ მამათა: ეზეკ. 5, 10; რაჲთა მოეშკამდენ კორცთა მისთჳ ზოლნ. 70, 15. ამ უკანასკნელში ჰ პირდაპირისაა (და არა ირიბის). შდრ. მოეშკამონ სამკალი თქუენი: იერ. 5, 16; მოვიდეს და მოეშკამოს ქუეყანაჲ: იერ. 8, 16; მოეშკამენ ვენაქნი თქუენნი და ლედოვანი თქუენი: იერ. 5, 17. ეს ზმნა ამ ტიპის ზმნათა შორის ყველაზე მდიდარია ნაირ-ნაირი ფორმებით.

### 33. ხ ე ვ ა .

ერთი ოდენ საკერავი (აქუნდა), რომლითა ხევენ ბაჲსა: ნოველ. 6, 7, 8 (A 1105); პავლეს სახეველი აქუნდა და ტყავსა ხევედა: სწავ. 87, 5.

მაგრამ: და დააყენეს ერი მიახლებად მისსა, რამეთუ მოეხევედეს სა- მოსელსა მისსა ევლოგიად: Sin. 11, 161, 6 ქვ.

აქვე უნდა დავასახელოთ ისეთი ზმნები, რომელთაგან ჯერჯერობით მხოლოდ ერთი სახის ფორმებია მოპოვებული: ან უზმნისწინო, ან ზმნისწინიანი. სიერთო წესს კი ორივენი ზუსტად მისდევენ: უზმნისწინობებს არა აქვთ ობიექტური პრეფიქსი, ზმნისწინიანთ კი მუდამ მოეპოვებათ იგი. ასეა დღეს, მაგრამ ხვალ შეიძლება აღმოჩნდეს (და უეჭველად აღმოჩნდება კიდევაც) სათანადო ნაკლული ცალები. ამიტომ ახლა შეგვიძლია ზემოთ შეწყვეტილი სიის განგრძობა.

## B

### მხოლოდ უზმნისწინონი

34. ესე აშენებს კედელსა და ესენი გოზენ მას: ეზეკ. 13, 10. რომ ჩვენი ზმნა ზმნისწინით იხმარება, ამას ეს ფორმებიც უჩვენებს: რომელი განგოზეთ: ეზეკ. 13, 12, 14.

35. რადენ სული ცოდვასა უდებ-ზამს და ვერ აგრძნობს: Sin. 36, 25 b, 11; საცინელ და საქიქელ და საციცხელ ზმენ მსახურებასა ღმერთთა ჩუენთასა: Sin. 11, 201, 11; რასა ზმენ მოწაფენი შენნი შაბათსა შინა: მრ. 2, 24 E. D-ში ჰ გვაქვს: ჰ ზ მ ე ნ, მაგრამ ეს შეცდომაა: ზ, ს, შ, ზ, ლ ბგერების წინ ჩვეულებრივია საკირო ჰაეს დაკარგვა (რასა ზამთ: ლ. 6, 2 CDE), აგრეთვე ჰაეს დამატება, თუმცა იგი საკირო არაა. პირველი ფონეტიკურ ნიადაგზე ხდება: ჰჰ, ჰს, ჰშ, ჰზ, ჰლ კომპლექსები ძნელი წარმოსათქმელია, ამის გამო სუსტი ჰ იკარგება. მეორეს ფსიქოლოგიური ფაქტორი უძევს საფუძვლად: რაკი ამ ბგერების წინ აუცილებლად საკირო ჰ ჩვეულებრივად იკარგება და ფორმა ნაკლული და გაუგებარი ხდება (რის გამოც გადამწერთ არაერთხელ მიუღიათ სამართლიანი საყვედურა), გადამწერნი (დამწერნი) ცდილობენ, აიცილონ ასეთი შესაძლო საყვედური და ყოველ შემთხვევაში წერენ ამ ჰ-ს მაცდური ბგერების

წინ (მოიგონეთ ამის მსგავსი მოვლენა, არაიშვიათად რომ გვხვდება დღეს: გავ-  
ვოცდი, დავუფულებობდი...).

ყოველსავე განგებულად ზემდინ: Sin. 35, 26 va, 2 ქე.; რამთა არა  
ნეფსით ზმიდეს რასმე, გინა ჰყოფდეს: იქვე, 287 va, 10. მეორე პირის  
ფორმები (პზამთ, პზამთა...) ხშირია, მაგრამ აქ არ გამოგვადგება (შეიძ-  
ლება კაცმა სუბიექტის ნიშნად გაიგოს); გვაქვს სასხვისო ქცევის ფორმებიც  
(უზამ, მიზამთ...), მაგრამ აქ არც ისინი გვპირდება. ჰერაჯერობით არა ჩანს ზმნის-  
წინიანი ფორმები.

36. დედანი მათნი ზელენ ცმელსა: იერ. 7, 18; ცომსა ზელდა და  
პურსა იქმოდა: კიმ. I, 205, 28. შდრ. ორჯელ სცემდეს დღესა შინა სამინდოსა,  
ზეთითა და თაფლითა ზელილსა: ეტ. VI, 93, 15.

37. აქუნდა კელთა მისთა საზომი და ზომდა: კიმ. I, 256, 31; და სხუანი  
ვარსკულავთა სიშორესა ზომდეს: ექუსთ. 5, 10.

გვხვდება ზმნისწინიანი ფორმა, მაგრამ ის მეორე სუბიექტურ პირშია, პრე-  
ფიქსი შეიძლება სუბიექტისად მივიჩნიოთ, ამიტომ ეს ზმნა პირველ ჯგუფში არ  
შეგვიტანია: ნუ განპზომ მას: გამოცხ. 11, 2. მეორეგან ზ-ს წინ ჰ დაკარ-  
გულია (ამაზე ზემოთ გვექონდა საუბარი), მაგალითად: ნუუკუე განზომ ნუ-  
ცა მთოვარესა თუალითა: ექუსთ. 79, 1.

38. დავითარ ვთხრიდი, ვპოვე გუამი მისი: ლიმ. 44, 9; ეშმაკი თხრი-  
და გულსა მისსა: შუშ. 152, 6; იხილა კანჯარი იგი, რამეთუ ფერკითა თხრი-  
და ძლიერად: კიმ. II, 151, 10; თხარეთ, შეილწო. ხოლო ივინი თხრიდეს:  
კიმ. I, 200, 1; ვითარცა თხრიდეს ადგილსა მას: კიმ. II, 158, 28; დავითარ-  
ცა ივინი თხრიდეს: ლიმ. 45, 11.

39. მან მოილო დანაკი და ლესვიდა: Sin. 35, 318 va, 1 (=Sin. 25,  
96 b = აღწ. 239, 26).

40. სადაცა ლოკდა ღორი და ძაღლი სისხლსა მისსა, მუნ ლოკდეს  
სისხლსაცა შენსა: 3 მეფ. 21, 18 (თბილ. გამოც.).

41. ცოლნი მათნი ნაყენ ცმელსა: იერ. 7, 18 (გელათ).

42. კელი ჩუენი ნუსხვიდა და თარგმნიდა: ექუსთ. 114, 30.

43. რომელნი პარსვენ ვარჯსა: იერ. 48, 36 (იერუს.).

44. მრავალი ჭამადი აშუნ ნაყროვანსა და პოხნი იგი მატლსა მას საარე-  
ბისასა დაუცხრომელსა: Sin. 35, 27 vb, 17—20; რომელი ანუკევენ და შეებით  
ზრდინ და ზრუნვით პოხნი ყრმათა მათ, რომელნი ერწმუნნიან: სწავ. 301, 28;  
და ვითარ იშენეს ივინი, პოხდა მათ ნეტარი თეოდორე ყოვლადვე ღმრთის-  
მსახურებით და სიწმიდით ჰზრდიდა მათ: სავ. წიგ. I, 48, 12. შდრ. განპპო-  
ხე შეუნიერად უდაბნომ: Опис. 149, 19.

45. ირეკდა იონა, დღეთა და ღამეთა რაცხდა, ხოლო ნინეველნი რა-  
ცხდეს ცოდვათა მათთა: ისტ. ქრ. II, 43, 14; სადა არს; რომელი-იგი რა-  
ცხდა მათ: ესაია 33, 18 (იერუს.); ...რომელნი-იგი რაცხდეს: იქვე  
(ომკი).

46. არცა შურების, არცა სთავს: მ. 6, 28 E; ლ. 12, 27 E;... სთავს  
(იქვე C); ხოლო მარიამ წარილო ძოწეული იგი მეწამული და სთვიდა მას:  
აღწ. 188, 16.

47. მწყემსი ვიყავ და ვსხეპდ ლელუსულელსა: ამოს 7, 14.

48. აწ რაა-მე ყუაგილითა საესე არს ქუეყანაა და სხლვენ ვენაკთა: სიწ. 159, 12.

49. პავლე ...ქადაგებს: ხანძთ. 106, 25; ვქადაგებთ ქრისტეს სი-  
კუდილსა კორციტა და მკუდრეთით აღდგომისა მისსა: სას. 3. 313, 158; ქადა-  
გებდა სახარებასა სასუფეველისასა: მ. 4, 23 C; ქადაგებდა ნათლის-  
ღებასა სინანულისასა: მრ. 1, 4; ლ. 3, 3; გამოვიდეს და ქადაგებდეს: მრ.  
წ, 12; ქადაგებდით მას ერლოებსა ზედა: მ. 10, 27 C (ბრძ.); რაათა მუნ-  
ცა ვქადაგებდეთ: მრ. 1, 38 C; ვქადაგებდეთ ქრისტესა: სას. 3.  
284, 329.

გვხედება მიმო ზმნისწინიანი ფორმა უნიშნოდ: ხოლო იგინი გამოვიდეს  
და მიმოქადაგებდეს ყოველსა მას ქუეყანასა: მ. 9, 31. მაგრამ მი-  
მო-ს არა აქვს სხვა, ჩვეულებრივი ზმნისწინის ძალა: ის, ორ, ერთმანეთის სა-  
წინააღმდეგე მიმართულებას გულისხმობს: იქითაც და აქეთაც, ე. ი. კონკრე-  
ტულად არც ერთს არ უჩვენებს. ამიტომაც, რომ ხშირად ამ მიმო-ს, კონკრე-  
ტული მიმართულების აღსანიშნავად (ესაა სწორედ ზმნისწინის პირველი ფუნქ-  
ცია — უჩვენოს მოქმედების მიმართულება), სხვა, ახალი, მესამე (ნამდვილი)  
ზმნისწინი ემატება, მაგალითად: მიმოგანბნეული ი. 7, 35 C; მიმო-  
განითქუას მრ. 14, 9 C; მიმოდასდებდეს მრ. 7, 36 E; მიმო-  
დაზრუნვიდა ლ. 10, 40; მიმოდაისტუანვიდა მრ. 5, 32 C; მი-  
მოდადება მრ. 6, 55 C; მიმოდაიხილა მრ. 3, 34; მიმოგანიმ-  
სტურეს ზარზმ. (ისტ. ქრ. I) 220, 20; მიმოდაიგულნა აპოკრ. 26,  
36; მიმოდაითრეველით აპოკრ. 36, 10; მიმოდასლვაა აპოკრ.  
21, 1; მიმოდაიხილეთ აპოკრ. 35, 27 და სხვა. ამიტომ არაა გასაკვირი,  
რომ მიმო-სთან არ არის წარმოდგენილი ობიექტური პრეფიქსი.

50. ქეშმარიტად ქსელსა დედაზარდლისასა ქსოვენ, რომელნი ამას და  
ესევეთარსა წერენ: ექუსთ. 3, 9; კუერცხნი ასპიტანი განტეხნეს და ქსელსა  
დედაზარდლისასა ქსოვენ: ესაია 59, 5.

51. რომელი ძოვეს მწუანესა: კიმ. I, 204, 18; ყოველნი ერთსა საძოვარ-  
სა ვძოვთ: სწავ. 106, 11 C; კრავნი სარწმუნოებით ძოვენ: პარხ. 10 ა;  
სხუაჲ კულად ძოვდა მდელსოა გინა მწუანესა: საე. წიგ. II, 56, 35; აქლე-  
მი ...ძოვდა მთასა მას: ისტ. ქრ. II, 95, 18; და მათ შინა ვძოვდით: ეპ.  
ანტ. 22, 6; შუდნი ზროხანი... ძოვდეს მდინარისა მის კიდესა: დაბ. 41. 2;  
ცხოვარნი ჩემნი დანათრგუნავსა თქუენსა ძოვდეს: ეზექ. 34, 19; ძოვდი  
მას შინა ცხოვრებასა: სწავ. 189, 5 (ბრძ.); მაშინ ძოვდეს მგელი კრავთა  
თანა: ესაია 11, 6; საძოვარსა პოხილსა ძოვდენ მათა ზედა: ეზექ. 34, 14;  
მაშინ ძოვდენ მგელი კრავთა თანა: ლიტ. ქრ. 82, 44 (= ესაია 11, 6).

52. ვლგა და ვწამებ მცირესა და დიდსა: მოც. 26, 22; მე ვწამებ  
მისთვის: ი. 7, 7; ამას წამებს: ი. 3, 32; რომელსა წამებს ჩემთვის: ი. 5,  
32; რომელი ვიხილეთ, ვწამებთ: ი. 3, 11; აწ ჩუენ ...იესუ ქრისტესა ვწა-  
მებთ: სინ. 127, 9; ესენი წამებენ ჩემთვის: ი. 10, 25; რომელთა იხილეს,  
წამებენ ამას: სინ. 11, 311, 9 ქვ.; წამებდა, ვითარმედ... ი. 4, 39; თა-  
ვადი იესუ წამებდა, ვითარმედ... ი. 4, 44; რომელნი წამებდეს ქეშ-  
მარიტებისა შენსათვის: 3 იოვ. 1, 3; უკუეთუ მე ვწამებდე თავისა ჩემი-  
სათვის: ი. 5, 31; და ესე წამებდეს: ლევ. 5, 1.

53. წუ რ ე ი დ ა იგი (ღვინს-მნმ) ყურძენსა სასუმელსა შინა ფარავომს-სა: უძე. რედ. 172, 21.

54. ცუღად ჰედს ვეცხლის-მკედელი ვეცხლსა: იერ. 6, 29.

55. ხ რ ი ნ თავსა: კვრიაკისათვის, 208, 23 A; ხ რ ი ე ლ თავთა თვსთა და იტყვედ: Sin. 35, 151 va, 8; ხ რ ი დ ა თავსა თვსსა: კიმ. I, 276, 9; ხ რ ი დ ე ს თავსა მათსა და ეტყოდეს: მ. 27, 39 C; მრ. 15, 29 C; ხ რ ი დ ე ს თავსა: ფს. 21, 8 BCDE; ხ რ ი დ ე ს თავთა გულის-წყრომითა ღმრთის-მბრძოლნი იგი ანომსთვს: თთუენი, 49, 14 (=ეტ. VIII).

56. გუერდთა მათთა ხ უ ე ტ დ ე ს: სინ. 223, 13; ყოველთა კორცთა მათ-თა ხ უ ე ტ დ ე ს: კიმ. II, 106, 2; ღაწუთა მათთა ხ უ ე ტ დ ე ს სატანჯველად მათა: იქვე, 106, 5; მტანჯველნი იგი მისნი ეგოდენ ხ უ ე ტ დ ე ს, ვიდრე გა-მოჩინებდამდე ძუალთა მისთა: საკ. წიგ. II, 43, 28; ხ უ ე ტ დ ი თ გუერდთა მაგისთა ფუცბუითა რკინისაჲთა: Sin. 11, 167, 9 ქვ. (=აღწ. 174, 29); ბრძანა, რაჲთა ... ხ უ ე ტ დ ე ნ გუერდთა მათთა: Sin. 62, 52 vb, 5 (=კიმ. II, 24, 7).

57. ნუუჟუე დღე ყოველ კნავენ მკნველი იგი ქუეყანასა: ესაია 45, 9;... კნავენა იქვე-ლაგ; ნუუჟუე დღე ყოველ კნავენა კაი საკნავსა თვსსა თესვად: ესაია 28, 24 (ოშკი); უღლეული კართად კნვიდა: იობ 1, 14; მოუ-ცუდა მას კარი იგი, რომლითა კნვიდა: Sin. 62, 36 ra. 4 ქვ.; რომელნი-იგი უჯეროსა კნვიდეს: იობ 4, 8; ერთითა მით მე ვკნვიდი და მეორითა მით — სასყიდლით-დადგინებული მუშაკი: სევან. 305 a, 18—19.

გვაქვს მოკნას.

## C

### მხოლოდ ზმნისწინიანნი

58. გლოვად სარგებელ არს და მცველ სულისა, რამეთუ განჰბანს იგი ტირილითა და განჰბანს იგი ცრემლითა: სწავ. 228, 28; დღე და ღამე და-ალტობნ სარეცელსა თვსსა ცრემლითა და განჰბანს მას ნაკადულითა თუ-ალთაგან ჩამონადინართა: ასურ. 15, 33.

ამ ფორმებში პირდაპირი ობიექტი უნდა იგულისხმებოდეს: განჰბანს იგი მას, განბანა მან იგი, ირიბი ჩნდება და ზმნისწინთან: დაჰბანა მან მას ფერკნი მისნი. ჩვენს აზრს ამტკიცებს წყვეტილის უპრეფიქსო ფორმა: რაჲთამცა სული იგი შემწიკუღული განბანეს და განწმიდნეს: სინ. 77, 10. უზმნის-წინოდ მოსალოდნელი იყო: ბანს, ბანდა, ბანდეს.

59. რაჟამს-იგი მტარვალნი დაჰბზარვიდეს კორცთა მათთა!: საკ. წიგ. II, 85, 30 (4). შდრ. II სერიის ფორმები: დაბზარენ და დაჰრენ კორც-ნი მათნი: იქვე, 82, 17; დაჰრნეს და დაბზარნეს კორცნი მისნი: ისტ. ქრ. II, 62, 5; ეზოჲ კრესტაბმელისაჲ მის დაებძარი: რავაზ 81, 26; მახვლმან ჩემმან კორცნი შენნი და ძუალნი დაბძარნეს: პარხ. 614 a (ბძარ—ბზარ — სუბსტიტ.).

60. დაჰბურვიდა სართულსა თვსსა: Sin. 11, 44, 12. შდრ. დაბურა სიშიშულე თვსი: კიმ. I, 203, 22; დაბურა იგი სამოსლითა: 1 მეფ. 19, 13.

1 მათა ხ.

61. მეფე წარკვავენის მას ლუაწილ: გულანდ. 213, 4 B; წარკვავენით და ვიკმნით: Sin. 6, 179 r, 4 ქვე; ვითარ წარკვავენი და: Sin. 35, 279 va, 3; 290 ra, 17 (ნ. კ. დაბ. 18, 16; Sin. 11, 250, A); მადლობით წარკვავენი დეს ნავთსადგურისა მის მიმართ ქრისტესისა: შუშ. 158, 30; წარკვავენი დეს მას ნავად: მოც. 20, 38 (ნ. კ. აპოკრ. 42, 15).

ამავე ფუძისაა აგრეთვე მკვავენა-ც: მეფე წარკვავენის მას ლუაწილ: გულანდ. 213, 4 A. ამ ზმნაში მ ფუძისეულია. სიტყვა მკვავენ-იდან მომდინარეობს (ა. შანიძე), ამიტომ პრეფიქსი მ-ს უძღვის წინ (და არა გ-ს). ასეთი წარმოება ამ ძეგლში სხვაგანაც გვაქვს. მაგალითად: მეფე წარკვავენის შენ ბრძოლად: იქვე, 213, 7; არავენ მყავს შენსა უფროდსი, ვინმეა წარკვავენე ბრძოლად: იქვე, 213, 11; წარკვავენეს (იგი) სახილ თვისა: იქვე, 214, 2 და სხვა.

62. რომელი ურწმუნოთა მათ ნათესავთა. შეტყუებით დაჰგლის: კურთხ. 174, 3; დაჰგლიდა ძუალთა და კორცთა მრავალთასა: თუალთ. 84, 15; სამართლისა საშველითა უწყესოთა მათ მსაჯულთა წინაშე ყოველთა განჰგლიდა: თუალთ. 50, 28.

63. ღამით და ღლით სიტყვთა დაჰგუმერ და ზაკუვით კლავდ აღმავს: სინ. 214, 17; ლახურითა ... დაჰგუმერ და: იპოლ. 2, 190; ქვადა დაჰკრიბე მათ ... და დაჰგუმერ დი მათ მახვლითა მათითა: ეზეკ. 23, 47.

64. უბნებსა ზედა დასდგმიდეს სნეულებს: მრ. 6, 56 C (DE: დასდებდეს); უბანთა ცა ზედა გამოაქუნდეს უძღურნი და დასდგმიდეს ცხედროებითა და საკაცებითა: მოც. 5, 15; რაფთა კვრავესა შინა ერთგვის მიართუმიდეს მას წყალსა და დასდგმიდეს კართა ზედა მისთა: ნოველ. 7, 5, 6.

65. მე და ვაჟდებ სულსა ჩემსა: ი. 10, 17 D; სულსა ჩემსა დავსდებ ცხოვართათს: ი. 10, 15; ამას აღთქუმასა დავსდებ წინაშე ღმრთისა: ბალ. 114, 29 (ნ. კ. სწავ. 17, 22; კიმ. 1, 297, 25); რომელი დასდებს სულსა მისსა ცხოვართა მისთათს: სინ. 146, 24; მოყუსისა მიმართ სულთა დავსდებთ: სინ. 234, 26; ერი დასდებდა რვალსა ფასის საცავსა მას: მრ. 12, 41; დასდებდა მას მუცელსა შინა თევზისასა: სინ. 107, 23; უბანთა ზედა დასდებდეს უძღურთა მათთა: მრ. 6, 56 E; განიძარცუვიდეს სამოსელსა მათსა და დასდებდეს ფერკთა თანა ჰაპუკისა ვისამე: მოც. 7, 58 (ნ. კ. მრ. 15, 47; ლ. 21, 1; 23, 55; ქრისტეფ. 194, 15); ზვალისაგან გარდასდებდეს ტვრთსა: მოც. 27, 18; გარდასდებდეს ნავისა მისგან იფქლსა მას ზღუად: მოც. 27, 38; გარდასდებდეს ჰურქელსა მათსა ზღუად: იონა 1, 5 ლავ.; რომელნი შთასდებდეს, მდიდარნი იყვნეს: Sin. 35, 63 va. 3 ქვე.

66. ძენი ეშმაკისანი გარდასდრეკენ მრუდად (წერილთა): სინ. 48, 4; განსდრეკდა ერსა მას: კიმ. 1, 127, 25; რომელი განსდრეკდეს გზათა თვისთა: ივავ. 10, 9 პარ.

67. შეილო, ნუ განიწირავ თავსა შენსა, ნუცა სიჭაბუკესა შენსა განჰვაჰკრი ქრისტიანელ: აბო 192, 6; ივავრიდეს და განჰვაჰკრიობდეს: Sin. 57, 8 vb, 4 ქვე.

68. რომელი (მტუარი) განჰვლის აღმოსავალით ქალაქსა: აბო 197, 1; მოჰვლის დაბ. 2, 14 ლავ.; განჰვლიან სოფელსა ამას: ბალ. 72, 2; ვითარ მოჰვლიან ცასა: აღწ. 103, 2 ქვე; წარჰვლიან ვზასა მას:

ანტიოქ. 337, 2; ანასტასია მოკელინ მათ ყოველთა: სავ. წიგ. II, 21, 9; პიერსა განსწმედლა და განკველიდა ათერსა: ასურ. 42, 9 ბ; და განკველიდა ასურეთსა და კილიკიასა: მოც. 15, 41; მოკელიდა ადგილსა მას ყოველსა: Sin. 11, 251, 3; მოკელიდა იესუ ყოველსა გალილესა: მ. 4, 23-C (ნ. კ. მ. 9, 35; მრ. 6, 6 C; კიმ. I, 267, 19); რომელი წარკველიდა კარსა თანა: კიმ. I, 205, 13; მან წარიყვანა იგი გზასა მას, რომელსაცა წარკველიდა მამადა ეპიფანე: ხანძთ. 133, 32; წარკველიდეს რაჲ გზასა: ანტიოქ. 375, 19; ვითარ განკველიდეს მათა მათ და ქვეთა: ანტიოქ. 375, 20; განკველიდეს ზღუს კიდისა ადგილსა: მოც. 15, 3; წარმოკველიდით: Sin. 11, 258, 13 ქვ; ვიდრე არა მოდრკიან და თაყუანის-სციან მდაბლად, არა წარკველიდიან: ცხ. ეფთ. 64, 2; განკველიდენ რაჲ სულნი შორის მათსა: ანტიოქ. 383, 25; რაჲთა გამოკველიდენ მეფენი იგი: თარგმ. გამოცხ. 16, 12.

69. განკვაეებს ღმერთი მოწყალებათა მისთა: ბალ. 154, 3 ბ; წმიდაჲ ნინო ცრემლითა განკვაეებდა წყაროსა მას: მოქც. (ავ. ძეგ.) 151, 12.

ეპიფანე შესვაეებს თევზთა მათ და ასაღილებს ყოველთა მორწმუნეთა: ურთ. 198, 3; რაჲამს სულნელთა ნელსაცხებელთა ვინმე შესვაეებნ: თუალთ. 79, 7; რაჲამს ნელსაცხებელთა სულთა შესვაეებედ და საყუმეველთა უკუმევედ: თუალთ. 79, 2—3.

ეს არის ერთადერთი ზმნა ე. წ. მამის ბგერით დაწყებულ ზმნათა შორის, რომელსაც მოსალოდნელი ჰქონდა ნაცულად ხანი აქვს (უნდა ყოფილიყო: შეკვაეებს, შეკვაეებენ, შეკვაეებედ). სხვა მამის ბგერასთან ხ არსად არ გვხვდება<sup>1</sup>.

70. არა დასთრგუნავს მიწისაგანთა მათ შემოქმედი იგი: სინ. 175, 30; დასთრგუნვენ (ქუარსა) ფერკითა მათითა: წარტყ. 48, 3; რომელნი დასთრგუნვედ თიკასა გზასა ზედა: ზაქ. 10, 5; ჭამდა და დააწერილებდა და ნეშტსა მას ფერკითა დასთრგუნვიდა: დან. 7, 7, 19 პარ.; ურთიერთას დასთრგუნვიდეს ტენებისა მისგან: წარტყ. 19, 18; რაჲთა არა დასთრგუნვიდენ ფერკითა მათითა: Sin. 35, 244 ra. 16.

71. გამოვიდა სიმონ-პეტრე და გამოხითრევდა ბადესა მას ქუეყანად: ი. 21, 11 ყ; ხოლო სხუანი მოწაფენი ...გამოხითრევდეს ბადესა მას თევზითა საესესა: ი. 21, 8 ყ.

72. ყოვლითურთთა მათ ღმრთის სახეობისა წინააღმდეგომთაგან ჯმნასა აღსთქუამს: პ. იბერ. 166, 34; იგი ტყუელით გულ-მწყარლად განსთქუამს: Sin. 35, 247 rb; რეცა თუ სასწაულსა და კურნებასა რასმე განსთქუმედ ერსა შორის: აბო 196, 6; ...განსთქუმენ E, ...განსთქუმვიდიან D (კ. კეკელიძის გამოც., ვარ.); ხოლო ყოველი იგი კრებულსი დიდად განსთქუმვიდეს: ზარზმ. 165, 16.

73. მოკვიცხვიდეს ეშმაკსა უთმინოებისასა: ნოველ. 7, 6, 3. შდრ.

<sup>1</sup> „ციცქის“ 1968 წლის მე-11 ნომერში რომ იკითხება „ცრემლი კი დასშრობოდათ“ (გვ. 49), ეს სრული ანაქრონიზმა და გვიჩვენებს, რომ არ ესმით, პირის ნიშნად საღრაასო დაწერონ.

გ ა ნ კ ი ც ხ ე ს ი გი: მ. 27, 31; მრ. 15, 20; ლ. 16, 14 C; 23, 11. მაშასადამე, აქ პირდაპირი ობიექტისაა.

74. რომელი არივლ ქელმწიფებასა თქუენსა ქუეშმ, მათ დაჰკორტნი-  
დ ი თ: ესაია 58, 3.

75. რომლითა საკრველითა შეჰკრავეს: სწავ. 145, 7; იგი შეჰ-  
კრავეს და იგი ეცინის; იგი შეჰკრავეს და იგი დაათრობს: Sin. 36. 335 a,  
16—17 (=სწავ. 276, 16); ვსდენიდ..., შეჰკრავედ და მივსცემდი საპრო-  
ბილესა მამათა და დედათა: მოც. 22, 4; საკრველითა რკინისათა შეჰკრავი-  
და: სინ. 107, 23; უდაბნ. 54 rb; ვითარცა საბლითა, ეგრეთ შეჰკრავიდა  
ფერკთა მისთა: მესუეტ. 17, 20; თავსა სცემდეს და ლუენითა აპირვებდეს და  
საბლითა შეჰკრავიდე ს: კიმ. II, 105, 23; მსახურნი მეფისანი შეჰ-  
კრავიდე ს დედაკაცსა მას: Sin. 11, 382, 15.

76. თმასა, რომელი მთ წინაშე საკუეველ არნ, სადაცა დაემთხვოს, მოჰ-  
კუეცს პირველ კუეცადმდე მათა წინაშე ღმერთთა საგინებელად მათა:  
კიმ. II, 8. 19. შდრ. რომელმან-იგი უეამოდ მოკუეცნის ყრმანი იგი: იქ-  
ვე, 9, 6.

77. ძალი მისი ...გ ა ნ ჰ ლ ე ვ ს ქვათა: Sin. 11, 313, 1; რომელი გ ა ნ ჰ-  
ლ ე ვ ს ყოველსა: სწავ. 135, 12; არარას ნოტიასა გ ა ნ ჰ ლ ე ვ ს მზე: ექუსთ.  
36, 17; გ ა ნ ჰ ლ ე ვ ე ნ განწესებულთა მთ ეამთა ცხოვრებისა მისისათა: ექუსთ.  
40, 28; და მათ შინა დაჰლევენ დღეთა მათთა: ბალ. 44, 13; მოკლე არს  
ცხოვრება ესე და ადრე დაჰლევენ დღენი და დამენი: ბალ. 61, 18 ბ; ვე-  
შაპი იგი გ ა ნ ჰ ლ ე ვ ე ნ მათ: გულანდ. 217, 16 (=ეტ. III); მარადის გ ა ნ-  
ჰ ლ ე ვ ე ნ ყუედრებითა სულსა მისსა: სწავ. 116, 21.

მ გ ზ ა ე ნ ა ნ. გ ზ ა ე ნ ა (№ 61).

78. უკუეთუ იყოს უნებელი რამე სიცილისაჲ, ნუ აღსტკმოზ პირსა  
შენსა, კმა გეყავნ განლიმებაცა იძულებით: Sin. 35, 73 rb, 16—20; აღიქდიდეს  
საბურველსა თავთა მათთა და აღმსტკმოზ დეს პირთა მათთა: პარხ. 889 a.

ამ ფორმაში ორი გარემოება იქცევს ჩვენს ყურადღებას:

ა) იგი ჩვეულებრივ ანიანი საარვისო ქცევით იხმარება (აღამტკმო პი-  
რი), აქ კი ნულიანი საარვისო ქცევაა გამოყენებული. ეს შემთხვევითი არ უნდა  
იყოს. შდრ. იქვე ცოტა ქვემოთ: აღმტკმე პირი შენი და გამოყავ ენაჲ შენი:  
პარხ. 903 a (აღმტკმე და არა აღამტკმე).

ბ) ობიექტის პირის ნიშანი გადასმულია: აღჰმტკმოზ დეს—აღმჰ-  
ტკმოზ დეს—აღმსტკმოზ დეს. მ ახალ პოზიციაში (ტ-ს წინ) ს-დ  
შეიცვალა. ეს განსაკუთრებული გადასმა დამახასიათებელია ძველი-ქართლისა-  
თვის (ნ. ზემოთ, გვ. 103—112).

აღსტკმოზ-ში მ დაკარგულია მომდევნო მ-ს გავლენით. შდრ აღუშ-  
ტკმიედ პირი: 2 ეზრა 4, 19.

79. ხოლო დღეს გალობითა და შესხმითა სულიერთა შეჰმურვენ  
მიცვალებულთა: სწავ. 308, 29; ვითარ გნებაუს, რამთა შეგმურო შენ: ვითარ-იგი  
შეჰმურვენ მეგვტელნი მონაზონნი ანუ ვითარ იერუსალმელნი: Sin.  
36, 478 a, 3 ქვ. (=ლიმ. 71, 21).

80. კითხვითა მით მოჰნადირებდა აღამს ღმერთი ცხოვრებად: ფს.  
გვ. 456, 23.

81. ქეშმარიტთა ქრისტეანეთა შვილსა მწვალებელი მღვდელი ვერ მოქნათლავს: ხანძთ. 150, 31.

82. ოდეს დაჰნაწილებდეს კორცსა და სისხლსა ქრისტესსა: ლიტ. ქრ. 16, 39.

83. ხოლო ოდეს მოიწიფის, კელარნი ზედაჲს-ზედა გავიდოდინ მეტოქეთა და მოჰნახედიან ხილნართა: ცხ. ეფთ. 98, 5.

84. ფარულად გუბრძენან და დასთქმენ სულთა ჩვენთა: Sin. 35, 107 ra, 15; ვინ შთანსთქამნ თმასა: იგავ. 23, 7 პარ.; არცა ცეცხლი შთანსთქმიდა: სწავ. 14, 28; ყოველთა ცოცხლივ შთანსთქმიდა: შატბ. 320 a; მრავალთა ადგილთა სხუას იტყოდეს და შთანსთქმიდეს ...წარმართნი: თუალთ. 42, 31—32.

ამ ზმნაშიც გადასმულია და თ-ს წინ ს-დ არის შეცვლილი (ნ. ზემოთ, გვ. 108—109). დასთქმენ-ში, გარდა ამისა, ნ დაკარგულია (დაჰნთქმენ—დანთქმენ—დანსთქმენ—დანსთქმენ).

85. რომელი პირითა წაჰრევენ სიტყუათა: Sin. 35, 85 rb, 6 ქვ. (წაჰრევენ—წარჰრევენ).

86. რომელი წარჰრღუნინ სოფელსა: ესაია 28, 2; მოვიდეს მოსლეთი და წარმოჰრღუნიდეს და წარმოვიდეს და დაჯდეს. ვიდრე ძლიერებამდე მისა: დან. 11, 10; სული მისი ვითარცა წვალი ქევსა წარმოჰრღუნიდეს: ესაია 30, 28; ...წარჰრღუნიდეს (იქვე, ოშვი).

მაგრამ, როგორც ცნობილია, რ-ს წინ (აგრეთვე ზ, ს, შ, ხ, ლ-ს წინაც) ამ იკარგება. ამ ფუძის დასაწყისი ბგერებია რღ—ორი იმათგანი რომელთა წინ ამ საერთოდ ქრება. ამას უნდა დაემატოს ისიც, რომ ზმნისწინი რ-ზე ბოლოვდება. ამგვარად, ერთად გვექნება რრღ, სადაც ჰ-ს ბელი განწირულია. ამიტომ ამ ფორმაში ამ ზოგჯერ არა გვაქვს, რასაც მხოლოდ და მხოლოდ ფონეტიკური საფუძველი აქვს, მაგალითად: წარღუნინდა ქალაქსა: მოქც. (აგ. ძეგ.) 139, 10 ბ. აქ ჰ-ს რ-ც მიჰყოლია.

87. ნუ განჰრყუნინ მას: ესაია 65, 8; უგუნურებაჲ კაცისაჲ განჰრყუნინს ზრახვითა მისითა: იგავ. 19, 3 პარ.; ყანასა ჩემსა მკალი განჰრყუნინს: Sin. 35, 178 rb, 2 ქვ.; რომელნი-იგი განჰრყუნინან ნათესავობასა: ექუსთ. 83, 12; კუდითა თჳსითა კუალსა მას შეჰრყუნინ: სახისმეტყ. 2, 15; ულბინებდა ცოდვათა მათთა და არა განჰრყუნინდა: ფს. 77, 38; იძულებით ქალწულებასა მათსა განჰრყუნიდეს: წარტყ. 23, 28; რაჲ თქუას კაცმან, ოდეს მცნებასაცა ურჩ ექმნებოდის და ბუნებასა განჰრყუნიდეს: ექუსთ. 108, 16.

ამ ზოგჯერ აქაც იკარგება: განრყუნინდა ნაყოფსა: კიმ. I, 305, 9; განრყუნინდა მათ: ფს. 77, 38 C. მიზეზი აქაც იგივეა, რაც ზემოთ წარმოდგენილ წარღუნინდა და მსგავს ფორმებში (ცოტა შეზღუდულად. ამიტომაც, რომ დაკარგვაც ნაკლებია).

88. იოსეფ გამოჰსახეიდა დაფლვასა მკსნელისასა და აღდგომასა: სსს. პ. 51, 145; რომელი გამოჰსახეიდა საიდუმლოდ შობასა შენსა: სსს.



3. 55, 3; გამოქსახვიდა ქრისტეს ნათლის-ღებასა: სას. 3. 231, 74; გამოქსახვიდა მოსე: სას. 3. 371, XII, 5; რომელნი გამოქსახვიდეს ეკრებნა: ესაია 44, 11.

ს-ს წინ ჰყველაზე ხშირად იყარგება. მხოლოდ ამ ფონეტიკური მიზეზითაა, რომ ხშირად მსგავს ფორმებში ჰ გვაკლია: გამოსახავს თარგმ. გამოცხ. 6, 3; გამოსახვენ ესაია 44, 10; გამოსახვიდა თარგმ. ვამოცხ. 6, 1, 3; კიმ. I, 256, 32; გამოსახვიდეს ესაია 44, 9.

89. მოქსრვიდა მათ: იერ. 5, 6; Sin. 97, 215 rb. 16; რომელთამე მახულითა მოქსრვიდეს: Sin. 11, 95, 9 ქვე.; რომელნი მოქსრვიდეს წინაღმარებეტუელთა: წარტყ. 3, 33 (ნ. კ. მსაჯ. 20, 42; წარტყ. 16, 28; 45, 18); მოქსრველ და შეურაცხ-ჰყოფდ: ეზეკ. 21, 10; გამოვიდოდეთ და მოქსრვიდით: ეზეკ. 9, 7; ბრძანა, რათა მუნქუესვე მოქსრვიდენ ქრისტეანთა ყოველთა: Sin. 11, 95, 3.

ს-ს წინ ჰ-ს ფონეტიკურად დაყარვის შემთხვევები აქაც გვაქვს: მოვსრავ კიმ. I, 307, 6; მოსრავს 2 შჯ. 9, 5 ლაგ.; სწავ. 118, 15; 292, 20; მოსრვენ Sin. 35, 96 rb, 4; შესუეტ. 55, 30; აბოკრ. 5, 38; მოსრავნ ფს. 77, 34; მოვსრველ მოც. 26, 10; მოსრვიდა მოც. 9, 21; გამ. 12, 27 ლაგ.; სინ. 88, 21; სახისმეტყ. 22, 70; თუალთ. 84, 21; მოსრვიდეს კიმ. I, 241, 20; შესუეტ. 56, 23; წარტყ. 3, 33; 16, 28; 18, 1; სწავ. 199, 2.

90. რომელი შემძლებელ არს დატევენად, დახიტევიდინ: მ. 19, 12 ყ.

91. ესე მოსტეხს(?) რქასა ამპარტაენებისასა: Sin. 35, 168 va, 16; პურა მას რომელსა განვსტეხთ, არა-მე ზიარებამ სისხლთა ქრისტესთა არსა: I კორ. 10, 16 ქუთ.; მოვიდეს მუნცა, აღსძრვიდეს და აღსტეხდეს ერსა მას: პოც. 17, 13.

შდრ. განვტეხე მრ. 8, 19; განტეხა მ. 15, 36; განტეხნა მრ. 5, 41 C; განტეხოს მ. 12, 20.

92. მსწრაფლ მოეხუა საკმილი იგი აზარის და შესტუსვიდა მას: Sin. 11, 189 r. 19.

93. ქეთა განსტვნიდეს სტეფანეს: მოც. 7, 59.

94. ურთიერთას მსგავსად ძალისა შეურაცხ-ჰყოფენ და დაჰქენჯნიან: წავ. 267, 22; რამეთუ დაჰქენჯნიდეს გლახაკსა: ამოს. 5, 11; ...დაჰიქენიდეს... (იქვე ლაგ.); ...დაჰქენჯნიდით (...იქვე ლატ.); რომელნი არიელ ქელმწიფებასა ქუეშე<sup>1</sup>, მათ დაჰქენჯნიდით: ესაია 58, 3 პარ.

95. (?) ნაშობნი ამის სოფლისანი იქორწინებთან და განჰქორწინებენ: ლ. 20, 34; არცა იქორწინებთან, არცა განჰქორწინებენ: ლ. 20, 35 E; ჰამდეს და სუმიდეს, შემოჰქორწინებდეს და განჰქორწინებდეს: Sin. 97, 8 vb, 7 ქვე. (= აღწ. 227, 31); დღესა მას აღდგომისასა არცა განჰქორწინებდენ, არცა იქორწინებოდიან: მ. 22, 30 E; ლ. 20, 35 C. ამწუხაროდ, ჯერჯერობით არაა დადასტურებული II სერიის ფორმები, რომ ნაიელი იყოს ამ ზმნის გარდამავლობა.

96. იცემდა მკერდსა და გარმოჰღერიდა ცრემლთა მკურვალეთა: Sin. 36, 411 a. 9 ქვე. (= ლიმ. 39, 14).

<sup>1</sup> ქუეშე ხ.

მაგრამ, როგორც აღნიშნული გვექონდა, ჰ-ღ-ს წინ ხშირად იკარგება ხოლმე, ამიტომ აქაც გვაქვს ამნაირი შემთხვევა: და ე ლ უ ა რ ა ვ თ ს ი ტყუთა ამათ: სინ. 218, 20; გ ა რ და ლ უ რ ი დ ე ს ქუ რ ქ ე ლ ს ა ნ ა ე თ ზ ლუაღ: იონა 1, 5 (გ ა რ და ს დ ე ბ დ ე ს ლაგ.).

97. ცრემლთა მდინარე და ჰ შ რ ე ტ ს ცეცხლსა საქუმილისასა: Sin. 36. 17 b, 2 (=სწავ. 61, 32; და შ რ ე ტ ს).

ჰ შ-ს წინა ცისევე ხშირად იკარგება, როგორც ს-ს, ხ-ს... წინაც. მხოლოდ ამ ფონეტიკური მიზეზის გამო გვაქვს უპრეფიქსო ფორმები: და შ რ ე ტ ს Sin. 35, 155 ra, 13; და შ რ ე ტ ე ნ სინ. 114, 18; და შ რ ე ტ ე ნ ცხორ. ანტ. (A 19) 437 b, 16; და შ რ ე ტ დ ე ს ნოველ. 3, 23, 63. ასეთ პირობებში მე-2 სუბიექტური პირის ნიშანიც გვაკლია: ნუ და შ რ ე ტ თ: Sin. 35, 48 ra, 1; რომელი ღონეშ ჰყავ და და შ რ ი ტ ე ნ ლამპარნი: Sin. 11, 135 v, 6 ქვ.

98. მე არა განვსცდი უფალსა ღმერთსა ჩემსა: წარტყ. 51, 29; არავის გამოსცდის იგი: ებ. იაქ. 1, 13<sup>4</sup>; ეშმაკი დგას და განსცდის გულთა თქუენთა: წარტყ. 34, 18; განსცდიან მას: სიბრძნ. 2, 24; ოდეს გამოსცდინ ახლად მონაზონთა: კიმ. II, 159, 30; განსცდიეღ შურითა<sup>1</sup>: Sin. 35, 2 ra, 6 ქვ. (=ებ. ანტ. 3, 13); გამოსცდიღ და მათ და ეტყოდა: სინ. 117, 32 (6. კ. ლაბ. 22, 1 სინ.; ბოლნ. 59, 7; მ. 22, 35; ლ. 10, 25; ი. 6, 6); გა მ ო ს ც დ ი დ ე ს მას და ჰკითხვიდეს: მ. 16, 1 (6. კ. მ. 19, 3; მრ. 10, 2); რომელნი განსცდიდეს მქსნელსა მას პირად-პირადითა განცილითა: კურთხ. 92, 11.

99. განსძარცუვიდეს მარიამსაცა, რაფთაძეცა მიხედეს და იხილეს შიშულობაჲ მისი: აპოკრ. 5, 17. ს ა ქ პირდაპირი ობიექტისა უნდა იყოს. შდრ განძარცუეს იგი: მ. 27, 28; ლ. 10, 30.

100. და ესე უფროჲს დასწერტს გონებათა ჩუენთა — დედაკაცისაგან ოტებაჲ: წარტყ. 65, 20.

101. და განსწვალე ბს ებისტოლესა ამას შინა: უწყებაჲ იოვ. (კათ. ებ.), გვ. 77, 49; და არა ორად პირად განვჰყოფთ გინა განვსწვალე ბთ: მრავ. 315, 16; და კუალად სამეოცთა მათ თუთოეულსა სამეოც-სამეოცეულად განსწვალე ბენ: ექუსთ. 69, 35; და განსწვალე ბენ შორის კმრისა და ცოლისა დაწინდებულისა: Sin. 11, 201, 7 ქვ. (=კიმ. II, 83, 3); და განსწვალე ბდენ შორის ნათლისა და შორის ბნელისა: დაბ. 1, 13 ლატ., სინ.

102. და მიერ ვარჩევდეთ და მოჰვწილვიდეთ, ვითარცა ყუავილთა შეუენიერთა: უდაბნ. 61 ra.

მოჰვწილვიდეთ ჰაემეტობის გაღმონაშითა, IX—X საუკუნეთა ქართულის ჩვეულებრივი ფორმა იქნებოდა მოვსწილვიდეთ.

103. მე ვარ უფალი, რომელი განვსწმედ მათ: ეზეკ. 20, 12; 37, 28; მათ ზედა განვსწმედ თავსა ჩემსა: ი. 17, 19 C ლატ.; რომელი განსწმედს შესაწირავსა: მ. 23, 19 (6. კ. მრ. 7, 19; მრავ. 295, 38; სინ. 84, 24; აღწ. 231, 42; სას. 3, 229, 44; კიმ. I, 182, 27); კეთროვანთა განვსწმედთ: Sin. 11, 310, 8 ქვ. (=ავთანგ. 261, 19); მრავალსა მოჰრწყუენ და განსწმედნ: Sin. 35, 292 rb, 7; არა ხოლო კაცთა გუემულთა განსწმედღ და სულთაგან არაწმი-

<sup>1</sup> შურითა ხ.

დათა: Sin. 11, 336 v, 6 (ნ. კ. ებრ. 9, 13; ასურ. 42. 8 ა); კეთროვანთა განსწმედლით: მ. 10. 8 (ბრძ.); ცეცხლი... განსწმედღეს ქუეყანასა უმჯულოებისაგან: ისტ. ქრ. II, 5, 4.

104. ესრჳთ ურიდალ დაშკრიედ ხესა, ...ვითარცა ქუნდაქარნი კორცსა ...ურიდალ დაპკრიდეს: პარხ. 873 ა; უღმერთონი დაპკრიდეს კორცთა მათ მოწამისა ლუციოსისთა: კიმ. II, 15, 10; რომელნიმე პოროლითა და ისრითა შესჩხუებდეს და დასკრიდეს: ლიტ. ქრ. 83, 48; მოწათფენი მისნი მოპკრიდეს თავსა კუვილისასა: ლ. 6, 1 BCD; ...მოშკრიდეს... (იქვე EM); შეველით ...ქალაქად და დაპკრიდით და ნუ ერიდებით: ეზეკ. 9, 5; დაშკრიდენ რკმლებსა მათსა საცნისად და ჰორლებსა მათსა მანგლად: მიქია 4:3 ლაგ.; ...დაპშკრიდენ... კიმ. II, 150, 8; ...დასკრიდენ... ლიტ. ქრ. 82, 40.

105. რომელნიმე სიტყუთა შეამკობენ და რომელნიმე ფიცართა გამოპხატვენ: სინ. 116, 1.

106. საკრველთა ცოდვისათა განპხეთქს დღეს მაცხოვარი შეკრული სახუეელითა: სას. 3. 73, 109. მაგრამ სხვა შემთხვევებში ჰ-ს წინ დაქარგულია: განხეთქს ისტ. ქრ. II, 39, 35; განხეთქენ მესუეტ. 55, 30; განხეთქედ Sin. 35, 244 rb, 4; უდაბნ. 149 v (= ხელნ. აღწ. A ფონდი, IV, 1954, გვ. 99); განხეთქდა კურთხ. 114, 5.

107. განპხერხვიდეს ხერხითა რკინისადათა მიდგომილთა მათ გალადას შინა: ამოს 1, 3 (ოშკი). იერუსალიმისაში ჰ უკვე დაქარგულია (განხერხვიდეს... მუცელ-ქმნულთა).

108. უკუეთუ მე ბელზებულითა განეპკდი ეშმაკთა: მ. 12, 27 C; განეპკდი მე ეშმაკთა: მ. 12, 28 C; ესე არაადათ განეპკდის ეშმაკთა მათ, გარნა ბელზებულითა: მ. 12, 24 C; მთავრითა მით ეშმაკთადათა განეპკდის იგი ეშმაკთა: მრ. 3, 22 C; ეშმაკთა განეპკდიდა: მრ. 1, 39 C; 9, 38 C; ეშმაკებსა მრავალსა განეპკდიდეს: მრ. 6, 13 C.

მეორე სერიის მწკრივებში. რა თქმა უნდა, ეს ჰ არ აღმოჩნდება: განკადა ეშმაკი იგი: მ. 9, 33; ეშმაკნი მრავალნი განკადა: მრ. 1, 34 C; განკადეს იგი გარე: ი. 9, 34 C, 35 C; რადათ განკადოს ეშმაკი იგი ასულისაგან მისისა: მრ. 7, 26.

109. განეპკრწნიან გონებასა სიტყუანი ესე ტვილნი: კიმ. II, 142, 12; და ბილწებითა განეპკრწნიან უმჯულოვებით: ურთ. 152, 33; სხუათაცა ექმნებნიან მიზეზ და უმჯულოვებით განეპკრწნიან: ურთ. 152, 37; სულთა და კორცთა თუსთა უმჯულოვებისა საქმითა ბილწებით განეპკრწნიან: ურთ. 153, 4; რომელნი (ეშმაკნი) განეპკრწნიან გულსა კაცისასა: Sin. 35, 114 va, 10. მაგრამ: რომელნი განეპკრწნიან გულსა: იქვე, 117 va, 17. ცხადია, აქ ჰ დაქარგულია ჰ-ს წინ, როგორც ჩვეულებრივ. გვაქვს ხოლმე ძველ ქართულში. დავძენ ბოლოს, რომ ეს ერთადერთი ზმნაა<sup>1</sup> ძველ ქართულში, რომლის მართლწერაშიც ყოყმანობენ: ზოგი აქ კ-ს წერს (განეპკრწნიან), ზოგი კი — ჰ-ს (განეპკრწნიან). უფრო ძველ ძეგლებში უმეტესად კ არის წარმოდგენილი.

<sup>1</sup> გულისხმა || გულისკმა სხვა რიგის საკითხია.

110. ვითარცა ჭიისა მიერ შესქამს ფარულად ძელებსა მათსა და განკუტრეტს: კლემაქსი, 103, 5.

ბოლოს დაუშობტებთ, რომ ძველი ქართულის ეს მთავარი კანონი თითქმის ხელუხლებლად გადმოსულია და ბატონობს ზვესურულ კილოში. აქ ძველ ქართულსავით ნორმაა ბედავს-გაღბედავს, თელვენ-გასთელვენ, თიბს-მასთიბს, თხრის-გადასთხრის, კლავს-მახკლავს, ლევს-დალლევს, მკიან-მახმკიან, ვტეხს-გავს-ტეხს, კელავს-მახკელავს, კოსს-დახკოსს და ბევრი სხვა.

აი ამის რამდენიმე ნიმუში ენობრივად სანდო ტექსტებიდან:

## A

### ზმნისწინიანად და უზმნისწინოდ (შახვედრილი)

#### ბ ე დ ვ ა

თვით ბ ე დ ე ვ და წასვლასა: პოეზ. 355, 3.

სათრუსოოდა გაღბედავს: პოეზ. 51, 2.

#### თ ე ლ ვ ა

ველებსა თელავს ნიავი: კინჯ. 412, 30; ნიადე აეგეთასა სრუ ცუდ-მარხელ თელავსა: პოეზ. 350, 4; ტოლს თელვენ ლასტზე. ისრ თელვენ ტოლს. რო ერთ ადლ სიგძეში უნდა დაიკლას. ისრ მაგრა თელვენ, რო სრუ ქაფს დაასრევიებენ: დიალექტ. 7, 20, 21; ქისტის შვილას რო თელავდისაო: კინჯ. 421, 5.

გაზაფხულ დახქოვენ ტოლებს, მემრ გასთელვენ ტოლს: დიალექტ. 7, 12; თთხ-ხუთ ტოლს გასთელვენ: იქვე, 7, 22; ვისაც შამცოდეს მაიგდებს, ნაბდებურ გამასთელვდა: გაბურ. 122, 23; პოეზ. 552, 3.

#### თ ი ბ ა

მავას, შაადგების სათიბს, მოვას ეშმაიც, თიბს, სათიბს შაადგების: გაბურ. 155, 15; თივას თიბს, ცელს კი ლესავსა: იქვე, 155, 30; პოეზ. 547, 2; არც თიბენ შაბათ-პარასკევს, არც მკიან. ისრ კი ქსოვენ: დიალექტ. 6, 20; უბის თავს თიბდა ბაჩანაი, თიბდა დავერას ახანებდა: პოეზ. 750, 5, 6; ჟიმჯიმი თიბდა: იქვე, 765, 1; ჭიშველ მთიბლები არ თიბდაეო: კინჯ. 433, 16

მაგრამ ხის ცელ რას მასთიბს: გაბურ. 155, 10; ჭარს რო მისთიბდა კმლითაო: იქვე, 225, 15.

#### თ რ ა

თივათ ვთრი ოროლობითა, დასვენებაიც მინდაო: პოეზ. 512, 1; თოფს ისრევეს შილინდებურად, თათრებ ერთმანეთს თრისაო: იქვე, 474, 17;

მკედარსა მარტილი(თ) თ რ ი ა ნ ა : ჰინჭ. 366, 12; არწივებ ერცხვას თ რ ი დ ე -  
ს ა : იქვე, 366, 31.

მაგასავ შინ მი ვ ს თ რ ი ო : დიალექტ. 11, 28; ნამზეებლავნ გადააფა-  
რა, ვირ რო გა დ ა ს თ რ ი ს ბუღეთა: პოეზ. 639, 8; მა ვ ს თ რ ი თ ა ვ ერ თ -  
ხანაო' მემრ წავიდასავ: დიალექტ. 10, 23; აი ნატყლაპებსავ მიწაზე მ ი ს თ რ ი -  
დ ა ვ : ჰინჭ. 342, 21.

### კვიბა

ვაკმევლითავ პურსავ ე კ ვ ე ბ ა ვ დ ი თ ა ვ : ჰინჭ. 340, 6.

რაით და ხ კ ე ვ ბ ა ვ ს ძროხებსა ბეჩაივ დედანჩემია: პოეზ. 634, 11; კარ-  
გად და ხ კ ე ვ ბ ე ნ ცხენებსა: იქვე, 462, 2.

### კვლა

ვინ იცის, გამახელასა თუ სურული კ ლ ა ვ ს ქალზედა: გაბურ. 204, 18;  
თითო ნასრევი ოცსა კ ლ ა ვ ს : იქვე, 222, 11; პოეზ. 467, 25; ზურაბს ჯავრი  
კ ლ ა ვ ს ორისა: ქვესურეთისა, ფშავისა: პოეზ. 14, 1; ზოგს კი კმაივ კ ლ ა ვ ს  
სალდათსა თოფისა, ზარბაზნისაო: იქვე, 478, 9; ზოგს კი ვერა კ ლ ა ვ ს ტყვიავი:  
იქვე, 478, 10; რაა(დ) ე კ ლ ა ვ თ ა ვ : ჰინჭ. 327, 35; თითო თოფვას ცხრა-ათს  
ჯიქვს კ ლ ე ვ დ : გაბურ. 200, 12.

ვეფხვს მა ვ ხ კ ლ ა ვ საღის კლდისასა: გაბურ, 244, 3; პოეზ. 524, 15;  
ბეწუკელთ მა ვ ხ კ ლ ა ვ ძილასა: პოეზ. 525, 3; მე კი ვერ მა ვ ხ კ ლ ა ვ ჩემს  
მტერსა: ჰინჭ. 395, 22; შენ თუ ვერ მა ხ კ ლ ა ვ , მე მა ვ ხ კ ლ ა ვ : იქვე, 395, 31;  
მეტს აღარ მა ვ ხ კ ლ ა ვ ა ვ : გაბურ. 159, 32; მე რო მა ვ ხ კ ლ ა ვ ა ვ : ჰინჭ. 354,  
7; როგორ ვერ მო ვ ხ კ ლ ა ვ ო : დიალექტ. 23, 31; ნადირს ვერ მა ხ კ ლ ა ვ ს :  
გაბურ. 153, 28; პოეზ. 280, 1; ვეფხვს მა ხ კ ლ ა ვ ს : გაბურ. 175, 4; პოეზ.  
250, 8; თითო წასვლაზე ხან ათს მა ხ კ ლ ა ვ ს , ხან თორმეტს: გაბურ. 188,  
16; მაშივ ზეავ მა ხ კ ლ ა ვ ს : იქვე, 190, 1; ლეკს მა ხ კ ლ ა ვ ს : პოეზ.  
379, 8; კაცს მა ხ კ ლ ა ვ ს კაცი: დიალექტ. 11, 40; მაკვლით კი აღარ მა ხ -  
კ ლ ა ვ ს : იქვე, 12, 28; კაც ჩიტვი(თ) მა ხ კ ლ ა ვ ს მტერს: ჰინჭ. 343, 9; ვინ  
შ ა ხ კ ლ ა ვ ს შენფერ ციასა: იქვე, 414, 26; ხვალ ერთსამე მა ხ კ ლ ა ვ ს ო  
ჯიქვსაო: დიალექტ. 23, 5; ხვალ ორს ჯიქვსამე მა ხ კ ლ ა ვ ს ო : იქვე, 23, 9;  
ხვალ ოთხსამე მა ხ კ ლ ა ვ ს ო : იქვე, 23, 11; და ხ კ ლ ა ვ ს საკლავს: გა-  
ბურ. 122, 6; დიალექტ. 7, 34; თიჯანს ან მეწულე და ხ კ ლ ა ვ ს : დიალექტ.  
6, 21; ან მა ვ ხ კ ლ ა ვ თ და ან გავზღით: გაბურ. 172, 26; მაგას ვერ მა ვ -  
ხ კ ლ ა ვ თ : პოეზ. 218, 20; თოფებს დავაყრით, მო ვ ხ კ ლ ა ვ თ : გაბურ.  
175, 22; ჩვენ თოფით როგორ ვერ მო ვ ხ კ ლ ა ვ თ : პოეზ. 478, 42; ან თაოდ...  
შ ა ხ კ ე ლ ე ნ ამ ქურდს: გაბურ. 139, 32; თუ მაივდეს,... შ ა ხ კ ე ლ ე ნ : იქ-  
ვე, 140, 13; კაცი გარეთ ველარ გაჟელის, კუდიანები მა ხ კ ე ლ ე ნ : იქვე, 150,  
18; კუდიანები დასწყევენ, ან მა ხ კ ე ლ ე ნ მიმავალ-მომავალს: იქვე, 151, 2;  
მემრ ქისტები გავზღიან მა ვ ყმაწვილს, აღარ მა ხ კ ე ლ ე ნ : იქვე, 172, 12; ისრ  
ქისტებ არხობიონს არ მა ხ კ ე ლ ე ნ : იქვე, 199, 18; კელ-უკულმ და ხ -  
კ ე ლ ე ნ კმლითაო: იქვე, 244, 17; პოეზ. 247, 2; საღმერთოდ და ხ კ ე ლ ე ნ

კარსაო: პოეზ. 332, 5; ცხვარს დახკევენ სადილზედაო: იქვე, 491, 3; ოქშობისას დახკევენ თიკანს: დიალექტ. 6, 18; ორ-სამს დახკევენ დი-დიდეებს: დიალექტ. 7, 34; ერთს ვერძს ...დახკევენ: იქვე, 8, 23.

აქუათ ქასას მავხკლევდი: გაბურ. 243, 29; ალიათ ბაბლის მავხკლევდი: იქვე, 244, 1; ამლას ბერდიას მავხკლევდი: იქვე, 244, 2; მაიას არას მავხკლავდი, დღეთა შავსწევდი სხვისასა: პოეზ. 525, 8; როსაც ვეფხვს მახკლევდი: გაბურ. 174, 13; კარზე მისულს სტუმარს როგორ მახკლევდი: იქვე, 199, 22; უსათუოდ მახკლევდავ, რაკი ეს ცხრა-ათი თოფის კმა მავიდავ: იქვე, 194, 12; ნეტარ, ქავთარსა რა მახკლავდა: პოეზ. 752, 3; შინ მასულ ცხვარსა დახკლევდა: გაბურ. 239, 5; პოეზ. 236, 9; მავხკლავდით, იმით მავხკლავდით: ჭინჭ. 407, 7; დახკლევდეს თუ იმ დროს კარს, ... გაუმლიდეს სუფრას მაწეულ ხალხს: გაბურ. 125, 17; ერთს (საკლავს) ჭვარჩი დახკლევდეს, ერთს—შინ: დიალექტ. 11, 5.

### ლალვა

თავ-კან აჩხოტის მინდორსა კარ-ცხენებს ლალევდიანო: პოეზ. 170, 15. მთაში მთიბლებში წავლლალავაო: ჭინჭ. 428, 11; მემრ ამ დღეს წაღლალავს მაწვეარს (ან ძმას, ან შვილს, კაცს): გაბურ. 121, 25; მასპინძელი წაღლალავს ერთს კაცს თავის სოფელშით მაწვეარად: იქვე, 128, 3; მემრ მასპინძელი წაღლალავს ან შვილს, ან ქალს, ან ძმას: იქვე, 129, 6; მემრ წაღლალავს სოფლებში კაცს (ან შვილს, ან ძმას): იქვე, 129, 20; დაიქერს ქურდებს... და ისრ წაღლალავს ხატისკე: იქვე, 146, 7; მემრ... წავლლალავთ კაცებს, ორს ან სამს: იქვე, 131, 13; მემრ უფროსები... წაღლალავენ, ვისაიკა ფანდური ას: იქვე, 126, 29; სტუმრად ხევან არხოტიგენები, ტყვიას დაღლალავენ ცხარსაო: პოეზ. 175, 6; ვაჟის პატრონ... წაღლალავდი მამყვანად ორს კაცს: დიალექტ. 11, 4.

### ლევა

მაგრამ ლევითაც ბევრს საქმეს ლევს სასმელი: გაბურ. 124, 6; მითხოს პირდაპირ ჩავიდეს, ალაგზედ ლევენ ჩიღისაო: პოეზ. 161, 8; შენს არ ლევენ სვენსაო: იქვე, 356, 9; მანგია-დაიაურნი თესლს ლევენ ერთუცისასა: ჭინჭ. 414, 36.

თესლს დავლევ არწივისასა: გაბურ. 243, 29; ნამუშაელს სრუ დაღლევს: იქვე, 190, 19; ბევრს აღარ დაღლევს ხანსაო: იქვე, 207, 24; ფასიორათამც დაღლევს ღმერთი: პოეზ. 744, 7; ბევრს არას დაღლევს ხანასა: ჭინჭ. 412, 3; ბოთლით დაღლევენ არაყსა: პოეზ. 359, 24; არას დაღლევდა ხანასა: იქვე, 359, 22.

ერთი შეხედვით წესის დარღვევად მოეჩვენება კაცს უზმნისწინო ღლევდა ფორმა, რომელშიც ღთითქო გაუმართლებელია. მაგრამ არა: ღლევდა კავშირებითის ფორმა, მამასადამე, ღარა მესამე პირის ობიექტის, არამედ მეორე პირის სუბიექტის ნიშანია. შდრ. კონტექსტები: მონადირე ეუბნება ჭიხვს, რომელიც მას გაქცა:

ახლა მშვიდობით წამიხვე, ჩიკვო, კლო რალა გგულაო?  
გიშველა დილის ნიაგმა, ახლა ცალია ვბრუნაო.  
კიდე ჩამახოლ ლიხზედა, ეგრე კი ვერ წახოლ სრულაო.  
გულ რო გახჭონდას ტყვიასა, სულს დღე ვედა, ამაშქუნაო.

პოეზ. 514, 17—20

უქანასკნელ ტაეპში გახჭონდას და დღე ვედა ორივე I კავშირე-  
ბითია: გული რომ გაჰქონდეს ტყვიას, სულს (რომ) დღე ვედა (შენ).  
ამიტომ დღე ვედა საესებით წესიერი ფორმაა ხევისურულისათვის, და თუ  
ჩვენ იგი არ შემოვიტანეთ ჩვენს მაგალითებში, ეს იმიტომ, რომ დღე ვედა  
მეორე სუბიექტური პირის ფორმაა, ხოლო პირის ნიშანი ასეთ შემთხვევებში  
უზმნისწინო მაგალითებში კაცს შეიძლება ობიექტის მაჩვენებლად მოსჩვენე-  
ბოდა, ხოლო ზმნისწინიანებში კი — სუბიექტისად. ამიტომ მეორე პირის ფორ-  
მები, როგორც სადავო, ჩვენი მიზნებისათვის არ გამოგვადგებოდა და უკუვაგ-  
დეთ, დავჯერდით მხოლოდ პირველსა და მესამე სუბიექტურ პირებს.

### ლესვა

თინიბექ ლესავს კმალსაო: პოეზ. 37, 10; თივას თიბს, ცელს კი ლე-  
სავსა: გაბურ. 155, 30; პოეზ. 547, 2; ამფორას ლესვენ. კმალთაო:  
პოეზ. 50, 3.

ქვიტკირთ და ედღესავ კირითა: ჰინჯ. 366, 17; დღე-შუ გაღღე-  
სავს კმალსაო: პოეზ. 184, 3; შხამში გაღღესვენ ენასა: ჰინჯ. 409, 1.

### ლიზვნა, ლიზნება

ბევრ აკავანშიაც ლიზნავს (ქალს): გაბურ. 134, 19.

რასაც დაღლიზნებს, არ გააცდენს ტყვიას: იქვე, 188, 8; იმას კი მე  
ვესრევე, იმას ნუ ვინ დაღლიზნებთავ: იქვე, 177, 22.

### ლოცვა

ვინც ლოცავ, — იმან კოცნავ: ჰინჯ. 437, 21; ღმერთს ლოცვენ ორ-  
ნიე ქალ-ვაინი: გაბურ. 209, 30; დღე მუდამ ლოცვენ შამყრელსა: იქვე, 210,  
30; ქელს ლოცვენ ქეესურისასა: პოეზ. 170, 18.

ვინაც ამ სამანთან სამს ყანწს არაყიანს არ დაღლოცავს: გაბურ. 160, 2;  
სხვაყნურ კაც ტაბლას სახლჩი დაღლოცავსა' არაყს მაიდებს: ჰინჯ. 335,  
13; პირის პატრონ ერთ მინა არაყს გაიდებს, დაღლოცავს: იქვე, 335, 21;  
არაყს იმ ახლის სულისად დაღლოცვენა' სმას დაიწყებენ: იქვე, 336, 15.

### მალვა

ქმასა ვტებს, აღარ ვმალაო: პოეზ. 349, 5; მშვილდს მალავს სანე-  
ბის ჭვარი: იქვე, 666, 17; რამთენ სიუფრეს მალავსა: იქვე, 359, 10; მლო-  
ბას აღარას მალავსა: იქვე, 359, 27.

იქნებ დაღმალავდ წყალია: ჰინჯ. 387, 3.

### შპბ

გ მ კ ი თ ყ ა ნ ა ს : გაბურ. 197, 12; საკელნ არ მ კ ი ა ნ სკლატისანიო: პოეზ. 767, 2; არც თიბენ შაბათ-პარასკევს, არც მ კ ი ა ნ, ის რ კ ი ქსოვენ: დიალექტ. 6, 20; მენამგლეებ ქვე მ კ ი ა ნ: იქვე, 7, 31; (გზის თავში ხ მ კ ი დ ი ყ ა ნ ა ს ა : პოეზ. 329, 7;) არც მ კ ი დ ა ვ, არც შეშას შუკრიდავ: დიალექტ. 18, 30.

არ მ ა ვ ხ მ კ ი თ ზიარს ყ ა ნ ა ს ა : პოეზ. 402, 6; ყ ა ნ ა ს ა თაოდ მ ა ხ მ კ ი ა ნ : დიალექტ. 5, 14.

პირის ნიშნად ხ და არა ლ გამოწვეულია მ-ს მომდევნო კ-ს გამო: მკ კომპლექსში კ-ს აკუსტიკური შთაბეჭდილების ძალა უფრო მეტია, ვიდრე მ-სი.

### ტბხ

ქმასა ვ ტ ე ხ, აღარ ემალო: პოეზ. 349, 5.

იქაც კეზს გ ა ვ ს ტ ე ხ ტრიხაისსაო: ჭინჭ. 424, 21; (შენ ჩემს ვერ გ ა ს ტ ე ხ ბეწიყასაო: იქვე, 424, 27); ქალ ქმას არ გ ა ს ტ ე ხ ლ: დიალექტ. 10, 25.

### ფარვა

ფ ა რ ა ვ დ ა პირზე მზე, ბეჭებს ფარია: პოეზ. 30, 6.

შ ა ხ ფ ა რ ა ვ ს გიორგ-წმინდასა თუშთა ელვარე ფარია: პოეზ. 30, 1; სუ ქვეყნის გამნათობელი დილა მზე შ ა მ ო ხ ფ ა რ ა ვ ს ა : იქვე, 359, 6; ყ ა ნ ა ს რ ო დ ა ხ ფ ა რ ვ ე ნ : გაბურ. 121, 19.

### ფქვა

წისქვილს ვ ფ ქ ა ვ ა : ჭინჭ. 418, 12; დედა წისქვილსა ფ ქ ე ვ დ ა ო : პოეზ. 660, 1.

გულსა ვერ მ ო ხ ფ ქ ე ვ ა ვ ს : პოეზ. 520, 21.

### ქსოვა

ქსელთა ვ ქ ს ო ვ მამის ეზოთა: პოეზ. 412, 1; არც თიბენ შაბათ-პარასკევს, არც მკიან, ის რ კ ი ქსოვენ: დიალექტ. 6, 20; დიაცივ ქსელს ქს ო ვ დ ა ო : დიალექტ. 16, 26.

ზამთრის დასთულისას გაზაფხულ დ ა ხ ქ ს ო ვ ე ნ ტოლებს: დიალექტ. 7, 12.

### ყრა

კუჭმეჭაში ვ ყ რ ი ი ო : ჭინჭ. 418, 11; ვაყებს კარჩი ვ ყ რ ი ი ო : იქვე, 418, 15; ნათოზს ყ რ ი ს გულ-ღვიძლისასა: პოეზ. 104, 6; ცა წმინდა ნამსა ყ რ ი ს ა ო : იქვე, 155, 16; ყ რ ი ა ნ უღუმლა(დ) ლაშქარსა: ჭინჭ. 391, 7; პირისას ცეცხლსა ყ რ ი ა ნ ა : პოეზ. 401, 42; აიბ თელასთან ეშმანი სრუ მულამ ლაშქარს ყ რ ი დ ე ს ა : იქვე, 577, 10.



ბლაზი დახურის თრთილსაო: პოეზ. 209, 1; ერისთავ შახურის  
ლაშქარსა: პოეზ. 7, 1; 11, 1; მემრ ჩახურის ერაწში სიმინდს ან ქერს:  
გაბურ. 149, 11; არხოტში ჩახურის კმათაო: იქვე, 168, 28; 218, 8; შუ-  
-დილოს ჩახურის კმათაო: პოეზ. 175, 36; ძმათა რა გახურის ცალკ-  
-ცალკე: იქვე, 687, 2; კლდეზე რო წყალი გადმოდის, გადმახურის სამსა-  
-ლიკასა: იქვე, 408, 1; მამკალთ შახურიან კაისდროს ქალ-ვაჟთ: დიალექტ.  
5, 10; ძნასა თაოდ შახურიან: იქვე, 5, 14; შახურიან ძნას: იქვე,  
5, 22; შახურიან მჩეჩელთ: იქვე, 6, 39; იქ ჭვარჩი ერთა შახურიან იმათ:  
იქვე, 12, 25; დახეფენ, ჩახურიან კარჩამავალჩი: იქვე, 7, 35; ვაჟასა შენის-  
-თანასა ჩალადაც არ ჩახურიანო: პოეზ. 411, 3; გახურიან მემრ წილს:  
გაბურ. 147, 15; მთაზე გადმოდის ლურბელი, თოენასა გამახურიანა:  
პოეზ. 362, 1; წყემსებს იმ აქორელთებსა ჩარდახითი გამახურიანო: გაბურ.  
242, 11; პოეზ. 243, 10; არცარას მთვარე დახურიდ ნამსაო: ჰინჭ. 426, 27.

### ცდა

კმალზე ცდის მკლავის ჭანსაო: გაბურ. 213, 23; პოეზ. 175, 12; ათას  
პატრონეებს ცდისა: პოეზ. 470, 37; ქვესური როგორ ცდისაო: იქვე,  
52, 6; კარგა ცდისაო: იქვე, 52, 8; რაქე ლამაზად ცდისაო: იქვე, 476,  
20; მანდ რო კრაველან ცდიანა: იქვე, 206, 3; მამით შვილამდე ცდიანა:  
ჰინჭ. 383, 32; საცასწორები ცდიანო: პოეზ. 618, 4.

აქით დავს ცდი მთიბელთაო, იქით მესადილეთაო: ჰინჭ. 436, 27.

### წირვა

არ წირავს თავის მთათაო: გაბურ. 218, 15; ქისტები არც მინც წირ-  
-ვენ ტყვეებს: იქვე, 167, 2; ტყვეებს არ წირვენ ძალღები: იქვე, 216, 3;  
ჩემს წირვენ მასამკალასა: პოეზ. 402, 10.

მავსწირავ ყველასა: პოეზ. 327, 3; ქვითყირის კარზედ გასწი-  
-რავს აჯაფულს ლეკის მკედარსაო: პოეზ. 83, 10; გასწირავს ყორის  
წყალზე მკედარსაო: იქვე, 106, 3; ლოგინს გასწირავს ცალესა: იქვე, 364,  
10; ყველა გასწირავს ძველსაო: იქვე, 398, 3; ბევრა დასწირავს  
ობლებსა: გაბურ. 227, 32; პოეზ. 466, 30; ჩვენ თუ მავსწირავთ ერთ-  
-უცსა: პოეზ. 332, 5; მკედარს არ გასწირვენ გზაზედა: იქვე, 520, 52; ახალ-  
-ჯალს იქ გასწირვედეს: დიალექტ. 11, 20.

### წურვა

ველებსა თელავს ნიავი, წურავს ქისტეთის კარია: ჰინჭ. 412, 30.

მაშინ ის საარაყეს გამასწურავს: ჰინჭ. 335, 15; ჰირის პატრონ გა-  
-მასწურავს ერთს საარაყეს: იქვე, 336, 13.

### ბამა

ჯავრსა არა ვჭამ მტრისასა: პოეზ. 581, 1; სადილს შენს ქალაქში ვჭა-  
-მავ: გაბურ. 161, 31; უკორცოდ პურს არ ვჭამს: იქვე, 188, 13; დიყს არ

ქამს არხოტიენები: იქვე, 255, 28; დიუ ქვე რად უნდა ვაეებსა? ან ვინ ქამს არხოტელია: იქვე, 255, 33; პურსა არ ქამენ უქორცოდ: იქვე, 244, 14; პოეზ. 246, 4; ჯავრს კი არ ქამენ მტრისასა: პოეზ. 537, 16; კორცს ქამენ, სისხლის მსმელნია: იქვე, 678, 7; მექენცლენი ცალკე ქამენ: დიალექტ. 6, 8; რომენიც დამჯდარიუე და ერბოიანთ ქუბდეთ ქამდ: გაბურ. 168, 15; ვინც ქამდავ, — ჭაბუკობდავ: ჰინჯ. 437, 23.

ჯავრს კი არ შეევშქამ მტრისასა: პოეზ. 605, 2; ჯავრს კი არ შაშქამს მტრისასა: გაბურ. 216, 10; სად-რა შაშქამენ ქიანი: პოეზ. 679, 5.

### კელვა

ქალ ღამით სიარულჩია თავის ჰირ-ბოროტს კელავსა: პოეზ. 350, 7.

აიქ დავხკელავ საფარცხველთაო: ჰინჯ. 434, 14; (შახვეულს რომ რას მახკელავავ: იქვე, 327, 14); აბჟორიტესა მახკელავს, მადაგაზული მგლისაო: პოეზ. 103, 12; იმას მახკელავს ყვარანი: იქვე, 216, 22; კვალს ვერ მახკელვენ მგლისასა: გაბურ. 239, 4; პოეზ. 236, 8; საწოლთ მახკელვენ გაგასა: პოეზ. 80, 5.

### კელთვა

ბევრს იარაღიან ხალხსაც კელთავს ეშმაკი. გაბურ. 152, 25.

ჯვარ გაუწყრების, ან მახკელავს, ან დავხკელთავს: გაბურ. 133, 31.

### კნა

ტიტულ კნავს ამისშვილი სუიკა: პოეზ. 38, 6; მიწას კნავს ქისტის ჯარია: იქვე, 135, 14; სულეთს კარი კნავს ცალა-რქა: იქვე, 560, 2; ბათიაკივი იი(მ)კოქის-ყანას კნავდავ: ჰინჯ. 358, 18.

შენს წილსაც მოვხკნავ იმითა: პოეზ. 569, 7; ვერც მამულს მახკნავს თავისას: დიალექტ. 12, 7; ქალ მაინც თავისას ვახკნავს: გაბურ. 134, 31; ჯვარის ყანას მახკნენ: დიალექტ. 7, 25.

### კოცა (კოცვა)

მიხყვება აბაისძე და კოცს ქისტებს: გაბურ. 173, 21; არ კოცს, არ ხკადრებს თავსაო: იქვე, 186, 13; კაცებს კოცს, კელს კი არა სჭრის: პოეზ. 99, 9; ქისტებს ცხვრებულას ვინა კოცს: ჰინჯ. 397, 4; წლით კოცვენ ქაქმატელები: პოეზ. 101, 6; ჟუთელნი... კოცენ ქისტებს: გაბურ. 166, 16; არხოტიენები სრუ მუღამ წელს კოცენ ერთმანეთს: იქვე, 188, 32; ზოგნ თოფით კოცენ მამასა: პოეზ. 644, 6; მანდ ნალირის კოცას ჯვარნ არ იქდენდესა-და არცრავეინ კოცდ: ჰინჯ. 355, 19; ვკოცდიოთ ლაშქართა კმლითაო: გაბურ. 225, 5; კევსურნ მეომრები ასს, ორას კაცს კოცდეს: იქვე, 160, 18; თელასთან საკლავებს კოცდეს: პოეზ. 577, 13; კოცდიან სასახელოდა: იქვე, 190, 3; მაშულლარნ რო ხანჯრებს უქნევდან ერთუესს, კოცდან ერთმანეთს: გაბურ. 125, 9.

ხუცესი დახკოცს საკლავებს: გაბურ. 142, 24; მავას ხუცესი, დახკოცს საკლავებს: იქვე, 153, 9; ხუთ-ხუთს ვინ ჩახკოცს მარტო: პოეზ. 47, 9; მაჰმადის ლაშქართ ვინ ჩახკოცს: ჰინჭ. 397, 6; ტყვეებს ნუ დაეხკოცთ: გაბურ. 219, 4; ერცხვას ნუ დაეხკოცთ ავ: ჰინჭ. 376, 24; არიქათ, შავარიგნათ, თორე ერთუცს დახკოცენ ავ: გაბურ. 138, 9; ესეებზე ერთუცს დახკოცენ ავ: დიალექტ. 10, 26; ჩავხკოცდი არხოტივ-ნებსა, ნარჩევს ვაეებსა მთისასა: გაბურ. 243, 20; პოეზ. 524, 3; ვინ იცის, ვინ დახკოცდა: გაბურ. 174, 4; ერცხვას ჩავხკოცდი თაო: ჰინჭ. 343, 4; ყორებს დავირებს დახკოცდეს: პოეზ. 577, 12.

## B

### მხოლოდ უზენისწინოდ (უხეხეღარილი)

#### გლა

მთვარეს ჰგონ ცაზე მავალსა, ვაეების გულსა გლიანო: პოეზ. 585, 4; ჩავიდა ამირანაი — ირემნი ბუსნას გლიანა: ჰინჭ. 344, 27.

#### თვალვა, თვლა

კაფიაობას დავიწყებ, ვთვალავ რომენიც მინდაო: პოეზ. 225, 7; ორივე საქებარია, ქებას მეც იმით ვთვალაო: ჰინჭ. 350, 19; ამაგის მალექსე-ბელი სრუ ლად-ნებიერთ თვალავსა: იქვე, 412, 16. შდრ. საწყისი თვალ-ვა (სათაურად): იქვე 435, 29.

ლექსებს ადვილად თვლისაო: პოეზ. 517, 24; ქვესურ რაჩია-დ ასტ-ყდება, მეკვემურობას თვლისაო: ჰინჭ. 405, 6; ამაგის მალექსებელნი... მი-დიან. გზაზე თვლიანო: პოეზ. 609, 31.

#### თოფვა

დღეს ჩვენ ნადირს ვთოფავთ: გაბურ. 193, 27; ისრეც თოფევედა ნადირთა, ვითამ სრუ არა სჭირსაო: იქვე, 198, 26; პოეზ. 517, 15. შდრ. საწყისი თოფვა: თითო თოფვას ცხრა-ათს ჯიკვს კლევდ: გაბურ. 200, 11.

#### თხრა

აქლოლა გოშტიკაური ტოტით სადამ თხრის ქვიშათა: გაბურ. 178, 12; საცა ხედების სნარიადი, ორსაეენზე მიწას თხრისა: პოეზ. 470, 38; ქორთუა ქვიშას თხრისაო: იქვე, 173, 14; დაჭრილი ქვიშას თხრისაო: იქვე, 677, 7; უთუათ თხრიან ბანსაო: იქვე, 175, 9; ზოგნ ტოტით ქვიშას თხრი-ანა: იქვე, 206, 14; ჩემთვი სამარეს თხრიანო: ჰინჭ. 408, 36.

### ლეწვა

ყმაწვილების კალოს ლეწავს თურქემანის ცხენის ნალი: პოეზ. 57, 2;  
ღია-ყმაწვილის კალოსა ცხენებით ლეწევდიანო: იქვე, 24, 15.

### ნათვლა

თიკან თუ დაკლეს, ერთ უქმს ნათლავს: ლიალექტ. 6, 18.

### ფიცვა

ღმერთს ეფიცავ: პოეზ. 401, 7, 20; აფშინათ აბა ფიცავსა: იქვე,  
641, 12; მზეს ფიცვენ ერთუცისასა: იქვე, 537, 7.

### ჩხვირა

კმლები დატეხეს ცემითა, ხანჯრებით ჩხვერევიანა: პოეზ. 86, 3.

### ჩხვლეკა

სუ დასეტყვა კვესურეთი, მიწათა ჩხვლეკს ჯობივითა: პოეზ. 624, 4.

### ცრა

მავილეზა, ვცრიო: ჰინჭ. 418, 13.

### ძახა

ჯარას ძახს დევ(თ) დედაბერი: ჰინჭ. 343, 33.

### წმედა

ბანზე იჯდ ჩემ ძმა მიხაი-და თოფს წმედღ: ჰინჭ. 399, 17.

### C

### მხოლოდ ზმნისწინიანად (შახვედრილი)

### ბირტჳა

მკვდრის ტალავართ აღბერტყს: ვაბურ. 136, 18; მკვდრის ტალავართ  
რო აღბერტყენ: იქვე, 136, 25. კაცს აქ შეიძლება აღ ზმნისწინი მოეჩვენ-  
ნოს (აღ-ბერტყ-ს, აღ-ბერტყ-ენ) და იკითხოს: სადაა აქ პირის ნიშანიო. მაგრამ  
ეს შეცდომა იქნება: აღ-ში ა არის ზმნისწინი, ლ კი — პირდაპირი ობიექტური  
პირის ნიშანი.

### ბლემბა

იმთვენ შოლტად დაღბლღემენ ტყავს: დიალექტ. 6, 23.

### ბმობა

იქ გახბბობენ სალაშქრო საქმეს: გაბურ. 164, 26. ბ-ს წინ წესით ლუნდა გვექონდეს (გალბობენ), მაგრამ ყრუ ხანის ხმარება გამოწვეულია ბ-ს მომღვენო ყრუ ქარის მიერ.

### ბლუჯა

ზოკან კაკები გამოსქდების... წისქვილის სარუეებს დაღღღეჯს: გაბურ. 190, 22.

### ღგმა

თქვენს ზღუბლზე ფექს არ შამამეზღგამავ: დიალექტ. 10, 28; ჭერ ხო მასპინძელი დაზღგამს ტაბლას: გაბურ. 132, 10; დაზღგმენ ზედლუდიან თასებს: იქვე, 122, 10, 29; დაზღგმენ ნეფის ტაბლას: იქვე, 132, 15; დლით სამჭერ დაზღგმენ ლიშანსა: პოეზ. 537, 8; მაშინ გააქე ლაბაქი: დაზღგმენ ან ცხვარს, ან ტალავარს რას: ქინკ. 335, 10; ჩვენის ხთიშვილის კარზედა ყონდს დაზღგმენ ჩიკეთა რქისასა: იქვე, 411, 10; ხავიწს ...კილო-ბანჩი ჩაზღგმენ: დიალექტ. 8, 11; ფაფიან ბაქნებს ყანაში დაზღგემელ: გაბურ. 156, 14.

### თეზივ...

ცხენსა შავრასა მასთეზევედაო: ქინკ. 431, 22.

### თლა

გინდა ძალიან გეწყინას, ხეს გავესთლი შენისთანასო: პოეზ. 388, 11.

### თქვა

კიდევ გამასთქვამს მერცხალი, როსაც რო დაითერებისა: პოეზ. 265, 3; კიდენ გამოსთქვამს ლექსებსა გასპარა ერისთვიანი: იქვე, 584, 2.

### ბაფვა

ავხკაფავ გველებურადა მე შენს შინ წამყვანს ქმარსაო: პოეზ. 383, 3.

### ბაწვრა

მიხა დახკაწრავს მიწასა: პოეზ. 605, 16.

### კედვა

შიგ შავა ივანეური, წელთით დახკედავს კარსაო: პოეზ. 184, 12; ჩახკედვენ კარებს: გაბურ. 150, 31.

### პერვა

ველარ დავხკერავ პერანგის ნაჭრელასო: პოეზ. 332, 10; დახვეს, დახკერავს გუდასა: ჟინჯ. 438, 33.

### კეფა

ორ-სამს დახკულენ დი-დიდეებს, დახკეფენ ჩახყრიან კარჩამავალჩი: დიალექტ. 7, 35.

### კვალვა

გაივლის ჭიშხისასა, თოლ-ნაქარს გადახკვალავსა: ჟინჯ. 412, 2; მასწვრეს ალიამურა, ქისტებ ახკვალვენ ჭვიშასა: პოეზ. 130, 11.

### კიღვა

ბევრ მახე გამიკილავის, ბევრსაც გაეხკილავ კიდეცა: პოეზ. 670, 19, 30.

### კონვა

მემრ შახკონავს, ახკიდებს ზურგზე ბარგს და ისრ წაღლაღვს ხატის-კე: გაბურ. 146, 7.

### კოჭვა

მემრ ქალს დასომს ერთ ალაგში და შამაუელის მირგელივ დროშიით, დახკოჭავს ქალს: გაბურ. 153, 11.

### ლაკვა

მაშინ ქუდს ვერ დაღლაკავს: გაბურ. 128, 10; ის თავის ადგილს ვერ დაღლაკავს: დიალექტ. 12, 9; საქონსაც კი გადაღლაკვენ ეს ეშმან: გაბურ. 152, 2.

### რეცხა

ზამთრის დიაცებ გაღრეცხენ მატყლს: დიალექტ. 6, 38.

### რჯულვა

მაშინ რჯულის კაცები გაღრჯულვენ: გაბურ. 135, 16.

### ხინვა

ხავიწს გახყინვენ ა-ღ' კიღობანჩი ჩაზდგმენ: დიალექტ. 8, 11.

### ძვრა

ჩაყრილა ვარდის ფურცელი, დაღბერნებს, დასძრავს ქარია: პოეზ. 64, 3; შაუელის ომის წადინი, დასძრავს ხანდიხან ქარით: იქვე, 73, 2; ლა-

შარის ჯვარ ველარ დასძრავს ავ: დიალექტ. 13, 14; მარიენობა დღესაო  
ქარი არ დაზძრავს ტყესაო: კინჯ. 438, 6.

#### წილვა

მასკელავს მოვსწილავ ცისასა: პოეზ. 525, 3.

#### წყვა

ეომს ასწყვენ; საწყავ მიაქვს საქვაბერიით: კინჯ. 332, 6.

#### წყვიტა

ჯალაფნსაუბარს გასწყვეტენ: გაბურ. 206, 4.

#### პელა

შენი გამკელი, ოქერო, ნეტარ ვერ გასკედს სხვასაო: პოეზ. 184, 20.

#### კლა

ემეკ თუ შეეყარ ქალს გზაზედ, ისრ გახკდის შამყრელს: გაბურ.  
152, 29.

#### კენცვლა

საკენცლე რაიმ მქონდისავ. ვერას გამავხკენცლავემ ნეტარავ:  
კინჯ. 354, 22.

#### ჯენჯვა

ყველა სახლში სახლის პატრონი აიღებს ერთს ქვას და შაშვენჯავს  
ეულის ყუთ ყორეში: გაბურ. 149, 7.

## II

მაგრამ არის ზმნები, რომელთაც არ დაერთვის ზმნისწინი, ჩვენთვის საჭი-  
რო ფორმაში მხოლოდ უზმნისწინოდ იხმარება. როგორაა ამათი საქმე? ასეთ  
ზმნები მუდამ ნიშნითაა წარმოდგენილი. ეს გასაგებიცაა. რაკი ობიექტური პი-  
რის ნიშანი ამ დროს უკვე შესულია ზმნის ფორმაში, ეს ნიშანი აუცილებლად  
უნდა გამოჩნდეს ასეთ ზმნებში, რამდენადაც მათ ზმნისწინიანი ფორმები არ  
შეუძლებათ და თვით სწევენ მათ მაგივრობას. ასეთი ზმნები ცოტაა, მაგალითად:  
ჯაგრძნობნ, ჰგუემს, ხადიდებდეს, ხიკადრებს, ხადუმებდეს, ხაქურთხევედეს, ხი-  
მარხვენ, ჰპოვებს, ხირეკს, სტანჯავს, ჰყოფს, სცავს, სცნობს და სხვ. აქ ვუჩვენ-  
ებთ რამდენიმე ტიპურ მაგალითს.

ეგრე ვშურები, არა თუ ვითარცა ქართა ვჰგუემ: სინ. 218, 27; რჩული  
წარმართთაჲ ჰგუემს: აპოკრ. 77, 38; ჰგუემს Sin. 35, 148 rb, 5; ანტიოქ.  
353, 11; ძლიერად ჰგუემდა ტეხითა ბოროტითა: ხანძთ. 136, 39; დაჰბუ-  
რეს თავსა და ჰგუემდეს მას: ლ. 22, 64 (6. კ. აბო 198, 30); რომელთამე

ჰგუემდიან კუერთხითა ეკლოვანითა: კიმ. II, 107, 37; რაათა ჰგუემდენ ქრისტეანეთა: ეტ. VII, 233, 9 ქვ.

მაგრამ: პილატე ... მიუტევა მათ ბარაბა, ხოლო იესუ გუემმა: მ. 27, 26 C; მათ შეიპყრეს და გუემეს იგი: მრ. 12, 3; რომელნიმე გუემნეს: მრ. 12, 5 C.

არარას ბრალსა ვჰპოვებ კაცისა ამის თანა: ლ. 23, 4, 14 E; ამას ჰპოებს ძალი: ექუსთ. 109, 2; არარას ბოროტსა ვჰპოვებთ კაცისა ამის თანა: მოც. 23, 9; რომელნი ჰპოებენ მას: მ. 7, 14; ეძიებდეს ცრუ-მოწამეთა იესუჯსთს ... და არა ჰპოვებდეს: მ. 26, 60 E; მრ. 14, 55 CE; ყოველსა რომელსა ჰპოებდეს, მოჰკლვიდეს: წარტყ. 16, 13.

მაგრამ: ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული: ლ. 15, 6; პოვა ერთი მოყუასი თვისი: მ. 18, 28; პოვნა სხუანი: მ. 20, 6; ესე ვპოვეთ: ლ. 23, 2; პოვეს კაცი კვრინელი: მ. 27, 32; მო-რაა-ვიდის, პოვის: მ. 12, 44; რომელი ეძიებდეს, პოვოს: მ. 7, 8; ჩუენ არა ვპოვოთ იგი: ი. 7, 35; რაათა პოვონ: ლ. 6, 7.

	ე-თქუ-ის	შე- ე-კრიბ-ის	მო- ე-სრ-ის
ექსკლ.	მ- ე-თქუ-ის	შე-მ-ე-კრიბ-ის	მო-მ-ე-სრ-ის
ინკლ.	გუ-ე-თქუ-ის	შე-გუ-ე-კრიბ-ის	მო-გუ-ე-სრ-ის
	გ- ე-თქუ-ის	შე-გ-ე-კრიბ-ის	მო-გ-ე-სრ-ის
	ე-თქუ-ის	შე- ე-კრიბ-ის	მო- ე-სრ-ის

15. შისამ კავშირებითი

ა) გარდამავალი ზმნები

	მ- ეწერ-ო-ს	მ- ე-ყ-ო-ს	გან-მ-ე-ტფ-ო-ს
	გ- ეწერ-ო-ს	გ- ე-ყ-ო-ს	გან-გ-ე-ტფ-ო-ს
	ეწერ-ო-ს	ე-ყ-ო-ს	გან- ე-ტფ-ო-ს
ექსკლ.	მ- ეწერ-ო-ს	მ- ე-ყ-ო-ს	გან-მ-ე-ტფ-ო-ს
ინკლ.	გუ-ეწერ-ო-ს	გუ-ე-ყ-ო-ს	გან-გუ-ე-ტფ-ო-ს
	გ- ეწერ-ო-ს	გ- ე-ყ-ო-ს	გან-გ-ე-ტფ-ო-ს
	ეწერ-ო-ს	ე-ყ-ო-ს	გან- ე-ტფ-ო-ს
	მო-მ-ე-კლ-ა-ს	მ- ე-თქუ-ა-ს	და-მ-ე-ღვ-ა-ს
	მო-გ-ე-კლ-ა-ს	გ- ე-თქუ-ა-ს	და-გ-ე-ღვ-ა-ს
	მო-ე-კლ-ა-ს	ე-თქუ-ა-ს	და- ე-ღვ-ა-ს
ექსკლ.	მო-მ-ე-კლ-ა-ს	მ- ე-თქუ-ა-ს	და-მ-ე-ღვ-ა-ს
ინკლ.	მო-გუ-ე-კლ-ა-ს	გუ-ე-თქუ-ა-ს	და-გუ-ე-ღვ-ა-ს
	მო-გ-ე-კლ-ა-ს	გ- ე-თქუ-ა-ს	და-გ-ე-ღვ-ა-ს
	მო- ე-კლ-ა-ს	ე-თქუ-ა-ს	და- ე-ღვ-ა-ს
	მი-მ-ე-ც-ე-ს	მ- ე-ქმნ-ე-ს	და-მ-ე-ცვ-ე-ს
	მი-გ-ე-ც-ე-ს	გ- ე-ქმნ-ე-ს	და-გ-ე-ცვ-ე-ს
	მი- ე-ც-ე-ს	ე-ქმნ-ე-ს	და- ე-ცვ-ე-ს
ექსკლ.	მი-მ-ე-ც-ე-ს	მ- ე-ქმნ-ე-ს	და-მ-ე-ცვ-ე-ს
ინკლ.	მი-გუ-ე-ც-ე-ს	გუ-ე-ქმნ-ე-ს	და-გუ-ე-ცვ-ე-ს
	მი-გ-ე-ც-ე-ს	გ- ე-ქმნ-ე-ს	და-გ-ე-ცვ-ე-ს
	მი- ე-ც-ე-ს	ე-ქმნ-ე-ს	და- ე-ცვ-ე-ს
	აღ-მ-ე-შენ-ო-ს	გან-მ-ე-ახლ-ო-ს	და-მ-ე-მცირ-ო-ს
	აღ-გ-ე-შენ-ო-ს	გან-გ-ე-ახლ-ო-ს	და-გ-ე-მცირ-ო-ს
	აღ- ე-შენ-ო-ს	გან- ე-ახლ-ო-ს	და- ე-მცირ-ო-ს
ექსკლ.	აღ-მ-ე-შენ-ო-ს	გან-მ-ე-ახლ-ო-ს	და-მ-ე-მცირ-ო-ს
ინკლ.	აღ-გუ-ე-შენ-ო-ს	გან-გუ-ე-ახლ-ო-ს	და-გუ-ე-მცირ-ო-ს
	აღ-გ-ე-შენ-ო-ს	გან-გ-ე-ახლ-ო-ს	და-გ-ე-მცირ-ო-ს
	აღ- ე-შენ-ო-ს	გან- ე-ახლ-ო-ს	და- ე-მცირ-ო-ს

ბ) ერთპირიანი ზმნები

წარსრულ ვიყო	დამალულ ვიყო
წარსრულ იყო	დამალულ იყო
წარსრულ იყოს	დამალულ იყოს
წარსრულ ვიყვნეთ	დამალულ ვიყვნეთ
წარსრულ იყვნეთ	დამალულ იყვნეთ
წარსრულ იყვენ	დამალულ იყვენ

გ) ორპირიანი გარდაუვალი ზმნები

და-ვ-ვიწყებ-ოდ-ი	და-ვ-პ-მალ-ვ-ოდ-ი
და- ვ-ვიწყებ-ოდ-ი	და- პ-მალ-ვ-ოდ-ი
და- ვ-ვიწყებ-ოდ-ის	და- პ-მალ-ვ-ოდ-ის
და-ვ-პ-ვიწყებ-ოდ-ით	და-ვ-პ-მალ-ვ-ოდ-ით
და- ვ-ვიწყებ-ოდ-ით	და- პ-მალ-ვ-ოდ-ით
და- ვ-ვიწყებ-ოდ-იან	და- პ-მალ-ვ-ოდ-იან

8. პირდაპირი ობიექტური პირის მრავლობითი რიცხვის აღნიშვნა  
II და III სერიის მწკრივებში

II სერია

წამებით

O<sub>2</sub>

და-ვ-წერ-ენ	მო-ვ-კლ-ენ	წარ-ვ-ი-ყვან-ენ მე იგინი
და-ს-წერ-ენ	მო-პ-კლ-ენ	წარ- ი-ყვან-ენ
და- წერ-ნ-ა,	მო- კლ-ნ-ა	წარ- ი-ყვან-ნ-ა
და-ვ-წერ-ენ-(ი)-თ	მო-ვ-კლ-ენ-(ი)-თ	წარ-ვ-ი-ყვან-ენ-(ი)-თ
და-ს-წერ-ენ-(ი)-თ	მო-პ-კლ-ენ-(ი)-თ	წარ- ი-ყვან-ენ-(ი)-თ
და-წერ-ნ-ეს	მო- კლ-ნ-ეს	წარ- ი-ყვან-ნ-ეს

O<sub>1</sub>

მო-მ-კლ-ენ	შენ	ჩუენ	(ექსკლ.)
მო-გუ-კლ-ენ	„	„	(ინკლ.)
მო-მ- კლ-ნ-ა	მან	„	(ექსკლ.)
მო-გუ-კლ-ნ-ა	„	„	(ინკლ.)

O<sub>2</sub>\*

მო-გ-კლ-ენ	მე	თქუენ
მო-გ-კლ-ნ-ა	მან	„

III ზრანახითი

2 3.	და-წერ-ენ	მო-კლ-ენ	შენ	იგინი
	და-წერ-ენ-(ი)-თ	მო-კლ-ენ-(ი)-თ	თქუენ	„
	წარ-ი-ყვან-ენ		შენ	„
	წარ-ი-ყვან-ენ-(ი)-თ		თქუენ	„
3 3.	და-წერ-ენ-ინ	მო-კლ-ენ-ინ	მან	„
	და-წერ-ნ-ედ	მო-კლ-ნ-ედ	მათ	„
	წარ-ი-ყვან-ენ-ინ		მან	„
	წარ-ი-ყვან-ნ-ედ		მათ	„

\* პირველი და მეორე პირი რომ ობიექტი იყოს, ასეთ ფორმებს ეუჩვენებთ მხოლოდ წყვეტილში.

II ხოლმეობითი

და-ვ-წერ-ნ-ი	მო-ვ-კლ-ნ-ი	წარ-ვ-ი-ყვან-ნ-ი	მე	იგინი
და-ს-წერ-ნ-ი	მო-პ-კლ-ნ-ი	წარ- ი-ყვან-ნ-ი	შენ	"
და- წერ-ნ-ი-ს	მო- კლ-ნ-ი-ს	წარ- ი-ყვან-ნ-ი-ს	მან	"
და-ვ-წერ-ნ-ი-თ	მო-ვ-კლ-ნ-ი-თ	წარ-ვ-ი-ყვან-ნ-ი-თ	ჩუენ	"
და-ს-წერ-ნ-ი-თ	მო-პ-კლ-ნ-ი-თ	წარ- ი-ყვან-ნ-ი-თ	თქუენ	"
და- წერ-ნ-ი-ან	მო- კლ-ნ-ი-ან	წარ- ი-ყვან-ნ-ი-ან	მათ	"

III კავშირებითი

და-ვ-წერ-ნ-ე	მო-ვ-კლ-ნ-ე	წარ-ვ-ი-ყვან-ნ-ე	მე	იგინი
და-ს-წერ-ნ-ე	მო-პ-კლ-ნ-ე	წარ- ი-ყვან-ნ-ე	შენ	"
და- წერ-ნ-ე-ს	მო- კლ-ნ-ე-ს	წარ- ი-ყვან-ნ-ე-ს	მან	"
და-ვ-წერ-ნ-ე-თ	მო-ვ-კლ-ნ-ე-თ	წარ-ვ-ი-ყვან-ნ-ე-თ	ჩუენ	"
და-ს-წერ-ნ-ე-თ	მო-პ-კლ-ნ-ე-თ	წარ- ი-ყვან-ნ-ე-თ	თქუენ	"
და- წერ-ნ-ე-ნ	მო- კლ-ნ-ე-ნ	წარ- ი-ყვან-ნ-ე-ნ	მათ	"

III ს ე რ ი ა

I თარგმობითი

	და-მ-ი-წერ-ი-ან <sup>1</sup>	მო-მ-ი-კლ-ვ-ან	წარ-მ-ი-ყვან-ებ-ი-ან	იგინი
	და-გ-ი-წერ-ი-ან	მო-გ-ი-კლ-ვ-ან	წარ-გ-ი-ყვან-ებ-ი-ან	
	და-უ-წერ-ი-ან	მო- უ-კლ-ვ-ან	წარ- უ-ყვან-ებ-ი-ან	
ექსკლ.	და-მ-ი-წერ-ი-ან	მო-მ-ი-კლ-ვ-ან	წარ-მ-ი-ყვან-ებ-ი-ან	
ინკლ.	და-გ-ვ- წერ-ი-ან	მო-გ-ვ- კლ-ვ-ან	წარ-გ-ვ- ყვან-ებ-ი-ან	
	და-გ-ი-წერ-ი-ან	მო-გ-ი-კლ-ვ-ან	წარ-გ-ი-ყვან-ებ-ი-ან	
	და-უ-წერ-ი-ან	მო- უ-კლ-ვ-ან	წარ- უ-ყვან-ებ-ი-ან	

II თარგმობითი

	და-მ-ე-წერ-ნ-ებს	მო-მ-ე-კლ-ნ-ებს	წარ-მ-ე- ყვან-ნ-ებს	იგინი
	და-გ-ე-წერ-ნ-ებს	მო-გ-ე-კლ-ნ-ებს	წარ-გ-ე- ყვან-ნ-ებს	
	და-ე-წერ-ნ-ებს	მო- ე-კლ-ნ-ებს	წარ- ე- ყვან-ნ-ებს	
ექსკლ.	და-მ-ე-წერ-ნ-ებს	მო-მ-ე-კლ-ნ-ებს	წარ-მ-ე- ყვან-ნ-ებს	
ინკლ.	და-გ-უ-ე-წერ-ნ-ებს	მო-გ-უ-ე-კლ-ნ-ებს	წარ-გ-უ-ე-ყვან-ნ-ებს	
	და-გ-ე-წერ-ნ-ებს	მო-გ-ე-კლ-ნ-ებს	წარ-გ-ე- ყვან-ნ-ებს	
	და-ე-წერ-ნ-ებს	მო- ე-კლ-ნ-ებს	წარ- ე- ყვან-ნ-ებს	

III კავშირებითი

	და-მ-ე-წერ-ნ-ე-ნ	მო-მ- ე-კლ-ნ-ე-ნ	წარ-მ- ე-ყვან-ნ-ე-ნ	იგინი
	და-გ-ე-წერ-ნ-ე-ნ	მო-გ- ე-კლ-ნ-ე-ნ	წარ-გ- ე-ყვან-ნ-ე-ნ	
	და-ე-წერ-ნ-ე-ნ	მო- ე-კლ-ნ-ე-ნ	წარ- ე-ყვან-ნ-ე-ნ	
ექსკლ.	და-მ-ე-წერ-ნ-ე-ნ	მო-მ- ე-კლ-ნ-ე-ნ	წარ-მ- ე-ყვან-ნ-ე-ნ	
ინკლ.	და-გ-უ-ე-წერ-ნ-ე-ნ	მო-გ-უ-ე-კლ-ნ-ე-ნ	წარ-გ-უ-ე-ყვან-ნ-ე-ნ	
	და-გ-ე-წერ-ნ-ე-ნ	მო-გ- ე-კლ-ნ-ე-ნ	წარ-გ- ე-ყვან-ნ-ე-ნ	
	და-ე-წერ-ნ-ე-ნ	მო- ე-კლ-ნ-ე-ნ	წარ- ე-ყვან-ნ-ე-ნ	

<sup>1</sup> მესამე სერიის ფორმათა პირდაპირი ობიექტი წარმოშობით სუბიექტია. ამიტომაც, რომ მისი მრავლობითობა აქ სუბიექტის (მრავლობითობის) ნიშნებითაა გამოხატული.

**4. მიცემითს ბრუნვაში დასმული სახელი  
ზენას ვერ იტანხმებს შრ. რიცხვში**

ვკლავ	ირემსა	მე	ვკლავ	ირემთა	
ჰკლავ	„	შენ	ჰკლავ	„	
კლავს	„	იგი	კლავს	„	
ვკლავთ	„	ჩუენ	ვკლავთ	„	
ჰკლავთ	„	თქუენ	ჰკლავთ	„	
კლვენ	„	იგინი	კლვენ	„	
	მიყუარს	დედაჲ	მე	მითქუამს	სიტყუაჲ
	გიყუარს	„	შენ	გითქუამს	„
	უყუარს	„	მას	უთქუამს	„
ექსკლ.	მიყუარს	„	ჩუენ	მითქუამს	„
ინკლ.	გვყუარს	„	ჩუენ	გვთქუამს	„
	გიყუარს	„	თქუენ	გითქუამს	„
	უყუარს	„	მათ	უთქუამს	„

**5. ვნეხითი გვარის ზენათა წარმოების თავისეგურებანი**

**I. დინამიკური**

**I ს ე რ ი ა**

**A. ინ-ენიანი ენებითი**

<b>აწმყო</b>	<b>აწმყოს ხოლმეობითი</b>	<b>უწვევითელი</b>	<b>I ბრძანებითი</b>
ვი/ემალეზი		ვი/ემალეზოდლე	
ი/ემალეზი		ი/ემალეზოდლე	ი/ემალეზოდლე
ი/ემალეზის	ი/ემალეზინ	ი/ემალეზოდლა	ი/ემალეზოდლენ
ვი/ემალეზით		ვი/ემალეზოდლეთ	
ი/ემალეზით		ი/ემალეზოდლეთ	ი/ემალეზოდლეთ
ი/ემალეზიან	ი/ემალეზიედ	ი/ემალეზოდლეს	ი/ემალეზოდლედ

**უწვევითლის ხოლმეობითი და I კავშირებითი**

გი/ემალეზოდლი	ვი/ემალეზოდლით
ი/ემალეზოდლი	ი/ემალეზოდლით
ი/ემალეზოდლის	ი/ემალეზოდლიან

**II ს ე რ ი ა**

<b>წვევითელი</b>	<b>II ბრძანებითი</b>	<b>II ხოლმეობითი</b>	<b>II კავშირებითი</b>
დავი/ემალე		დავი/ემალი	დავი/ემალო
დაი/ემალე	დაი/ემალე	დაი/ემალი	დაი/ემალო
დაი/ემალა	დაი/ემალენ	დაი/ემალის	დაი/ემალოს
დავი/ემალენ(ი)თ		დავი/ემალნით	დავი/ემალნეთ
დაი/ემალენ(ი)თ	დაი/ემალენ(ი)თ	დაი/ემალნით	დაი/ემალნეთ
დაი/ემალენეს	დაი/ემალენედ	დაი/ემალნიან	დაი/ემალნენ

**III სერია**

**ა) ინიანი**

<b>I თურმეობითი</b>	<b>II თურმეობითი</b>	<b>III კავშირებითი</b>
დამალულ ვარ	დამალულ ვიყავ	დამალულ ვიყო
„ ხარ	„ იყავ	„ იყო
„ არს	„ იყო	„ იყოს
„ ვართ	„ ვიყვნით	„ ვიყვნეთ
„ ხართ	„ იყვენით	„ იყვნეთ
„ არიან	„ იყვნეს	„ იყვნენ

**ბ) ენიანი**

<b>I თურმეობითი</b>	<b>II თურმეობითი</b>	<b>III კავშირებითი</b>
დაკმალვიე	დაკმალოდე	დაკმალოდი
დაკმალვიე	დაკმალოდე	დაკმალოდი
დაკმალვიეს	დაკმალოდა	დაკმალოდის
დაკმალვიეთ	დაკმალოდეთ	დაკმალოდით
დაკმალვიეთ	დაკმალოდეთ	დაკმალოდით
დაკმალვიან	დაკმალოდეს	დაკმალოდიან

**B. ენსუფიქსიანი ვნებითი**

**I სერია**

<b>აწმყო</b>	<b>აწმყოს ხოლმეობითი</b>	<b>უწყვეტელი</b>	<b>I ბრძანებითი</b>
შევწუხნები		შევწუხნებოდე	
შესწუხნები		შესწუხნებოდე	შეწუხნებოდე
შეწუხნების	შეწუხნებინ	შეწუხნებოდა	შეწუხნებოდენ
შევწუხნებით		შევწუხნებოდეთ	
შესწუხნებით		შესწუხნებოდეთ	შეწუხნებოდეთ
შეწუხნებიან	შეწუხნებიედ	შეწუხნებოდეს	შეწუხნებოდედ

**უწყვეტლის ხოლმეობითი და I კავშირებითი**

შევწუხნებოდი	შევწუხნებოდით
შესწუხნებოდი	შესწუხნებოდით
შეწუხნებოლის	შეწუხნებოდიან

**II სერია**

<b>წვეტილი</b>	<b>II ბრძანებითი</b>	<b>II ხოლმეობითი</b>	<b>II კავშირებითი</b>
შევწუხენ		შევწუხანი	შევწუხნე
შესწუხენ	შეწუხენ	შესწუხანი	შესწუხნე
შეწუხნა	შეწუხნინ	შეწუხნის	შეწუხნეს
შევწუხენ(ი)თ		შევწუხნით	შევწუხნეთ
შესწუხენ(ი)თ	შეწუხენ(ი)თ	შესწუხნით	შესწუხნეთ
შეწუხნეს	შეწუხნედ	შეწუხნიან	შეწუხნენ

III სერია

I თურმეობითი		II თურმეობითი		III კავშირებითი	
შეწუხებულ	ვარ	შეწუხებულ	ვიყავ	შეწუხებულ	ვიყო
„	ხარ	„	იყავ	„	იყო
„	არს	„	იყო	„	იყოს
„	ვართ	„	ვიყვენით	„	ვიყვენეთ
„	ხართ	„	იყვენით	„	იყვენეთ
„	არიან	„	იყვენეს	„	იყვენენ

C. დონიანი ვნებითი

I სერია

აწმყო	აწმყოს ხოლმეობითი	უწყვეტილი
განმართლდები		განმართლდებოდე
განპმართლდები		განპმართლდებოდე
განმართლდების	განმართლდებინ	განმართლდებოდე
განმართლდებით		განმართლდებოდეთ
განპმართლდებით		განპმართლდებოდეთ
განმართლდებიან	განმართლდებიედ	განმართლდებოდეს

I ბრძანებითი

განმართლდებოდე  
განმართლდებოდენ

განმართლდებოდეთ  
განმართლდებოდენ

უწყვ. ხოლმ. და I კავშ.

განმართლდებოდი  
განპმართლდებოდი  
განმართლდებოდის  
განმართლდებოდით  
განპმართლდებოდით  
განმართლდებოდიან

II სერია

წყვეტილი	II ბრძანებითი	II ხოლმეობითი	II კავშირებითი
განმართლდი		განმართლდი	განმართლდე
განპმართლდი	განმართლდი	განპმართლდი	განპმართლდე
განმართლდა	განმართლდინ	განმართლდის	განმართლდეს
განმართლდით		განმართლდით	განმართლდეთ
განპმართლდით	განმართლდით	განპმართლდით	განპმართლდეთ
განმართლდეს	განმართლდედ	განმართლდიან	განმართლდენ

III სერია

I თურმეობითი		II თურმეობითი		III კავშირებითი	
განმართლებულ	ვარ	განმართლებულ	ვიყავ	განმართლებულ	ვიყო
„	ხარ	„	იყავ	„	იყო
„	არს	„	იყო	„	იყოს
„	ვართ	„	ვიყვენით	„	ვიყვენეთ
„	ხართ	„	იყვენით	„	იყვენეთ
„	არიან	„	იყვენეს	„	იყვენენ



D. უნიშნო გნებითი

I სერია

აწმყო	აწმყოს ხოლმ.	უწვეტილი	I ბრძანებითი
ვტფები		ვტფებოდე	
სტფები		სტფებოდე	ტფებოდე
ტფების	ტფებინ	ტფებოდა	ტფებოდენ
ვტფებით		ვტფებოდეთ	
სტფებით		სტფებოდეთ	ტფებოდეთ
ტფებიან	ტფებიედ	ტფებოდეს	ტფებოდედ

უწვეტილის ხოლმეობითი და I კავშირებითი

ვტფებოდი	ვტფებოდით
სტფებოდი	სტფებოდით
ტფებოდის	ტფებოდიან

II სერია

წვეტილი	II ბრძანებითი	II ხოლმეობითი	II კავშირებითი
განვტფე		განვტფი	განვტფე
განსტფე	განტფე	განსტფი	განსტფე
განტფა	განტფეინ	განტფის	განტფეს
განვტფე(ი)თ		განვტფით	განვტფეთ
განსტფე(ი)თ	განტფე(ი)თ	განსტფით	განსტფეთ
განტფეს	განტფედ	განტფიან	განტფენ

III სერია

I თურმეობითი	II თურმეობითი	III კავშირებითი
განმტფარ ვარ	განმტფარ ვიყავ	განმტფარ ვიყო
„ ხარ	„ იყავ	„ იყო
„ არს	„ იყო	„ იყოს
„ ვართ	„ ვიყვენით	„ ვიყვენეთ
„ ხართ	„ იყვენით	„ იყვენეთ
„ არიან	„ იყვენეს	„ იყვენენ

ასე იულლებიან აგრეთვე (ეუჩვენებთ მხოლოდ წვეტილს):

შევდერკ	განვკემ	დავკენ	დავდენ	—
შესდერკ	განჰკემ	დასკენ	დასდენ	—
შედრკა	განკმა	დაჰნა	დადნა	შეკრბა
შევდერკით	განვკენით	დავკენით	დავდენით	შეკერბით
შესდერკით	განჰკენით	დასკენით	დასდენით	შეჰკერბით
შედრკეს	განკმეს	დაჰნეს	დადნეს	შეკერბეს

განვკერთ	დავსცხერ	დავადგერ	განვძელ	მოვკუედ
განკერთ	დასცხერ	დაადგერ	განძელ	მოკუედ
განკერთა	დასცხრა	დაადგრა	განძლა	მოკუელა
განვკერთით	დავსცხერთით	დავადგერთით	განვძელით	მოვკუედლით
განკერთით	დასცხერთით	დაადგერთით	განძელით	მოკუედლით
განკერთეს	დასცხრეს	დაადგრეს	განძლეს	მოკუედლეს

აღვდეგ	დავშუერ	მივსწუედ	განვძუერ
აღსდეგ	დაშუერ	მისწუედ	განსძუერ
აღდეგა	დაშურა	მისწულა	განძურა
აღვდეგით	დავშუერთით	მივსწუედლით	განვძუერთით
აღსდეგით	დაშუერთით	მისწუედლით	განსძუერთით
აღდეგეს	დაშურეს	მისწუედლეს	განძურეს და სხვ.

## II. ს ბ ა ტ ი კ ა რ ც

### ა წ მ ყ ო

ვპგონიე	ვსწერიე <sup>1</sup>	ვპგიე <sup>1</sup>	უპყრიე
პგონიე	სწერიე	პგიე	უპყრიე
პგონიეს	სწერიეს	პგიეს	უპყრიეს
ვპგონიეთ	ვსწერიეთ	ვპგიეთ	უპყრიეთ
პგონიეთ	სწერიეთ	პგიეთ	უპყრიეთ
პგონიან	სწერიან	პგიან	უპყრიან
მგონიეს	მიპყრიეს	იგი	მიპყრიან
გგონიეს	გიპყრიეს		გიპყრიან
პგონიეს	უპყრიეს		უპყრიან
ემესკლ. მგონიეს	მიპყრიეს		მიპყრიან
ინკლ. გუგონიეს	გუპყრიეს		გუპყრიან
გგონიეს	გიპყრიეს	გგონიან	გიპყრიან
პგონიეს	უპყრიეს	პგონიან	უპყრიან

### წ ყ ვ ე ბ ო ლ ო

ვეგონე	ვეწერე	ვეგე	ვეპყარ
ეგონე	ეწერე	ეგე	ეპყარ
ეგონა	ეწერა	ეგო	ეპყრა
ვეგონენ(ი)თ	ვეწერენ(ი)თ	ვეგენ(ი)თ	ვეპყარენ(ი)თ
ეგონენ(ი)თ	ეწერენ(ი)თ	ეგენ(ი)თ	ეპყარენ(ი)თ
ეგონენეს	ეწერენეს	ეგენეს	ეპყარენეს

<sup>1</sup> ამ ზმენებს ერთი ჰირის გაგება აქვთ და მხოლოდ სუბიექტ. წყობით იხმარება (\*მწერიეს, \*მგეის შეუძლებელი ფორმებია).

	მეგონა	მეპყრა	მეგონნეს	მეპყრნეს
	გეგონა	გეპყრა	გეგონნეს	გეპყრნეს
ექსკლ.	ეგონა	ეპყრა	ეგონნეს	ეპყრნეს
ინკლ.	მეგონა	მეპყრა	მეგონნეს	მეპყრნეს
	გუმეგონა	გუმეპყრა	გუმეგონნეს	გუმეპყრნეს
	მეგონა	მეპყრა	მეგონნეს	მეპყრნეს
	ეგონა	ეპყრა	ეგონნეს	ეპყრნეს

II კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი

	ვეგონო	ვეწერო	ვეგო	ვეპყრა
	ეგონო	ეწერო	ეგო	ეპყრა
	ეგონოს	ეწეროს	ეგოს	ეპყრას
	ვეგონნეთ	ვეწერნეთ	ვეგნეთ	ვეპყრნეთ
	ეგონნეთ	ეწერნეთ	ეგნეთ	ეპყრნეთ
	ეგონნენ	ეწერნენ	ეგნენ	ეპყრნენ
	მეგონოს	მეპყრას	მეგონნენ	მეპყრნენ
	გეგონოს	გეპყრას	გეგონნენ	გეპყრნენ
ექსკლ.	ეგონოს	ეპყრას	ეგონნენ	ეპყრნენ
ინკლ.	მეგონოს	მეპყრას	მეგონნენ	მეპყრნენ
	გუმეგონოს	გუმეპყრას	გუმეგონნენ	გუმეპყრნენ
	მეგონოს	მეპყრას	მეგონნენ	მეპყრნენ
	ეგონოს	ეპყრას	ეგონნენ	ეპყრნენ

6. ზოგირითი თავისებური ზმნის უღლება

ა წ მ ყ ო

	მივის <sup>1</sup>	მისხენ(ან)	იგინი
	გივის	გისხენ(ან)	
	უვის	უსხენ(ან)	
ექსკლ.	მივის	მისხენ(ან)	
ინკლ.	გკვის	გკსხენ(ან)	
	გივის	გისხენ(ან)	
	უვის	უსხენ(ან)	

წ ვ ე ბ ი თ ი

II კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი

	მესუა	იგი	მესხნეს	იგინი	მესუას	იგი	მესხნენ	იგინი
	გესუა		გესხნეს		გესუას		გესხნენ	
	ესუა		ესხნეს		ესუას		ესხნენ	
ექსკლ.	მესუა		მესხნეს		მესუას		მესხნენ	
ინკლ.	გუმესუა		გუმესხნეს		გუმესუას		გუმესხნენ	
	გესუა		გესხნეს		გესუას		გესხნენ	
	ესუა		ესხნეს		ესუას		ესხნენ	

<sup>1</sup> ითქმის მხოლოდ აღამიანზე.

ა წ მ ე ო

	მიღგს	იგი	მიღგან	იგინი	მიც	იგი	მისხენ	იგინი
	გიღგს		გიღგან		გიც		გისხენ	
	უღგს		უღგან		უც		უსხენ	
ექსკლ.	მიღგს		მიღგან		მიც		მისხენ	
ინკლ.	გვღგს		გვღგან		გვც		გვსხენ	
	გიღგს		გიღგან		გიც		გისხენ	
	უღგს		უღგან		უც		უსხენ	

წ ვ ზ ი ბ ი ლ ი

II კ ა ე შ ი რ ე ბ ი თ ი

	მედგა	იგი	მესხნეს	იგინი	მედგას	იგი	მესხნენ	იგინი
	გედგა		გესხნეს		გედგას		გესხნენ	
	ედგა		ესხნეს		ედგას		ესხნენ	
ექსკლ.	მედგა		მესხნეს		მედგას		მესხნენ	
ინკლ.	გუედგა		გუესხნეს		გუედგას		გუესხნენ	
	გედგა		გესხნეს		გედგას		გესხნენ	
	ედგა		ესხნეს		ედგას		ესხნენ	

ა წ მ ე ო

ა წ მ ე . ხ ო ლ მ .

		იგი	იგინი		იგი	იგინი		
	მაქუს		მაქუნს	მქონან	მაქუნ		მაქუნს	მქონედ
	გაქუს		გაქუნს	გქონან	გაქუნ		გაქუნს	გქონედ
	აქუს		აქუნს	ჰქონან	აქუნ		აქუნს	ჰქონედ
ექსკლ.	მაქუს		მაქუნს	მქონან	მაქუნ		მაქუნს	მქონედ
ინკლ.	გუაქუს		გუაქუნს	გუქონან	გუაქუნ		გუაქუნს	გუქონედ
	გაქუს		გაქუნს	გქონან	გაქუნ		გაქუნს	გქონედ
	აქუს		აქუნს	ჰქონან	აქუნ		აქუნს	ჰქონედ

უ წ ვ ზ ი ბ ი ლ ი

	მაქუნდა		მქონდა	იგი	მაქუნდეს		მქონდეს	იგინი
	გაქუნდა		გქონდა		გაქუნდეს		გქონდეს	
	აქუნდა		ჰქონდა		აქუნდეს		ჰქონდეს	
ექსკლ.	მაქუნდა		მქონდა		მაქუნდეს		მქონდეს	
ინკლ.	გუაქუნდა		გუქონდა		გუაქუნდეს		გუქონდეს	
	გაქუნდა		გქონდა		გაქუნდეს		გქონდეს	
	აქუნდა		ჰქონდა		აქუნდეს		ჰქონდეს	

I. ბრძანებითი

	მაქუნდინ		მქონდინ	იგი	მაქუნდედ		მქონდედ	იგინი
	გაქუნდინ		გქონდინ		გაქუნდედ		გქონდედ	
	აქუნდინ		ჰქონდინ		აქუნდედ		ჰქონდედ	
ექსკლ.	მაქუნდინ		მქონდინ		მაქუნდედ		მქონდედ	
ინკლ.	გუაქუნდინ		გუქონდინ		გუაქუნდედ		გუქონდედ	
	გაქუნდინ		გქონდინ		გაქუნდედ		გქონდედ	
	აქუნდინ		ჰქონდინ		აქუნდედ		ჰქონდედ	

უწყუეიტლის ხოლმეობითი

	მაქუნდის		მქონდის	იგი	მაქუნდიან		მქონდიან	იგინი
	გაქუნდის		გქონდის		გაქუნდიან		გქონდიან	
	აქუნდის		ჰქონდის		აქუნდიან		ჰქონდიან	
ექსკლ.	მაქუნდის		მქონდის		მაქუნდიან		მქონდიან	
ინკლ.	გუაქუნდის		გუქონდის		გუაქუნდიან		გუქონდიან	
	გაქუნდის		გქონდის		გაქუნდიან		გქონდიან	
	აქუნდის		ჰქონდის		აქუნდიან		ჰქონდიან	

I კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი

	მაქუნდეს		მქონდეს	იგი	მაქუნდენ		მქონდენ	იგინი
	გაქუნდეს		გქონდეს		გაქუნდენ		გქონდენ	
	აქუნდეს		ჰქონდეს		აქუნდენ		ჰქონდენ	
ექსკლ.	მაქუნდეს		მქონდეს		მაქუნდენ		მქონდენ	
ინკლ.	გუაქუნდეს		გუქონდეს		გუაქუნდენ		გუქონდენ	
	გაქუნდეს		გქონდეს		გაქუნდენ		გქონდენ	
	აქუნდეს		ჰქონდეს		აქუნდენ		ჰქონდენ	

ა წ მ ე ო

სუბ. წყ.		ობ. წყ.	
ეპრწამ	მე მას	მრწამს	იგი მე
პრწამ		გრწამს	გრწამან
პრწამს		პრწამს	პრწამან
ეპრწამთ	ექსკლ.	მრწამს	მრწამან
პრწამთ	ინკლ.	გურწამს	გურწამან
პრწამან		გრწამს	გრწამან
		პრწამს	პრწამან <sup>1</sup>

<sup>1</sup> ბირველი სერიის სხვა მწკრივებში იშვიათად გვხვდება, მაგ.: პრწამს (აწ. ხოლმ.), გრწამდინ (I ბრძ. მე-3 ს.) და სხვ.

**წყვიტოლი**

სუბ. წყ.			ობ. წყ.	
ეპრწმენი მე მას		მრწმენა იგი მე	მრწმენეს იგინი მე	
პრწმენი		გრწმენა	გრწმენეს	
პრწმენა		პრწმენა	პრწმენეს	
ეპრწმენით	ექსკლ.	მრწმენა	მრწმენეს	
პრწმენით	ინკლ.	გურწმენა	გურწმენეს	
პრწმენეს		გრწმენა	გრწმენეს	
		პრწმენა	პრწმენეს	

**II ბრძ. მე-3 პ.**

მრწმენინ	მრწმენელ
გრწმენინ	გრწმენელ
პრწმენინ	პრწმენელ

**II კავშირებითი**

ეპრწმენე მე მას		მრწმენეს იგი მე	მრწმენენ იგინი მე
პრწმენე		გრწმენეს	გრწმენენ
პრწმენეს		პრწმენეს	პრწმენენ
ეპრწმენეთ	ექსკლ.	მრწმენეს	მრწმენენ
პრწმენეთ	ინკლ.	გურწმენეს	გურწმენენ
პრწმენენ		გრწმენეს	გრწმენენ
		პრწმენეს	პრწმენენ

აწმყო	აწ. ხოლმ.	უწყვ.	I ბრძ.
ცვე-ი-ს	ცვე-ი-ნ	ცვე-ოდ-ა	ცვე-ოდ-ე-ნ
ვ-ცვე-ი-თ		ვ-ცვე-ოდ-ე-თ	
ს-ცვე-ი-თ		ს-ცვე-ოდ-ე-თ	ცვე-ოდ-ე-თ
ცვე-ი-ან	ცვე-ი-ელ	ცვე-ოდ-ეს	ცვე-ოდ-ელ

**უწყვ. ხოლმ. და I კავშ.**

ცვე-ოდ-ი-ს
ვ-ცვე-ოდ-ი-თ
ს-ცვე-ოდ-ი-თ
ცვე-ოდ-ი-ან

**წყვიტოლი**

და-ცვე-ა
და-ვ-ცვე-ი-თ (   და-ვ-ცვე-ენ-ი-თ)
და-ს-ცვე-ი-თ (   და-ს-ცვე-ენ-ი-თ)
და- ცვე-ეს

**II ბრძანებითი**

და-ცვე-ი-ნ <sup>1</sup>
და-ცვე-ი-თ (   და-ცვე-ენ-ი-თ)
და-ცვე-ელ

**II ხოლმ.**

და- ცვე-ი-ს	და- ცვე-ე-ს
და-ვ-ცვე-ი-თ	და-ვ-ცვე-ე-თ
და-ს-ცვე-ი-თ	და-ს-ცვე-ე-თ
და- ცვე-ი-ან	და- ცვე-ე-ნ

<sup>1</sup> გვხვდება ასეთი ფორმა: და-ცვე-ენ, რაც ანალოგიით უნდა აიხსნას.

აწმყო აწ. ხოლმ.	უწვევ.	I ბრძ.	უწვევ. ხოლმ. და I კავშ. <sup>1</sup>
ვრბი	ვრბიოდე		ვრბიოდი
ჰრბი	ჰრბიოდე	რბიოდე	ჰრბიოდი
რბის რბინ.	რბიოდა	რბიოდენ	რბიოდის
ვრბით	ვრბიოდეთ		ვრბიოდით
ჰრბით	ჰრბიოდეთ	რბიოდეთ	ჰრბიოდით
რბიან რბიედ	რბიოდეს	რბიოდედ	რბიოდიან

ა წ მ ყ ო

	ძალ-მიც	თანა-მაც
	ძალ-გიც	თანა-გაც
	ძალ-უც	თანა-აუც
ექსკლ.	ძალ-მიც	თანა-მაც
ინკლ.	ძალ-გვც	თანა-გუაც
	ძალ-გიც	თანა-გაც
	ძალ-უც	თანა-აუც

	მიძლავს	ქელ-მეწიფების
	გიძლავს	ქელ-გეწიფების
	უძლავს	ქელ-ეწიფების
ექსკლ.	მიძლავს	ქელ-მეწიფების
ინკლ.	გვძლავს	ქელ-გუეწიფების
	გიძლავს	ქელ-გეწიფების
	უძლავს	ქელ-ეწიფების

წ ვ ე ტ ო ლ ი

	ძალ-მედვა	თანა-მედვა	მედლო	ქელ-მეწიფა
	ძალ-გედვა	თანა-გედვა	გედლო	ქელ-გეწიფა
	ძალ-ედვა	თანა-ედვა	ედლო	ქელ-ეწიფა
ექსკლ.	ძალ-მედვა	თანა-მედვა	მედლო	ქელ-მეწიფა
ინკლ.	ძალ-გუედვა	თანა-გუედვა	გუედლო	ქელ-გუეწიფა
	ძალ-გედვა	თანა-გედვა	გედლო	ქელ-გეწიფა
	ძალ-ედვა	თანა-ედვა	ედლო	ქელ-ეწიფა

II კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი

	ძალ-მედვას	თანა-მედვას	მედლოს	ქელ-მეწიფოს
	ძალ-გედვას	თანა-გედვას	გედლოს	ქელ-გეწიფოს
	ძალ-ედვას	თანა-ედვას	ედლოს	ქელ-ეწიფოს
ექსკლ.	ძალ-მედვას	თანა-მედვას	მედლოს	ქელ-მეწიფოს
ინკლ.	ძალ-გუედვას	თანა-გუედვას	გუედლოს	ქელ-გუეწიფოს
	ძალ-გედვას	თანა-გედვას	გედლოს	ქელ-გეწიფოს
	ძალ-ედვას	თანა-ედვას	ედლოს	ქელ-ეწიფოს

<sup>1</sup> სხვა მწკრივები არ მოიპოვება.

7. მონაცვლეობა რიცხვში: ლ (მხ. რ.) = ხუ (მრ. რ.)

განვალე (კარი)	განვახუენ (კარნი)	ალვალე (პირი)	ალვახუენ (ბაგენი)
განალე	განახუენ	ალალე	ალახუენ
განალო	განახუნა	ალალო	ალახუნა
განვალეთ	განვახუენ(ი)თ	ალვალეთ	ალვახუენ(ი)თ
განალეთ	განახუენ(ი)თ	ალალეთ	ალახუენ(ი)თ
განალეს	განახუნეს	ალალეს	ალახუნეს

მოვილე (პური)	მოვიხუენ (პურნი)
მოილე	მოიხუენ
მოილო	მოიხუნა
მოვილეთ	მოვიხუენ(ი)თ
მოილეთ	მოიხუენ(ი)თ
მოილეს	მოიხუნეს

	განმელო (კარი)	განმეხუნეს (კარნი)
	განგელო	განგეხუნეს
	განელო	განეხუნეს
ექსკლ.	განმელო	განმეხუნეს
ინკლ.	განგუელო	განგუეხუნეს
	განგელო	განგეხუნეს
	განელო	განეხუნეს

	მიმილო მან მე იგი (=წამართვა)	მიმიხუნა (მან მე იგინი)
	მიგილო	მიგიხუნა
	მიულო	მიუხუნა
ექსკლ.	მიმილო	მიმიხუნა
ინკლ.	მიგვლო	მიგვხუნა
	მიგილო	მიგიხუნა
	მიულო	მიუხუნა

8. საწყისის წარმოება

I. საწყისის აწარმოებს შემდეგი აფიქსები:

1. —ა

ა) უ თ ე მ ი ს ნ ი შ ნ ო: ბან-ა, თიბ-ა, თხოვ-ა, კუეთ-ა, რეცხ-ა, რეკ-ა, ტეხ-ა, წერ-ა, ჰამ-ა (შეჰამ-ა), ხუეტ-ა, ხუეჰ-ა, კოც-ა, მოს-ა, ყნოს-ა.

ბ) ღ რ ე კ ა დ ი: გრეხ-ა, ღრეკ-ა, კრებ-ა, ზელ-ა, გუმერ-ა, წარყმედ-ა; ღრეს-ა, შრეტ-ა, წმედ-ა, ცუეთ-ა, წყუედ-ა, კურეტ-ა, რცხუნენ-ა, ბნევ-ა, შემ-თხუევ-ა, თევ-ა, ლევ-ა, რევ-ა, რყევ-ა.

გ) მ თ ე მ ი ს ნ ი შ ნ ი ა ნ ი: განგვ-ა, თხრ-ა, მოგურ-ა, განზრდ-ა, თლ-ა.



დასჯ-ა, აღმოფხურ-ა, გზავნ-ა, ყრ-ა, ხრ-ა, გამოცდ-ა, ქრ-ა, რყუნ-ა, კრწნ-ა, კსნ-ა, განკლ-ა.

ღ) ებ თ ე მ ი ს ნ ი შ ნ ი ა ნ ი: დაბადებ-ა, ბრძანებ-ა, გებ-ა, გღებ-ა, გრძნებ-ა, ღებ-ა, გზ(ნ)ებ-ა, ნთებ-ა, სუენებ-ა, ჩუენებ-ა, ტაცებ-ა, განტევებ-ა, ქებ-ა, ლებ-ა, შშნებ-ა, ცხებ-ა, განძლებ-ა, შეხებ-ა, განკურვებ-ა, წარყვანებ-ა, მოვლინებ-ა, წარდგინებ-ა, ცვალებ-ა, წვალებ-ა, დამქუებ-ა, შეტყუებ-ა, განპებ-ა.

ყ) ობ თ ე მ ი ს ნ ი შ ნ ი ა ნ ი: გმობ-ა, გრძნობ-ა, თმობ-ა, თრობ-ა, თხრობ-ა, დალტობ-ა, მკობ-ა, განტღობ-ა, შენდობ-ა, პყრობ-ა, დაშთობ-ა, შობ-ა, შრობ-ა, ცნობ-ა, ცხობ-ა, დაცხრობ-ა, წყობ-ა, კნობ-ა.

ო) ოფ თ ე მ ი ს ნ ი შ ნ ი ა ნ ი: ყოფ-ა (განყოფ-ა, დაყოფ-ა, მიყოფ-ა, შეყოფ-ა...).

ზ) ემ თ ე მ ი ს ნ ი შ ნ ი ა ნ ი: ცემ-ა (განცემ-ა, მიცემ-ა, მოცემ-ა, წარცემ-ა...).

თ) ევ თ ე მ ი ს ნ ი შ ნ ი ა ნ ი: კურთხევ-ა, ძღევ-ა.

ი) ავ თ ე მ ი ს ნ ი შ ნ ი ა ნ ი: ბაძვ-ა ბერვ-ა, ბურვ-ა, ზიდვ-ა, ზრახვ-ა, დათრგუნვ-ა, თხზვ-ა, კითხვ-ა, კლვ-ა, კრვ-ა, ლოცვ-ა, მალვ-ა, მარხვ-ა, ნახვ-ა, პარვ-ა, რგვ-ა, რისხვ-ა, რწყვ-ა, შესუარვ-ა, ტანჯვ-ა, დაფლვ-ა, ფქვ-ა, დალუარვ-ა, შალვ-ა, ძრვ-ა, ძარცუვ-ა, დაწუვ-ა, წირვ-ა, წურვ-ა, ხედვ-ა, ხილვ-ა, კნვ-ა, ქშვ-ა.

კ) ამ თ ე მ ი ს ნ ი შ ნ ი ა ნ ი:

1. ბმ-ა (დაბმა, მობმა, შებმა),
2. ღგმ-ა (დაღგმა, შეღგმა),
3. ზმ-ა (წ ზმ-ნ-ა, დაზმა),
4. თქუმ-ა (აღთქუმა, წარმოთქუმა),
5. ნთქმ-ა (დანთქმა, შთანთქმა),
6. რთუმ-ა (მირთუმა, მორთუმა, შერთუმა, გამორთუმა),
7. რთხმ-ა (განართხმა, მორთხმა),
8. რტყმ-ა (მორტყმა, შერთყმა, დართყმა),
9. რქუმ-ა (მირქუმა, დარქუმა),
10. რწყუმ-ა (შერწყუმა, დარწყუმა),
11. სუმ-ა (შესუმა, დასუმა, მოსუმა),
12. სხმ-ა (განსხმა, დასხმა, გარდასხმა),
13. ქუმ-ა (აღმოქუმა, აღქუმა, მიქუმა, მოქუმა),
14. ცუმ-ა (შთაცუმა, მოცუმა, გარდაცუმა),
15. ხუმ-ა (აღხუმა, მიხუმა, მოხუმა, შეხუმა).

## 2. სა——ა

- |                 |               |
|-----------------|---------------|
| 1. სა-არებ-ა    | 3. სა-ლმობ-ა  |
| 2. აღ-სა-არებ-ა | 4. სა-ხარებ-ა |

## 3. სა——ე

1. სა-ქმ-ე

4. სი—ა

- |               |             |
|---------------|-------------|
| 1. სი-ელტოლ-ა | 4. სი-სრა   |
| 2. სი-კიცხევა | 5. სი-ტყუ-ა |
| 3. სი-მღერ-ა  |             |

5. სი—ილ (||სი—ილ-ე)

- |                             |                               |
|-----------------------------|-------------------------------|
| 1. სი-ბორგ-ილ-ი             | 7. სი-ყმ-ილ-ი                 |
| 2. სი-კუდ-ილ-ი              | 8. სი-შდე-ილ-ი (—ში-შდე-ილ-ი) |
| 3. სი-მშ-ილ-ი (—ში-მშ-ილ-ი) | 9. სი-ცბ-ილ-ი                 |
| 4. სი-ორძ-ილ-ი              | 10. სი-ცი-ილ-ი (—სი-ცინ-ილ-ი) |
| 5. სი-რბ-ილ-ი               | 11. სი-ცონ-ილ-ი               |
| 6. სი-რცხუ-ილ-ი             | 12. სი-ძელ-ილ-ი               |

4. 1. სი-ბორგ-ილ-ე  
2. სი-ორძ-ილ-ე  
3. სი-ურგ-ილ-ე

6. სი—ულ

- |                 |                 |
|-----------------|-----------------|
| 1. სი-არ-ულ-ი   | 4. სი-ქად-ულ-ი  |
| 2. სი-ბრალ-ულ-ი | 5. სი-ყუარ-ულ-ი |
| 3. სი-ნან-ულ-ი  | 6. სი-ხარ-ულ-ი  |

7. ს—ა

- |           |             |
|-----------|-------------|
| 1. ს-ლე-ა | 3. ს-ყიდ-ა  |
| 2. ს-რბ-ა | 4. ს-უფეც-ა |

8. —ილ

- |                            |                        |
|----------------------------|------------------------|
| 1. დუმ-ილ-ი                | 13. ღვძ-ილ-ი           |
| 2. დულ-ილ-ი                | 14. ყივ-ილ-ი           |
| 3. ზახ-ილ-ი                | 15. ყუავ-ილ-ი          |
| 4. კივ-ილ-ი                | 16. ყვრ-ილ-ი           |
| 5. ელავ-ილ-ი               | 17. ძ-ილ-ი (—ძინ-ილ-ი) |
| 6. სურ-ვ-ილ-ი              | 18. წად-ილ-ი           |
| 7. ტირ-ილ-ი                | 19. წუხ-ილ-ი           |
| 8. ტკივ-ილ-ი               | 20. ქუე-ილ-ი           |
| 9. (შე)ტყუე-ილ-ი           | 21. ხად-ილ-ი           |
| 10. ქორწ-ილ-ი              | 22. კვ-ილ-ი            |
| 11. ქუხ-ილ-ი               | 23. ჰრულ-ილ-ი          |
| 12. ლუაწ-ილ-ი (—ლუაწ-ილ-ი) |                        |

9. —იალ

- |               |               |
|---------------|---------------|
| 1. ბრკ-იალ-ი  | 4. ტრფ-იალ-ი  |
| 2. კრჩხ-იალ-ი | 5. ტყრც-იალ-ი |
| 3. კრხ-იალ-ი  | 6. წრტ-იალ-ი  |

II. ზოგი საშუალო (და ვნებითი) გვიარის საწყისის ა სუფიქსის წინ ერთვის  
ომ და ოლ სუფიქსები: <sup>1</sup>

- |     |                           |                         |
|-----|---------------------------|-------------------------|
| ომ: | 1. ბრკ-ომ-ა (   ბრკ-უმ-ა) | 14. ცთ-ომ-ა             |
|     | 2. დგ-ომ-ა                | 15. და-ცხ-ომ-ა          |
|     | 3. და-დგრ-ომ-ა            | 16. და-ცხრ-ომ-ა         |
|     | 4. ელდ-ომ-ა               | 17. ძრ-ომ-ა (←ძურ-ომ-ა) |
|     | 5. შე-ვრდ-ომ-ა            | 18. გან-ძლ-ომ-ა         |
|     | 6. გან-ვრც-ომ-ა           | 19. წინა-ძლ-ომ-ა        |
|     | 7. გან-კრთ-ომ-ა           | 20. წუდ-ომ-ა            |
|     | 8. მო-წუდ-ომ-ა            | 21. მო-წყდ-ომ-ა         |
|     | 9. რგ-ომ-ა                | 22. წყრ-ომ-ა            |
|     | 10. გან-რ-ომ-ა            | 23. ხლდ-ომ-ა            |
|     | 11. სხდ-ომ-ა              | 24. კდ-ომ-ა             |
|     | 12. და-შთ-ომ-ა            | 25. ჯდ-ომ-ა             |
|     | 13. შრ-ომ-ა (←შურ-ომ-ა)   |                         |

- |     |                |                                 |
|-----|----------------|---------------------------------|
| ოლ: | 1. ბრკ-ოლ-ა    | 7. ქრ-ოლ-ა                      |
|     | 2. ბრძ-ოლ-ა    | 8. ყ-ოლ-ა (←ყვ-ოლ-ა)            |
|     | 3. სი-ელტ-ოლ-ა | 9. ყრ-ოლ-ა                      |
|     | 4. თრთ-ოლ-ა    | 10. ძლ-ოლ-ა                     |
|     | 5. კრკ-ოლ-ა    | 11. ძრწ-ოლ-ა                    |
|     | 6. ს-რბ-ოლ-ა   | 12. წ-ოლ-ა, მი-წოლ-ა (←წვ-ოლ-ა) |

III. ზოგი ზმნა, რომელიც მარტივი ფუძის ბოლოს ვ-ს შეიცავს, ამ ბგერის  
შემდეგ ნ-ს დაირთავს: <sup>2</sup>

- |               |  |
|---------------|--|
| 1. დევ-ნ-ა    | 7. და-ცკვ-ნ-ებ-ა                       |
| 2. თხოვ-ნ-ა   | 8. ძოვ-ნ-ა                             |
| 3. ლევ-ნ-ა    | 9. წევ-ნ-ა (მიწვენა, მოწვენა, შეწვენა) |
| 4. პოვ-ნ-ა    | 10. წოვ-ნ-ა                            |
| 5. რევ-ნ-ა    | 11. წუევ-ნ-ა.                          |
| 6. და-ტევ-ნ-ა |  |

ეს ნ ამ ზმნათაგან ზოგიერთს მოეპოვება მიმღობებუბსა და თვით პირიან  
ფორმებშიც. ყველაზე მეტად ამ მხრივ პოვნა გამოირჩევა აქ, ერთი მხრივ,  
გვაქვს: მოპოვნებელი (იგავ. 16, 20 პარ.), შემპოვნებელი (სწავ.  
262, 7), მომპოვნებელი (ბალ. 141, 7), საპოვნებელი (ასურ. 49,  
22 ა), მოპოვნებული (გარემოცვ. 20, 11), პოვნილი (თულათ.  
35, 4), ხოლო, მეორე მხრივ: კპოვნებდა (დან. 3, 48 პარ.), იპოვნე-  
ბოდა (ასურ. 96, 24 ბ), მიპოვნიეს (კიმ. I., 282, 14), უპოვნია  
(ბალ. 20, 11), გვპოვნიეს (სწავ. 133, 13, 15, 16), მეპოვნა (Sin.

<sup>1</sup> ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 580—581.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 579—580.

11, 213 v, 4 ქვ). ასეთ შემთხვევებს უფრო ნაკლებ სხვა ზმნებშიც ვხვდებით, მაგალითად: დაუტევენელი (ბოლნ. 80, 7), გარდარევენული (სას. პ. 191, 13; 1 მეფ. 2, 3 ლატ.), დაცკვენული (კიმ. I, 300, 12), დაუცვენებელი (იქვე, 199, 3), დასალევენელი (პარხ. 1172), დაუღევენელი (ასურ. 87, 25; კიმ. II, 49, 5; სწავ. 168, 22; 190, 6) და სხვანი.

IV. ზოგ ზმნაში ობა და ომა შეცვლილია ოლ-ვ-ა-თი; ასეთებია: კუმოლვა. გამოკრთოლვა, დალპოლვა, დალტოლვა, დამქოლვა, მოსპოლვა, დატკბოლვა, მიწდოლვა.

ეს ოლ-ვ ელემენტები საწყისიდან შემდეგ გადასულია მიმღეობებში და გვაქვს: მკუმოლვარშ, დალპოლვილი, დაულპოლველი, დალპოლვადი, დაულტოლველი, დატკბოლვილი და სხვა. ამ მხრივ ყველაზე მდიდარია ნაირ-ნაირი ფორმებით მოსპოლვა, რომელსაც ეს ოლ-ვ ელემენტები, გარდა მიმღეობებისა, პირიან ფორმებშიც აქვს გადატანილი, მაგალითად: მოსპოლვაჲ, მოსპოლვასა, მოსპოლვით, მოსპოლვითა, მოსპოლვად, ასპოლვად... მომსპოლველი, მოსასპოლავი... მოსპოლავს, აღმოსპოლა, მოგსპოლო, მოგსპოლენეს, მოესპოლა... აღმსპოლველობითი.

V. საწყისი გარდამავალ და გარდაუვალ (მოქმედებითი და ვნებითი გვარის) ზმნებს ჩვეულებრივ ერთი და იგივე აქვს. მაგალითად, ქება საწყისია როგორც ვაქებ, აქებ, აქებს ფორმებისათვის, ისე აგრეთვე ვიქები, იქები, იქებს ფორმათათვისაც. ასეთი საზიარო საწყისებია ორივე გვარის ზმნათათვის: წერა (დაწერა, დაიწერა), დება (დადვა, დაიდვა), მოკლვა (მოკლა, მოიკლა), ჭამა, სუმა, ხატვა, განკერვა, მიცემა (მისცა, მიეცა), შეხება, დამალვა, გათლა, გათხრა, დაქშვა, დაფლვა, დამარხვა და ბევრი სხვა.

მაგრამ ზოგჯერ, მეტად იშვიათად, მოქმედებითს თავისი საწყისი აქვს, ვნებითს — თავისი<sup>1</sup>. აი რამდენიმე მათგანი:

მოქმ.	ვნ.
1. დადგინება (დავადგინე)	დადგომა (დავდეგ)
2. დადგრინება (დავადგრინე)	დადგრომა (დავადგერ)
3. განკრთობა (განვკრთვე)	განკრთომა (განვკერეთ)
4. რგება (ვარგე)	რგომა (მერგო)
5. ტება (განვტებე)	განტყდომა (განტყდა)
6. განრინება (განვარინე)	განრომა (განვერი)
7. დაშობა (დავაშთვე)	დაშომა (დავშთი)
8. დაშრობა (დავაშრვე)	დაშრომა (დავშურ)
9. ცხობა (გამოვაცხვე)	დაცხომა (დამცხა)
10. დაცხრობა (დავაცხრვე)	დაცხრომა (დავცხერი)
11. განძღება (განვადღე)	განძღომა (განვძელ)
12. დაწვენა (დავაწვინე)	დაწოლა (დავწვე)
13. მოწყუედა (მოვსწყუდე)	მოწყდომა (მოვსწყედით)
14. განხეთქა (განვხეთქე)	განსთქდომა (განსთქდა)

<sup>1</sup> ა. შანიძე, ნასახლარი ზმნები ქართულში: თბ. უნ. მოამბე, ტ. I, 1920, გვ. 89; მიხივე: ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 577—578.

o. საზიარო ფორმები

ძველ ქართულში გვაქვს ზმნის ისეთი ფორმები, რომელთაც გარეგანი სახე ერთი და იგივე აქვთ, ხოლო შინაარსი, მნიშვნელობა სხვადასხვა (ორი ან სამი) მოეპოვებათ. ეს ფორმალური მსგავსება ზოგჯერ ფონეტიკურ ნიადაგზეა აღმოცენებული, ხან კი მას სხვა მიზეზები იწვევს. ასეთი მაგალითები პოლისემიური ფორმებია. სხვადასხვა მწკრივის საზიარო ფორმებია, მაგალითად: ეძიებდეს (I კავშ.) და ეძიებდეს (უწვევ.), წარვიდეს (II კავშ.) და წარვიდეს (წვევ.), განასხნეს (II კავშ.) და განასხნეს (წვევ.), წარვიდ (წვევ.) და წარვიდ (II ბრძ.), დაამტკიცენ (II ბრძ. მე-2 პირისა — ობ. მრ.-ში) და დაამტკიცენ (II ბრძ. მე-3 პირისა — ობ. მხ.-ში), ჭამედ (აწ. ხოლმ.) და ჭამედ (II ბრძ. მე-3 პ.). ჭრქუა (II კავშ.=S<sub>2</sub>) და ჭრქუა (წვევ.=S<sub>1</sub>), განსწმიდენ (შენ ივინი=მოქმ. გვ.) და განსწმიდენ (შენ=ვნ. გვ.), აღმოიყვანა (მან იგი=მოქმ. გვ.) და აღმოიყვანა (იგი=ვნ. გვ.), დაეტევოს (II კავშ.) და დაეტევოს (III კავშ.), დაეფარა (II თურმ.=მოქმ. გვ.) და დაეფარა (წვევ.=ვნ. გვ.) და სხვა. ამის მსგავსი ფორმები ბლომად გვხვდება ძველი ქართული ენის ძეგლებში. ლექსიკური ხასიათის სიძნელეებთან ერთად ტექსტის შინაარსის გაგებას ამგვარი პოლისემიური ფორმებიც აბრკოლებს. ამიტომ მათ აღნუსხვას თეორიულ ინტერესებთან ერთად პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს. მართლაც, როგორ უნდა განვასხვაოთ ისინი ერთმანეთისაგან? გარჩევის საშობი ზემოთ ჩამოთვლილი სხვადასხვა ჯგუფებისათვის სხვადასხვა იქნება. აქ აღვნიშნავთ მხოლოდ ზოგიერთ მათგანს, უმთავრესად ტიპურსა და ძალიან გავრცელებულს.

1. ეძიებდეს. ასეთი საზიარო (ორისათვის) ფორმა აქვს ყველა დონიან ზმნას. მას სხვადასხვა კონტექსტში შეიძლება ორი მნიშვნელობა ჰქონდეს: ერთ შემთხვევაში ის უწვევებელია, მეორეში — I კავშირებითი. თუ როდის არის ის უწვევებელი და როდის I კავშირებითი, ამას გადაწყვეტს სუბიექტის რიცხვი: თუ სუბიექტი მხოლოდითია, საზიარო ფორმა I კავშირებითისაა, ხოლო თუ სუბიექტი მრავლობითია, საზიარო ფორმა უწვევებლისა იქნება. მაგალითად, ამ წინადადებაში: „რომელი ეძიებდეს, პოსს“ (მ. 7, 8) ჩვენთვის საინტერესო ფორმა I კავშირებითს გამოხატავს, რადგან მასთან სუბიექტად შეწყობილია მხოლოდითი რიცხვის სახელი — რომელი. მაგრამ იგივე ფორმა ამ წინადადებაში — „რამეთუ მოწყდეს, რომელი ეძიებდეს სულსა მაგის ყრმისასა“ (მ. 2, 20) — უკვე უწვევებელია, რადგან მასთან სუბიექტად შეწყობილია მრავლობითს რიცხვში დაყენებული სახელი — რომელი. მასასადამე, სუბიექტის რიცხვი — აი კრიტერიუმში იმის გასაგებად, თუ რომელს მივაკუთვნოთ ამნაირი საზიარო ფორმა — I კავშირებითს თუ უწვევებელს. აი კიდევ რამდენიმე მაგალითი პარალელურად:

I კავშირებითი (სუბ. მხოლ.)	. . . . .	უწვევებელი (სუბ. მრავლ.)
-------------------------------	-----------	-----------------------------

- |  |  |
|--|--|
| 1. რამეთუ ყოველი რომელი<br>თხოვდეს, მოიღოს, მ. 7, 8. | 1. სხუანი ვინმე გამოცდიო<br>სასწაულსა ზეცითი თხოვდეს მისგან,<br>ლ. 11, 16. |
|--|--|

2. რომელი ჰგომბდეს სულსა წმიდასა, არა მიეტეოს უკუნისამდე, მრ. 3, 29 C.

3. ყოველმან რომელმან მოგწყვდნეს თქუენ, ჰგონებდეს, ვითარმედ მსხუერპლი შეწირა ღმრთისა, ი. 16, 2.

4. რომელი ჰხედვიდეს ძესა და პრწმენეს იგი, ი. 6, 40.

5. რაჲთა იღუწიდეს მისთვის ერთი თავი იგი, 191, 32.

6. არამედ წარუძღუახო. ეგეტფილისის ქალაქსა არვანდ გუშნასს, ქართლისა მარზაპანსა და, რაჲ-იგი შეჰგვანდეს, მან უყოს, 162, 5.

7. რომელსა აქუნდეს საზრდელი, ეგრევე მსგავსად ყავნ, ლ. 3, 11.

8. (მონაჲ) ანუ ერთსა აღიდებდეს და ერთი შეურაცხ-ყოს, ლ. 16, 13 C.

9. (უფალი) წარმოუდგეს და მხსახურებდეს მათ, ლ. 12, 37.

10. რომელი ჰვამდეს ამას პურსა, ი. 6, 58.

11. უკუეთუ ვინმე გჯითხვიდეს: რაჲსათჳს აღჰქსნით, ლ. 19, 31.

12. უკუეთუ ვინმე ნებასა მისსა ჰყოფდეს ი. 7, 17.

2. ხოლო თანა-წარმავალნი იგი ჰგომბდეს მას და ყრიდეს თავსა მათსა, მ. 27, 39.

3. ჰურიანი იგი ჰგონებდეს, ვითარმედ საფლავად მივალს იგი ტირიდ მისა, ი. 11, 31.

4. თუალნი ყოვლისა კრებულისანი ჰხედვიდეს მას, ლ. 4, 20.

5. ხოლო კაცთა ღმრთის მოყუარეთა რომელთა იცოდეს ღმრთის სათნოებაჲ მისი, იღუწიდეს საზრდელითა და სამოსლითა, 189, 22.

6. იგი კაცი მოსაკლავად შეჰგვანდეს, 164, 1.

7. და აქუნდეს მას კეთილნი წიგნნი, 256, 1.

8. განკურვებამან შეიპყრნა ყოველნი და აღიდებდეს ღმერთსა, ლ. 5, 26.

9. ანგელოზნი მოვიდეს და მხსახურებდეს მას, მ. 4, 41.

10. მამანი ჩუენნი ჰვამდეს მანანასა უდაბნოსა ზედა, ი. 6, 31.

11. ჰჯითხვიდეს მას მოწაფენი მისნი იგავისა მისთვის, მრ. 7, 17.

12. სხუანი რტოთა მოჰგაფდეს ხეთაგან და დაუფენდეს გზასა ზედა, მრ. 11, 8.

ზემთ მოყვანილი მაგალითები მარტივი და ნათელია: წინადადებაში კარგად ჩანს, რომელ რიცხვშია წარმოდგენილი სუბიექტი: მხოლობითში თუ მრავლობითში. მაგრამ ყოველთვის ასე არაა. ხშირად გრძელი კონტექსტის მოშველიებაა საჭირო, რომ სუბიექტის რიცხვი გამოვიცნოთ. ავიღოთ ასეთი მაგალითი: „და გამოვიდეს და ჰადაგებდეს, რაჲთა შეინანონ, და ეშმაკნი მრავალნი განასხნეს და მსცხებდეს ზეთსა მრავალთა სნეულთა და განჰკურნებდეს“, მრ. 6, 12—13. მოცემული მაგალითიდან არა ჩანს, მხოლობითში იგულისხმება თუ მრავლობითში ისინი (ან ის), რომელნიც (ან რომელიც) ჰადაგებდეს, მსცხებდეს ზეთსა და განჰკურნებდეს. ცოტა ზემოთ კი ვგებულობთ ამის შესახებ: „და ეტყოდა მათ: ვიდრეცა შეხვდეთ სახლსა, მუნ დაადგერით ვიდრე მიერ გამოსლუვადმდე. და რაოდენთა არა შეგიწყნარენ თქუენ, არცა ისმინონ თქუენი, გამო-რაჲ-ხვდოლით მიერ, განიყარეთ მტუერი ფერკთაგან თქუენთა საწამებულად მათა“: მრ.

6, 10—11. სწორედ ამის შემდეგ იყო, რომ ქადაგებდეს, მსცხებდეს ზეთსა და განჰკურნებდეს. როგორც ვხედავთ, აქ სუბიექტად მრავლობითი რიცხვია ნაგულისხმები, მამასადამე, ჩვენ საქმე გვქონია უწყვეტელთან.

კრებთს სახელებთან ზმნა ძველ ქართულში ზოგჯერ მრავლობითშია შეწყობილი: „ზედაცა დაესხმოდეს მას ე რ ი იგი“, მრ. 3, 16. ამას ადგილი აქვს უფრო ხშირად ორ შემთხვევაში: ა) შემასმენლების მიხედვით შერწყმულ წინადადებაში. აქ მეორე, მესამე და შემდგომი ზმნები ჩვეულებრივად მრავლობითში ეწყობა კრებთს სახელს: „მისდევდა მას ე რ ი მრავალი და შეაურევბდეს მას“, მრ. 5, 24; ბ) რთულ ქვეწყობილ წინადადებაში, სადაც მთავარი წინადადება გაყოფილია დამოკიდებული წინადადებით ისე, რომ პირველ ნაწილში ეს კრებითი სახელი (ქვემდებარე) არის მოთავსებული, ხოლო მეორეში — შემასმენელი: „ე რ ი იგი, რომელი წინა-უძლოდა და უკუნა შეუდგა, დადადებდეს და იტყოდეს“, მ. 21, 9 C. DE-ში დამოკიდებული წინადადების (რომელიც ამ შემთხვევაში შერწყმულია) მეორე შემასმენელიც მრავლობითში დგას: ... უკუნა შეუდგეს. ამიტომ ცხადია, რომ ასეთ შემთხვევებში საზიარო ფორმა (შე ა უ რ ე ვ ბ დ ე ს, და და დ ე ბ დ ე ს) უწყვეტელი იქნება.

როგორც აღვნიშნეთ, ასეთ სრულიად მსგავს ფორმებს იძლევა ყველა დონიანი ზმნა. ამ წესმა გამონაკლისი არ იცის. რაც შეეხება ოდიან ზმნებს, იქ ფორმათა დამთხვევას ადგილი არა აქვს და ამიტომ საზიარო ფორმებზე ლაპარაკი შეუძლებელია. მაგალითად:

<b>I კავშირებითი</b>	<b>უწყვეტელი</b>
ი ტ ყ ო დ ი ს ი გ ი	ი ტ ყ ო დ ე ს ი გ ი ნ ი

ამიტომ ისეთ შერწყმულ წინადადებაში, რომელშიც წარმოდგენილია დონიანი და ოდიანი ზმნები ერთად, ზემოთ ნაჩვენები საზომის გარეშეც ადვილად მივხვდებით, თუ რომელ მწკრივთან გვაქვს საქმე: I კავშირებითთან თუ უწყვეტელთან. მაგალითად, ამ წინადადებაში: (ეშმაკეულნი იგი) დადადებდეს და იტყოდეს“ (მ. 8, 29 D) საზიარო ფორმა (და და დ ე ბ დ ე ს) უწყვეტელია, რადგანაც მის გვერდში მდგომი ი ტ ყ ო დ ე ს მხოლოდ უწყვეტელია და სხვა მწკრივი არ შეიძლება იყოს არც აქ და არც სხვაგან. სამაგიეროდ იგივე ფორმა ამ წინადადებაში: „არა უქდებოდის, არცა დადადებდეს“ (მ. 12, 19) I კავშირებითია, რასაც ადასტურებს ოდიანი ზმნის ჩვენება: უ ქ დ ე ბ ო დ ი ს აქ მხოლოდ I კავშირებითია და არა უწყვეტელი<sup>1</sup>.

დასასრულ, დავძენთ, რომ მორფოლოგიურად ეს საზიარო ფორმა სხვადასხვანაირად იშლება:

<b>I კავშირებითი</b>	<b>უწყვეტელი</b>
და და დ ე ბ დ ე ს	და და დ ე ბ დ ე ს

2. წარვიდებ. ეს არის საზიარო ფორმა II კავშირებითისა და წყვეტილისათვის. ის ექნება ყველა ვნებითისა და საშუალი გვარის ზმნას, რომელთაც ფუძის

<sup>1</sup> სხვა შემთხვევაში (იშვიათად) ის შეიძლება უწყვეტლის ბოლოებითი იყოს, მაგრამ არასოდეს უწყვეტელი.

ბოლოკიდურად და აქვთ (წარვიდ-ეს, მოკუდ-ეს, მოუქდ-ეს), აგრეთვე ღონიანს. ენ სუფიქსიანსა და უნიშნო ვნებითებს (აღმალდ-ეს, ღუმნ-ეს, განტფ-ეს). დასასრულ, აქვე შემოდის რამდენიმე მოქმედებითი გვარის ზმნაც, რომელნიც I კავშირებითის საწარმოებლად ე-ს იყენებენ (მისც-ეს, ქმნ-ეს, იკნნ-ეს, იკმნ-ეს, აგრძნ-ეს და სხვ.).

აღნიშნული საზიარო ფორმები ასე იშლება:

<b>II კავშირებითი</b>	<b>წყვეტილი</b>
წარვიდ-ეს	წარვიდ-ეს
მოკუდ-ეს	მოკუდ-ეს
მოუქდ-ეს	მოუქდ-ეს
აღმალდ-ეს	აღმალდ-ეს
ღუმნ-ეს	ღუმნ-ეს
განტფ-ეს	განტფ-ეს
მისც-ეს	მისც-ეს
ქმნ-ეს	ქმნ-ეს

საზომი მოხსენებული ფორმების ამა თუ იმ მწკრივისათვის მიკუთვნებისა აქაც იგივეა, რაც ზემოთ ეძიებდეს ფორმის მაგალითზე ვნახეთ, ე. ი. თუ მასთან შეწყობილი სუბიექტი მხოლოდითშია, მისი მწკრივი II კავშირებითი იქნება (წარვიდეს ი გ ი), ხოლო თუ მრავლობითში — წყვეტილი (წარვიდეს ი გ ი-ნ ი). ამ საზომზე ზემოთ ითქვა საკმაოდ და აქ აღარ გავიმეორებთ. დაეასახელებთ მხოლოდ რამდენიმე მაგალითს:

**II კავშირებითი**

**წყვეტილი**

1. რაქამს წარვიდეს მათგან ს ი ძ ე, მ. 9, 15 C.
2. განვიდეს ი გ ი ამიერ სოფლით და შივიდეს მამისა, ი. 13, 1.
3. ოდეს უ ფ ა ლ ი ი გ ი სახლისა მოვიდეს, მრ. 13, 35.
4. უკუეთუ არა მ ა რ ც უ ა ლ ი ი თქლისა და დავარდეს ქუეყანასა და მოკუდეს, ი გ ი ხოლო ეგოს, ი. 12, 24.
5. ვითარცა ს ა ფ რ ა ქ შ მოუქდეს მსხდომარეთა ზედა პირსა ყოვლისა ქუეყანისასა, ლ. 21, 35.

1. წარვიდეს მოწაფენი ი გ ი და ყვეს, ვითარცა უბრძანა მათ იესუ, მ. 21, 6 C.
2. მოწაფენი მისნი... განვიდეს და შივიდეს ნაესა, ი. 21, 3 D.
3. მოვიდეს<sup>1</sup> მ ფ რ ი ნ ე ლ ნ ი ცისანი და შეკამეს ი გ ი, მ. 13, 4.
4. ესმა რაჲ ესე მოწაფეთა, დავარდეს პირსა ზედა მათსა და შეეშინა ფრიად, მ. 17, 6.
5. და მოუქდეს მას მოწაფენი მისნი, მ. 5, 1.

<sup>1</sup> ასევე იქნება ეს ზმნა სხვა ზმნისწინებითაც: აღვიდეს, შევიდეს, გარდავიდეს, წაიღვიდეს, შთავიდეს და სხვ. ეს ფორმები ძალიან გავრცელებულია და აქ მათზე ცალ-ცალკე მაგალითებს აღარ მოვიყვანთ.



6. რაჟამს აღმაღლდეს მათგან ს ი-  
დ. მ იგი, მ. 9, 15.

7. ნეტარ არს, რომელი არა  
დაბრკოლდეს ჩემდა მომართ, მ. 11, 6.

8. პრისხვიდეს მას, რომელნი  
წინა-უძლოდეს, რაათა დადუმნეს, ლ.  
18, 39.

9. და უკუეთუ ეშმაკი თავსა თვისა  
განეეთა, ვითარ დამტაცუნეს მე უ-  
ფებამ მისი, ლ. 11, 18.

10. აღმიღეთ მე და შთამაგდეთ  
ზღუასა და დასცხრეს ზღუამ ესე,  
იონა 1, 12.

11. რაათა არა დაადგრეს გუა-  
მი მისი ჭუარსა ზედა შაბათადმდე,  
ი. 19, 31.

12. განჯმეს სიყუარული მრავ-  
ალთამ, მ. 24, 12.

13. დედოფალი იგი სამხრი-  
სამ აღდგეს, ლ. 11, 31.

14. ანუ რამ მისცეს კაცმან  
ნაცვალად სულისა თვისისა, მ. 16, 26.

15. მისცეს ძმამან ძმამ სიყუ-  
დილდ, მ. 10, 21.

16. საქმესა რომელსა მე ვიქმ,  
მანცა ქმნეს და უფროასილა ამი-  
სა ქმნეს, ი. 14, 12.

6. და შეიერთნეს წმიდანი იგი  
სულნი ერთა მათ ზეცისათა და  
დიდებით აღმაღლდეს ცად, 270, 26.

7. ფარისეველთა რამ ესმა  
სიტყუამ იგი, დაბრკოლდეს, მ. 15, 12.

8. და ვერაამ უპოვეს სიტყვს  
გებად წინაშე ერისა მის. და უკვრ-  
და სიტყვს გებად იგი მისი და და-  
დუმნეს, ლ. 20, 26.

9. ვითარ წარ-ოდენ-ვიდეს იგი-  
ნი მისგან, განწმიდნეს კეთროვნე-  
ბისა მისგან, ლ. 17, 14.

10. და შეპრისხნა ქარსა მას  
და დეღვათა წყალთასა, და დას-  
ცხრეს, ლ. 8, 24.

11. და მივიდეს და იხილეს, სა-  
და იყოფოდა, და მის თანა დაადგრეს  
მას დღესა შინა, ი. 1, 39.

12. და იგინი შორჯეს და თა-  
ყუანის-სცეს მას, დაბ. 43, 28.

13. მაშინ აღდგეს ყოველნი იგი  
ქალწულნი, მ. 25, 7.

14. ვერიპოვნეს ეგოდენ, რამ-  
თამცა მოიქცეს და მისცეს დიდებად  
ღმერთსა, ლ. 17, 18.

15. ვითარ-იგი მისცეს მღღელთ  
მოდღუართა და მთავართა  
ჩუენთა. საშჯელსა სიკუდილისასა,  
ლ. 24, 40.

16. ამათ უკუანამსკნელთა  
ვამერთ ხოლო ქმნეს, მ. 20, 12 C.

3. განახხნეს. ეს ფორმაც საზიაროა II კავშირებითისა და წყვეტილისა-  
თვის იმ შემთხვევაში, როცა პირდაპირი ობიექტი ნარიანი მრავლობითის სახე-  
ლობითში დგას. მაშასადამე, ამნაირი შეხვედრა მხოლოდ გარდამავალ ზნებზე  
ეჭნებათ. საზომი გარჩევისა აქაც იგივეა, რაც ზემოთ განხილულ შემთხვევებში  
ენახეთ, ე. ი. თუ სუბიექტი მხოლობითს რიცხვშია, მწკრივი II კავშირებითია  
(განახხნეს მან იგინი), ხოლო თუ სუბიექტი მრავლობითში დგას, მწკრივი  
წყვეტილია (განახხნეს მათ იგინი). აღნიშნული საზიარო ფორმა ასე იწლება:

II კავშირებით

გ ა ნ ა ს ხ-ნ-ე-ს

წყვიტილი

გ ა ნ ა ს ხ-ნ-ე-ს

მაგალითები ძეგლებიდან:

1. და ევედრებოდეს მას, რამათა არა განასხნეს იგინი გარეშე სოფელსა, მრ. 5, 10.

2. რაჟამს უკუე მოვიდეს უფალი იგი, უკეთურნი იგი უკეთურად-ცა წარწყმიდნეს, მ. 21, 41 C.

3. რაჟამს მოვიდეს ძმ კაცისაჲ, შეკრიბნეს წინაშე მისსა ყოველნი ნათესავნი და განარჩინეს იგინი ურთიერთას, მ. 25, 32 C.

4. რამეთუ დაიკნინებეს თავსა თვისსა და მოგუემს გავსებობის ჰასაკსა ჩუენსა, რამათა ურნატსა სულისა ჩუენისასა და ენერგოს და ღრმად ძირნი დაიბნეს და არტოთა მათ ზედა ჭუარისა მისისათა შეგუკრიბნეს და აღმალდეს და ჩუენ აღგუამალდნეს მის თანა, 183, 12.

როგორც ეს უკანასკნელი მაგალითი (განტყვნეს) გვიჩვენებს, თუ ზმნის ფუძის ბოლოკიდური ბგერა ნარია, საზიარო ფორმაში ორმაგი ნარი გვექნება. რომელთაგან ერთი (პირველი) ფუძისაა, მეორე — პირდაპირი ობიექტის მრავლობითისა. აი კიდევ ამის რამდენიმე ნიმუში:

5. და იხილონ ძმ კაცისაჲ მომავალი ღრუბელთა ზედა ცისათა, და წარავლინნეს [ძემან კაცისამან] ანგელოზნი თვისნი საყვრითა დიდითა, მ. 24, 31.

6. აღდგ და ხადოდე ღმერთსა შენსა, რამათა განმარინნეს ჩუენ, იონა 1, 6.

7. ნებაჲ მოშიშთა მისთაჲ ყოს უფალმან, ლოცვანი მათნი ისმინნეს და აცხოვნნეს იგინი, 266, 6.

1. და ეტყოდა მათ: ვიდრეცა შეხვდეთ სახლსა, მუნ დაადგერთ ვიდრე მიერ გამოსლვადმდე. და გამოვიდეს და ქადაგებდეს და ეშმაკნი მრავალნი განასხნეს, მრ. 6, 10—13.

2. რამეთუ ნაშობნი ხართ, რომელთა მოწყვდნეს წინაშეწარმეტყუელნი, მ. 23, 31 C.

3. ხოლო ძულთა მათ წმიდისა მონამისათა რომელთა ვერლარა უძლეს დაწუვაჲ, შთაკრიბნეს ტყავსა ცხოვრისასა და შეიერნეს მტკიცედ და მიიხუნეს და შთაყარნეს დიდსა მას მდინარესა, 197, 5.

4. და ბრძანეს მოწყუედაჲ მათ წინაწარმეტყუელთაჲ, რომელნიმე მახულითა, რომელნიმე ცეცხლითა, რომელნიმე ხერხითა განხებრნეს, რომელნიმე მკეცთა მისცნეს და რომელნიმე მღვმესა შთაგდეს, რომელნიმე ქვითა განტყვნეს, 168, 9.

5. და იცნეს იგი კაცთა მათ მისადგილისათა და წარავლინნეს ყოველსა მას სანახებსა და მოართუეს მას ყოველი ბოროტად ვნებული, მ. 14, 35 C.

6. მსახურთა მათ დაუვნეს იგინი თმითა და წუერითა, 163, 19.

7. [ქრისტეანეთა მათ] ებისკოპოსნი და მღვდელნი განარჩინნეს და ეკლესიანი აღაშქნნეს 172, 17.

8. კაცმან ამან აღვილად მივი-  
ყვანეს აღვილსა მას, 227, 34.

9. ევედრებოდეს მას ფრიად,  
რამათ არა მიავლინნეს ივინი გარეშე  
სოფელსა, მრ. 5, 10 C.

8. ზედამდგომელთა ამათ  
ჩუენთა ნაშობნი ქრისტიანეთანი გარ-  
დაგულარძნეს, 179, 17.

9. მაშინ წარვიდეს ფარისე-  
ველნი იგი და მიავლინნეს მოწა-  
ფენი მათნი ჰეროდთანელთა თანა და  
პრქუეს, მ. 22, 16.

4. უთხარ. ეს ფორმა საერთოა I და II სუბიექტური პირებისათვის. რო-  
გორც ცნობილია<sup>1</sup>, პირველი სუბიექტური პირის ნიშანი ვ ძველ ქართულში არ  
იწერება უნისა და ონის წინ, ამიტომ გვაქვს: მე უთხარ (—მე ვ-უთხარ), მე დაუ-  
ტევე, მე უწყვი, მე შეორგულდი და სხვ. მეორე მხრივ, მე-9 საუკუნიდან აღარ  
გვაქვს აგრეთვე II სუბიექტური პირის ნიშანი ხმოვნების წინ: შენ უთხარ  
(—ჰ-უთხარ), შენ დაუტევე, შენ უწყვი, შენ შეორგულდი. ამის გამო ასეთ შემ-  
თხვევებში I და II სუბიექტური პირები ერთმანეთს ემთხვევა. მაგალით-  
ები:

1-ლი პ.

1. და ჩუენ უთხართ კითხვისა  
მისისაებრ, დაბ. 43, 7.

2. ჩუენ დაუტევეთ ყოველივე  
თვისი და შეგიდევით შენ, ლ. 18, 28.

3. წარმოვიყვანე... და განუწყესე  
მას როქიკი ჩემთაგან საუნჯეთა და  
უბრძანე დამარხება მისი, 296, 31.

4. აწ უწყვი, რამ ვყო, ლ. 16, 4.

5. მოვეგე გონებასა: შეორ-  
გულდი მე და ათნი იგი ჩემ თანა,  
277, 30.

მე-2 პ.

1. მივედით და უთხართ (თქუენ)  
იოჰანეს, რამ-ეეს იხილეთ და გესმა,  
ლ. 7, 22.

2. აჰა ესერა დაუტევეთ თქუენ  
სახლთა თქუენთა ოკრად, მ. 23, 38.

3. მოუწოდე მოქმედთა მათ და მი-  
ეც სასყიდელი მათი, მ. 20, 8.

4. შენ უწყვი, რამეთუ მიყუარ  
შენ, ი. 21, 15.

5. მცირედ მორწმუნეო, რამსა შე-  
ორგულდი, მ. 14, 31.

პირველი სამი მაგალითი ხანმეტურადაც (ჰაემეტურადაც) განურჩეველი იქ-  
ნება: ორივე შემთხვევაში გვექნება მე-3 ობიექტური პირის ნიშანი ხ:

1-ლი პ.

ხუთხართ  
დახუტევეთ  
განხუწყესე

მე-2 პ. (ბრძანებითიც)

ხუთხართ  
დახუტევეთ  
მოხუწოდე

<sup>1</sup> ა. შანიძე, ძველი ქართული ენა (შოკლე მიმოხილვა): ა. შანიძე, აღ. ბარამიძე,  
ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, 1934, გვ. 219

მაგრამ

შეორგულდი

შეხორგულდი (წყვ.)

შეორგულდი (ბრძ.)

ნ. წარვედ. ზემოთ აღნიშნული ზმნების ბედს იზიარებს ავრეთვე „ვედ“ ფუძე (სხვადასხვა ზმნისწინით): მასაც 1-ლი სუბიექტური პირის ნიშანი დაკარგული აქვს (აქ ვინის დაკარგვას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ მე-2 სუბიექტურ პირში ძველი, ხანმეტური ფორმა შემოგვრჩა და მისი წყალობით ადვილი გასარჩევი გახდა 1-ლი და მე-2 სუბიექტური პირი: მე წარვედ, შენ წარხუედ). მაგრამ წართქმითი ბრძანებითი, როგორც ცნობილია<sup>1</sup>, წყვეტილისაგან მხოლოდ პირის ნიშნით განსხვავდება: ბრძანებითს სუბიექტური პირის ნიშანი არა აქვს. ამიტომ წყვეტილი იქნება:

მოხკალ	დახწერე	ხაქე	(ხანმეტურად)
მოჰკალ	დაჰწერე	ჰაქე	(ჰემეტურად)
მოჰკალ	დასწერე	აქე	(IX საუკუნიდან).

მე-2 პირის ბრძანებითი კი ყველა ამათ ერთი ექნება:

მოკალ	დაწერე	აქე.
-------	--------	------

ამის გამო წარხუედ, წარხუედით წყვეტილია, ხოლო წარვედ, წარვედით II ბრძანებითი (მე-2 პირისა). მაშასადამე, აღნიშნული ზმნის წყვეტილი 1-ლი პირისა და II ბრძანებითი მე-2 პირისა ორსავე რიცხვში ყოველთვის ერთი და იმავე სახით იქნება წარმოდგენილი:

მე	წარვედ	(წყვ., 1-ლი პ.)	შენ	წარვედ	(II ბრძ., მე-2 პ.)
ჩვენ	წარვედით	"	თქვენ	წარვედით	" "

გასარჩევად პირის რომლობა გამოგვადგება: თუ 1-ლი პირია, წყვეტილი ყოფილა, თუ მე-2 პირი—II ბრძანებითი. პირის რომლობას კი გავგავებინებს სათანადო პირის ნაცვალსახელები, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში ზმნას ახლავს თან, ან, თუ არ ახლავს, ამ საქმეში ისევ კონტექსტი უნდა მოვიშველიოთ.

აქ დავასახელებ სათანადო მაგალითებს სხვადასხვა ზმნისწინით:

წყვეტილი, 1-ლი პ.

1. წარვედ და დავჰფალ ქანქარი იგი შენი ქუეყანასა, შ. 25, 25.,
2. ხოლო მე წარმოვედ და მოვედ ულოპორეთა, 270, 34.

II ბრძ., მე-2 პ.

1. აღდეგ, აღიღე ცხედარი შენი და წარვედ სახედ შენდა, მ. 9, 6.
2. მოვედ და დასდევე კელი მას ზედა, მ. 9, 18.

<sup>1</sup> ა. შანიძე, პრეფიქსები, გვ. 4—5.

3. წარმოვემართენით და გამოვედით არეთა სომხითისათა, 270, 16.

4. და ამისსა შემდგომად შევედ ქალაქად და ვაუწყე პირველად ხუცესთა, 299, 30.

5. არამედ მივედ და თავით თუხით მოვიხალე ყანობირი იგი, 299, 26.

6. მივიწიენით კეესა რასმე ღრმასა და უღალსა... ფრიად ძლით შევედით მას შინა, ...აღვედით თავსა მას კეეისასა და ვიხილენით მცირენი რამე ყანობირნი, 226, 1.

7. ვივლტოდეთ ღამით ამით ძელითა და მოვედით თქუენდა, 210, 3.

3. და რომელსა სახლსა შეხვდეთ, მუნ დაადგერიოთ და მიერ გამოვედით, ლ. 9, 4.

4. ხოლო შენ რაჟამს ილოცვიდე, შევედ საუნჯესა შენსა, დაჰქაშ კარი შენი და ილოცე, მ. 6, 6.

5. მივედ და დაეგე პირველად ძმასა შენსა, მ. 5, 24.

6. [თქუენ] შევედით იწროსაგან ბჰისა, მ. 7, 13; თქუენ აღვედით დღესასწაულსა ამას, ი. 7, 8.

7. მოვედით თქუენ თუსაგან უღაბნოსა, მრ. 6, 31.

ბრძანებითის ფორმის წარმოქმნას განსაკუთრებული ინტენსიობა ახასიათებს. ამით უნდა აიხსნებოდეს, რომ ძველი ქართული ენის ზოგიერთ ძეგლში ჩვენ მიერ აღებული ზმნა უფროდ იხმარება ბრძანებითში, მაგრამ წყვეტილში ყოველთვის ვინით გვხვდება. სხვა ხელნაწერთა შორის ასეთი ტენდენცია შეინიშნება აღიშის ოთხთავში, ხოლო ტბეთის ოთხთავისათვის (ყოველ შემთხვევაში, ლუკას თავში) ასეთი წარმოება ერთადერთია. აქაც დავასახელებ ორიოდ ნიმუშს: მოედ და შემომიდგე მე, ლ. 18, 22 BC; მოედით ჩემდა ყოველნი დამაშურალნი, მ. 11, 28 C; გამოედით და მიეგებოდეთ მას, მ. 25, 6 C.

ამ შემთხვევების გამო კაცი იფიქრებდა, რომ ვინის დაკარგვა აქ ონის გამო გამოწვეულიო, მაგრამ ქვემოთ მოყვანილი მაგალითები ასეთ იქვს აქარწყლებს: პირი დაიყავ და განედ მაგისგან, ლ. 4, 35 B; განედ ჩემგან, რამეთუ კაცი ცოდვილი ვარი მე, უფალო, ლ. 5, 8 B; წარედ და უჩუენე თავი შენი მღდელსა, ლ. 5, 14 B; წარედით და მომიზადეთ ჩუენ პასქაჲ, ლ. 22, 8 B; მიედ და დაჯედ უკუანაძკნელსა ადგილსა, ლ. 14, 10 B; მიედით და უთხართ იოჰანესს, ლ. 7, 22 B და სხვ. ასეთი ფორმები უკვე აღარაა საზიარო: ვინიანი წყვეტილი იქნება, უვიწო — ბრძანებითი.

8. დაამტკიცენ. ეს ფორმა საზიაროა II ბრძანებითის მე-2 და მე-3 პირებისათვის: მე-2 პირისათვის მაშინ, როცა სუბიექტი მხოლოდითშია, პირდაპირი ობიექტი კი — მრავლობითში (შენ იგინი), ხოლო მე-3 პირისათვის იმ შემთხვევაში, როცა სუბიექტიცა და პირდაპირი ობიექტიც მხოლოდითშია (მან იგი). ფორმების ასეთი შეხვედრა შესაძლებელია ყველა ზმნაში, რომელთაც წყვეტილის მწკრივის ნიშნად აქვთ ე.

ენ დაბოლოება პირველ შემთხვევაში პირდაპირი ობიექტის მრავლობითობას გამოხატავს (დაამტკიცენ შენ იგინი), მეორე შემთხვევაში კი იშლება: ე მწკრივის (წყვეტილის) მაწარმოებელია, ხოლო ნ მე-3 პირის სუბიექტის (მხ. რ.) ძველი ნიშანია, რომელიც საერთო ხმარებიდან დიდი ხნით აღრე გავიდა,

მაგრამ აწმყოს ხოლმეობითისა და ბრძანებითის ფორმებს შემორჩა (დაამტკიც-ენ მან ი გ ი).

მაგალითები:

მე-2 პ.

1. დაამტკიცენ ფერკნი ჩემნი ალაგ-თა შენთა. რაათა არა შემობრკუმენ სლვანი ჩემნი, ფსალ. 16, 5.
2. აღიხილენ, სარწმუნოებამან შენ-მან გაცხოვნა შენ, ლ. 18, 42.
3. ისმინენ (შენ) სიტყუანი ეგე ჩემნი.
4. პრქუა მას იესუ: დაამოვენ კრავ-ნი ჩემნი... დამწყვენ ცხოვარნი ჩემ-ნი, ი. 21, 15—16.
5. საჭენ, უფალო, მავნებელნი ჩემ-ნი და ჰბრძოდე მბრძოლთა მათ ჩემ-თა, ფსალ. 34, 1.
6. აკურთხე სამკვდრებელი შენი... და აღამაღლენ იგინი, ფსალ. 27, 9.
7. იკითხენ ძმანი შენნი, ვითარ-ძი ცოცხლებით არიან, დაბ. 37, 14.
8. შეიუვანენ კაცნი ესე სახილ და დაკალთ საკლევლები, დაბ. 43, 16.

მე-3 პ.

1. ქრისტემან საქმით დაამტკიცენ სიტყუა ბაგეთა შენთაჲ, 246, 2.
2. აღიხილენ მოსესხემან ყოველი, რაადცა ეღვას მას, ფსალ. 108, 11.
3. რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ, ლ. 8, 8.
4. ქრისტემან დიდებაჲ უოხჰნოჲ მათ ყოველთა შიანიჰენ, 266, 33.
5. ღმერთმან ჩემმან მოავლინენ ძმაჲ იგი თქუენი ერთი და ბენიამენ, დაბ. 43, 14.
6. რომელსა არა აქუნდეს, განუი-დენ სამოსელი თვისი და იჟიდენ მახ-ვლი, ლ. 22, 36.
7. ღმერთმან შესძინენ დღეთა ცხო-რებისა შენისათა, 157, 30.
8. ხუცესმან აღავსენ წადილი თქუ-ენი, 158, 40.

თუ ზმნის ფუძე ხმოვნით იწყება, IX საუკუნის შემდეგდროინდელ ძეგ-ლებში ამ საზიარო ფორმამ შეიძლება გამოხატოს აგრეთვე წყვეტილიც (შენ იგინი):

მოავლინენ	შენ	იგინი	(წყვ.)
მოავლინენ	შენ	იგინი	(ბრძ. მე-2 პ.)
[მო ა ე ლ ი ნ ე ნ	მან	იგი	(ბრძ. მე-3 პ.)]

ხანმეტურად (და ჰაემეტურად) პირველსა და მეორე მაგალიტს შორის ფორმალური განსხვავება იქნებოდა:

მოხავლინენ	შენ	იგინი	(წყვ.)
მოავლინენ	შენ	იგინი	(ბრძ. მე-2 პ.)
[მო ა ე ლ ი ნ ე ნ	მან	იგი	(ბრძ. მე-3 პ.)]

თუ ზმნას თემის ნიშანი არ გააჩნია და არც ფუძედრეკადია, შეიძლება მისი აწმყოს მესამე პირის მრავლობითი რიცხვის ფორმაც შეუერთდეს ზემოთ აღ-ნიშნულებს და საზიარო სამისათვის მივიღოთ:

წიგნი	კამენ	შენ	იგინი	(ბრძ. მე-2 პ.)
წიგნი	კამენ	მან	იგი	(ბრძ. მე-3 პ.)
წიგნი	კამენ	იგინი	მას	(აწმყო) <sup>1</sup> .

7. რადგანაც IX საუკუნიდან მე-2 სუბიექტური პირის ნიშანი ხმოვნით დაწყებულ ზმნებში დაკარგულია, ამიტომ წყვეტილისა და ბრძანებითის სათანადო (მე-2) პირებს შორის ფორმალური განსხვავება აღარ არსებობს, ისინი კონტექსტით უნდა განვასხვაოთ. მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი :

**წყვეტილი**

**ბრძანებითი**

1. მამაო, გმადლობ შენ, რამეთუ ისმინე ჩემი, ი. 11, 41 C.

1. ისმინე ჩემი და ჩამოვედ ტაძრად და ნუ აოკრებ სახლსა მას თქუენსა, 155, 26.

2. ხოლო შენ არქუ მონათა შენთა: მოიყვანეთ იგი ჩემდა, დაბ. 44, 21.

2. არქუ ძმასა ჩემსა, რადათა განმეყოს მე სამკვდრებელსა, ლ. 12, 13.

3. ქრისტემან აღგავსენინ თქუენ ყოვლითა კეთილითა, რომელნი-ესე ჩემთჳს. მოშუერთ და ეზიარენით ვნებათა ამათ ჩემთა, 159, 2.

3. უკუეთუ გნებაეს შემოსლვად ჩუენ თანა ეკლესიად... ნათელ-იღეთ სახელისა მიმართ მისისა და ეზიარენით საიღუმლოთა მისთა და შეგუერთენით ქრისტენათა, ურთ. 184, 24.

4. რად უღებ-ჰყავ და არა ახუედ და უთხარ ეპისკოპოსსა იოვანეს, რასა-იგი მე შენ გეტყოდე, 297, 21.

4. უკუეთუ მათიცა არა ისმინოს, უთხარ კრებულსა, მ. 18, 17.

ზემოთ მოყვანილი ოთხი წყვილი მაგალითიდან ხანმეტურად (ჰამეტურად) განსხვავებული ფორმები ექნება მხოლოდ პირველს:

**წყვეტილი**

**ბრძანებითი**

ბ-ის მ ი ნ ე

ი ს მ ი ნ ე

სხვა წყვილების ორივე ცალში ხანი გვექნება მესამე ირიბობიექტური პირის ნიშნად:

**წყვეტილი**

**ბრძანებითი**

ბ-ა რ ქ უ

ბ-ა რ ქ უ

ბ-ე ზ ი ა რ ე ნ ი თ

ბ-ე ზ ი ა რ ე ნ ი თ

ბ-უ თ ხ ა რ

ბ-უ თ ხ ა რ

აქ პირველ წყებაში ხანი აღნიშნავს როგორც მეორე პირის სუბიექტს, ისე მესამე პირის ობიექტს; მეორე წყებაში კი ის მხოლოდ მესამე პირის ობიექტს გამოხატავს. ამიტომ ქვემოთ მოყვანილ შავად დაბეჭდილ ფორმაში „შეხაცუთ ბეჭედი ქელსა მისსა“ (ლ. 15, 22) ხანი მხოლოდ მესამე პირის ობიექტის ნიშანია, რადგანაც წართქმითს ბრძანებითს სუბიექტის ნიშანი არ უნდა <sup>2</sup>

<sup>1</sup> ნ. ამის შესახებ უფრო ვრცელად ქვემოთ, გვ. 273—275.

<sup>2</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, ბრედვესები, გვ. 4—5.

8. ზრქუა. ასეთი ფორმა საზიაროა წყვეტილისა და II კავშირებითისათვის. წყვეტილის შემთხვევაში სუბიექტი მხოლოდ მე-3 პირი შეიძლება იყოს (მხ. რ.), ხოლო II კავშირებითში სუბიექტი მე-2 პირია. დამთხვევას იწვევს მესამე სუბიექტური პირის ნიშნები (მხ. რ.) და II კავშირებითის მწკრივის ნიშნები ა და ო. აქ ჩვენ შეიძლება შეგვხვდეს სამპირიანი ზმნები (ჰრქუა, მითხრა, დასდვა, მიყო), ორპირიანები (იწყო, აქო) და ერთპირიანებიც (იყო, შეიძრა). ორ უკანასკნელ შემთხვევაში (ე. ი. ერთ- და ორპირიან ზმნეებში) სუბიექტად მე-2 პირის გამოყენებისას დამთხვევას მაშინ აქვს ადგილი, როცა ზმნის ფუძე ხმოვნით იწყება, თორემ თანხმოვნით დაწყებულ ფუძეებში მე-2 პირის სუბიექტს ნიშანი ექნება და გარეგნულად ეს განასხვავებს მას შესატყვისი საზიარო ცალი-საგან (შენ სთქუა, მან თქუა). მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი :

### წყვეტილი (S<sub>1</sub>)

1. რომელმან მითხრა მე ყოველი, რააცა ვქმენ, ი. 4, 29.
2. ვინ არს კაცი იგი, რომელმან გრქუა შენ, ი. 5, 12 C.
3. ერთმან მოწაფეთა მისთაგანმან ჰრქუა მას, მ. 8, 21.
4. ხოლო თავადმან კაცად-კაცად-სა მათსა დასდვა ქელი და განკურნნა იგინი, ლ. 4, 40.
5. ხოლო ფარისეველთა ვითარ ეს-მა, რამეთუ პირი დაუყო საღუქველთა, შეკრბეს ერთად, მ. 22, 34.
6. კაცმან ამან იწყო შმნებად და ვერ უძლო აღსრულებად, ლ. 14, 30.
7. საზრდელად მისა იყო მკალი და თაფლი ვვლური, მ. 3, 4.

### II კავშირებითი (S<sub>2</sub>)

1. გაფუცებ შენ ღმრთისა ცხოველისა, რაათა მითხრა ჩუენ, უკუეთუ შენ ხარ ქრისტე, მ. 26, 63.
2. და იყავ მუნ, ვიდრემდე გრქუა შენ, მ. 2, 13.
3. ანუ ვითარ ჰრქუა ძმასა შენსა: მაკადე და აღმოგილო წუელი თუ-ლისაგან შენისა, მ. 7, 4.
4. რაათა მოხვდე და ქელი დასდვა მას, მრ. 5, 23 C.
5. რომელსა მე დაუწო პური და მივსცე, იგი არს, ი. 13, 26.
6. და მოვიდეს, რომელმან-იგი შენ და მას გხადა, და გრქუას შენ: ადგილ ეც მას! მაშინ იწყო სირცხვლით უკუანაძსკენელსა ადგილსა დაპყრობად, ლ. 14, 9.
7. და აჰა იყო შენ დაღუმებულ და ვერ შემძლებელ სიტყუად, ლ. 1, 20.

8. მიიყვანა. ეს ფორმა შეიძლება გარდამავალიც იყოს და გარდაუვალიც. თუ გარდამავალია, იგი გარეგნულად სათავისო ქცევა (ფუნქციით საარვისო), მწმასადამე, ამ შემთხვევაში მას ორი პირი ექნება: მიიყვანა მან იგი; მეორე მხრივ, თუ იგი გარდაუვალია, მასში მხოლოდ ერთი პირია საგულეებელი, მამასადამე, ის ვნებითი გვარის ზმნაა: მიიყვანა იგი, ე. ი. მიყვანილ იქნა იგი. პირველ შემთხვევაში აღნიშნული ფორმის მეორე სათავისო ქცევის ნიშანი იქნება (ფუნქციით ფორმა საარვისოა), მეორეში — ვნებითი გვარის მაწარმოებელი



(ე. წ. ინიანი ვნებითი) <sup>1</sup>. ეს ორი, შინაარსით სრულიად სხვადასხვაგვარი ფორმა ერთმანეთს ემთხვევა II სერიის მწკრივებში, I სერიაში კი თითოეულს თავთა ვისი, განსხვავებული გარეგნული სახე აქვს, მაგალითად:

ა წ მ ყ ო

ს ა თ ა ვ ი ს ო ქ ც ე ვ ა

მხ. რ.				მრ. რ.	
მიიყვანებ	მე მას	მიიყვანებთ	ჩუენ	მას	
მიიყვანებ	შენ მას	მიიყვანებთ	თქუენ	მას	
მიიყვანებს	იგი მას	მიიყვანებენ	იგინი	მას	

ი ნ ი ა ნ ი ვ ნ ე ბ ი თ ი

მიიყვანები	მე	მიიყვანებით	ჩუენ
მიიყვანები	შენ	მიიყვანებით	თქუენ
მიიყვანების	იგი	მიიყვანებიან	იგინი

და ასე შემდგომ I სერიის სხვა მწკრივებშიც. ჩვენ გვაინტერესებს II სერიის მწკრივები, სადაც დამთხვევას აქვს ადგილი. აქ მოვიყვანთ ამის ნიმუშებს.

ს ა თ ა ვ ი ს ო ქ ც ე ვ ა (ორბ.)

1. თავდამან მიიყვანა მამად მის ყრმისა და ღელად და მოწაფენი მისნი, მრ. 5, 40.

2. არცალა ვკგონებ, ვითარმცა სოფელმან ამან დაიტია აღწერილი წიგნები, ი. 21, 25.

3. მე არა ვეძიებ დიდებასა ჩემსა; არს, რომელმან იძიოს და საჯოს, ი. 8, 50 C.

4. არა აღივსო კელი თუსი მომკალმან, ფსალ. 128, 7 (გიორგისეული).

5. დავივიწყე მე ქამად პური ჩემი, ფსალ. 101, 5.

6. ჰრქუა კაცსა მას: განირათხ კელი შენი! და მან განირათხა კელი, მ. 12, 13.

ი ნ ი ა ნ ი ვ ნ ე ბ ი თ ი (ერთბ.)

1. იყო სიკუდილი გლახაკისაჲ მის და მიიყვანა იგი ანგელოზთაგან წიალთა აბრაჰამისთა, ლ. 16, 22.

2. სიტყუად ჩემი ვერ დაიტია თქუენ შორის, ი. 8, 37 C.

3. რამათა იძიოს სისხლი ყოველთა წინაწარმეტყუელთაჲ, ლ. 11, 50.

4. აღივსო ქორწილი იგი მეინაქითა, მ. 22, 10.

5. დავივიწყე მე, ვითარცა მკუდარი, გულთაგან, ფსალ. 30, 13.

6. და განირთხა თავით თუსით აღმოსავალით კერძო და დაიწყენა კელნი და ფერკნი თუსნი და შეისუენა, 209, 10.

<sup>1</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართ. გრამატიკის საფუძვლები, 4 367.

7. რამეთუ მრავალ ჯამ წარიტაცის იგი, ლ. 8, 29 [მგელმან წარიტაცის იგინი, ი. 10, 12].

8. რომელმან აღიშალლოს თავი თვისი, იგი დამდაბლდეს, ლ. 14, 11:

9. მოვიდა და მოიცვნა ჰურიანი, 289, 21 [მხ. რ.: მოიცვა მან იგი].

10. რომელმან მოიპოვოს თავი თვისი, წარიწყმიდოს იგი, მ. 10, 39.

11. პეროდე მაშინ შეიპყრა იოვანე: მ. 14, 3; განკვრევამან შეიპყრა იგი: ლ. 5, 9; არავინ შეიპყრა იგი: ი. 8, 20; შეიპყრენით ეგენი ცოცხალნი და მოსრენით: 4 მეფ. 10, 14; შეიპყრენით მელნი მცბიერნი: სახის-მეტყ. 18, 29.

12. რომელთა შვილ ისხნეს და აღი-ზარდნეს, მოწვენასა სიკუდილისასა ვერაჲ ირგეს: სწავლ. 224, 12.

13. უცხო იქმნენ თავი შენი სიმ-დაბლისაგან ღმრთისა: Sin. 35, 197 *ya*; 14; და იქმნნეს (მათ) საყოფელ-ნი კურელთა შინა ქუეყანისათა: ურთ. 23, 15; რაჲთა (მათ) უცნაურ იქმნენ თავნი თუნისნი ვერ ცნობისათუის მათისა: ისტ. ჭრ. II, 85, 36.

14. აჰა ესერა კაცი, რომელმან არა იყო ღმერთი მწე მისა: ფს. 51, 9; ვითარცა ფრიად სარგებელ იყო ძმამან მან სწავლაჲ ბერისაჲ: ლომ. 9, 19; იუვენით თავებისა თქუენისა მეგობ-რებ ფასისაგან სიცრუვისა: ლ. 16, 9 C.

7. ერთი იგი წარიტაცოს და ერთი იგი დაეტევოს, ლ. 17, 34; მივითაცე მე ქალაქად და უთხარ ყოველი ესე ჩუენებჲაჲ ეპისკოპოსსა მას იოვანეს, 299, 4.

8. მე მას ეამსა აღვიშალლო ქუე-ყანით, ი. 12, 32 C.

9. ამისთვის მწრაფლ მოიცვა იერუ-სალში ვესპასიონის მიერ, 289, 23.

10. იპოოს ვინმე, რომელმან განკა-ფოს იგი 151, 31; აღიხილა და იპოვა (= აღმოჩნდა) ყოველი გებულად, 151, 36.

11. ერისაგანთა მიერ შეიპყრა იგი: პარხ. 1201; არამედ შეიპყრა მათ მიერ: ექუსთ. 68, 6; მპარვად შევიპყარ და ქუეყანასა უცხოსა მონებად მივეცი: საყ. წიგ. II, 73, 13; რაჲმს შეიპყრას და ჭუარს-ეცუას ჰურიათა-გან: იქვე, 12, 20; მოვიდა მეფისა ბრძანებჲაჲ და შევიპყრენით სამეუ-ფოთაგან: სვან. 230 b.

12. ისხნეს იგინი პირ-დაქცევით ქუეყანასა ზედა: ისტ. ჭრ. II, 106, 39.

13. მცირედსა ზედა სარწმუნო ექ-მენ: მ. 25, 21; შეძრწუნდეს მცველნი იგი და იქმნნეს, ვითარცა მკუდარნი: მ. 28, 4; არქუ ქვათა ამათ, რაჲთა პურ იქმნენ: მ. 4, 3.

14. იყო იგი მდიდარ ფრიად: მ. 19, 22; რომლისა თანა იყო სული არა-წმიდაჲ: მრ. 5, 2; უქუეთუმცა შვილ-ნი აბრაჰამისნი იუვენით: ი. 8, 39; უქუეთუმცა სოფლისაგანნი იუვენით: ი. 15, 19.

15. წმიდაო გრიგოლ საკვრელო-მოქმედო, შენდა შევედრებული მკე-ვალი შენი საპაქდუხტ დაძცევ ყოველისაგან ბოროტისა: საპაქდუხტის წარწერა (ისტ. ქრ. 1, 2); ვევედრნეთ ღმერთსა, რაათა მოგვკლინოს ჩუენ შიში მისი, რაათა დავიცვნეთ გონე-ბანი და ასონი ჩუენნი სიწმიდით: სწავ. 142, 7.

15. დავიცევ ქალწულადვე: სინ-174, 11; მშუდობით განვერი და უვენებულად დავიცევ ლოცვითა მის ხერისაათა: ლიმ. 19, 20; ვიდოდე ყოველსა ჰასაკსა ქრისტშსსა და ძაღრითა მისითა უბიწოდ დაიცევ: მრავ. 301, 17; ვევედრნეთ ღმერთსა, რაათა... დავიცვნეთ ცოდვისაგან: სწავ. 142, 7.

10. მიეცა. ამნაირი ფორმა საერთო აქვთ, ერთი მხრივ, მოქმედებითი გვარის ზმნებს II თურმეობითში, მეორე მხრივ, ენიან ვნებითებს წყვეტილში. ორივე სახის ფორმები ასე დალაგდება სამსავე სერიაში:

ა წ მ ყ ო

მოქმ. გვ.	მისცემს	იგი მას მას
ვნ. გვ.	მიეცემის	იგი მას

წ ყ ვ ე ტ ი ლ ი

მოქმ. გვ.	მისცა მან მას იგი.
ვნ. გვ.	მიეცა იგი მას

II თ უ რ მ ე ო ბ ი თ ი

მოქმ. გვ.	მიეცა	მას იგი მისთვის (მისდა)
ვნ. გვ.	მისცემოდა	იგი მას.

პირველ შემთხვევაში (მიეცა მას იგი მისთვის) შინაარსით წინ წამოწეულა და ქვემდებარედ გვევლინება მას: მას მიეცა იგი მისთვის (Оказалось он дан ему то), მეორეში — იგა: იგი მიეცა მას (то было дано ему). მაშასადამე, აქამ მსგავს ფორმათა გასარჩევად კონტექსტის შინაარსი უნდა გამოვიყენოთ. მეორე მხრივ, შეიძლება ასეთი ხერხის მოშველიება: საზიარო ფორმა გადმოვიყვანოთ I სერიაში, მაგალითად, აწმყოში, და აქ ადვილად გამოვიცნობთ, თუ რომელ მწკრივს უნდა მივაკუთვნოთ იგი. თუ, მაგალითად, მიეცა ფორმამ აწმყოში ნოგვეცა მისცემს, ჩანს, იგი II თურმეობითისა ყოფილს, ხოლო თუ — მიეცემის, მაშინ — წყვეტილისა. მაგრამ საბოლოო ანგარიშით აქაც კონტექსტის შინაარსი წყვეტს საკითხს. აი რამდენიმე ნიმუში:

II. თურმეობითი

წყვეტილი

1. ილოცა მისთვის და აკურთხა კურთხეული იგი კაცი, რამეთუ მღიდრად მიეცა ყოველივე უხუებით: აგარაკნი თავისუფლებით და საქონელი მრავალფერი, 233, 1 (აწმყო: მისცემს).

1. რომელსა მიეცა დიდად, დიდად: ცა იძიოს მისგან, ლ. 12, 48; რამათვს ნელსაცხებელი ესე არა განიყიდა სამსის ღრაქნის და მიეცა გლახაკთა, ი. 12, 5 (აწმყო: მიეცემის).

2. აღდგო თავი თვის და ესციდა იგი ძალსა თჳსსა, 167, 31 (აწმყო: აღიღებ ს).

3. უკუეთუმცა ღმრთეებაჲ კორცი-თა არა დაეფარა, კაციმცა ვერ მიე-ახლა ღმერთსა, 168, 19 (აწმყო: დაჰფარავ ს).

4. და ვიდრე მოსლვადმდე მისა ტფილისს სიონი განეშორა [დაემთავრებინათ, დაესრულებინათ] მკვდრთა, 269, 27 (აწმყო: განიშორებენ).

5. შემძლებელ იქმნა მოკლვად ჰაზაშისა მის, რომელი დაეტევა მათ თანა: 215, 15 (აწმყო: დაუტევენ ს).

6. დაფუო სამეოც და ათცამეტი წელი ქუაბსა შინა: 206, 33 (აწმყო: დაჰყოფ ს).

2. მეცსეულად აღდგო პირი მისი და ენაჲ, ლ. 1, 64 (აწმყო: აღელე-ბის).

3. იხილა დედაკაცმან მან, რამეთუ არა დაეფარა, ლ. 8, 47 (აწმყო: დაეფარებ ის).

4. განეშორა [= განშორდა, მოსცილდა] მას განბოკლებამ იგი, მრ. 1, 42 C (აწმყო: განეშორებ ის).

5. შეაჭრებდეს მას, რამთამცა მიპრიდა და დაემალა: 190, 28 (აწმყო: დაემალებ ის).

6. ამან ინება წარმოსლვად თჳსი აჲა ერისმთავრისა მის ნერსეს თანა და შეიფუო იგი მსახურად მისა: 185, 5 (აწმყო: შეეყოფ ის).

11. გზავნიხ. ი თემის ნიშნიანი ზმნების ერთი ჯგუფი აწმყოსა და II ხოლმეობითში ემთხვევა ერთმანეთს. ეს ის ზმნებია, რომელთა ფუძეც არ იკუმშება არც პირველ სერიაში, არც მეორეში (გზავნის იგი მას — გზავნის მან იგი), ან ორივეგან იკუმშება (განჰქსნის იგი მას — განჰქსნის მან იგი. შდრ. განეჰქსენ, განჰქსენ).

ამ მწკრივებში უღლებიასა გვექნება:

აწმყო

ვ-გზავნი	გან-ვ-ჰ-ქსნ-ი	მე მას (მათ)
ჰ-გზავნი	გან- ჰ-ქსნ-ი	შენ მას
გზავნი-ის	გან- ჰ-ქსნ-ის	იგი მას
ვ-გზავნი-ით	გან-ვ-ჰ-ქსნ-ი-თ	ჩუენ მას
ჰ-გზავნი-ით	გან- ჰ-ქსნ-ი-თ	თქუენ მას
გზავნი-იან	გან- ჰ-ქსნ-ი-ან	იგინი მას

II ხ.

ვ-გზავნი-ი	გან-ვ-ჰ-ქსნ-ი	მე იგი
ჰ-გზავნი-ი	გან- ჰ-ქსნ-ი	შენ იგი
გზავნი-ის	გან- ჰ-ქსნ-ის	მან იგი
ვ-გზავნი-ით	გან-ვ-ჰ-ქსნ-ი-თ	ჩუენ იგი
ჰ-გზავნი-ით	გან- ჰ-ქსნ-ი-თ	თქუენ იგი
გზავნი-იან	გან- ჰ-ქსნ-ი-ან	მათ იგი.

ბოლო • პირველ შემთხვევაში თემის ნიშანია (გან-ჰ-ჰსნ-ი-ს იგი მას), მეორეში — მწკრივის ნიშანი (განჰ-ჰსნ-ი-ს მან იგი). განსხვავებას სინტაქსი ამყარებს: ი გ ი მ ა ს ფორმულით (განჰჰსნის იგი მას) აწმყო გვაქვს, ხოლო მ ა ნ ი გ ი ფორმულით — II ხოლმეობითი (განჰჰსნის მ ა ნ ი გ ი). მაგრამ ეს კრიტერიუმი ზმნის ფორმის გარეთ არსებობს. თვით ფორმაში განსხვავება არაა. ეს კია, რომ საერთოდ ძველი ქართული ზმნები II სერიის ფორმებში (რამდენადმე I სერიაშიც) უზმნისწინოდ ძალიან იშვითად იხმარება, ხოლო ზმნისწინის დართვისას მათ შორის უმეტეს შემთხვევაში (ორპირიან გარდამავალ ზმნებში) ფორმალური განსხვავებაც მყარდება: აწმყოს ფორმებს (საერთოდ I სერიის მწკრივების ფორმებს) უჩნდება ობიექტური ნიშანი, ხოლო II ხოლმეობითს (საერთოდ II სერიის ფორმებს) ეს ნიშანი, როგორც ცნობილია, არა აქვს. ამიტომ ამ შემთხვევაში გვექნება:

აწმყო		II ხ.	
წარ-ვ-ჰ-გზავენ-ი	მე მას (მათ)	წარ-ვ-გზავენ-ი	მე იგი
წარ- ჰ-გზავენ-ი	შენ მას	წარ-ჰ-გზავენ-ი	შენ იგი
წარ- ჰ-გზავენ-ი-ს	იგი მას	წარ- გზავენ-ი-ს	მან იგი
წარ-ვ-ჰ-გზავენ-ი-თ	ჩუენ მას	წარ-ვ-გზავენ-ი-თ	ჩუენ იგი
წარ- ჰ-გზავენ-ი-თ	თქუენ მას	წარ-ჰ-გზავენ-ი-თ	თქუენ იგი
წარ- ჰ-გზავენ-ი-ან	იგინი მას	წარ- გზავენ-ი-ან	მათ იგი

ასივი გვიქნება

უ ზ მ ნ ი ს წ ი ნ ო ლ

აწმყო		II ხ.	
ვ-მკ-ი	ვ-ჰრ-ი	ვ-მკ-ი	ვ-ჰრ-ი
ჰ-მკ-ი	ს-ჰრ-ი	ჰ-მკ-ი	ს-ჰრ-ი
მკ-ი-ს	ჰრ-ი-ს	მკ-ი-ს	ჰრ-ი-ს
ვ-მკ-ი-თ	ვ-ჰრ-ი-თ	ვ-მკ-ი-თ	ვ-ჰრ-ი-თ
ჰ-მკ-ი-თ	ს-ჰრ-ი-თ	ჰ-მკ-ი-თ	ს-ჰრ-ი-თ
მკ-ი-ან	ჰრ-ი-ან	მკ-ი-ან	ჰრ-ი-ან

ზ მ ნ ი ს წ ი ნ ი თ

აწმყო		II ხ.	
მო-ვ-ჰ-მკ-ი	გან-ვ-ს-ჰრ-ი	მო-ვ-მკ-ი	გან-ვ-ჰრ-ი
მო- ჰ-მკ-ი	გან- ს-ჰრ-ი	მო-ჰ-მკ-ი	გან-ს-ჰრ-ი
მო- ჰ-მკ-ი-ს	გან- ს-ჰრ-ი-ს	მო-მკ-ი-ს	გან- ჰრ-ი-ს
მო-ვ-ჰ-მკ-ი-თ	გან-ვ-ს-ჰრ-ი-თ	მო-ვ-მკ-ი-თ	გან-ვ-ჰრ-ი-თ
მო- ჰ-მკ-ი-თ	გან- ს-ჰრ-ი-თ	მო-ჰ-მკ-ი-თ	გან-ს-ჰრ-ი-თ
მო- ჰ-მკ-ი-ან	გან- ს-ჰრ-ი-ან	მო-მკ-ი-ან	გან- ჰრ-ი-ან

სრული დამთხვევა იქნება აგრეთვე ირიბობიექტიან ზმნებში, რომლის ნიმუშიც ზემოთ არის მოყვანილი (გ ა ნ ჰ ჰ ს ნ ი ს ი გ ი მ ა ს და გ ა ნ ჰ ჰ ს ნ ი ს მ ა ნ

იგი), ხოლო უზმნისწინო ფორმების ტიპური ნიმუშია ვ-ჰ-ხალ-ი, ჰ-ხალ-ი, ჰ-ხალ-ი-ს, ვ-ჰ-ხალ-ი-თ, ჰ-ხალ-ი-თ, ჰ-ხალ-ი-ან — ორივე მწკრივისათვის.

უზმნისწინოდ გამოყენებისას განსხვავება იქნება ს ტ ა ნ ჯ ა ე ს ტიპის ზმნებში, როგორც არის ს ტ კ ე ბ ნ ი ს, მაგალითად:

აწმყო	II ს.
ვ-ს-ტკებნ-ი	ვ-ტკებნ-ი
ს-ტკებნ-ი	ს-ტკებნ-ი
ს-ტკებნ-ი-ს	ტკებნ-ი-ს
ვ-ს-ტკებნ-ი-თ	ვ-ტკებნ-ი-თ
ს-ტკებნ-ი-თ	ს-ტკებნ-ი-თ
ს-ტკებნ-ი-ან	ტკებნ-ი-ან

დასასრულ, ჩამოთვლით გ ზ ა ე ნ ი ს ტიპის უმთავრეს ზმნებს, რომლებშიც დამთხვევა გვაქვს: გრაგნის, ვარცხნის, პლოშნის, რყუნის, რცხის, ფხურის, ქენჯნის, ყიდის, ცოხნის, ჰხადის, კრწნის.

12. განვწმიდენ. ძველ ქართულში პირდაპირი ობიექტის მრავლობითობას II სერიის ფორმებში აღნიშნავს ენ სუფიქსი, რომელიც შეიძლება შეიკუმშოს, თუ მას ხმოვნით დაწყებული სუფიქსი დაერთო: გან-ვ-ა-მტკიცი-ენ (მე იგინი), გან-ა-მტკიცი-ენ, გან-ა-მტკიცი-ა. ეგვე ენ სუფიქსი აწარმოებს ნასახელარი ზმნების ვნებითს (თუ მათი ფუძე ნარნარა ბგერებით არ თავდება): გან-ვ-მტკიცი-ენ (მე გაემტკიციდი, გაემგარდი), გან-ჰ-მტკიცი-ენ, გან-მტკიცი-ა. ჩვეულებრივ მოქმედებითისა და ვნებითის ასეთი ფორმები ერთმანეთს არ ემთხვევა, რადგან მოქმედებითს, როგორც წესი, ფუძის წინ ა ხმოვანი აქვს (საარვისო ქცივის ნიშანს რომ ეძახიან), ხოლო ვნებითს — არა/ ჰდრ.

გან-ვ-ა-მტკიცი-ენ	მე იგინი
გან- ა-მტკიცი-ენ	შენ იგინი
გან- ა-მტკიცი-ა	მან იგინი,

მაგრამ:

გან-ვ-მტკიცი-ენ	მე
გან-ჰ-მტკიცი-ენ	შენ
გან- მტკიცი-ა	იგი

ძველ ქართულში არის ერთადერთი ზმნა, რომლის ენ სუფიქსიანი ვნებითიც სრულწოდ ემთხვევა მოქმედებითის ფორმებს, რომლებშიც პირდაპირი ობიექტის მრავლობითობაა ასახული. ეს არის ძველისძველი ზმნა განწმედა. დამთხვევა ხდება II სერიის ყველა მწკრივში. რამდენადაც ეს ზმნა ორივე გვარის ფორმით ძალიან ხშირად იხმარება, ამიტომ ფორმების დამთხვევაც ხშირია.

აი ეს ფორმებიც:

მოქმ.

ვნებ.

წყვეტილი

გან-ვ-წმიდ-ენ	მე	იგინი	გან-ე-წმიდ-ენ	მე
გან-ს-წმიდ-ენ	შენ	„	გან-ს-წმიდ-ენ	შენ
გან- წმიდ-ნ-ა	მან	„	გან- წმიდ-ნ-ა	იგი
გან-ვ-წმიდ-ენ-თ	ჩუენ	„	გან-ე-წმიდ-ენ-თ	ჩუენ
გან-ს-წმიდ-ენ-თ	თქუენ	„	გან-ს-წმიდ-ენ-თ	თქუენ
გან- წმიდ-ნ-ეს	მათ	„	გან- წმიდ-ნ-ეს	იგინი

II ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ ი

გან-წმიდ-ენ	შენ	იგინი	გან-წმიდ-ენ	შენ
გან-წმიდ-ენ-ი-ნ	მან	„	გან-წმიდ-ენ-ი-ნ	იგი
გან-წმიდ-ენ-თ	თქუენ	„	გან-წმიდ-ენ-თ	თქუენ
გან-წმიდ-ნ-ელ	მათ	„	გან-წმიდ-ნ-ელ	იგინი

II ხ ო ლ მ ე ო ბ ი თ ი

გან-ე-წმიდ-ნ-ი	მე	იგინი	გან-ე-წმიდ-ნ-ი	მე
გან-ს-წმიდ-ნ-ი	შენ	„	გან-ს-წმიდ-ნ-ი	შენ
გან- წმიდ-ნ-ი-ს	მან	„	გან- წმიდ-ნ-ი-ს	იგი
გან-ე-წმიდ-ნ-ი-თ	ჩუენ	„	გან-ე-წმიდ-ნ-ი-თ	ჩუენ
გან-ს-წმიდ-ნ-ი-თ	თქუენ	„	გან-ს-წმიდ-ნ-ი-თ	თქუენ
გან- წმიდ-ნ-ი-ან	მათ	„	გან- წმიდ-ნ-ი-ან	იგინი

II კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი

გან-ე-წმიდ-ნ-ე	მე	იგინი	გან-ე-წმიდ-ნ-ე	მე
გან-ს-წმიდ-ნ-ე	შენ	„	გან-ს-წმიდ-ნ-ე	შენ
გან- წმიდ-ნ-ე-ს	მან	„	გან- წმიდ-ნ-ე-ს	იგი
გან-ე-წმიდ-ნ-ე-თ	ჩუენ	„	გან-ე-წმიდ-ნ-ე-თ	ჩუენ
გან-ს-წმიდ-ნ-ე-თ	თქუენ	„	გან-ს-წმიდ-ნ-ე-თ	თქუენ
გან- წმიდ-ნ-ე-ნ	მათ	„	გან- წმიდ-ნ-ე-ნ	იგინი

13. უპყრიეს. სტატიკური ვნებითის ფორმები „უპყრიეს, ჰმოსიეს“ და სხვანი ემთხვევა მოქმედებითი გვარის პირველი თურმეობითის შესატყვის უზმნისწინო ფორმებს, რომლებიც ძალზე იშვიათად გვხვდება. მათ შორის განსხვავების დადგენა სწორედ ამ ზმნისწინზეა დამოკიდებული: ჩვეულებრივ უზმნისწინო ფორმები სტატიკური ვნებითის აწმყოა (უპყრიეს), ხოლო ზმნისწინიანნი — სათანადო მოქმედებითის I თურმეობითი (დაუპყრიეს);

აწყყო (სტატ. ვნ.)

1. ყოველთა ვითარცა წინაწარმეტყუელი უპყრიეს იოვანე: მ. 21, 26; უპყრიეს მათ მღვდელთ მოძღვრება მღვდელთა მათთაჲ: მრ. 7, 3 C; თუალთა წინაშე უპყრიეს დღმ იგი მომავალი საშინელი: საკ. წიგ. II, 4, 32.

2. ჰმოსიეს მას ძაძაჲ: სინ. 80, 38; ჰმოსიეს სამოსლები სპეტაკები: გამოცხ. 7, 13; სამოსელი რაჲ ბრწყინვალმ ჰმოსიენ: სინ. 9; 15; რომელი ჰმოსიენ მას: საკ. წიგ. II, 63, 34; ჰმოსიედ მას სელისა სამოსელი: სინ. 55, 12; სახმ, რომელი ჰმოსიედ მოძღუართა, იგივე შეიმოსიან მოწაფეთა: Sin. 36, 26 b, 5; სამოსელი... რომელა ჰმოსიედ მეფეთა: Sin. 11, 390v, 3 ქვ.; რომელ ჰმოსიედ სამოსელი იგი: თუალთ. 72, 31; ვითარცა მოძღვრებაჲ მისი, ეგრე ჰმოსიედ: უდაბნ. 36 ra.

I თურმ. (მოქმ.)

1. რაჲსათჳს ქუეყანაჲცა დაუპყრიეს უქმად: ლ. 13, 7.

2. სამოსელი შეურაცხი, საესმ ბაყლითა, შეუმოსიედ: Sin. 35, 151 rb, 3; ცოდვითა განსძარცუს, რომელი შეუმოსიედ: ბალ. 7, 27; რომელსა-იგი შეუმოსიეს სტევისა აქლემისაჲ: სინ. 208, 3.

ერთმანეთს ემთხვევა აგრეთვე ავიანი სტატიკური ენებითისა და შესატყუესი მოქმედებითის აწყყოს ფორმები:

ვნ.

მოქმ.

მოვედ შენ საფლავს ჩემსა, სადა ვმმარხავ, და მიიღე ქელით-წერილი შენი: Sin. 36, 491 a, 2; ლიბ. 83, 4 S. ♣. ვმმარხავ აქ არის: ემარხივარ, დამარხული ვარ. სრულად ამნაირი სტატიკური ენებითია „ვეფხისტყაოსნის“ ჰრგავს 599-ე სტროფში (1957 წ. ვამოც.):

რამან შექმნა მოყვითანოდ, ვარდ-გიშერი რომე ჰრგავსო? ჰრგავს — დარგულია, მორგულია.

(და)ვმმარხავ მოქმედებითად ხშირად იხმარება ძველ ქართულ ძეგლებში. მისი მნიშვნელობა: ვიცავ, ვინახავ, მაგალითად: სულ-გრძელ ვიქმენ თქვენ ზედა და დაგმარხენ დღესისა: საკ. წიგ. II, 82, 30 — დღემდე შეგინახეთ, დაგიცავით; მე კუალადცა სულ-გრძელ ვიქმენ თქვენ ზედა და დაგმარხენ თქვენ მოწყალებით: იქვე, 83, 18 — შეგინახათ, დაგიცავთ.

14. წერენ. უთემისნიშნო ზმნები, რომელთაც აგრეთვე ზმნისწინი არა აქვთ (ამ შემთხვევაში), ემთხვევიან ერთმანეთს აწყყოს მესამე პირის მრავლობითში, II პირის II ბრძანებითში (როცა პირდაპირი ობიექტი მრავლობითში იგულისხმება) და III პირის II ბრძანებითში (როცა პირდაპირი ობიექტი მხოლოდითშია). თავისთავად იგულისხმება, რომ ასეთ ზმნებს წყვეტილის მწყკრივის ნიშნად აქვთ სუფიქსი ე. ამის ტიპური მაგალითია წერენ: 1. იგინი მას წერენ (აწყყო),



2. წერენ შენ იგინი (II ბრძანებითი მეორე პირისა) და 3. წერენ მან იგი (II ბრძანებითი მესამე პირისა).

რატომ უეჭველად უთემისნიშნო ზმნები? იმიტომ, რომ აქ საზიარო ფორმები პირველსა და მეორე სერიას ეხება, მაშასადამე, თემის ნიშნის ჩამოცილებამ II სერიაში ფუძეთა დამთხვევას ხელი არ უნდა შეუშალოს.

რატომ უეჭველად უზმნისწინო ზმნები? იმიტომ, რომ ზმნისწინის დართვასთან ერთად ზმნას I სერიაში (მაშასადამე, აწმყოშიც) ობიექტის ნიშანიც უჩნდება, ეს ნიშანი კი არა გვაქვს II სერიის მწკრივებში, რის გამოც ვერ მივიღებთ დამთხვევას.

პირველ შემთხვევაში ფუძეს დამატებული ეს სუფიქსი გამოხატავს III სუბიექტურ პირს მრავლობითში, მეორე შემთხვევაში იგივე ეს სუფიქსი პირდაპირი ობიექტის მრავლობითობას აღნიშნავს, ხოლო მესამეში ეს ეს იშლება: ე წყვეტილის მწკრივის ნიშანია (წყვეტილს ეყრდნობა II ბრძანებითი), ხოლო წ—მესამე სუბიექტური პირისა, რომელსაც ამ შემთხვევაში ბრძანებითის გამოხატვა აკისრია.

ჩვეულებრივ აქ ორპირიანი გარდამავალი ზმნები შემოდინან. მაგრამ შესაძლებელია აგრეთვე იმათ სამპირიანებიც შემოეკედლონ (ასეთი ცოტაა). მაშინ მათ ზმნისწინი ექნება თუ არა, ამას არა აქვს მნიშვნელობა: ირიბი ობიექტის ნიშანი ზმნას ყველგან აქვს — პირველ სერიაშიც და მეორეშიც. ასეთია, მაგალითად, სთხოვენ ან მოხთხოვენ: 1. სთხოვენ (მოხთხოვენ) იგინი მას მას (აწმყო), 2. სთხოვენ (მოხთხოვენ) შენ მას იგინი (II ბრძ. II პ.) და 3. სთხოვენ (მოხთხოვენ) მან მას იგი (II ბრძ. III პ.).

ახლა ვუჩვენოთ ამ ტიპის ზოგი ზმნის მაგალითები ტექსტებიდან:

აწმყო	II ბრძ. II პ.	II ბრძ. III პ.
1. ძრიელნი წერენ სიპართლესა: იგავ. 8, 15 პარ;	1. მოყუასო, წერენ ეპისტოლენი ესე.	1. ყოველმან კაცმან წერენ ცხორებად თვისი.
2. (მოწაფენი) შეგინებულთა კელითა ჭამენ პურსა: მრ. 7, 5; ჰოწაფენი შენნი ჭამენ და სუმენ: ლ. 5, 33; რომელნი მარხვათა ყველსა ჭამენ: კიმ. I, 297, 24; ჭამენ ყველსა და კუერცხსა: იქვე, 297, 20; რომელნი ჭამენ კორცსა ღორისასა: ესაია 65, 4; რომელნი ჭამენ ტაბლისაგან საძეუფოჲსა: დან. 1, 13.	2. მეგობარო, ჭამენ სხალნი ესე; ჭამენ პური ჩუენნი და სუღვრაჲ; ჭამენ ზეთისხილნი ესე და სხუანი ხილნი; ასულო, მიიღე საზრდელი ესე ტაბლისაგან ჩუენისა, ჭამენ კორცნი და თევზნი მწუარნი.	2. რომელსა ჰმშობის, ჭამენ საჭმელი ესე; საწყალობელმან კაცმან ჭამენ პური და სუნწყალი და დაწვეინ და დაიძინენ; უკუეთუ ვისმე ჰმშობდის, წარედინ სავაჲროდ და იყიდენ პური და ხაჭუაჲ და მიიღენ მალედ სახიდ თვისა და ჭამენ და განძიდინ და განისუენენ.

ამგვარადვე იქნება ნაწარმოები ზემოთ აღნიშნული სამი მწკრივის თანხვლენილი ფორმები შემდეგი ზმნებიდანაც:

აწმყო	II ბრძ. II პ.	III ბრძ. III პ.
იგინი მას (მას)	შენ (მას) იგინი	მან (მას) იგი
ბანენ	ბანენ	ბანენ
დაპბანენ	დაპბანენ	დაპბანენ
(მო)სთხოვენ	(მო)სთხოვენ	(მო)სთხოვენ
კაფენ	კაფენ	კაფენ
მოპკუეთენ	მოპკუეთენ	მოპკუეთენ
კუეცენ	კუეცენ	კუეცენ
ლეწენ	ლეწენ	ლეწენ
პოხენ	პოხენ	პოხენ
პრეკენ	პრეკენ	პრეკენ
ტეხენ	ტეხენ	ტეხენ
ქსოვენ	ქსოვენ	ქსოვენ
ძოვენ	ძოვენ	ძოვენ
ჰედენ	ჰედენ	ჰედენ
ხუეტენ	ხუეტენ	ხუეტენ
კოცენ	კოცენ	კოცენ

არის კიდევ საზიარო ფორმების სხვა შემთხვევები, როგორც, მაგალითად: ჰყოფდით (უწყევ.) და ჰყოფდით (I ბრძ.), დაიტევოს (II კავშ.) და დაიტევოს (III კავშ.), დაუშალავს (იგი მას მას — აწმ.) და დაუშალავს (მას იგი მისდა — I თურმ.) და ზოგი სხვა, მაგრამ ამნაირი შემთხვევები (გარდა პირველისა) ისე გავრცელებული არაა, როგორც ზემოთ განხილულნი, და ახლა შეიძლება აქ მათზე ცალკე არ ვიმსჯელოთ.

როგორც ვნახეთ, ეს საზიარო ფორმები ძველ ქართულში ძალზე გავრცელებულია. გარეგნულად ერთი და იგივე ფორმა ზიარი აქვთ სულ სხვადასხვა მწკრივის, კილოს, გვარის, რიცხვისა და პირის ზმნებს. ამიტომ მათში გარკვევა და ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში მათი სწორი ანალიზი და დაფასება ძველი ქართული ენის შემსწავლელთათვის პირველი რიგის პრაქტიკული ამოცანაა. ამ ამოცანის სათანადოდ გადაწყვეტას ისინი (შემსწავლელნი) ძველი ქართული ენის ტექსტებზე ბეჭითი მუშაობითა და წმიერი ვარჯიშით მიაღწევენ.

## 10. მწარნივების ნიშნუხეზი

### პირველი სერია

#### I. ანთო

ძველ ქართულში ზმნისწინიანი და უზმნისწინო ფორმები ორივე აწმყო. აწმყო აგრეთვე ისეთი ფორმები, როგორცაა: ვიტყვ, იტყვ, იტყვს... ვეიტყვ, ეიტყვ, ეიტყვს... ვიცო, უწყო.

#### 1. უზმნისწინო ფორმები

ჰკითხა კაცმან მან: ვის ეძიებ? ხოლო მან ჰრქუა მას: ძმათა ჩემთა ვეძიებ, მითხარ მე, სადა აძოვებენ? დაბ. 37, 15—16. ყოველივე, რაა არს, მომცა კელთა ჩემთა და არარაათ ვინ მმატს სახლსა ამას შინა და არცა გარეშე, დაბ. 38, 8—9. რავდენი ეგულე ბის ღმერთსა ყოფად, უჩუენა ფარაოს, დაბ. 41, 25. არა გვეტყოდეა თქუენ და გარქუ: ნუ ავენებთ ძმასა მაგას ჩუენსა? და არ ისმინეთ ჩემი და აწესერა იძიებ ბის სისხლი მისი, დაბ. 42, 22. ანუ არა ძმანი შენნი მწყესიანა სკექმს? დაბ. 37, 12. ხოლო აწ ნუ სძრწით, ნუცა ფიცხელ გიჩს თქუენ, დაბ. 45, 5. შთამოვედ ჩემდა და ნუ ჰყოენი, დაბ. 45, 9. იგი უფლებს ყოველსა ქუეყანასა ეგვპტისასა. დაბ. 45, 26. და მოუქდა მას მენავედ იგი და ჰრქუა: რაჲსა სძე და ხურიონაე? იონა 1, 6. ხოლო მან ჰრქუა მათ: მონაჲ უფლისაჲ ვარი მე და უფალსა ღმერთსა ცათასა ემსახურებ, იონა 1, 9. კაცი და საცხოვარნი და ზროხაჲ და ცხოვარი ნურას გემოსა იხილვენ, ნუცა წყალსა სუმენ, იონა 3, 7. და ჰრქუა უფალმან იონას: შენ ერიდები აყიროსა და სწყალობ, იონა 4, 10. და აწ მე მაიძულე ბთ ამას ყოფად? 149, 17. ხოლო მაგას ვერეჰყოფ, 140, 29. სამკაული ესე ამას ცხოვრებასა არღარად შექმარებ ბის. ხოლო მე ვარქუ: ნურას ისწრაფი, იყოს შენ თანა. და ჩუენლა ამას განვიზრახვედით, მოვიდა ყრმაჲ ერთი და თქუა: იაკობ მანდა არსა? და მე ვარქუ, ვითარმედ: რა გინებს? და მან მრქუა: უწყესს პიტიახში. და მე დამიკვრდა, თუ რაჲსა-მე მიწესს ამას ეამსა? 151, 24—29. წმიდამან შუშანიკ მრქუა მე: კეთილისა ამისთვის სტირა, ხუცეს? 153, 40. რაჲსა მეზურერეთა და ცოდვილთა თანა ჰქამთ და ჰსუამთ? და ესმა ესე იესუს და ჰრქუა: არა ჰუქმს ცოცხალთა მკურნალი, არამედ სნეულთა. რაჲსთვის მოაწაფენი იოვანსსნი და ფარისეველნი იმარხვენ და მოწაფენი შენნი არა იმარხვენ? მრ. 2, 16—18 Z. ჩუენსა რჩულსაცა ჰგმობს და ჩუენ გუაგინებს, 161, 3. ვევედრებ ბით შენსა მაგას უფლებასა, სათხოველსა ერთსა გთხოვთ, 163, 32. მოვალთ თქუენ თანა, არას ვიურავით,

არცა გუეეშინის, 164, 22. შენ ვინაა ხარ. ანუ რომლითა რჩულითა სცხონდები? 165, 14. ნუ კაც-კკლავ, ნუ იპარავ, ნუ ისიძავ, ნუ გული გითქუამს ცოლსა მოყუისსა შენისასა, ნუ ცილსა ჰფუცავ, ნუ ცილსა სწამებ, ნუ ორსა სიტყუასა იტყვ, 167, 9. რამეთუ ყოველი რომელი ხითხოვს, მიიღის, და რომელი ხეძიებს, პოვის, და რომელი ხირეკს, განხელის, მ. 7, 8 Y. განიცადენით ყორზნი, რამეთუ არა სთესეენ, არცა მკიან, რომელთა არა აქუს საუნჯე. ანუ სადა შეიკრიბონ, და ღმერთი ზრდის მათ, ლ. 12, 24. მისხენ ხუთნი ძმანი, ლ. 16, 28. ანუ ეინ არიან ივინი, რომელნი შენ თანა სხენან? 295, 33. რამეთუ ურებათა შინა დგას და მიახს წარსაწყმედელად მრავალათუს უშჯულოებათა, რომელნი იქმნებიან მას შინა, 295, 25. ძმათა შენთა ჰქონან მოსე და წინაწარმეტყუელნი, ლ. 16, 29. ხოლო ჩუენ ხუესავთ, ვითარმედ ივია, რომელმან იქნეს ისრაელი, ლ. 24, 21 X. რომელთაგან ხესავთ კუალად მოღებასა, ლ. 6, 34 Y. წყალნი იგი მუნვე დიან და ერსა ყოველსა სძინავს, 277, 7. აწ თქუენ რად სდუმით და ჰსხედთ, 2 მეფ. 19, 10. მცნებანი მისნი ჰნებვან ფრიად: ფს. 111, 1.

ვინ ვჰგონიე ერსა ამას? ლ. 9, 18. თქუენ ვინ გგონიე მე? ლ. 9, 20. და შენ ღმერთი ძილსა შინა ნუ გგონიეს, 155, 39. ხოლო მე მასმიეის შენთვის: ვითარ თქვან ჩუენებაა, განჰმარტი იგი, დაბ. 41, 15. არა გასმიესა წერილისაჲ? 265, 34. რომელი ჰგიეს ცხორებად საუკუნოდ, ი. 6, 27. მთანი ოგი მუნვე ჰგიან, 277, 6. არა გმოსიეს სამოსელი ქორწილისაჲ, მ. 22, 12 C. რომელი რჩული გიპყრიეს? 161, 24. აწ ქრისტიანეთა რჩული უპყრიეს, 162, 20.

## 2. ზმნისწინიანი ფორმები

ანუ არა ხუთი სირი განიყიდების ორის დანგის? ლ. 12, 6 C. აჰა ესერა მტუერი რომელი აღეკრა ფერკთა ჩუენთა ქალაქისაგან თქუენისა, განვიყრიოთ თქუენ ზედა, ლ. 10, 11. რაჲ უდიდეს არს: ოქროჲ ანუ ტაძარი იგი, რომელი განსწმედს ოქროსა მას? მ. 23, 17 C. მე აღგიოთქუამ თქუეზ, ლ. 22, 29. ხოლო ივინი უფროას განძლიერდებოდეს და იტყოდეს, ვითარმედ: აღაშფოთებს ერსა და ასწავებს ყოველსა ჰურიასტანსა, ლ. 23, 5. ბრმანი აღიხილვენ, მკელობელნი ვლენან, კეთროვანნი განწმედებიან, ყრუთა ესმის, მკუდარნი აღდგებიან და გლახკთა ეხარების, ლ. 7, 22. შუშანიკ სიკუდილდ კერძო უფრო საგონებელ არს ვიდრე სიცოცხლით, რამეთუ შიშლითა უფროას ხოლო მოკუედების (=კვდება), 153, 30. რომელნი დასწუარავთ კურნაქსა და აქლემსა შთანსთქამთ, მ. 23, 24. რამეთუ დაჰქსავთ სასუფეველსა ცათასა წინაშე კაცთა; თქუენ არა შეხუალთ (=შედიხართ) და არცა შემავალთა უტევებთ შესლვად, მ. 23, 14. მოგვწოდს გალობად საკვრელებათა შენთა: ეტ. VI, 244, 34. მოუწოდს ერთა შესხმად და ქებად: იქვე, 245, 19. ესმა, რამეთუ იესუ წარმოვალს, მ. 20, 30. ხოლო თავსა თვსსა ძედ ღმრთისად გამოაჩინებს, 170, 34. ხოლო მან ხრქუამათ: ნუ განხკრთებოთ, მრ. 16, 6 X. აჰა ჩუენების მხილველი იგი მოვალს (=მოღის), დაბ. 37, 19. ვინაჲ მოხუალ? (=სიიდან მოდიხარ?) იონა

1, 8. ნუ დასთხევთ სისხლსა, კელსა ნუ მიჰყოფთ მის ზედა, დაბ. 37, 22. გამომეც ცოლი ჩემი, რად განმაშორებ ჩემგან? 152, 8. რაოდენთა სასყიდლით დადგინებულთა მამისა ჩემისათა ჰმატს პური და მე აქა სიყმილითა წარვეწყმდები (=ვიღუპები), ლ. 15, 17. რომელი არა შეიკრებს ჩემ თანა, იგი განაბნევს, ლ. 11, 23. რაჟსა შრომასა შეამთხუევთ (=აწუხებთ) დედაკაცსა მაგას? მ. 26, 10. ესე ცოდვილთა შეიწყნარებს და მათ თანა ჰკამს და სუამს, ლ. 15, 2. რომელნი შეჰკამენ სახლებსა ქუჩიეთასა, ლ. 20, 47. ჰხედავ ერსა ამას, რამეთუ შეგაჰირვებენ შენ, მრ. 5, 31. ვითარცა მომაელინა მე მამამან, მეცა წარგაელინებ თქუენ, ი. 20, 21. ეშმაკიცა და გუემორჩალებიან სახელითა შენითა, ლ. 10, 17. ნუ დახშვით, რაჟთა არა დახსიახნეთ, მ. 7, 1 Y. აჰა ეგერა და გუდების თქუენ სახლი თქუენი ოკერი, მ. 23, 38 C: უკუეთუ მე ბელზებულით განეასხამ ეშმაკთა, ძენი თქუენნი რაჟთა განაასხმენ? ლ. 11, 19. რომელნი განიმართლებთ თავთა თვსთა წინაშე კაცთა, ლ. 16, 15. ნუ განიკითხავთ, რაჟთა არა განიკითხნეთ, ლ. 6, 37. რამეთუ ათეულსა აღიღებთ პიტნაკისასა და ტეგანისასა და ყოვლისა მხლისასა და თანა-წარჰკვალთ სამართალსა და სიყუარულსა ღმრთისასა, ლ. 11, 42. ვითარცა-იგი მამაჲ აღადგინებს მკუდართა და აცხოვნებს, ი. 5, 21. ვინ არს ესე, რომელი ცოდვითა მიუტევებს? ლ. 7, 49. რაჲ ვყო, რამეთუ უფალი ჩემი მიმიღებს (=მართმევს) სამნოსა ჩემსა? ლ. 16, 3. ნუ მიხცემთ სიწმიდესა ძალთა, ნუცა დახუგებთ მარგალიტსა თქუენსა წინაშე ღოროთა, მ. 7, 6 Y. აჰა ესერა არს სამი წელი, ვინამთგან მოვალ (=მოვდივარ) და ვეძიებ ნაყოფსა ლელუსა ამას შინა, ლ. 13, 7.

### 8. ვიტყვ, ვიტყვ

ეს ფორმები მწკრივის მიხედვით აწმყოა, ღროის თვალსაზრისით — ახლანდელი (და არა მომავალი, როგორც ახალ ქართულშია). „ვიტყვ“ ამას ნიშნავს: ვამბობ, говорю, „ვეტყვ“ — ამას: ვეუბნები, говорю ему.

ვითარცა მასწავა მე მამამან, მას ვიტყვ, ი. 8, 28. არა თქუენ ყოველთათვის ვიტყვ ამას, ი. 13, 18. რად იტყვ უფალი ჩუენი სიტყუასა მაგას? დაბ. 44, 7. არა ვიცი, რასა იტყვ, ლ. 22, 60. ჩუენდა მომართ იტყვ იგავსა ამას, ანუ ყოველთა მიმართ? ლ. 12, 41. ისმინეთ აწ, რასა-იგი მსაჯული სიცრუეისაჲ იტყვს, ლ. 18, 6. თვთ დავით იტყვს წიგნსა ფსალმუნთასა, ლ. 20, 42. არა წიგნი იტყვსა? ი. 7, 42. რომელი ვიცი, ვიტყვთ, ი. 3, 11. კაცნო ბრძენნო, თქუენ კეთილად იტყვთ, 149, 14. რამეთუ იტყვთ თქუენ ჩემთვს, ვითარმედ: ბელზებულითა განეასხამ ეშმაკთა, ლ. 11, 18. ვითარ უკუე იტყვან თქუენგანნი ვინმე ქრისტესა ძედ დავითისა? ლ. 20, 41.

ჰკჰუა ფარაო იოსებს: მე, ფარაო, გეტყვ (=გეუბნები): თვნიერ შენსა არავინ აღყოს კელი ქუეყანასა ეგვიპტისასა, დაბ. 41, 44. ამისთვის იგავით ვეტყვ მათ, მ. 13, 13. შენ ვითარ მეტყვ (=მეუბნები) მე? ი. 14, 9. მე არას მეტყვა? ი. 19, 10. ანუ ვითარ ხეტყვ (=ეუბნები) ძმასა შენსა: მაყადე და აღმოვიღო წუელი იგი თუალით შენით? მ. 7, 4 Y. რაჲ არს ესე, რომელსა მეტყვს ჩუენ (=გვეუბნება)? ი. 16, 17. გეტყვს შენ მოძღუარი,

ლ. 22, 11. მაყულოვანსა ზედა ვითარ-იგი ღმერთი ეტყვის მას, მრ. 12, 26. რამესა მეტყვთ მე: უფალო, უფალო! და არა ჰყოფთ, რომელსა გეტყვთქუენ? ლ. 6, 46. აჰა ესერა. განცხადებულად იტყვს და არარას ეტყვან (=ეუბნებიან) მას, ი. 7, 26.

#### 4. ვიცი, უწყი

ეს ზმნები შინაარსით აწმყოა (დროის თვალსაზრისით, — ზხლანდელი), ხოლო წარმოშობით — II ხოლმეობითი, რასაც უჩვენებს მათი მორფოლოგიური აგებულება (მწკრივის ნიშნად o აქვთ: ვიცი-ი, იცი-ი, იცი-ის-ს; უწყ-ი, უწყ-ი, უწყ-ის-ს) და სინტაქსური ძალა: სუბიექტს მოთხრობითში შეიწყობენ, ხოლო პირდაპირ ობიექტს — სახელობითში: „იციის კაცმან საქმე“, „უწყის მამამან ქეშმარიტება“. ამას გარდა, პირველ მათგანს (იციის) შეიძლება პირდაპირ ობიექტად 1-ლი და მე-2 პირიკ ჰქონდეს.

გიცი შენ, ვინ ხარ, მრ. 1, 24 C. არა გიცი თქუენ, ვინანი ხართ, ლ. 13, 25. არა ვიცი, რასა იტყვ, ლ. 22, 60. ვიცი ჩემნი იგი და მიციან ჩემთა მათ, ი. 10, 14. არღა ეცივნოს ქათამსა დღეს, ვიდრემდე სამ გზის უვარ-მყო მე, ვითარმედ არა მიცი მე, ლ. 22, 34. რომელსა-ესე მე ვიქმ, არა იცი აწ, ი. 13, 7. ესე არა იცია? ი. 3, 10. მცნებანი იცი, ლ. 18, 20. მიცის მე მამამან, ი. 10, 15. რომელმან იცის ნება უფლისა თვისიად, ლ. 12, 47. გიცი თ შენ, ვინ ხარ, ლ. 4, 34. ვიცი თ, რამეთუ მართალსა იტყვ და ასწავებ, ლ. 20, 21. მეცა მიცი თ და იცი თ, ვინა ვარ, ი. 7, 28. თქუენ უკეთურთა ხიცი თ ნიქისა კეთილისა მიცემა შეილთა მათ თქუენთა. მ. 7, 11 Y. არა იცი თ იგავი ესე? მრ. 4, 13. რამსათვის სიტყუანი ჩემნი არა იცი თ? ი. 8, 43. კაცნი ზედა ვლენ და არა იციან, ლ. 11, 44.

არა უწყი, რასა იტყვ (=არ ვიცი, რას ამბობ), მ. 26, 70 C. აწ უწყი [SiO<sub>2</sub>], რად ეყო, ლ. 16, 4. შენ ხოლო მწირ ხარ იერუსალმეს და არა ხუწყი, რად-ესე ხიქმნა მას შინა ამათ დღეთა, ლ. 24, 18 X. უწყია, რამეთუ ფარისეველთა რად ესმა სიტყუა შენი, დაბრკოლდეს? მ. 15, 12. დღე იგი და უამი არავინ უწყის, მ. 24, 36C. ღმერთმან უწყის გულნი თქუენნი, ლ. 16, 15C. უწყი თ [SiO<sub>2</sub>], რამეთუ ქეშმარიტ ხარ, მ. 22, 16 C. არა უწყი თ [SiO<sub>2</sub>], რასა ითხოვთ, მ. 20, 22 C. მათ უწყიან, რად ვარქუ მათ, ი. 18, 21 C.

#### 5. იმარხვენ, სუმენ

ავიან და აჰიან ზმნებს მესამე სუბიექტური პირის მრავლობითში თემის ნიშნისეული ა ეკუმშებათ.

რამსათვის მოწაფენი იოვანესნი და ფარისეველთანი იმარხვენ და მოწაფენი შენნი არა იმარხვენ: მრ. 2, 18. რომელნი შეჰკამენ სახლსა ქურივთასა და მიზეზით შორად ილოცვენ: ლ. 20, 47 C. ესრე ზრახვენ გულთა მათთა: მრ. 2, 8. ნეტარ არიან თუალნი, რომელნი ჰხედვენ, რომელსა თქუენ ჰხედავთ: ლ. 10, 23. მიხედენით მფრინველთა ცისათა, რამეთუ არა სთესვენ, არცა მკიან: მ. 6; 26. რაოდენ ძნელ არს, რომელნი საფასეთა

ესვენ, შესვლად სასუფეველსა ღმრთისასა: მრ. 10, 24. იცოდა იესუ სულითა თვისითა, რამეთუ დრტვენენ მოწაფენი მისნი ამისთვის: ი. 6, 61.

მოწაფენი შენნი ჰამენ და სუენ: ლ. 5, 33. უკუეთუ მე ბერზებულითა განვასხამ ეშმაკთა, ძენი თქუენნი რაათა განასხმენ: მ. 12, 27. იხილე, რასა ზმენ მოწაფენი შენნი შაბათსა შინა, რომელ არა ჭერ-არს ყოფად: მრ. 2, 24 E.

### 8. შეიყვანებს; აღადგინებს

რამდენიმე ზმნა, რომელთაც ახალ ქართულში თემის ნიშანი არა აქვთ, ძველად ებ თემის ნიშანს დაირთავდა.

ნუ შემიყვანებ ჩუენ განსაცდელსა: მ. 6, 13; ლ. 11, 4. ვითარ-იგი იწრო არს ბქმ და საჭირველ გზად, რომელი მიიყვანებს ცხორებასა: მ. 7, 14. მეფეთა წინაშე და მთავართა მიგიყვანებდენ თქუენ სახელისა ჩემისათვის: ლ. 21, 12 C. ვითარცა-იგი მამად აღადგინებს მკუდართა და აცხოვნებს: ი. 5, 21. ესერა შესძინებენ თაყუანის-მცემელნი შუენიერებასა მათსა: სინ. 259, 4. ელია არა შესძინებდა შენდობასა: სინ. 127, 33. მე მიგავლინებ თქუენ ვითარცა ცხოვართა შორის მგელთა: მ. 10, 16.

### II. აწმარს ხოლმეოებითი

ანუ არა ესე არსა, რომლითა სუამს უფალი ჩემი და იგი ზმნით იზმნინ მაგით? დაბ. 44, 5. ნუ იყოფინ სიტყუსა მაგისებრ მონათა შენთა! დაბ. 44, 7. მკედრ მიმოდასდევენ და მეოტ ჰყოფენ მათ ყოველთა, 159, 12. ხოლო მამასახლისსა უცნ მცირედ პური უცხოთათვის, 203, 31. კმა მათი, ვითარცა კმა ანგელოზისა, მესმინ, 165, 28. ნუ გეწყინებინ და კეთილად მაცნობე, 166, 13. ცეცხლი, ოდეს გვინებ, აღვაგზნით, და, ოდეს გვინებ, დავშრიტით, 173, 22. მსგავს არს იგი კაცსა, რომელი აღაშენებნ სახლსა, ლ. 6, 48. და მათ ძირ, არა უბნ, რომელთა-იგი ეამერთ ჰრწამს და ეამსა განსაცდელისასა განდგიან, ლ. 8, 13. იდევენებინ ეშმაკისა მისგან უდაბნოთა, ლ. 8, 29. ხოლო ამას ზედა ნუ გიხარინ, რამეთუ სულნი უკეთურნი დაგემორჩილებიან თქუენ, ლ. 10, 20. სული იგი არაწმიდაა ეძიებნ განსასუენებელსა და არა პოვის, ლ. 11, 24. რაჟამს საშხრით ქარინ, ლ. 12, 55. ნურად გაქუნ გზასა ზედა, ნუცა ორი სა-მოსელი გაქუნ, ლ. 9, 3. მამად გრიგოლ უმრავლესთა დღეთა შატბერდს იყოფინ, 265, 14. ვითარცა იტყვს პავლე: „რომელი არა შურებოდის, ნუცა-ლა კამნო“, 265, 12. ხოლო გარეშესა მას სიბრძნესა სოფლისასა ჰბას-რობნ, 237, 4. ხოლო მარხვათა ყოველადეე არავის ზრახვან, 207, 11. თითოეული მათი მარტოა სენაკსა იყოფენ და არავინ უწყინ, რასა-იგი იქმნ, 209, 30, ხოლო ნეტარი იგი არა ისმენნ მათსა, ილოცავნ და უღარდილოდ ფსალმუნებნ, 192, 12. სულიწა იხარებნ შს მათსა და მამად იდილებინ და ქველის მოქმედებად ძისად იქადაგებინ, 180, 34. მარადის ისმენნ და იკითხავნ და ისწავებნ, ხოლო რომელთამე წინა-აღუდგებინ, არამედ მიზეზსწავლის ექმნებინ, 185,

26. არამედ ჰმოსიენ მას სელისა სამოსელი, 287, 36. რაჟამს ვაღნ იგი, გინა თუ ზუაობნ, სული ეცის მონადირეთაჲ, 279, 32. დედალსა მას არა აღგნ მუცელი; 282, 14. თითოვეულად თვის მარტული მიიქუნ პირითა, და ცუდთა მათ, რომელთა არა აქუნ, ...არცაღო ჰშურნ, 282, 37. ისუნებნ: იფქლისაჲ-მი არს, ანუ ქრთილისაჲ. თუ ქრთილისაჲ არნ, ივლტინ მიერ და იფქლისასა მას მივიდის, 283, 8. რაჟამს ჰმშიინ და არა პოვის ნადირი ჰამად, მივიდის, პოვის ტბური თიკოვანი, ანუ თუ სადა ბზმ ძენ, ინგორის, 283, 31. რაჟამს შეიძრის ანთრაკი იგი, იმღერინ და ვითარცა ეეუანი ოხრინ და ჰმობნ, 285, 13. ჰბრძავენ ვეშაჰსა მას და კუღოთა ნიჩურთა იფარავენ, 286, 23. მარადის მუქლ-დადგმით დგან და ილოცავენ ღმრთისა მიმართ, მარადის იმუქლავენ ლოცვით, 287, 37. ხოლო ჰურთი იგი ფრიალ აწყინებდა მას და მოვალნ მისა ზედამს-ზედა უწყინოდ და თაყუანის-სცემნ მას და შეეუვრდებინ, ტირინ, ცრემლოვინ, მოეხუევიინ ფერკთა მისთა. აკოცებნ მუქლთა მისთა, ამბორს-უყოფენ კელთა მისთა. ხოლო მსაჭული იგი ჰრისხავენ მას და აგინებნ და განაძებნ მას გარე. არამედ ზინ იგი წინაშე მისსა, აწყინებნ და ეტყვენ მას: მისაჲ მე მოვალისა ჩემისაგან, ბოლნ. 50, 13—20.

ცოდვილნიცა ჰყუარობედ მოყუარეთა მათთა, ლ. 6, 32. ცოდვილნიცა ამას ჰყოფედ, ლ. 6, 33. რამეთუ ცოდვილნიცა ცოდვილთა ხაეასხებედ, ლ. 6, 34 Y. შებორკილიან იგი ჯაჰვთა და საკრველითა და სცევედ, ლ. 8, 29. ემსგავსენით კაცთა მათ, რომელნი მოელიედ უფალსა თვსსა, ლ. 12, 36. მდიდარნი კელმწიფებედ მათ ზედა, მ. 20, 25. მიჰყვიდოთ იგი ისმაიტელთა ამათ, ხოლო კელნი ჩუენნი ნუ მიიყოფიედ მას ზედა, დაბ. 37, 27. რჩული ქრისტიანობისაჲ იციედ კაცთა, 173, 32. ყოველთა საქმეთა მათთა იქმედ სახილველად კაცთა, მ. 23, 5. გული ეტყოდა განძღებად მუცლისა რქისა მისგან, რომელსა-იგი ჰამედ ღორნი, და არავინ სცის მას, ლ. 15, 16. რომელნი მიზეზით განგრძობილად ილოცევედ, ლ. 20, 47. რომელნი ველსა იყვნენ, ნუ შეეღენედ მუნ, ლ. 21, 21. მეფენი წარმართთანი უფლებედ მათ ზედა, ლ. 22, 25. რომელნიმე მათგანი აშინებედ მას და ეტყვენ, 192, 8. კურნებასა რასმე განსთქუმედ ერსა შორის და სამოსელსა და თმასა თავისა მისისასა და ძულსა მისსა განიყოფედ, 196, 6. ხოლო თავადსა კვრიაეკსა სხენედ. იგინი სენაკებსა მათსა 203, 21. რომელმან არა უგულვებელს-ყვის თხოვად, რომელნი ითხოვედ მისგან ყოველითა გულითა, 204, 9. ლოცვასა მათსა არა აქუნდა უბნობაჲ ურჟიერთას, არამედ შიშით დგანედ, ვითარცა ზეცას წინაშე ღმრთისა. და რაჟამს დავითსა იტყვენ, ვიდრე ალილომსა განსრულებამდე მეშქრეთა ვერ იკადრიან მუქლისა აღებაჲ, 252, 18. მღვძარე არიედ თუალნი მისნი, რამეთუ ზეუხილვედ, 280, 1. მესამესა დღესა ინანიედ, თუ რაჲსა მოეწყვდენით მართუენი თვსნი, 281, 8. და ეცის სული იგი ნელი თევზთა და მისღვევედ, 284, 30. სხუაჲ თუ მონადირმ სდევნ, უჩუენის ადგილი იგი. და მონადირემან მან ოდეს იხილის, თუ არა ჰქონედ საურველნი იგი, დაუტევის და წარვიდის მისგან, 286, 3. რამეთუ ჰგონებედ, ვითარმედ მრავლის მეტყუელებითა მათითა ისმინოს მათი ღმერთმან, მ. 6, 7. საბაბტელად ჰხადიედ მათ, კიმ:



11, 204, 37. ისწრაფიედ განკურნებად და მსახურებად მათა, იქვე, 208, 29. თავყანი ს-ს ცემედ და ისწავებედ საკვრველსა მას მოძღვრებასა მისსა და იხარებედ, იქვე, 182, 20. ოდესმე მიემსგავსებიედ ყორანთა, იქვე, 158, 4. და შეეწევი, რომელნი უხრებიედ შშნებასა მის ადგილისასა, იქვე, 169, 23. რომელნი განვიდიან და შექკრებედ მის ადგილისათჳს მანიქსა, იქვე, 172, 10. რომელსა არა ასხედ თუალნი, ესაია 59, 10 (ოშვი).

### III. უწყაბალო

#### 1. ღონიანი ზმნები

ა) ებ, ობ, ი, ოფ, ემ თემისნი შნიანი, უთემისნი შნი  
და ხმოვანმონაცვლე ზმნები

ვიგონებდ დღეთა მათ პირველთა და ვიწურთიდ, ფსალ. 76, 6. და ფრიად ბრწყინვალეებითა მისითა ვერ განვიცდიდ ხატსა მისსა, 294, 8. და ესრტთ მე, ლუკიანე, აღდეგ და ვკმადლობ უფალსა, 297, 14. მოვიხილე ბორცვ ერთი მქუშოვანი, რომელსა შინა ვკგონებდ პოვნებასა მათსა, 299, 28. და ვითხოვედ ღმრთისაგან შეწევნასა, 203, 8. ვეძიებდ ადგილსა, სადამცა დავიძალე, 213, 27. ვტიროლე წარწყმედისა მათისათჳს და და უცხოვებასა ჩემსა ვეგლოვედი, 271, 17. ნეტარ არს მუცელი, რომელმან გიტვრთა შენ, და ძუძუნი, რომელთა სწოვედ, ლ. 11, 27. ვკამდით წინაშე შენსა და ვსუემდით და უბანთა ჩუენთა ზედა გუასწავებდ, ლ. 13, 26. რომელიცა წყობით კელმწიფეთა და იმორჩილებდ, 251, 10. და იტყოდეს: ეპა, რომელი დაკქსნიდ ტაძარსა მას და მესამესა დღესა აღაშენებდ, იესენ აწ თავი თჳსი, მ. 27, 40. ეპა, რომელი და არღუევდ ტაძარსა მას და მესამესა დღესა აღაშენებდ, იესენ თავი თჳსი, მრ. 15, 29--30. და მე ვისწრაფდი გამოსლვად. 151, 22. სენი სნეულეზისაჲ მოიწია მის ზედა, რომელსა-იგი წინააღწარ უღადადებდი და ვეტყოდე, 156, 5. მეცა, ხუტესი დედოფლისა შუშანიკისი, თანა ვჰყვანდი ეპისკოპოსსა მას, 147, 29. ვკმონებდით გულის თქუმასა გულთა ჩუენთასა, 201, 9. ვკგონებდით ჩუენ მოსლვასა ქარისასა, 210, 1. ვიგოდებდით თქუენ, და არა სტიროდეთ, ლ. 7, 32. და ჩუენ ვაყენებდით მას, რამეთუ არა შემოგვდგეს ჩუენ თანა, ლ. 9, 49. და ჩუენ ვადიდებდით ღმერთსა და ვკნატრიდით წმიდასა და სანატრელსა ნინოს, 278, 8.

ჰყოფდა ფარულად კურნებათა მრავალთა, 274, 18. ხოლო წმიდაჲ იგი ასწავებდა და აწუევდა მწრაფლ თავყუანის-ცემასა, 276, 1. წმიდაჲ ნინო ითხოვედა შეწევნასა კაცსა მას ზედა, 275, 22. კმითა მალლითა დაღაღებდა მეფემ და იტყოდა, 275, 33. ვამოხუთარგმანებდა მათ ყოველთაგან წიგნთა მისთჳს, ლ. 24, 27 X. მოილო პური და მიხცემდა მათ, ლ. 24, 30 X. მოხაქუნდა, რაჲ-იგი მოხეზებად სულნელები, ლ. 24, 1 X. ხრქუა მოწაფემან მან პეტრეს, რომელი ხუყუარდა იესუს, ი. 21, 7 Y. იოსებ მწყსი და ძმათა თჳსთა თანა ცხოვართა, დაბ. 37, 2. რომელსა აქუნდა პური საგზლად მამისა თჳსისა, დაბ. 45, 23. და კქონდა მის

თანა ყრმა თვისი, 214, 7. რომელსა საყოფელად ჰაქუნდაჲე საფლავები, მრ. 5, 3 Z. დაადენდა ცრემლთა სუეტსა მას ზედა, 276, 34. მტკუარმან გარდამოხეთქა და წარჰქონდა საშინელად ქალაქი, 276, 37. ნიავი აძრევიდა რტოთა მისთა, 279, 13. ამას უქადებდა, რომელ-იგი არა აქუნდა კელთა შუშანიკისგან, 146, 27. ხოლო წმიდაა შუშანიკ აფუცებდა და ჰკითხვიდა დამტკიცებულად, 147, 8. და რაჲ ვის უქმდა, მიემადლებოდა, რომელსა მოსცემდა მას კაცთ-მოყუარე ღმერთი, 154, 20.

განრისხნეს მის ზედა და იღრქენდეს კბილთა მათთა, 296, 23. რამეთუ იებოსელთა ნათესავნი იყვნეს, ყოველსა კორციელსა ჰამდეს, და სამარჲ მათი არა იყო: მკულარსა შეუჰამდეს, 267, 20. ხოლო ნეტარსა მას სხუანიცა მრავალნი აქუნდეს მოწაფენი, 219, 2. ჰგონებდეს ივინი, ვითარმედ მეყსეულად გამოჩნდეს სასუფეველი ღმრთისაჲ, ლ. 19, 11. იგი კაცნი ნოსაკლავად შეჰგვანდეს, 164, 1. სამოელ და იოვანე-ეპისკოპოსნი მადლობით წარჰგზავნიდეს ნათესადგურისა მის მიმართ ქრისტესისა, 158, 30. თხოვნასა ერთსა ითხოვდეს მისგან ყოველნი იგი ეპისკოპოსნი, 158, 36. სიმრავლჲ ურიცხვ... ტიროდეს და იქაქდეს დაწუთა მათთა და საწყალობელად დასთხევდეს ცრემლთა მათთა წმიდისა შუშანიკისთვის, 153, 4. ხოლო მესათხველენი იგი გამოვიდეს ნავისა მისგან და განჰრცხიდეს ბადეთა, ლ. 5, 2. რაოდენ იგი ჰამცნებდა მათ, ივინი უფროჲს მომოჰდებდეს, მრ. 7, 36 Y. და ივინი ჰბასრობდეს მას, მრ. 5, 40. სხუანი მათთანანი ხუთხოვდეს მოციქულთა ამას, ლ. 24, 10 X. ივინი ხაიძულებდეს მას და ეტოვდეს: დახადგერ ჩუენ თანა, ლ. 24, 29 X. იწყო გამოსხმად, რომელნი ხყიდდეს ტრედებსა, ლ. 19, 45 Y. გარდასდებდეს ჰურკელსა მათსა ზღუად, რამათა აღუმცირონ ნავსა მას, იონა 1, 5. აღიძულებდეს მენავენი იგი ნავსა მას მოქცევად ჰქუეყანად, იონა 1, 13. შეიპყრეს იესუ, ეკიცხევდეს მას და ჰსცემდეს და დაჰბურეს თავსა და ჰგუეშდეს მას, ლ. 22, 63—64. რომელნიმე ჰყუედრიოდეს, რომელნიმე აგინებდეს, რომელნიმე აშინებდეს, რომელნიმე სდევიდეს, რომელნიმე მშვიდობისა სიტყვთა შეაჭერებდეს, 189, 14. უმზირდეს მას მწიგნობარნი იგი და ფარისეველნი, ლ. 6, 7. ხოლო მოწაფენი მისნი მოჰქრიდეს თავსა კუვილისასა, მუსრვიდეს კელითა და ჰამდეს, ლ. 6, 1. და იყვნეს ყოველნი მეზუერენი და ცოდვილნი მახლობელად მისა და ისმენდეს მისსა, ლ. 15, 1. სხუანი მოჰკაფდეს რტოთა ხეთაგან და დაჰფენდეს გზასა ზედა, მ. 21, 8.

ბ) აფ, აშ თემისნი შინიანი ზმნებო

! ვხედევდ დამოტევებულთა ოთხთა კიშტეთა, 298, 4. დამე გულითა ჩემითა ვზრუნეედ, ფსალ. 76, 7. მისაჲე მე, რამეთუ უმანკოებითა ჩემითა ვიდოდე და უფალსა ვესეედ, ფსალ. 25, 1. ვკლოცევდ პირსა შენსა ყოვლითა გულითა ჩემითა, განვიზრახევდ გზათა შენთა, ფსალ. 118, 58—59. ვზრახევდ სიმართლეთა შენთა, ფსალ. 118, 48. და ვხედევდო საკვრელებათა და საშინელსა, რომელი თქუმად ენითა ვერ ეგების, 271, 34. ვითარცა მერცხალი ეგრე ვჰრქინევდ და ვითარცა ტრედი ეგრე ვღუმიო

ნ ე ვ დ, 287, 9. და ვ ი ხ ი ლ ე ვ დ მერმე ჩუენებასა, დაბ. 41, 22. არამედ ჩუენ ყოველთა ვითარცა შეილთა გ უ ხ ე დ ე ვ დ, 148, 5 მაშინ ვტიროდღ და ს უ ლ თ- ვ ი თ ქ უ ე მ დ, 272, 15. დაარღვნა ზღუდენი იგი ქარმან სასტიკმან და შთაყარა იგი კლდესა, რომელსა-იგი თქუენცა ჰ ხ ე დ ე ვ დ ი თ, 273, 11. მეგონა მე, ვითარმედ თქუენ ჰ კ რ ე ვ დ ი თ მკელუულთა შოვრის ველსა, დაბ. 37, 7. და ამასცა გ ა ნ ი ზ რ ა ხ ე ვ დ ი თ, 41, 25. გ ი ს ტ ვ ნ ე ე დ ი თ თქუენ და არა ჰ რ თ კ ე ვ დ ი თ, ლ. 7, 32. ვჰამდით წინაშე შენსა და ვ ს უ ე მ დ ი თ, ლ. 13, 26. დავდეგით მუნ და ვ ხ ე დ ე ვ დ ი თ ცეცხლის მსახურსა მას ერსა, 271, 16. რაჟამს გ ა ნ ვ ი ხ ი ლ ე ვ დ ი თ კორცთა წმიდათა მათ მოწამეთასა, 205, 1. ხოლო ჩუენ ვ ე კ ი თ ხ ე ვ დ ი თ მიზებსა, 229, 19, და ჩუენლა ამას გ ა ნ ვ ი ზ რ ა ხ ე ვ დ ი თ, მოვიდა ყრმაჲ ერთი, 151, 26.

და ისარი იგი კ ლ ვ ი დ ა ორკერძოვე, 210, 28. აღელო თავი თვისი და ე ს ვ ი დ ა იგი ძალსა თვისსა, 167, 31. ხოლო მამაჲ მისი გამოვიდა და ხ ლ ო ც- ვ ი დ ა, ლ. 15, 28 Y. და ბ რ წ ყ ი ნ ვ ი დ ა პირი მისი ვითარცა მზმ, მ. 17, 2. ი ფ ა რ ვ ი დ ა თავსა თვისსა ხუთ თთუე, ლ. 1, 24. შეძრწუნდა სიტყუასა მას მისსა და გ ა ნ ი ზ რ ა ხ ე ვ ი დ ა, ლ. 1, 29. ვარსქენ ძღუნად თავსა თვისსა შე ს- წ ი რ ვ ი დ ა მეფისა მის მიმართ, 146, 21. ვიდრე-იგი დგალა და მ ი თ ქ უ მ ი- ლ ა ჩუენებასა მას შინა, 299, 3. ხოლო წმიდაჲ შუშანიკ აფუცებდა და ჰ კ ი თ- ხ ვ ი დ ა დამტიციებულად, 147, 8. ფარაო ჰ რ ი ს ხ ვ ი დ ა მონათა თვისთა დაბ. 41, 10. და მეორედ ჩუენებასა ი ხ ი ლ ვ ი დ ა, დაბ. 41, 5. ხოლო იონა შთავიდა უბესა მის ნავისასა და ეძინა და ხ უ რ ი ნ ვ ი დ ა, იონა 1, 5. იწყო და ა დ ი ხ ი ლ ვ ი დ ა უხუცესითგან ვიდრე უმძრწემესისა, დაბ. 44, 12. კითხვით მ კ ი თ ხ ვ ი დ ა ჩუენ კაცი იგი ნათესავსა ჩუენსა, დაბ. 43, 7. ხოლო წმიდაჲ იგი შარტული ღუმლით მკნედ მ ი ი თ უ ა ლ ვ ი დ ა მახვლსა, 195, 34. კუამლი სულნელებისაჲ ცათა და ჰ ფ ა რ ვ ი დ ა, 270, 25. და ჰ ბ ე რ ვ ი დ ა წყალ- თაგან ნიავი და შ ა ლ ვ ი დ ა ფურცელსა ხისა მისგან, 279, 12. ნანა დედოფა- ლი და მეფეცა ი ხ ი ლ ვ ი დ ა მცირედ-მცირედ საქმესა მას 274, 27. ესე იყო უშვილოჲ და ზ რ უ ნ ვ ი დ ა ეგე და ქმარი მაგისი, 273, 36.

ანგელოზნი განკვრეებით ზეგარდამო ხ ხ ე დ ვ ი დ ე ს, რომელ-იგი ხიქმ- ნებოდა, 43, 20. მოახლებულ იყვნეს მახვლოსანნი და ჩუენსა გარემოჲს სცემდეს და კ ლ ვ ი დ ე ს, 277, 31. რომელნიმე ... ჰ კ ი თ ხ ვ ი დ ე ს მას და ეტყო- დეს, 288, 5. დ რ ტ ვ ნ ე ვ დ ე ს ფარისეველნი და მწიგნობარნი და იტყო- დეს, ლ. 15, 9. და ჰეჩუენნეს მათ მოსე და ელია მის თანა და ჰ ზ რ ა ხ ე ვ დ ე ს მას, მ. 17, 3 Z. მათ წინაჲსწარ იხილეს იგი და გ ა ნ ი ზ რ ა ხ ე ვ დ ე ს ბოროტ- სა მოკლვად მისა, დაბ. 37, 18. შე ს წ ი რ ვ ი დ ე ს შესაწირავსა და შაბათთა ი მ ა რ ხ ვ ი დ ე ს, 167, 20. და ვითარცა ვიხილენ, ჰ კ უ ე რ ვ ი დ ე ს რაჲ იგი- ნი, წარვიდა სისხლი ჩემი, 214, 40. მწყემსნი იყვნეს მასვე სოფელსა, ველსა დგე- ბოდეს და კ უ მ ი ლ ვ ი დ ე ს კუმილვასა ღამისასა სამწყსოსა მათსა, ლ. 2, 8. მრავალნი მათგანნი არა ს უ მ ი დ ე ს ღვნოსა, 253, 30; არცა მსოფლიონი ერისკაცნი ა ხ ლ ვ ი დ ე ს ახლად შენებისათვის მათ ქუეყანათამასა, 242, 36. რო- მელთა ზედა შეკრებულ იყო ბევრეული ერი, ვიდრემდე და ს თ რ გ უ ნ ვ ი- დ ე ს ც ა უ რ თ ი ე რ თ ა ს, ლ. 12, 1.

## 2. ოლიანი ზმნები

რად არა... უთხარ ეპისკოპოსსა იოვანეს, რასა-იგი მე შენ გეტყოდე? 297, 22. ამისა შემდგომად... დავადგერ მასვე ზედა მარხვასა და მოველოდე მესამედ მოსლვასა მისსა, 298, 31. და მოგუებასა და ცთომასა მათსა ზედა ვტიროდე წარწყმელისა მათისათვის და უცხოვებასა ჩემსა ვეგლოვდი, 271, 17. და მე, გამალიელ, უწყყოდე სიმენს იგი მისი, 296, 5. ამას რამ ვტიროდე, ვევედრებოდე მათ, კიმ. II, 77, 15. და აღვდეგი და მოუწოდე ფარულად, რომელნი-იგი ვიცნოდე ღირსნი და სარწმუნონი კაცნი, 296, 7. და ვითარცა ვიხილე იგი განმწარებული, მეცა ვტიროდე მის თანავე, 147, 35. მისაჟე მე, რა უმანკოებითა ჩემითა ვიდოდე და ოავესევედ, ფსალ. 25, 1. და თქუა: უფალო, უწყყოდე, რამეთუ ფიცხელ კაც ხარ შენ, მ. 25, 24. და ჰრქუა მას: უკეთურო მონაო და მედგარო, უწყოდე, რამეთუ მოვიმკი, სადა არა დავსთესი, და შევიკრიბი, სადა არა განმიბნევიან, მ. 25, 26. განსწავლულ ვიყავ შუელითა მით მაჰმედისითა და ვცხოვროდე მას შინა, ვიდრე უმეტრებასა შინა ვიყუ, 191, 4. პირველ არავინ გიცოდა, ვითარმედ ვინ ხარ, ანუ რომლითა შუელითა სცხოვრებოდე, 201, 21. ჩუენ აღვივსენით მწუხარებითა და ღიღითა ტირილითა ვტიროდეთ, 147, 32. გისტკნევდით თქუენ და არ პროკევდით, გოგოდებდით თქუენ და არა სტიროდეთ, ლ. 7, 32. ყოველი თუნანადები შენი მიგიტყევე შენ, რამეთუ ვევედრებოდე შენ, მ. 18, 32. დევცკვენით პირთა თვისთა ზედა თაყუანის-ცემად უფლისა და ვევედრებოდე, 204, 14. წარვემართენით აღმოსავალით კერძო და ვიდოდე თქელთა რამე მალალთა, 226, 22. და ვითარ-იგი ჩუენ ესტო ვიყოფოდე, მოგვტდეს ჩუენ ორნი კაცნი ქალაქისა ერთისაგან, 209, 32. და ვპროვებდით ჩუენ მოსლვასა ქარისასა და წარვიდოდე მათ თანა. არამედ ინება ღმერთმან ქსნა ჩუენი: ვივლოდე თ ღამით ამით ძელითა და მოვედით თქუენდა, 210, 1. ხოლო ჩუენ მოვივლოდე თ ეკლესიად, 210, 15. ხოლო ჩუენ ვითარ გუესმა კმა მათი, დამეცა ჩუენ ზედა შიში ღიღი, არა უწყოდე, რამეცა-იგი ვყავთ, გარნა ღმერთისა მივივლოდე, 211, 1. და ჰრქუეს ყოველთა: მამულსა ზედა რჩულსა ვიყვენით, სპარსთა რჩული ვიცოდე, 162, 26.

მაშინ ივლოდა ყოველი კაცი სოფლად და ქალაქად, 273, 7. მრავალ გზის გუევედრებოდა კაცი იგი, 226, 12. გრიგოლ... მარხვასა შინა იზარდებოდა, 236, 25. აშოტ კურაპალატმან აღაშენა ციხე არტანუჯისა საცხოვრებლად დედუფლისა და მას შინა კეთილად ცხოვრებოდა (=ცხოვრობდა) მრავალთა წელიწადთა, 262, 22. ხოლო მამასა გრიგოლს სწალოდა მარტოდ დაყუდებამ, 240, 6. ზენონ ღმრთის მსახურებით აღზრდილიყო და საწმიდით იქცეოდა, 249, 9. ვითარცა ნქეცი მძვნვარს ყიოდა და იზახდა ვითარცა ცოფი, 150, 21. ყოველი იგი მთაა კუმოდა და ცეცხლი იგი აღიწეოდა ვიდრე ცადმდე, 204, 11. ესმა მრავალსა სიმრავლესა, რაოდენსა-იგი ჰიქმოდა, მრ. 3, 8 Z. ჰკრთებოდა ყრმა იგი მუცელსა შინა მისსა, ლ. 1, 41. კრთოდა ყრმა ესე სიხარულით მუცელსა ჩემსა, ლ. 1, 44. ასული მარტოა ესუა მას და იგი მოკუდებოდა, ლ. 8, 42. ნეტარი მამა ჩუენი პეტრე ივლოდა და იმალეოდა ადგილით

რაჲმე ეყო, რამეთუ არა მაქუს, სადა დავკრიბო ნაყოფი ესე ჩემი, ლ. 12, 17. აწ უკუეთუ განჰკურნო მთავარი ესე, განგამდიდრო და გყო მკვდრ მცხეთას შინა მსახურად არმაზისა, 275, 5. და ვინ ამის ეკლესიაჲსა დავით ებისკოპოსსა ხულოცოს, 1, 9. მოხაკციოს ნათესავმან მამ უკეთურებისაგან მათისა, იერ. 18, 8. ჩუენ ხუარწმუნოთ მას და თქუენ უზრუნველ გყვნეთ, მ. 28, 14 X. კურთხეულ არს ნაყოფი, რომელი ჰამოს აღამ და სძლოს მტერსა, 45, 26. და რომელი მე მომეხუეჳა, მიხუაგო ოთხ წილად, ლ. 19, 8 Y. იპოოს ვინმე, რომელმან განკაფოს იგი, 151, 31. ხუცეს, მიუძღუანოა სამკაული ესე მისი? 151, 23. უკუეთუ არა ვიხილო კელთა მისთა სახმ იგი სამკუალთაჲ, ი. 20, 25 X. უფროსად ყუაოდის და აღემატოს მომავალთა ეამთა, 256, 14. წარგიყვანო შენ სხუად ქუეყანად და განგამრავლო და აღგაორძინო შენ დიდად, 166, 22. აცადეთ და ვიხილოთ, უკუეთუ მოვიდეს ელია, მ. 27, 49. ნუ ჰზრუნავთ სულთა თქუენთათვის, რაჲ შჳამოთ ანუ რაჲ სუათ, მ. 6, 25 E. ნუუკუე მათა კუალად გხადონ შენ, ლ. 14, 12.



## 2. მწკრივის ნიშანია ბ

უკუეთუ არა დახუდვა კელი ჩემი გუერდსა მისსა, არასადა მრწმენეს, ი. 20, 25 X. რომელმან ყოს და ხასწაოს, მას დიდ ხერქუას სასუფეველსა ცათსა, 44, 31. ოდეს ხთქუა მეუფედ მამა, ნუ განხყოფ ძესა, 45, 7. განთქუან სახელი თქუენი ვითარცა ბოროტთა ძისათჳს კაცისა, ლ. 6, 22. მოედით და მოკვლათ იგი და დავიპყრათ სამკვდრებელი იგი მისი, მ. 21, 38 C. სასუმელი ჩემი შესუათ, მ. 20, 23 C. სასუმელი, რომელი მომცა მე მამამან, არა შევსუაა? ი. 18, 11. უკუეთუ არა ადრე-ადრე აღხვდე და თხრა ესე, მოიწიოს შენ ზედა კირი, 298, 36. აღვდგე, წარვიდე მაშისა ჩემისა და ვპრქუა, ლ. 15, 17. უკუეთუ არა შედგას კარი შშრომელი, ვითარ-მე იყოს ჩემდა აგარაკი იგი? 299, 11. რაჲ სიტყუაჲ მივართუათ მომავლინებელთა ჩუენთა? ი. 1, 22. აღდგეს სახლისა უფალი და დაპქსას კარი, ლ. 13, 25.

## 8. მწკრივის ნიშანია მ

ესე ყოველი მიგცე შენ, მ. 4, 9. რომელსა მინდეს, მივცე იგი, ლ. 4, 6. რაჲთა მისცეს იგი მათ თვნიერ ერისა, ლ. 22, 6. და უბრძანა, რაჲთა მისცენ მას ჳამადი, ლ. 8, 55. მოძლუარ, რაჲ ვქმნე, რაჲთა ცხოვრებაჲ საუკუნოჲ დავიმკვდრო? ლ. 10, 25. იგი არს, რომელმან იქსნეს ისრაელი, ლ. 24, 21. და ამცნებდა მათ ფრ, რა არავინ აგრძნეს ესე, მ. 5, 43 E. რომელმან არა იქმნეს ყოვლისაგან მონაგებისა თვისისა, ვერ კელ-ეწიფების მოწაფე ყოფად ჩემდა, ლ. 14, 33. და აჲა ესერა შენ მუცლად-ილო და ჳშვე ძმ, ლ. 1, 31.

თივამ ხვალე თორნესა შთავგზნეს, ლ. 12, 28. ნეტარ ხიყვენენ, რომელთა არა ხუეხილვო და ხურწმენე, ი. 20, 29 X. რაჲთა გრწმენეს და ცხოვრებაჲ გაქუნდეს სახელითა მისითა, ი. 20, 31 X. ვინ უწყის, თუ მუნ კეთილსა რასმე შევემთხვო და ბოროტსა ამას განვეერე, 155, 17. შვილნი შენნი შორის შენსა დაეცენ და არა დაშთეს ჳვაჲ ჳვასა ზედა, ლ. 19, 44. რამეთუ წარჳძლუე წინაშე პირსა უფლისასა, ლ. 1, 76. და ლათუ ესენი დუმნენ, ჳვანი ლაღადებდენე, ლ. 19, 40. განმრავლებითა უშჯულოებისათა განკმეს სიყუარული მრავალთაჲ, მ. 24, 12. აწ ვდგე მე მონად შენდა, დაბ. 44, 33.

ღამე ვიდრე-მე ვიდე? დაბ. 37, 30. რომელსა ჳედგას ცხოვარი ერთი და შთავარდეს იგი დღესა შაბათსა ჳურღმულსა, მ. 12, 11 Z. ელია მოვიდეს და კულად აგოს ყოველი, მ. 17, 11. უკუეთუ მოკვდუდე, მრწამს მე, რამეთუ ქრისტჳს თანა ვცხოვნიდე, 195, 10. რაჲმს დაჳბერდე, განგაპყრენ კელნი შენნი და სხუათა შეგარტყან შენ, ი. 21, 18.

## 4. როცა პირდაპირი ობიექტი მრავლობითთა, სამივე შემთხვევაში მწკრივის ნიშანი არის მხოლოდ მ

რაჲთა მოვიხუნე ძუალნი იგი წმიდისა სტეფანჳსნი, 300, 7 (მხ. მოვიდო). ანუ რომელსა ადგოლსა გპოენეთ, 295, 34 (მხ. გპოვოთ).

დავარღვნი საუნჯენი ჩემნი და უფროდნი აღვაშენენ, ლ. 12, 18 (მხ. დავარღვო, აღვაშენო). ხოლო თქუენითა ოხითა განუტევენე ეგენი, 164, 1 (მხ. განუტევეო). განმეშორენით მე და გამოვიძინენე მე მცნებანი ღმრთისა ჩემისანი, 192, 17 (მხ. გამოვიძიო). რაათა უფალმან დაიციენეს ღიღებით [შვილნი მისნი], 251, 16 (მხ. დაიციეს). და მიგცენენ შესაკრებელთა და საპყრობილესა, მეფეთა და მთავართა მიგიყვანენ სახელისა ჩემისათჳს, ლ. 21, 12 (მხ. მიგცენ, მიგიყვანონ). ნებაჲ მოშიშთა მისთაჲ ყოს უფალმან, ლოცვანი მისნი ისმინენეს და აცხოვნენეს იგინი, 266, 6. რაჲმს მოგიძულენენ თქუენ კაცთა და ოდეს გამოგასხნენ თქუენ, ლ. 6, 22. ვის ვამსგავსენე კაცნი ამის ნათესაისანი? ლ. 7, 31. იგინცა ესრევე მოვაქციენე შენსა შჯულსა, 146, 26. და შექვამნენ მფრინველთა ცისათა კორცნი შენნი, დაბ. 40, 19. რაათა არა შეიმთხო ძვირითაჲ შენსა და შეგუაწუხნენ ჩუენ ყოველნი, 192, 7. აწ ჩუენ თანა არს კორციელი კეთილი და თქუენ თანა არს სულიერი კეთილი, და ესე შევზავნეთ ურთიერთას, 246, 7. თუ განჰმარტნენ სასმენელნი შენნი და გულს-მოდგინედ ისმენდენ, მეცა უწყინოდ ყოველი გითხრა და გაცნობო შენ, 166, 16. აჲ ესერა მივევლინენ თქუენდა წინაშარმეტყუელნი; მათგანნი მოწყვდნეთ და ჟუარს-აცუნეთ და მათგანნი ჰგუემნეთ და სდევნეთ ქალაქითი ქალაქად, მ. 23, 34 C.

#### XI. შარული კავშირებითი

ვითარ-მე ღირსად მოგიქსენნოდი თქუენ, შვილნო ჩემნო, გლახკმან ამან: სპევს. 81, 1—2.

და მიქმენით მე სიწმიდჳ და გამოგეცხადოდი თქუენ, გამ. 25, 7. და გამოგეცხადოდი შენ მიერ და გეტყოდი შენ ზედა-კერძო მიერ სალხინებელით: გამ. 25, 21.

რაათა, ოდეს დასდვოდი ს კელი სნეულთა ზედა, იქმნებოდის ნიშები და სასწაულები ერსა შენსა შორის: იაკ. ჟამისწ. რლ, 13. და ყენა იგინი ათორმეტ, რაათა იყვნენ იგინი მის თანა, და მოციქულ სახელი დასდვა მათ და რაათა წარავლინოდი იგინი ქადაგებად: მრ. 3, 14 C. ამან ყრმამან დიდსა სუთშაბათსა წარიყვანა ნაწილი წესისაებრ მის ქუეყანისა, რაათა ეზიაროდის იგი ჟამსა, დასნეულებასა მისსა: ლომ. 41, 28 S. და მას მისცა ფლობაჲ ეკლესიასა ზედა კონსტანტინოპოლისა, ვითარმედ უკუეთუ სადამე საქმარ იყოს მღდელი, რაათა მან აქურთხო დის: სჯ. წიგ. II, 126, 27. ერთსა მას (ლაკუსა) შეაბა კარი, რაათა დაჰმარხო დის იგი მამათათჳს, და მეორჳ დაუტევა ბარბაროზათჳს: Опис. 34, 24. განმრავლებით განვაძრავლო თესლი შენი და არა აღირაცხო დის სიმრავლისაგან: დაბ. 16, 10 (თბ. გამოც.). განუთხინე აღსალებელნი გრკალთა მათ, რომელნი იყვნენ კიდეთა მათ კიდობნისათა, რაათა აღიღო დის კიდობანი იგი მით: გამ. 25, 13. ბჳშ იგი... იყოს დაქმულ ექუსთა მათ დღეთა საქმისათა, ხოლო დღესა მას შაბათსა განელოდის და დღესა თთჳს-თავისასა განელოდის და შევიდოდას მთავარი იგი: ეზეკ. 46, 1. დაუტევა მკირჳ ქურელი, სადაათ საზრდელი მიიღო დის პარხ. 1238. რაათა მისცო დის პური: იქვე.

ქვენ ემბაზი რვალისაჲ და ხარისხნი მისნი რვალისანი, რაჲთა და იბანო-  
დიან კელნი და ფერკნი მათნი: გამ. 30, 18 და დაიბანო დიან  
აპრონ და ძეთა მისთა კელნი და ფერკნი მათნი: გამ. 30, 19. ოდეს შევიდოდინ  
კარვად საწამებელისა, და დაიბანო დიან წყლითა, რაჲთა არა მოწყდენ:  
გამ. 30, 20. თავი მათი არა დაიყვნონ და თმად მათი არა განიშიშულონ, და ი-  
ბურო დიან თავთა მათთა: ეზეკ. 44, 20. გამოსლვასა მათსა ეზოსა მას გარე-  
შესა ერისა მიმართ განიძარცოდინ (განიძუარცოდინ O)  
სამოსელი მათი, რომლითა ჰმსახურებდეს (მათ) და დადვოდინ იგი საჯ-  
დომელსა მას წმიდათასა და შეიმოსოდინ სამოსელი სხუაჲ: ეზეკ.  
44, 19. რაჲთა ევანგელმ და სხუანი ლოცვანი აღასრულნოდინ სო-  
მებთა ენითა, ხოლო ეამისწირვასა შეკარბენ ბერძენთა ეკლესიასა და მათ თანა  
ეზიარნოდინ: კიმ. 11, 162, 27, 28. რაჲთა შაბათსა კრებაჲ ღმრთი-  
ქმნულსა ეკლესიასა ყოდინ... და რაჲთა მოუკლებულად შაბათი კვრიაკედ  
ღამმ განათიოდინ მწუხრითგან დილეულამდე და ყოველთა დღესას-  
წაულთა: იქვე, 163, 9, 10. რაჲთა დაკლო დიან მუნ, რომელი: ცოდვათათჳს  
არნ და უმეტრებათათჳს: ეზეკ. 40, 39. და შჯიდენ ყოველსა ჟამსა ერსა ამას; და  
ყოველი სიტყუაჲ მძიმმ მოგართოდინ / შენ და სიტყუაჲ აღვილი გან-  
საჯოდინ მათ და აღგიმცირო დიან და შეგეწოდინ შენ: გამ.  
18, 22. ესე არს შჯული შესაწირავთაჲ, რომელ მოართოდინ ძეთა აპრო-  
ნისთა წინაშე ღმრთისა პირისპირ საკურთხეველსა: ლევიტ. 6, 14. და იყენენ  
გრკალნი იგი განსაცუმელად აღსაღებელთა მათ, რაჲთა აღილო დიან მით  
ტაბლად იგი: გამ. 25, 26. სიერცისაებრ მათ განსაცუმელთაჲსა, რაჲთა აღილო-  
დიან იგი მით: გამ. 38, 4. და აღილო დიან მით საკურთხეველი იგი: გამ.  
38, 24. უკეთურნი იგი უკეთურადცა წარწყმიდნენ და საყურძენი იგი მისცეს  
სხუათა მოქმედთა, რომელთა მისცოდინ მას ნაყოფი ჟამთა მათთა: მ.  
21, 41 C. რამეთუ იგინი ძოვდენ და დაიძინოდინ: სოფონ. 3, 13 ლაგ.  
მკარი იგი შესაწირავისაჲ და მკერდი იგი განჩემებისაჲ ნაყოფთა თანა ცმელთასა  
შეწირო დიან: ლევიტ. 10, 15. და იყავნ იგი ფესუსა მას თქუნესა და იხი-  
ლავდით (?) მას და მოგეკსენ(ნ)ოდინ ყოველნი მცნებანი უფლისანი:  
რიცხ. 15, 39 (თბ. გამოც.).

## მესამე სერია

### XII. პირველი თარგობითი

#### 1. ავ, ამ თემისნიშნისანი ზმნები

ნეტარ არიან, რომელთა არა უხილავ და ვკარწმენე: ი. 20, 29. მხიარულ  
იყავ, რამეთუ მიმითულავ შენ და შვილნი შენი და თავიცა ჩემი კელ-  
თა მისთა, რომელი შემძლებელ არს ყოფად ყოვლისა: პარხ. 1122. ზუარაკები  
ჩემი და უსხები ჩემი დამიკლავს: მ. 22, 4 C. ეგე ყოველი დამიმარ-  
ხავს სიყრმით ჩემითგან: ლ. 18, 21. სრბაჲ აღსრულებულ არს და სარწმუ-  
ნობეჲჲ დამიმარხავს: 234, 16. შენ კურთხეულ, რომელსა გიტჯრ-  
თავს განმაქარეველი წყევისაჲ: 45, 20. არასადა აღმოგიკითხავს  
წიგნსა ესე? მ. 21, 42 C. არა-მე აღმოგიკითხავსა, ვითარმედ..., მ. 21,

16 C. სიტყუა შენი დაუმარხავს, ი. 17, 6. არა თუ მამა ვისმე უხილავს, ი. 6, 46.

აწ მე აღმითქუამს უფლისადა ვიდრე აღსრულებამდე ჩემდა მართლ-მყოფებამ, 241, 33. არასადა ეგრე ვის უთქუამს კაცსა, ვითარ მას კაცსა. ი. 7, 46 C. კაცი მინახვან უღკორცითა მყოფნი, 221, 38. რაოდენნიმე დამიზმან ეამნი უღაბნოს მყუდროებით მსახურებასა შინა ღმრთისა ჩემისასა, კიმ. I, 49, 12.

## 2. სხვა გარდამავალი ზმნები

მე დღეს მიშობიე შენ, ფსალ. 2, 7. და ამა ესერა დამიღვინებიე მე შენ დღესით დღითგან ყოველსა ქუეყანასა ეგვიპტისასა, დაბ. 41, 41. რაოდენი შემოწერით შემოვლონ, მიმიცემიეს მათდა, 224, 40. ბრძანე აქავე მოქცევა და დამარხვა მცხეთას, სადაცა ნათელ-მიღებიეს, 165, 2. ამა ესერა პური ჩემი დამიმზადებიეს, მ. 22, 4 C. ხოლო მე ვეცხლი თქუენი გამოცდილი მომიღებიეს, დაბ. 43, 23. მონასა შენსა თავს-მიღებიეს ყრმა ვეგ, დაბ. 44, 32. მე ვითარ მიცნობიეს, ცოლი შენი განდგომილ არს შენგან, 148, 25. არცადა ისრაჴლსა შორის ესოდენი სარწმუნოება მიპოვნიეს, მ. 8, 10 C. ესე ყოველი მიყოფიეს სიჭაბუკით ჩემითგან, მრ. 10, 20 C.

არა დაგიტევებიეს სიციფჴ და უგუნურება შენი? 195, 5. არცა შე-რამა-გი რაცხიეს, რამეთუ უმჯობეს არს ჩუენდა, კაცი თუ ერთი მოკუდღეს ერისა ამის წილ, ი. 11, 50 C. არა გიცნობიეს, რამეთუ სიტყუანი ეგე შენნი მომატყუებელ სიკუდილისა გექმნებიან შენ? 195, 8. არა გიცნობიესა, რამთამცა დიდითა მშუდობითა საესე ხიყო სული შენი? 41, 22. ნუ დაგიტერებიეს, თუმცა მე მისა ცოლადღა ვიყავ. 149, 15. ხოლო თქუენ ვითარცა ქუაბი ავაზაკთა გხყოფიეს, 170, 30. და სუიღული, რომელ მიგიღებიეს, მიართვთ ვანსა თქუენსა, დაბ. 42, 33. უსასყიდლოდ მიგიღებიეს, უსასყიდლოდა მისცემდით, მ. 10, 8.

ანგელოზთა მისთა უბრძანებიეს შენთვის დაცვად შენდა; ლ. 4, 10. რამსათვის ქუეყანადა დაუპყრიეს უქმად, ლ. 13, 7. სხუადაც მრავალი არს, რომელი უსწავიეს მარხვად, მრ. 7, 4 C. ვითარ-მე წიგნი იცის ამან, რამეთუ უსწავიეს მეზრარა, ი. 7, 15 C. და ევლოგიამ, რომელ განუზადებიეს, ფრიად რამე ეკმაროს, 235, 5. სულგრძელებასა ღმრთისასა თავს-უღებიეს დათმენა უწესოთა კაცთა მღდელობამ, 238. 6. აღაშფოთებეს ერსა და ასწავებეს ყოველსა პურიასტანსა, უწყიეს გალილეამთ ვიდრე აქამომდე, ლ. 23, 5. რამ ბოროტი უქმნიეს ამას? ლ. 23, 22. და აწ დაუტევებიეს შჯული ესე ჩუენი და იტყვს თავათვსა ქრისტიანედ, 190, 18. ნუთუ ქეშმარიტად უცნობიეს მთავართა მათ, ი. 7, 26 C. მჭურვალეზამან შეიპყრა ყრმა იგი, დაუძინებიეს და ვერ შემძლებელ არს მოსლვად თქუენ წინაშე, საბა ასურ. 17, 19.

სიყუარულითა მისითა ნათელ-გვღებიეს, 178, 14. ცეცხლი და სტანჯველი აწვე განგვზადებიეს შენთვის, არა თუ მოიქცე ჩუენდავე, 192. 10. და ჩუენ გურწმენა და გვცნობიეს, რამეთუ შენ ხარ ქრისტი,

ი. 6, 69. ვეცხლი ჩუენი სასწორითა მოგვლებიეს აწკელთა ჩუენთა, და ვეცხლი სხუაჲ მოგვლებიეს სყიდად საზრდელისა, დაბ. 43, 21—23.

გულისკმა-მყოფია წმიდათა მოციქულთა და ნეტართა მღელთ მოძღუართა განსაზღვრებული კანონი, 238, 2. მიცვალეულთა მამათათჳს ხანცთაჲ განმიწესებია, 246, 21. მექურქულე ქალი მამასა გრიგოლს აქა წარმოუყვანებია, 264, 18.

ღმერთსა მოლუაწედ ჩემდა მოუვლინებეთ, 223, 23. შეევიკრიბი, სადა არა განმიბნევიან, მ. 25, 26 C. შეევიკრიბი, რომელ არა განგებნევიან, მ. 25, 24 C. მცირედ-ვენაქნი-ქიროთ და ურვიოთ დაუნერგვან, 256, 33.

### 8. ერთპირიანი წმინები

ვითარ განძლიერებულ ხარ უძღურებისაგან, მოძღუარო: ხანძთ. 129, 5. შენი აღგილი დაგიტეეებიეს და სხუად წარსრულ ხარ, 148, 36. დავიტეეებიეს მამული შჯული და ქრისტიანეთა თანა შეცთომილ ხარ, 190, 35. ოდეს ყოფილ არს აქამომდე, თუმცა მამათა და დედათა ერთად ექამა ბური? 150, 15. იოჰანე ნათლის-მცემელი აღდგომილ არს მკუდრეთით, ლ. 9, 7. უკუეთუმცა არა დაგუეოვნა, აწმცა მოქცეულ ვართ სამგზის, დაბ. 43, 10. რაჲსათჳს შორის ცოლ-ქმართა შთაჰკრალ ხარ წარსაწყემდე-ლად შენდა? 263, 12. მოწვენულ არიან წმიდანი მამანი წინაშე შენსა, 255, 7. არა მოსრულ არიან ეგევითარნი მონაზონნი, 255, 11.

### 4. ორპირიანი გარდაუვალი წმინები

დაესეცა არა დამვიწყებიეს: კიმ. II, 181, 23. გულისკმა-ყავთ ყოველთა, რომელთა დაგვიწყებიეს ღმერთი: ფს. 49, 22. თქუმულსა ამას ჩემსა დაჰვიწყებიეს საზომი სიმრავლითა საკვრეელეებათათა: უძვ. რედ. 106, 11. ესრე იყოს აწ აღსასრული ყოველთაჲ, რომელთა დაჰვიწყებიეს უფალი: იობ 8, 13. მიიქცენ ცოდვილნი ჯოჯოხეთს, ყოველნი წარმართნი, რომელთა დაჰვიწყებიეს ღმერთი: ფს. 9, 18. დაჰვიწყებიეს იგი ღმერთსა: ფს. 9, 32. დაჰვიწყებიან მას ამის სრფლისანი (საქმენი): Sin. 35, 294 va, 12. რომელი აწ შეჰმთხუევიეს და რომელი შემთხუევად უც: ხრონ. 207, 6 (გამოც.); ხელნაწერებში იკითხება: შეჰმსთხუევიეს AC, შემსთხუევიეს B. აწ უკუე მრავალგზის შეჰმთხუევიეს ჰურიასტანსა მოოკრებაჲ: ხრონ. 223, 34 (გამოც.); ხელნაწერებში შეჰმსთხუევიეს იკითხება. ვითარცა დიოკლიტიანსს და მაქსიმიანსს მიერ აღსარებისათჳს ქრისტესისა შეჰმთხუევიეს ესე: ხრონ. 264, 1. სავსე ვარ ნუგეშინის-ცემითა, გარდამრევიეს სიხარული ყოველთა ზედაჰირთა ჩუენთა: 2 კორ. 7, 4. მაქუს მე ყოველი და გარდამრევიეს: ფილიპ. 4. 18. რაოღენნი არიან მორწმუნენი სახლსა მამისა ჩემისასა, რომელთა გარდაჰრევიეს პური, და მე აქა სიყმილითა წარვწყმდები: ბოლნ. (რ. ბარამიძე, იოანე ბოლნელი, 1962, გვ. 97, 3. შდრ. ...გარდაევიეს პური: ლ. 15, 17 C). გარნა არა შემცილებიეს: ექუსთ. 27, 21 (შდრ. რაჲთა ნუ-

უკუ შეგუცილდეს ჩუენ პოვნაჲ ქეშმარიტებისა: იქვე, 63, 16. შე-  
ცილება — დაეწყება). ნისლი დაჰხუევიეს წარმართთა, ხოლო შენ  
ზედა უფალი გამობრწყინდეს, და დიდებაჲ მისი შენ ზედა მოიწიოს: ესაია  
60, 2 სინ. ლექტ. (შდრ. ბნელი წყუღიადისაჲ და არმული ნისლისაჲ დაეხუ-  
ვის მათ ზედა: Опнс. 44, 7). არცა დასჯერებთ მისი, რომელმან-იგი  
თქუა: Sin. 35, 220 რხ (შდრ. დაეჰჭერდებოთ: Sin. 36, 322 a, 9).

ძველი (დედამ) წინა არა მდებია: ეფრ. მც. (მიმომხილელი, I, 1926,  
169, 35). დასდებია შიში და ძრწოლა მათი სპარსთა ზედა: ქ. ცხოვ. I,  
60, 12. ვითარ-იგი ზეშთა ბუნებისა მძლეველ ექმნა სიკუდილსა, არა დაგვ-  
წყებია: ანტიოქ. 106, 5 (ეტ. VI, 370, 5). მეორესა მას ბუნებითისა გარეგანი  
ცოდნაჲ წაჰკიდებია და ეგვეითარითა ცოდვითა შეგინებულ არს: ნოველ.  
3, 24, 14. ესეითარი არცა ერთი რაჲ შეგმთხუევია: Записки... т. XIII,  
вып. II—IV, 1901, გვ. 46, 24. ესე კაცნი არიან და ვნებაჲ შემთხუევია,  
ვითარცა სხუთა კაცთაჲ შეემთხუევის: ბალ. 23, 8 4BCD. ცან, ვითარმედ  
მცირედ ცვალებად კნებებია მას სიტყუასა: იერ. ხელნ. აღწ. 57, 11. რომე-  
ლი-იგი მკუდართა და ცოცხალთა ჩემთა თანა მიქმნია კეთილი და არა სხსა  
ვისისაჲ ნაწილისა გინა ხუშდრებულისაგან მქონებია გინა მიმიცემია:  
პეტრიწ. ტიბ. 52, 10. დღეთა მრავალთა გაზრდილ ვარ მკალითა და გუელითა,  
და არა მომცემია ძალი მამა-დედათა ჩემთა[ა], რამეთუ მკალითა ვერ  
განძლიერდები: ქ. ცხოვ. I, 190, 14.

### XIII. მეორე თურმეობითი

#### 1. გარდამავალი ზმნები

უკუეთუმცა საპრობილესა არა შეგეყვანე, არამედ მყისა შინა მრავალფერითა სატანჯველითა გეგუემე, მაშინ სამემცა აღგესრულანებაჲ მეფისა შენისაჲ: პარხ. 1088 a.

და რომელი მე მომეხუეჰა, მიხუაგო ოთხ წილად, ლ. 19, 8 Y. არა თუ მე აღმემართა ხატი იგ და მემცა დაემქუ, 148, 37.

ქმაჲ აღემალლა და ტიროდეს, 153, 4. ესელა თუ მეცნა, არამცა შემოგიტევე შენ, 154, 1. მოედღუანან წმიდასა მას ეპისკოპოსსა საზრდელი, 155, 7. წარმოდგა, რომელსა ერთი ქანქარი მიედო, მ. 25, 24 C. იესუს ეწყო ოდენ ყოფად მეოცდაათესა წელსა, ლ. 3, 23. მრავალ ჟამ სამოსელი არა შეემოსა, ლ. 8, 27. ხოლო ესე ასული აბრაჰამისი იყო, რომელი შეეკრა ეშმაქსა, ლ. 13, 16. მამასა მისსა დაემარხა სიტყუად ესე, დაბ. 37, 11. დაეყო სამუოც და ათცამეტი წელი ქუაბსა შინა, 206, 33. რამეთუ მდიდრად მიიცოცა ყოველივე უხუებით, 233, 2. რაჲთა იხილონ, რაჲ-იგი შეეწირა ევლოგიად კაცსა მას, 235, 36. აღმოეკადა მახულები მათი, 212, 24. აღელოთავი თვისი და ესეიდა იგი ძალსა თვისსა, 167, 31. უკუეთუმცა ღმრთეებაჲ კორციითა არა დაეფარა, კაციმცა ვერ მივახლა ღმერთსა, 168, 19. რამეთუ სტეფანეს ემცნო მუნ. მყოფთა ქრისტეანეთადა, 175, 25. მარიამს დახემა მარხნეს სიტყუანი ესე და დახედვა გულსა თვისსა, ლ. 2, 19 Y. მოხაქუნდა, რაჲ-იგი მოხემზადა, ლ. 24, 1 X. არა ექამა პური, 207, 8. და

ადგილდ-ადგილდ ქუე ძეძ და ე ფ ი ნ ა, 152, 16. ღწნოჲ სიყრმიტგანე არა  
ე ს უ ა, 254, 2. აღუტქუა ღედაკაცისა მის წარგზავნაჲ, ვინაჲცა მ ო ე ყ ე ა ნ ა  
იგი, 262, 35. და ვიდრე არღა ე ე ი ე ნ ა ქათამსა, სამთავე კართა სცა ზარსა  
ლაშქარმან ძლიერმან, 277, 20. მრავალი ბორკილი და ჯაჭვ განეხეთქა და  
დაე მ უ ს რ ა, მრ. 5, 4 C. რომელთა შეეპყრა იესუ, ლ. 22, 63 CD. შეე-  
შინა ერისა მისგან, რამეთუ ვითარცა წინაწარმეტყუელი შეე რ ა ც ხ ა იგი,  
მ. 21, 46 C. რომელი შეეყენა საპყრობილესა, ლ. 23, 25 C. რომელთა  
შფოთსა შინა კაცი ეკლა, მრ. 15, 7. დაღვა იგი ახალსა მას მისსა საფლავსა,  
რომელი გამოეკუეთა კლდისაგან, მ. 27, 60. რომელსამე მკარსა ეხეთ-  
ქნა და ორად განეპო, 213, 37. და მონაზონად ეკურთხა იგი წმი-  
დასა მას და მას განეზარდა იგი სიყრმით მისითგან და ესწავა მისდა  
პატიოსანი მონაზონებაჲ, 214, 8. კაცი იგი მენავჲ, რომელი დაეტევა მხედ-  
ვარად ნავისა მის, შემძლებელ იქმნა მოკლვად პაბაშისა მის, რომელი დაე ტ ე-  
ვა მათ თანა, 215, 14. სამოსელი ოდენ განეკუეთა მახვლსა, 216, 9.  
გულისკმამეყო შეუცვალებელი იგი სუფევება, 239, 30. და ვიდრე მოსლ-  
ვადმდე მისა ტფილისს სიონი განეშორა მკვდრთა, 269, 27. რომელსა  
მოებლარდნა საბლარდნელი სპეტაკი, 295, 12. და ვითარცა შევიდა, პოვა,  
რამეთუ ცოლსა მისსა წარედო ყოველი მონაგები თვისი და ლტოლ-  
ვილი იყო, ყრმაჲ ჩჩვლი მწოვარი, შვილი ფისი დაეგდო მარტოჲ სახლ-  
სა შინა, კიმ. I, 327, 16. ხოლო მეფე სირონ, რომელსა დაეპყრა მეფობაჲ  
მამისა თვისისაჲ, მოკუდა თუესა სეკდენბერსა, წარტყ. 65, 8—9. და მძვნეა-  
რებისა მისგან და გულის წყრომისა მოკლეს ყოველი ღედაკაცი და ყრმაჲ, რ-  
ომელი წარეტყუენა ფარანელთაგანი, 215, 20. კეთილად მიუგე მას სი-  
ტყუაჲ იგი, რამეთუ მაგით სახით ეგულებოდა შეტყუვილი შენი და მას სხუაჲ  
ზრახვაჲ გულსა მოეკადა სიბოროტისაჲ, 155, 36. და ჭეროვნითა გალობი-  
თა და სანთელთა სიმრავლითა და საკუმეველთა სულნელებითა შემურეს და  
დაღვეს საფლავსა, რომელი-იგი თუთ შეემზადა მას აღმოსავალით საკურ-  
თხეველისა, 234, 21. და იყო რაჲამს ინაკედგა მას სახლსა მას შინა, მრ-  
ავალი მუზურენი და ცოდვილი მოსრულ იყენეს და ინაკედგა  
იესუს თანა და მოწაფეთა მისთა თანა, მ. 9, 10 C.

უკუეთუმცა არა დაგუეყოვნა, აწმცა მოქცეულ ვართ სამ გზის, დაბ.  
43, 10. რამთამცა მუნ გუეშშნა უდაბნოჲ დიდი და ძალალი, 224, 23. და  
ვითარცა ვიდოდეთ, აჲ ესერა მოვიდეს ვინმე კაცი უკეთურნი, რომელნი გუეტ-  
ყოდეს, რამთა დავაცადოთ სლვაჲ კერძოთა მათ, რომელთა მიგუემართა,  
რამეთუ ჟამი არსო ნადირთაჲ, რომელნი მოვლენ ტბასა ამას, 227, 21.

და მცირედლა, და მო-მცა ვიდრემე-ვეკლენით ჩუენცა თვნიერ  
ყოვლადვე წინააღმდეგობისა, 204, 6.

რომელ არასადა მეხილნეს ეგვეითარნი საძაგელნი ყოველსა ეგვპტე-  
სა, დაბ. 41, 19. მრავალი სულნი შემეცთუნნეს, რომელნიმე მიმეც-  
ნეს და რომელნიმე სიძვასა და კერპთ-მსახურებასა შემეთხინეს:  
პარხ. 791 a.

წინაწარმეტყუელთა წიგნნი აღმოხეკითხნეს, 46, 4. რამეთუ ყო-  
ველნი იგი ღდენი უზმასა გარდაეკლნეს, 150, 11. კორცნი წულილ-  
წულილად დაებძარნეს ძეძუსა მას, 152, 17. რამეთუ პირველადვე წა-

რეგზავნის მას დედა და ცოლი და შვილი, 186, 29. მრავალი კურნებანი ეყენეს ღმერთსა კელითა მისითა, 206, 36. კორცი ესრეთ განეყენეს მგელთა მათ უწყალოთა, 216, 22. ყოველი ესე სასწაული და საქმენი, რომელნი-იგი პირველ ებისკოპოსობისა და უკუანამსკნელ ეხილვენეს, მომიტხრნეს, პირმან მან უტყუველმან, 233, 31. რამეთუ თუსთა მათ მონასტერთა მამასახლისნი დაედგინნეს, 265, 14. რამეთუ ცოცხლივ შთაენთქნეს ეშმაკსა, 272, 18. რამთა უწყოდით, თუ ვითარნი კაცნი მკვდრ იყვნეს ქუეყანასა ჩუენსა და რაოდენნი ბოროტნი აღესრულნეს კლვითა და ოკრებითა და ძმათა თუსთა მოსრვითა, წარტყ. 8, 22. მეფესა ჰერაკლეს... მრავალი ქალაქნი დაეპყრნეს და პალატი სამეფოთნი და ათასეული ერისა მათისად მოესრა და რომელნი წარტყუენულ იყვნეს ბერძენთაგანნი, უკუმოეყვანნეს და მონებისაგან განეთავისუფლნეს ძალითა ქრისტესითა, წარტყ. 65, 3—7.

### 2. ერთპირიანი ზმნები

შეშინებულ ხიყვენეს და დახედრივნეს პირნი მათნი ქუეყანად, ლ. 24, 5X. აფთო არა მუნ იყო, ად კაცისა ვისამეწდისა ვანად მისრულ იყო კითხვად რაჟსმე სიტყუსა, 147, 27. ხოლო მეფე ჰერაკლე ერთურთ მისით მათ ჟამთა ოდენ მიწვევულ იყო სპარსეთად და მრავალი ქალაქნი მათნი დაეპყრნეს, წარტყ. 65, 3. უკუეთუმცა დაემარხა და ესმინა მცნებაჲ იგი ღმრთისაჲ ადამს, არამცა გამოვრდომილ იყო იგი სამოთხისა მისჲან, არცამცა მოწვევულ იყო იგი ეკლოვანსა მას ქუეყანასა, ბოლნ. 4, 25.

### 8. ორპირიანი გარდაუვალი ზმნები

ხოლო ცოლსა მისსა (წუთლად) სასწაული იგი პატრიარქისაჲ არა დაჰვიწყებოდა, არამედ გონებასა მისსა აქუნდა ქსენებაჲ მისი: ანტიოქ. 105, 35 (ეტ. VI, 369, 35). ვინმცა იხილა მათ თანა ღიმილი და განცხრომად, რამეთუ სრულიად დაჰვიწყებოდა რისხეაჲ, რომელ არცა თუ აქსოვდალა, თუ კაცთა შორის არს მრისხანებაჲ: კლემქსი, 132, 16 (გამოსაცემად მოამზადა მ. ცინცაძემ). და არცამცა მიეღო გუამოვნებაჲ მყოფობისაჲ, არა თუმცა ჰნებებოდა ღმერთსა დაწყებაჲ დამბადებულობისაჲ: ხრონ. 264, 25. იმიერ ეგულეებოდა წარსლვაჲ ზღუად და მრავალთამცა ნავთა ვნებაჲ შეჰმთხუეოდა მის მიერ და თანად კაცთაცა: ასურ. 162, 1 4C; ...შემთხუეოდა... იქვე D. ნუ იყოფინ, თუმცა ჩემ ძლით რაჲ შეჰმთხუეოდა ძმასა ამას: ზარზმ. 171, 2. უკუეთუმცა პირველითაგანე გქონებოდა ესე შიში, მეუფეო, არამცა მოწვევულ იყო შენ ზედა შიში; ანტიოქ. 103, 34 (ეტ. VI, 367, 24). აღმიზარდიან და საზომად მომიწიფებიან არა თუ ამისთვის, ვითარცა სამართალი რამე ვისმე ჰქონებოდა ჩემ თანა მამულისა სამკვდრებელისა ძლით, არამედ მცნებისათჳს ხოლო ღმრთისა: პეტრიწ. ტიპ. 51, 7. რამეთუ არამცა მრავალი ეკუმინეს ცოლნი, არა თუმცა მაძულებულად ჰქონებოდა



ბუნება: ხრონ. 82, 5. ხოლო იგი, ვითარცა არაოდეს ჰქონებოდა გამოცდილებამ სიტყუათამ წინა-განსაწყობელად, განცვრდა და, ვითარცა ყრუმ და უტყუ, დუმდა: ხრონ. 265, 27. რეცა სამართალიცა შესწევდა, რამეთუ, ვინათგან აღშენებულ იყო, მათ ჰქონებოდა იგი ეკლესია: ცხ. ეფთ. 118, 23 (გვ. 53, 12). რომელთა-იგი არცაღა ერთი სასობამა და ჰქოთმოდა ვინაი კერძოვე განლტოლებისა: ხრონ. 287, 20. უკუეთუმცა ცოდნილ იყავ და მე დაგეკალ, ჩემსა ინჩაქუსა იდვა მარგალიტი სირაქლემისა კუერცხისა ოდენი და იგიმცა გამოგელო, შენ დიდი საფასე შეგძენოდა: ბალ. 58, 16 4.

#### XIV. მესამე ხოლმეოხითი

1. თუნიერ კუერთხისა და კედელსა მიყრდნობისა დგან იგი (ეფთუმვე) ეკლესიას ყოვლითა მოსწრაფებითა და კრძალულებითა. და ოდეს მცირე რამე საქმე არნ, მოწაფესა თვისსა საიდუმლოდ უბრძანის და იგი წარვიდის. და გინა თუ იკონომოსისადა ებრძანის გინა თუ პარიკონომოსისადა, მოზინდის და შტოსა გაიყვანის და მუნ უთხრის ბრძანებამა მაისამა. და ოდეს რამე დიდი იყვის, თუთ გავიდის შტოსა და დაიუბნის: ცხ. ეფთ. 58, 11 (გვ. 34, 3).

2—6. ამის მიზეზისათუს მშუდმან მან და მყუდრომან ეამსა მასცა მიცვალე-ბისა მისისასა მყუდროებამ იქუმია, ვითარცა კელოვანმან მენავეთ მოძღუარ-მან, რომელსა მრავალნი უფსკრულნი განეცლნიან და მრავალთა დეღვა-თადა ბრძოლა-ეკის და ნავთსაყუდლხსა მიმართ მხიარული შესლვად განეშხადის; გინა ვითარცა მკედარი ძლევა-შემოსილი, რომელსა-იგი ურიცხუნი სპარაზენნი მოესრნიან და მრავალნი ძლევანი და ბრძოლანი ექმნიან და ყოველსავე შინა განმარჯუებული მივალნ მეფისა თვისისა; ანუ თუ ვაქარსა, რომელსა მცირითა რამთმე საფასითა ურიცხვ სიმდიდრე შეეკრიბის და საუნჯისა მიმართ თვისისა მხიარული მიისწრაფინ; გინა თუ ვითარცა მუშაკი ურნატ-სავე ნაყოფთა ზედა თუსთა მხიარულ არნ, — ეგრეთვე წმიდამ ესე ეამსა მიცვალეებისა თვისისასა ამათ ყოველთავე ზემო წერილთა მიემსგავსა: ცხობრებამ და მოქალაქობამ წმ. გიორგი მთაწმიდელისა: ათონის ივერის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი აღაპებით, გვ. 336—337 (დამოწმებულია ა. შანიძის გამოცვლევის მიხედვით: მწკრივთა მოძღვრებისათვის. II. ერთი უცნობი მწკრივი ქართულში: თბილ. სახ. უნივერსიტეტის სამეცნიერო სესია, მოხსენებათა კრებული, 1947. გვ. 4).

7. რამეთუ განირთხნა წმიდანი იგი ფერკნი მისნი წესიერად, რომელთა ღმრთის მსახურებისათუს მრავალი შრომამა თავს-ედეის (ვარ. თავს-იდევს), და კელნი სანატრელნი, მწერალნი საღმრთოთა მოძღურებათანი, უმანკოსა მას და უბიწოსა გულსა ზედა დაიჭუარდნა: იქვე, 7.

8. ხოლო სიკარიელად უწოდდეს მათ მახვლთაგან, რომელნი ეტვრთნიან: ხრონ. 166, 5.

9—10. არცა სამეფოთა შინა მისთა, არცა ლაშქართა შინა მისთა მყოფთა კაცთა, დიდთა და მცირედთა, საქმე კეთილი, გინა სიტყუა ბოროტი, სიტყუა ჟქმული არაბა დაეფარვოდა ყოვლადვე, არამედ რაოდენცა ვის ფარულად ექმნის ანუ ეთქუის, ყოველივე ცხად იყო წინაშე მისსა: ა. შანიძე, იქვე, 10.

11. რომელი-ესე წინამძღუართოვს ეყვის და მოძღუართა: ვაჰანის ქუაბთა განგება (იქვე).

12. რამეთუ კაცმან ოდესმე ძილსა შინა იხილის ხატი, რომელი არაოდეს ეხილვის, და შეძრწუნდის გული მისი: Sin. 36, 260 a, 4 (=სწავ. 221, 8, ოლონდ აქ გვაქვს უხილავნ, ე. წ. პირველი თურმგობითის ხოლმეობითი<sup>1</sup>).

#### XV. მესამე კამფირებითი

და ყოველსა რომელსა დაეტეოს სახლი ანუ ძმანი ანუ დანი... ასი წილი მოილოს მან და ცხორებაჲ საუკუნოჲ დაიმკვდროს, მ. 19, 29 C. ვიდრე არღა ეყივნოს ქათამსა, სამ გზის უვარ-მყო მე, მ. 26, 75. არღა ეყივლოს ქათამსა დღეს, ვიდრემდე სამ გზის უვარ-მყო მე, ვითარმედ არა მიცი მე, ლ. 22, 34 C. ხოლო რომელსა ეტვართოს ეპისტოლე ესე ჩემი, არსმცა წმიდა და განყენებულ ყოელისაგან საქმისა ბოროტისა, რამეთუ ყოველივე კელითა ჩემითა დაწერილ არს, აღწ. 126, 8.

ჟამსა წირვიდენ სხუათა თანა მღდელთა, თუცა თუ არა დაჰკლებოდის რიცხუსა პირველ განწესებულთა მღდელთასა, და აიღებდენ<sup>2</sup> იგინიცა ყოველსა მისაცემელსა, ვითარ სხუანი იგი ჟამის მწირველნი: პეტრიწ. ტიპ. 71, 13. ჯერ-არს, რაჲთა ყოველთა დღეთა აღუვარებდენ ძმანი წინამძღუარსა გულის-სიტყუათა და საქმეთა და ყოველსავე ბრალსა, რაჲცა შეჰმთხუეოდის<sup>3</sup> მათ: პეტრიწ. ტიპ. 5, 3.

<sup>1</sup> ლ. კიკნაძე, შერეულ ხოლმეობითის მწკრივი ძველ ქართულში: „ორიონი“, 1967, გვ. 187, 192.

<sup>2</sup> დაიღებდენ გ.

<sup>3</sup> სოფიის ხელნაწერსა და მ. თარხნიშვილის გამოცემაში შეჰმთხუეოდა ავთხება, მაგრამ ხიოსის ხელნაწერში შეჰმთხუეოდის. არის (ა. შ.).

## 1. ზმნის პიკები, პიკთა კლება და მაგება

### I

პირის ნიშნების შეხვედრა. ქართულში 6 პირის ნიშნიდან 5 პრეფიქსია (ვ-წერ, ხ-წერ, მ-წერ-ს, გ-წერ-ს მი-ხ-წერ-ს), ხოლო ერთი სუფიქსი (წერ-ს, წერ-ა, იწყ-ო...). აქედან  $S_1$  არც ერთ სხვა ნიშანს არ შეხვდება, რადგან თვით სუფიქსია, სხვები — პრეფიქსი. სხვადასხვა პრეფიქსი ხვდება ერთმანეთს 4 შემთხვევაში: 1)  $S_1O_1$  — გწერ მე შენ, 2)  $S_2O_1$  — მწერ შენ მე, 3)  $S_1O_1O_1$  — მივსწერე მე მას იგი, 4)  $S_1O_1O_1$  — მისწერე შენ მას იგი. უკანასკნელ შემთხვევაში ორივე ნიშანი — სუბიექტისა და ობიექტისა — ერთია: ხანმეტში  $\beta$ , პავმეტში  $\beta$ , ხოლო შემდეგ ისევ  $\beta$  და  $\beta$ . ამათგან მხოლოდ ერთია შენახული, მეორე არასდროს არაა წარმოდგენილი: მიხწერე შენ მას იგი (და არა: მიხწერე), მიჰწერე (და არა: მიჰწერე), მისწერე (და არა: მისწერე). რომელი იკარგება, რომელი რჩება? ამაზე ცოტა ქვემოთ.

მესამე შემთხვევაში ორივე ნიშანი შენახულია — სუბიექტისა და ობიექტისა: მი-ვ-სწერე (მე მას იგი). ასე იყო ხანმეტშიც, ოღონდ იქ რიგი იყო შეცვლილი და ვ-ს იყო გადაქცეული: მი-ხ-სწერე. ასევე იყო პავმეტშიც (მი-ჰ-სწერე) და დღესაც ასეა (მი-ვ-სწერე, და-ვ-ს-ძინე, ვ-პ-კითხე, მო-ვ-პ-გვარე), სადაც თავდაპირველი (საგულგებელი) რიგი აღდგა და ვ-მაც ზმნის თავში თავისი ძველი სახე მიიღო (ვ-ს-თხოვე და არა: თ-ს-თხოვე). ეს არის ერთადერთი შემთხვევა ქართულ ზმნაში, როცა ორი პირის ნიშანი ერთად არის შემონახული და ერთად იწერება.

პირველსა და მეორე შემთხვევაში ორი ნიშნიდან მხოლოდ ერთია გადარჩენილი, მეორე დაკარგულია. სახელდობრ, გადარჩენილია ობიექტური ნიშანი; დაკარგულია სუბიექტური: გ-ნ-ახე (მე შენ), მაგრამ მ-ნ-ახე (შენ მე). პირველში  $\beta$  გადარჩა ( $O_2$ ), ვ (უნდა ვივარაუდოთ) დაიკარგა: \*ვ-გ-ნახე—გ-ნახე; მეორეში  $\beta$  გადარჩა ( $O_1$ ),  $\beta$  (უნდა ვივარაუდოთ) დაიკარგა: \*პ-მ-ნახე—მ-ნახე. თუ ამ წესს განვაზოგადებთ, IV შემთხვევაში, სადაც ორი ერთნაირი ნიშნიდან ერთი და შემოგვენახა (მი-ს-წერე შენ მას იგი), გადარჩა ობიექტური, დაიკარგა სუბიექტური.

რომ, მართლაც, სუბიექტური პირის ნიშანი იკარგება და ობიექტური რჩება, ამას „აღნიშნულს გარდა, თვალნათლივ გვიჩვენებს ერთ-ერთი ყველაზე უძველესი ზმნის საინტერესო მოწმობა. ეს არის ვალ (სლვა) ზმნა. ცნობილია, რომ ამ ზმნას შემონახული აქვს ბევრი უძველესი ნიშანი, მათ შორის ხანმეტი ფორმები. მაგრამ ძველ ქართულში არის ისეთი შემთხვევები, როცა ამ ზმნის ფორმაში ერთმანეთს უნდა შეხვდეს მეორე სუბიექტური პირის ნიშანი ( $\beta$ ) და მესამე

ობიექტური პირის ნიშანი პ. მერე რა ხდება? — ხ (S<sub>1</sub>) იყარვება ზ (O<sub>1</sub>) რჩება! აი საოცრება: ვ ა ლ ზ მნა II სუბიექტურ პირში (მხ. და მრ.) უხანოლ! მაგალითები:

თან ა-წ არ ჰ ვ ა ლ სიცრუეთა: მიქ. 7, 18 ლატ. იერუსალიმურში გვაქვს თანა-წარხუალ (თუ გამოცემაში შეცდომა არაა), ხოლო ოშქურში—თანა-წ არ ჰ ხ უ ა ლ (მომყავს გამოცემული ვარიანტების მიხედვით); ნუ თან ა-წ არ ჰ ვ ა ლ თ სიტყუათა მისთა: იედით 11, 10; თან ა-წ არ ჰ ვ ა ლ თ სმართალსა და სიყუარულსა ღმრთისასა: ლ. 11, 42 ABCDL, ბერთა და სხვა. მხოლოდ მესტიის სახარებაშია უსწორო და უკანონო თან ა-წ არ ჰ ხ უ ა ლ თ. ვიორგისეულ რედაქციაში (ვანის, გელათის, ენშიაძინის ხელნაწერებში) ისევ სწორი თან ა-წ არ ჰ ვ ა ლ თ იკითხება.

ცალკე აღებული ს-უ ა ლ ერთპირიანი ზმნა, თან ა-ს დართვით კი მასში ობიექტური პირი შემოდის, ფორმა ორპირიანი ხდება და ჩნდება მისი ნიშანი (ჰ), რომელიც სუბიექტურ ნიშანს (ხ-ს) აძევებს. ეს პირის ნიშანთა ზოგადი კანონია — ობიექტური და სუბიექტური ნიშნების შეხვედრისას (როცა ერთ-ერთი უნდა გამოვარდეს ფორმიდან) იმარჯვებს ლა რჩება ობიექტური ნიშანი, მარცხდება და გადის ფორმიდან სუბიექტური ნიშანი. აქაც ასე გვაქვს. რა:კ შეეხება თან ა-წ არ ჰ ხ უ ა ლ-ს, ხ აქ შეხორცებულია ძირთან, ის ძირის კუთვნილებად ესმით, სწორედ ამიტომ უმატებენ ახალ ნიშანს — ჰ-ს, როგორც ეს გვაქვს ოშქის ხელნაწერში (თანა-წარხუალთ). ხ რომ პირის ნიშნად ესმოდეო, ჰ-ს არ დაურთავდნენ.

როცა ამ ფორმაში ობიექტად პირველი პირია, წარმოდგენილია სწორედ მისი (ობიექტის) ნიშანი (მ), ხოლო სუბიექტის ნიშანი (ხ), რასაკვირველია, აქაც დაკარგულია: ნუ თან ა-წ არ ჰ მ ვ ა ლ თ მონასა თქუნესა: დაბ. 18, 3. ხოლო როცა ამ ფუძეს წინ ერთვის ქცევის ნიშნები, სანნარეე ფორმებში არც სუბიექტური და არც ობიექტური ნიშანი არაა შენახული და ფორმა ახალ ქართულზე შეჩვეულ ყურს საჩოთიროდ მოეჩვენება, ძველი ქართულის კანონებით კი სავსებით სწორი და ერთადერთია, მაგალითად: შვილო ჩემო, ნუ ურჩ-ეყოფვი შიშსა უფლისასა და ნუ მიუ ვ ა ლ მას ორგულებით: ზირ. 1, 26. ობიექტური პირის ნიშანი უნდა ყოფილიყო უ-ს წინ (მიძუვალ), მაგრამ ჰ უ-ს წინ დაკარგულია. ხანმეტურად, რა თქმა უნდა, გვექნებოდა მი ხ უ ვ ა ლ, დღეს კი ვიტყვით მი უ ხ ვ ა ლ, რადგან დღეს ეს ხ ძირსაა შეზრდილი და პირის ნიშნად არ გვესმის.

სხვა მაგალითები: ვაჟ თქუნდა, უბადონო, ვითარ თან ა-უ ვ ა ლ თ მაგას: აპოკრ. 26, 21; უკუეთუ თან ა-უ ვ ი ღ ო ლ დ ი ბრძენთა, ბრძენ იყო: იგავ. 13, 21. ხანმეტურად გვექნებოდა თან ა-ხ უ ვ ა ლ თ და თან ა-ხ უ ე ი ღ ო ლ დ ი. ეს უკანასკნელი გვაქვს კიდეც ხანმეტ ლექციონარში: და ხიყო ზრახვასა მას მათსა და გამოძიებასა და თავადი იესუ მიხეხალა მათ და თან ა-ხ უ ე ო ლ და (ლ. 24, 15).

იმავე კანონით ხ (S<sub>1</sub>) არ უნდა იყოს და არც არის შემონახული აგრეთვე შემდეგს საინტერესო ფორმებშიც:

აცადეთ, რამეთუ ჩემ ზედა განსიღნებით და ზ ე ღ ა-მ ო მ ი ვ ა ლ თ მე ყუედრებით: იობ 19, 5; ვითარ-ესე გიცნი თქუნენ, კადნიერად ზ ე ღ ა-მ ო მ ი ვ ა ლ თ მე: იობ 21, 27. ი-ს წინ ობიექტური ნიშანია შენახული (ზედა-მოში-

ვალთ), მაგრამ სუბიექტური ნიშანი ზ დაკარგულია. დღეს კი ჩვენი ყური შეჩვეულია ფუძეს შეხორცებულ ხანსაც (ხელიდან ვერ წამიხვალ, სიმაართეს სად წაუხვალ), რომელიც ვალ (ვედ...) ფუძის წინაა გაქვეავებული. ამიტომ, რომ კეცვის ნიშნები (ი, უ) სწორედ მის წინაა მოთავსებული და არა მის შემდეგ, როგორც წესი და კანონი მოითხოვდა. მაგრამ უძველესმა ტექსტებმა ასეთი დარღვევები არ იცის.

## II

ძველ ქართულში გვხვდება სამპირიანი ზმნების პირთა იშვიათი კომბინაციები: I და II პირები ობიექტებად არის გამოყენებული ერთდროულად. III—სუბიექტად. ამის კარგი მაგალითია იოსების თავგადასავლას ეს ადგილი: ამა ესერა ესენი, ვითარცა მკეცნი მძვნვარენი, ეგრე შექმნეს მე და რისხვით მომტაცეს მე შენგან: საე. წიგ. II, 61, 11. აქ პირველი პირი პირდაპირი ობიექტია [მომტაცეს მე (კაცი) შენგან], მეორე — ირიბი (მომტაცეს მე შენგან||შენ). შენგან და შენ ამ შემთხვევაში საესებით ერთი სინტაქსური ოდენობაა, თუმცა პირველს თანდებული ახლავს (მესამე პირი აქ არ შეიძლება ვიგულისხმოთ: მომტაცეს მე შენგან მას). მაშასადამე, თუმცა აქ პირდაპირი ობიექტად პირველი პირია წარმოდგენილი, ხოლო ირიბად — მეორე, მაგრამ ზმნაში მაინც პირველის ნიშანია გამოხატული (მო-მ-ტაცეს) და არა მეორისა. იმ იშვიათ შემთხვევებში, როცა ობიექტებად ერთდროულად I და II პირებია წარმოდგენილი, ძველ ქართულში არსებობს ზოგადი წესი: წარმოდგენილია პირველი პირის ნიშანი (შ), არ არის წარმოდგენილი მეორის ნიშანი (გ), სულ ერთია, რომელია ირიბი და რომელი — პირდაპირი.

აი კიდევ ასეთი იშვიათი მაგალითები სხვა ძეგლებიდან: ნათესავთა შენთა და მღღელთ მოძღუართა მომცეს მე შენ: ი. 18. 35. C-ში მე-ს ნაცვლად „ჰელთა ჩემთა“ იკითხება (...მომცეს შენ კელთა ჩემთა), მაგრამ ეს „ჰელთა ჩემთა“ სინტაქსურად იგივე მე არის, როგორც პირველ მაგალითში „შენგან“ — შენ; მე ამ შემთხვევაში ირიბია, შენ — პირდაპირი, ნიშანი კი მაინც პირველს აქვს, მეორეს — არა. ამიტომ, რომ მომცეს თავისი ფორმით პირდაპირი ობიექტად ჩვეულებრივ მესამე პირს შეიწყობს: მომცეს მათ მე იგი. ესაა სწორედ ჩვეულებრივი ნორმა ძველი (და ახალი) ქართულისათვის. ამ შემთხვევაში ზმნაში ფორმალური განსხვავების დამყარება არ ხერხდება: მომცეს მათ მე შენ (პირთა იშვიათი კომბინაცია) და მომცეს მათ მე იგი (ჩვეულებრივი კომბინაცია) აბსოლუტურად ემთხვევა ერთმანეთს. და ეს იმიტომ, რომ შეუძლებელია ზმნის ფორმაში ერთდროულად აღინიშნოს პირველი და მეორე ობიექტური პირები. კიდევ: სახე-ბოროტო, პირ-ხენუო. უცხო-თესლო, ვინმცა მიჩუენა შენ წარწყმედული, მაშინდა თუმცა განვისუენე: Sin. 62, 44 რბ, 9. აქაც სრულიად მსგავსი შემთხვევაა: მიჩუენა მან მე შენ პირთა უჩვეულო კომბინაციაა. შენ (O:) ჩვეულებრივი იგ-ის (O:) ადგილასაა ჩასმული. და ესეც იმავე მიზეზით. ასეთია კიდევ შემდეგი მაგალითებიც: აწ ვინ მიმტაცა შენ ჩემგან (=მე): კიმ. 1, 142, 17; განგავლინენ თქუენ გლოვით და ტირილით, კუ ანა დ-მ აგ ეს მე თქუენ ღმერთმან სიხარულით და მხიარულებით უკუენისამდე: ბარუქ 4, 23. შდრ. რუსული თარგმანი: Я отпустил вас с печалью и горестью, но Бог

возвратит мне вас с радостью и веселием навеки. მე აქ, როგორც ეხედავთ. ირიბი ობიექტია, თქვენ — პირდაპირი, ნიშანი კი პირველს აქვს, მეორე პირი უნიშნაა. ამიტომ თამამად შეიძლება მის ნაცვლად მესამე ობიექტური პირი ჩავსვათ: კულაღ-მაგნეს მეიგინი ღმერთმან. ეს, რასაკვირველია, უფრო ბუნებრივი და აბსოლუტურად ჩვეულებრივი ნორმაა.

წამოყენებული დებულების ყველაზე ნათელი მაგალითი გვხვდება კოსტანტი კახას მარტილობაში: აჰა ესერა მოგუცნა თქვენ ღმერთმან დღესა ამას მოსასრველად კელთა ჩუენთა: აგ. ძეგ. I, 167, 25. აქ პირდაპირი ობიექტი მეორე პირია, ირიბი — პირველი, ნიშანი, როგორც წესია, პირველს აქვს, მეორეს არა, იგი უნიშნადაა წარმოდგენილი, და ამიტომ უფრო შესაფერისი იქნებოდა მესამე ობიექტური პირისათვის: მოგუცნა იგინი ღმერთმან. იქვეა მსგავსი მაგალითი ობიექტთა შებრუნებული კომბინაციით: ღმერთმან მიგუცნა კელთა თქუენთა (თქუენ): 167, 28. აქ კი პირდაპირი ობიექტი პირველია (ჩუენ), ირიბი — მეორე (თქუენ), პირის ნიშანი მაინც პირველს აქვს.

ორი ობიექტური პირიდან ნიშანი ყოველთვის უმცროსს მოეპოვება, უფროსს — არა, სულ ერთია, რომელია პირდაპირი და რომელი — ირიბი: როცა ობიექტად ერთადაა წარმოდგენილი I და II პირები, როგორც ვნახეთ, ნიშანი ყოველთვის პირველს ექნება, მეორეს — არა; როცა ერთადაა II და III ობიექტური პირები, ამ შემთხვევაში ნიშანი მეორეს ექნება, მესამეს კი — არა, სულ ერთია, რომელი მათგანია პირდაპირი და რომელი — ირიბი: მოგიყვანა მან შენ შეილი, მოგიყვანა (მიგიყვანა) მან შენ მას (მის თანა).

როცა ობიექტებად I და III პირებია, რაღა აქმა უნდა, ნიშანი პირველს ექნება, მესამეს კი — არა!

ეს წესი სუბიექტურ პირთათვის უფრო ნათელია დღევანდელი ქართულის შემდეგი მაგალითების მიხედვით: მე და შენ მივდივართ, წავალთ, მოვტაცეთ, მივეცი, უჩვენეთ, დააგეთ (და არა: მე და შენ მიდიხართ, წახვალთ, მოსტაცეთ, მიეცი, უჩვენეთ, დააგეთ). სუბიექტთა რიგს არა აქვს მნიშვნელობა, ისევე ისევე ითქმის: შენ და მე მივდივართ, წავალთ, მოვტაცეთ და ა. შ. მაგრამ როცა მეორე სუბიექტურ პირთან მესამეა წარმოდგენილი, ზმნაში აღინიშნება მეორე პირი და არა მესამე: შენ და ის|მან (ის|მან და შენ) მიდიხართ, წახვალთ, მოსტაცეთ, მიეცი, უჩვენეთ, დააგეთ (და არა: ...მიდიან, მოსტაცებენ, მისცემენ...). აი, ამ ზოგადი წესის გამოხატულება და კონკრეტული დადასტურებაა ძველი ქართულის ზემოთ განხილული ობიექტურ პირთა კომბინაციების იშვიათი შემთხვევები.

### III

ზოგ ორპირიან ზმნას თანამედროვე ქართულში მხოლოდ ერთნაირი წყობა აქვს: სუბიექტად (ან ობიექტად) მხოლოდ მესამე პირს შეიწყობს, პირველსა და მეორეს — ვერა. დღეს ითქმის, მაგალითად: მე ვიცი იგი, შენ იცი იგი, მან იცის იგი, მაგრამ არ შეიძლება ეთქვათ: შენ მიცი მე, მე ვიცი შენ, მან მიცის მე, მან ვიცის შენ, მათ მიციან მე, მათ

<sup>1</sup> ახალ ქართულში პირთა კომბინაციების იშვიათი შემთხვევების შესახებ საუბარი აქვს ა. შანიძეს „ქართული გრამატიკის საფუძვლებში“, გვ. 237—239 და სხვაგან.

გ ი ც ი ა ნ შ ე ნ და ს ხ ვ ა . ძველ ქართულში ამ ტიპის ზმნებში დღევანდელი შეზღუდვები არ იყო, ობიექტად (და სუბიექტად) სამივე პირი იხმარებოდა. მაგალითები:

მე გ ი ც ი შ ე ნ , რამეთუ დ რ კ უ ლ ხ არ პირველითგან: ისტ. ქრ. II, 29, 8; გ ი ც ი შ ე ნ , ვინ ხარ: მრ. 1, 24 C; ვინაჲ მი ც ი მე: ი. 1, 48; არა მი ც ი მე: ლ. 22, 34, 61; არლარა მი ც ი მეა: ი. 14, 9; მი ც ი ს მე მამამან: ი. 10, 15; ვინ გ ი ც ი ს შ ე ნ : ისტ. ქრ. II, 113, 7; გ ი ც ი თ შ ე ნ , ვინ ხარ: მრ. 1, 24; მეცა მი ც ი თ და ი ც ი თ , ვინაჲ ვარ: ი. 7, 28; არცა მე მი ც ი თ , არცა მამა ჩემი: ი. 8, 19; არა მი ც ი თ მე: ი. 14, 9 C; ვიცნი ჩემნი იგი და მი ც ი ა ნ ჩემთა მათ: ი. 10, 14; პირველ არავინ გ ი ც ო ლ ა : აბო (ისტ. ქრ.) 201, 21; უკუეთუმცა მე მი ც ო ლ ე თ , მამაჲცამცა ჩემი იცოდეთ: ი. 8, 19.

ეს ზმნა, როგორც ცნობილია, წარმოშობით II სერიისაა (II ხოლმეობითი). ამიტომ მასში საჭირო შემთხვევაში ასახულია პირდაპირი ობიექტის მრავლობითობა, მაგალითად: მე გ ი ც ი ნ , რომელნი-ეგე გამოვირჩიენ: ი. 13, 18 C; არა გ ი ც ი ნ თქუნ, ვინანი ხართ: ლ. 13, 25, 27; არასადა გ ი ც ო ლ ე ნ თქუნ: მ. 7, 23 ყ; ი ც ო ლ ა იესუ ზრახვანი მათნი: მ. 9, 4; თავადმან ი ც ო ლ ნ ა ზრახვანი მათნი: ლ. 6, 8 L (ქსანი).

დღეს კილოებში (მაგ., ქართულში) აქა-იქ გაყინული ფორმით დარჩენილია ძველებური გამოთქმები: ღმერთმა გ ი ც ი ს (შენ), ეშმაკმა გ ი ც ი ს და ს ხ ვ ა . სალიტერატურო ენაში, როგორც ნათქვამი გვექონდა, ამის ნიშანწყალიც არ არსებობს.

ამის მსგავსია მ ა ქ უ ს ზ მ ნ ა , რომელიც ძველ ქართულში აღნიშნავს როგორც ქონებას, ისე ყოლას (მაქუს მამაჲ, ქმარი, ძმაჲ, ცოლი; მქონდეს მოყუასნი), იხმარებოდა ორივე (სუბიექტური და ობიექტური) წყობით. ჩვენ აქ ვუჩვენებთ სუბიექტური წყობის მაგალითებს, როგორც დღევანდელი ქართული-სათვის უჩვეულოს:

აწ ესერა ქნარი მათი მე ვარ და მე სასიტყუელად ვ ა ქ უ : იობ 30, 9 (გვავეარ მათ); და ა ქ უ შ ე ნ ყოველსა ქუეყანასა ზედა მეოხად მათა: პარხ. 638 b (პყავხარ); დაიმარხენ სიტყუანი ჩემნი მარადის და ვ ა ქ უ ნ დ ი მე , შვილო, სულისა შენისა თანა: საკ. წიგ. II, 133, 38.

### ს ხ ვ ა მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი :

განმარინა მე, რამეთუ უ ნ დ ი მე: 2 მეფ. 22, 20; მღკსნა მე უფალმან, რამეთუ უ ნ დ ი მას: ფს. 17, 20.

ამით ვცნა, რამეთუ გ თ ნ დ ი შ ე ნ : ფს. 40, 12.

არა მიკმ შ ე ნ : 1 კორ. 12, 21; მიკმ მე შ ე ნ : კიმ. I, 200, 26; არა მიკმ თ მე: ეპ. ანტ. 27, 7. თუ სუბიექტი მრავლობითშია, ზმნაში აღდგება ფუძის საწარმოებელი ან სუფიქსი: მამანი კ მ ა ნ ა ნ და არა დედანი ყოფად ბუნებისა მისთვის და ვნებისა საცთურისაგან: 1 ტიმ. 2, 10 (წითურით მინაწერი).

მიხილეთ და გ რ წ ა მ : ი. 20, 29; თქუნ მე შემიყუარეთ და გ რ წ ა მ : ი. 16, 27; რომელთა ვკრწამ მე: მრ. 9, 42 C; უფალო ღმერთო, გ რ წ ა მ : პარხ. 429 b; არამედ მწამ (ასეა) შ ე ნ : Sin. 62, 36 va, 7; და ჩუენცა გ უ რ წ ა მ , რომელსა კელ-გეწიფების ცხოვრებაჲ მოსაგთა შენთაჲ: პარხ. 806 a;

810 b; ჩუენ გ ვ რ წ ა მ (ასეა), ვითარმედ კაცი ღმრთისაჲ ხარი შენ: ცხ. ეფრ. 114, 26.

ძალიან იშვიათია ასეთი ფორმები (სუბიექტად I და II პირი) II სერიის მწკრივებში, მაგრამ საერთოდ არის, მაგალითად: მიხილე და გ რ წ მ ე ნ ი: ი. 20, 29 ლაგ.; უფალო ღმერთო, მრწამ, რომელიცა ამათ ჰ რ წ მ ე ნ ი: პარა. 429 b. აქ ისიცაა აღსანიშნავი, რომ II სერიის ფორმებს უმატებთ ენ სუფიქსი: მ-რ წ ა მ-ს, მაგრამ: მ-რ წ მ-ე ნ-ა, გ-რ წ ა მ-ს — გ-რ წ მ-ე ნ-ა, ჰ-რ წ ა მ-ს — ჰ-რ წ მ-ე ნ-ა. ფუძისეული ა ამოღებულია მომდევნო ენ სუფიქსისეული ე-ს გამო. შდრ. ე-ი-ქმ (—\*ე-ი-ქამ), მაგრამ: ე-ქმ-ე ნ.

როცა სუბიექტი მრავლობითშია, ფუძის საწარმოებელი ან სუფიქსი აქაც აღდგება: უფალო, მ რ წ მ ა ნ ა ნ მე სიტყუანი შენნი: სწავ. 75, 29; და თუ ჩემნი ესე სიტყუანი არა გ რ წ მ ა ნ ა ნ: სინ. 109, 10; უღაბნ. 55 va. ასეთი ან სუფიქსი გვაქვს ჩვენ კიდევ შემდეგს ზმნებში: ჰბრძანან, ჰგვანან, ღვანან, სთნვანან, კუმანან, ჰქუანან (—ჰქონან), ჰყვანან, ჩანან, წვანან, კმანან (ნ. ზემოთ).

#### IV

ქართულ ენას, ბევრი სხვა ენისაგან (განსაკუთრებით ინდოევროპული და სემიტური ენებისაგან) განსხვავებით, აქვს ორპირიანი, სამპირიანი და, იშვიათად, ოთხპირიანი ზმნები (ერთპირიანი ზმნები თავისთავად იგულისხმება). ქართული ენის განვითარების მთელ სიგრძეზე სხვადასხვა ენობრივი და სხვა სახის მიზეზებით განუწყვეტელად ზღვება პირთა მატება და კლება. ქართული ენის მიუკრ განვლილი საფეხურები ამის მრავალ მაგალითს გვაწვდის. ჩვენი ენის ისტორიის გადასახელებზე უფრო ნათლად ჩანს პირთა დაკლება, უფრო ნაკლებად — დამატება, რომელსაც უფრო ახალ ქართულში აქვს ადგილი. ჩვენ ამ უკანასკნელით დავიწყებთ.

ყოველი ნორმალური ორპირიანი გარდამავალი ზმნის სინტაქსური ფორმულაა: ი გ ი მ ა ს (I სერ.) და მ ა ნ ი გ ი (II სერ.): წერს იგი მას — დაწერა მან იგი. ყოველი ნორმალური ორპირიანი გარდაუვალი ზმნის ფორმულაა: ი გ ი მ ა ს (სამივე სერია): ეხმარება იგი მას — დაეხმარა იგი მას — დახმარებია იგი მას. ორპირიანი გარდაუვალი ზმნა სამპირიანი გარდამავალი ზმნის კონვერსიული სახეა. ამიტომაა, რომ მას სათანადო მოქმედებითზე ერთი პირით ნაკლები აქვს. შდრ. უფანტავს ი გ ი მ ა ს ფ ი ქ რ ე ბ ს — გაუფანტა მ ა ნ მ ა ს ფ ი ქ რ ე ბ ი (მოქმ.) და: ფუანტება მ ა ს ფ ი ქ რ ე ბ ი — გაუფანტა მ ა ს ფ ი ქ რ ე ბ ი — გაუფანტავა მ ა ს ფ ი ქ რ ე ბ ი (ენ.). მაშასადამე, ჩვეულებრივად ასეთ გარდაუვალ ზმნას ორ პირზე მეტი არ უნდა ჰქონდეს (მესაფერის მოქმედებითს ხომ მხოლოდ სამი პირი აქვს!). ეს ასეცაა საერთოდ, მაგრამ ახალ ქართულში გვაქვს ერთი ათიოდე გარდაუვალი ზმნა, რომელთაც მესამე პირიც გასჩენია და ახლა სამპირიანი გამხდარა, სინტაქსური ძალა კი ისევ ძველი შეუნარჩუნებია. ასეთი ზმნებია:

1) მოუყვება იგი მას მას — მოუყვა იგი მას მას: მასწავლებელი უყვება მოსწავლეებს გაკვეთილს — მასწავლებელი მოუყვა მოსწავლეებს გაკვეთილს; ჯარისკაცი უყვება ამხანაგს (ომის) ამბავს — ჯარისკაცი მოუყვა ამხანაგს (ომის)



ამბავს და სხვა. მესამე პირი (გაკვეთილს, ამბავს) მერმე შენაძენია, თავიდანვე კი უყვება — მოუყვა ჩვეულებრივი ორპირიანი გარდაუვალი ზმნა იყო.

მესამე პირის შემატებამ ამ ზმნას მძიმე სინტაქსური დალი დაასვა: რაკი ახალი ფორმა სამპირიანია, მოლაპარაკეს იგი ესმის როგორც ყველა სხვა სამპირიანი (მაშასადამე, გარდამავალი) ზმნა და ამათი ყალიბის მიხედვით II სტერიაში სუბიექტს მოთხრობითში სვამს, ხოლო ახლად შექმნილ მეორე (ირიბ) ობიექტს — სახელობითში, და ასე ვიღებთ სალაპარაკო ენაში (განსაკუთრებით. დასავლურ დიალექტებში) გავრცელებულ კონსტრუქციას: მ ა ს წ ა ე ლ ე ბ ე ლ მ ა მოუყვა მოსწავლეებს გ ა კ ვ ე თ ი ლ ი, ჭ ა რ ი ს კ ა ც მ ა მოუყვა ამხანაგებს (ომის) ა მ ბ ა ვ ი. ეს შეცდომა ცოცხალი დიალექტებიდან სალიტერატურო ენაშიც შემოდის. იგი განსაკუთრებით გახშირდა ამ უკანასკნელ ხანებში. აი ორიოდე ნიმუში ჩვენი მწერლობიდან.

ა ნ ე გ ღ ო ტ ი ცოლს მოვუყევი („ცისკარი“, 1968, № 5, გვ. 155. უნდა იყოს, რა თქმა უნდა, ა ნ ე გ ღ ო ტ ს); ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი მოვუყევი (იქვე, 10, 106); არც თუ მხიარული ა მ ბ ა ვ ი მოგიყევი (იქვე, 2, 154, = ა მ ბ ა ვ ს); რ ა ე ბ ი არ მოგიყევა (იქვე, 7, 47, = რ ა ე ბ ს); ზ ო გ ი ე რ თ ო რ ა მ მოუყვა (იქვე, 7, 59); განა მე ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი არ მოგიყევი (იქვე, 12, 44, = ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ს); მოვუყევი ა მ ბ ა ვ ი (იქვე, 10, 102; 12, 88); ტკბილად მოუბარი მოხუცი არასოდეს არ დაზარდება მოუყვეს ძ ვ ე ლ ე ბ უ რ ი ა მ ბ ე ბ ი (გაზ. „კომ.“ № 59, 12. III/1965, „101 წლის მოხუცი“); მისი თხოვნით მოვუყევით მთელი ა მ ბ ა ვ ი ფირსმანზე (ვ. ჩაჩანიძე, „მოგონებანი ნიკო ფირსმანზე“: „მნათობი“, № 9, 1967, გვ. 183); დასასრულ მოყვეთ ერთი ქართული ი გ ა ვ ი (ვლ. მაჭავარიანი, „მამლის ბოლოს“ რა ვუყოთ?": „ლიტ. საქ.“, № 16. 19. VI. 1968).

2) ჰპირდება იგი მას მას — დაპირდა იგი მას მას: ჰპირდება შეილი დედას ხუთების მიღებას — დაპირდა შეილი დედას ხუთების მიღებას; ჰპირდება მოსწავლე მასწავლებელს (დავალების კარგად) შესრულებას — დაპირდა მოსწავლე მასწავლებელს (დავალების კარგად) შესრულებას. ერთი პირი ამ ზმნასაც მერმე აქვს დამატებული, თავიდან ესეც ჩვეულებრივი ორპირიანი გარდაუვალი ზმნა იყო. პირის დამატებამ ამაზეც იქონია ცუდი გავლენა: ზოგჯერ ამის სუბიექტსაც სვამენ მოთხრობითში, ხოლო (ირიბ) ობიექტს — სახელობითში: შენ რა დამპირდი („ცისკარი“, 1968, № 6, გვ. 23, = რ ა ს); რ ა ღ ა ც შეპირდა (იქვე, 4, 76, = რ ა ღ ა ც ა ს).

ორპირიანი გარდაუვალი ზმნები იყო და ერთი (მესამე) პირი მერმე დაემატათ კიდეც შემდეგთ:

3) ესესხება იგი მას ფულს — ესესხა იგი მას ფულს.

ბრუნვათა თვითნებური ცვლა აქაც გვხვდება: მერმე თებერვალთან მივიდა და ო რ ი დღ ე ესესხა („როგორ გაშავდნენ ყვავები“: „სოფ. ცხ.“, № 201, 28. VIII. 1968); ეს ს ი ტ ყ ვ ა ბატონ კონსტანტინე გამსახურდიას დავესესხე (გ. ჩიმაკაძე, „ხუმრობა იქით იყოს“: „დროშა“, № 1, 1968, გვ. 8 = ა მ ს ი ტ ყ ვ ა ს).

4) ეკითხება იგი მას ამბავს — შეეკითხა იგი მას ამბავს.

5) ეცილება იგი მას პ ი რ ვ ე ლ ო ბ ა ს — შეეცილა იგი მას პ ი რ ვ ე ლ ო ბ ა ს. რასაკვირველია, აქ უფრო სწორი იქნებოდა, გვეხმარა თანდებულებიანი

შიცემით: ეცილება იგი მას პირველობაში. პირის დამატების ასეთი მაგალითები განსაკუთრებით ხშირია სპორტის ენაში. აი რამდენიმე მათგანი:

წელს ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის ტიტულს ერთმანეთს შეეცილება 8 მოკავშირე რესპუბლიკის 19 საუკეთესო საკლუბო გუნდი („სტარტ-ზეა დიდი ფეხბურთი“: „ახალგ. კომ.“, № 43, 9. IV. 1966) რომელიც მას ერთპიროვნულ ლიდერობას ეცილებოდა (თ. გიორგაძე, „...და მაინც უნდა ითქვას“: „ლელო“, № 43, 2. III. 1968); უილიამსი ალის მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს ეცილებოდა („ნოკაუტი მესამე რაუნდში“: „ლელო“, № 222, 16. XI. 1966). დამახინჯება (მიცემითის ნაცვლად სახელობითის ხმარება). აქაც გვაქვს: ბორის სპასკიმ მეორედ მოიპოვა უფლება მსოფლიოში პირველი მოჭადრაკის გვირგვინი შეეცილოს მსოფლიოს ჩემპიონს ტიგრან პეტროსიანს („მბრივად, ისევ ბორის სპასკი“: „კომ.“, № 227, 27. IX. 1968).

6) ემუქრება ის მას მას — დემუქრავს ის მას მას: ოფიცირი ემუქრებოდა (ჯარისკაცებს) კორეის ფრონტზე დაუყოვნებლივ გააგზავნას (კომ.“, 12. XII. 1950, გვ. III, უკანასკნელი სვეტი, მე-11 სტრ. ქვ.); გატანას შემუქრებოდნენ (ყ. კიკვიძე, „ჩემი ლამაზი ფიქრები“: „მნათობი“, № 12, 1967, 66); საფრანგეთის ხელისუფალნი... (მათ) ემუქრებოდნენ სახელმწიფო შახტებში სამუშაოდან დათხოვნას („კომ.“, № 285, 20. XII. 1950, გვ. IV, სტატია „პოლანეთის მთავრობის ნოტა საფრანგეთისადმი“, I სვეტი).

7) ედავება იგი მას მას — შეედავა იგი მას მას: ვითომ ვინმეს ედავება (იგი) ასეთ საყოველთაოდ აღიარებულ დებულებებს (ა. კობრიკაძე, „პრეტენზიები, შეცდომები...“: „ლელო“, № 39, 24. II. 1966).

8) ეთამაშება იგი მას მას — ეთამაშა იგი მას მას. ჩვეულებრივია გამოთქმები: იგი მას ნარდს ეთამაშება — ნარდს ეთამაშა, ჭადრაკს ეთამაშება — ჭადრაკს ეთამაშა და სხვა. მაგრამ ამ ზმნაში სხვაზე მეტად აქვს ადგილი ზემოთ აღნიშნული სახის დამახინჯებებს, მაგალითად:

მამ რისთვისღა ეთამაშა მან მატჩი პოლანდიელ დიდოსტატ ი. დონე რს („ტალი მზადაა“: „ლელო“, № 75, 17. IV. 1968).

9) მიუხვდება იგი მას ეშმაკობას — მიუხვდა იგი მას ეშმაკობას.

დღეს ჩვეულებრივ ორპირიანი ზმნაა შველის (იგი მას), მაგრამ ერთ, მესამე პირს კიდევ უმატებენ: გამყიდველს მანქანიდან, კასრებისა და ყუთების გადმოტვირთვას შველოდა („ლაჩუტული ბურთი“, 1965, 28). შველოდა რაში და არა რას. ამიტომ უკეთესი იქნებოდა, გადმოტვირთვაში რომ ყოფილიყო.

დასასრულ, დავძენ, რომ ძველ ქართულში მხოლოდ ორი პირი ჰქონდა შეწირა ზმნას: სუბიექტი და პირდაპირი ობიექტი, მას არ მოეპოვებოდა ირიბი ობიექტი, მაგალითად: ამან ...ყოველი, რაღაცა აქუნდა, შეწირა: მრ. 12, 44 E (და არა: შესწირა); ქურივმან ამან გლახაკმან უმეტეს ყოველთასა შეწირა: ლ. 21, 3; მსხუერპლი შეწირა ღმრთისა: ი. 16, 2; შეწირეს მისა ძლუენი: მ. 2, 11 (და არა: შესწირეს); ამათ ყოველთა... შეწირეს დასადებელსა ამას: ლ. 21, 4; შეწირე შესაწირავი შენი: მ. 5, 24; 8. 4 (და არა: შესწირე). ახალ ქართულში კი ეს არის ტიპური სამპირიანი ზმნა — დამატებული აქვს მესამე პირი — ირიბი ობიექტი. დღეს ვიტყვი:

შესწირა მან მას პაიკი, ამ საქმეს თავი შესწირეს, ამას უნდა შესწირონ ყველაფერი და სხვა. შევნიშნავთ ბოლოს, რომ ამნაირი, ირიბობიექტიანი ფორმები იშვიათად ძველ ქართულშიც გვხვდება. ეტყობა, პირის დამატება ძველ ქართულშივე დაწყებულია. აი ამის ერთი მაგალითი: ყო აღთქუმიად, რაძთა შესწიროს მონასტრისა საქმესა: კიმ. I, 326, 24.

V

ძველ ქართულში გაცილებით უფრო ხშირია პირთა დაკლების შემთხვევები. აქ რამდენიმე ჩგუფი უნდა გავარჩიოთ.

1. პირველად უნდა დავასახელოთ ე. წ. დაკბადას ტიპის ზმნები. ეს ისეთი ზმნებია, რომელთაც მხოლოდ ორი პირის გაგება აქვთ, შინაარსით ორპირიანია, ფორმა კი სამპირიანი ზმნებზეა აქვთ. დაკბადა (მან იგი) შეიცავს სუბიექტსა (მან) და პირდაპირ ობიექტს (იგი), მაგრამ ფორმაში არის ირიბი ობიექტის ნიშანი ზ. აქედან ჩანს, რომ ამ ტიპის ზმნებს ძველად ირიბი ობიექტიც აქონდათ, მაგრამ შემდეგ დაეკარგათ, ფორმა კი უფრო ძველ ვითარებას ასახავს, დაკარგული ირიბი ობიექტის პირსაც აღნიშნავს. ამრიგად, შინაარსი ახალი, ფორმა ძველი — აი ამ ტიპის ზმნების დამახასიათებელი თვისება. იქნებ აქ რაიმე შეცდომაა და „ზედმეტი“ პირის ნიშანი მხოლოდ ამ ზმნას აქვს დაცული? არა, ამის თქმა არ შეიძლება, რადგან ასეთ თვისებას გვიჩვენებს არა ერთი და ორი ზმნა, არამედ ერთი დიდი ჩგუფი ზმნებისა, თანაც ძველი ზმნებისა, როგორცაა, მაგალითად: მან იგი დაჰფლა, დაჰმარხა, დაჰქუა, აღჰმართა, განჰმარტა, დაჰბეჭდა, განჰმზადა, დასთესა, დაჰქსნა, დაჰნერგა და სხვანი. შეუძლებელია ვუწოდოთ ესენი გადამწერთა შეცდომის ნაყოფად გამოვაცხადოთ. არა, აქ გარკვეული კანონზომიერებაა დაცული. მართალია, ზმნის შინაარსი შეიცვალა (ერთი პირი მოაკლდა), მაგრამ ფორმა, რომელიც უფრო მკვიდრია და უძლებს ეპოქებს, ძველი დარჩა. | დაკბადას ტიპის ზმნები დაწერილებით აქვს შესწავლილი ა. შანიძეს თავის „პრეფიქსებში“ (გვ. 74—83), იქვეა ჩამოთვლილი ამ ტიპის უმთავრესი ზმნები. რომ ეს ზმნები თავიდანვე სამპირიანა იყო და ერთი პირი (ირიბი ობიექტი) მერმე დაეკარგა, ამის დასამტკიცებლად ა. შანიძეს მოშველიებული აქვს მეორე საბუთი — ამ ტიპის ზმნათა ვნებითის წარმოების წესი: მეცნიერმა გამოარკვია, რომ ამათ ვნებითი ეწარმოებათ არა ო პრეფიქსით, როგორც ეს ახასიათებს ორპირიან ზმნებს, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ო პრეფიქსით, რაც დამახასიათებელია მარტო სამპირიან ზმნათათვის; მაგალითად: დაეზადა, დაეფლა, დაემარხა, დაექუა, აღემართა, განემარტა, დაებეჭდა, განემზადა, დაეთესა, დაენერგა და სხვანი. ცხადია, ასეთი ენიანი ვნებითი სამპირიანი მოქმედებითიდან უნდა მომდინარეობდეს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ეს ენიანი ვნებითები მხოლოდ ერთი პირის გაგებას შეიცავენ, ერთპირიანებია და არა ორპირიანები, როგორც ყველა სხვა ენიანი ვნებითი (იგი მას ემალების, გეგბების, ეკუთვების, ესმის, ერქუმის და სხვა). ამჟამად, რომ ერთი პირი ამათაც დაუკარგავთ, ხოლო ფორმა ძველებური შერჩენიათ.

ვნებითთაგან გამოჩაყლის წარმოადგენს მხოლოდ დაჰქსნდა; იგი იწარმოება არა ენით (რომელიც ორპირიანთათვისაა განკუთვნილი), არამედ დონით (რომელსაც ერთპირიანები იყენებენ), მაგრამ ამასთან ერთად ვნებითის ფორ-

მაში წარმოდგენილია პრეფიქსი ჰ—სწორედ ირიბი ობიექტის ნიშანი. საბოლოო ჯამში აქაც იგივე საერთო წესია დაკული: შინაარსი ერთი პირისა აქვს, ფორმა — ორისა<sup>1</sup>. მაგრამ შემდეგ და შემდეგ ფორმამ შინაარსს აუბა მხარი. ეს იმაში გამოიხატა, რომ მოქმედებითებიდან თანდათან განიღვენა დაკარგული პირის ნიშანი და ფორმაც გარეგნულად ორპირიანი გახდა (დაბეჭდა, განმზადა, განმარტა, აღმართა...), ხოლო ვნებითებმა მაწარმოებლად ე-ს ნაკვალად შინაარსისათვის უფრო შესაფერისი ი გამოიყენეს (დავიბადენით, დაიბადნეს, დაითესის, დაითესა, განვითესენით, აღიმართა, დაიყენა, აღიმშენებით, აღიმშენებოდა, აღიშენა, დაიკშევის, დაკშა, დაიკშენეს, დაიკშენენ...)<sup>2</sup>.

აქ ეუჩვენებთ ამ ტიპის ზმნების თითო-ოროლა ნიმუშს.

მოქმედებითი 0—(8)2, ა—(8)2; ვნებითი 0—(8)1

1. დაჰბადა. რომელმან დაჰბადა დასაბამსა: მ. 19, 4 C; რომელ დაჰბადა ღმერთმან: მრ. 13, 19; დაჰბადა ცაჲ და ქუეყანაჲ და ზღუაჲ: საკ. წიგ. II, 76, 33; დაჰბადენ უკუე მან სხუაჲ სოფელი (ბრძ.): იქვე, 84, 8; დამოაელინო სული შენი და დაჰბადნე იგინი და განაახლო პირი ქუეყანისაჲ: თარგმ. გამოცხ. 20, 11.

შაბათი კაცისათჳს დაეზადა, და არა თუ კაცი შაბათისათჳს: მრ. 2, 27; რომლისა მიერ დაეზადნეს დაბადებულნი ყოველნი, და თჳნიერ შენსა არარაჲ დაეზადა: ისტ. ქრ. II, 97, 33.

2. დაჰბეჭდა. ამას მამამან დაჰბეჭდა ღმერთმან: ი. 6, 27; რომელმან მიილო წამებჲჲ მისი, დაჰბეჭდა: ი. 3, 33; დაჰბეჭდა კარი საყროზილისაჲ მის: საკ. წიგ. II, 42, 34; დაჰბეჭდეს ლოდსა მას დასისა მის თანა: მ. 27, 66; დღისი დაჰბეჭდნეს თჳთა თჳსთა: იობ 24, 16; ესე აღზესარულო და დახუბეჭდო ნაყოფსა მას მათსა: რომ. 15, 28 X; დაეჰბეჭდნეთ მონანი: გამოცხ. 7, 3.

ღღეს აღმოპბრწყინდი საფლავით, რომელსაჲა შინა დაებეჭდეს: სას. ბ. 277, 137; (ღმერთი) დაებეჭდა საფლავსა: იქვე, 331, 35, 8<sup>3</sup>.

3. დასთესა. რომელმან დასთესა თესლი კეთილი: მ. 13, 24; დასთესა ღუარძლი შორის იფქლსა მას: მ. 13, 25; რომელმან დასთესნა იგინი: მ. 13, 39 D; ანუ არა თესლი კეთილი დაესთესეთ აგარაკსა შენსა: მ. 13, 27; მთესვარმან მან სიტყუაჲ დასთესის: მრ. 4, 14 C.

რომელ-იგი გზასა ზედა დაეთესა: მ. 13, 19; რომელ-იგი ეკალთა შორის დაეთესა: მ. 13, 22; სადა-იგი დაეთესნეს სიტყუანი: მრ. 4, 15 C; რომელნი კეთილსა ქუეყანისა დაეთესნეს: მრ. 4, 20; ოღეს დაეთესის, აღმოქდის: მრ. 4, 32 E.

4. შეჰკაზმა. აღჰკაზმა იგი განსლუად სამეუფოდ თჳსად: ბალ. 135, 18; ძელი... შეჰკაზმეს და აღმართეს იგი ჭუარად ზედა საფლავსა მისსა:

<sup>1</sup> ა. შანიძე, პრეფიქსები, გვ. 83.

<sup>2</sup> ი. იმნაიშვილი, ვნებითი გვარის ზმნათა თავისებურებანი ძველ ქართულში: ძველი ქართული ენის კათედრის შრომები (საუბილეო), 11, 1968, გვ. 47—48.

<sup>3</sup> ა. შანიძე, პრეფიქსები, გვ. 82.

ურთ. 132, 1; რამთა შეეკაზმთთ ეკლესიაჲ და საკურთხეველი ეამის-  
-წირვისათჳს: კიმ. I, 209, 2.

ხოლო ვიდრე აქამომდე ეკაზმები და ჩუეულებსაებრე ექადი სინა-  
-ნულსა: სწავ. 254, 21; აჲ ესერა აქამომდე დლითი-დღედ ექადი და ეკაზმე-  
-ბი და ემზადები სინანულსა: სწავ. 255, 6; რომლისათჳს განიზრახავ და  
ეკაზმები აწვე საქმედ: სწავ. 254, 12; ...ეკაზმეი C; ამიერითგან ნულა-  
-რა სიტყვთ ხოლო ეკაზმები სინანულსა: სწავ. 258, 32; არცა ექადიან და  
არცა ეკაზმებიან პირველ საქმისა: სწავ. 255, 10.

5. დაჰკრძალა. დაჰკრძალა კარი სენაკისაჲ: ცხ. ეფთ. (სვნ.) 60, 3;  
დაჰკრძალა იგი სახლსა შინა თჳსსა: კიმ. II, 14, 13; დაჰკრძალნა  
ფიანი კლიტითა ოქრომასათა: ბალ. 33, 9; დაჰკრძალეს საფლავი იგი:  
მ. 27, 66; დაჰკრძალეს კარი ეკლესიისაჲ: სინ. 70, 20; იოსებ საპყრო-  
-ბილედ შეაგდეს და დაჰკრძალეს: სინ. 214, 3; დაჰკრძალნეს...  
კარნი: საქ. წიგ. II, 79, 14; წარვედით და დაჰკრძალეთ (ბრძ.): მ. 27, 65.

6. აღჰმართა. აღხუმართე ესე ჭუარი, აღხუმართეთ ესე ჭუა-  
-რი: უქანგორის წარწ.; ესე ჭუარი ქრისტმსი... აღჰუმართე: წყისის წარწ.;  
მეორემან აღჰმართა კარაი: საქ. წიგ. II, 14, 5; მამამან შენმან აღჰ-  
-მართნა სამარტკლენი: შუშ. (ისტ. ქრ.) 148, 38; ეგრეთ აღჰმართის  
სიტყუამან ცხორებისამან... უდები სული და სულმოკლ: ისტ. ქრ. II, 18, 13;  
მესამესა დღესა აღჰმართო ეგე: ი. 2, 19 C; შენ სამსა დღესა აღჰ-  
-მართო ესე: ი. 2, 20 C; რამთა განჰმართოს კარმან ურნატი მუელღესა  
თანა: პარხ. 1005 a.

მუესეულად აღემართა (დღდაკაცი იგი); ლ. 13, 13; (მუელეული ჩემი)  
აღემართა: დაბ. 37, 7; მუის აღემართნეს და დაღგეს ფერქთა  
თჳსთა ზედა: ისტ. ქრ. II, 98, 2.

7. განჰმარტა. განჰმარტა პატივი იგი მეფობისაჲ: ისტ. ქრ. II, 115, 37;  
ეპიფანე... განჰმარტნა კელნი მისნი: საქ. წიგ. II, 140, 23; ტრედი იგი  
კულად გამოჩნდა და ფრთენი თჳსნი განჰმარტნა: რავახ 83, 7; მაშინ  
განჰმარტენ კელნი ჩემნი: Sin. 62, 141, 21; განჰმარტე საშინელი  
მარჯუნმ შენი: სევან. 372 b; განჰმარტენით (ყურნი) სმენად: აბო'  
(ისტ. ქრ.) 178, 20; სასმენელნი თქუნენი საჩინოდ მომიპყრენით და საჩინონი ეგე  
განჰმარტენით: სინ. 247, 26; განჰმარტის კელი მისი მიცემად:  
ბალ. 7, 40; თუ განჰმარტნე სასმენელნი შენნი: ეესტ. 166, 16.

რაჲმს განიკსნის და განემართის (ფირტვ), მოზიდვით მოიზიდის  
აერისაგან სული: უძვ. რედ. 225, 18.

8. დაჰმარხა. არა განრყუნა, არცა წარწყმიდა, არამედ დაჰმარხა: სინ.  
107, 26; თევზი იგი შუწუეს და შეკამეს და ნეშტი იგი დაჰმარხეს საგზლად:  
ტობია 6, 6; და არა დაჰმარხეს იგი მრავლისა მისგან პასუხოებისა: საქ.  
წიგ. II, 141, 32; რამთა დაჰმარხო ესე თავისა შენისათჳს საიდუმლოდ:  
ლოტ. ქრ. 20, 27; რამთა ქალწულებჲა თჳსი დაჰმარხოთ უბიწოდ: წარტყ.  
25, 8; დღესა მას სამკუდრომსა შემოსისა ჩემისათჳს დაჰმარხოთ ეგე: ი.  
12, 7 C; ხოლო აწ ფსალმუნისაჲ იგი სხჳსათჳს დაჰმარხოთ: სინ. 75, 7;  
უფალმან დაიცუნეს მართალნი და უკუნისამდე დაჰმარხნეს იგინი:  
სევან. 302 b.

მაშინდა მე, გამალიელ, შემდგომად მისა აღვესრულე და დავემარხე... ზეთა სამარხეოსა მას სტეფანოსსა: სინ. 65, 23; ისტ. ქრ. I, 297, 6.

9. განმარჯუა. ყოველი საქმე ჩუენი განკმარჯოს: სწავ. 81, 3.

რომელთაგან კეთილად განემარჯუებოდა შტენება ეკლესიისად მის: ხანძთ. 121, 38; განემარჯუა ყოველი საქმე მისი უშრომელად: სწავ. 301, 25; უკუეთუ მოსწარფედ გულს-იდგინო, განგემარჯოს: სწავ. 258, 5; მოშიშა უფლისასა განემარჯოს მეგობრობაჲ: ზირ. 6, 17. ორ უქანასკნელ მაგალითში ენიან ენებითს ორი პირის გაგება აქვს.

10. განმზადა. განკმზადა უფალმან მსხუერპლი თვისი: სოფ. 1, 7; რომელმან განკმზადნა მთანი: ფს. 64, 7; განკმზადეს სამშჯავროჲ: კიმ. I, 73, 12; და განკმზადნეს მკეცი იგი თიატრონსა შინა: კიმ. II, 24, 29; განკმზადე შესავალი იგი მისი: ბოლნ. (ისტ. ქრ.) 302, 23; განკმზადეთ გზაჲ უფლისაჲ: ლ. 3, 4 C; იწყიან განგებაჲ სამღერეთაჲ და განკმზადნიან მრავალნი: სეან. 476 a; რაათა განკმზადოს პირველად, რაჲ-იგი უქმს საქმლად: უძე. რედ. 147, 14.

კითარ განემზადებთ შენ ჰუნეთა ზედა: იერ. 12, 5; ხოლო აწ ჩუენ განვემზადებოდეთ და ხვალე, ორშაბათსა ვიწყეთ მარხვად: ბოლნ. 16, 3; განემზადნეს აღსრულებად ბრძანებაჲ მთავრისასა: კიმ. II, 33, 4; აწ განემზადე და ილოცე: აბო (ისტ. ქრ.) 190, 37; განემზადენით პასუხისა მიცემად: წარტყ. 35, 7; (რომელი) არა განემზადოს ნებისაებრ მისისა: ლ. 12, 47; აწ ...განვემზადნეთ: სეან. 343 a.

11. დაჰნერგა. დაკნერგენ მე საეენაქენი: ეკლეს. 2, 4; რომელი არა დაკნერგა მამამან ჩემმან: მ. 15, 13; აფხურა საცთური და დაკნერგა ქუშმარიტებაჲ: უდაბნ. 159 ra; რომელნი-იგი მან თავდმან დაკნერგნა, თქუენ ურთიერთას დაკნერგედიოთ: სინ. 246, 31; ფესჯ ერთი წარიღეს და დაკნერგეს სამოთხესა შინა თვისა: სეან. 24 a; და დაკნერგნეს მერმე ძუალნი მარტულთანი: სეან. 452 a; მოვილო მე ნაძუთა მათგან... და დაკნერგო მთასა ზედა მალასა: ეზექ. 17, 22; და დაკნერგნე იგინი და არა აღვტხურნე: იერ. 24, 6; დაკნერგნე იგინი ქუეყანასა ზედა: ამოს 9, 15; მესამესა წელსა ქსთესოთ და მოიმყოთ და დაკნერგოთ ვენაქები: 4 მეფ. 19, 29.

რაჲსათჳს დაენერგვის, რომელსა ნაყოფი არა გამოაქუს: ბოლნ. 18, 6; ზეცისა ცხოვრებაჲ ქუეყანასა დაენერგა: სინ. 36, 25; ეენაქი იგი, რომელ დაენერგა: სინ. 159, 29; აღიფხურ და დაენერგე ზღუასა შინა: ლ. 17, 6; დაენერგენით სამოთხესა ეკლესიისასა: სწავ. 164, 13; რაათა ურნატსა სულისა ჩუენისასა დაენერგოს და ღრმად ძირნი დაიბნეს: აბო (ისტ. ქრ.) 183, 14.

12. აღხასრულა. ამ ზმნას წინ ხმოვანი აქვს, ე. წ. საარვისო ქეცვის ნიშანი. მის წინ მოსალოდნელი პირის ნიშანი იკარგება IX საუკუნიდან. ამიტომ იმის საკონტროლო ნიშნებად, რომ ეს ზმნა ნამდვილად დაჰბად-ს ტიპისა, უნდა გამოვიყენოთ ხანმეტი მაგალითები და ენებითის წარმოების წესი — თ-ით წარმოება. ორივე საკონტროლო ნიშანი წამოყენებულ დამეგებას უჭერს მხარს.

ეგევე უნდა ითქვას აგრეთვე ალალო (ალხალო), დააყენა (დახაყენა) და ალა-

შენა (აღხაშენა) ფორმების შესახებაც. ამიტომ ქვემოთ მხოლოდ მაგალითების მოყვანით დავეყვანოფილდებით.

რავამს წ ა რ ხ ა ს რ უ ლ ნ ა იესუ სიტყუანი ესე: მ. 7, 28 V; ესე ა ლ ხ უ - ა ს რ უ ლ ო და დახუბუქდო ნაყოფსა მათსა: რომ. 15, 28 X; ვერ და ხ ა ს რ უ - ლ ო თ ქალაქები ისრაშლისაჲ მოსლვადმდე ძისა კაცისა: მ. 10, 23 V. მართალია. აქ მეორე სუბიექტური პირიცა გვაქვს, მაგრამ (წინა მაგალითების მიხედვითაც) ნიშანი უნდა აგრეთვე მესამე ობიექტურ პირსაც, ხოლო როცა ეს ორი პირი ერთადაა წარმოდგენილი, როგორც ვნახეთ, იყარგება სუბიექტური ნიშანი, რჩე- ბა ობიექტური. მაშასადამე, და ხ ა ს რ უ ლ ო თ ფორმაში ხ ობიექტისაა.

ა ღ ე ს რ უ ლ ე ბ ი ს მათ ზედა სიტყუაჲ იგი: მ. 13, 14; სადა-იგი მატლი- მათი არა და ე ს რ უ ლ ე ბ ი ს: მრ. 9, 48; სადა უშურველი იგი სიყუარული ა ლ ხ ე ს რ უ ლ ე ბ ი ს: ისტ. ქრ. 1, 24, 12 V; ა ღ ე ს რ უ ლ ა თქუმული იგი იერემია წინაწარმეტყუელისაჲ: მ. 27, 9; ვითარცა ა ლ ხ ე ს რ უ ლ ნ ე ს დღე- ნი იგი რვანი: ლ. 2, 21 V; რავამს ა ლ ხ ე ს რ უ ლ ნ ე ს დღენი განწმედისა მათი- სანი: ლ. 2, 22 V.

13. განჭფნა. შეკრება წმიდად პისარი იგი და აღილო სენაკად, გა ნ ჰ ფ ი - ნ ა <sup>1</sup> და განაქმო იგი: კიმ. 11, 172, 14; გა ნ ჰ ფ ი ნ ა სასმენელნი თუნნი: მრავ. 256, 18; მოიღეთ ცეცხლი და და ჰ ფ ი ნ ე თ ქუეყანასა და მას ზედა დაადგინეთ იგი: აღწ. 175, 37; გა ნ ჰ ფ ი ნ ე ნ ი თ მის წინაშე გულნი თქუენნი: ფს. 61, 9. ორი უკანასკნელი ფორმა ბრძანებითია, ამიტომ ჰ ობიექტს ეკუთვნის.

ჩვენი სარწმუნოებაჲ გან ე ფ ი ნ ე ბ ი ს ყოველსა ადგილსა: უდაბნ. 31 რბ; წვალებისა იგი ბადენი გა ნ ე ფ ი ნ ე ბ ო დ ე ს: კიმ. 1, 63, 29; გა ნ ე ფ ი ნ ა და მიიწია სურნელებაჲ იგი ვითარ ათ მილიონ ოდენ გარემო მათ ადგილთა: ისტ. ქრ. 1, 301, 25; მზირთა მათ შეიმართეს და გა ნ ე ფ ი ნ ე ს გაბას შინა: მსაჯ. 20, 37; და გა ნ ე ფ ი ნ ე ნ კირნი ქუეყანასა ზედა: ლიტ. ქრ. 9, 2; მერმეცა გა ნ - ვ ე - ე ფ ი ნ ე ნ ქალაქნი კეთილთა შინა: ზაქ. 1, 17.

14. დაჰფლა. და ე ვ ჰ ფ ა ლ იგი გზასა ზედა ცხენთ სარბიელთასა: დაბ. 48, 7; ამისა შემდგომად და ჰ ფ ლ ა აბრაჰამ სარრა: დაბ. 23, 19; და ჰ ფ ლ ა ეეცხლი იგი უფლისა თვისისაჲ: მ. 25, 18; და ე ვ ჰ ფ ლ ე ნ ი თ წმიდანი იგი: სინ. 268, 1; წარიღეს გუამი მისი და და ჰ ფ ლ ე ს იგი: მ. 14, 12; ძუალნი იგი მათნი და ჰ ფ ლ ე ნ ყანასა მას იაბისსა: 1 მეფ. 31, 13; შენ და ჰ ფ ა ლ მკუდარი შენი: დაბ. 23, 15; და ჰ ფ ა ლ თ იგი: 4 მეფ. 9, 34 (ბრძ.); სადა-მე: თავი ჩემი და ე ვ ჰ ფ ლ ა: სვან. 220 b; და და ე ვ ჰ ფ ლ ა მკუდარი ჩემი: დაბ. 23, 4; რამთა არაინ და ჰ ფ ლ ა ს: სინ. 64, 25.

ვითარცა სახედ რამე და ე ფ ლ ე ვ ი წყალთა მათ შინა: სინ. 88, 33; მის თანა მრკვეუდ, მის თანა და ე ფ ა ლ: სვან. 70 b; მოკუდა მდიდარიცა იგი და და ე ფ ლ ა: ლ. 16, 22; უკუეთუ თავი და ტანი მისი ერთსა ადგილსა და - ე ფ ლ ე ნ: სინ. 212, 17.

15. განხალო. ყოველმან წულმან რომელმან გა ნ ხ ა ლ ო ს საშობ, წმიდა უფლისა ეწოდოს: ლ. 2, 23 V.

ესე არს დღშ, რომელსა შინა... სასუფეველი ცათაჲ გა ნ ე ლ ე ბ ი ს, და

<sup>1</sup> გამოცემაში გა ნ ფ ი ნ ა წერია, მაგრამ დედანი სწორედ გა ნ ჰ ფ ი ნ ა იკითხება. ასეც უნდა იყოს.

მართალნი შევლენან მას შინა: წარტყ. 29, 13; უხაროდენ ყოველსა სოფელსა, რამეთუ დღეს დაეკჳა ჭოჭოხეთი, და განელო სასუფეველი: ბოლნ. 79, 14; ხოლო ქრისტემან უბრძანა ქუეყანასა, და განელო და დანთჳა ეშჳაი იგი: ეესტ. 170, 16; სიკუდილი დაირღუა, სამოთხშ განელო: სვან. 49 a (გაილო, გაიხსნა).

16. დახაყენა. II სერიის ფორმები (ხანშეტი) არა გვაქვს, არის I სერიის ნიშნულები, რამდენადმე სადავო: და-თუმცა-ხაყენებდით მათ: ხანშ. პრავ. (ისტ. ქრ. 44, 10); და ხაყენებდეს იგინი დაწერასა მას: ხანშ. ტექსტ. (ისტ. ქრ. 1) 23, 9 V. ხ ამ უკანასკნელ მაგალითში ირიბისაა, პირდაპირ ობიექტს უზმნისწინო ფორმებში (I სერიაში) არა აქვს ნიშანი. ამიტომ ხ პირველ მაგალითშიც ირიბი ობიექტისა უნდა იყოს: სუბიექტისა და ობიექტის ნიშნების შეხვედრისას წარმოდგენილია ობიექტის ნიშანი. ასევე ობიექტისა უნდა იყოს ხ აგრეთვე შემდეგ მაგალითებშიც: გული-გიწყრების და ხაყენებთ: იქვე, 44, 7; მას ხაყენებთ: იქვე, 44, 15. ამნაირად, ხაყენებდა-დახაყენა დაჰბადა-ს ტიპისა უნდა იყოს. ამას უფრო მეტად ამტკიცებს ამ ზმნის ენებითი: იგი ენით იწარმოება და ძალიან ხშირადაც იხმარება, მაგალითად:

დაეყენებთ მერამ არა საქმედ უჭეროსა: სწავ. 76, 14; ნუ ვინ პატიონებისათჳს თჳსისა დაეყენებინ მსახურებისაგან მშათა თჳსათასა; სწავ. 177, 13; დაეყენა სიკუდილი: ფს. 105, 30; არცა სული მისი დაეყენა ჭოჭოხეთს: თუალთ. 48, 7; დაეყენა შშნება ტაძრისა უფლისაა იერუსალშმს: 2 ეზრა, 2, 31; ძუძუმს-შწოვარნი ძუძუსა დაეყენეს დასაცხოვარნი—საძოვარსა: უდაბნ. 62 va; დაეყენენდე ფერკნი ჩუენნი ბოროტისაგან გზისა: სვან. 472 b; რამათა ლომობიერ ექმნე და დაეყენო თბრობად მეფისა: ლიტ. ქრ. 25, 33; რამათა დაეყენოს შენი ევე გულის-თქუმა: იპოლ. 2, 292; უკუეთუ დედანი დაეყენენ ქორწინებისაგან: კიმ. II, 83, 8.

17. აღხაშნა. მოსალოდნელი იყო, რომ დაჰბადა-ს ტიპისა ყოფილიყო ცნობილი ზმნა აღხაშნა, მაგრამ ერთ ხანშეტ ტექსტში იგი უხანოდ არის წარმოდგენილი: რომელმან აღაშნა სახლი თჳსი მქჳსასა ზედა: მ. 7, 26 V. შესაძლებელია დავეუშვათ, რომ ხ-ს შემდგომ დაიკარგა (აღხაშნა—აღაშნა). სამწუხაროდ, ეს სიტყვა ცოტა ზემოთ (მ. 7, 24) არ იკითხება: მე-10 სტრიქონზე, რომელზედაც იგი უნდა ყოფილიყო მოთავსებული, აღარაფერი არ გადაჩენილა.

თუ ჩვენი მოსაზრება სწორია, მხედველობაში უნდა მივიღოთ ამ ზმნის შემდეგი ხანიანი ფორმა: ნუ ხაშნებთ საფლავსა წინაწარმეტყუელთასა და შეხამკობთ მოსაკსენებელსა მართალთასა (მ. 23, 29 V), რომელშიც ხანი ირიბ-ობიექტს უნდა აღნიშნავდეს. ვნებითის ფორმები სავსებით უპერს მხარს ჩვენთვის საინტერესო ტიპის ზმნებს -- ისინი ენითაა ნაწარმოები, მაგალითად:

აღეშენებთს ერი იგი სიტყუათაგან მისთა: კიმ. I, 86, 29; ორმოც და ექუსსა წელსა აღეშენა ტაძარი ესე: ი. 2, 20; ხოლო ესე ვითარცა ისწავა წმიდამან ქრისტმს მოწამემან ანგელოზისა მისგან, და აღეშენა: ეტ. III, 223, 14; აღეშენა ტაძარი დიდებული და ქებული: კიმ. II, 15, 28; მივედ შენ ცოცხლებით და აღეშენო მამათაგან: საყ. წიგ. II, 111, 14; და რომელი გუხედვიდენ ჩუენ და ესმოდის ჩუენი, აღეშენენ: ისტ. ქრ. II, 17, 32.



ამ ზმნას ეგვევ თვისება აქვს და ზმნისწინის დართვისასაც: და მოვიდა, და ე შ მ ნ ა ქალაქსა მას, რომელსა პრქვან ნაზარეთ: მ. 2, 23 C; და ე შ მ ნ ა აბრაჰამ ჭურღმულსა ზედა ფიცისასა: დაბ. 22, 19; და და ე შ მ ნ ე ს მას ზე-და: დაბ. 47, 27; და ე შ მ ნ ე ნ ი თ, ივაკრობდით მას შინა: დაბ. 34, 10; და ე-შ ე ნ ო ს ე რ ი ჩემი ქალაქსა მშვდობისასა: ესაია, 32, 18; აწ და ე ვ ე შ მ ნ ე თ მონანი შენნი ქუეყანასა გესემისასა: დაბ. 47, 4; და და ე ვ შ მ ნ ე ნ ქალაქნი: ეზეკ. 36, 10.

ლაქსა ნ. დაქშა.

18. დაქსნა. რომელმან ...დაპქსნა სიმტიცე ჟოჯოხეთისა: წარტყ. 51, 15; რომელმან ...დაპქსნა საღმობანი ჩუენნი დლითი-დღედნი: სინ. 47, 25; უნებლიათ დაპქსნეს განზრახვამ მისი: წარტყ. 10, 13; დაპქსენ წინააღდგომამ მძლავრთამ, ვითარცა ქსელი დედაზარდლისა: ურკ. 345, 26 (ბრძ.); უკუეთუ კურთხევამ აღვასრულო და ერთ-კერძომ დაეპქსნე, და-ვაკლებ განგებულებასა: სევან. 380 ა; უკუეთუ არა დაეგო ძმასა შენსა და არა დაპქსნე სიბოროტმ შენი..., არა გიქსნეს შენმან შესაწირავმან: სევან. 475 ხ; რამთა დაპქსნეს ურწმუნოთამ მათ ორგულებამ: სინ. 33, 14; რამთა დაპქსნეს ღონენი მტერისა ბოროტისანი: კიმ. 1, 56, 4; ხოლო ჩუენ... დაეპქსნეთ ცუდი იგი მრავლის-მეტყუელებამ მათი: უძვ. რედ. 209, 21.

ეს ზმნა ასეთივე ბუნებისაა მაშინაც, როცა მას გან ზმნისწინი ერთვის:

მე რამ ვიშევე, მშობლისა ჩემისა უშვილოვებამ ხოლო განეპქსენ და მაშისა უტყუებამ განეკურნე: სევან. 371 ხ; შენ ენამ შეკრული მშობლისაა გაბრიელის მიერ განპქსენ: სევან. 378 ა; განპქსნა ენამცა თვისი უტყუებისაგან: აბო (ისტ. ქრ.) 188, 10; და უპყრნა საკრველნი ყრმათანი და განპქსნა: სევან. 248 ა; რომლითა საკრველითა შეპქრავს, რომელმცა ჩუენ ვერ განეპქსენით ვერარაით: სწავ. 145, 8; ვითარცა განპქსნეს იგი: ბოლნ. 76, 5; განპქსენ საკრველნი ჩემნი: კიმ. 1, 49, 34; განპქსენით ყრმანი ესე და განუტევენით, რამთა წარვიდენ: სევან. 248 ა; რამთა ძუელი იგი კაცი კრულებისაგან განპქსნეს: სევან. 340 ა.

ამ ზმნას ვნებითი, როგორც აღნიშნული გვექონდა, სხვებისაგან გარჩევით, ღონით ეწარმოება, მაგრამ იქვეა წარმოდგენილი ირიბი ობიექტური პირის ნიშანი ზ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ზმნა ფორმით ორპირიანია, შინაარსით კი ერთპირიანი. აი მაგალითები:

მიერ ეამითგან დაპქსნდების მსახურებამ ღმერთთამ: პარხ. 1175 ა; ნუ მწუხარე ხართ, ძმანო, ნუცა დაპქსნდებით: წარტყ. 12, 30; ნუ დაპქსნდები ედ კელნი შენნი: სოფ. 3, 16; ოდეს დაპქსნდებოდი ან მათნი ბორცუთა თანა: სევან. 486 ხ; არა მოუძღურდა, არცა დაპქსნდა: კიმ. 11, 23, 37; დაპქსნდეს ძარღუნი მკლავთა მისთანი: ხანძთ. 145, 17; დღეს მრავალ ეამისა იგი საკრველნი განპქსნდეს: სევან. 49 ა; დაპქსნდის ძალი: კიმ. 1, 57, 10; დაპქსნდე და განაგდო უღელი მისი ქედისაგან შენისა: შატბ. 295 ა; ოდეს ყოველივე დაპქსნდეს, მაშინ აღდგენ დიდებითა დიდითა: სევან. 487 ა; ყოველნი კელნი დაპქსნდენ და ყოველნი ბარკალნი შეიგინენ სინედლითა: ეზეკ. 7, 17.

19. დაქშა, დაქსა. სისინა და შიშინა ბგერები (ს, შ) ერთმანეთს ენაცვლე-

ბიან ერთი და იმავე მნიშვნელობის ფორმებში. ოღონდ უნდა აღინიშნოს, რომ სანიანი მაგალითები მეტად მკირეა. შინიანი — ერთობ ბევრი. აი ისინი:

გამოვიდეს და დაქსეს კარი: დან. 14, 14 იერუს. (ოშკი: დაქქშეს); ვინაიდან ადღეს სახლისა უფალი და დაქსეს კარი, და გარეშე სდგეთ: ლ. 13, 25 B; ხოლო მკედართა დაქსენ ბჳენი შენი: ესაია 22, 7 (= დაქქშენ. შდრ. აღმოყორენ MT). ჩვენი მიზნისათვის არ გამოდგება, მაგრამ მაინც დავასახელებ ამ შენაკულების საინტერესო მაგალითს: აჰა ესერა მჳ ამისთვის დაუქსენ გზანი მისნი ეკლითა: ოსე 2, 6 (რუს. *загорожу путь*), = დაუქშენი, ე. ი. დაუხშევე გზებსო<sup>1</sup>. გადამწერს ეს ფორმა დაქსენა ზმნისაგან პგონებია ნაწარმოები და ორი წარი დაუწერია (დაუქსენე).

აქედან ნაწარმოები მიმღეობები უფრო ხშირია: და კარნი იგი დაქსულ ხიყვენს: ი. 20, 19 X; და ეზეკიელ დაქსული ბჳე იხილა, რომელი არავინ ვავლო, გარნა ღმერთმან, და დაქსულივე პეიეს: სინ. 199, 15. ფრიად საინტერესოა, რომ სანიანი ფორმის პარალელურად იქვე შინიანი ფორმაც არის მოცემული: დაქსული, მაგრამ: დაქსულივე.

ახლა ვნახოთ შინიანი მაგალითები: ღმერთმან დაქქშა საშოა შენი: აღწ. 184, 31; და დაქქშენა ღმერთმან პირნი მათ ღომთანი: დან. 6, 18; და ექქშენი თ კარნი ეკლესიისანი: კიმ. I, 209, 1; გამოვიდეს და დაქქშეს კარი: დან. 14, 14 (ოშკი); და დაქქშენს ნაწლეენი თჳსნი მისგან: 1 იოვ. 3, 17; დაქქაშ კარი შენი: მ. 6, 6; და დაქქაშ პირი შენი: ბოლნ. 18, 27; დაქქაშთ სასუფეველი წინაშე კაცთა: მ. 23, 14; შემდგომად ქამისა და სუმისა უჭროდ დაქქშენიან კარნი: სენ. 250 b; აღდგეს სახლისა უფალი და დაქქშას კარი: ლ. 13, 25.

და ექშა კარი: მ. 25, 10; სწავ. 49, 20 (დაიხურა, დაიკეტა); დღეს და ექშა ჟოჯოხეთი, და განელო სასუფეველი: ბოლნ. 79, 13; ნუუკუე სასიძობელსა მას გარე დაშთეს და და ექშას კარი: სინ. 142, 2; წინაშე პირსა მისსა და ექშას ქუეყანაჲ: იოველ 2, 10; ოდეს-იგი და ექშენს ცანი სამ წელ და ექუსთთუე: ლ. 4, 25; და ექსნეს ცანი... იქვე B.

4. ძველ ქართულში არის ერთი ჯგუფის ზმნები, რომლებიც ა—ევ, ა—ენ, ა—ებ აფიქსებით იწარმოება. ისინი წარმოშობით სამპირიანია, მაგრამ ჩვეულებრივ მხოლოდ ორ პირს ვვიჩვენებენ: სუბიექტსა და ირიბ ობიექტს, პირდაპირი ობიექტი დაკარგული აქვთ, ყოველ შემთხვევაში, არ უჩანთ, თუმცა პირდაპირი ობიექტიანი ზმნების მორაფოლოგიურ-სინტაქსური ძალა შენარჩუნებული აქვთ—სუბიექტს შოთნობითში შეიწყობენ, მოსდით ინვერსია, როგორც ყველა გარდამავალ ზმნას: ამხილებს იგი მეფესა — ამხილა მან მეფესა, მიმხილებიეს მე მეფესა (გიმხილებიეს შენ მეფესა). ამ ზმნებს ახალ ქართულშიც ისევე ორი პირი მოეპოვებათ, ოღონდ, ძველისაგან განსხვავებით, სუბიექტი და პირდაპირი ობიექტი: ამხილებს (ამხელს) იგი მას — ამხილა მან იგი, არწმუნებს იგი მას—(და) არწმუნა მან იგი. აქედან ჩანს, რამდენად დასრულებულია აღნიშნული ზმნების ჩვეულებრივ ორპირიან გარდამავალ ზმნებად გადაქცევის პროცესი. ეს ზმნებია:

1. აღ-გზ(ნ)ება: ვითარცა ძმათა აღაგზნეს ლუემელსა: კიმ. II, 143, 7.

<sup>1</sup> შდრ. ამ ზმნის საარვისო ქცევის ფორმა: ვეცხლის-მოყუარძ არს იგი, და ხუასტაგა დაუქსავს: სა. წიგ. II, გვ. 123, 29.

2. გინება: ოდეს გლასაკსა აგინო, ქრისტესა შეურაცხ-ჰყოფ: სწავ. 88, 25. მაგრამ: აგინა ღმერთნი ჩუენნი: საყ. წიგ. II, 42, 8. ეს უკვე ახლისებურია.

3. გან-გრილება, და-გრილება: რამათა ...განაგრილოს ენასა ჩემსა: ლ. 16, 24 C (შღრ. რამათა... განმიგრილოს ენა ჩემი: DE); ღრუბელმან ნათლიანამან დააგრილა მათ: მ. 17, 5 C.

4. აიძლება: ვითარცა ფრიად ვაიძულე მას მრავლითა ვედრებითა: ლიბ. 25, 12; ვითარ აიძულა ბერსა: ლიბ. 85, 22; აიძულა მოწაფეთა შესლვად ნავსა: მ. 14, 22; აიძულა ამას ყოფად: ლიბ. 31, 32; ვაიძულეთ მათ: არიმ. 59, 76, 1; აიძულეს მას: ლიბ. 87, 19; 97, 1; და ააძულეს მას: ლ. 24, 29 C; აიძულეს ბერსა ჭამად მფრინველისა: ლიბ. 31, 25; აიძულეს ულსა შენსა: სწავ. 18, 3; აიძულეს თავსა შენსა: ლიბ. 39, 17.

მაგრამ არის სახელობითიანი მაგალითებიც: ვაიძულეთ იგი: ასურ. 56, 23; აიძულა მოციქული შესლვად: კიმ. I, 194, 24.

5. და-კვრება: და მეყსეულად გარდაცვალებითა მით დააკვრვა მისთათათა მათ: სინ. 121, 14; დედათაცა ვიეთმე ჩუენგანთა დამაკვრევს ჩუენ: ლ. 24, 22 (აქ ჩუენ-ში მიცემითი იგულისხმება, სახელობითი რომ ყოფილყო, ზნის ფორმა შეიცვლებოდა: დამაკვრვენეს ჩუენ); განცოფნეს და დააკვრვოს მეფეთა მათ: ესაია 41, 21. ოშკისაში იკითხება: მეფენი განაკვრენეს. როგორც ვხედავთ, ობიექტი სახელობითშია, მისი მრავლობითობაც ასახულია ზნაში (განაკვრენეს), მაგრამ ეს იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ ზნას აქ ახლავს გან ზნისწინი. ჩვენი წესი კი და ზნისწინიან ფორმებს ეხება. მაგრამ სახელობითი ხანდახან აქაც გვხვდება: დავაკვრვო ყოველივე ერთბამად: ესაია 42, 14. ეს ახალი ქართულის ჩანასახს წარმოადგენს.

6. მო-მწვევა: ბრძანა, რამათა განმზადნენ ყოველი მკეცი და ამშიონ (მო-ამშიონ C) მათ, ვიდრემდის სრულიად წარწყმიდონ წმიდა იგი: ისტ. ქრ. II, 60, 31.

7. და-მძიმება: დაეამძიმე აბასა, რამეთუ მიუტრევე მას ყოველი ტვრთი ჩემი კორციელი და სულიერი: Sin. 35, 193 rb, 8; რამათა არავეის დაეამძიმოთ თქუენგანსა: 1 თესალ. 2, 9 (ქუთ. ხელნ. № 176). გ. მთაწმიდლის რედაქციაში ზნა სასხვისო ქცევით არის მოცემული (დაუმძიმოთ) და, ცხადია, აქ აღძრული საკითხისათვის არ გამოგვადგება. სახელობითი აქაც გვხვდება: დაამძიმა უღელი მისი ზედა ქედსა ჩემსა: გოდ. იერ. 1, 14; რომელმან-იგი მაშინ ნავეი დაამძიმა: სინ. 105, 18. მაგრამ აქ რამდენადმე მნიშვნელობაც განსხვავებულია.

8. მხილება: ამხილა იონას: ისტ. ქრ. II, 47, 26; მრავალგზის ამხილა მეფესა და პატრიარქსა: კიმ. I, 64, 28 (შღრ. იქვე: ამხილა ბოროტად მეტყუელება მისი: 66, 34); არა ამხილა მათ დაბადებულთა თვსთათს: ლიბ. 112, 22; უკუეთუ შეგცოდოს შენ ძმამან შენმან, მივედ და ამხილე მას: მ. 18, 15; ვამხილო მარია მს: პარხ. 17 ხ; მოვიდეს იგი და ამხილოს სოფელსა: ი. 16, 8; რამათა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა (იოვანე-ზოსიმე): სინ. 283, 4; ყოველთა ამხილონ მას შეგდებად... საპურობილესა: Sin. 35, 216 va, 5.

მაგრამ: ვამხილოთ ცთუნებაა მისი: ბალ. 92, 12 ბ. კაცმა რომ თქვას. ეს ცთუნებაა მესამე პირი უნდა იყოს, რომელიც შემორჩენია; ირიბი მას (ბალაჰვარს) კი თავისთავად იგულისხმება; ვამხილოთ (მას) ცთუნებაა მისი. ჩვეულებრივ იტყოდნენ და წერდნენ ძველად: ვამხილოთ მას ცთუნებისათვის მისისა. შდრ. მოვიდეს იგი და ამხილოს სოფელსა ცოდვისათვის და სიძარტლისა და საშჯელისა: ი. 16, 8. ასეთი (პირდაპირობიექტური) პირი შემდეგ და შემდეგ მკვიდრდება ამ ტიპის ზნენებში და ირიბს აძევენს თორმედან (ამხილამან შევე).

9. რცხუნა: მტერსა მას მის(ს)ა სრულიად არცხუნა უფალმან: Sin. 11, 334 v, 10 ქვ.; არცხუნა მწველებელსა მას მესუეტესა: ლომ. 13, 10; არცხუნა ფარისეველთა კრებულსა: აღწ. 149, 31; არცხუნეს უშჯულთა ნესტორის: კიმ. I, 98, 8; მას დღეს ფრიად არცხუნე: ბალ. 117, 13 ბ; არცხუნე მოძულეთა: სას. პ. 381, 52; ამას ძემანცა კაცისამან არცხუნოს: ლ. 9, 26; რამათა არცხუნოს ძლიერთა: 1 კორ. 1, 27; არცხუნოს შენთა მაგათ ურჩულთა: ქრისტინ. 189, 1.

10. და-არწმუნება. ამ ზნენს ორი მნიშვნელობა აქვს: ა) დაჩერება, დაარწმუნება და ბ) ჩაბარება, მინდობა, დავალება. ჩვენ აქ მის პირველ მნიშვნელობას გეხებით.

ძლით დავარწმუნე მათ: ლომ. 117, 16; არწმუნა დედაკაცსა მას: ლომ. 52, 29; არწმუნა კაცსა მას: ბალ. 58, 3; დაარწმუნა წმიდამან მაქსიმე პიროსს: კიმ. I, 66, 33; დაარწმუნა მას: ლომ. 82, 19; 101, 4; 135, 5; მეფესა მას არწმუნეს: თუალთ. 46, 17; არწმუნეს ერსა მას: მ. 27, 20; არწმუნე ამათ: საკ. წიგ. II, 22, 17; დაარწმუნე მას: კიმ. I, 71, 20; ბერმან არწმუნის მას: ლომ. 85, 16; ვითარ-მე ვარწმუნო მონათა ღმრთისათა გებად ეშმაკთა: საკ. წიგ. II, 22, 24; ვიდრე არა მოხვდეს და არწმუნო იოსებს: პარბ. 19 ა; ვითარ არწმუნოს წმიდასა მას: საკ. წიგ. II, 25, 9; რამათა არწმუნოს ძესა თვისსა: ისტ. ქრ. II, 36, 36; არწმუნოს მათ: ლ. 16, 28 C; ჩუენ ხუარწმუნოთ მას და თქუენ უზრუნველ გყვენთ: მ. 28, 14 X.

11. აღ-ღება: ალალო ლუსკუშასა მას და პოენა გუამნი იგი წმიდათანი: Sin. 11, 212, 4 (A 95-ში, როგორც კ. კეკელიძის გამოცემიდან ჩანს, სახელობითი ყოფილა: ლუსკუშაა იგი: კიმ. I, 113, 19, სქოლიო); მორწმუნეთა მათ... აღადეს შირიშსა ერთსა, რომელი დაბეჭდულ იყო კრძალულებით: კიმ. I, 160, 4; აღადეს საფასეთა მათთა: მ. 2, 11; რაჟამს აღვადესა ფლავთა თქუენთა: ებეკ. 37, 13.

12. გან-ღძება: განაღძა დეკანოსსა და ჰრქუა: კიმ. II, 174, 21; განვალოძოთ თავთა შინა ჩოენთა ღმერთსა: ეპ. ანტ. 25, 6.

13. შე-ურვება: დილითა მით ბრძოლითა შეაურვა ეშმაკმან გულსა მისსა და უფროას განარისხა იგი: კიმ. II, 172, 30; ვითარცა დიდად შეაურვეს მამათ: იქვე, 215, 9; ელიას შეაურვეს ქალაქთა დამკვდრებულთა, ხოლო მასვე განუსუენეს მათთა და უდაბნოთა: საკ. წიგ. II, 56, 1; რამათა არა თესლი მისი დასთესოს და წუხილითა შეაურვოს გულთა თქუენთა: წარტყ. 30, 11; რამათა არა შეაურვონ წმიდასა პირველ-მოწამესა სტეფანეს: PO, 675, 1.

1 კ. კეკელიძე, კიმენი, II, 1946, გვ. 137.

14. შე-შინება: ცოლსა მას პილატუსსა ძილსა შინა ვინ შეაშინა: საჯ. წიგ. II, 17, 36; და გარდიცვალა ეშმაკი მსგავსად გუელთა და ღრიაკალთა. რაათამცა შეაშინა მას: კიმ. II, 147, 27;<sup>1</sup> ჰგონებდეს, რაათამცა ესევითარითა უცნებითა შეაშინეს ნეტარსა მას: იქვე, 158, 5.

15. გან-ცინება: და შევსძინე უღუბჭირესთა სიტყუათა და ყოველთა განვაცინენ: ლიტ. ქრ. 318, 22.

16. ცთუნება: ხოლო მას ევაძს მიერ აცთუნა ეშმაკმან: Sin. 6, 173 v, 5 ქვ.; რაათამცა აცთუნნეს, შე-თუმცა-უძლეს, რჩეულთაცა: მ. 24, 24 C; რაათა აცთუნნენ, უკუეთუმცა შეუძლეს, რჩეულთაცა: მრ. 13, 22. შდრ. ხატუნებდენ მრავალთა (მ. 24, 11V), აგრეთვე ვნებ. შესცთა, სადაცხ და ხ ირიბი ობიექტის აღმნიშვნელი უნდა იყოს. ორი წარის (აცთუნნეს, აცთუნნენ) ახსნა შეიძლება.

17. განცხრობა: და ჰურიაჲ იგი რომელ მორწმუნე იყო, სცა მას ჰური და ღვწოჲ და განაცხროვო მას: H 341, 562, 20 (= ისტ. ქრ. II, 84, 31, ოლონდ აქ მას არ არის). შდრ. სათანადო ვნებითის ფორმები: აწ უმეტესად განიხარებს და განსცხრების. ქალაქი ურჰაჲ (ურკ. 348, 16); (იგი) განსცხრებინ და იხარებნ (სწავ. 246, 5); და განეშუენდეთ და განსცხრებოდით (სენ. 343 b); მხიარულ იყვნენ წინაშე ღმრთისა და განსცხრებოდინ სიხარულით (ფს. 67, 4). აქ ყველგან ხ წარმოშობით ირიბი ობიექტის ნიშანია. მაშასადამე, ეს ფორმები ისტორიულად ორპირიანია. აქედან: მის შესაფერ მოქმედებითს სამი პირი უნდა ჰქონოდა. ზემოთ აღნიშნული მას (განაცხროვო მას) ასეთი ირიბი ობიექტის ნიშანია, რომელიც ჩვეულებრივ დაკარგულია. მაგრამ აქ-იქ გარჩენილია. შდრ. აცთუნა მან მას და შეხცთა იგი (მას).

18. და-ძინება: მეფემან ასურასტანისამან დააძინა ძლიერთა შენთა: ნაუმ 3, 18.

19. წუფვა: რომელთა აწვეს მეფესა დაწერად განწესებაჲ იგი: კიმ. I, 73, 5.

20. ჰენება: აქენა მას: ლიმ. 75, 16; აქენა მას ფერკითა: მესუეტ. 30, 22; უკუეთუ ვინმე აქენოს მას: პ. იბერ. 26, 9.

21. შე-ჭირვება: ვითარ შეაჭირვა მათ ესრძთ: კიმ. II, 213, 5; მოილის ფირტუმან მისა და განავრცის შეწყნარებისათჳს ჰაერისა და შეაჭირის განსავალთა მათ ნესტუთა საშუმინველსა შინა განსალებელად ნეშტისა მის დაშთმილისა: უძვ. რედ. 226, 10.

22. გან-ხარება: ახარე სულსა მონისა შენისასა: ისტ. ქრ. II, 62, 13; აწ მომეც პასუხი და ახარე სულსა ჩემსა: Sin. 6, 194 r, 5 ქვ.; არა ახარე მტერსა ჩემსა ჩემ ზედა: ფს. 29, 2; რაათა... ახარო სულსა ჩემსა: A 95, 657 a; გაეახაროთ მათ: Sin. 6, 220 v, 10 ქვ.; არა გაეახაროთ მათ: ლუ მუზ. ტ. 67, გვ. 81, 17; ამით განგებთა: მოყუასთა თქუენთა განახაროთ: ეტ. VIII, 116, 12.

23. და-ჭერება: აჭერა მათ, ვითარმედ ჰეშმარითად აღდგა იგი მკუდრეთით: კიმ. II, 48, 11; ჰირით დააჭერა ისაკს: საჯ. წიგ. II, 138, 15; გრძნებითა მათითა დააჭერეს მრავალსა კრებულსა: კიმ. II, 25, 31; რომელთა-

<sup>1</sup> კ. კეკელიძე, იქვე.

-იგი დააჭერეს ერისაგანთა მათ ტყუვილით: სინ. 164, 32; გულსა ვერ დააჭერის: Sin. 35, 308 rb, 3; რახსა დააჭერიან გულსა ჩემსა: იქვე, 295 vs; დააჭეროს გულსა ჩემსა სიტყუად შენდა: იქვე, 198 va, 2; რამთა დააჭეროს მას: ლიმ. 92, 7.

რასაკვირველია, აქა-იქ უფრო ძველი ვითარებაც არის შემონახული: ფორმაში სამივე პირია წარმოდგენილი, მაგალითად: დააჭერე სულსა შენსა მოთმინებაჲ: სწავ. 12, 35; აიძულა მონაზონსა მას დატყუებაჲ დაბისაჲ მის: ლიმ. 85, 8; ვაიძულოთყა მათ სიყუარული ჩუენი: სწავ. 35, 24; უღმერთთა მათ არწმუნა ქრისტე: ასურ. 194, 26; არწმუნეთა ანასტასიას მსახურებაჲ ღმერთთაჲ: სავ. წიგ. 11, 26, 28; რამთა დამაჭეროს მე მართალი სარწმუნოებაჲ: ლიმ. 10, 2 და სხვ. ზოგჯერ სუბიექტთან მხოლოდ პირდაპირი ობიექტია მოცემული, როგორც ახალქართულს გადმოეცა. მაგრამ ასეთი შემთხვევები ნაკლებად გვხვდება. ძირითადი წესია, რომ სუბიექტთან ერთად მხოლოდ ერთი — ირიბი ობიექტი იყოს წარმოდგენილი, ე. ი. აკლდეს პირდაპირი ობიექტი. და ეს წესი კარგად არის დაცული ძველი ქართულის სხვადასხვა სახის ტექსტებში.

7. პირი აკლია აგრეთვე სათავისო ქცევის ერთი ჯგუფის ზმნებს, რომელნიც ფორმით ძალიან ჰგვანან ინიან ვნებითებს. ამ შემთხვევაში დაკლებულია პირდაპირი ობიექტი. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ისეთი ზმნები, როგორიცაა: შეიშინეს, შეირცხუნეს, მიიმართა, ივნო, განიფრთხო (ღღეს ამით მნიშვნელობა იქნებოდა: შეშინდნენ, შერცხუნენ, გაემართნენ, ევნო, გამოფხიზლდა). ამთ ჩვეულებრივ ერთი პირის გაგება აქვთ, მეორე პირი არ უჩანთ. იმის გამო, რომ ამ ტიპის ზმნებს მხოლოდ ერთი პირის გაგება და ინიანი ვნებითის მსგავსი ფორმა (მაწარმოებლად ი პრეფიქსი) მოეპოვებათ, კაცს ეგონება, სწორედ ინიანი ვნებითიაო. ასეც უფიქრიათ და დაუწყრიათ. მაგრამ არა. ეს ზმნები წარმოშობით მოქმედებითი გვარისაა, ი პრეფიქსი სათავისო ქცევას უჩვენებს. პირდაპირი ობიექტი აქ დაკარგულია, უნდა ვიფიქროთ, იმ მიზეზით, რომ თავიდანვე იგი ერთადერთი იყო და თავისთავად იგულისხმებოდა, მერმე და მერმე კი ზმნა ამ ფორმით გაქვავდა, სულ არ საჭიროებდა ობიექტის დასახელებას. სათავისო ქცევის ფორმაში პირდაპირ ობიექტად უმეტესად ხომ ადამიანის სხეულის რომელიმე ნაწილი იგულისხმება: დაიბანა (პირი), გაიკრიჭა (თმა), მოიპარსა (პირი, წვერი), მოისვა (ხელი), დაიზილა (ტანი), იჭერა (გული), შეიხვია (თავი), იქცია, იბრუნა (პირი) და სხვა. ჩვენი ზმნებიც ასეთია: შეიშინა (თავი ან გული), შეირცხუნა (თავი), მიიმართა (პირი), ივნო (თავი).

რომ ეს ზმნები წარმოშობით მოქმედებითია და ი პრეფიქსი სათავისო ქცევისაა, ამას ამტკიცებს მათ მიერ შემონახული ზოგი ნიშანი, მაგალითად:

ა) სადავო ზმნებს ხანდახან ახლავს მოთხრობითში დასმული სუბიექტი, რაც მხოლოდ მოქმედებითი გვარის ფორმებს აქვს და არ შეიძლება ვნებითი გვარისას გააჩნდეს, მაგალითად: ვინამთგან არა შეიშინეს მათ ღმრთისა, განარისხნა მათ ზედა მუღუფე ივი საუყუნოჲ: კიმ. I, 50, 33; და მათ შეიშინეს ე, რამეთუ: სიბრძნ. 18, 25; შეიშინეს ზარგანკდილთა: კურთხ. 120, 9; მოწაფეთა ქრისტმთა შეიშინეს: Sin. 11, 339 v, 11; ქრისტე მან რაჲ ივნო ჩუენთჳს კორცითა, უვნებელად ჰვიეს ღმრთეებაჲ კაც-

სა თანა: სინ. 50, 18; ჰე, თუმცა შენ განიფრთხეე მთრეალმან ეშ-  
მაქისა საცთურითა, ხოლო მე ფრთხილ ვარ ღმრთისა ჩემისა მიერ: სინ. 11, 266 v.  
3 ჰე.; სულმან განიფრთხეის და განისუენის მათ ზედა: სწავ. 141, 9.

ბ) მათ მოვპოვებათ პირდაპირი ობიექტი: არა შეირცხვენა წარ-  
დგომამ ჩემი შიშუელისაა წინაშე ქრისტესა: ლიმ. 40, 7; აწ უკუე გა-  
ნიფრთხეე გონებამა შენი და ეკრძალე ცოდვასა: სწავ. 258, 1.

გ) II სერიის მწკრივების მრავლობითის ფორმა წარმოდგენილია ენ—  
სუფიქსის გარეშე, რაც ინიან (და ენიან) ვნებითათვის დაუშვებელია, მაგა-  
ლითად:

და შეიშინეს ღლითგან დაცემისა შენისაჲთ: ეზექ. 26, 18 (ოში);  
არა შეიშინეს მანქანებათგან მისთა: საყ. წიგ. II, 55, 12 (და არა: შეი-  
შინნეს); არცა კმისა მისთვის შეირცხუინეს და არცა სასწაულთა მათგან  
და არცა ძლიერებათა მისთათჳს: სინ. 150, 17; შეირცხვენთ და შეიკლი-  
მეთ გზათგან თქუნთა: ეზექ. 36, 32 (და არა: შეირცხუინნეს, შეირ-  
ცხვენთ). თუ ვინმე უკანასკნელი ტიპის მაგალითების გამო გვეტყვის, რომ  
ამ ზმნების ფუძეებში ერთი ნარის უკვე (შენ, რცხვენ) და მეორე, ვნებითის  
მრავლობითის ნ მასთან მეზობლობაში დაკარგულია, როგორც ეს მართლაც  
გვაქვს ზოგჯერ (იქმნეს—იქმნეს, მოივლინეს—მოივლინნეს), ამაზე ვუპასუხებ  
დაბეჭდვით: ჯერ—ერთი: ვნებითებში ნ-ს დაკლება ზოგჯერ ხდება  
და არა ყოველთვის, აქცი, შეიშინეს, შეირცხვენეს და მსგავს  
ფორმებში მეორე ნარსად არ არის (არც ყოფილა ოდესმე, არც იყო საჭი-  
რო); მეორე: ჩვენთვის საინტერესო ზმნებში სადავო ნარას ოდეს არ  
არის მაშინაც, როცა ფუძეში ნარ მოიპოვება, მაგალითად: ვითარცა აღვდევით  
რიჟურაჟუს ოდენ, მივიმართეთ მისლვად პირველად ბორცუსა მას: სინ.  
69, 1; ხოლო პირველად ბორცუსა მასვე მივიმართეთ და ვთხარეთ სამ  
ოდენ ეამ: სინ. 69, 5; ისტ. ქრ. I, 301, 7; ხოლო იგინი განვიდეს კაცთა მათგან  
და მიიმართეს კოლტსა მას ღორთასა: მ. 8, 32 (ვანი, გელათი, ალავერდი,  
ეჩმიადინ...) (და არა: მივიმართენით, მიიმართნეს).

დ) ინიან (და ენიან) ვნებითებს, როგორც ცნობილია, II კავშირებითის  
მწკრივის ნიშნად სამი სუფიქსი აქვთ: მხოლობითში ი, ან ე, ხოლო მრავლო-  
ბითში. მხოლოდ ერთი — ე (დავიმალე — დავიმალნეთ, მოვიკლა — მოვიკლნეთ).  
ჩვენთვის საინტერესო ზმნებს კი ერთადერთი სუფიქსი მოვპოვებათ მხოლო-  
ბითშიც და მრავლობითშიც, როგორც ყოველ გარდამავალ ზმნას, მაგალითად:

ამათგანლა შევიშინო, მერმე დიდთა მთავართა წინაშე ვითარ წარვდგე:  
ვესტ. (ისტ. ქრ.) 161, 11; აწ უკუე შევიშინოთ, ძმანო, სამთა ამათ კელით  
წერილთაგან: ასურ. 137, 20; ვივნოთ ვნებაჲ იგი და შეუდგეთ ტვრთსა მას  
სიყუდილსა მისისასა: სინ. 258, 32 (და არა: შევიშინნეთ, ვივნნეთ). ესეც უჩვე-  
ნებს, რომ შევიშინოთ, ვივნოთ და მისთანა ფორმები (ინიანი) ვნე-  
ბითი ვერ იქნება, ესაა პირდაპირი (უობიექტო) სათავისო ქცევა.

ე) დასასრულ, დავძენთ, რომ სადავო ზმნებს აწმყოში (I სერიაში) ებ  
თემის ნიშნის შემდეგ არ უმატებათ ისუფიქსი, რომელიც ყოველგვარი ვნები-  
თისათვის აუცილებლად საჭირო ელემენტია. ძველ ქართულ ენაში გვაქვს მხო-  
ლოდ ვივნებ, შეიშინებთ და არა: ვივნები, შეიშინებით, მაგალითად: რომლითა-

-იგი ვივნებ და რომლითა ვაცხოვნებ კაცთა: Опнс. 201, 3; ნუ შეიშინებთ ღმერთთა მათგან უცხოთა: 4 მეფ. 17, 35.

ზემოთ თქმულის შემდეგ უნდა დავასკვნათ, რომ შეიშინეს და მისი ტიპის ზნეები წარმოშობით მოქმედებითი გვარისაა, მათი ი პრეფიქსი სათავისო ქცევის ნიშანია. მათ ღრთთა ვითარებაში გარკვეული მიზეზების გამო დაკარგეს ერთი პირი — პირდაპირი ობიექტი და შინაარსით ერთპირიანი გახდნენ, ფორმა კი ძველებური შეინარჩუნეს. სათავისო ქცევისაგან ინიანი ენებითის წარმოშობის ერთ-ერთი გზა შეიძლება ესეც იყოს.

ახლა კი ეუჩევენებთ სხვა, დამატებითს მაგალითებს:

ჩემდა არა შეიშინე შენ: ესაია 57, 11; ვითარ არა შეიშინე შენ მიყოფად ქელისა შენისა და მოკლვად ცხებულისა მის უფლისაჲსა: 2 მეფ. 1, 14; არცა შეიშინე ღმრთისა: ბალ. 131, 33; არა შეიშინეა ღმრთისაგან: ლომ. 40, 6; მაშინდა ფიცისა მისთჳს და მეინაჲეთა მისთათჳს არა შეიშინა მსაჭულისათჳს: სინ. 210, 16; და, ლათუ ბუნებაჲ იგი მკეცთაჲ აწუევედა, (ლომთა) შეიშინეს და ვერ იკადრეს შეხებად კორცთა: სინ. 108, 18; და შეიშინოს და არა ყოს ეგრე სახედ: ეზეყ. 18, 14.

მე არცადა ესრეთ შევირცხვნი, არამედ წარვიღე ძლუნენ და წარვედ ეპისკოპოსისა ჩუენისა: ლომ. 103, 14; არა მოიკსენენ საქმენი მისნი და არცა შეირცხვნი ქელისა მისგან განკმეღისა: უდაბნ. 104 vb; მეყს შეშინდეს და დაქსნდეს და რეცა შეირცხვის მიახლებად კორცთა მის წინაწარმეტყუელისათა: სინ. 108, 25; და ოდეს-იგი სწავლასა მას შჯულისასა არა შეირცხუინეს: სინ. 135, 24 (= ხანშ. მრავ.: ისტ. ქრ. I, 46, 8); შეირცხვის და ირწმუნეს და მიიქცეს შობისა მისისა მიზეზთა გამოძიებად: ლიტ. ქრ. 22, 35.

მივიმართე სამოთხესა მას მეფისასა: ისტ. ქრ. I, 273, 29; მიიმართა საპურობილედ: აპოკრ. 31, 5; მიიმართა კოლტმან მან ღორებისა მან კბოდესა ზღვსასა: მ. 8, 32; მრ. 5, 13; ლ-8, 33; მზირთა მათ შეიმართეს და განეფინეს გაბას შინა: მსაჯ. 20, 37.

ივნო ქრისტემან კორცითა: გულანდ. 224, 10; ივნო ქეშმარტიად ჯუარსა ზედა თანა-ყოფითა ღმრთეებისაჲთა: სინ. 50, 15; არამედ ივნო და გუემასა მიეცა ნეფსით: სინ. 50, 33; რამთა ფრიალ ივნოს და შეურაცხ იქნეს: მრ. 9, 12 D.

რომელთა-იგი მწუხარებით გუეძინა, განვიფრთხვეთ სიხარულით: კიმ. I, 11, 5; ხოლო სხუათა მათ შეპურობილთა შიშითა განიფრთხვეს და დავარდეს ქუეყანასა ზედა: სევან. 224 b; განიფრთხვე შენცა... და ეწყვებოლედ მას მარადის მოუწყინებულად: სწავ. 18, 31; მყის განიფრთხვე და მწრათლ მოიქეც აღგილადვე შენდა: სწავ. 108, 15; განიფრთხვე და აღიხილენ თულანი შენნი ცად: საჯ. წიგ. 11, 34, 23; განიფრთხვე შიშისაგან: იქვე, 62, 31; განიფრთხვე, ჭუბადრუკო: სწავ. 131, 30; განიფრთხვე დასულებისაგან ...და ნუ კუალად სცოდავ: სწავ. 135, 8 (ნ. კ. თულთ. 55, 21; ამბაკუმ 2, 19; ბოლნ. 20, 27); განიფრთხვეთ უკუე სატურებისაგან სიმთრეაღლსა: სევან. 223 b; განიწმიდენით უკუე და განიფრთხვეთ ლოცვად: 1 პეტ. 4, 7; განიფრთხვეთ, მღჳძარე იყვენით: 1 პეტ. 5, 8; განიფრთხვედ, რომელთა-იგი სთრავს ღვნითა თჳსითა: იოველ 1, 5; ვინ უწყის, მაგით რამთმე განიფრთხოს: კიმ. I, 134, 36; ოდეს გონებამან



ჩუენმან განიფრთხო: საქ. წიგ. II, 139, 32; განვიფრთხოთ იქვე. 53, 23; ვიდრემდის ვიყვნეთ ამას მედგრობასა შინა და უღებებით ცხოვრებასა და არა განვიფრთხოთ (=გამოფხიზლდეთ): სწავ. 221, 4; განვიფრთხოთ, ძმანო საყუარელნო, განვიფრთხოთ, მოყუარენო ღმრთისანო, განვიფრთხოთ, მონანო ქრისტესნო: სევან. 481 ხ; განიფრთხოთ ძვრის-შზრახვალთა შენთა: ამბაკუმ 2, 7.

ბ. დაკარგულია ირიბობიექტური პირი დასცხრა, შესცთა, განჰკრთა და ამ ტიპის სხვა ზმნებშიც. ესენი მხოლოდ ერთი (სუბიექტური) პირის გაგებას გვიჩვენებენ, ფორმაში კი შემონახულია დაკარგული ირიბი ობიექტური პირის ნიშანი: და-ს-ცხრა, შე-ს-ცთა, გან-ჰ-კრთა<sup>1</sup>. აქაც, ამ მაგალითებზეც მტკიცდება ზოგადი დებულება: ენაში შედარებით ჩქარა იცვლება სიტყვის სემანტიკური მხარე, მაგრამ ფორმა, ძველი ფორმა დიდხანს ინახება უცვლელად. იგი ძველი დროების მოწმეა, სიტყვის ძველი შინაარსის ამსახველი. ფორმა ძველი, შინაარსი ახალი — ასეთია ჩვენთვის საინტერესო ზმნათა ისტორიაც. მაგრამ ძველ ქართულში არის შემორჩენილი ისეთი ფორმებიც, რომლებშიც ჯერ კიდევ ჩანს ის გაქრობადი და გამქრალი ობიექტი, ე. ი. ძველი, პირველადი კონსტრუქცია სრული შემადგენლობით (სუბიექტითა და ირიბი ობიექტით), მაგალითად:

დასცხერ ნებისა შენისა ყოფასა და თავისა მართლებასა და კაცთა შოთნებას: Sin. 35, 190 ra, 12; დასცხერ, დასცხერ ესევითარსა აღთქუშასა: პარხ. 15 a (=მრავ. 257, 1); ჩუენ ცოდვასა არა დავსცხრებით: Sin. 36, 63 a, 12; ნუ დასცხრები 'ლოცვასა უფლისა მიმართ ჩუენთვის: I მეფ. 7, 8; კაცი ესე არა დასცხრების სიტყუასა ბოროტსა ადგილისა ამისთვის წმიდისა და შჯულისა: მოც. 6, 13; არა დასცხრებოდა მხილებასა მწვალებელთასა ბოროტისა სარწმუნობისა მათისათვის: კიმ. I, 2, 8.

შენ უგზოსა ნუ შესცთები: Sin. 36, 31 ხ, 8; შესცთის გზასა: ექუსთ. 91, 28; უფროას ამისსა საწყალ იქმნა, რამეთუ ზეცისა ცხოვრებასა შესცთა: სინ. 121, 8; სიკეთესა დედათასა მრავალნი შესცთეს: ზირ. 9, 9 (совратились с пути); რამთა არა შესცთეო უნდოსა ზრახვასა და მიეცნეთ სწავლასა: წარტყ. 57, 10; ვაჲ, თუ ... შე-რასმე-ვსცთე სიტყუასა ებრაელთა თანა: ისტ. ქრ. I, 272, 6; და ვითარ მივიღოდა, შესცთა იგი გზასა უდაბნოსა ზედა და ვერ პოვნა ძმანი თვისნი სამწყსოათურთ: საქ. წიგ. II, 60, 1.

მეყსეულად განჰკრთა დედაკაცსა მას და იკრჩხილნა უშუერად: ასურ. 209, 39; და განჰკრთა ძილი სარმიანეს: ასურ. 211, 28.

აი რატომ აქვთ თურმე ამ ზმნებს ს და ჰ!

ირიბი დამატების ფორმიდან გავსლა სიტყვის შინაარსის სრულყოფისათვის ანაზღაურებულია სხვა სიტყვების დართვით. ჩვეულებრივ ემატება საწყისი (ან, უფრო ნაკლებ, სხვა სახელი) ნათესაობითში (თანდებულთი ან უთანდებულთ). მოქმედებისა და ვითარებითში. ამ სახელთა დამატება ავსებს ფორმის შინაარსს, უფრო გასაგებს ხდის მის მნიშვნელობას. ზოგჯერ კი დაკლებულის შე-

<sup>1</sup> ა. შანიძე, პრეფიქსები, გვ. 82.

სავსებად აღარაფერი არ ერთვის, ფორმაში ს-სა და ჰ-ს არსებობას აღარაფერი მოგვგავონებს. მაგალითები:

ა) დასცხერ ამისგან და ყავ ესე: სწავ. 284, 20; ბაგენი ჩემნი არა დასცხრებიან სიტყუსა ამისგან: წარტყ. 56, 28; დასცხერინ კმა შენი ტირილისაგან: იერ. 31, 16; დავსცხრეთ ცოდვისაგან და ბრალისა: პარხ. 917 ხ; დასცხრებოდა ტირილისაგან: ლომ. 29, 28; ვითარცა დასცხრა ლოცვისაგან: ლ. 11, 1; არა დასცხრების სიხარულისაგან: Sin. 36, 367 ხ, 8 ქე.

ნუუკუე სულმოკლე იქმნე და შესცთე გზისაგან ქეშმარტისა: ბალ. 88, 30 ბ; დაითრო იგი და შესცთა იგი ორთავე ასულთა მისთა თანა: ბოლნ. 84, 30.

რამ იხილე დღეს, რომლისაგან განჰკერთ და დაკრებულ ხარ უფროს პირველთა მათ შესაწირავთა: რავახ 83, 34; მეცსეულად განეჰკერთ მე ძილისაგან: იქვე, 88, 25; განჰკერთეს ყოველნი უშუერებისა მისგან: ბალ. 33, 36; განჰკერთენ მრავალნი გულისწყრომისაგან მისისა: ესაია, 31, 4; განჰკერთა გონებად მისი უკეთურებისა მისგან: სწავ. 196, 1; მღღელნი და წინაწარმეტყუელნი განჰკერთეს თაფრუქისათჳს: ესაია, 28, 7.

ბ) დედაკაცი ესე ... არა დასცხრების ამბორის-ყოფითა ფერკთა ჩემთადა: ბოლნ. 14, 29 (=ლ. 7, 45); არა დავსცხრებოდეს სწავლითა კაცად-კაცადისადა: მოც. 20, 31; არა დასცხრებოდა იგი ფსალმუნებითა: აბო 186, 38.

იხილა იგი და განჰკერთა გონებითა თჳსითა და დაუკრდა: ისტ. ქრ. II, 111, 6; კმითა შიშისა შენისადა განჰკერთეს ერნი: ესაია 33, 3; განჰკერთეს შერისხვითა მისითა: იობ 26, 11.

გ) ვითარცა დასცხრა სიტყუად: ლ. 5, 4, დაბ. 18, 33; დასცხრა იაკობ ბრძანებად ძეთა თჳსთა: დაბ. 49, 33; არა დასცხრეა განდრეკად გზათა მათ უფლისათა წრფელთა: მოც. 13, 10; რაემს ეპოთ იგი, დავსცხრეთ აუგთა მისთა ძიებად: ლიტ. ქრ. 21, 39.

სხვა მაგალითები:

ენაჲ მისი არა დასცხრების ჩუენდა მომართ: ბოლნ. 8, 29; არა დასცხრებოდეს მსახურნი იგი მეფისანი, რომელთა შესთხინეს სამნი იგი ყრმანი აგზებულსა მას საკუმბილსა: დან. 3; 46; წჳჲმა დასცხრა: ქებ. 2, 11; დასცხრა ქარი იგი: მრ. 4, 39; მეცსეულად დასცხრა წყაროჲ იგი სისხლისაჲ მის: ლ. 8, 44; ქუხილი იგი დასცხრა: გამ. 9, 33; დასცხრა დეენულეზა: კიმ. II, 15, 20; დასცხრა გული მეფისა დავითისი: 2 მეფ. 13, 39; დასცხრეს ქუხილნი იგი: გამ. 9, 34; დასცხერინ ამიერიით-გან ყოველი ცილობაჲ: სინ. 45, 4; საღმობაჲ იგი შობისაჲ მის დასცხრის: სინ. 105, 27; დადგომასა მას მათსა დასცხრიან ფრთენიცა მათნი: ეზუკ. 1, 24; დასცხრის სიმსიენე ფერკისა მისისაჲ: კიმ. I, 242, 32; ერთ-გზის ვთქუა და დავსცხრე: <sup>1</sup> სვან. 32 ა; არა დასცხრეს თქუენგან საღმობაჲ: ოსე 5, 13; კმანი ესე დასცხრენ: გამ. 9, 29;

<sup>1</sup> დასცხრბ ხ.

უკუეთუ გზას ვიდრით და სცთეს წინამძღუარი, კეთილ არსა, თუ ვპრქუათ, ვითარმედ: ვსცეთით, ანუ არა: Sin. 35, 301 va. 4—1; შევსცეთით Sin. 36, 229 b, 14; შესცთედ იგინი ბნელსა, ვითარცა მთრვალნი: იობ 12, 25; არღარა შესცთების: იობ. 25, 106; მეშურდულენი, რომელნი ესროდეს ქვითა თმასა, და არა შესცთებოდეს: მსაქ. 20, 16; განვიდა იგი და შესცთა უდაბნოსა: დაბ. 21, 14; შესცთის ყრმა იგი უდაბნოსა: ლიტ. ქრ. 310, 16; მე შევსცეთი და განვარისხე ღმერთი: ისტ. ქრ. II, 92, 14 B; შესცთეს ძენი ისრაშლისანი ქუეყანასა მას: გამ. 14, 3; ვითარცა-იგი შესცთის მთრვალი: ესაია, 19, 14; ნუუკუე ვინმე ერთობითა ამათ სახელთაათა სახარებისაგან შესცთეს უწყებასა: სინ. 25, 22; უკუეთუ შესცთეს, დაუტეოს იგი: ზირ. 4, 22.

აწ მე ამას ყოველსა ზედა მიკვრს და განვპკრთები ფრიადსა მას სიმდაბლესა მაიხოვრისასა: სვან. 358 a; განპკრთების გონებად, და ვერ შეუძლებს ენაჲ გამოთქუმად: კიმ. I, 174, 8; გულისაგან, აღმოპკრთების სიმჭურვალმ: უძვ. რედ. 163, 29; გამოპკრთებოდა ელვად: მრავ. 278, 19; გამოპკრთებიდ თუალთ. 33, 19; პკრთებოდა ყრმა იგი მუცელსა მისსა: ლ. 1, 41; სულნი ღათუ აღმოპკრთებოდიან: სინ. 227, 18; განპკრთა გული მათი: დაბ. 42, 28; განპკრთა სული მისი: ესაია. 7, 2; განპკრთა ბენიამენ: ოსე 5, 8; ქალწული იგი ფრიად განპკრთა სიტყუასა ზედა მშობელთა მისთასა: კიმ. I, 216, 23; ზარ-განქლილ იქმნა და განპკრთა: Sin. 11. 212 v, 5; განპკრთა გონებად მისი: ბალ. 23, 27; განპკრთა კაცი იგი: რუთ 3, 8; მაშინ განპკრთეს ყოველნი იგი: კიმ. I, 207. 5: იცნეს იგი კაცთა და მეგობართა და განპკრთეს, იხილეს რაჲ უცხოთა სამოსლითა შემოსილი: ზარზმ. 178, 29; იხილეს ქაბუკი... და განპკრთეს: მრ. 16, 5; გიკვრდინ და განპკრთით: ესაია, 29, 9 (ბრძ. შდრ. რუს. *наумляйтесь и дивитесь*); განვპკრთი მე ყოველთა ზედა მტერთა ჩემთა: სწავ. 204, 15; განპკრთენ ნაშობნი წყალთანი: ოსე 11, 10.

რაც ითქვა დასცხრა, შესცთა, განპკრთა ფორმების შესახებ, მეტ-ნაკლებად იგივე ითქმის აგრეთვე აღმოსცნდა, დაპბრკოდა და პფრთხა და ზოგ სხვათა შესახებაც. ოლონდ ესაა, რომ ეს უკანასკნელნი ისე გავრცელებული არაა. როგორც პირველნი. განსაკუთრებით უნდა ითქვას ეს დაპფრთხა-ს შესახებ: ის ტექსტებში, გასაგები მიზეზის გამო, ძალიან იშვიათად გვხვდება.

მნიშვნელობა, შინაარსი ამათაც ისეთივე აქვთ — მხოლოდ ერთ პირს გვიჩვენებენ, ფორმა კი მეორე (ირიბი ობიექტის) პირსაც გამოხატავს.

აი რამდენიმე მაგალითი, რომელნიც ერთი თვალის გადავლებით ხელთ მოგვხვდა:

კორცთა მისთაგან აღმოსცენდების დიდებად მისი: საკ. წიგ. II. 12, 38; არამედ კორცთა მისთაგან აღმოსცენდებოდა დიდებად მისი: იქვე, 13, 3; ნაყოფ-შუენიერი იგი ხმ აღმოსცნდა: სინ. 21, 28; ქრისტმ უთესლოდ აღმოსცნდა: სინ. 41, 8, 27; აღმოსცნდა ქუეყანი თვენაკი: სინ. 159, 31; ესე ნეტარი და ყოვლად ქებული სერაპიონ აღმოსცენდა ქუეყანასა კლარჭეთისასა: ლიტ. ქრ. 87, 1; ვითარ აღმოსცენდა ქეჭლი იგი: მ. 13, 26; ვინაჲ აღმოსცენდა ღუარძლი: მ. 13, 27; აღ-

მოსცენ და განკმა: ლ. 8, 6; ეკალინი იგი აღმოსცენ დეს: მ. 13, 7; მრ. 4, 7; ლ. 8, 7; აღმოსცენ დეს მწვალებელის: ისტ. ქრ. II, 108, 33; რაჟამს დაეთესის, აღმოსცენ დის: მრ. 4, 32 C.

და ეჭბრკოლ დები მე: სინ. 25, 19; რომელინომე რიცხვთ და რომელნიმე ღმრთეებით და ეჭბრკოლ დებიან კორკთაგან: სვან. 68 b (= მრავ. 300, 13); რომელინი შე ეჭბრკოლ დებიან სიტყუასა მას ურჩებითა: 1 პეტ. 2, 8 ლ; ზედამს-ზედამცა ეჭბრკოლ დებო დეს (ფერკნი): ექუსთ. 110, 30; რაათა არა და ეჭბრკოლ დებო დინ ლოცვასა თქუენსა: 1 პეტ. 3, 7 ლ; და და ეჭბრკოლ დი მე მამათა მიმართ: Sin. 35, 188 va, 9; ნიჭნი იგი წმიდათანი... და ეჭბრკოლ დეს: სინ. 218, 5; რაათა არა და ეჭბრკოლ დეს უკუანამსკენელიცა იგი მოწამე ქრისტესი თანა-შერაცხად ახოვნებასა მათსა: აბო 191, 34; რაათა არა და ეჭბრკოლ დენ მრავალთა მათ თანა-ნადებთათუს: უდაბნ. 61 rb.

და ეჭრთხა კაპრაული მისი და გარდამოაგდო<sup>1</sup> გერონტი და შემუსრა იგი: კიმ. 11, 176, 8; ხოლო ეშმაკნი იგი და ეჭრთხეს ბერსა მას: Sin. 11, 359, 6.

რადგანაც ასეთ ზმნებში ფორმა დაცილებულია შინაარსისაგან (პირველი ორ პირს უჩვენებს, ხოლო მეორე — ერთს), ამიტომ თვით ძველ ქართულში იწყება ამ ორი დასაბამის შეთანხმების პროცესი: ფორმა მხარს უბამს შინაარსს — ობიექტის ნიშანს აღარ წარმოგვიდგენს (შეცთა, განკრთა, დაბრკოლდა...). ფორმისა და შინაარსის შეხამების ეს პროცესი ახალ ქართულში დიდი ხანია დამთავრებულია. აქ დაგვრჩენია, ეუჩვენოთ სათანადო მაგალითები ძველი ქართულიდან:

და ცთებო დეს მისა მიმართ: მრ. 6, 3 C; იტყოდეს, ვითარმედ: განცთა: მრ. 3, 21 C; რაჟამს უკუე არნ ჭირი ანუ დევნულებაჲ სიტყუსა მისთს, მეყსეულად ცთიან: მ. 13, 21 C; რაჟამს შეემთხუიის ჭირი ანუ დევნულებაჲ... მუნქუესეე ცთიან: მრ. 4, 17 C; მაშინ ცთენ მრავალნი: მ. 24, 10 C.

შენსა მოკითხვასა ხუფროს ბუნებისა კრთებო და: ხანმ. მრავ. (ისტ. ქრ.) 45, 31; იხილეს ჭაბუკი ...და განკრთეს: მრ. 16, 5 X; განეკრთი ძე ყოველთა ზედა მტერთა ჩემთა: სწავ. 204, 21 A (BC: განეკრთი).

ყოველნი და ბრკოლ დებო დეს მისა მიმართ: მ. 13, 57; მაშინ და ბრკოლ დებო დიან მრავალნი: მ. 24, 10; ამისთს და ეჭბრკოლ დი: პარხ. 641 a; (ფარისეველნი) და ბრკოლ დეს: მ. 15, 12; მეყსეულად და ბრკოლ დიან: მ. 13, 21; მე არასადა და ეჭბრკოლ დე: მ. 26, 33; მრ. 14, 29; რომელი არა და ბრკოლ დეს ჩემდა მომართ: მ. 11, 6; თუ სსუანი ყოველნი და ბრკოლ დენ შენდა მიმართ: მ. 26, 33; მრ. 14, 29.

ღ. მნათობთა ამოსვლა-ჩასვლის აღმნიშვნელი ზმნები ძველ ქართულში სისტემატურად (ირიბი) ობიექტის ნიშნითაა წარმოდგენილი (აღმოჰქდა. დაჰქდა...), თუმცა ფორმას მხოლოდ ერთი პირის გაგება აქვს: ამოვიდა მზე, ჩავიდა მთვარე<sup>2</sup>. ეს — ახლა და რამდენადმე ძველ ქართულშიც. მაგრამ უფრო აღრე, რა თქმა უნდა, ზმნის ფორმაში ირიბი ობიექტიც იგულისხმებოდა

<sup>1</sup> გარდამოაგდო გამოც.

<sup>2</sup> ა. შანიძე, პრეფიკსები, გვ. 65, 66.

(ამოპვიდა იგი \*მას, დაპვიდა იგი \*მას, თითქოს ამოპყეა რალაცას, ჩაპყეა რალაცას...). ამ მიჩქმალული, ამქამად დაფარული ირიბი ობიექტის ნიშანი ზმნაში წარმოდგენილია უყოყმანოდ ისე, როგორც ზემოთ აღწერილ სხვა შემთხვევებში. მასასადამე, აქაც ძალაშია ხშირად აღნიშნული ფორმულა: ფორმა ძველი, შინაარსი ახალი.

მნათობთა ამოსვლა და ჩასვლა ძველ ქართულში „სვლის“ აღმნიშვნელი სპეციფიკით გამოიხატებოდა (ვალ, ველ||ვიდ, ქედ): მზმ აღმოპვალს, დაპვალს; აღმოპვიდა, დაპვიდა; აღმოპკდა, დაპკდა. ამ ფუძეებს შორის ისეთივე მიმართებაა, როგორიც ჩვეულებრივად ხმარებულ ფორმებს შორის—აღმოვალს, დავალს (შთავალს), აღმოვიდა, დავიდა (შთავიდა), აღმოქდა, დაქდა (შთაქდა). ეს ორი წყება მხოლოდ ირიბობიექტური ნიშნის დართვა-არდართვით განსხვავდება.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ როცა მნათობთა ამოსვლას მეტაფორულად სხვა ფუძით გამოხატავდნენ, ზემოთ ნაჩვენებ მაგალითთა მსგავსად, ერთპირიანი ზმნის ფორმაში ობიექტის ნიშანიც შეპქონდათ, მაგალითად: აღმოპვიდა და დაპვიდა მზმ და დაპკდის და ადგილსავე თუსსა მიეგის: სინ. 227, 6.

შემდეგ და შემდეგ ობიექტური პირის ნიშნის დაკარგვა აქაც მოხშირებულია, ხოლო ახალ ქართულში სრულიად ერთნაირად აღინიშნება ეს წყვილები: მზე ამოვიდა და კაცი ამოვიდა, მზე ჩავიდა და კაცი ჩავიდა. ჩანასახი მ-ს დაკარგვისა თვით ძველ ქართულშივე გვაქვს, მაგალითად: აღმოვალს მზმ და დაპვალს მზმ: ეკლეს. 1, 5 (ათონ.). აქ მ ერთგან შენახულია (დაპვალს), მაგრამ მეორეგან დაკარგულია (აღმოვალს). ასეთი მერყეობა სხვაგანაც გვხვდება, მაგრამ აქ ახლა მართო აღნიშნულით დავკმაყოფილდებით.

დასასრულ, დავიმოწმებთ ძველი ვითარების მაჩვენებელ მაგალითებს:

აღმოპკდებთის მზე და დაპკდებთის მზე: ეკლეს. 1, 5 (პეტრიწ. რედ.); აღმოპკდებთის იგი მუნ: იქვე; მზმ რაჲ აღმოპკდა, დასცხა: მ. 13, 6; მრ. 4, 6; აღმოპკდა ცისკარი: დაბ. 32, 26; ვითარცა ბნელსა შინა მთიები რაჲ აღმოპკდის: მოქც. 760, 9.

აღმოვალს მზმ და დაპვალს მზმ: ეკლეს. 1, 5 (ათონი); დაიძინა მუნ, რამეთუ დაპვიდოდა მზმ: დაბ. 28, 11; ვითარ შემწუხრდებოდა და მზმ დაპვიდოდა: მრ. 1, 32; ოდეს დაპვიდოდა სვალე მზმ, მას ყამსა კესარიისაცა მზმ დაპკდეს: სვან. 295 a; და ვიდრე მზმ დაპკდებოდა და ღამე მოიწია: გარემოცვ. 34, 3; რამეთუ მზე, მნათობი ჩუენი, დაპკდა: ლიტ. ქრ. 212, 14; და ვითარცა დაპკდა მზე, მოკრბეს მკეცნი: იქვე, 306, 34; რაჲმს დაპკდა მზე: მრ. 1, 32 C; აღმოპკრწყინდის მზმ და დაპკდის და ადგილსავე თუსსა მიეგის: სინ. 227, 6; და რაჲმს დაპკდის მზე, თქვს: კიმ. 1, 235, 18; დაპკდეს მზმ: სინ. 227, 4; არა დაპკდეს მზმ იგი, და მთოვარმ შენი არა მოაკლდეს: ესაია, 60, 20; დაპკდეს მზმ წინაწარმეტყუელთა ზედა: მიქ. 3, 6; მოველოდი მზესა, ოდეს-მე დაპკდეს: იობ 2, 9 d; დაპკდეს მზმ შოვა სამხრის, და დაბნელდეს ქუეყანასა: სინ. 235, 28 (= ამოს 8, 9); უკუეთუ მზმ დაპკდეს ცა, ხოლო კესარიჲა დგეს და ეგოს, რასა იტყვ: სვან. 295 a.

წ. ობიექტური პირი დაკარგული აქვს აგრეთვე ზოგ სხვა გარდამავალ ზმნასაც, რომლებიც სასხვისო ქცევის ფორმით იხმარება. ასეთებია, მაგალითად:

განუტევა (დოუტევა, აღმოუტევა, უტევა), მიუშუა, განუსუენა, შეუძლო, უზო-  
რა, დაუთმო და სხვა. ამათგან ტევეება-ს (განუტევა, დაუტევა, აღმოუტევა,  
უტევა) ირიბი აკლია, პირდაპირი შენარჩუნებული აქვს, სხვებს პირდაპირი და-  
კარგვიათ, შერჩენიათ ირიბი (ისიც ყოველთვის ნათლად არა ჩანს). მაგალითე-  
ბი: მოიყვანა კაცი იგი, განკურნა და განუტევა: ლ. 14, 4 (= გაუშვა);  
განუტევა ერი იგი: მ. 14, 23; განუტევა სული: მ. 27, 50 (გაუშვა  
სული, ე. ი. მოკვდა); რომელმან განუტევეოს ცოლი თვისი: მ. 5, 31  
(ცინც გაუშვებს თავის ცოლს); აღმოუტევა სული: მ. 27, 50 C; დაუ-  
ტევა იგი ეშმაქმან მან: მ. 4, 11; დაუტევა იესუ ერი იგი: მ. 13, 35  
(დატოვა ხალხი); რომელმან დაუტევეოს ცოლი თვისი: მ. 5, 32 (ცინც თა-  
ვის ცოლს დატოვებს). ამ ზნაში იშვიათად ამოტივტივდება ის დაკარგული ირი-  
ბი ობიექტიც: მშვდობასა და გიტევებ თქუენ: ი. 14, 27; დაუტე-  
ვა ცოლი იგი ძმასა თვისსა: მ. 22, 25.

უზმნისწინოდ ხმარებისას ხან ირიბი აკლია, ხან პირდაპირი: არა უტევა  
იგი: მრ. 5, 19; არავეინ უტევა მიდევნებდა მის თანა: მრ. 5, 37; უტევე-  
ნით ესენი: ი. 18, 8. მაგარამ: არავეის უტევა შესულად მის თანა: ლ. 8, 51;  
უტევეთ მაგას: ი. 12, 7 D; უტევეთ მათ: მ. 15, 14.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ განუტევა-ს დღევანდელი შემცვლელიც  
ამავე ბუნებისაა: მასაც აკლია ერთი პირი, სწორედ ის ირიბი ობიექტი, რომე-  
ლიც არ ჩანდა ძველ ქართულში: გაუშვა მან ხალხი, ცოლი. სხვა გავებით  
ხმარებისას ირიბი ახლაც აღდგება: გაუშვა მან მას ხელი.

დათმოვა ძველად მოთმენას, ატანას, გაძღებას აღნიშნავდა. ამაში პირ-  
დაპირი ობიექტი იყო დაკარგული: დაუთმო... ტკივილსა: კიმ. I, 122,  
33 (მოითმინა, აიტანა ტკივილი, გაუძლო ტკივილს); დაუთმოთ გან-  
საცდელსა: ისტ. ქრ. II, 19, 8; დაუთმო ყოველსა, რომელი მოი-  
წიოს ჩუენ ზედა, სიმკნით: საყ. წიგ. II, 80, 12 (მოვითმინოთ, გავუძლოთ, ავი-  
ტანოთ). აქაც ამ სიტყვის დღევანდელი ერთ-ერთი შემცვლელი პირნაკლია: მან  
გაუძლო მას; აქ პირდაპირი ობიექტი დაკარგულია (არა ჩანს, რა გაუძლო).

მაშინ მიუშუა მას იოვანე: მ. 3, 15; რაჯამს მიუშუას ღმერთმან  
ბრძოლად კაცთა: თარგმ. გამოცხ. 8, 9. ეს ზნა დღესაც ორპირიანია,  
ოლონდ დღეს დაკარგულია არა პირდაპირი, როგორც ძველად, არამედ ირიბი:  
(ნებაზე) მიუშუა ის (და არა მას).

წყურლისა ჩემისაგან განმისუენა მე: საყ. წიგ. II, 47, 7 (მომასვე-  
ნა); განმისუენე მე ღელვათაგან მადლისა შენისათა: იქვე, 47, 11; წა-  
რიყვანა პატივით სახედ თვისა და მრავალთა დღეთა განუსუენა: ხანძთ  
(ისტ. ქრ.) 245, 16 (მოასვენა); ელიას შეაურვეს ქალაქთა დამკვდრებულთა, ხო-  
ლო მასვე განუსუენეს მათა და უღაბნოთა: საყ. წიგ. II, 56, 1;  
(ღმერთმან) განგისუენოს შენ შრომათაგან და ბრძოლათა: ისტ. ქრ.  
II, 19, 38.

უზორე უკუე პისიდიონს და არტემის: საყ. წიგ. II, 83, 24;  
ებრძანო მოსხმა ზროხათა, და უზოროთ ღმერთთა მათ გამო: იქვე, 82, 35;  
უზორე ღმერთთა: ისტ. ქრ. II, 58, 34; ნუუკუე არა მივიდეს მეფე დღესას-  
წაულსა მათსა და არა უზოროს კერპთა: ბალ. 119, 5.

ძალიან მდიდარია ფორმებით შეუძლო ზმნა (=შექლო). მას აკლია პირდაპირი; ყოველთვის არც ირიბია წარმოდგენილი, მაგრამ ჩვეულებრივ იგი იგულისხმება. დაკლებული პირდაპირი ობიექტის ერთგვარად ასანაზღაურებლად ფორმას ზშირად ერთვის საწყისი ვითარებითს ბრუნვაში. მაგალითები:

რომელმანცა შეუძლო მას შებილწებად: მრ. 7, 15 C; ვერ შეუძლო შეძრვად სახლსა მას: ლ. 6, 48; რაჟსათჳს ჩუენ ვერ შეუძლეთ მას განძებად: მრ. 9, 28; ვერ შეუძლეს შემთხუევად მისა: ლ. 8, 19 E; ვინაჲ შეუძლო შენ მათ აჲა განძლებად: მრ. 8, 4 C; ვერ შეუძლოთ ღმრთისა მონებად და მამონაჲსა: ლ. 16, 13 C; მრავალნი ეძიებდენ შესლუად და ვერ შეუძლონ: ლ. 13, 24 C.

ამ ტიპის ზმნები ბევრია ძველ ქართულში (ახალშიც აგრეთვე), მაგრამ ყველა მათგანზე აქ ვერ შევჩერდებით. აქ ნაჩვენები იყო ტიპური ნიმუშები, როცა წარმოშობით სამპირიან ზმნას სხვადასხვა მიზეზის გამო ერთი პირი (ზოგჯერ ორიც) დაკარგული აქვს. უმეტეს შემთხვევაში ეს დაკარგული პირი პირდაპირი ობიექტია, უფრო ნაკლებად — ირიბი. ეს პირნაკლობა მათ ზოგჯერ ახალ ქართულშიც გადმოჰყვათ (მიუშუა — გაუშუა).

ზ. პირდაპირი ობიექტი დაკარგულია აგრეთვე ისეთ ზმნებში, როგორცაა: დაიძინა, განიციანა, განილიმა... შთაჰხედა და სხვა. ამ ზმნებში სუბიექტი გვაქვს მოთხრობითში (მან დაიძინა...), მაგრამ არა გვაქვს პირდაპირი ობიექტი (მან რა დაიძინა...).

ძველ ქართულში შემონახულია ზოგი ამათგანის ისეთი ფორმები, რომლებშიც ჯერ კიდევ დატულია ეს ობიექტი ან აშკარად, ან სხვადასხვა ნიშნის მიხედვით.

აშკარად გვაქვს ის დაიძინა ზმნაში, მაგალითად: ძილი იგი მართალთა დააძინა: ლე მუზ. ტ. 67, 1954, 259, 6; ძილი საუკუნოჲ და გუაძინოა ჩუენ: სინ. 153, 3; კეთილი ძილი დაიძინა მქველმან ღმრთისამან აკულინე სანატრელმან: Sin. 62, 44 ra, 25; და მშუდლობით ძილი იგი ღირსთა მისთაჲ დაიძინა: კიმ. I, 339, 33; და დაიძინონ ძილი საუკუნნ: იერ. 51, 39, 57; და-მცა-მიძინებ იეს ძილი საუკუნოჲ და განმილენებ იეს: წარტყ. 38, 2.

ჩვენ ამჟამად არ ვიცით, სახელდობრ რა ობიექტი ჰქონდა განიციანა და განილიმა ზმნებს, მაგრამ ის კი აშკარაა, რომ რაღაც (ნარიან) მრავლობითში დასმული ობიექტი ერთოდა. ამას გვიჩვენებს ამ ზმნების ფორმები, რომლებშიც, ძველი ქართულის წესის მიხედვით, ასახულია პირდაპირი ობიექტის მრავლობითობა, მაგალითად:

ნეტარმან ევსტათი განიციინა: ევსტ. 160, 29; განიციინა სარა გულსა თჳსსა: დაბ. 18, 12; რაჟსა განიციინა სარა გულსა თჳსსა: დაბ. 18, 13; განიციინა ნეტარმან მან: Sin. 11, 334 v, 4; წმიდამან ქრისტინა ..მშუდად განიციინა: ქრისტინ. 188, 11; ხოლო ფილოსოფოსმან მან ამას ზედა განიციინა და ჰრქუა ეპიფანეს: საყ. წიგ. II, 112, 40; იხილეს მართალთა და განიციინეს: იობ 22, 19; უკუეთუ განვიციინი მათა მიმართ: იობ 29, 24. ძველ ტექსტებში ეს ზმნა უფრო მეტად სწორედ ორი ნარით გვხვდება, ერთი ნარით (პირდ. ობიექტი მხოლ.) იშვიათია, მაგალითად:

აბრაჰამ განიციონა გულსა თვისსა: დაბ. 17, 17 (ოშვი). პარიზულ ლექციონარში ამავე ადგილას განიციონა იკითხება (ხომ არ მომდინარეობს განიციონა განიციონასაგან?).

მაშინ განილიმნა იესუ და ბრძანა: ლიტ. ქრ. 27, 20. შდრ. განიღრმა და ჰრქუა მოლუაწესა მის ადგილისასა: იქვე, 314, 35; ნიაღ და შშვდაღ განილიმეს: ზირ. 21, 23.

ჰხედავს, ჰხედვიდა, ჰხედვიდეს და მისთანა ფორმებში აირიბი ობიექტის ნიშანია. ხანმეტ ტექსტებში, რა თქმა უნდა, ხანი გვაქვს. ამგვარად, იქ თავს იყრის ერთად ორი ხ: ხოლო პეტრე აღდგა და მირბიოლა საფლავად და შთახხედა: ლ. 24, 12 X; შთახხედა საფლავსა მას: ი. 20, 5, 11 X; და მიხხედეს და იხილეს: მრ. 16, 4 X.

მაგრამ ამ ზმნაში ზოგჯერ წარმოდგენილია იგივე ენ—ს სუფიქსი, პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის ნიშანი, მაგალითად:

მიხედენით მფრინველთა ცისათა: მ. 6, 26 DE (მიხედეთ C); მოხედნა სიმდაბლესა ზედა მკველისა თვისისა: ლ. 1, 48 C (მოჰხედა D, მოხედა E); მოხედნა და ყო ქსნაჲ ერისა თვისისა: ლ. 1, 68 C (მოჰხედა D, მოხედა E); მირბიოლა სამარესა მას და შთახედნა: ლ. 24, 12 C (შთაჰხედა D, შთახედა E); შთახედნა სამარესა მას: ი. 20, 11 C (შთაჰხედა D, შთახედა E); ხოლო წმიდამან ქრისტიანა მიხედნა და შჰჰნერწყუა პირსა მისსა: ეტ. III, 186, 35.

რა უნდა ყოფილიყო ამ ენ—ს სუფიქსის ფარდი სახელი? შესაძლებელია იგულისხმობთ თუაღნი: მიჰხედნა, მოჰხედნა, მიჰხედნით, შთაჰხედნა თუაღნი (ა ზოგან დაიკარგა ხ-ს მეზობლობაში). რადგან ეს თუაღნი ზმნის შინაარსით თავისთავად იგულისხმებოდა, ის ჩამოსცილდა საერთოდ, ხოლო მერმე და მერმე ამას შედეგად მოჰყვა დაკარგული სახელის წარმომადგენლის ზმნის ფორმიდან გაძევება. *ქ*

ჩ. ქცევა ძველ ქართულში ბრუნვას ნიშნავს. მიქცევა მიბრუნება იქნება, მოქცევა — მობრუნება. ეს საერთოდ და ზოგადად. ა მაქცევით ფორმას სამი პირის გაგება აქვს: მი-ა-ქცია, მო-ა-ქცია მან მას იგი, ე. ი. მიაბრუნა (მიუბრუნა), მოაბრუნა (მოუბრუნა). მო ზმნისწინით და ა მაქცევრით ერთ შემთხვევაში კონკრეტულად იგულისხმება ხალხის ახალ (ქრისტიანულ) სარწმუნოებაზე გადმოყვანა, გაქრისტიანება. აქედან წარმოდგა ერთი ძველი ქართული წიგნის სახელწოდება „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, ე. ი. ქართლის (აღმ. საქართვ.) ქრისტიანულ სარწმუნოებაზე გადასვლა.

ამ სამპირიან ზმნაში პირდაპირი ობიექტი ნათლად არის გამოხატული: რამათმეა მოაქცია იგი კერპთმსახურებისაგან: ლიმ. 81, 26; მამამან ჩემმან მიმაქცია (მე) ნებასა მისსა: ისტ. ქრ. II, 51, 36; გუასწავენს და ...მოგუაქცევს (ჩუენ): იქვე, 37, 21; რამათა მამაჲ მისი მოაქციოს ცთომისაგან: იქვე, 54, 3; თქუენ მიმაქციეთთა პანტელეონ მსახურებისაგან ღმერთთასა: იქვე, 63, 17. ეს პირდაპირი ობიექტი ზოგჯერ მრავლობითშიც არის: რამათა ყოველნი ნათესავნი მისა მოაქციენეს: სინ. 60, 9; ისტ. ქრ. I, 292, 8; მოაქციენთ გულნი თქუენნი შეილთა თქუენთა: სინ. 145, 1; (ჭუარმან) მოგუაქცინა (ჩუენ) მისა (ღმრთისა): სინ. 233,



28; მიეაქციენ ერთა მიმართ ენანი: სინ. 158, 7 (=სოფ. 3, 9); რაათა ...მოაქციენ (იგინი) ნებასა მათსა: საკ. წიგ. II, 83, 7 და სხვა. მაგრამ ასე ნათლად არა დგას ირიბის საკითხი: ზოგან ასე თუ ისე ჩანს მიცემითი: მოაქცია მე უფალმან გზასა მას ბქისა მის წმიდათაჲსა: სინ. 44, 36; მოაქცია ოცდაათი იგი ვეცხლი მღვდელთ მოძღუართა მათ და მოხუცებულთა: მ. 27, 3; მოაქციე მახული ეგე ადგილსავე თვსსა: მ. 26, 52; მოვაქციოთ ძე იგი შენი შჯულსა ჩუენსა: ბალ. 93, 31 ბ. ზოგან არა ჩანს, მაგრამ იგულისხმება კი: მოვაქცევდეთ ყოველთა: საკ. წიგ. II, 49, 8; რაათა მოაქციოს იგი ცთომისაგან: იქვე, 77, 9; რაათა შეცთომილთა მოაქცევდენ: თარგმ. გამოცხ. 11, 6. ამასვე ამტკიცებს ხანმეტრი ფორმები, რომლებშიც მხოლოდ ირიბისაა: მოხაქციოს ნათესავმან მან უკეთურებისაგან მათისა: იერ. 18, 8 (ოქსფ. ქართულ-ებრაული პალიმფსესტი).

მაგრამ ფორმისა და შინაარსის დაცილება უფრო შორს მიდის: წარმოშობით სამპირიან ფორმაში ერთი პირილა იგულისხმება — სუბიექტი, პირდაპირი და ირიბი ორივე დაკარგულია. ეს სუბიექტი II სერიის მწკრივებში, რა თქმა უნდა, მოთხრობითში დგას: ფორმა ძველია, შინაარსი ახალი (მხოლოდ ერთი პირია). სიტყვის მნიშვნელობა ამ უკანასკნელ შემთხვევაში არის დაბრუნება, მობრუნება. სამივე ეს საფეხური ზმნის ინდექსებში ასე გამოიხატება: ა) —8, ბ) —(8)ჟ და გ) —(8)1. ჩვენ აქ უმთავრესად ეს უკანასკნელი საფეხური გვიანტერესებს, რადგან აქ უფრო ნათლად ჩანს ორი პირის დაკარგვა. მაგალითები:

მოვედ და წარგულავ, შევილო, ძმათა შენთა და იხილევ... და მოაქციე მალედ ჩემდავე: საკ. წიგ. II, 59, 40 (მალე დაბრუნდი ჩემთან); წარვედ, შევილო, და იხილენ ძმანი შენნი სამწყსოათურთ და მოაქციე მწრაფლ: იქვე, 61, 10 (დაბრუნდი სასწრაფოდ); ავაზაკმან თუ იხილნის იგინი, მეყსეულად მოაქციის ავაზაკობრივისაგან სახისა: იქვე, 55, 4; მოაქცია ნეტარმან პანტელეონ სახიდ თუისა: ისტ. ქრ. II, 53, 26 (დაბრუნდა თავის სახლში); არლარა შიოქცია დაბასა მას: ლიმ. 86, 5; რაჟამს გამოვიდი, ცოდვასავე მივაქციო: სწავ. 201, 30; არლარა შიოქციეს მეფისა: ისტ. ქრ. II, 65, 17 (ალარ დაბრუნდნენ მეფესთან); არცალა მე მივაქციო ცოდვათა ჩემთა: ლიმ. 13, 33; ვილოცოთ და თქუენდავე მოვაქციოთ: ისტ. ქრ. II, 37, 4; მოილეს ბრძანებაჲ ჩუენებით ანგელოზისაგან, რაათა არა შიოქციონ ჰეროდესა, არამედ სხუთ გზით წარვიდენ სოფლად თვსა: მ. 2, 12. ამ მაგალითებში ორივე ობიექტური პირი დაკარგულია, ზმნას მხოლოდ ერთი პირის გაგება აქვს და ნიშნავს: დაბრუნდი, დაბრუნდა, დაებრუნდებით, დაბრუნდნენ და სხვა. მაგრამ ასეთივე მნიშვნელობა აქვთ აგრეთვე ამ ზმნის ინიანი ვნებითის ფორმებს: მივიქვეც, მიიქვეც, მიიქვა, მივიქვეციოთ, მიიქვეციოთ, მიიქვეცეს, მივიქვეცე, მიიქვეცე, მიიქვეცე, მიიქვეცეთ, მიიქვეცენ (დაებრუნდი, დაბრუნდი, დაბრუნდა და ა. შ.). რა განსხვავებაა მათ შორის? მიიქვეცა, მიიქვეცეს, მიიქვეცენ... უბრალოდ დაბრუნებას აღნიშნავს, სად, რა ადგილას, რომელ პუნქტში — არ ვიცით, ამაზე ზმნის ფორმა არაფერს გვეუბნება; მიიქვეცია, მიიქვეცის, მიიქვეციონ კი ნიშნავს, რომ დაბრუნდნენ ვილაცასთან, რალაცასთან, რაიმე ცნობილ პუნქტთან (თუ პუნქტში), რომელიმე კონკრეტულ ადგილას.

სახარებიდან ზემოთ მოყვანილ (მ. 2, 12) მაგალითში რომ წერია: მოგვებ-  
მა ანგელოზისაგან მიიღეს ბრძანება, რომ აღარ დაბრუნდნენ პეროდეს-  
თან (რამთა არა მიაქციონ პეროდესს), არამედ სხვა გზით წავიდნენ თა-  
ვიანთ ქვეყანაშიო, აქ მიაქციონ იმიტომაა, რომ ისინი (მოგვები) წინას-  
წარ გაფრთხილებული იყვნენ პეროდეს მიერ, უკან დაბრუნებისას უეჭველად  
ჩემთან მოდით და იმ ბავშვის ამბავი მითხარითო. ახალ ქართულში უმჯობესია  
იქნებოდა დაბრუნდნენ ფორმის ნაცვლად გვეხმარა დაუბრუნდნენ  
(აღარ დაუბრუნდნენ პეროდეს).

ჩვენი ფორმის მნიშვნელობის ამ ნიუანსს სწორედ ამაქცევათი გამოხატავს.  
მიაქციონ უფრო მეტია მნიშვნელობით, ვიდრე მიიქცენ. რომ ეს  
ასეა, რომ, მაშასადამე, მიიქცენ და მიაქციონ სხედასხვა, განსხვა-  
ვებული მნიშვნელობისაა, რომ მეორე აღემატება პირველს, უფრო კონკრეტულ  
შინაარსს ატარებს, ამას ამტკიცებს ამ ორივე ფორმის ერთად ხმარება: ნუუყუე  
მიიქცენ და მიაქციონ სიგლახაკედ და წარწყმედად: ბალ. 83, 10. მიიქცენ  
ზოგადად აღნიშნავს: რომ არ დაბრუნდნენო, ხოლო მიაქციონ —  
რომ არ დაუბრუნდნენ სიღარიბესა და დაღუპვასო. ასე რომ არ ყოფი-  
ლიყო, საჭირო აღარ იქნებოდა სამპირიანი ზმნის ერთპირიანად გადაქცევა. მი-  
ზეზი, კიდევ ვიმეორებ, ისაა, რომ პრეფიქსიანი ვნებითის ფორმებში შეუძლებე-  
ლია ქცევის ნიშნების შეტანა. ამით უფრო მეტი ზიანი ინიან (ერთპირიან) ვნები-  
თებს მოსდით, ისინი ისე მეტყველი და გამომსახველი არაა, როგორც ქცევის  
ნიშნიანი ერთპირიანი ფორმები (მოაქცია, მოაქციონ). ენიან ვნებითებს, რაც  
უნდა იყოს, ორი პირის გაგება აქვს და ამით ცოტათი ინაზღაურებს უქცეობით  
გამოწვეულ სიძნელეებს.

პირთა დაკლების ჯგუფები და მაგალითები ძველ ქართულში სხვაც ბევრია,  
მაგრამ აქ ყველა მათგანზე ვერ შევიჩრდებით, ეს ძალიან შორს წავიყვანდა. აქ  
მოცემული იყო უფრო მეტად დამახასიათებელი და ენაში გავრცელებული ტი-  
პები. ამ საკითხს სპეციალური გამოწვლილვა ესაჭიროება, რაც სხვა დროისათვის  
გადაგვიღვია. ♪

## 2. ოპიტიანი გარდაუვალი ზმნები III სერიაში

1. მესამე სერიის მწკრივების წარმოებას, როგორც ცნობილია, მრავალი თავისებურება ახასიათებს. სწორედ აქაა, რომ გარდამავალ ზმნებს სხვა სინტაქსური კონსტრუქცია აქვთ (მას იგი), ვიდრე პირველსა (იგი მას) და მეორე სერიაში (მან იგი); აქ ხდება პირის ნიშანთა ინვერსია, რაც ამ სერიის თავისებური ისტორიით აიხსნება (ვ-წერ, ვ-წერე, მაგრამ: მ-იწერიეს); სამპირიან ზმნებს აქ ეკარგებათ ერთი (ირიბობიექტური) პირი (მისწერს მამაა შვილსა წერილსა, მისწერა მამამან შვილსა წერილი, მაგრამ: მიუწერიეს მამასა შვილისა და წერილი)<sup>1</sup>; აქა გვაქვს მოჩვენებითი ქცევის ფორმები, რომელთაც გარეგნულად სასხვისო ქცევის ნიშნები აქვთ, მაგრამ შესაბამისი შინაარსი არ გააჩნიათ: მ-ი-წერიეს, გ-ი-წერიეს, უ-წერიეს. ამ მოჩვენებითი სასხვისო ქცევის შესატყვისი ნამდვილქცევიანი ფორმები პირველსა და მეორე სერიაში შეიძლება იყოს საარვისოც (ვწერ, ვწერე; დაწერ, დაწერე — დამიწერიეს), სათავისოც (ვიწერ, დავიწერე — დამიწერიეს) და სასხვისოც (უწერ, დაუწერე — დამიწერიეს).

ერთპირიან (გარდაუვალ) ზმნებში სწორედ აქ არ მოიპოვება ფორმათა ორგანული წარმოება, აქ მხოლოდ აღწერითი ფორმები გვაქვს (წარსრულ ვარ, წარსრულ ხარ, წარსრულ არს, წარსრულ ვიყავ, წარსრულ ვიყო). დასასრულ, დაგძენთ, რომ მესამე სერიის ფორმები ძველ ქართულში საერთოდ მცირე რაოდენობით გვხვდება. მათი ხვედრითი წონა გაცილებით ნაკლებია, ვიდრე პირველი სერიისა და, მით უმეტეს, მეორისა. ასე, მაგალითად, ოთხთავის სამ შატბერდულ ხელნაწერში გარდამავალი ზმნის III კავშირებითის ნიმუშად მხოლოდ ორი ფორმა გვხვდება: დაეტეოს (მ. 19, 29 C) და ეყიენოს<sup>2</sup> (მ. 26, 75; ლ. 22, 34; ი. 13, 38). გასაგებია, რომ ასევე (და უფრო) ნაკლებად გვხვდებოდეს ოპიტიანი გარდაუვალი ზმნების მაგალითებიც.

ეს ყველაფერი კარგადაა ცნობილი ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში (ა. შანიძის, ა. ჩიქობავასა და სხვების ცნობილ შრომებში) და მათზე დაწერილებით შეჩერება არაა საჭირო.

2. მიუხედავად ამისა, ძველ ქართულში არც ისე იშვიათად გვხვდება ოპიტიანი გარდაუვალი (ენებითი გვარის) ზმნების III სერიის მწკრივების ნიმუშე-

<sup>1</sup> იშვიათად ეს მესამე, ირიბობიექტური პირი შემონახულია (ათასი სატრიო ვეცლი მარბობლი მიმიცემიეს ქმარსა შესა: დაბ. 20, 16 პარზ. ლექს.). მაგრამ ჭერ კიდევ დიდი მუშაობა ჩასატარებელი იმის გამოსაკვლევად, ეს მოკლენა ძველის გადმონათობა, თუ გვიან განვითარებულია, ვერ შეძლო სიცოცხლე და აღრე ჩაყვდა (ნ. ამის შესახებ დ. გეწაძე, სამპირიან ზმნათა III სერიის ფორმების შესახებ ძველ ქართულში: აღ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. XVII, ქუთაისი, 1957, გვ. 465—472).

<sup>2</sup> ეუიელოს (ეყიენოს) გარდაუვალი ყივის ფორმის გავრცელება და ნასესხება გარდამავალი იყიელებს ფორმისაგან. ლ-სა და ნ-ს შენაცლება ცნობილია.

ბი. ეს კი გამოხატულებას პოეზებს სათანადო სამეცნიერო ლიტერატურაში. ასე, მაგალითად, ა. შანიძეს, რომელიც თავის „ქართული გრამატიკის საფუძვლებში“ არაერთგან ეწეება ძველი ქართული ენის საკითხებს, ორიპირიანი გარდაუვალი (ენებითი გვარის) ზმნების უღლების ნიმუშად I თურმეობითისათვის მოჰყავს შემდეგი პარადიგმა:

მხოლოდითი	მრავლობითი
1.3 დაჰკარეხიე	დაჰკარეხიეთ
2.3 დაჰკარეხიე	დაჰკარეხიეთ
3.3 დაჰკარეხიეს	დაჰკარეხიან <sup>1</sup> .

ორპირიანი გარდაუვალი (ენებითი გვარის) ზმნების პარადიგმები მესამე სერიის სამივე მწკრივისათვის ჩვენც გვექონდა შეტანილი ჩვენს „ძველი ქართული ენის ტაბულებში“, რომლებშიც „ქართული ენის ისტორიული ქრესტომათიის“ I ტომს ერთოდ:

I თურმეობითი	II თურმეობითი	III კავშირებითი
დაჰკმალვიე	დაჰკმალვოდე	დაჰკმალვოდი
დაჰმალვიე	დაჰმალვოდე	დაჰმალვოდი
დაჰმალვიეს	დაჰმალვოდა	დაჰმალვოდის
დაჰკმალვიეთ	დაჰკმალვოდეთ	დაჰკმალვოდით
დაჰმალვიეთ	დაჰმალვოდეთ	დაჰმალვოდით
დაჰმალვიან	დაჰმალვოდეს	დაჰმალვოდიან <sup>2</sup>

აღძრულ საკითხს სხვადასხვა მხრივ ეწევიან ნ. ნათაძე<sup>3</sup> და ლ. ბარამიძე<sup>4</sup>, რომელთაგან პირველს I და II თურმეობითისათვის ძველი ქართულიდან 4 მაგალითი აქვს დამოწმებული (და გ ვ წ ყ ე ბ ი ა: ანტიოქ. 106, 5; შ ე მ ც ი ლ ე ბ ი ე ს: ექუსთ. 27, 21; გ ქ ო ნ ე ბ ო დ ა: ანტიოქ. 103, 24; დაჰ კ ე ი წ ყ ე ბ ო დ ა: ანტიოქ. 105, 35)<sup>5</sup>, ხოლო მეორეს — 9 (და მ ვ ი წ ყ ე ბ ი ე ს: კიპ. II, 181, 23; და ს დ ე ბ ი ა: ქ. ცხ. I, 60, 12; ჰ ნ ე ბ ე ბ ი ა: იერ. ხელნ. აღწ. 57, 11; მ დ ე ბ ი ა: მიმოშხ. I, 1926, 169, 35; შ ე მ მ თ ხ უ ე ე ე ს: ხრონ. 207, 6; 223, 34; 264, 1; შ ე მ თ ხ უ შ ე ი ა: ბალ. 23, 12 ABCD; მ ო მ ც ე მ ი ა:

<sup>1</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 469.

<sup>2</sup> ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, 1949 (პირველი გამოცემა), გვ. 343; 1953 (მეორე გამოცემა), გვ. 338.

<sup>3</sup> ნ. ნ ა თ ა ძ ე, ღრო-კილოთა წარმოება ძველ ქართულში (სადისერტიციო ნაშრომი, მან-ჭანაზე გადაბეჭდილი), თბილისი, 1955; მ ი ს ი ე ე, მესამე სერიის ღრო-კილოთა წარმოებისათვის ქართულში: ი კ ე, VII, 1955, გვ. 81—100.

<sup>4</sup> ლ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ზოგიერთი ტიპის მესველ-ზმნიან ფორმათა ჩასახვა და განვითარება ქართულში: ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 9, 1964, გვ. 95—150, კერძოდ, გვ. 105—107.

<sup>5</sup> ნ. ნ ა თ ა ძ ე, ღრო-კილოთა წარმოება ძველ ქართულში, გვ. 258.

ქ. ცხ. I, -90 14) <sup>1</sup>, ყველა — I თურმეობითისათვის. მიუხედავად ამ ფაქტობრივი მასალისა, ორივე მეკლევარი ერთხმად აცხადებს, რომ „უძველეს ძეგლებში ორპირიანი გარდაუვალი ზმნების თურმეობითი საერთოდ არ გვხვდება“ <sup>2</sup>, რომ „უძველეს ძეგლებში ორ-პირიანი გარდაუვალი ზმნათა III სერიის ფორმები არ გვხვდება“ <sup>3</sup>.

სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ ნ. ნათაძე კატეგორიულად არ უარყოფს ორპირიან გარდაუვალი ზმნათა III სერიის მაგალითების არსებობას ძველ ქართულში, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით ლ. ბარამიძის კატეგორიულ განცხადებაზე, თუმცა ამისათვის მას ნაკლები საბუთი ჰქონდა (13 მაგალითი მაინც იყო მის განკარგულებაში) <sup>4</sup>.

3. დასმული საკითხისათვის სპეციალური გამოკვლევა აქვს მიძღვნილი ც. ქურციკიძეს <sup>5</sup>. ავტორი ამ შრომის შესავალ ნაწილში მოკლედ განიხილავს საერთოს ისტორიას, სპეციალურად ჩერდება ჩვენს „ძველი ქართული ენის ტაზულებში“ მოცემულ სათანადო პარადიგმაზე, რომელშიც ორპირიანი ვნებითების უღლების ნიმუშია წარმოდგენილი III სერიის მწკრივებისათვის (ნ. ზემოთ, გვ. 349), და დასძენს: „ძველი ქართული ენის ძეგლებში, რომლებიც ამ ოვალსაზრისით შევისწავლეთ, ორპირიანი ვნებითი გვარის ზმნების III სერიის მწკრივების ვერცერთი მაგალითი ვერ დავადასტურეთ“ (ხაზი ჩვენია. — ი. ი.) <sup>6</sup>. შემდეგ ავტორი მსჯელობს წამოყენებული საკითხის შესახებ და ბოლოს დაასკვნის: „მაშასადამე, „ქართული ენის ისტორიულ ქრესტომათიაში“ მოცემული პარადიგმა ორპირიანი ვნებითი გვარის ზმნების უღლებზე III სერიის მწკრივებში ძველი ქართულის სურათს მთლად ზედმიწევნით ვერ ასახავს“ (ხაზი ჩვენია. — ი. ი.) <sup>7</sup>. წინასწარ უნდა შევნიშნოთ, რომ ავტორის ეს ორი დებულება ვერასვლით ვერ შეურიგდება ერთმანეთს. თუ, მართლაც, პარადიგმაში ნაჩვენები ფორმები არ მოიპოვება ძველ ქართულში („ვერცერთი მაგალითი ვერ დავადასტურეთ“) მაშინ რა „მთლად ზედმიწევნით“ ასახავს შეიძლება ლაპარაკი? მაშინ პარადიგმაში მოცემული ნიმუშები სინამდვილეში არარსებული და მოგონილი ყოფილა. მაგრამ ავტორი ამას პირდაპირ არ ამბობს.

ბა რა სახით არის წარმოდგენილი ორპირიანი ვნებითის ფორმები III სერიის მწკრივებში? ავტორის აზრით, აქაც, როგორც ერთპირიანი ვნებითის შემთხვევაში, ალწერითი წარმოება გვაქვს. მაშასადამე, ერთპირიანი და ორპირიანი ვნებითი გვარის ზმნები III სერიაში არაა გარჩეული, ერთნაირად არის მოცემული. ავტორს თავისი დებულების დასადასტურებლად მოჰყავს ისეთი ცნობილი მაგალითები, როგორიცაა: მო ც ე მ უ ლ ა რ ს შენდა, თქუნდა

<sup>1</sup> ლ. ბარამიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 106.

<sup>2</sup> ნ. ნათაძე, მესამე სერიის დრო-კილოთა წარმოებისათვის ქართულში, გვ. 98.

<sup>3</sup> ლ. ბარამიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 105—106.

<sup>4</sup> როცა ა. შანიძემ ერთი ახალი მწკრივი აღმოაჩინა, ის სულ რაღაც 11 მაგალითის ჩვენებას ემყარებოდა, მაგრამ მიღებული დასკვნები არაის არ გაუხდია საკამათოდ [იხ. ა. შანიძე, მწკრივთა მოძღვრებისათვის. II. ერთი უცნობი მწკრივი ქართულში: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო სესიები (2—4. III. 46). მოხსენებათა კრებული, 1947, გვ. 1—14].

<sup>5</sup> ც. ქურციკიძე, ორპირიანი ვნებითი გვარის ზმნების III სერიის მწკრივთა წარმოებისათვის ძველ ქართულში: საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. XXX, № 2, 1963, გვ. 241—247.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 242.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 245.

მოცემულ არს, მათა არა მიცემულ არს, შეხებულ არს ჩემდა. ხუედრებულ არს თქუენდა, ყოფილ არს ესე მაგისა, უწყებულ იყო მამისი გიორგისდა, მოცემულ იყო ჩუენდა და სხე.<sup>1</sup> მაგრამ ავტორს არა აქვს ნაჩვენები, რომ ამ ფორმებს თურმეობითის<sup>2</sup> გაგება უკონდეს, მათში თურმეობითის შინაარსი იყოს ნაგულისხმევი. ჩვენი აზრით, ეს არის აწმყოსა და წყვეტილის ჩვეულებრივი ფორმები, წინადადებებში შედგენილი შემსმენლის სახით წარმოდგენილი, რომელთა მსგავსი დღესაც უშირად გვემის ხოლმე: საკლავი დაკლული არის (დაკლულია), ღვინო დასხმულია, ყველაფერი გამზადებულია, პატარძალი მოყვანილია, ქეიფი გაჩაღებულია... საკლავი დაკლული იყო, ღვინო ჩამოსხმული იყო...

არაფერს ამბობს ავტორის მითითება, რომ „აღწერილად ნაწარმოებ I და II თურმეობითის ფორმებს ახლავს უბრალო დამატება — და თანდებულისა ნათესაობით ბრუნვაში:

მიცემულ არს შენ და ადგილი უდაბნოა

ყოვლისა მორწმუნისა და მიცემულ არს ანგელოზი...

არამცა მოცემულ იყო ჩუენ და ეკლოვანი ესე ქუეყანაა<sup>3</sup>.

ასეთი და თანდებულისი ფორმები არანაკლები სიხშირით ახლავს აგრეთვე სხვა მწკრივებსაც:

#### აწმყო

შენ ჩემდა მოხუალა: მ. 3, 14

რომელი მოვალს ჩემდა: ლ. 6, 47

მე შენ და მოვალ: ი. 17, 11

#### I კავშირებითი

რომელნი მოვიდოდინ თქუენდა: მ. 7, 15

#### წყვეტილი და II ბრძანებითი

მოვედით ჩემდა ყოველნი მამურალნი: მ. 11, 28

მოხუედით ჩემდა: მ. 25, 36

მეგობარი მოვიდა ჩემდა გზით: ლ. 11, 6

მოვედინ ჩემდა: ი. 7, 37

განუტყევე ჩუენ და ბარაბა: ლ. 23, 18 C

მომავლინნა ჩუენ შენდა: ლ. 7, 20

მოვიდა თქუენ და იოვანე: მ. 21, 32

#### II კავშირებითი

მოვიდეს (იგი) ჩემდა: ი. 6, 45

მოიყვანოს იგი ჩემდა: ი. 6, 44

<sup>1</sup> ტ. ქუ რ ც ი კ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 242-43.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 243.

მოქცეის (იგი) შენდა: ლ. 17, 4 C

მოვიდე თქუენდა: ი. 14, 48

რომელი მოვალეონო თქუენდა: ი. 15, 26.

აქ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ არა ყოველი „მოსრულ არს“, „მოსრულ იყო“, „მოსრულ იყოს“ და მსგავსი ფორმები უნდა გავიგოთ I თურმეობითად, II თურმეობითად და III კავშირებითად. ამ აღწერით ფორმებს შინაარსიც უნდა ჰქონდეთ I და II თურმეობითისა და III კავშირებითისა. ეს კი ძალზე იშვიათად (ვიმეორებ, ძალზე იშვიათად) გვხვდება. ჩვეულებრივ კი მათ, როგორც აღნიშნული გვექონდა, აწმყოს, წყვეტილისა და II კავშირებითის ფორმა და გაგება აჭედა და სწორედ ამ მწკრივებადაც გვესმის.

მიცემითის ხმარება ისეთ გამოთქმებში, როგორცაა: მოცემულ არს მას, რომელსა წოდებულ იყო, რაა ყოფილ არს მას, მეფეთაცა მისმენილ იყო, რომელსა-იგი ხუედრებულ იყო, რომელსა-იგი მონიჭებულ იყო და სხვები<sup>1</sup>, ავტორს იმის ცდად მიაჩნია, რომ „ორპირიანი ზმნების აღწერითად ნაწარმოები თურმეობითები ერთპირიანი ზმნების თურმეობითებისაგან განასხვავონ“<sup>2</sup>. მაგრამ აქ უნდა შევნიშნოთ შემდეგი.

ჭერ-ერთი:

ზემოთ მოყვანილ მაგალითებში (მთლიან კონტექსტებში) სრულებით არა ჩანს, რომ მათ თურმეობითის გაგება ჰქონდეთ. სანიშნულად ავიღოთ თუნდაც უკანასკნელი მაგალითი:

ხოლო ჭერ-არს, რათა მცირედ შეუვა შემოვიღოთ ქსენება წმიდისა და უბიწოასა მღვდელთ-მოძღურისა და მოწამისაჲ, რომელსა-იგი სამართლივ მონიჭებულ იყო პატივი განმზადებულისა მის სასოებისაჲ დიდებისა საყდარი, უზეშთაესი შორის მართალთა დიდისა მისისა სიწმიდისათჳს“ (ასურ. 188, 4 C). ეს არის აბიბო ნეკრესელის მარტივობის დასაწყისი ადგილი. წიგნის დასაწყისშივე ნაწარმოების ავტორი ამტკიცებს, რომ წმიდა მოწამეს მისთვის განმზადებული სასოების პატივი უკვე მონიჭებული ჰქონდაო. ამას ის ეკვმიუტანელ და უთუო კეშმარტებად თვლის, ეს უცილობელ ფაქტად მიაჩნია. თურმეობითის შინაარსზე საუბარი აქ უადგილო იქნებოდა. მაშასადამე, აქა გვაქვს (და უნდა გვექონდეს კიდევაც) ჩვეულებრივი წყვეტილი. მეტ-ნაკლებად ეგვივე ითქმის აგრეთვე სხვა მაგალითების შესახებაც.

მეორე:

მიცემითის ანალოგიური გამოყენება თავს იჩენს არა მარტო III სერიაში და არა მხოლოდ ასეთ კონკრეტულ შემთხვევებში, არამედ სხვაგანაც. სხვა უფრო ფართო ხასიათის შემთხვევებში და მას სულ სხვანაირად ხსნიან. შდრ., მაგალითად: და იყო იგი სწავლულ ფრიად დაბადებასა: ურკ. 318, 18; სული (არს) ბოროტსა მიდრეკილი: სწავ. 280, 15; მორჩილ იქმენ მსახურებასა და ბრძანებასა მეფისა ჩუენისა მაქსიმიაწსსა: პარხ. 1062 a.

ასეთი მიცემითი უფრო მოქმედებითი გვარის მიმღობებთან გვხვდება: რომელნი იყვნეს ბარბაროზთა ბანაკსა და მარლუეველ: ხანძთ. 145,

<sup>1</sup> ც. ქუ რ კ ი ა მ ე, დასახელებული ნაშრომი, გვ: 244—245.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 244.

38; ადვილად მკურნალი წყლულსა ცოდვისასა: სწავ. 270, 30; გა-  
მომღებელი ათორმეტსა ნაყოფსა: გამოცხ. 22, 2; ლოდსა საც-  
ნაურსა უბიწოდ მშობელთ: სას. პ. 383, 50; განმმზადებელი ჩუ-  
ენტვს ადგილსა ამას კეთილსა: ხანძთ. 105, 17; წყალსა დამშრე-  
ტელი იგი ძალი დავიწყებულ იყოს: სიბრძ. 19, 19.

ამგვარ მიცემითს ვხვდებით საწყისებთანაც: რიღებამ გემოთა და  
ნებასა კორცთასა და ტყუვილსა და ძვრის-ქსენებასა და  
ბოროტი-ს-ყოფასა მოყუსისასა: სწავ. 152—153; ქსენებამ სახელ-  
სა ღმრთისასა გამღევნელ ეშმაკთა არს: სწავ. 208, 32; და არა გნებავს და-  
მორჩილებამ ბრძანებასა თვთმპყრობელისა მეფისასა: კიმ. II, 49, 8.  
ამგვარი მაგალითები საესეა ძველ ქართულში და მათ ისევე, როგორც ავტორის  
მიერ მოყვანილ მაგალითებს, არაფერი საერთო არა აქვთ ორპირიანი ენების  
წარმოებასთან III სერიის მწკრივებში. როგორც აღვნიშნეთ, მათ სულ სხვანაი-  
რად ხსნიან<sup>1</sup>.

ჩვენ მეტად საეჭვოდ მიგვაჩნია ის, რაც ავტორს უეჭველი ჰგონია, სახელ-  
დობრ, თითქოს „ორპირიან გარდაუვალ ზმნებს III სერიაში დაუქარავთ ირიბი  
ობიექტური პირი და ერთპირიანებად ქცეულან, ირიბი ობიექტი“-და თანდ-  
ებულნი იხი უბრალო დამატება გამხდარა“<sup>2</sup>. სქოლიოში ავტორი შენიშნავს: „რო-  
გორც ჩანს, მესამე სერიაში ზმნას ჰქონია ტენდენცია არა საერთოდ პირის, არა-  
მედ ირიბ-ობიექტური პირის დაკლებისა, თუ, რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში  
მესამე სერიის ვითარება, პირიქით, ამოსავალი არ არის. ამ ფაქტს, ჩვენი აზრით,  
გარკვეული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ირიბი ობიექტის გენეზისის საკითხი-  
სათვის, ამიტომ იგი ამ თვალსაზრისით საგანგებოდ უნდა იქნას შესწავლილი“<sup>3</sup>.  
სანამ საკითხი არაა საგანგებოდ შესწავლილი, სანამ გარკვეული არაა, რომელია  
ამ შემთხვევაში „ამოსავალი ვითარება“: I და II სერიისა, თუ მესამე სერიის  
სინამდვილე, მანამდე შორს მიმავალი დასკვნების გაკეთება ნაადრევია: ჭერ სა-  
კითხი საგანგებოდ უნდა იქნეს შესწავლილი და წინაპირობა კარგად გაირკვეს,  
ხოლო მნიშვნელოვანი დასკვნები მერმე უნდა გაკეთდეს.

4. ახლა ისევე უნდა დაუებრუნდეთ საკითხს, თუ რატომ მიაჩნია ავტორს სა-  
ეჭვოდ „ძველი ქართული ენის ტაბულეზში“ წარმოდგენილი პარადიგმები ორ-  
პირიანი ვნებითი გვარის ზმნების უღლებისა III სერიის მწკრივებში. როგორც  
უკვე აღვნიშნული გვქონდა, ამის შესახებ ავტორი წერს: „ძველი ქართული ენის  
ეგვლებში, რომლებიც ამ თვალსაზრისით შევისწავლეთ, ორპირიანი ვნებითი  
გვარის ზმნების III სერიის მწკრივების ვერცერთი მაგალითი ვერ დაუადს-

<sup>1</sup> ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, 1957, გვ. 689—694; კ. დანელია, იერემიას წინასწარმეტყველების ძველი ქართული ვერ-  
სიების ზოგიერთი სინტაქსური თავისებურება: თბილ. უნივ. შრომები (ფილოლოგიურ მეცნიე-  
რებათა სერია), ტ. 105, 1965, გვ. 78—80.

<sup>2</sup> ც. ქურციკიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 244.

<sup>3</sup> იქვე.



ტურეთო“<sup>1</sup>. მაგრამ „ვერ დავადასტურეთ“ არასდროს არ ყოფილა საკმაო საბუთი დიდი მეცნიერული დასკვნების გამოსატანად და ვერც ახლა გახდება. „ვერ დავადასტურეთ“ ჭერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ასეთი რამ ძველი ქართული ენის ძეგლებში არ მოიპოვება. აკი ნ. ნათაძის წერილში მან დაადასტურა 4 მაგალითი მაშასადამე, სხვას უკვე დაუდასტურებია მაგალითები. მართო ამ ვარემოებას არ უნდა მიეცა ჩვენი ავტორისათვის საბუთი, რომ ასეთი კატეგორიული განცხადება გაეკეთებინა.

როცა ავტორის მიერ წარმოდგენილ პარადიგმებს ვუყურებთ, არ შეიძლება თვალში არ გვეცეს სანიმუშოდ აღებული ზმნის უღლების ხელოვნური ხასიათი. ეს უფრო თეორიულად წარმოდგენილი ფორმებია, ვიდრე ძველი ქართულის ტექსტებში (ე. ი. ცოცხალ ენაში) ნამდვილად არსებული ნიმუშები III სერიის მწკრივითვის დამახასიათებელი შინაარსითა და წარმოებით.

აქ ისიც იწვევს გაკვირვებას, რომ შეეწევის ზმნის ვნებითი გვარის მიმღობის ფორმად აღებულია შეწეული და არა შეწეული, როგორც გვქონდა ჩვეულებრივ ამ ფუძისათვის ძველ ქართულში: მიწვენა, მოწვენა, მიწვენული, მოწვენული, შეწვენა (შეწევნითა წარამარა იხმარებოდა), შეწვენული. მართალია, ავტორის მიერ დამოწმებულ მაგალითში, მართლაც, შეწეული იკითხება (იოვანესა და ეფთვიმეს ცხოვრებაში), მაგრამ ეს არის გვიანდელი და გამარტივებული ფორმა, რომლის განზოგადებაც და ძველი ქართულის ნიშანდობლივ დამახასიათებელ ფორმად მიღება შეუძლებელია.

როგორია ნამდვილად საქმის ვითარება? ნუთუ მართლა არ მოიპოვება ძველი ქართული ენის ძეგლებში ორპირიანი გარდაუვალი (ენებითი გვარის) ზმნების ორგანული წარმოების მაგალითები მესამე სერიის მწკრივებში? სათანადო მაგალითები არის, მათ მხოლოდ ძებნა და მოპოვება უნდა. სიმცირის მიზეზზე კი თავში გვქონდა საუბარი და აქ აღარ გავიმეორებთ.

როგორც აღვნიშნეთ, 4 მაგალითი უკვე ნ. ნათაძეს ჰქონდა დადასტურებული ძველი ქართული ენის ძეგლებიდან, 9 ახალი ნიმუში ლ. ბარამიძემაც დაუმატა<sup>2</sup>, სხვები ჩვენ მიერ არის მონახული გამოცემულ ძეგლებსა და ხელნაწერებში. სულ ჭერჯერობით 41 მაგალითია მოპოვებული მესამე სერიის სამივე მწკრივისათვის. აქ მოვიყვანთ ყველა მათგანს მწკრივების მიხედვით<sup>3</sup>.

## I თურმეობითი

1. და ესეცა არა და მ ვ ი წ ყ ე ბ ი ე ს: კიმ. II, 181, 23.
2. გულისქმა-ყავთ ყოველთა, რომელთა და გ ვ ი წ ყ ე ბ ი ე ს ღმერთი: ფს. 49, 22.
3. თქუმულსა ამას ჩემსა და ჰ ვ ი წ ყ ე ბ ი ე ს საზომი სიმრავლითა საკვრეკლებათაჲთა: უძე. რედ. 106, 11.

<sup>1</sup> ც. ქ უ რ ც ი კ ი ძ ე. დასახ. ნაშრომი, გვ. 242.

<sup>2</sup> ამ 13 მაგალითიდან ნაწილი ჩვენთვისაც ცნობილი იყო (ამოწერილიც გვქონდა), მაგრამ არ გამოვეიჭეუენათ.

<sup>3</sup> ნ. ნათაძისა და ლ. ბარამიძის მიერ მოძებნილ მაგალითებზე აქ სპეციალურად აღარ მივიღითებთ, ეს ზემოთ გვაქვს აღნიშნული (ნ. გვ. 349).

4. ესრე იყოს აწ აღსასრული ყოველთაა, რომელთა დაჰკვიწყებდეს უფალი: იობ 8, 13.

5. მიიქცენ ცოდვილნი ჯოჯობეთს, ყოველნი წარმართნი, რომელთა დაჰკვიწყებდეს ღმერთი: ფს. 9, 18.

6. დაჰკვიწყებდეს იგი ღმერთსა: ფს. 9, 32.

7. დაჰკვიწყებდეს მას ამის სოფლისანი (საქმენი): Sin. 35, 294 v, 12.

8—9. რომელი აწ შეჰმთხუევიეს და რომელი შემთხუევად უც: ხრონ. 207, 6 (გამოც.). ხელნაწერებში იკითხება: შეჰმთხუევიეს AC, შეჰმთხუევიეს B. პირის ნიშნის ასეთი მეტათეზისი და ასიმილაცია ცნობილია<sup>1</sup>.

10. აწ უკუე მრავალგზის შეჰმთხუევიეს ჰურასტანსა მოოკრებაჲ: ხრონ. 223, 34 (გამოც.). ხელნაწერებში შეჰმთხუევიეს იკითხება.

11. ვითარცა დიოკლიტიანსს და მაქსიმიანსს მიერ აღსარებისათჳს ქრისტსისა შეჰმთხუევიეს ესე: ხრონ. 264, 1.

12. საესე ვარ ნუგეშინის-ცემითა, გარდამრევიეს სიხარული ყოველთა ზედა ჰირთა ჩუენთა: 2 კორ. 7, 4.

13. მაქუს მე ყოველი და გარდამრევიეს: ფილიპ. 4, 18.

14. რაოდენნი არიან მორწმუნენი სახლსა მამისა ჩემისასა, რომელთა გარდამრევიეს ჰური, და მე აქა სიყმილითა წარვეწყმდები: ბოლნ. (რ. ბარამიძე, იოანე ბოლნელი, 1962, გვ. 97, 3. შდრ. ...გარდამრევიეს ჰური: ლ. 15, 17 C).

15. გარნა არა შემცილებდეს: ექუსთ. 27, 21 (შდრ. რამთა ნუუკუე შეგუცილდეს ჩუენ პოენაჲ ჰეშმართებისაჲ: იქვე, 63, 16. შეცილება — დავიწყება).

16. ნისლი დაჰხუევიეს წარმართთა, ხოლო შენ ზედა უფალი გამობრწყინდეს, და დიდება მისი შენ ზედა მოიწიოს: ესაია 60, 2 სინ. ლექც. (შდრ. ბნელი წყუდიადისაჲ და არმული ნისლისაჲ დაეხუევის მათ ზედა: Опнс. 44, 7).

17. არცა დასჯერებდეს მისი, რომელმან-იგი თქუა: Sin. 35, 220 rb (შდრ. დავჰჭერდები თ: Sin. 36, 322 a, 9. შ ზემოდანა დაწერილი იმავე ხელითა და მელნით).

ამ მაგალითებში დატულია I თურმეობითის წარმოების ძველი წესი: მესამე პირისათვის ი—ე—ს დაბოლოება გვაქვს: დაჰვიწყებ-ი-ე-ს, შეჰმთხუე-ვი-ე-ს, გარდაპრევი-ე-ს, შემცილებ-ი-ე-ს, დაჰხუევი-ე-ს, დასჯერებ-ი-ე-ს. მესამე ობიექტური პირის ნიშანი (ბ, ს) ყველგან შენახულია.

მაგრამ ამათ გვერდით გვაქვს I თურმეობითის ახალი წარმოება: ი—ე—ს დაბოლოების ნაცვლად გვხვდება ი—ა. ეს სიახლე არ შეიძლება მხოლოდ ორპირიან გარდაუევალ (ვნებითი გვარის) ზმნებს მიეწერათ და ვთქვათ, ი—ა დაბოლოებიანი ფორმები ამგვარი ზმნების ახალი და უახლესი წარმოების მაჩვენებელიაო. არა. ი—ა დაბოლოება აქ გარდამავალ ზმნებსაც არაშევიათად აქვთ თვით უძველესი ძეგლებშიც კი, მაგალითად: გ ი ყ ო ფ ი ა: სინ. 129, 3; უ დ ე ბ

<sup>1</sup> ი. იშნაიშვილი, მეტათეზისის ერთი განსაკუთრებული შემთხვევა ძველ ქართულში: თბილ. უნივე. შრომები (ფილოლოგიურ მეცნიერებათა სერია), ტ. 114, 1965, გვ. 139—149.

- გიკოფია: იქვე, 246, 8 (ასეთია აგრეთვე სტატიკური გიკყრია: იქვე, 70, 7) <sup>1</sup>; წარმოუყვანებია <sup>2</sup>: ხანძთ. 138, 31; მიწობია <sup>3</sup>: ბოლნ. 43, 10; დაუპყრია: ლ. 13, 7 C; გიცნობია: სწავ. 10, 28; ნ. კიდეე იქვე: მოუგია 20, 19; მიცემია საზრდელი 49, 13; დაუწერია 89, 12; შეუპყრია 203, 31; მოკცალებია (= მოუტალეობია): Sin. 35, 26 va, 5; შეგიჩუენებია: კიმ. I, 74, 12 და სხვა. ამ ახალი (ი—ა) დაბოლოების შესახებ საუბარი გვექონდა „იოვანეს გამოცხადებისა“ და სინური № 11 ხელნაწერის ენის ანალიზისას. აი რამდენიმე მაგალითი: მიმიცემია, მიულია, დაუტუეთია, უთარგმნია, მიჩუენებია <sup>3</sup>... გამომიცხადებია, დამირწმუნებია, დამიტევებია, თავს-მიდებია, მითხრობია, მიმხახულებია, უბრძანებია, განუთხევია, უკურნებია <sup>4</sup>.

როგორც ვხედავთ, I თურმეობითში -ი—ა დაბოლოება თვით უძველეს ძეგლებში გაჩენილა როგორც გარდამავალ, ისე გარდაუვალ ზმნებში. ასე რომ, ამ სიახლეს მხოლოდ გარდაუვალი ზმნების დამახასიათებელ ნიშნად ვერ მივიჩნევთ: მ ი მ ც ე მ ი ა ისე შეეფარდება მ ი მ ც ე მ ი ე ს-ს, როგორც დ ა მ ი ი ტ ვ ე ბ ი ა შეეფარდება დ ა მ ი ტ ვ ე ბ ი ე ს-ს.

ახლა ვუჩვენებთ ამ რიგის მაგალითებსაც.

18. ძუელი (დედა) წინა არა მღებია: ეფრ. მც. (მიმომხილველი, I, 1926, 169, 35).

19. დასდებია შიში და ძრწოლა მათი სპარსთა ზედა: ქ. ცხოვრ. I, 60, 12.

20. ვითარ-იგი ზეშთა ბუნებისა მძლეველ ექმნა სიკუდილსა, არა და გ ვ წ ყ ე ბ ი ა: ანტიოქ. 106, 5 (ეტ. VI, 370, 5).

21. მეორესა მას ბუნებითისა გარეგანი ცოდგამა წაჰკიდებია და ეგვევითართა ცოდვითა შეგინებულ არს: ნოველ. 3, 24, 14.

22. ესევითარი არცა ერთი რამა შეგმთხუევი: Записки... т. XIII, вып. II—III, 1901, გვ. 46, 24.

23. ესე კაცნი არიან და ვნებამა შემთხუევი, ვითარცა სხუათა კაცთაცა შეემთხუევის: ბალ. 23, 8 4BCD.

24. ცან, ვითარმედ მცირედ ცვალებამა ჰნებებია მას სიტყუასა: იერ. ხელნ. აღწ. 57, 11

25. რომელი-იგი მკუდართა და ცოცხალთა ჩემთა თანა მიქმნია კეთილი და არა სხუსა ვისისაცა ნაწილისა გინა ხუჭდრებულისაგან მქონებია გინა მიმიცემია: პეტრიწ. ტიბ. 52, 10.

<sup>1</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, სინური მრავალთავი 864 წლისა, გვ. 318.

<sup>2</sup> ა. ჩ ი ლ ბ ა ვ ა, თურმეობითი პირველის ერთი თავისებურება უღვლილების სისტემის ისტორიასთან დაკავშირებით ქართულში: ლიტერატურული ძიებანი, II, 1944, გვ. 136—137, 139.

<sup>3</sup> „იოვანეს გამოცხადება და მისი თარგმანება“. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. იმნაიშვილმა: ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 7, 1961, გვ. 134.

<sup>4</sup> ქართული ენის ისტორიული ჭრეტომათია, II. გამოსაცემად მოამზადა ი. იმნაიშვილმა, 1963, გვ. 209.

ამჟამად საგანზე აქვს საუბარი ლ. ბარამიძეს მის ნაშრომში. „ზოგიერთი ტიპის მეშველ-ზმნიან ფორმათა ჩასახვა და განვითარება ქართულში“, გვ. 109.

26. დღეთა მრავალთა გაზრდილ ვარ მკალითა და გუელითა, და არა მომცემია ძალი მამა-დღდათა ჩემთა(ა), რამეთუ მკალითა ვერ განეძლიერდები: ქ. ცხოვ. I, 190, 14.

## II თურმეობითი

27. ხოლო ცოლსა მისსა (წუთლა) სასწაული იგი პატრიაქისაა არა და პეიწეებოდა, არამედ გონებასა მისსა აქუნდა კსენება მისი: ანტიოქ. 105, 35 (ეტ. VI, 369, 35).

28. ვინმეა იხილა მათ თანა ღიმილი და განცხრომა, რამეთუ სრულიად და პეიწეებოდა რისხვამ, რომელ არცა თუ აქსოვდალა, თუ კაცთა შორის არს მრისხანება: კლემაქსი, 132, 16 (გამოსაცემად მოამზადა მ. ცინცაძემ).

29. და არცამცა მიეღო გუამოვნება მყოფობისა, არა თუმცა კნებებოდა. ღმერთსა დაწეება დაძაღებელობისა: ხრონ. 264, 25.

30—31. იმიერ ეგულეებოდა წარსლვამ ზღუად და მრავალთამცა ნათა ვნება შექმთხუეოდა მის მიერ და თანად კაცთაცა: ასურ. 162, 14C; ...შემსთხუეოდა... იქვე D.

32. ნუ იყოფინ, თუმცა ჩემ ძლით რამ შექმთხუეოდა ძმასა ამას: ზარზმ. 171, 2.

33. უკუეთუმცა პირველითგანვე გქონებოდა ესე შიში, მეუფეო, არამცა მოწეწულ იყო შენ ზედა შიში: ანტიოქ. 103, 24 (ეტ. VI, 367, 24).

34. აღმიზარდიან და საზომად მომიწიფებინ არა თუ ამისთვის, ვითარმცა სამართალი რამე ვისმე ქქონებოდა ჩემ თანა მამულისა სამკვდრებელისა ძლით, არამედ მცნებისათვის ხოლო ღმრთისა: პეტრიწ. ტიპ. 51, 7.

35. რამეთუ არამცა მრავალნი ექუმინეს ცოლნი, არა თუმცა მიძულებულად ქქონებოდა ბუნება: ხრონ. 82, 5.

36. ხოლო იგი, ვითარმცა არაოდეს ქქონებოდა გამოცდილება სიტყუათაა წინა-განსაწყობელად, განცვბრდა და, ვითარცა ყრუ და უტყვ, დუმდა: ხრონ. 265, 27.

37. რეცა სამართალიცა შესწევდა, რამეთუ, ვინამთგან აღშენებულ იყო, მათ ქქონებოდა იგი ეკლესია: ცხ. ეფთ. 118, 23 (გვ. 53, 12).

38. რომელთა-იგი არცაღა ერთი სასოება და ქშთომოდა ვინამ კერძოვე განლტოლეისა: ხრონ. 287, 20.

39. უკუეთუმცა ცოდნით იყავ და მე დაგეკალ, ჩემსა ინჩაქუსა იღვა მარგალიტი სირაქლემისა კუერტხისა ოდენი და იგიმცა გამოგელო, შენ დიდი საფასე შეგძენოდა: ბალ. 58, 16 4.

## III კავშირებითი

40. ეამსა წირვიდენ სხუათა თანა მღდელთა, თუცა თუ არა და ქკლებოდა რიცხუსა პირველ განწესებულთა მღდელთასა, და აღებდენ იგინიცა ყოველსა მისაცემელსა, ვითარ სხუანი იგი ეამის მწირველნი: პეტრიწ. ტიპ. 71, 13.

41. ჭერ-არს, რამათა ყოველთა დღეთა აღუვარებდენ ძმანი წინამძღუარსა გულის-სიტყუათა და საქმეთა და ყოველსავე ბრალსა, რამცა შექმთხუეოდა მათ: პეტრიწ. ტიპ. 5, 3.

ასეთია ჭერჭერობით გამოვლენილი მაგალითები. რასაკვირველია, მსგავსი ნიმუშები კიდევ ბევრი აღმოჩნდება როგორც აქამდე გამოცემულ ძეგლებში, ისე გამოუცემელ ხელნაწერებში, რომლებიც დღის სინათლის ხილვას ელიან. მათი გულდასმითი გასინჯვა და სპეციალური ძიება ბევრ ახალს შეგვძენს აღძრული საკითხის უფრო ფართოდ გაშუქებისათვის.

რა ხნისაა ეს ნიმუშები, რომლებიც მიგნებულია აქამდე? ერთი ნაწილი X საუკუნის ძეგლებს დაუცავთ, ე. ი. ძველი, კლასიკური ქართულის კუთვნილება. ესაა ოშკის ბიბლია (978 წელს გადაწერილი), ქართული ფსალმუნის უძველესი რედაქცია, იოვანე ბოლნელის „თარგმანებაჲ სახარებისაჲ“, პავლეს ეპისტოლენი (ქუთ. ხელნ. № 176), სინური ხელნაწერი № 35, სინური ლექციონარი და სხვანი. მეორე ნაწილი XI საუკუნის ძეგლებითაა — ცნობილი (რომელთაგან ზოგი ვატილებით აღრეა შექმნილი), როგორიცაა, მაგალითად: საბა პალესტინელის ცხოვრება, იოვანესა და ეფთვიმეს ცხოვრება, ტიმოთე ანტიოქელის ცხოვრება, პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონი, გიორგი მონაზონის ხრონოლოგია და სხვ.

ველა ამ ძეგლში ჩვენთვის საინტერესო მაგალითები ერთნაირი სიხშირით არ გვხვდება: რაც უფრო ძველია ძეგლი, მით უფრო ნაკლებია მაგალითები, რაც უფრო ახალია, მით უფრო მეტია. მაგრამ რომ ცოტაა, ეს არ ნიშნავს, რომ ძველად არ იყო, რომ ძველი არაა, რომ გვიან გაჩენილა. ძველ ძეგლებში ან სულ არ გვხვდება, ან ძალზე იშვიათად მოიპოვება ის ი ნაცვალსახელი, შემდეგ ხანებში კი თანდათან ხშირდება და დღეს, ლამის არის, ხმარებიდან გააძევის ძველი ქართულის მკვიდრი ი გ ი. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ის ი მანამდე ენაში არ არსებობდა. ისიც ისე ძველია, როგორც მისი თანამოძმე ეს ე, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო ძველ ტექსტებში ნაკლებად გვხვდება.

რაკი, მაშასადამე, X საუკუნის რიგ საუკეთესო ხელნაწერებში დადასტურებულია ჩვენთვის საინტერესო ფორმები, შეგვიძლია დაბეჯითებით ვთქვათ, რომ ეს არის ქართული ენის განვითარების გენერალური ხაზის მაჩვენებელი, მისი დამახასიათებელი სტრუქტურის ერთ-ერთი, რკოლი; მისი განუყრელი ნაწილი ეს ფორმები შემდეგ და შემდეგ უფრო ფართოდ ვრცელდება ენაში და გარდამავალი ზნების III სერიის ფორმების გვერდით იკავებს შესაფერის ადგილს მაგრამ, კომეორებთ, მათი სათავე თვით ძველ ქართულში ძევს.

# ს ა ქ ი ე ბ ე ლ ი

## 1. პირთა სახელები

აბულაძე ილ. 260	ნათაძე ნ. 349, 350, 354
ანდრონიკაშვილი მ. 49, 103	ნასური ფ. 121
ახვლედიანი გ. 63, 64, 65, 66, 72, 90, 91, 113, 114, 115, 121, 125, 129. 135	ორბელიანი ს-ს. 63, 118, 119, 120
ბანძელი ი. (ფანცულაია ი.) 85	ელენტი ს. 90, 113, 114, 115, 116, 120, 121, 122, 125, 126, 129, 135
ბარამიძე ალ. 260	როგავა გ. 110
ბარამიძე ლ. 349, 350, 354, 356	სარჯველაძე ზ. 37, 92, 131, 132, 137
გამყრელიძე თ. 47	ჭავჭავაძე ი. 17, 31, 138
გაჩეჩილაძე პ. 31	ქურციკიძე ც. 37, 94, 123, 125, 129, 350, 351. 352, 353, 354
გეწაძე დ. 348	ყიფშიძე ი. 23, 90
დანელია კ. 353	შანიძე ა. 25, 31, 37, 41, 45, 47, 53, 56, 59, 85, 93, 95, 96, 99, 103, 110, 111, 113, 114, 121, 129, 174, 205, 226, 252, 253, 260, 261, 264. 266, 315, 319, 324, 325, 338, 341, 348, 349, 350, 356
დეტერსი გ. 121	შანიძე გზ. 98
თარხნიშვილი მ. 315	ჩიქობავა არნ. 37, 85, 101, 116, 119, 122, 129, 348, 356
თოფურია ვ. 42, 47, 85, 118, 132	ჩუბინაშვილი დ. 118. 119, 120
იმნაიშვილი გ. 32	ჩუბინაშვილი ნ. 118, 119, 120
იმნაიშვილი ი. 37, 45, 53, 76, 103, 112, 133, 325, 353. 355, 356	ძიძიშვილი მ. 31, 35, 37, 40, 41, 42, 43, 52, 53, 59, 65, 90, 92, 102, 103, 109, 114, 115, 116, 120, 121, 122, 123, 129, 130
კეკელიძე კ. 111, 333, 334	ქინკარაული ა. 31, 116, 125
კიკნაძე ლ. 315	ჩაჩანიძე პ. 32
ლორთქიფანიძე კ. 42	
მანჯგალაძე ა. 55	
მარი ნ. 6, 42, 67	
მარტიროსოვი ა. 32, 125, 126, 129, 138	
მაჭავარიანი ვ. 205	
მენთეშაშვილი ს. 126	

## 2. გაანალიზებული და დამოწმებული ფორმებისა

ა

აბრაშეანი 73	აღგომა ნ. აღდგომა
აგარიანი 75	აღვილი 8
აგებული, აგებულუბა ნ. აღგება	აეროანი, აერონება, პერონება 18
აგზება ნ. აღგზება	აეხუნეს ნ. აღხუმა
აგიარებ ნ. აღსაარება	აეიდოდა ნ. აღსლეა
აღამეანი 73	აეიპერენ ნ. აღპერობა
აღაშინი 76	აეურაცხელი 35
აღგინება ნ. აღდგინება	

ათასისთაო 19  
ათურამეტი, მეათურამეტე 91  
აიარე ნ. აღსაარება  
აიქუა ნ. აღქუმა  
აილეს ნ. აღლება  
აიხილნა ნ. აღხილვა  
აიკილება ნ. აღკილება  
აქრება ნ. აღკრება  
ალამბასტრი 38  
ალაფიანი 76  
ალოსაჲ 33  
ალქიმანდრიკი 61  
ამბა, ანბა 70  
ამაღლების ნ. აღმაღლება  
ამბაეი, ჰამბაეი 33, 70  
ამზნო ნ. ზმნობა  
ამბოხიანი 18  
ამპარტავენი: ამპარტავეანობდ (მე) 19; ანპარტავენი, ანპარტავეანება 72  
ამრენაეი, არმენაეი 91  
ამქ(უ)მელი ნ. აღქუმა  
ანდრია 77  
ანქრეუდა ნ. ნქრევა  
არაბული 55  
არმენაეი ნ. ამრენაეი  
არტოშანი, ატროშანი 91  
ასაეი 33  
ასღევით, ასღე ნ. აღდგომა  
ასურული 55  
ატროშანი ნ. არტოშანი  
აუბეანი 73  
აუგიანი 75, 76  
აღება: აგებული, აგებულება 24  
აღგზ(ნ)ება: აღხუაგზნე 95, 116; აგზებად, აგზებული 24  
აღღვინება: სიტყვა აღღვინება 24  
აღღგომა: ასღევით, ასღე, აღღგომა 24  
აღღსება: ახუსება 117  
აღთქუმა 183  
აღკილება: აკიდა, აკილით 24  
აღკრება: აკრებისათჳს 24  
აღმართება: აღხუმართე, აღკუმართე, აღხუ-მართეთ 95, 116; აღკმართა, აღღმართა, აღღმართნეს 326; აღმართნა 26  
აღმაღლება: აიმაღლა კმაჲ, აჰმაღლდები,

ამაღლდა, ამღლდეს, ამაღლება 23  
აღმოუწყაროდა 18  
აღმოცნება, აღმოცენება 340; აღმოცენ-ნენ 30  
აღმოხუმა, აღმოჭუმა 113  
აღმოკლომა: აღმოკლებდის, აღმოკლა 342  
აღმსთობა, აღმსთობილი 20  
აღმტკობა 104, 107  
აღმცილება: აღმცილებდი 104, 107  
აღნათქუეში 79  
აღპყრობა, აყრობა, ჭელისა აყრობა 23, 24  
აღოქრება: აოქრდეს 23  
აღრაცხა: აპრაცხს 24  
აღსაარება: აგიარება, აიარება აუვარებადეს, აიარე, აუვარო 24; აღსაარებაჲ 28  
აღსლვა: ზარი აჴვალს 24; ახუალ, ახუედ, ახუედ 23; ავილოდა 24  
აღსრულება: აღხუსრულო, წარხასრულნა, დახასრულოთ, აღესრულა, აღესრულ-ნეს 32  
აღტყორცება: აღხუტყორცებ 95  
აღუწუღღმელი: აღუწუღღმელსა 46  
აღფხუვა: აფხურეს, აფხურას, აფხურად 23; აღფხუხურე 97  
აღქუმა: აიქუა, ამქუმელი, ამქმელი 24  
აღღება: აიღეს, აღღეთ 23; აღღო, აღღეს (შორიშა) 33  
აღყვანება: აღყუყვანა 117  
აღყრა: აყყრიდა 24  
აღშშნება, აღშნება: ზაშშნებთ, აღზაშშნა. აღშშნა, აღშშნა, აღშშნო, აღშშნენ 329; აღშშნენ 30  
აღწყუება: ასწყუდნეს, აუწყუედიან, აწყუე-დასა 24  
აღხილვა: აიხილნა, აეხილნეს, ახილვაჲ 23.  
აღხუმა: აიხუენ, აიხუნა, აეხუნეს 23  
